ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№6

2014

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2013 წლის 2 ივლისს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებს.

სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. პაატა ქურდაძე
წევრები: პროფ. ნოდარ მირაზანაშვილი, ასოც. პროფ. ციური ბაქრაძე

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“
თავმჯდომარე: პროფ. ნელი გოგინაშვილი
წევრები: პროფ. ლევან მიდოდაშვილი, ასოც. პროფ. თინათინ იოსებიძე, ასოც. პროფ. ლელა ალექსიძე, ასოც. პროფ. გიორგი მძინარაშვილი

სექცია „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: პროფ. ლეილა მამულაშვილი
წევრები: ასოც. პროფ. ნანული ქოქაშვილი, ასოც. პროფ. მაია აზმაიფარაშვილი, ასოც. პროფ. მაკა სოსანიძე, ასოც. პროფ. ლალი სადაღაშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
თავმჯდომარე: პროფ. კლარა ელჩიბეგაშვილი
წევრი: პროფ. გიორგი გიორგაძე

სექცია „ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. მარინე ცერცვაძე
წევრები: პროფ. ნათელა ხინჩაგაშვილი, ასოც. პროფ. ქეთევან ბარბაქაძე

სექცია „ლინგვისტიკა“
თავმჯდომარე: პროფ. ელენე ხოჯევანიშვილი
წევრები: პროფ. მარიამ კობერიძე, პროფ. ლელა მახვილაძე

სექცია „ისტორია“
თავმჯდომარე: პროფ. ვაჟა ჩოჩია
წევრები: პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი, პროფ. მამუკა ჯოლბორდი, ასოც. პროფ. ლელა თოგოშვილი, ასოც. პროფ. დავით ჩოჩიშვილი

ISSN 2233-3320

შინაარსი

განათლება

გოშაძე ირმა - *ისტორიულ წყაროთა სწავლების საკითხისათვის – 6*

გუჩმაზაშვილი თამარ - *ყრუთა სწავლებისთვის განათლების დაწყებით საფეხურზე – 9*

ნასყიდაშვილი ნინო - *ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები – 12*

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბერიკაშვილი თეონა, ხუციშვილი რეზო - *გენური ინჟინერია და გენმოდიფიცირებული პროდუქტი - მეცნიერებისა და კაცობრიობის მიღწევა – 16*

ბერუაშვილი ნინო, გოგიაშვილი ფიქრია - *ბიომეურნეობა - აგრარულ სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია – 20*

ბესტავაშვილი მარინა, ბესტავაშვილი ელენა - *მინერალური ელემენტები და ადამიანის ჯანმრთელობა – 25*

ედიშერაშვილი ანა - *ადამიანის მსგავსება ადამიანის მსგავს მაიმუნებთან – 28*

თომაშვილი თამარ, ჯალაბაძე ნათია - *თირკმლის მწვავე, ქრონიკული უკმარისობა და დიალიზი – 30*

თურმანიძე ელენე - *წილადის შესწავლის მეთოდიკა დაწყებით კლასებში – 34*

კილაძე დავით - *ვარჯიშების შერჩევა და გამოყენება V და VI კლასების მოსწავლეთა ძალის განვითარებისათვის – 37*

მინდიაშვილი თამარ, მელაძე ცისნამი - *ფუნქციები სასრული ვარიაციებით – 41*

პაპიაშვილი დათო - *კრიპტოგრაფია და ინფორმაციული უსაფრთხოება – 45*

რაზმაძე მარიამ – *ქართული სუფრის რეგიონალური თავისებურებანი და სადღეგრძელოები – 49*

რეხვიაშვილი სოფიკო - *ელექტრონული ვაჭრობის რეალიზაციის კომპიუტერული ტექნოლოგიები – 52*

საათაშვილი ანი - *მათემატიკის გაკვეთილებისადმი შემეცნებითი ინტერესის განვითარება უმცროსკლასელებში სამეცადინო დიდაქტიკური თამაშების გამოყენების საშუალებით – 54*

სარქისიანი ნინო - *„ღვთაებრივი პროპორცია“ – 59*

ტერუნაშვილი მერი - *თამაშთა თეორიის ერთი გამოყენება – 62*

ხმიადაშვილი თათია, ოქუაშვილი ანი - *ზოგიერთი სამკურნალო მცენარის გამოყენება ონკოლოგიურ დაავადებათა წინააღმდეგ – 65*

ბიზნესი და მართვა

ათუაშვილი ნინო - *ელექტრონული მარკეტინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 70*

არჩუაძე ნათია, ჩიხლაძე ცირა - *აგროტურიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები მსოფლიოში – 73*

ბასილიძე მარიამ, გაგლოშვილი ვერიკო, ელისაშვილი ნანა - *ბულალტერი - რას ნიშნავს ეს და რა არის ბულალტრული აღრიცხვა – 76*

ბერუაშვილი ნინო, გოგიაშვილი ფიქრია - *სასათბურე მეურნეობა, როგორც პრიორიტეტული და წარმატებული ბიზნესი – 78*

დემურავი მარიამ, მოსიაშვილი ნონა - *აუქციონი და სააუქციონო ვაჭრობა საქართველოში – 81*

დიასამიძე ნინო - *დაზღვევის არსი, ისტორია და ეკონომიკური შინაარსი – 83*

თამლიანი გიორგი - *თაფლის ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში – 86*

კაპანაძე თამთა, ფსუტური ანა - *ატრაქციის მნიშვნელობა თანამედროვე ტურიზმში – 91*

ლობჟანიძე დავით - *დიმიტრი ყიფიანის წვლილი საქართველოში საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების განვითარებაში – 94*

მუზაშვილი სოფიო, გიგაური ლალი - *საქართველოს საფონდო ბირჟა, პრობლემები და განვითარების ტენდენციები – 97*

ნადირაძე თამარ, საათაშვილი მაკა - *XXI საუკუნის ბიზნესი – 99*

ნაოჭაშვილი ბექა - *საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები – 102*

პაპიაშვილი დათო - *ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი დაძლევის გზები – 105*

ყაჩლავაშვილი მირანდა - *საქართველოს სადაზღვევო ბაზარი – 109*

ცერცვაძე რუსუდან - *უმუშევრობა და შრომითი მიგრაცია – 111*

ხაჟომია ლელა, მესხი თეონა - *კომუნიკაციისა და მოტივაციის როლი ორგანიზაციაში – 118*

ხმიადაშვილი თამარ, რუსიტაშვილი თეონა - *აქტიური ინვესტირება, ანუ როგორ შევარჩიოთ მომგებიანი ფასიანი ქაღალდები – 122*

ჯანგიშერაშვილი ანიკო, ტერტერაშვილი ნინო - *Facebook პარალელურ სამყაროში – 124*

ჯღირაძე მარიამ, ილურიძე ნათია - *მწვანე ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები – 126*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

კუტალია ხალიდა - *სასჯელები თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით – 129*

ლომაია დავით, ილარიშვილი თეონა - *სუროგაცია – 134*

მარკოზაშვილი ქეთევან, ტერმაკოზაშვილი თამარ - *„ლიტანია ლაურეტანა“ - პირველი ქართული ნაბეჭდი ლოცვა – 138*

მთიულიშვილი მარიამ - *კულტურის ცნების საკითხისათვის – 140*

ხარაიშვილი თამარ, ტოროშელიძე ზურაბ - *ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა თუ მათი უფლებების დაცვა – 144*

ლინგვისტიკა

ბესიაშვილი მარიამ - *იაკობ გოგებაშვილის ერთი პუბლიცისტური წერილი და ანბანის სწავლების მისეული პრინციპი – 148*

ზაუტაშვილი მედეა - *ინტონაცია, როგორც რთული ფონეტიკური ერთეული – 150*

კაპანაძე გიორგი - *ДОХРИСТИАНСКАЯ ПИСЬМЕННОСТЬ У СЛАВЯН: ПОЛЕМИКА И КРИТИКА – 153*

კვაღნიძე მარიამ - *ტოპონიმებად გამოყენებული რამდენიმე ზმნისართის შესახებ – 155*

ლაზარაშვილი თამარ - *nicht უარყოფითი ნაწილაკის ხმარების სირთულეები გერმანულ ენაში – 157*

მაისურაძე მაია - *ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმათა შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისათვის ქართულსა და ინგლისურში (გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით) – 160*

მძინარაშვილი სოფიკო - *ანტონიმები ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში – 163*

ოქროპირიძე მარიამ - *ნიკო ლომოურის ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხისათვის – 166*

ოქრუაშვილი ნათია - *საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელი ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში – 169*

სადაღაშვილი მთვარისა - *ნიკო ლორთქიფანიძის ენის სტილური ნიუანსები – 171*

ქაჯაია თეონა - *მიცემითი ბრუნვა ქართველურ ენებში – 175*

ცერაძე თამარ - *ნაწარმოები ზმნების მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი გერმანულ ენაში – 177*

ხანიშვილი სოფიო - *ДЕНЬ СЛАВЯНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ И КУЛЬТУРЫ КАК РЕЛИГИОЗНО-ГОСУДАРСТВЕННЫЙ ПРАЗДНИК РОССИИ – 182*

ჯღამაძე ცოტნე - *სოფელ გეჯეთის ონომასტიკა – 185*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ზესიაშვილი მარიამ, მაისურაძე მაია - *კახეთის აჯანყების გამოძახილი გიორგი ერისთავის „ოსურ მოთხრობაში“ – 187*

გეგეჭკორი თეონა - *АНГЛОМАНИЯ В РОССИИ КАК СОЦИАЛЬНОЕ И ЛИТЕРАТУРНОЕ ЯВЛЕНИЕ КОНЦА XVIII - НАЧАЛА XIX ВЕКА – 191*

თარაშვილი ეველინა, ოქროპირიძე მარიამ - *კონფლიქტი მხატვრულ ტექსტებში – 195*

კაკაშვილი თეონა, გოდელაშვილი იზა - *დედაენა დღეს და ქართული საზოგადოება – 198*

საზანდრიშვილი ნათელა, ტერტერაშვილი ნათია - *ქალი და მისი უფლებებისათვის ბრძოლის საკითხები XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ნაზრევში – 202*

ტეტუნაშვილი ხატია - *ამერიკული „ახალი კრიტიკა“ – 206*

ქელეხსაშვილი მარიამი - *სიკეთისა და ბოროტების გარჩევის პრობლემა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასა“ და მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ მიხედვით – 209*

შავლოხაშვილი თეონა - *ნერსე II ერისთავის სახე ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებში – 211*

ხანიშვილი ეკა - *მგლის სახე-სიმბოლო ევროპულ ლიტერატურასა და მითოლოგიაში – 215*

ი ს ტ ო რ ი ა

ბიხანაშვილი რუსუდან - *დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმისათვის – 219*

კეჩხუაშვილი მარი - *აფხაზეთის ომი – 222*

კვალიაშვილი სარდიონ - *1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები – 225*

კორაშვილი ნინო - *ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIII საუკუნეებში – 228*

მახათაძე თინათინ - *სურამელთა საგვარეულოს ქრონოლოგიისა და პოლიტიკურ-გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისათვის – 230*

მოსიაშვილი მადონა, გიგუაშვილი მერი - *სამარხთა ძირითადი ტიპები და დაკრძალვის წესი ანტიკური ხანის საქართველოში (ძვ.წ. VI-ახ.წ. IV სს) – 234*

ღვინიაშვილი ნინო - *სოფელ რუისის ისტორიიდან – 237*

ღონღაძე ნინო - *სოფელ აბისის ისტორიიდან – 241*

ხუციშვილი ხატია, ჩადუნელი მარიამ - *საქართველო გერმანულ თქმულებებში იოანე პრესბიტერზე (XI-XVI სს) – 245*

ისტორიულ წყაროთა სწავლების საკითხისათვის

ირმა გოშაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მანანა მიჩიტაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების მასწავლებელს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე. მასწავლებელი არა მარტო სწავლების ორგანიზებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ თვითგანათლების პროცესზეც უნდა ზრუნავდეს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ყველა მასწავლებელს მუდმივად სჭირდება საკუთარი ცოდნის განახლება. ახალი რეალობა ახალ მოთხოვნებს გვკარნახობს. წინა პლანზე გამოდის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ახალი სტრატეგიებითა და აქტივობებით განახლებული გაკვეთილები. სკოლაში ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებამ, პირველ რიგში, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებას. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით შექმნილი ისტორიის სახელმძღვანელოები დაფუძნებულია ისტორიულ წყაროებზე. მასწავლებელმა უმთავრესი აქცენტი უნდა გააკეთოს სახელმძღვანელოს ტექსტისა და წყაროების ანალიზზე, ინტერპრეტაციაზე, რეპრეზენტატულობაზე, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს პასიური მსმენელებიდან შემმეცნებლებად ჩამოყალიბდნენ და შეძენილ ცოდნასთან ერთად განივითარონ მრავალი პრაქტიკული უნარი.

ისტორიის მასწავლებელთა პროფესიონალიზმისა და კრეატიულობის განმსაზღვრელი წყაროთმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნაა, რაც მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს პირველად და მეორად წყაროთა კომბინაციით, წყაროს ტენდენციურობისა და სანდოობის ხარისხის დადგენასა და ისტორიული ეპოქის წარდგენას. ყოველივე ამის ცოდნა შესაძლებლობას მისცემდა ისტორიული წყაროს მთავარი საკითხისა და მისი შექმნის მთავარი მიზნის დადგენას, ელემენტარული ისტორიულ კვლევის დაგეგმვასა და წარმართვას. წყაროთა ანალიზის უნარი განუვითარებთ კრიტიკულ აზროვნებას და ამის შედეგად ჩამოაყალიბებენ საკუთარ პოზიციას ისტორიული მოვლენის მიმართ. სწორედ ანალიზის უნარი მისცემს მოსწავლეებს სხვადასხვა წყაროში წარმოდგენილი ხედვის შედარება-შეპირისპირებას და სწორი დასკვნების გამოტანას, თუ მათ ეცოდინებათ ნებისმიერი წყაროსადმი არა მარტო ანალიზური კითხვების დასმის სპეციფიკა, არამედ წყაროთა ანალიტიკური პროცესის წარმართვა. მნიშვნელობა არა აქვს რა წყარო იქნება ეს: დოკუმენტური, ვიზუალური თუ აუდიო-ვიზუალური. წყაროთა ანალიტიკური პროცესი ითვალისწინებს:

აღწერა: რომელშიც იგულისხმება, რა სახის წყაროა მოცემული? ვინ არის წყაროს ავტორი? რა სახით იყო ჩართული ასახულ მოვლენებში (მონაწილე, თვითმხილველი, რეპორტიორი, ოფიციალური პირი და ა.შ.).

როდის შეიქმნა წყარო, მოვლენიდან რამდენი ხნის შემდეგ? წყაროში მითითებულია თუ არა ვისზე იყო იგი გათვლილი? მითითებულია თუ არა რა იყო მისი მიზანი? რას გვეუბნება იგი ამა თუ იმ კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ?

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს: წყაროს უცნობი ავტორის მოვლენაში მისი მონაწილეობა (სიახლოვე აღწერილ მოვლენებთან, მოსაზრება, კონტაქტები, როლი და ა.შ.) მინიშნება იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო წყაროს ავტორმა ინფორმაცია? რამდენად სანდოა ინფორმაცია?..

განსხვავება ისტორიული ფაქტს, ჰიპოთეზასა და პირად მოსაზრებას შორის. წყაროში გამოხატული ხედვის მოდელის დადგენა (გარკვეული პოზიციის მხარდაჭერა, საწინააღმდეგო პოზიცია და ა.შ.). გვთავაზობს თუ არა რაიმე დასკვნას წყაროს ავტორი? წყაროებს საფუძველს უმყარებს თუ არა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი ან მოსაზრება? და სხვ.

კავშირი მანამდე არსებულ ცოდნასთან: წყაროში წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს თუ ეწინააღმდეგება სხვა მნიშვნელოვან წყაროებში არსებულ ინფორმაციას.

შემდგომი ინფორმაციის წყაროების დადგენა: სად არის შესაძლებელი მოცემულ წყაროში წარმოდგენილი ინფორმაციის ან მისი ავტორის ინტერპრეტაციის შემოწმება? რომელი სახის წყაროებშია შესაძლებელი?

ამ პროცესში ინტერპრეტაციის მიზანია გააფართოვოს კონკრეტული თემის ისტორიული ანალიზის მასშტაბები განსხვავებულ ხედვათა შემოწმების გზით. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეს უნდა ესმოდეს ისტორიული ინტერპრეტაციის მნიშვნელობა, რომ ისტორიული წარსულის ასახვა და მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვა საშუალებებით არის შესაძლებელი (მაგ., ნარატიული წყაროები, რუკები, მხატვრული ლიტერატურა, ზეპირსიტყვიერება, ფოტოები, კინოფილმები, სამუზეუმო ექსპოზიციები და ა.შ.). ისტორიული წყაროების შესწავლისას ამ ასაკის მოსწავლეს აგრეთვე უნდა ავუხსნათ, თუ რას ნიშნავს წყაროთა ტენდენციურობა: რა ეპოქაში და გარემოებაში იქმნებოდა ესა თუ ის ისტორიული წყარო, რა ფაქტობრივ მასალას ეყრდნობოდნენ და რა მსოფლმხედველობისანი იყვნენ მათი ავტორები (ისტორიკოსები, მწერლები და სხვ.). ამრიგად, საკმაოდ რთული უნარი ისტორიული ინტერპრეტაციის დაძლევადი ხდება საკმაოდ ადრეულ ასაკშიც.

წყაროებზე მუშაობის ცენტრალური საკითხია წყაროს რეპრეზენტატულობა. ისტორიულ წყაროთა რეპრეზენტატულობა ზოგადად ნიშნავს პასუხს შეკითხვაზე, არის თუ არა შესაძლებელი ისტორიულ წყაროთა საფუძველზე ეპოქის სრული სურათის აღდგენა. წყაროში რეალური სინამდვილე სრულად არ აისახება, ამდენად მასწავლებლის მოვალეობაა, წყაროს ინფორმაციის შევსება და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცნობებზე აქცენტები, რომელიც მოსწავლეებს მისცემს სწორ მიმართულებას ელემენტარული კვლევების საინტერესოდ და ეფექტურად წარმართვისათვის.

ასევე მოსწავლეებს ვაძლევთ განმარტებას, რომ წერილობითი წყაროს ავტორი შესაძლებელია იყოს აღწერილი ამბის თანამედროვე და თვითმხილველიც კი, ზოგ შემთხვევაში მისგან ხანგრძლივი დროით დაშორებული და ამ ამბავს გადმოსცემდეს სხვა წყაროების გამოყენებით, ამდენად ზოგი წყარო უფრო მეტადაა სანდო, ზოგიც _ ნაკლებად. მასწავლებლის ვალია მიაწოდოს ინფორმაცია განსახილველი წყაროს შექმნის ისტორიაზე, ისტორიკოსის ვინაობაზე, ამ კონკრეტული პერიოდის ალტერნატიულ ქართულ და უცხოურ წყაროებზე. რათა მოსწავლეებმა დაადგინონ წყაროს სანდოობის ხარისხი სხვა წყაროსთან სინთეზის გზით.

გონებრივი იერიშის მეთოდით მოსწავლეებს ნათლად და ეფექტურად ვაცნობთ შესასწავლი წყაროს გამოვლენის ისტორიას, ჩვენამდე მოღწეული ტექსტის მდგომარეობას, წყაროს წარმოშობას (ავტორი, დრო, ადგილი, მედასეობა). ინფორმაცია დიალოგის ან პრეზენტაციის ფორმით შეიძლება მიეწოდოს. მაგ., მე-6 კლასის ისტორიის გაკვეთილები: „შაჰ-აბას I-ის შემოსევები კახეთში“, „მარტყოფიდან მარაბდამდე“ ითვალისწინებს XVII ს. 30-იანი წლების საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესწავლასა და ანალიზს. მასწავლებლისაგან ითხოვს წინასწარ მოამზადოს წყაროები, სადისკუსიო კითხვები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის აღმოჩენისაკენ. სახელმძღვანელოში წყაროებად მოცემულია მხოლოდ XVII საუკუნის სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი აღმოსავლეთ საქართველოს რუკები. №2 წყაროზე დაყრდნობით კი დავალება ითვალისწინებს შემდეგს: „შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს წარწერები: „საბარათიანო“, „საციციანო”, „საამილახვრო” და სხვ. ასეთი ტიპის დავალებები ითვალისწინებს მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე თვითონ მისცეს ინფორმაცია და პრეზენტაციით მიაწოდოს ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, საიდანაც დასკვნებსა და შეფასებებს სათავადოთა შესახებ თვითონ შეძლებენ. ამ მხრივ სპარსული ისტორიული ფირმანები პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს სათავადოთა ისტორიისათვის. ამ დოკუმენტებში ბევრი საყურადღებო, მნიშვნელოვანი ცნობაა XVIIს. სპარსეთის შაჰის მიერ სამკვიდრო მამულის დამტკიცების შესახებ და აღნიშნული სათავადოებიდან შაჰის სამსახურში მიღების და წლიური ჯამაგირის, ჰამასალას დანიშვნის შესახებ.

ვაკეთებთ აქცენტებს ისტორიულ ტერმინებზე და მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც დისკუსიაზე მუშაობას გაუადვილებთ, მაგ., თავადები როგორ უწყობდნენ ხელს ერთმანეთის გაძლიერებას მეფის დასუსტების ხარჯზე, პატივმოყვარე თავადთა სახლისკაცებს შორის სისხლიან დაპირისპირების გახშირებულ შემთხვევებზე. შიდაპოლიტიკური ბრძოლის წარდგენისას ვაძლევთ ინფორმაციას ქაოხოსრო ბარათაშვილის, ყაფლან ორბელიშვილის, ფარსადან, ქაოხოსრო და პაპუნა ციციშვილების შესახებ, რათა თვითონ გამოიტანონ დასკვნები მტრის ვერაგული გეგმებისა და სათავადოში სახლისკაცთა დაპირისპირების მიზეზების შესახებ:

წყარო №1. 1626 წლის (სექტემბერ-ოქტომბერი) შაჰ-აბას დიდის ფირმანი ქართლის ვექილად ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილის დანიშვნის შესახებ

„ვუბოძეთ კდემამოსილებით, პატიოსნებით, უმწიკვლოებით შემკობილი დედოფლის მაღალთანამდებობითი ვექილობა, რათა უწყებული მბრძანებლობით და მისგან გამომდინარე მოვალეობითა შესაბამისად იღვაწოს ერთგულებით და თავდადებით, არ დაუშვას წუთიერი უნიათობა

და ორგულობა... სახელმწიფო საქმიანობის მათ შორის მიღებული წესისამებრ წასამართავად და აღნიშნული საქმიანობა აღიარონ საგანგებოდ მისთვის განკუთვნილად. დედოფლის ქვეშევრდომნი მოიქცევიან ამ ბრძანების თანახმად, ნურავითარ შემთხვევაში ნუ ეურჩებიან მის სიტყვებს... რაც კი იქნება სავაქილო მოსაკითხი, ჩათვალონ მისგან დამოკიდებული...” (ფუთურიძე, 1961:18-19)

წყარო №2. აღნიშნული სპარსული წყაროს სანდოობის დასადასტურებლად პარალელურად ვაცნობთ ორენოვან წყაროს (1627 წლის სიმონ II-ის სიგელი.)

„...ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ბატონის დედოფლის სახლისუხუცესს... მამულის წყალობასა დაგვაჯენით... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ტბისს რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს”. (ფუთურიძე, 1955:66-68)

წყარო №3. 1658 წ. შაჰ-აბას მეორის ფირმანი საქართველოს მეფე შაჰნავაზისადმი სახელმძღვანელოდ თიულის ქაიხოსრო ციციშვილისა და მისი ძმის პაპუნას სახელზე დამტკიცების შესახებ. (ხუბუა, 1949:12)

„...გამოვიდა ფირმანი, მაზე, რომ... პაპუნა-ბეგმა ქაიხოსრო-ბეგის ძე ციციშვილმა წარმოადგინა პირი უკეთილშობილესი ბრძანება, გამოცემული 1632 წლის 11 თებერვლიდან, შემდეგი მოკლე შინაარსით: ქვეყნის მპყრობის...(აწ) განსვენებული [შაჰ-სეფის] ბრძანებულობით მოუპოვებია სიძლიერე მაზე, რომ ოდენობით ხუთი ოჯახი აზნაური და ორმოცდაათი ოჯახი გლეხი ქართლის ოლქის მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთაგანი, რომელნიც ამას წინათ განკუთვნილი იყვნენ ფარსადან ციციშვილისათვის, ბოძებულ არიან ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილისადმი ...”

წყარო №4. 1649 წ. თებერვლის 14-მარტის 14; შაჰ-აბას II ფირმანი პაპუნა ციციშვილისათვის კუთვნილი ჯამაგირის წლითი-წლამდე მიცემის შესახებ

„გამოვიდა ფირმანი, მასზე, რომ აღმატებულის საფარველმა პაპუნა-ბეგ ციციშვილმა, მისი უდიდებულესობის პირადმა ღულამმა მოგვახსენა, რომ მას დაუდგინეს ჰამასალად თანხა თერთმეტი თუმნის და 7600 დინარის [ოდენობით] შირვანის ოლქის ვოჯუჰათის [მოსახლეობის ფულადი გადასახადი]... თანამდებობებზე დანიშვნისა და ღულამების სარქრიდან დაადასტურეს, რომ ხსენებული თანხა შირვანის ოლქის ფულიდან დადგენილი იყო ხსენებული [პაპუნა-ბეგის] ჰამასალად /სახელმწიფო მოხელის წლიური ჯამაგირი გადასახადებიდან/ და მუდმივად [გასაცემი]“... (ფუთურიძე, 1961:60-61)

ამის შემდეგ წყაროთმცოდნეობით მასალაზე მუშაობა გრძელდება ძირითადად ჯგუფებში და შესაძლებელია სოკრატული სწავლების მეთოდის გამოყენებაც, სადაც მასწავლებელი წყაროებზე დაყრდნობით სვამს მხოლოდ პრობლემურ კითხვებს. სახელმძღვანელოს კითხვები და დავალებები მოსწავლისაგან მოითხოვს დააკავშიროს სათავადოთა საკითხი კონკრეტულ ეპოქასთან, დაადგინონ ამ პერიოდის ისტორიული მოვლენების მიზეზშედეგობრივი კავშირები, ახსნან სათავადოთა ურთიერთობათა ისტორია სამეფო კართან და ირანის შაჰთან, გამოკვეთონ შინაფეოდალური დაპირისპირებულობის მიზეზები და სხვ. ამ დროს არ ეძლევათ მოსწავლეებს ინფორმაცია, არამედ მოეთხოვებათ აზროვნება, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. ზოგჯერ მასწავლებელს მოაქვს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმ პასუხების ეჭვქვეშ დაყენებას, რომელსაც სპარსული ფირმანები გვაძლევენ, რათა მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას, ჰიპოთეზას დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, რათა შემდეგ, დამატებითი ინფორმაციის ანალიზის და ალტერნატიული ვარიანტების განხილვის საფუძველზე, მოახდინონ გამოთქმული ჰიპოთეზის გადასინჯვა, ერთმანეთის არგუმენტების გაანალიზება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რა მიზნით სთავაზობდნენ ჯილდოდ მამულებს ან ჯამაგირებს ირანის შაჰები ქართველ თავადებს? რატომ არჩევდა ქართველ თავადთა ერთი ნაწილი სამშობლოსათვის თავდადების ნაცვლად შაჰის ქვეშევრდომობას? რა გზით შეიძლებოდა ქართველი ხალხის კონსოლიდაცია და ირანელ დამპყრობლებზე გამარჯვება? ვთხოვთ ალტერნატიული გზების და არჩევანის გაკეთებას თვითონ როგორ მოიქცეოდნენ. ვაზუსტებთ როგორ ინტერპრეტაციას მისცემდნენ წყაროს მნიშვნელოვან ფრაზებს. ასევე, ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით მოსწავლეთა ერთ ჯგუფს მივცემდით დავალებას მოეძიებინათ მასალა ამ სათავადოების შესახებ, აქტიურად ჩაერთობოდნენ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის კატეგორიზაციასა და წყაროთა შედარებაში. ყოველივე ამის საფუძველზე დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას სათავადოებისა და მათი საზღვრებს მიმართ.

ამრიგად, წყაროებზე მუშაობით მოსწავლეები ეუფლებიან მარტივ ისტორიულ კვლევას უკვე V-VI კლასებიდან. ცდილობენ დაასაბუთონ ისტორიული წყაროს სანდოობა, სწავლობენ სწორი, ობიექტური ინფორმაციის გამოტანას განსხვავებული ალტერნატიული ისტორიული წყაროებიდან წყაროთა სინთეზისა და ანალიზის გზით. პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ დავალებებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი,

თავისუფლად იმსჯელონ იმ მიზეზებზე, რამაც განსაზღვრა ქართველი ხალხის მარცხი ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში, რათა სრულყოფილად წარადგინონ ისტორიული ეპოქა.

ლიტერატურა:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2010.

2. ეროვნული სასწავლო გეგმა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2009-2010, გვ. 183 http://itf2010.web.officelive.com/curriculum.aspx

3. სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის, ვგეგმავთ, ვატარებთ, ვაფასებთ, თბ., 2007.

4. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, თბ., 2004.

5. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. 1, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1961.

6. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1955.

7. ხუბუა მ., საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949.

ყრუთა სწავლებისთვის განათლების დაწყებით საფეხურზე

თამარ გუჩმაზაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ეკატერინე გიგაშვილი,** მოწვეული დოქტორი

სმენა არის ორგანიზმის უნარი აღიქვას ბგერა. სმენის შეგრძნება საშუალებას გვაძლევს ყურადღება მივაქციოთ და ამოვიცნოთ ჩვენს გარშემო არსებული ბგერები და ასევე განვსაზღვროთ მათი ადგილმდებარეობა. ადამიანისთვის სმენა ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს გარემოში არსებული მოვლენების აღქმისას. რაც მთავარია, სმენის საფუძველზე აღმოცენებული მეტყველება ადამიანს აძლევს კომუნიკაციის საშუალებას.

ნებისმიერი განვითარების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში აუცილებელია ბავშვის ადრეული დიაგნოსტიკა/სკრინინგი და შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება. რაც უფრო ადრეული პერიოდიდან დაიწყება ბავშვის განვითარების ხელშეწყობის სტიმულირება, მით უფრო მეტი შანსი აქვს ბავშვს დაძლიოს პრობლემები და განვითარების დარღვევების მიუხედავად საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწიოს.

საყურადღებოა, რომ სმენის უმნიშვნელო დაქვეითებაც კი, რომელიც ვითარდება ადრეულ ასაკში, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის მეტყველების ფორმირებაზე. სმენის დაქვეითების ან სიყრუის დროს კი სპეციალური, დამხმარე საშუალების და სწავლების გარეშე ბავშვი ვერ დაეუფლება მეტყველებას. ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვს არ ესმის საკუთარი ხმა, გარეშე მყოფთა მეტყველება და აქედან გამომდინარე მოკლებულია შესაძლებლობას მიბაძოს მას.

სმენის გამოკვლევა ხდება სპეციალიზებულ სამედიცინო სურდოლოგიურ ცენტრში. გამოკვლევა მოიცავს პედიატრულ, ოტიატრიულ, სურდოლოგიურ და ფსიქო-პედაგოგიურ გამოკვლევას. ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად ხდება შესაძლებელი საბოლოო დიაგნოზის დასმა ბავშვის სმენის დარღვევის თაობაზე.

განასხვავებენ სმენის დარღვევის რამდენიმე შემთხვევას:

- <u>სმენის დაზიანება,</u> რომელიც ზოგადი ტერმინია და აერთიანებს სმენის დაქვეითების ყველა შემთხვევას;
- <u>სმენის დაქვეითება,</u> რომელშიც ერთიანდება სმენის დარღვევის ყველა შემთხვევა და რომლის დროსაც სასმენი აპარატის დახმარებით ადამიანს შეუძლია მეტყველების გაგება;

• ყრუ, სმენის ტოტალური დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანს მეტყველების გაგება სასმენი აპარატის საშუალებითაც კი არ შეუძლია.

სმენის დაქვეითების მიზეზების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია და შეიძლება იწყებოდეს დედის მუცლადყოფნის პერიოდიდან, ბავშვობაში გადატანილი ავადმყოფობისა და მემკვიდრეობით (გენეტიკური) მიღებული ფაქტორების ჩათვლით. დღეისათვის ცნობილ მიზეზთა შორის ბავშვის სმენის დაკარგვის ყველაზე ხშირი შემთხვევა უკავშირდება ნაადრევ მშობიარობასა და გენეტიკას. თუ ბავშვს სმენის დაქვეითება უკავშირდება ავადმყოფობას, უბედურ შემთხვევას ან/და მემკვიდრეობით ფაქტორს, შესაძლოა მივაკუთვნოთ სმენის კონდიქტიური ან ნეიროსენსორული დაქვეითების კატეგორიას.

ბგერის აღქმა ცვალებადობს ხმის სიძლიერისა (ინტენსივობის) და სიხშირის (სიმაღლის) მიხედვით. ბგერის ინტენსივობა დეციბელებით (DB) იზომება და მას აღვიქვამთ როგორც ხმის სიძლიერეს. ყრუ ბავშვები, რომელთა სმენა მძიმიდან სმენის სრულ დაკარგვამდე დიაპაზონშია, შესაძლოა ატარებდნენ სასმენ აპარატს.

არსებობს სხვადასხვა სტილისა და მოდელის სასმენი აპარატი, რომელთა დანიშნულებას სმენის გაუმჯობესება წარმოადგენს. ყურსასმენი აპარატი მარტივ მოწყობილობას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა იგი ყურს უკან მაგრდება, ყურში იდება თუ ბავშვის მკერდზე იკვრება ღვედით, ის შედგება მიკროფონის ხმის სიძლიერის რეგულატორიანი მიმღებ-გამაძლიერებლის, მინიატორული დინამიკის, ელექტრული ბატარეისა და ჩანართისაგან.

ზემოთ აღინიშნა ადრეული დიაგნოსტირებისა და ჩარევის მნიშვნელობის შესახებ. ბავშვებისთვის, რომელსაც ნაწილობრივი ან ნარჩენი სმენა აქვს, სასმენი აპარატის გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია სწავლებისათვის, რადგან აპარატი მისთვის ხელმისაწვდომს და გასაგებს ხდის მშობლების, და-ძმის, გარშემომყოფების მეტყველებას. გარდა ამისა, იმ ფუნქციასაც ასრულებს, რომელიც ბავშვს საშუალებას აძლევს, უფრო იოლად შეისწავლოს ჟესტური ენა და კითხვა ზეპირი მეტყველების დახმარებით. კოხლეარული იმპლანტი შედარებით ახალი შექმნილია. იგი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი თავშია იმპლანტირებული, მეორე კი, ქირურგიული ჩარევის გზით, მაგნიტით მაგრდება თავის ქალაზე.

კვლევებმა აჩვენა, რომ კოხლეარული იმპლანტი ბგერის აღქმას აძლიერებს და ყრუ ბავშვების უმეტესობას მეტყველების გაგებაში ეხმარება. ნაწილობრივ ამის შედეგია, რომ ბავშვები კითხვასაც უკეთ სწავლობენ. კოხლეარული იმპლანტი სიყრუეს "კურნავს“, ის დახვეწილი სასმენი აპარატია. მიუხედავად სასმენი აპარატის მნიშვნელობისა და დანიშნულებისა, ენის ასათვისებლად ყრუ მოსწავლეთათვის მხოლოდ სასმენი აპარატისა და კოხლეარული იმპლანტის გამოყენება ხშირად არ არის საკმარისი, დიდ როლს იძენს ჟესტური ენა.

ყრუ ბავშვები, რომლებმაც ჟესტური ენა ადრეულ ასაკში ისწავლეს, ზეპირ მეტყველებასთან ერთად ან მის გარეშე, გაცილებით უკეთ სწავლობენ სკოლის დაწყებით კლასებში და უკეთესი სოციალური ურთიერთობა შეუძლიათ დაამყარონ მშობლებთან, თანატოლებთან, ვიდრე ასეთივე სმენის მქონე ბავშვებს, რომლებიც მხოლოდ ზეპირ მეტყველებაზე აღიზარდნენ. სასაუბრო ენების მსგავსად, ჟესტური ენებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ აქვთ აქცენტი და დიალექტიც კი. სასაუბრო ენის მსგავსად, ბუნებრივი ჟესტური ენა შედგება მდიდარი ჟესტური ლექსიკური მარაგისაგან და იმ წესებისაგან, რომლებიც მართავენ წინადადების სტრუქტურასა და კომბინაციებს.

ჟესტური ენების უმეტესობაში ცალკეული ჟესტი შექმნილია ხელის ფორმის, არტიკულაციის ადგილის მოძრაობის საფუძველზე, იმის მიხედვით, ერთი ხელი გამოიყენება თუ ორივე. ერთ-ერთი ამ ელემენტის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ჟესტის მნიშვნელობისა და შესაბამისად შინაარსის შეცვლა, თუ ეს ჟესტი რეალურად მართლაც არსებობს, სწორედ ისე, როგორც ასოს ცვლილება იწვევს სიტყვაში მისი შინაარსის შეცვლას. ჟესტების მოდიფიცირება ისევე როგორც სიტყვისა, შესაძლებელია ცალკეული თავსართებისა და ბოლოსართების დამატებითაც. ყრუ, ან სმენადაქვეითებული მოსწავლეების მასწავლებლები ხშირად ანიმაციას, გამოსახულებებსა და ფოტოებს იყენებენ სწავლების პროცესში და ბევრი მათგანისათვის წარმოუდგენელი იქნებოდა სასწავლო პროცესის წარმართვა ამ დამხმარე საშუალების გარეშე.

სმენის დაქვეითება და სიყრუე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე. სიყრუის მქონე ბავშვებს პრობლემები აქვთ როგორც მეტყველების აღქმის თვალსაზრისით, ასევე მისი გამოხატვის თვალსაზრისითაც.

მეტყველების ინტენსიური ტრენინგის შედეგად ბევრი ყრუ ბავშვი აღწევს იმას, რომ მათი მეტყველება გასაგები ხდება, თუმცა ეს არ არის სრულფასოვანი მეტყველება. არსებობს მეტყველების ინტენსიური ტრენინგისთვის არაერთი მეთოდური მიდგომა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ზეპირი მეტყველების სხვადასხვა დონეზე გამომუშავებისკენ: სწავლება ცალკეული ბგერების

წარმოთქმის მეთოდით, მარცვლების წარმოთქმის მეთოდითა და მთლიანი სიტყვის წარმოთქმის მეთოდით.

ადრეული ინტერვენცია განვითარების ნებისმიერ სფეროში ყრუ ბავშვების წარმატების პროგნოზირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. ადრეული ინტერვენციის პროგრამები რაც შეიძლება დროულად უნდა დაიწყოს, რათა ყრუ ბავშვებმა მიიღონ სოციალურ-ემოციურ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის საჭირო გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს მათ განვითარებას, გაძლიერებას და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ადრეული ინტერვენცია ეხმარება ყრუ ბავშვებს უკეთ აკონტროლონ საკუთარი ქცევა, უკეთ მოახდინონ სკოლაში ყურადღების კონცენტრირება, იყვნენ ადაპტირებულნი იმ სოციუმში, რომელშიც იმყოფებიან.

დღეისათვის არსებული გამოცდილების მიხედვით, ყრუ ბავშვებს ისევე შეუძლიათ სწავლა, როგორც სმენის მქონე მათ თანატოლებს, სიყრუე არ იწვევს სწავლის თვალსაზრისით რაიმე გადაულახავ დაბრკოლებას. ყრუ ბავშვებისათვის, ისევე როგორც სხვა ნოზოლოგიიების დროს არსებული სწავლის სირთულეების შემთხვევაში, აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და სწავლების სპეციფიკური სტრატეგიების გამოყენება. განათლების დაწყებით საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობა, ადაპტაცია და მისი სათანადოდ აღჭურვა. საკლასო ოთახის მოწყობის დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნას შემდეგი ასპექტები: აკუსტიკა, საკლასო ოთახი კარგად უნდა იქნას დაცული ქუჩიდან შემოსული ხმაურისაგან, აუცილებელია კარგი განათება, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლე სასურველია იჯდეს წინა მერხზე ისე, რომ კარგად ხედავდეს მასწავლებელს და დანარჩენ მოსწავლეებსაც, საკლასო ოთახში მერხების განლაგება სასურველია არ იყოს ტიპიური, არამედ იყოს, მაგალითად, წრიული ფორმის, რადგან მოსწავლეებმა ერთმანეთს უყურონ, რაც ეხმარება კომუნიკაციის ეფექტურობაში. გაკვეთილის პროცესში მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ლაპარაკის, ურთიერთობის დაწყებამდე ყოველთვის მიიპყროს მოსწავლის ყურადღება და პირდაპირ მას უყუროს. თუ მოსწავლე არ უყურებს, მხარზე მსუბუქი შეხებით ან თავზე ხელის გადასმით მიანიშნოს, რომ მასთან ურთიერთობა სურს, ცოდნის განმტკიცების მიზნით ახლად ნასწავლი სიტყვები გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში; დაგეგმოს მასალის მიწოდება ისე, რომ ყოველი მომდევნო თემა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული წინა მასალასთან, მიაწოდოს მოსწავლეს რაც შეიძლება მეტი წერილობითი ინფორმაცია: გაკვეთილის ცხრილი, საშინაო დავალებები, განცხადებები მშობელთა კრების შეხვედრების, ექსკურსიებისა და სხვათა შესახებ. დაფაზე ნაწერი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, მასწავლებელმა კლასთან ერთად უნდა შეიმუშაოს გარკვეული ვიზუალური სიგნალები (მაგ., ციმციმა შუქი ზართან ერთად) გაკვეთილის დაწყების, დამთავრების ან რაიმე განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად.

ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მისაღებად მნიშვნელოვანია ბავშვებთან მომუშავე ადამიანების თანასწორობა და სხვისი უფლებების პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული შინაგანი რწმენა და პროფესიული ღირებულებები. ყველა მოსწავლემ, მიუხედავად განსხვავებული შესაძლებლობებისა, რეალიზებულად და დაფასებულად რომ იგრძნოს თავი, მნიშვნელოვანია პედაგოგებს ჰქონდეთ ცოდნა და პრობლემებზე ორიენტირებული ახალი ცოდნის მოძიებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

ლიტერატურა:

1. მარკ მარშარკი, პიტერ ფაუზერი, როგორ სწავლობენ ყრუ ბავშვები, 2012.
2. თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენა, 2012.
3. აიკლ ბედშოუ, ნენსი ჯ. როიზერი, ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით, 2012.
4. სმენის დარღვევის მოსწავლეთა სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმების ბიბლიოთეკა, 2012.

ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები

ნინო ნასყიდაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მანანა მიჩიტაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველოში ზოგადი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ვექტორი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. შეიქმნა დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროფესიული სტანდარტი, რომელიც მოიცავს პედაგოგიური მიდგომების ცოდნას, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების მოთხოვნებს.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ძირითად ფორმად კვლავაც რჩება გაკვეთილი და, ბუნებრივია, ახალი პრინციპების შესაბამისი ცვლილებებიც უპირველესად გაკვეთილში უნდა აისახოს. გაკვეთილის დაგეგმვა ერთ-ერთი საშუალებაა ობიექტური, კონსტრუქციული და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვისათვის.

დღევანდელი სკოლის გამოწვევების მიხედვით აქტიური ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვა, საგანმანათლებლო სტანდარტებზე მორგება საგნის ღრმა ცოდნას, დიდ ძალისხმევასა და თანამედროვე ტექნოლოგიებით დაგეგმვის ხარისხის სრულყოფაზეა ორიენტირებული. მასწავლებლისთვის ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვის საჭირო რესურსი ამჟამად ძნელი მისაღწევი არ არის.

გამოიკვეთა ისტორიის სწავლების პრიორიტეტები: 1. ისტორიული პროცესების რეალური სურათის წარდგენა; 2. ისტორიული პროცესის გახსნისას სოციალურ-კულტურული სისტემის გამოყენება; 3. ადამიანის სუბიექტური როლი ისტორიულ პროცესებში; 4. ისტორიული მასალის ჰუმანიზაცია, რაც აამაღლებს მოსწავლეებზე გრძნობად-ემოციურ ზემოქმედებას; 5. ისტორიულ კანონზომიერებაში ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგი; 6. ისტორიული პროცესის ალტერნატიული განვითარების გზის შესაძლებლობის იდეა.

განუსაზღვრელია მასწავლებლის როლი ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვაში, რომელიც იწყება სასწავლო გარემოდან, გაკვეთილის საორგანიზაციო საკითხებიდან, მასწავლებლის პირადი თვისებებიდან (შრომისმოყვარეობა, შემოქმედებითობა, აქტიურობა, ტოლერანტობა, თანამშრომლობა, კომუნიკაბელურობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, დროის სწორად განაწილება, ლიდერობა) და მთავრდება სწორად შერჩეული სტრატეგიებითა და აქტივობებით, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს გაკვეთილის დაგეგმვისას. გაკვეთილის გეგმა განსაზღვრავს გაკვეთილის მიზნებს, შინაარსსა და სტრუქტურას, გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი საფეხურებია: დაგეგმვა, მომზადება, წარმართვა და შეფასება. გაკვეთილამდე იგი მოიძიებს ინფორმაციას, საგანმანათლებლო რესურსებს, მუშაობს მასალის პრეზენტაციაზე, ადგენს სტრატეგიებისა და აქტივობების შესაბამისობას გაკვეთილთან. გაკვეთილის პროცესის განხორციელებისას გვევლინება სწავლების ორგანიზატორად, მოსწავლეთა პარტნიორად. მასწავლებელს აკისრია პროფესიული იდენტიფიკაციისა და ცოდნის დიაგნოსტიკოსის როლი, შემფასებლისა და გაკვეთილზე ან ჯგუფში სოციალურ ურთიერთობათა მარეგულირებლის ფუნქცია. აღნიშნული ფაქტორები მასწავლებლისაგან მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას. გაკვეთილის სცენარის წერილობითი ფორმით და ელექტრონული ვერსიის წარმოდგენით მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს რამდენად სრულყოფილად პასუხობს მისი სცენარი ესგ გაკვეთილის მიზანს, მოსალოდნელ შედეგებსა და ინდიკატორებს, რადგან მთავარი სწორედ პედაგოგის მიერ გაკვეთილის სწორად დაგეგმვა და წარმართვაა. ამგვარი გაკვეთილები იწვევს მოსწავლეთა გააქტიურებას, მოტივაციისა და ინტერესის გაზრდას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას და შესაბამისი განწყობილების შექმნას.

გაკვეთილზე მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი. ამიტომ პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა წარმატებებს.

- პედაგოგი სისტემატურად და გეგმაზომიერად უნდა მუშაობდეს მოტივაციის ამაღლებაზე. ამ ტიპის სამუშაოები მას მიზნობრივად და თანმიმდევრულად უნდა ჰქონდეს დაგეგმილი სასწავლო პროგრამაში;

- პედაგოგმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შინაგანი მოტივაცია ბევრად უფრო მდგრადია, უფრო ხანგრძლივი და მართვადია, ვიდრე გარეგანი და მოსწავლეთა განვითარებას განსაკუთრებით უწყობს ხელს;
- მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებელმა მრავალგვარ აქტივობას და სტრატეგიას შეიძლება მიმართოს, მაგრამ ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასაკობრივი ჯგუფისა და კონკრეტული მოსწავლის ხასიათის თუ მუშაობის სტილის თავისებურებებს.
- მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებებია: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და პედაგოგის მიერ გაკვეთილის დაგეგმვის ეფექტური სცენარები.
- სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



მოსწავლის აქტიურობა სწავლებაში განსაზღვრავს სამ, ერთმანეთისაგან მჭიდროდ დაკავშირებულ ელემენტს: მიზანს, რომლის მიღწევაც გვსურს; მასალას (ანუ სასწავლო პროგრამა), რომელიც მოცემული გვაქვს დაგეგმილი მიზნების განსახორციელებლად და მიზნის მიღწევის გზებს (აქტივობებს და სტრატეგიებს), რომლებსაც ჩვენ ვირჩევთ.

მასწავლებელმა წერილობით უნდა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა ანუ სცენარი, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი მასწავლებლის აქტივობები და მოსწავლეების მოსალოდნელი პასუხები. რათა მოსწავლეები აქტიურად ჩართოს დისკუსიაში. თუმცა, სიტუაციიდან გამომდინარე, მასწავლებელს წინასწარ დაწერილი გაკვეთილის სცენარის იმპროვიზაცია უნდა შეეძლოს; გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების წინასწარი ცოდნა, ინტერესები, რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს ერთგვაროვანი. ასევე, ის, თუ როგორ შეიძლება ამ ცოდნის ამოქმედება გაკვეთილის დაწყებისთანავე, მოსწავლეების მოტივაცია, საჭირო რესურსების არსებობა და ა.შ. მოსწავლეთა შესაფასებლად, მასწავლებელმა უნდა გამოყოს გაკვეთილის მიზნის მიღწევის კრიტერიუმები, ანუ მოკლედ აღწეროს, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გაკვეთილის მიზანი განხორციელებულად, აუცილებელია მიზნის მიღწევის დონეების გამოყოფაც, ანუ შეფასების სქემის - რუბრიკის შედგენა. ასევე, საჭიროა მასწავლებელმა მოახდინოს მის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ანალიზი: რა შესრულდა მის მიერ შედგენილი გეგმიდან კარგად, რამ შეუშალა ხელი გაკვეთილის მიზნის მიღწევაში და რა უნდა გამოსწორდეს მომავალში; არსებობს გაკვეთილის დაგეგმვის სხვადასხვა სტრატეგია. ყველაზე ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი ჯერ გეგმავს გაკვეთილის სასწავლო მიზანს, შემდეგ კი ამ მიზნის მიღწევის გზებს ეძებს და მხოლოდ ამის შემდეგ აქტივობებსა და საჭირო რესურსებს. ასეთი მრავალფეროვნება ზრდის მოსწავლეთა აქტიურ ჩაბმას სასწავლო პროცესში და ამაღლებს მათ მოტივაციას. არსებობს აქტივობის ხუთი კატეგორია:

მზარდი – რომლის საშუალებითაც მოსწავლე დავალების შესრულების პროცესში იძენს ახალ იდეებს, კონცეფციებს, უნარ-ჩვევებს და ეუფლება პროცედურებს;

რესტრუქტურებადი – რომელიც მოითხოვს მოსწავლეებისაგან წინასწარ შეძენილ უნარ-ჩვევებს და ცოდნაზე დაყრდნობით აკეთებს აღმოჩენებს;

ცოდნის გამომცდელი – უკვე ნაცნობი იდეების, კონცეფციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება ახალ სიტუაციაში პრობლემის გადასაწყვეტად.

პრაქტიკაზე დაყრდნობით – ნაცნობი იდეების, კონცეფციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით.

გამეორებაზე დამყარებული – ნაცნობი იდეების, კონცეფციების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამეორება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

აქტივობას რელევანტური ხასიათი აქვს. ეს არის აქტივობის მთავარი მაჩვენებელი, სპეციფიკური და მრავალმნიშვნელოვანი კონკრეტული ისტორიული მასალისათვის. ყოველი აქტივობა უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და შეესაბამებოდეს შესასწავლი ისტორიული მასალის კონკრეტულ ხასიათს. მოსწავლის შეხედულება იმის შესახებ, თუ რამდენად ღირებულია სასკოლო აქტივობები, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მოტივაციას. მოსწავლეთა სასკოლო მოტივაციის შექმნა მასწავლებლის ფუნდამენტური ამოცანაა, რამდენადაც სწორედ მოტივაციაა გაკვეთილზე მოსწავლის აქტიური ჩართვის გარანტი. „ამდენად მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ესა თუ ის აქტივობა ღირებული გახადოს მოსწავლის თვალში. მკაფიოდ დაანახოს მათ, რა აზრი აქვს მის შესრულებას, რა სარგებელს მოუტანს პიროვნული თუ სოციალური თვალსაზრისით, რას შესძენს ისეთს, რაც მას სკოლის გარეთაც გამოადგება.” [ალმანახი: 2009]

ისტორიის გაკვეთილის აქტივობები საკმაოდ მრავალფეროვანია:

1. აქტივობები ვერბალური ინფორმაციის ელემენტებით: გონებრივი იერიში, ისტორიის მოყოლა, მაპროვოცირებელი კითხვები, ლიტერატურული მასალის, ისტორიული წყაროებიდან სანდო ინფორმაციის მოძიება და გადამუშავება, სახელმძღვანელოს ტექსტის ანალიზი, სტუმარი კლასში, ინტერვიუების წარდგენა.

2. აქტივობები სწავლების ვიზუალიზაციისათვის: სურათების და ფოტომასალების ჩვენება, სლაიდების, ანიმაციური რუკების, ვიდეო მასალების ჩვენება, პრეზენტაციების გამოყენება, სიუჟეტური (როლური, კოსტუმირებული) თამაშები, დაუსწრებელი მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში, ისტორიულ ძეგლებთან, მსოფლიო მუზეუმებში, არქეოლოგიურ გათხრებთან, ტურისტებისათვის ადგილობრივი გზამკვლევის, დიაგრამებისა და გენეალოგიური ტაბულების შედგენა.

3. პრობლემაზე დაფუძნებული სავარჯიშოები: ექსპერიმენტები, ჰიპოთეზების და ალტერნატიული შეფასებების სავარჯიშოები, თამაშები (მაგ.: ისტორიული კროსვორდების შედგენა, „ჯადოსნური ყუთი“, სიტყვის კოდის გახსნა-ამხსნელი სიტყვის პოვნა, ვის ეკუთვნის ფრაზა, თარიღების ჯაჭვი, აბლაბუდა, და ა.შ.) და სიტუაციური ამოცანები, ელექტრონული სავარჯიშოები და სხვ.

4. აქტივობები დისკუსიის ელემენტებით: არგუმენტირებული დისკუსია ჯგუფებსა და წყვილებში, დებატები, ისტორიულ პიროვნებათა გასამართლება, კუთხეები, მომხრეები და მოწინააღმდეგეები.

5. აქტივობები ფიქრისა და აზროვნებისათვის: საკლასო ან ჯგუფური დისკუსია, სიტუაციური ამოცანები, დაუსრულებელი ისტორიის გაგრძელება, წარმოსახვითი მოგზაურობა, მოგზაურის, ისტორიკოსის თვალით დანახული საქართველო და მისი ანალიზი, სცენარების წერა ისტორიული მოვლენების, პიროვნებების ვიდეო მასალებისათვის და სხვ.

6. აქტივობები კვლევითი ელემენტებით: ელემენტარული კვლევითი მუშაობა ბიბლიოთეკაში, ისტორიულ თარიღთა ბანკის შექმნა და სარგებლობა, ალტერნატიული გზების ძიებით ისტორიული პროცესების შეცვლის პერსპექტივები, ორმხრივი სწავლა, სამუშაოები ადგილობრივ მუზეუმებში და არქეოლოგიურ გათხრების წარმოებისას (შესაძლებლობების შემთხვევაში), სასწავლო ექსკურსიები, მოკლევადიანი პროექტები; შედარება-შეპირისპირება, ანალიზი და სინთეზი.

აქტივობების შერჩევისას გასათვალისწინებელია:

- აქტივობებით როგორ მივაღწევთ დასახულ მიზანს?
- მიზნის მისაღწევად რას გავაკეთებთ და რას გააკეთებენ მოსწავლეები?
- მიზნის მისაღწევად აქტივობების შერჩევა და ეფექტურად გამოყენება;
- როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა?

გაკვეთილის დაგეგმვისას აქტივობებისა და საგანმანათლებლო რესურსების სწორად შერჩევის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აქტივობების შეფასების სისტემის ეფექტურ გამოყენებას. სანამ ავირჩევთ სასწავლო აქტივობებს, აუცილებელია მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების, მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების გათვალისწინება. შესაძლოა, სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო აქტივობა არ შეესაბამებოდეს კლასის ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს და მოითხოვდეს შეცვლას. აქტივობების მიმდინარეობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ შენარჩუნებული იქნეს მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია. ასევე წინასწარ უნდა დაიგეგმოს ეფექტური სტრატეგიები, რომელთა უნარიანად გამოყენება განსაზღვრავს გაკვეთილის მიზნებსა და შედეგებზე გასვლას. ისტორიის

სწავლების ეფექტური სტრატეგიების ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე, ვენის დიაგრამა, დროის დიაგრამა, T – სქემა, ასოციაციური კავშირების რუკა, სტრატეგია: 3-2-1; "მე ვიკვლევ", სტრატეგია მიზეზშედეგობრივი კავშირები პრობლემური სიტუაციების გაანალიზების მიზნით უნარიანად გამოყენება განსაზღვრავს გაკვეთილის მიზნებსა და შედეგებზე გასვლას.

იმისათვის, რომ მოსწავლეთა აქტიურობა დეკლარაციული მოთხოვნიდან გაკვეთილზე რეალურ მოქმედებამდე მივიყვანოთ, საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რომელია ის აქტივობა, სტრატეგია, თუ მასწავლებლის ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ბიძგს მისცემს, ხელს შეუწყობს და განავითარებს სწავლებაში მოსწავლის შესაბამის აქტიურობას და მისადმი დამოკიდებულებას. მოსწავლეთა გააქტიურების მთავარი მიზანია ჭეშმარიტი რაციონალიზაციის მიღწევა, ე. ი. მისწრაფება იმისაკენ, რომ სწავლების შედეგები იყოს უკეთესი, უფრო მაღალი ხარისხის, უფრო ხანგრძლივი და განხორციელდეს უფრო სწრაფად და ეფექტურად.

ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფასაც გულისხმობს. ამდენად პედაგოგებს მოგვეთხოვება უფრო დახვეწილი, თანამედროვე ტექნოლოგიებით სრულვყოთ გაკვეთილის ეფექტიანობა, შემოქმედებითი წერის, ისტორიული ეპოქის წარმოსახვის, დროსა და სივრცეში ორიენტაციის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარების თვალსაზრისით.

გაკვეთილზე ტექნოლოგიების გამოყენების დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- მოსწავლეთა ისტ კომპეტენცია;
- მის ხელთ არსებული ტექნიკური ბაზა;
- მის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის მიზანი და პედაგოგიური სტრატეგიები და აქტივობები;
- გაკვეთილის ტიპი (მიმდინარე, შემაჯამებელი, პროექტული და სხვ.);
- სასწავლი მასალის თემატიკა.

ამ ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე მასწავლებელი ირჩევს ელექტრონულ რესურსს (კომპიუტერულ პროგრამას), რომელსაც გამოიყენებს სწავლების პროცესში, განსაზღვრავს საკლასო მენეჯმენტს.

„ტექნოლოგიებით გამდიდრებული აქტივობა იმ იდეებსა და ცნებებს უნდა ეყრდნობოდეს, რომელთა შესწავლასაც ითვალისწინებს გაკვეთილის გეგმა. ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ცოდნის შეძენის, ორგანიზების, შეფასების არაჩვეულებრივი ინსტრუმენტია." [ისტი: 2009]

ამდენად, ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვის ხარისხი კვლავაც რჩება პროფესიული კომპეტენციის ერთ–ერთი უმთავრესი მაჩვენებელი.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2009-2010, http://itf2010.web.officelive.com/curriculum.aspx
2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
3. სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის, ვგეგმავთ, ვატარებთ, ვაფასებთ, თბ., 2007.
4. სეხნიაშვილი მ., გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები, თბ., 2003.
5. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, თბ., 2004.
6. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო II, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2008.
7. ჯანაშია ს., ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში, თბ., 2009.
8. ალმანახი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2008-2009.
8. www.ge. Lemill.net.
9. www.mes.gov.ge

გენური ინჟინერია და გენმოდიფიცირებული პროდუქტი - მეცნიერებისა და კაცობრიობის მიღწევა

თეონა ბერიკაშვილი, რეზო ხუციშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

გენმოდიფიცირების ცნება ეფუძნება თანამედროვე ბიოტექნოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის განვითარებას, რომელიც სათავეს იღებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ მეთოდით წარმოებული პროდუქტი საქართველოშიც შემოაქვთ, თუმცა საზოგადოების დამოკიდებულება გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ მკვეთრად უარყოფითია.

გენმოდიფიცირებული პროდუქტი და ემულგატორები საზოგადოების განსჯის საგნად არაერთხელ ქცეულა. არის თუ არა იგი ჯანმრთელობისთვის მავნებელი? რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს სხვადასხვა სახის საკვებ დანამატმა? - ეს ის საკითხებია, რომელიც ყველა ადამიანს აღელვებს და აინტერესებს. ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქტით არის გაჯერებული, ჩვენ კი, როგორც წესი, მისი შეძენისას, ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას იმას, თუ რა წერია ეტიკეტზე, როგორია მისი შემადგენლობა და ა.შ. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება.

გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები გენური ინჟინერიის შედეგად არის მიღებული. გენური ინჟინერია ჩვეულებრივ გულისხმობს უჯრედულ დონეზე ხელოვნური მანიპულაციის შედეგად საჭირო გენის ერთი სახეობის ორგანიზმიდან სხვა, არამონათესავე ორგანიზმში გადატანას, შესაძლებელია ადამიანის გენის გადატანა ცხოველებში და - პირიქით. საქართველოში ასეთი პროდუქციის შემოტანა 1996 წლიდან დაიწყო. კითხვაზე - უსაფრთხოა თუ არა ადამიანისთვის გენეტიკური მოდიფიკაციის საფუძველზე მიღებული პროდუქტები, ერთმნიშვნელოვანი პასუხი კვლავაც არ არსებობს.

როდესაც ადამიანის ორგანიზმში ასეთი პროდუქტი ხვდება და ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ეს მასში მთელ რიგ გენურ ცვლილებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებებსა და სხვა პათოლოგიებს იწვევს. საერთოდ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ცოცხალი ორგანიზმებია, ამდენად, გამრავლებით, გავრცელებითა და საკუთარი გენების გადაცემის უნარით გამოირჩევა. ისინი ადამიანისთვის უცხო ხელოვნური ნივთიერებებით არიან გაჯერებული. მაგალითად, არსებობს ვირთაგვასგენიანი კომბოსტო, თევზისგენიანი პომიდორი და უამრავი სხვა ამგვარი. 2004 წლიდან ევროპის ქვეყნებში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს სპეციალური ნიშანდება მიენიჭა, რის შედეგადაც მოსახლეობას ეძლევა საშუალება, თავად გააკეთოს არჩევანი გენმოდიფიცირებულ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს შორის.

ამ თემაზე წლებია მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს. საბოლოო დასკვნა ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, არ ვიცით ასეთი პროდუქტების მიღებამ ორგანიზმზე რა შედეგი შეიძლება იქონიოს; როგორ მოქმედებს ზრდაზე, განვითარებაზე, რეპროდუქციაზე. არ ვამტკიცებთ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღება ორგანიზმისთვის დაუშვებელია, მაგრამ არსებობს რისკი, ადამიანი კი გონიერი არსება იმიტომ არის, რომ ეს რისკი აირიდოს. პროდუქტებზე აუცილებლად უნდა კეთდებოდეს მარკირება - მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რა პროდუქტს იძენს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველო "კარტახენის ოქმს" შეუერთდა. ეს არის ბიოუსაფრთხოების ევროპული კონვენცია, რომელიც ქვეყანას ავალდებულებს, საკვები პროდუქტების მარკირება გააკეთოს. სამწუხაროდ, მარკირებულ პროდუქტს ჯერჯერობით სავაჭრო ქსელში ვერ ვხედავთ.

ხორბალი ის პროდუქტია, რომელსაც საკვებად ყოველდღიურად ვიყენებთ. მისი გენმოდიფიცირება ხდება შემდეგნაირად: ხორბლის უჯრედში გადააქვთ გენი, რომელიც მის უხვმოსავლიანობას უზრუნველყოფს. თუ ქვეყანაში ხორბალი უნდა შემოვიდეს, უმჯობესია, შემოვიდეს დაფქული სახით და მას მარკირება გაუკეთდეს. საქართველოში გენმოდიფიცირებული ხორბლის დათესვა საჭირო არაა, ჩვენ ეს არ გვჭირდება. ჩვენ გვაქვს ენდემური ჯიშები და უმჯობესი იქნება, თუ მათ შენარჩუნებას

მოვახერხებთ. თუ ბუნება გვიყვარს, ენდემური ჯიშების ფასი გვესმის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მნიშვნელობა ვიცით, ყველანაირი რისკი უნდა ავიცილოთ.

გენმოდიფიცირებული მცენარეების დათესვის დროს ნიადაგის გამოფიტვაც ხდება, გარკვეულ ფართობზე გარკვეული რაოდენობის მოსავლის მიღებაა შესაძლებელი; როცა ამ ნორმას ვაჭარბებთ, ნიადაგი იფიტება. უკვე ვდგავართ იმ რეალობის წინაშე, რომ ადამიანებმა შექმნეს ხელოვნური ახალი სიცოცხლე, ახალი უჯრედი დაასინთეზეს და ბაქტერიას გადაუნერგეს. დღეს ეს ბაქტერიაში გაკეთდა; შეიძლება ხვალ სასურველი გენი მრავალუჯრედიან ორგანიზმებშიც შეიტანონ. ზოგჯერ მეცნიერულ გამოგონებას ადამიანები ბოროტად იყენებენ. როცა მარია კიურიმ რადიოაქტიურობა აღმოაჩინა, მას ნამდვილად არ უფიქრია, რომ ატომური ბომბი შეიქმნებოდა. კარტოფილში გადანერგილი გველის ან მორიელის გენი ადამიანისთვის მავნებელი როგორ არ იქნება თუ ცნობილია, რომ მისი ფოთოლი კოლორადოს ხოჭოს კლავს! ასეთი კარტოფილის ფოთლები ჭარბი რაოდენობით ტოქსინს გამოიმუშავებს. ხოჭო რომ ჭამს, იღუპება. ახლა ნამდვილი პომიდვრის, კიტრის, კარტოფილის გემო ახალგაზრდებმა აღარც კი იციან. მომხმარებელს 8 ძირითადი, მათ შორის ინფორმირებულობის უფლება აქვს. საქართველოში გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე მომხმარებელს ძალზე მწირი ინფორმაცია აქვთ. ეტიკეტზეც რომ იყოს მინიშნებული, სწორი არჩევანის გაკეთება ბევრს გაუჭირდება; ბევრმა ისიც კი არ იცის, გენმოდიფიცირებული პროდუქტი რას ნიშნავს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულია ბრძანება, რომლის მიხედვითაც ეტიკეტზე უნდა იყოს მითითებული - შეიცავს თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს. ჩვენს სამომხმარებლო ბაზარს თუ გადავხედავთ, მხოლოდ იმის მაუწყებელი ინფორმაცია გვხვდება, რომ არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს მაგრამ ვერ იპოვით წარწერას "გენმოდიფიცირებულია". მოსახლეობის ნაწილი ფრთხილობს და ასეთი პროდუქტის მიღებისგან თავს იკავებს.

არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამბობენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღება ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია. თუ უვნებელია, ევროპის ბევრ ქვეყანაში რატომ არის აკრძალული?

საკვები დანამატები არის ნივთიერებები, რომლებიც პროდუქტს მისი თვისებების შესაცვლელად, ფერის, გემოს, სუნის, შენახვის ვადის გასაუმჯობესებლად ემატება. შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივად დამუშავებული, ასევე ქიმიური, ხელოვნურად მიღებული ნივთიერებები. მათ მიეკუთვნება: სტაბილიზატორები, დამატკბობლები, საღებავები, ემულგატორები, მჟავიანობის მარეგულირებელი და ა.შ. ემულგატორები და კონსერვანტები მითითებულია პაკეტის იმ ნაწილზე, სადაც შემადგენლობა წერია. ზოგიერთი ძალიან მავნეა და დაავადებებს იწვევს. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის "კოდექს ალიმენტარიუსის" მონაცემებით, არსებობს კანის (E151, E231, E239, E907, E160, E232, E310-312, E951, E1105), კუჭის დაავადებების (E338-340, E351, E450-452, E461-463, E465, E466), სიმსივნეების გამომწვევი დანამატები (E131, E153, E210-216, E219, E230, E233, E242, E249, E252, E280, E283, E330, E466, E591-503, E620, E636, E954); წნევის ამწევი (E154, E250-251) განსაკუთრებით საშიში (E510,E123), აკრძალული დანამატები (E102, E105, E111, E121, E125-126, E130, E152, E952) და ა.შ.

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთსა და კიდევ ბევრ სხვა სახელმწიფოში აკრძალული საკვებდანამატების სია ათობით და ასობით ელემენტს მოიცავს; ჩვენში, სამწუხაროდ, მხოლოდ 5-ია. ეს ნამდვილად საგანგაშოა. კარგი იქნება, თუ ეს სია გაიზრდება, ჯანდაცვის სამინისტრო გადახედავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ბოლო წლებში კიბო "გაახალგაზრდავდა"; ონკოლოგების აზრით, ამის მიზეზი, გენეტიკური ფაქტორის გარდა, ხშირ შემთხვევაში, საშიში საკვები დანამატებიცაა.

არასაკმარისი საკანონმდებლო შეზღუდვის პირობებში, ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქტითაა გაჯერებული. სანამ საქართველოში აკრძალული ემულგატორების სია გაიზრდება და სურსათის კონტროლზე ხარისხი დაწესდება, მანამდე მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და თავი შევიკავოთ იმ პროდუქტის მიღებისგან, რომლის შემადგენლობაშიც ზემოთ დასახელებული საკვებდანამატები შედის.

პირველი გენმოდიფიცირებული პროდუქტი, რომელიც მსოფლიოში გაჩნდა, იყო 1994 წელს ამერიკულ ბაზარზე გამოტანილი პომიდორი „ფლავრ–სავრი“. საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქტი პირველად 1996 წელს შემოვიდა. ეს იყო ამერიკული ორგანიზაცია ACDI–ის მიერ შემოტანილი კარტოფილი.

დღეს მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე მატულობს გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების რაოდენობა, რომელთა შორისაა კვების პროდუქტები, რომლებიც ფართოდ მოიხმარება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (სიმინდი, სოიო, კარტოფილი, ბრინჯი და სხვ.).

ცხადია, რომ სასოფლო–სამეურნეო კულტურების გენების მოდიფიცირება მათ ანიჭებს მდგრადობას სხვადასხვა დაავადებების, ასევე მღრღნელების წინააღმდეგ, ზრდის შენახვის ვადებს. მაგრამ აუცილებელია გენების ხელოვნური შეცვლის გაუთვალისწინებელი ეფექტების შეფასება, რაც საკმაოდ რთულია. სწორედ ამიტომ ევროპის ბევრ ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პომიდვრის და კარტოფილის ნათესების ფართობები დღეისათვის უკიდურესად შემცირებულია. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის მოწონებული გენმოდიფიცირებული ხორბლის მოყვანა და მისი მოხმარება. გამონაკლისს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც დღემდე მოიხმარენ გენმოდიფიცირებულ ხორბალს.

ალბათ, უახლოეს წლებში გენმოდიფიცირებული პროდუქცია მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს. თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუმცა ისიც ცხადია, რომ როგორი რეგულაციებიც არ უნდა იქნეს შემოღებული, გენმოდიფიცირებული პროდუქტები მაინც აღმოჩნდება ბაზარზე. მთავარია, მათ შესაბამისი ნიშანი მაინც ჰქონდეს, რომ მომხმარებელმა იცოდეს, რას ყიდულობს.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ქართული ბაზარი გენმოდიფიცირებული საკვებით სავსეა, რისი გამოყენების შედეგადაც სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, არაჯანსაღი საკვების გამო, სხვადასხვა დაავადება ემუქრება.

მეცნიერთა კვლევები ადასტურებს, რომ გენმოდიფიცირებული საკვების მიღება უამრავ დაავადებას იწვევს, თავდაპირველად მხოლოდ ალერგიული რეაქციებით ვლინდებოდა, თუმცა შემდეგ დაავადებათა სინდრომები გაიზარდა და როგორც მეცნიერები ადასტურებენ, გაჩნდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლილობა, იმუნური რეაქციები, ღვიძლის ფუნქციის დარღვევები... მეცნიერებმა მდედრ ვირთაგვებზე ჩაატარეს ექსპერიმენტი – მათ გენმოდიფიცირებული სიმინდითა და სოიით კვებავდნენ. მათი ნაშიერები დღენაკლული იბადებოდნენ და ძალიან მალე იღუპებოდნენ, ამასთან, მათი შვილები უკვე შთამომავლობას ვეღარ იძლეოდნენ... ეს საშიშროება ვრცელდება ადამიანებზეც, ანუ, თუ ფეხმძიმე ქალბატონი გენური ინჟინერიით გამოყვანილი საკვებით იკვებება, მის ნაყოფზე არაჯანსაღი კვება განსაკუთრებით მძიმედ აისახება.

საქართველოს ურბანული მოსახლეობის ზრდასრული ნაწილის 83% მიიჩნევს, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი საშიშია ჯანმრთელობისთვის. აქედან 69% თვლის, რომ გენმოდიფიცირებული საკვები ძალიან საშიშია, ხოლო 14% მას მეტ-ნაკლებად საშიშ კატეგორიას მიაკუთვნებს.



აღმოჩნდა, რომ საქართველოში გენმოდიფიცირებულ პროდუქტს სრულიად უსაფრთხოდ გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 1% მიიჩნევს. მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გენური ინჟინერია ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ზომას, მაგრამ ასეთი გზით მიღებული პროდუქტი არ შეიცავს ვიტამინებს და საზიანოც კი არის ჯანმრთელობისთვის. თუმცა, გენმოდიფიცირებული პროდუქტის მხარდამჭერთა აზრით, გენმოდიფიცირებული პროდუქტი გამოირჩევა მაღალი ხარისხით და სავსებით უსაფრთხოა.

ანალოგიური კვლევა ჩავატარეთ გორის აგრარულ ბაზარში, გამოვიკითხეთ დაახლოებით 50 რესპონდენტი, რომელთაც ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებს სხვადასხვაგვარად უპასუხეს, კვლევის მიზანია გავარკვიოთ, რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება შემდეგი საკითხების მიმართ: იცით თუ არა, რა არის გენმოდიფიცირებული ორგანიზმები? შეგიძლიათ თუ არა ერთმანეთისაგან გაარჩიოთ გენმოდიფიცირებული საკვები არაგენმოდიფიცირებულისაგან? დაბალი ფასის შემთხვევაში შეიძენთ თუ

არა გენმოდიფიცირებულ საკვებს? როგორ ფიქრობთ, მოქმედებს თუ არა ადამიანის ჯანმრთელობაზე გენმოდიფიცირებული საკვები?
შეკითხვა I: იცით თუ არა, რა არის გენმოდიფიცირებული ორგანიზმი?



შეკითხვა II: შეგიძლიათ თუ არა გაარჩიოთ ერთმანეთისაგან გენმოდიფიცირებული საკვები არაგენმოდიფიცირებულისაგან?



შეკითხვა III: დაბალი ფასის შემთხვევაში შეიძენთ თუ არა გენმოდიფიცირებულ საკვებს?



შეკითხვა IV: როგორ ფიქრობთ, მოქმედებს თუ არა ადამიანის ჯანმრთელობაზე გენმოდიფიცირებული საკვები?



ამგვარად,ზემოთხსენებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა საზოგადოების ინფორმირება, სპეციალური ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა, რომლებიც გააკონტროლებენ გენური ინჟინერიის, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელებასა და გამოყენებას (მაგალითად, როგორებიცაა: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, დედამიწის მეგობრები - საქართველო,"care-sofia", "care-georgia","world vission" და სხვ.).

საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქციის გაკონტროლება საერთოდ არ ხდება. სახელმწიფო ორგანოებს თითქმის არ გააჩნიათ მონაცემები ქვეყანაში რა ტიპის და რა რაოდენობის გენმოდიფიცირებული პროდუქტი შემოდის. თუმცა, ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ

გენმოდიფიცირებული პროდუქციის გასაკონტროლებლად შემოდგომისთვის სპეციალური კანონი იქნება მიღებული.

სურსათის უვნებლობა დღეს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად აქვს ინფორმაცია, თუ რამდენად უვნებელ, ხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიირთმევს.

გენმოდიფიცირებულ პროდუქციას საზოგადოებაში უკვე სერიოზული შიშით უყურებენ. უკვე აღარავინ არის დარწმუნებული, რომ მის სუფრაზე გაშლილი სანოვაგე ეკოლოგიურად სუფთაა და გენური ინჟინერიის წყალობით არ არის რაიმე პროდუქტი მიღებული. პირველ რიგში კი ეჭვებს პური იწვევს. როგორც ცნობილია, საფუარი, რომლითაც პური მზადდება, დიდწილად სწორედ გენმოდიფიცირებულია.

საქართველო შეუძლებელია გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან სრულიად თავისუფალ ზონად გამოცხადდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება საერთაშორისო კანონმდებლობით ჯარიმების გადახდა დაგვეკისროს. იმპორტიორმა შეიძლება უჩივლოს ქვეყანას, რომ ის დამატებით ბარიერებს უქმნის მეწარმეებს. თუ ქვეყანას გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმებისგან თავისუფალ ზონად აცხადებ, მაშინ უნდა გქონდეს იმის საშუალებაც, რომ გააკონტროლო ეს პროცესი და საზღვარზე არ შემოვიდეს ასეთი ტვირთი. თუმცა ვფიქრობთ, რომ ძალიან რთული იქნება ამის გაკეთება. ეს თვით ევროგაერთიანებამაც კი ვერ შეძლო, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი მაინც აეკრძალა. თავად მოსახლეობას შეუძლია თავისი თემი გამოაცხადოს ასეთ თავისუფალ ზონად და არ დაუშვას ასეთი პროდუქციის შეტანა, ხოლო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან, მსგავსი გამოცხადება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ლიტერატურა და ინტერნეტ-წყაროები:

1. ასათიანი ა., ზაქარაია ა., ბიოლოგიური ფიზიკა, თბ., 1997.
2. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე., ბიოტექნოლოგია, თბ., 1999.
3. ქაჯაია გ., გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბ., 2008.
4. http://www.ambioni.ge/safrtze-romelic-genu...neriam-moitana/ საეკლესიო ბიბლიოთეკა
5. http://www.presa.ge I-მედია ჟურნალი
6. http://www.sciencelib.ge/node/2462

ბიომეურნეობა - აგრარულ სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია

ნინო ბერუაშვილი, ფიქრია გოგიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„მოყვარული ირჩევს სასუქებს. პროფესიონალი იყენებს ტექნოლოგიას“
დ. სტრომვოლი

თუ გადატანითი მნიშვნელობითი ვიტყვით, ომი უფლის სასჯელია ცოდვილი კაცობრიობის დასაფიქრებლად და ,,ჭკუაზე“ მოსაყვანად. დასაბამიდან მოყოლებული იმისდა მიხედვით იცვლებოდა საომარი საშუალებები, თუ რა დონეზე იყო კაცობრიობა ცივილიზაციის (სამხედრო ტექნოლოგიების) თვალსაზრისით. ბოლოდროინდელი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არსებობს უიარაღო ომი, როცა ბალისტიკური რაკეტების თუ უკანასკნელი ყაიდის სხვა საბრძოლო ტექნოლოგიების გარეშეც შესაძლებელია მოსახლეობის განადგურება.

ომი ყველაზე მძიმე და დამანგრეველი რეალობაა კაცობრიობის არსებობის პრაქტიკაში. იგი სპობს და ანადგურებს ყველაფერს, სადაც კი მიწვდება და ისეთივე საშიშია, როგორც გლობალური ბუნებრივი კლატაკლიზმები, რომელსაც ძალუძს აღგავოს სამყარო პირისაგან მიწისა.

ეს ის შემთხვევაა, როცა უცხო ქვეყნის ,,ბიზნეს“ თუ მზაკვრულ ინტერესებს ეწირება საკუთარი ქვეყნის არათუ სასიცოცხლო ინტერესები, არამედ თვით ადამიანთა სიცოცხლეც კი.

სურსათის უვნებლობა დღეს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად აქვს ინფორმაცია, თუ რამდენად უვნებელ, ხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიირთმევს. არადა დღეს მთელ მსოფლიოში სურსათს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მით უფრო მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში გენმოდიფიცირებული (გმო) პროდუქციის მასშტაბები გაიზარდა.

ყოველწლიურად მატულობს მოსახლეობის რიცხვი ჩვენს პლანეტაზე, დემოგრაფიული მაჩვენებელი ყველა ქვეყანაში მაქსიმუმს აღწევს. რა თქმა უნდა ეს პროგრესია, მაგრამ ყველაფერს აქვს ორი მხარე. უარყოფითი ის არის, რომ რთულდება მოსახლეობისთვის საკვების მოძიება: მიწა ნაკლებად ნაყოფიერია; უმეტეს მწერებს პესტიციდების მიმართ მდგრადობა აქვთ განვითარებული; სულ უფრო ნაკლებ ადამიანს სურს სასოფლო მეურნეობაში მუშაობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოაღნიშნული „ხელშემშლელი“ ფაქტორები არ იარსებებს და შევძლებთ მოსავლის მოყვანას, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ სრულად მისი საკვებით მომარაგება შეუძლებელია. ამიტომაც მეცნიერებმა შექმნეს გენმოდიფიცირებული პროდუქტები. ამ სახის პროდუქტები ადვილად „მოსაყვანია“ და გააჩნიათ იაფი ღირებულება. უბედურება ისაა, რომ ამ პროდუქტებს შეუძლიათ ადამიანის ორგანიზმში გარკვეული მუტაციებისა და ისეთი რთული დაავადების გამოწვევა, როგორიცაა მარგელონის დაავადება.

საქართველოში გმო პროდუქციის გაკონტროლება საერთოდ არ ხდება. სახელმწიფო ორგანოებს თითქმის არ გააჩნიათ მონაცემები ქვეყანაში რა ტიპის და რა რაოდენობის გენმოდიფიცირებული პროდუქტი შემოდის. თუმცა, ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ გმო პროდუქციის გასაკონტროლებლად სპეციალური კანონი იქნება მიღებული. როგორც ცნობილია, კანონპროექტი გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების, ანუ თესლისა და ქვირითის შემოტანის აკრძალვას შეეხება, ხოლო მზა პროდუქტის შემოტანის შემთხვევაში კი მისი მარკირება მოხდება. გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადების მიზანია, რომ არ მოხდეს საქართველოს უნიკალური აგრარული ჯიშების გადაგვარება. როგორც ცნობილია, ამ სფეროს გაუკონტროლების გამო საფრთხე ექმნება ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას, რადგან თუ გენმოდიფიცირებული ორგანიზმი ერთხელ შეიჭრა ქვეყნის ტერიტორიაზე, ის დამტვერვის შედეგად გადადის სხვა კულტურაზე.

ცხადია, რომ სასოფლო–სამეურნეო კულტურების გენების მოდიფიცირება მათ ანიჭებს მდგრადობას სხვადასხვა დაავადებების, ასევე მღრღნელების წინააღმდეგ, ზრდის შენახვის ვადებს, მაგრამ აუცილებელია გენების ხელოვნური შეცვლის გაუთვალისწინებელი ეფექტების შეფასება, რაც საკმაოდ რთულია.

მეცნიერების ნაწილს მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები სავსებით უსაფრთხოა. მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ბიოინჟინერიის მეთოდების გამოყენება მრავალ სასარგებელო თვისება სძენს სასოფლო–სამეურნეო კულტურებს. გენმოდიფიცირებული კულტურებიდან მიღებული პროდუქტები გამოირჩევიან მაღალი ხარისხით, აქვთ მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინარჩუნებენ.

მეცნიერების ნაწილი ეწინააღმდეგება ასეთი კვების პროდუქტების გამოყენებას. მათი აზრით, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელება საფრთხეს უქმნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. ახალი ნიშან–თვისება, რომელსაც გენმოდიფიცირებული მცენარეები შეიძენენ, უფრო კონკურენტუნარიანს ხდის მათ არაგენმოდიფიცირებულ ჯიშებთან შედარებით. ამას, შესაძლოა, სერიოზული ეკოლოგიური დარღვევები მოჰყვეს. გარდა ამისა, გენმოდიფიცირებულ მცენარეთა უჯრედებში შესაძლებელია მოხდეს ადამიანისათვის საშიში ნივთიერებების (ტოქსინების, ალერგინების) სინთეზირება, რაც საზიანოა როგორც ადამიანისათვის, ისე ეკოსისტემისთვის.

მზა პროდუქციის შემოტანის შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მისი ეტიკეტირება, რათა მომხმარებელმა იცოდეს, თუ რა სახის პროდუქციას ყიდულობს. თანაც ასეთი პროდუქციის ეტიკეტირება გამოიწვევს მასზე ფასის დაწევას. საგულისხმოა, რომ მთელს მსოფლიოში ასეთი პროდუქცია გაცილებით იაფი ღირს.

საერთაშორისო რეგულირება ბიოუსაფრთხოების სფეროში ემყარება ბიოუსაფრთხოების ოქმს (კარტახენას ოქმი), რომელიც, თავის მხრივ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციას (ე.წ. რიოს დეკლარაციას) ეყრდნობა. საქართველო რიოს კონვენციის მხარეა 1997 წლიდან, ხოლო კარტახენას ოქმის რატიფიცირება პარლამენტის მიერ 2008 წლის შემოდგომაზე მოხდა.

საგულისხმოა, რომ გენური ინჟინერიის განვითარებამ და ბაზრებზე გმო პროდუქციის გამოჩენამ სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაცა და ფასიც

მთელ მსოფლიოში იზრდება. საქართველოს ამ მხრივ სერიოზული პოტენციალი გააჩნია, მთავარია სწორი პოლიტიკის წარმოება.

გენმოდიფიცირებული კულტურები გენური ინჟინერიის გზით მიიღება. მცენარეებში ასეთ დროს უცხო გენის ჩანერგვა ე. წ. გენის თოფით ხდება. ანუ, მცენარეული უჯრედის ბაქტერიით ინფიცირებას აქვს ადგილი და ამ დროს უცხო გენი ამ უჯრედში გადადის. გენური ინჟინერიის მეთოდებით შესაძლებელია თევზის გენის პომიდორში ჩანერგვა, ან ღორის გენისა – კარტოფილში და ა.შ.

მეცნიერებმა ექსპერიმენტი მდედრ ვირთაგვებზე ჩაატარეს, მათ გენმოდიფიცირებული სიმინდითა და სოიით კვებავდნენ. მათი ნაშიერები დღენაკლული იბადებოდნენ და ძალიან მალე იღუპებოდნენ, ამასთან, მათი შვილები უკვე შთამომავლობას ვეღარ იძლეოდნენ. დასკვნების თანახმად, ეს საშიშროება ვრცელდება ადამიანებზეც, ანუ, თუ ფეხმძიმე ქალბატონი გენური ინჟინერიით გამოყვანილი საკვებით იკვებება, მის ნაყოფზე არაჯანსაღი კვება განსაკუთრებით მძიმედ აისახება.

იმპორტირებულ პროდუქტებს შორის, მათში გენმოდიფიცირებული მასალის შემცველობის თვალსაზრისით, "საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" მონაცემების მიხედვით, პირველ რიგში, აღსანიშნავია:

კარტოფილის ჩიფსები;
სიმინდის ჩიფსები და კრეკერები;
სიმინდის ბურღულლეული;
სოიას ფარშები;
კეტჩუპები და ტომატ-პასტები (პომიდორი, სახამებელი);
შოკოლადები, კანფეტები (ლეციტინი, სოია);
საღეჭი რეზინები (ლეციტინი, ასპარტამი);
წვენები და სასმელები (ასპარტამი);
ხორცის კონსერვები და პაშტეტები (ლეციტინი, სოია);
სუფები (კარტოფილი, სახამებელი, ლეციტინი);
რძის პროდუქტები (მოწიფული და მდნარი ყველი შეიცავს ლეციტინს);
სამარხო მარგარინი (მცენარეული ცხიმი, ლეციტინი);
ძეხვეული (ლეტიცინი, სოიას წარმოებულები).

გმო პროდუქტების ასეთმა გლობალურმა გავრცელებამ განაპირობა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების მნიშვნელობის გაზრდა.

ბიომეურნეობა სოფლის მეურნეობისა და საკვების წარმოების ისეთი სისტემაა, სადაც არ გამოიყენება ქიმიური სასუქები, ჰერბიციდები, პესტიციდები ან სხვა ნივთიერებები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე.

ბიომეურნეობაში კატეგორიულად აკრძალულია გენეტიკური ინჟინერიის ტექნოლოგიით მიღებული ორგანიზმების გამოყენება. ასეთ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია ბიო- (ეკოლოგიურ, ორგანულ) პროდუქტადაა აღიარებული და ამ სტატუსის შესანარჩუნებლად მისი შემდგომი გადამუშავების, შეფუთვისა და რეალიზაციის პროცესიც ასევე შესატყვისი სტანდარტებით იმართება.

ორგანული ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში დიდი მოწონებით სარგებლობს. სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ბაზარზე დასამკვიდრებლად საქართველოს უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

საკვები პროდუქტები წარწერით - "ორგანული", "ბიო" და "ეკოლოგიურად სუფთა" მსოფლიოში ფუფუნებად ითვლება. ისინი სპეციალურ მაღაზიებში, ან დიდ სუპერმარკეტებში, სპეციალურად გამოყოფილ კუთხეში იყიდება და მათი ფასი ჩვეულებრივ საკვებთან შედარებით გაცილებით მაღალია.

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ექსპორტს ახორციელებენ, საქართველოცაა, თუმცა საექსპორტო საქონლის რაოდენობა ჯერჯერობით ძალიან მცირეა.

პირველი გენმოდიფიცირებული პროდუქტი, რომელიც მსოფლიოში გაჩნდა, იყო 1994 წელს ამერიკულ ბაზარზე გამოტანილი პომიდორი „ფლავრ–სავრი", სწორედ ამიტომ საკვლევ ობიექტად ეს კულტურა ავიღეთ და შევეცადეთ დაგვედგინა განსხვავებები გმო და ბიო პროდუქტს შორის პომიდორზე დაყრდნობით.

სახელწოდება - პომიდორი წარმოიშვა იტალიურიდან pomo d'oro — ოქროს ვაშლი. ფრანგებმა მას tomate (ტომატი) უწოდეს. მაღალი გემური თვისებების გამო პომიდორი მოსახლეობის ერთ-ერთი საყვარელი ბოსტნეულია. მისი კვებითი ღირებულების მიხედვით პომიდორი დღესაც იმსახურებს „ოქროს" ან „სამოთხის ვაშლის" წოდებას ისევე, როგორც მას ძველად უწოდებდნენ. პომიდვრის მწიფე ნაყოფები მდიდარია შაქრებით, C ვიტამინით, შეიცავს ცილებს, სახამებელს, ორგანულ მაჟავებს, უჯრედანას, პექტინს, მინერალურ ნივთიერებებს (კალციუმს, ნატრიუმს, მაგნიუმს, რკინას, ქლორს, ფოსფორს, გოგირდს, სილიციუმს, იოდს და ა.შ.), კაროტინოიდებს - კაროტინს და ლიკოპინს (ისინი

განსაზღვრავენ ნაყოფის მოყვითალო-სტაფილოს ან წითელ ფერს), B ჯგუფის ვიტამინებს, ნიკოტინის და ფოლიუმის მჟავას, K ვიტამინს.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბერბუკისა და წეროვანის სასათბურე მეურნეობები, რომლებიც ძირითადად პომიდვრის კულტურას აწარმოებენ. ცნობილია, რომ პომიდორს გააჩნია კარგად განვითარებული ძლიერი ფესვთა სისტემა. ფესვები დატოტვილია, იზრდება და ვითარდება სწრაფად.

პომიდვრის ღერო სწორმდგომი ან გადაშილი, დატოტვილია, 30 სმ-დან 2 მ-მდე სიმაღლისაა. ნაყოფი - წვნიანი, მრავალბუდიანი სხვადასხვა ფორმის კენკრაა (მობრტყელო-მომგრვალო ფორმიდან - ცილინდრულ ფორმამდე; შესაძლოა ზომით იყოს წვრილი (მასა 50 გ-მდე), საშუალო (51-100 გ) ან მსხვილია (100 გ-ზე მეტი, ზოგჯერ 800 გ-მდე და მეტი). ნაყოფების შეფერილობა მერყეობს მკრთალი ვარდისფერი ფერიდან მკვეთრ წითლამდე და ჟოლოსფერამდე, შეიძლება იყოს თეთრი, ღია მწვანე, ღია ყვითელი და ოქროსფერ-ყვითელი ფერის.

პომიდვრის ჯიშები ხასიათდებიან სხვადასხვა კრიტერიუმებით: ბუჩქის ზრდის ტიპით - დეტერმინირებული და ინდეტერმინირებული; მომწიფების დროით - საადრეო, საშუალოდ მომწიფებადი, საგვიანო. გამოყენების მიხედვით - სასუფრე, საკონსერვო, წვენის წარმოებისათვის და სხვ.

პომიდორი სითბოს მოყვარული კულტურაა, მცენარის ზრდისა და განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 22-25 °C. 10 °C-ზე უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში ყვავილებში მტვერი არ მწიფდება და გაუნაყოფიერებული ნასკვი ცვივა. პომიდორი ცუდად იტანს ჰაერის ზედმეტ ტენიანობას, თუმცა ნაყოფის ზრდისათვის მას წყლის ჭარბი რაოდენობა სჭირდება.

პომიდორი მოიხმარს უფრო მეტ კალიუმს, ვიდრე აზოტსა და ფოსფორს. პომიდორს აგრეთვე სჭირდება მაკრო-მაგნიუმი, გოგირდი და მიკროელემენტები - მანგანუმი, ბორი, სპილენძი.

მინერალურ სასუქებს შორის აზოტოვანი სასუქები ყველაზე საშიშია გადაჭარბებული დოზირებით გამოყენებისას: ზედმეტი აზოტი გროვდება ბოსტნეულში ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო ნიტრატებისა და ნიტრიტების სახით. მცენარეში ნიტრატების დაგროვებას არა მარტო ჭარბი აზოტი იწვევს, არამედ მოლიბდენის და რკინის ნაკლებობაც ხელს უწყობს ნიტრატული აზოტის (NO_3) აღდგენას ამიაკურ აზოტამდე (NH_4).

კვლევის პირველი ობიექტი ბერბუკის სასათბურე მეურნეობაა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ეს სათბური 2012 წელს დაარსდა და პირველი მოსავალი 2013 წლის იანვარში მიიღეს. საწარმოს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი ფლობს, ამ ეტაპზე გორის სასათბურე მეურნეობაში ინვესტიციას სწორედ აღნიშნული ფონდი ახორციელებს.

ეს სასათბურე მეურნეობა ტექნოლოგიურად ერთ-ერთი თანამედროვეა საქართველოშია. შექმნილია ესპანელი სპეციალისტების მიერ მათ მიერ შემოტანილი ტექნიკით. ასეთი ტიპის სასათბურე მეურნეობა ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომლის დაარსებას დაახლოებით 7 მლნ დასჭირდა.

საწარმო 3.5 ჰა გაშენებული, 70000 ძირი ჩითილი ეტევა, რომელიც დღეში საშუალოდ 10 ტონა მოსავალს იძლევა და რომლის რეალიზაცია გორის, თბილისისა და ქუთაისის ბაზარზე ხდება.

აქ ძირითადად იწარმოება ისეთი პომიდვრის ჯიშები, როგორიცაა : ამერიკული ბიგ-ბეფი, ქართული ვარდისფერი და ჩერი. პომიდვრის ეს ჯიში შეიცავს ყველაზე მეტ პიგმენტ ლიკოპინს, რომელიც ორგანიზმს ძუძუს, საშვილოსნოს, პროსტატის კიბოსგან იცავს და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკასაც ეწევა.

ჩითილი ირგვება სპეციალურ გროუბეგში, სადაც მიწის ნაცვლად მოთავსებულია ქოქოსის ფხვნილი, რომელსაც ნიადაგის შემცველი ნივთიერებები ხელოვნურად მიეწოდება და ყოველდღიურად ხორციელდება მისი კონტროლი. მთელი საწარმო კლიმატ-კონტროლზეა აყვანილი და დასაშვები ტემპერატურა 20^0C-დან 30^0C-მდე მერყეობს. რაც შეეხება ირიგაციას, ხორციელდება დღეში 5-6 ჯერ წვეთოვანი სისტემით.

მოკრეფილ თითოეულ ტონა პომიდორზე დაახლოებით 5,3–6,5 კგ აზოტია საჭირო. აზოტის დოზირება დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე, მცენარის ენერგიასა და ნებისმიერი ორგანული ნივთიერებებით გამოკვებაზე. მოსავლის აღების გახანგრძლივებული პერიოდისა და მოსავლიანობის მაღალი პოტენციალის (100 ტ/ჰა-ზე მეტი) მქონე კულტურებისათვის რეკომენდებულია რკინის მუდმივი შეტანა.

საყურადღებოა, რომ სწორი აგროტექნიკით მოყვანილი და სრულად მომწიფებული პომიდორი საშუალოდ შეიცავს:

წყალს – 93,8%; მშრალ ნივთიერებას – 6,2% (მათ შორის); შაქრებს– 3%; ვაშლის მჟავას – 0,5%; უჯრედანას – 0,8%; ცილას – 1%; მინერალულ ნივთიერებებს – 0,6%;

ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები (მგ - ნედლი მასის 100 გ-ზე):

ვიტამინი C – 25 მგ; ვიტამინი B_1 – 12 მგ; ვიტამინი B_3 – 7 მგ; კაროტინი – 2 მგ; კალიუმი – 316 მგ; მაგნიუმი – 51 მგ; ნატრიუმი – 125 მგ; კალციუმი – 43 მგ; რკინა – 0,6 მგ; ფოსფორი – 20 მგ.

ისრაელიდან სპეციალურად ჩამოყავთ ფუტკარი დამტვერვისათვის, რომელიც 40 დღე ცოცხლობს და თითოეულის ღირებულება 2$-ს შეადგენს.

ჩვენი კვლევის მეორე ობიექტი წეროვანის სასათბურე მეურნეობაა, სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროში პირველი ინვესტიცია წეროვანში განხორციელდა, რომელიც 0.85 ჰექტარზეა გაშენებული. წეროვანის სათბურში პომიდორი ისრაელში დანერგილი ტექნოლოგიებით მოჰყავთ.

მთავარ ინჟინერთან ბატონ გელა ქურთაძესთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ ამ საწარმოში დასაქმებულია 30 მუშახელი და თითოეულის დღიურ ხელფასს 12 ლარი შეადგენს. აქაც, ბერბუკის სასათბურე მეურნეობის მსგავსად, ხდება პროდუქტის წარმოება გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ეკუთვნის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს.

წარმოების პირობებში ძირითად ამოცანას მოგების მიღება წარმოადგენს. იმისათვის, რომ ადგილობრივი პროდუქცია რენტაბელური და კონკურენტუნარიანი გახდეს საჭიროა მინერალური კვების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა გაგვერკვია იყო თუ არა ჩვენი კვლევის ობიექტი ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისთვის უვნებელი?

ამ კითხვაზე ყველა თამამად აღნიშნავდა, რომ მათი პროდუქტი არ შეიცავდა ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს და ოჯახშიც ინტენსიურად იყენებდნენ.

როგორც მდიდარი ბიომრავალფეროვნების ქვეყანა, საქართველო განსაკუთრებული რისკის ქვეშაა, როდესაც საქმე ეხება თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქციას. 2003 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს UNEP/GEF-ის პროექტი "ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება", რომლის მიზანია საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის პროექტის შექმნა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადად ვიმსჯელოთ საქართველოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული პროდუქციის მიმოქცევასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესახებ.

დღეისათვის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით მაღალი ზრდა შეინიშნება გერმანულენოვან ქვეყნებსა და სკანდინავიაში. აქ ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის წლიური ზრდა 5-დან 10%-მდეა. ეკოლოგიური მიწათმოქმედებით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროცენტული წილის მიხედვით პირველ ადგილზეა ლიხტენშტეინი, შემდეგ ავსტრია და შვეიცარია. ფერმერული მეურნეობის რაოდენობის მიხედვით კი პირველ ადგილზეა მექსიკა, შემდეგ იტალია და ინდონეზია.

საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

ბუნებრივი (ნატურალური - Natural) ნიშნავს ბუნების კანონების, ანუ ბუნებისაგან ნასესხები პრინციპების შესაბამისს. ბუნებრივი კანონები - ეს არ არის მორალური კანონები იმის შესახებ, თუ რა ვაკეთოთ ან არ ვაკეთოთ. ეს არის კანონები, რომლებიც მოქმედებენ ბუნებაში და ეფუძნებიან მიზეზშედეგობრივ ურთიერთკავშირებს. ბუნებრივი კანონების დარღვევა შეუძლებელია. ისინი ზედმიწევნით, ზუსტად აღწერენ და განმარტავენ სამყაროში მიმდინარე ყველა მოვლენას. ბუნებასთან დაპირისპირება, მის წინააღმდეგ ბრძოლა საბოლოო ჯამში საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლაა, ვინაიდან ბუნების კანონები განუხრელად მოქმედებენ და ჩარევა დაუსჯელი არ რჩება (ზ. კარბელაშვილი, 2009).

ლიტერატურა:

1. კარბელაშვილი ზ., ბიომეურნეობის საფუძვლები, გამომცემლობა „ელკანა", 2009.
2. იოსებიძე ნ., ყველაფერი საოჯახო მეურნეობის შესახებ, თბ., 2011.
3. ჩოთალაშვილი ლ., ლათინურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი, 2012.
4. https://sites.google.com
5. www. Laterna.ge

მინერალური ელემენტები და ადამიანის ჯანმრთელობა

მარინა ბესტავაშვილი, ელენა ბესტავაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** სრული პროფესორი

მინერალური ნივთიერებები ცილებთან, ცხიმებთან, ნახშირწყლებთან და ვიტამინებთან ერთად წარმოადგენენ ადამიანის ორგანიზმის ცხოველქმედების პროცესების ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველყოფისათვის ფრიად საჭირო ელემენტებს. ისინი აუცილებელია ორგანიზმის შიდა გარემოს მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის, წყლის, მარილების მიმოცვლისა და სხვა პროცესების მუდმივობის შესანარჩუნებლად. მინერალური ნივთიერებები სხეულის მასის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ძვლებში ისინი კრისტალების სახით მოიპოვება, რბილ ქსოვილებში კი - კოლოიდური ხსნარის სახით, სადაც ისინი ძირითადად ცილებთან არიან დაკავშირებული. დღეისათვის 110 ქიმიური ელემენტია აღმოჩენილი, აქედან 80 შედის ადამიანის ორგანიზმის შედგენილობაში.

განვიხილოთ ზოგიერთი მინერალური ელემენტის მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებისათვის.

ფოსფორი. ფოსფორი ფოსფორმჟავას მარილების სახით, ფართოდაა წარმოდგენილი როგორც თავისუფალი, ისე ბმული სახით. ფოსფორის მჟავას უნიკალური თვისება მჟღავნდება მის უნარში წარმოქმნას ენერგიით მდიდარი მაკროერგული ბმა, რომელიც, როგორც ენერგიის წყარო, გამოიყენება ბიოსინთეზურ რეაქციებში და სხვადასხვა სახის ფუნქციის გამოვლენაში (კუნთის შეკუმშვა, ნივთიერებათა აქტიური ტრანსპორტი, ბიოსინთეზური პროცესები, მემბრანების აქტივობა და სხვ.). ფოსფორილირების შედეგად მატულობს ნივთიერებათა რეაქციაში ჩართვის უნარი, ცილებში აღინიშნება კონფორმაციული და ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები. ფოსფორი გვხვდება ცილებში, ლიპიდებში, ნახშირწყლებში, ნუკლეინის მჟავებში, კოფაქტორის როლს ასრულებს ვიტამინების და ენზიმების ბიოსინთეზში. ფოსფორს განსაკუთრებული როლი ენიჭება უჯრედისა და შარდის ბუფერის ფორმირებაში. დადგენილია, რომ მისი რაოდენობა კორელირებს კალციუმის რაოდენობასთან.

კალციუმი. კალციუმის იონები მონაწილეობენ ძვლისა და კბილის ქსოვილების ფორმირებაში, სადაც მისი რაოდენობა ორგანიზმში კალციუმის საერთო რაოდენობის 90%-ს აღწევს. აქ ის პასიურ ფუნქციას ასრულებს. კალციუმი, ვიტამინ D-სთან ერთად, ანტირაქიტული ფაქტორია და უზრუნველყოფს გაძვალების პროცესს. ეს ელემენტი აქტიურად მონაწილეობს ნეიროგადამცემების განთავისუფლებასა და კუნთის შეკუმშვის მექანიზმში.

ჰიპერკალციემიისას ხშირად პათოლოგიური მდგომარეობაც აღინიშნება. კერძოდ, ღებინება, ასტენია, დეპრესიული მდგომარეობა და გულის რითმის დარღვევა. ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი კვდება თირკმლის უკმარისობის შედეგად ნეფროკალცინოზის ან გულის გაჩერების გამო.

ჰიპოკალციემიისას განსაკუთრებით ძლიერდება ტეტანური კრუნჩხვები. პათოლოგიის მიზეზია პარაფარისებრი და ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობა. იონიზირებული კალციუმის შეწოვისა და რეაბსორბციის შეკავება, D ვიტამინის უკმარისობა და სხვ. მშობიარობის შემდეგ ჰიპოკალციემიისას ქალებში საგრძნობლად იზრდება დეპრესიული მდგომარეობა, რაც დაახლოებით ორჯერ მცირდება ორსულობის პერიოდში კალციუმის პრეპარატებით თერაპიის ან კალციუმით მდიდარი პროდუქტებით კვების შედეგად (ხაჭო, ნადუღი, რძე და სხვ.).

მაგნიუმი. მაგნიუმი დაახლოებით 300-მდე ბიოქიმიური რეაქცია მონაწილეობს. ფართოდაა გავრცელებული მცენარეულ და ცხოველურ ქსოვილებში. არის მთელი რიგი ენზიმების კოფაქტორი. ორგანიზმში მაგნიუმის იონების დიდი რაოდენობით შეყვანისას ვითარდება დეპრესია, ძილი (მაგნეზიური ნარკოზი). მაგნიუმის დეფიციტისას აღინიშნება რეფლექსების მოშლა, კუნთის ფასციკულაცია, კუნთების სპაზმი, ანორექსია და ღებინება. სისხლში Mg-ის 2 მგექვ/ლ რაოდენობისას შეინიშნება გულის არითმია, აგზნებადობის მატება, ძლიერდება ტონუსი და ტეტანური კრუნჩხვები. ორგანულ ნაერთებთან კომპლექსის სახით, მაგნიუმის ოქსიდებთან შედარებით, საკვებიდან მისი აბსორბცია 2,2-ჯერ უფრო ინტენსიურად წარმოებს. საკვებიდან მაგნიუმის სრული გამორიცხვისას ძლიერდება კრუნჩხვები, ირღვევა გულის მოქმედება, რაც ხშირად სიკვდილით სრულდება.

მანგანუმი. მანგანუმი ჭარბი რაოდენობითაა ახალგაზრდა ქსოვილებში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა, ის რიგი ენზიმის კოფაქტორია. მანგანუმი ააქტიურებს

დეზოქსირიბონუკლინაზას, ზოგიერთ პეპტიდაზას, ჰექსოკინაზას, ფოსფორგლუკომუტაზას და სხვა ენზიმების მოქმედებას, მისი გავლენით ძლიერდება ზრდის პროცესი, სისხლის წარმოქმნა, ააქტიურებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციას. მანგანუმის დეფიციტისას ფერხდება ზრდა, აღინიშნება დარღვევები ძვლისა და კბილების ფორმირებაში, ვითარდება ოსტეოპოროზი, რეპროდუქციის პროცესში შეინიშნება სათესლე ჯირკვლების შეუქცევადი დეგენერაცია, კავდება მენსტრუალური ციკლი, ახალშობილებში ვითარდება ატაქსია, პარალელურად ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ლიპიდებისა და ნახშირწყლების მეტაბოლიზმი.

ნატრიუმი და კალიუმი. ნატრიუმისა და კალიუმის იონები დიდი რაოდენობითაა როგორც მცენარეულ, ისე ცხოველურ ქსოვილებში. ჰიპონატრიუმისას ადამიანი ადვილად იღლება, აღენიშნება ნეფრიტი, ტუბულარული ნეფროზი, ეცემა სისხლის წნევა, ირღვევა წნევის სარეგულაციო მექანიზმი. Na^+-ის იონების სიჭარბისას, პირიქით, ძლიერდება წყლის შეკავება და შეიმჩნევა შეშუპებები, ირღვევა ნერვკუნთოვანი ქსოვილის აგზნებადობა, ასეთ პირობებში ის ნაწილობრივ გამოიყოფა ოფლთან ერთად.

ნატრიუმი შედარებით დიდი რაოდენობითაა ცხოველებში, კალიუმის იონების რაოდენობა კი პირიქით, მცენარეებში, ისინი უჯრედში ასიმტრიულად არიან განაწილებული და განსაზღვრავენ უჯრედის მოსვენებითი პოტენციალის ფორმირებას. როგორც წესი, კალიუმის იონების რაოდენობა დაახლოებით 10-ჯერ მეტია უჯრედის შიგნით. ნატრიუმის იონების კი უჯრედგარე სივრცეში 30-ჯერ აღემატება მის უჯრედშიდა შემცველობას.

რაც შეეხება კალიუმის იონებს, მისი დაბალი კონცენტრაციისას უჯრედის აგზნებადობის ზღრუბლი მცირდება, აღინიშნება გულის კუნთის მოდუნება („კალიუმის ბლოკი“). კალიუმი პრაქტიკულად არ მონაწილეობს სისხლისა და ოსმოსური წნევის სარეგულაციო მექანიზმებში. ორგანიზმიდან კალიუმის დადებითი იონის გამოყოფა უპირატესად თირკმელებით ხდება, ნაწილი კი გამოიყოფა ოფლთან ერთად.

ჰიპერკალიემიისას ვითარდება მეტაბოლური აციდოზი, აღინიშნება ღებინება, ბრადიკარდია, გულის რითმის დარღვევა. ჰიპოკალიემიის დროს შეინიშნება ტაქიკარდია, კუნთის ჰიპოტონია, კანის სიმშრალე და მგრძნობიარობის გაზრდა.

გოგირდი. ცოცხალ ორგანიზმებში გოგირდი წარმოდგენილია გოგირდმჟავას ნაშთის, სულფჰიდრილისა და დისულფიდური ჯგუფების სახით. გოგირდის შემცველია ზოგიერთი ცილა, ენზიმები, პეპტიდები, ამინომჟავები, ვიტამინები და კოენზიმები. ეს ელემენტი მონაწილეობს ცისტეინის, გლუტათიონის, კოენზიმ A-ს მეთიონის, ვიტამინ თიამინისა და ბიოტინის შენებაში. გოგირდმჟავას ნაშთები ანიონის სახით, გვხვდება გლიკოზამინოგლიკამებსა და ტაურინში. სულფჰიდრილის ჯგუფები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ცოცხალი სისტემის ფუნქციის გამოვლენაში. ცისტინის სახით გოგირდი განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა საყრდენ ქსოვილებში, თმებში, ბეწვსა და რქებში.

რკინა. წარმოადგენს შეუცვლელ ელემენტს და შედის ჰემოგლობინის, ნიოგლობინის, ციტოქრომების შედგენილობაში, მონაწილეობს სხვადასხვა ჟანგვა-აღდგენით რეაქციაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლწარმოქმნის პროცესებში. ორგანიზმში რკინა ხვდება საკვებთან ერთად. ორგანიზმის მოთხოვნილება რკინაზე იზრდება ზრდის პროცესში, ფეხმძიმობისას, სისხლის დაკარგვისას. რკინის დეფიციტი შეიძლება გაჩნდეს საკვებთან ერთად მისი არასაკმარისად მიღებისას, სისხლის დაკარგვისას, მათ შორის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებასთან დაკავშირებული სისხლდენის დროს და სხვ. ორგანიზმში რკინის ნაკლებობა იწვევს ანემიის განვითარებას, რასაც მოჰყვება ფიზიკური განვითარების დარღვევა, საერთო სისუსტე, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ანემიური ჰიპოქსიის მოვლენები (ქოშინი, ტაქიკარდია), სტომატიტი და სხვა პათოლოგიური მოვლენები. რკინადეფიციტური ანემიების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის იყენებენ ორ- და სამფუძიან რკინის სამკურნალო პრეპარატებს. ადამიანის ორგანიზმში რკინის აბსორბცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმითაა ის საკვებში. რკინის აბსორბცია ორგანულ ნაერთებთან კომპლექსის სახით, თავისუფალ რკინის სულფატთან შედარებით უფრო ინტენსიურად ხდება.

ბორი. ბორი გავლენას ახდენს მიკროელემენტებისა და სტეროიდული ჰორმონების მეტაბოლიზმზე. მის გარეშე ირღვევა ძვლის ქიმიური შედგენილობა, სუსტდება წელვადობა და ძვალი მყიფე ხდება.

თუთია. თუთია აუცილებელია დნმ და რნმ-პოლიმერაზების ფუნქციონირებისათვის, რომლებიც მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემას, ცილების ბიოსინთეზს და ორგანიზმის რეპარაციულ პროცესებს აკონტროლებენ. ის დიდ როლს ასრულებს ორგანიზმის ჰორმონულ ფუნქციათა რეალიზებაში, უშუალო გავლენას ახდენს ინსულინის პროდუქციასა და ფუნქციონირებაზე და შესაბამისად ინსულინდამოკიდებული პროცესების მთელ სპექტრზე.

მამაკაცებში თუთია მონაწილეობს ტესტოსტერონის (მამრობითი სასქესო ჰორმონის) სინთეზში და სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირებაში. სწორედ ამიტომ, ორგანიზმში თუთიის დონესა და პოტენციას შორის მნიშნველოვანი კავშირი არსებობს. თუთია ბოჭავს 5-ალფა-რედუქტაზას, რითაც არეგულირებს ტესტოსტერონის მეტაბილიტის დიჰიდროტესტოსტერონის დონეს (შეგახსენებთ: ამ უკანასკნელის სიჭარბე პროსტატის - წინამდებარე ჯირკვლის - ჰიპერპლაზიას განაპირობებს). თუთია აუცილებელია არა მხოლოდ მამაკაცის, არამედ ქალის ორგანიზმისთვისაც. მას შეიცავს ესტროგენებისათვის (მდედრობითი სასქესო ჰორმონებისთვის) განკუთვნილი რეცეპტორები, რის გამოც თუთია ფაქტობრივად ესტროგენდამოკიდებული პროცესების რეგულატორად გვევლინება.

თუთიას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თიმუსის (მკერდუკანა ჯირკვალი) ფუნქციონირებისა და ორგანიზმის იმუნური სისტემის ნორმალური მდგომარეობისთვის. აღნიშნული მიკროელემენტი A და C ვიტამინებთან ერთად ასტიმულირებს ანტისხეულების სინთეზს და ავლენს ანტივირუსულ მოქმედებას, რითაც აფერხებს იმუნოდეფიციტის აღმოცენებას. თუთიას აქვს ჭრილობებისა და წყლულების შემახორცებელი მოქმედება, მონაწილეობს ყნოსვითი და გემოვნებითი აღქმის პროცესებში, აუცილებელია ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებისათვის, მათ შორის - მეხსიერების პროცესისთვის. თუთიას დიდი ოდენობით შეიცავს ხორბლის ქატო და ღივი, მზესუმზირისა და გოგრის თესლი (130-დან 2020 მგ/კგ-მდე). საქონლის ღვიძლი, თევზის ზოგიერთი სახეობა (30-დან 85 მგ/კგ-მდე), ლობიო, ბარდა, მწვანე ჩაი, კურდღლისა და წიწილის ხორცი, ნიგოზი, კვერცხის გული, კაკაო (20-დან 50 მგ/კგ-მდე).

მოლიბდენი. მოლიბდენი სასიცოცხლო მნიშვნელობის მიკროელემენტია. ის თავმოყრილია უჯრედის ბირთვში, რიბოსომებში, მიტოქონდრიებში, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ღვიძლში, თირკმელებში, კანსა და აორტაში, ტვინის რუხ ნივთიერებაში, მხედველობის, სმენის, გემოვნებისა და ყნოსვის ზონებში, ყველა ორგანოსა და ქსოვილში, შედის ფერმენტთა შემადგენლობაში. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფერმენტის აქტივატორი. მცირე დოზებით (დაახლოებით 5 მგკ) დადებით გავლენას ახდენს ჰემოგლობინის წარმოქმნაზე და ზრდის ლეიკოციტების ფაგოციტურ აქტივობას, აძლიერებს ორგანიზმის დეზინტოქსიკაციურ თვისებებს. მეცნიერული გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ლეიკოზის დროს ერითროციტებში და, საზოგადოდ, სისხლში მოლიბდენის შემცველობა მატულობს. იგივე ხდება ჰიპერტონიის დროსაც, როდესაც მისი კონცენტრაცია სისხლში იზრდება და იმავდროულად ძლიერდება მისი გამოყოფა შარდით, თუმცა, ჩვეულებრივ, მოლიბდენი ორგანიზმიდან უფრო მცირე რაოდენობით გამოიყოფა, ვიდრე აღწევს მასში, ამიტომაც მისი მარაგი ყოველთვის საკმარისია.

მოლიბდენი სპილენძის ანტაგონისტია. ეს ორი ელემენტი ერთმანეთის აქტიურობას აქვეითებს. მოლიბდენის მიერ ბიოლოგიურად აქტიური შენაერთებიდან სპილენძის გამოძევებისას ქსოვილებში ჟანგვითი პროცესები ნელდება. ორგანიზმის ცხოველმყოფელობის პროცესებში მოლიბდენის როლი სრულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ბოლომდე არ არის გამოკვლეული ამ მიკროელემენტის კავშირი ფერმენტებთან, ჰორმონებთან, ვიტამინებთან, თუმცა დადგენილია, რომ გარემოში მოლიბდენის კონცენტრაციის მომატება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა შემთხვევებს ზრდის. აღსანიშნავია, რომ მოლიბდენს შესწევს უნარი ორგანიზმში ფტორის შეკავებისა, რაც უზრუნველყოფს კბილის მინანქრის განმტკიცებას და იცავს კბილს კარიესისა და სხვა სახის დაზიანებისაგან.

ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმისათვის მინერალური ელემენტების ძირითადი მიმწოდებელია მცენარე. მათ დაგროვებას მცენარეში შერჩევითი ხასიათი აქვს. ცნობილია, მრავალი მცენარე, რომლებიც საკმაო რაოდენობით აგროვებენ ამა თუ იმ მინერალურ ელემენტს. მაგალითად: K-ს - ორკბილა, სტაფილო, ყურძენი, გარგარი, ნუში; Ca-ს - აბზინდა, კაკალი; Mg-ს - კაკალი, ვირისტერფა; P-ს - ცაცხვი, პამიდორი, ხახვი; Fe-ს - ალუბალი, ვაშლი, ბეგქონდარა, თავშავა; Mo-ს - ბეგქონდარა, თავშავა, კუნელი; Cu-ს - სიმინდი, ცირცელი. ამასთან, ზოგიერთი მცენარე აგროვებს არა ერთ, არამედ რამდენიმე ელემენტს, მაგალითად: Co, Mn, Zn-ს - წიწაკა, ლემა, ლენცოფა, ყვითელი ყაყაჩურა, ქინაქინის ხე, ქრისტესისხლა, კოწახური, ხაშხაში, ყავის ხე, ჩაის ბუჩქი; K, Ca, Fe, Cu, Zn, Mg-ს კი - გოგრა.

მაშასადამე, უდიდესია მინერალური ელემენტების როლი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური თუ ბიოქიმიური პროცესებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ელემენტთა ბალანსის დარღვევას თან ახლავს შესაბამისი პათოლოგიები, მცენარეში მინერალური ელემენტების დაგროვების ცოდნა კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანის ორგანიზმში თითოეული ელემენტის დისბალანსის კორექტირებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

ლიტერატურა:

1. ალექსიძე ნ., ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია მედიკოსებისათვის, თბ., 2008.
2. ერისთავი ლ., ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები), თბ., 2008.

3. გოგინაშვილი ნ., ბიოელემენტების შემცველობა ბოსტნეულ მცენარეებში, მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ახალი მიმართულებები განათლებასა და კვლევაში“, გორის უნივერსიტეტი, საქართველო, 2-3 ოქტომბერი, 2009.
4. გოგინაშვილი ქ., ჩანქსელიანი ზ., მინერალური ელემენტების შემცველობა რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის სამკურნალო მცენარეებში შიდა ქართლის ბიოცენოზებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №19, 2007.
5. Гогинашвили Н., Тяжолые металли в зерне кукурузы при разных условиях минерального питания, საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 6, №1, 2006.

ადამიანის მსგავსება ადამიანის მსგავს მაიმუნებთან

ანა ედიშერაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** სრული პროფესორი

ადამიანი (homo sapiens) სამყაროსეული არსებაა და დედამიწაზე არსებულ ცოცხალ ორგანიზმთა შორის ყველაზე სრულყოფილ ქმნილებად ითვლება. ინტელექტის განვითარების შედეგად ადამიანი დაუპირისპირდა სამყაროს და მასზე მაღლა დადგა. ადამიანი ცოცხალ ორგანიზმთა შორის ერთადერთია, რომელიც ცდილობს შეიცნოს საკუთარი თავი და გაარკვიოს საკითხი - რა ადგილი უკავია მას სამყაროში. ჰუმბოლდტის აზრით „ადამიანისათვის ადამიანზე მეტად საინტერესო ქვეყნად არაფერია“. კ. ლინემ ცხოველთა სახეობის კლასიფიკაციაში ადამიანი მოათავსა პრიმატთა რიცხვში. ამავე რიგშია გაერთიანებული ადამიანისმაგვარი მაიმუნები და ნახევრად მაიმუნები.

მეცნიერთა ხანგრძლივმა შედარებით-ანატომიურმა, ანთროპოლოგიურმა, ემბრიოლოგიურმა, პალეონტოლოგიურმა და მოლეკულურ-გენეტიკურმა კვლევამ, რომელშიც ჩაერთო კომპიუტერული ტომოგრაფები, დაასაბუთა ადამიანის გენიალოგიური კავშირი ცხოველთა სამყაროსთან და განსაზღვრა მისი სისტემატიკური მდგომარეობა ორგანული სამყაროს ევოლუციურ იერარქიაში. ადამიანი ბიოლოგიურად მიეკუთვნება ქორდიანების ტიპს (Chordata), ხერხემლიანების ქვეტიპს (Vertebrata), ძუძუმწოვრების კლასს (Mammalia), პრიმატების რიგს (Primatae), ჰომინიდების ოჯახს (Hominidae), ჰომოს გვარს (Homo) და სახეობას - გონიერი ადამიანი (Homosapiens) (ლათ. Homo - ადამიანი, sapiens - გონიერი, გონებამახვილი, გამგები).

პრიმატებში (ლათ. Primates - პირველი) აერთიანებენ ლემურებს, ტუპაის, ლორს, გრძელტერფას, ახალი სამყაროს მაიმუნებს, ძველი სამყაროს მაიმუნებს, ადამიანის მსგავს მაიმუნებს და ადამიანის - სულ 50-მდე გვარს. საერთოდ, პრიმატებს ყოფენ ნახევრად მაიმუნებად (ლემურები, ლორი, გრძელტერფა), უმდაბლეს მაიმუნებად, ადამიანის მსგავს მაიმუნებად და ადამიანად.

ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ადამიანები უნდა ამოეღოთ Hominoidea-ს (ადამიანისმაგვარი მაიმუნები და ადამიანი) ზეოჯახიდან, მაგრამ შედარებითი ანატომიის მონაცემები ამტკიცებენ, რომ ადამიანს უფრო მეტი საერთო ნიშანი აქვს ადამიანისმაგვარ მაიმუნებთან, ვიდრე უმდაბლეს და ნახევრად მაიმუნებთან. გამოთვლილია, რომ ადამიანს აქვს საერთო ნიშნები: ადამიანისმაგვარ მაიმუნებთან - 623, უმდაბლეს მაიმუნებთან - 60 და ნახევრად მაიმუნებთან - 17.

როგორც ჩანს, ადამიანს განსაკუთრებული სიახლოვე ახასიათებს ადამიანის მსგავს მაიმუნებთან. ჰალენი მათ „ადამიანის სასიცოცხლო ასლებს“ უწოდებს. მალაურ ენაზე „ორანგუტანი“ ტყის კაცს ნიშნავს. ისინი საერთოდ ანთროპომორფულ მაიმუნებს „ტყის კაცებს“ უწოდებენ. არისტოტელე მათ ადამიანის ნათესავებად თვლიდა.

განსაკუთრებული მსგავსება ადამიანსა და ადამიანის მსგავს მაიმუნთა შორის შეიმჩნევა სხეულის საერთო აგებულების მიხედვით. თითქმის მსგავსია მათი სხეულის ზომა და საერთო კონსტრუქცია. ანთროპოიდებს (ადამიანის მსგავსი მაიმუნები), ადამიანის მსგავსად, არ აქვთ კუდი, ბრჭყალების ნაცვლად თითებზე განვითარებული აქვთ ფრჩხილები. ემთხვევა ადამიანებისა და ანთროპომორფული

მაიმუნების კბილების რაოდენობა და ფორმულა. ადამიანის მსგავსად, მათ კარგად აქვთ განვითარებული სახის მიმიკური კუნთები. დიდი მსგავსებაა მათ შორის საჭმლის მომნელებელი, სისხლის მიმოქცევის, სასქესო და სხვა ორგანოების აგებულების მიხედვით. მსგავსია მათი სასქესო უჯრედებიც.

ადამიანისა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის დიდი მსგავსებაა თავის ტვინის აგებულების მიხედვითაც. ორივე მათგანში დიდი ნახევარსფეროების კეფის წილები ფარავს ნათხემს. ასევე დიდი მსგავსებაა უმაღლეს ნერვულ მოქმედებათა მიხედვითაც. მსოფლიოს სხვადასხვა ლაბორატორიაში ჩატარებული ცდებით დადგენილია, რომ ადამიანის მსგავს მაიმუნებს აქვთ მარტივი გონივრული მოქმედების უნარი და შეუძლიათ გადაწყვიტონ ასევე მარტივი ამოცანებიც კი. ისინი იყენებენ მათ ირგვლივ არსებულ საგნებსა და იარაღებს მიზნის მისაღწევად, ერთმანეთზე აწყობენ ყუთებს სიმაღლეზე ნაყოფების მისაწვდომად, წყლით აქრობენ ცეცხლს, ნიგვზის ნაჭუჭის გასატეხად იყენებენ ბრტყელ ქვას და სხვ.

მაიმუნები ხასიათდებიან საინტერესო საზოგადოებრივი ქცევებით. გიბონების ოჯახები დღეში ორჯერ მღერიან გუნდურად. სიმღერა საკმაოდ მელოდიური და რთულია. სიმღერით ისინი თავის მეზობლებს ამცნობენ მათი არსებობის შესახებ.

შიმპანზე საოცრად ცნობისმოყვარე ცხოველია. ყოველ ახალს ისინი ინტერესით ეცნობიან. შეხვედრისას ესალმებიან ერთმანეთს, ეხვევიან და გამოსცემენ სასიამოვნო ბგერებს. შიმპანზეს კარგად აქვს განვითარებული დაკვირვებისა და წაბაძვის უნარი. მსგავსი ჩვევები ხშირად იღებს ჯგუფური ქცევების ხასიათს. მათ თავდაცვის, თავდასხმისა და ურთიერთდახმარების დროს საკმაოდ კარგად აქვთ განვითარებული კოოპერაციული მოქმედების უნარი.

გორილები მრავალცოლიანობას მისდევენ, ცხოვრობენ ოჯახებად. მამრი ვალდებულია მოიპოვოს საცხოვრებელი ტერიტორია, მხოლოდ ამის შემდეგ თანხმდება მდედრი ცოლობაზე. ადამიანის მსგავსი მაიმუნები გამოხატავენ მხიარულებასა და მწუხარებას, ბრაზდებიან, იცინიან და ტირიან. მდედრი კვებავს და იცავს შვილს, ზრუნავს მასზე, აცლის ტილებს და სხვა მავნებლებს, დაბადებიდან მეხუთე თვეზე ასწავლის სიარულს. მათ აქვთ კარგი გემოვნება. სიამოვნებით მიირთმევენ ჩაის, ყავას, ლუდს. თვრებიან და მეორე დღეს აწუხებთ თავის ტკივილი. მათ აქვთ ადამიანის მსგავსი სიბერე. მსგავსად ჭაღარავდებიან, ახასიათებთ კბილების დაძველება, დაცვენა და სხვ. უმაღლეს მაიმუნებს აქვთ სისხლის იგივე ჯგუფები, რაც ადამიანს. 1831 წელს თრაუზემ შიმპანზეს II ჯგუფის სისხლი გადაუსხა ადამიანს და მიიღო დადებითი შედეგი. შებრუნებული პროცესი განხორციელდა 1900 წელს ფრიდენტალის მიერ. მაიმუნებსა და ადამიანებს შორის გადანერგილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებიც. ადამიანებს და ანთროპოდიებს ახასიათებთ მთელი რიგი საერთო დაავადებები და პარაზიტები. ადამიანიცა და ადამიანის მსგავსი მაიმუნებიც ავადდებიან მუცლის ტიფით, ტუბერკულოზით, ამებური დიზენტერიით, ქოლერით და სხვ.

დიდია ადამიანსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის გენეტიკური მსგავსებაც. იტალიელმა კიარსელმა დაადგინა, რომ მაიმუნებს 24 წყვილი ქრომოსომა აქვთ. ადამიანისა და მაიმუნის დნმ-ის მსგავსება 95%-ზე მეტს შეადგენს.

XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკელებმა ვინსენტ სარიჩმა და ალან უილსონმა გამოიკვლიეს ადამიანის არა მხოლოდ დნმ, არამედ სისხლის ცილები (ჰემოგლობინი და ალბუმინი). მოლეკულურ ბიოლოგიაში მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი განზოგადება, კერძოდ, ადამიანისმაგვარ მაიმუნებსა და ადამიანებს შორის მსგავსების კოეფიციენტი შეადგენს (0.53-0.61).

მაშასადამე, ადამიანის წინაპართა ევოლუცია მოიცავს გრძელ პროცესს, სახელდობრ, ჰომინოიდთა ბიოლოგიური ევოლუცია გრძელდება 14 მილიონი წელი. ბიოლოგიური ევოლუციის შემდეგ იწყება კულტურული ევოლუცია, რომელიც მოიცავს 2 მილიონ წელს. ეს უკანასკნელი მიმდინარეობს კულტურული ევოლუციის პარალელურად და იგი დღესაც გრძელდება.

ლიტერატურა:

1. დიასამიძე ა., ბიოევოლუცია, თსუ, თბ., 2008.
2. შათირიშვილი ა., ჭუჭულაშვილი ი., მიკროევოლუციის საფუძვლები, თსუ, თბ., 2005.
3. გეგეჭკორი ა., ადამიანის ევოლუცია. გაუჩინარებული და ტრაიბალური ცივილიზაციები. თსუ, თბ., 2004.
4. შათირიშვილი ა., ცაგარელი ს., ცარციძე მ., ზოგადი ბიოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004.

თირკმლის მწვავე, ქრონიკული უკმარისობა და დიალიზი

თამარ თომაშვილი, ნათია ჯალაბაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

ადამიანი ძალზე რთული სისტემაა. ერთი მხრივ, ის გარე სამყაროში ცხოვრობს, მეორე მხრივ კი - შინაგანში. ჩვენი მოთხოვნილებები, სურვილები, მიზნები, მისწრაფებები ამ ორი სამყაროს ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება.

თირკმელი, ადამიანის ძირითადი გამომყოფი ორგანოა, რომელიც შარდის წარმომქმნელი ფუნქციის მეშვეობით არეგულირებს ორგანიზმის ქიმიურ ჰომეოსტაზს. დაშლის პროდუქტებით მდიდარი სისხლი თირკმელს არტერიით მიეწოდება. იქ ის იფილტრება, მავნე ნივთიერებებისგან იწმინდება და თირკმლის ვენით გამოდის. ფილტრატი შარდია, რომელიც შარდსაწვეთით შარდის ბუშტში ჩადის, გროვდება და შემდეგ შარდსადენით გარეთ გამოიყოფა. მარჯვენა თირკმელი, მარცხენასთან შედარებით, მოძრავია და უფრო დაბლა მდებარეობს.

თირკმელებს ლობიოს მარცვლის ფორმა აქვთ. თითოეული მათგანის ნორმალური მასა 120-200 გრამია, სიგრძე - 10-12 სმ, სიგანე - 5-6 სმ, სისქე - 3-4 სმ. თითოეული თირკმელი შედგება ორი - გარეთა (ქერქოვანი) და შიგნითა (ტვინოვანი) შრისგან.

ორივე თირკმლის ზედა პოლუსებს მცირე ზომის სამკუთხა ფორმის ენდოკრინული - თირკმელზედა ჯირკვლები ფარავს. ისინი გამოიმუშავებენ ჰორმონებს - ადრენალინსა და ალდოსტერონს, რომლებიც არეგულირებენ ორგანიზმში ცხიმებისა და ნახშირწყლების ცვლას, სისხლის მიმოქცევის სისტემის ფუნქციებს, აწესრიგებენ ჩონჩხის მუსკულატურისა და შინაგანი ორგანოების მუშაობას, წყალმარილოვან ცვლას.

ორგანიზმისთვის კრიტიკულ მომენტში, მაგალითად, სტრესის დროს, განსაკუთრებით ძლიერდება თირკმელზედა ჯირკვლების მიერ სისხლში ადრენალინის გამოყოფა, რის წყალობითაც აქტიურდება გულის მუშაობა, იზრდება კუნთების შრომისუნარიანობა და ამტანობა, იმატებს სისხლში შაქრის დონე.

ჰორმონი ალდოსტერონი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ნატრიუმის ჭარბი იონების გამოდევნას და კალიუმის იონების შეკავებას, რომლებიც აუცილებელია კუნთების, განსაკუთრებით კი გულის კუნთის ნორმალური მუშაობისთვის.

თირკმლის ფუნქციური ერთეულია ნეფრონი. თითოეული თირკმელი მილიონამდე ნეფრონს შეიცავს. სწორედ ნეფრონებსა და გორგლოვან აპარატში იფილტრება სისხლი.

თირკმლის ამოცანაა, მოაცილოს სისხლს უვარგისი ნივთიერებები და შარდის სახით ისე გამოდევნოს ისინი, რომ სასარგებლო ნივთიერებების დაკარგვა არ დაუშვას.

თირკმელებს გარე სამყაროში არცთუ ისე ცოტა "მტერი" ჰყავს: თირკმელების დაავადებათა უმრავლესობა, მიუხედავად მკურნალობისა, პროგრესირებს, ხოლო თირკმელების ქრონიკული უკმარისობა პრაქტიკულად შეუქცევადია. მწვავესგან განსხვავებით, თირკმელების ქრონიკული უკმარისობის დროს კლინიკური სურათი პირველ ხანებში ნაკლებად არის გამოხატული. პაციენტები უჩივიან:

- საერთო სისუსტეს;
- უმადობას, რომელსაც მოგვიანებით ერთვის გულისრევა, ღებინებას;
- შრომისუნარიანობის დაქვეითებას;
- შარდის რაოდენობის თანდათანობით შემცირებას.

ჩივილები სისხლში შარდოვანას, ნარჩენი აზოტისა და კრეატინინის მაღალ დონესთან არის ასოცირებული.

გაციება, პათოლოგიური ვირუსები და სხვა ამ ორგანოს მრავალი სერიოზული დაავადების მიზეზი ხდება, მაგალითად, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა თირკმლის დაავადებების ფონზე ვითარდება. ამ დროს გამოხატულია ანემია. თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დროს ირღვევა ორგანოს ფუნქცია, ორგანიზმში გროვდება აზოტოვანი ცვლის პროდუქტები - შარდოვანა, კრეატინინი, დარღვეულია წყლისა და ელექტროლიტების ბალანსი, გამოხატულია მჟავა რეაქცია.

თირკმლის უკმარისობის თავიდან ასაცილებლად სასურველია, ავადმყოფმა დროულად მიმართოს ექიმ თერაპევტს ან ნეფროლოგს და არ მიჰყოს ხელი თვითმკურნალობას. გარდა ამისა, თითოეული

ადამიანი ჩივილების არ ქონის შემთხვევაშიც კი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იტარებდეს შარდის საერთო ანალიზს. კლინიკურ პრაქტიკაში თირკმელების ფუნქციის დაავადებების დიაგნოსტიკისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შარდისა და სისხლის ლაბორატორიულ და თირკმელების ფუნქციურ კვლევას. თირკმლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის სამკურნალოდ გამოიყენება დიალიზი.

დიალიზი ბერძნული სიტყვაა და გამოყოფას, დაშლას ნიშნავს. დიალიზით ხდება ორგანიზმის განთავისუფლება ნარჩენი პროდუქტებისგან, როგორიცაა ფოსფატები და შარდოვანა.

დიალიზი ორი სახისაა: ჰემოდიალიზი და პერიტონეული. ჰემოდიალიზის პროცესში პაციენტის სისხლი გარკვეული დროის განმავლობაში შეკრულ კონტურში ცირკულირებს ანუ ორგანიზმიდან გამოყვანილი სისხლი შედის დიალიზატორში და იქიდან გამოსული გაწმენდილი სისხლი კვლავ პაციენტს უბრუნდება.

პერიტონეული დიალიზის შემთხვევაში კი პაციენტის ორგანიზმში ყოველდღიურად, ყოველი ექვსი საათის გასვლის შემდეგ, პერიტონეუმის ღრუში (მუცლის ფარი) ჩადგმული კათეტერის მეშვეობით შეჰყავთ სპეციალური ხსნარები, რომელიც ორგანიზმს წმენდს. თუ ჰემოდიალიზის პროცესი მხოლოდ კლინიკებში ტარდება, პერიტონეული დიალიზი შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ ადგილას, სადაც ჰიგიენური პირობები დაცულია. მთელი დილაიზის პერიოდში ავადმყოფები ექიმის და ექთნების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არიან, კონტროლდება მათი არტერიული წნევა, პულსაცია. სეანსის დროს შეიძლება რომელიმე ავადმყოფს სისხლდენა განუვითარდეს ან წნევამ აუწიოს, ან პირიქით, დაეცეს, ამიტომაც მედპერსონლი მათ გამუდმებით აკონტროლებს.

სისხლის გაწმენდა ანტიკურ ეპოქაშივე აქტუალური სამედიცინო პრობლემა იყო. ამ მეტად რთული ამოცანის გადაჭრის გზებს მეცნიერები და მკვლევრები ასეულობით წლის განმავლობაში ეძებდნენ. დიალიზს ძალზე საინტერესო ისტორია აქვს, ჰემოდიალიზი ურემიით მომაკვდავს პირველად 1924 წელს ჩაუტარა გერმანიაში ექიმმა გეორგ ჰაასმა (ურემია ორგანიზმის თვითმოწამვლაა დაავადებული თირკმელების მიერ მავნე ნივთიერებათა გამოძევების უნარის დაქვეითების გამო). დღეს ჰემოდიალიზი და პერიტონეული დიალიზი წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოშიც.

დიალიზი გულისხმობს სისხლის გაწმენდის ისეთ სისტემას, რომელიც მოიცავს წყალში ხსნადი ნივთიერებების მიმოცვლას სადიალიზო სითხესა და სისხლს შორის ნახევარგამტარი მემბრანის ორივე მხარეს. ჰემოდიალიზის დროს ხდება სისხლის გაწმენდა სხვადასხვა მოლეკულური წონის ნივთიერებებისგან - ეგრეთ წოდებული ურემიული ტოქსინებისგან, წყალმარილოვანი და მჟავატუტოვანი ბალანსის აღდგენა. ეს პროცესი ხორციელდება დიფუზიისა და ულტრაფილტრაციის მეშვეობით. ნახევარგამტარი მემბრანის როლს ასრულებს დიალიზატორი - ხელოვნური ბიომასალისგან დამზადებული მრავალბოჭკოვანი სისტემა. მის ერთ მხარეს მოქცეულია სადიალიზო სითხე. ჰემოდიალიზის სეანსის დროს სისხლი ხელოვნური თირკმლის აპარატის საშუალებით გადადის დიალიზატორში, გაივლის მას და უბრუნდება პაციენტს. სისხლისა და სადიალიზო სითხის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა უზრუნველყოფს ურემიული ტოქსინების ელიმინაციას. სადიალიზო სითხის შემადგენლობა შერჩეულია იმგვარად, რომ სისხლის ელექტროლიტური და მჟავატუტოვანი წონასწორობა დიალიზატორიდან გამოსვლის შემდეგ ნორმალურ მაჩვენებლებს მიუახლოვდეს.

დიალიზატორი

ეს პროცედურა, ჩვეულებრივ, ტარდება სამი-ოთხი საათის განმავლობაში კვირაში სამჯერ. თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დროს ეს პროცედურები მთელი სიცოცხლე გრძელდება, ხოლო მწვავე უკმარისობის დროს 1 დღიდან 4 კვირამდე, იმისდა მიხედვით, რამდენად სწრაფად გაირკვევა მიზეზი.

მწვავე უკმარისობის ათიდან დაახლოებით რვა შემთხვევაში თირკმლის ფუნქცია აღდგება და პაციენტი ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს უბრუნდება, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში მოითხოვს დაკვირვებას, ხოლო 20 % შესაძლოა ქრონიკულ ფორმაში გადაიზარდოს.

თუ ორგანო, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა გვემსახუროს, მუშაობაზე უარს ამბობს, აუცილბლია დიალიზის ალტერნატიული გზის გამონახვა და ესაა ორგანოს ტრანსპლანტაცია. ორგანოთა გადანერგვა ანუ ტრანსპლანტაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი ხანია წარმატებით ხორციელდება. ორგანოს გადანერგვა არის სამედიცინო პროცედურა, რომელიც წარმოებს დაავადების შორსწასულ სტადიებში და რომლის მიზანია დაავადებული ორგანოს ჯანმრთელი ორგანოთი ჩანაცვლება. თირკმლის გადანერგვა ხდება მაშინ, როდესაც ორივე თირკმლის უკმარისობა უვითარდება პაციენტს. ცალი თირკმლით სრულფასოვანი ცხოვრება შესაძლებელია. თირკმლის ტრანსპლანტაცია დიალიზით მკურნალობის ალტერნატიული მეთოდია და საგრძნობლად აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს. გარდა იმისა, რომ მკურნალობის ეს მეთოდი საბოლოო ჯამში უფრო იაფია, ვიდრე დიალიზი, პაციენტი ხდება უფრო მობილური, იგი არ არის იძულებით დაკავშირებული სადიალიზო აპარატურასთან, უმრავლეს შემთხვევაში არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

დღეისათვის საქართველოში იზრდება დიალიზზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი. დავინტერესდით კვლევის მეთოდებით, პროცედურით, სტატისტიკით და გავესაუბრეთ გორის ექიმ-ნეფროლოგს, ქალბატონ ნანა ოქროპირიძეს, რომელმაც პასუხი გასცა ჩვენს შეკითხვებს.

დღესდღეობით რამდენი კაცი იტარებს საქართველოში დიალიზს?

საშუალოდ ეს რიცხვია 1549.

სად ტარდება საქართველოში დიალიზი?

საქართველოში სულ ცამეტი სადიალიზო ცენტრია. რამდენიმე თბილისში, ორი – ბათუმში, დანარჩენები – ქუთაისში, ზუგდიდში, ბორჯომსა და გორში.

რამ შეიძლება გამოიწვიოს თირკმლის მწვავე უკმარისობა? თირკმლის მწვავე უკმარისობის გამომწვევი ფაქტორებია: ორგანიზმის გაუწყლოება, კუჭ-ნაწლავიდან სითხის დაკარგვა (ღებინებით, ფაღარათით), შარდმდენების უკონტროლო მიღება, ღვიძლის ციროზი, ბაქტერიული, ვირუსული ან სოკოვანი ინფექციები,. სიმსივნე, ასევე შარდის ბუშტის პათოლოგიები, პროსტატის ჰიპერპლაზია, კენჭები და სხვ.

როგორი უნდა იყოს დიალიზზე მყოფი ადამიანის კვების რეჟიმი?

- დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიეტოთერაპიას. ავადმყოფი არ უნდა დაიტვირთოს კალიუმით მდიდარი საკვებით (განსაკუთრებით - ხილით, კარტოფილითა და სხვა ბოსტნეულით), უნდა დაიცვას სითხის ბალანსი და აკონტროლოს წონა.

რა ხნით შეიძლება გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე დიალიზზე მყოფ პაციენტს?

თუ პაციენტი ზედმიწევნით იცავს ექიმის რეკომენდაციებს, დიალიზით ცხოვრება შეიძლება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს.

რა გართულებები ახასიათებს ჰემოდიალიზსა და პერიტონეულ დიალიზს?

ჰემოდიალიზის ყველაზე ხშირი და სიცოცხლისთვის საშიში გართულებებია: კრუნჩხვა, ქავილი, შემცივნება და კანკალი, არითმია, ქალასშიგა სისხლჩაქცევა, გულყრა, კათეტერის გამოსავალი ნაწილის ინფექცია, მექანიკური გართულებები - თიაქარი, ხსნარის ჩაქცევა და კათეტერის ობსტრუქცია (დახშობა), სუნთქვის მექანიკის დარღვევა და სხვ.

თირკმლის გამოკვლევისათვის მნიშვნელოვანი მეთოდებია:

სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზები, საჭიროების შემთხვევაში (შარდში ერითროციტების ან ცილების აღმოჩენისას) - 24-საათიანი შარდის გამოკვლევა, ულტრაბგერითი გამოკვლევა, ასევე - რენტგენოლოგიური მეთოდები: მიმოხილვითი რენტგენოგრაფია, უროგრაფია, პიელოგრაფია, ცისტოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, თირკმელების ანგიოგრაფია, მინერალური ცვლის სტატუსი, ფარისებრახლო ჯირკვლების ჰორმონული და ვიზუალური გამოკვლევა, ანემიის სტატუსი თირკმლის ბიოფსია და სხვ.

როგორ უნდა შეგროვდეს შარდი ანალიზისთვის?

საერთო ანალიზისთვის შარდი უნდა შეგროვდეს დილით, პირველი მოშარდვისას. აღებულ უნდა იქნეს მთელი ულუფა. გამოკვლევამდე შარდის შენახვა შეიძლება არა უმეტეს 1,5 საათისა, ისიც აუცილებლად სიგრილეში. სასურველია, წინა დღეს თავი შევიკავოთ ისეთი ხილისა და ბოსტნეულის მიღებისგან, რომელმაც შესაძლოა შარდს ფერი შეუცვალოს.

ქალაქის პოლიკნინიკის ციტოლაბორატორიაში

რას გვაძლევს შარდის ანალიზი და რა მიგვანიშნებს თირკმლის პათოლოგიაზე?

შარდის საერთო ანალიზი შარდსასქესო სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას ასახავს, შარდის შემადგენლობა იცვლება დიაბეტის, ტუბერკულოზის, ცხელების, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ინფექციური დაავადებების, სისხლის დაავადებების, მოწამვლის, ასევე - ზოგიერთი სხვა პათოლოგიის შემთხვევაში.

ფერი - შარდის ნორმალურ შეფერილობას პიგმენტი ურიქრომი განაპირობებს. მოწითალო, ხორცის ნარეცხის ფერი განპირობებულია შარდში ერითროციტების, ჰემოგლობინის, თირკმლის ინფარქტის, გლომერულონეფრიტის დროს. შარდმა შესაძლოა მიიღოს მწვანე ფერიც, თუ მასში ბაქტერია ფსევდომონა გაჩნდა ან შარდის საშუალებით ორგანიზმიდან ეგზოგენური ქიმიური ნივთიერება - მეთილენის ლურჯი გამოიყო. ჭუჭყიანი ყავისფერი და რუხი ფერი განპირობებულია პიურიით - შარდში ჩირქის არსებობით, მოთეთრო ფერს კი შარდს ფოსფატები და ცხიმები აძლევს.

კუთრი წონა 1008-დან 1025-მდე მერყეობს. იმატებს შაქრიანი დიაბეტის, გლომერულონეფრიტის, ნეფროზული სინდრომის, სითხის დაკარგვის (დიარეა, ღებინება), ოლიგურიის, სითხის მცირე რაოდენობით მიღების შემთხვევაში, იკლებს უშაქრო დიაბეტის, თირკმლის მილაკების მწვავე დაზიანების, პოლიურიის, თირკმლის ქრონიკული დაავადების დროს.

მჟავატუტოვანი წონასწორობა - შარდის ნორმალური pH 5,0-6,0-ია. მისი მატება შეინიშნება საშარდე სისტემის ინფექციების, თირკმლის მილაკების ფუნქციის დარღვევის დროს, ხოლო კლება - თირკმლის ქრონიკული დაავადებების, შარდკენჭოვანი დაავადების დროს. შარდში ცილა ჩნდება მწვავე და ქრონიკული გლომერულონეფრიტის, თირკმლის მილაკების დაზიანების, თირკმლის ტუბერკულოზის, საშარდე გზების სიმსივნის დროს და სხვ. შარდში გლუკოზის არსებობა შაქრიანი დიაბეტის არარსებობის შემთხვევაში თირკმლის მილაკების დაზიანებაზე მიუთითებს.

ეპითელური უჯრედების რაოდენობა იმატებს შარდის ბუშტის, თირკმლის მენჯის ანთებითი პროცესის, შარდკენჭოვანი დაავადების დროს.

ლეიკოციტების მატება შარდში შეინიშნება პიელონეფრიტის, ცისტიტის, პროსტატიტის და სხვა დაავადებათა დროს. ლორწოს ლორწოვანი გარსის ეპითელიუმი გამოყოფს. ნორმალურ შარდში ის უმნიშვნელო რაოდენობით არის. ანთებითი პროცესების დროს მისი შემცველობა იმატებს.

ბაქტერიები ნორმალურ შარდში არ არის ან ძალიან ცოტაა, თუმცა ბაქტერიების არსებობა შარდსასქესო სისტემის ანთებით პროცესზე ყოველთვის არ მიუთითებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რაოდენობას. ბაქტერიის სახეობას, ბაქტერიურიის დონეს, ანტიბიოტიკებისადმი ბაქტერიების მგრძნობელობას შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით ადგენენ.

მარილების შემცველობა დამოკიდებულია შარდის კოლოიდურ მდგომარეობაზე, pH-სა და სხვა თვისებებზე. შარდში მჟავა რეაქციის დროს გვხვდება შარდმჟავა მარილები, ურატები, ოქსალატები, ტუტე რეაქციის დროს კი ტრიპელფოსფატები, ამორფული ფოსფატები. შარდში მარილების სიჭარბე ხელს უწყობს კონკრემენტის წარმოქმნას და შარდკენჭოვანი დაავადების ჩამოყალიბებას.

სისხლის რა სახის გამოკვლევაა საჭირო თირკმელების ფუნქციური მდგომარეობის დასადგენად და რომელი მაჩვენებელი მიუთითებს თირკმლის პათოლოგიაზე?

თირკმლის ფუნქციური მდგომარეობის დასადგენად საჭიროა სისხლის ბიოქიმიური ანალიზი. ის საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, როგორ მუშაობს თირკმელი. სისხლის ბიოქიმიური

მაჩვენებლებიდან თირკმლის ფუნქციის შესაფასებლად მნიშვნელოვანია შარდოვანა, კრეატინინი, შარდმჟავა, ელექტროლიტები.

შარდოვანა ცილების დაშლის საბოლოო პროდუქტია. ის ღვიძლში ამიაკისგან წარმოიქმნება და შარდის კონცენტრირებაში მონაწილეობს. იმატებს გლომერულონეფრიტის, ტუბერკულოზის, თირკმლის ქრონიკული დაავადებების დროს.

კრეატინინი ცილის ცვლის საბოლოო პროდუქტია. ის წარმოიქმნება ღვიძლში, ცირკულირებს სისხლში და გამოიყოფა თირკმელების საშუალებით. მისი სიჭარბე თირკმლის მწვავე უკმარისობასა და თირკმლის ქრონიკულ დაავადებებს ახლავს თან. სისხლის საერთო ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ ანთებითი პროცესი. მასზე მიუთითებს ლეიკოციტოზი - ლეიკოციტების რაოდენობის მომატება - და ედს-ის (ერითროციტების დალექვის სიჩქარის) მომატება.

- რა არის თირკმლის ბიოფსია? როგორია მისი ჩვენება? აქვს თუ არა უკუჩვენება და გვერდითი მოვლენები?

- თირკმლის ბიოფსია დიაგნოსტიკური მანიპულაციაა. ის საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მორფოლოგიური გამოკვლევისთვის თირკმლის ქსოვილის ფრაგმენტი, რომელიც თირკმლის ქერქოვან და ტვინოვან ნივთიერებებს შეიცავს. გამოკვლევის ამ მეთოდს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ის საშუალებას გვაძლევს დავსვათ მორფოლოგიური დიაგნოზი, ზუსტად შევარჩიოთ მკურნალობის სქემა, განვსაზღვროთ პროგნოზი.

ამრიგად, საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, დილიზზე მყოფ ავადმყოფთა რიცხვი მატულობს. რადგან დიალიზის ალტერნატივა, გარდა ქირურგიული ჩარევისა, თითქმის არ არსებობს, ამიტომ პაციენტმა აუცილებელია გაითვალისწინოს ექიმის რჩევები, დაიცვას დიეტა და დროულად ჩაებას დიალიზის უფასო პროგრამაში, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს.

ლიტერატურა:

1. გოგიჩაძე გ., კანდელაკი გ., გოგიჩაძე თ., ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები, თბ., 2011.
2. კემპბელი ნ., რისი ჯ., ბიოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007.
3. ქსე, ტომი 3, თბ., 1977.
4. Курепина М. М., Воккен Г.Г., Анатомия человека, 1979.

წილადის შესწავლის მეთოდიკა დაწყებით კლასებში

ელენე თურმანიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ჯემალ ქირია,** სრული პროფესორი

სიდიდის ცნება ერთ–ერთი ძირითადი მათემატიკური ცნებაა, რომელიც იხმარება არა მხოლოდ მათემატიკაში, არამედ სხვა დისციპლინებშიც.

სიდიდის ცნება მჭიდროდ უკავშირდება გაზომვისა და რიცხვის ცნებას. თუ გასაზომი სიდიდე საზომი ერთეულის ჯერადია, მაშინ სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა არაუარყოფითი მთელი რიცხვია. თუ გასაზომი სიდიდე საზომი ერთეულის ჯერადს არ წარმოადგენს, მაშინ სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა არ გამოისახება არაუარყოფითი მთელი რიცხვებით. საჭირო გახდა რიცხვზე წარმოდგენის გაფართოება.

ძირითადი იდეა ჩვეულებრივი წილადის შემოტანისა მდგომარეობს შემდეგში:

1. შემოტანა წილადი რიცხვებისა – ახალი ეტაპია რიცხვითი სიმრავლის გაფართოებისა;
2. რიცხვის ახალი ცნების შემოტანა მოითხოვს რიცხვების ტოლობის, შეკრებისა და გამრავლების ახალ განმარტებას;
3. წილადი რიცხვების შემოტანით იხსნება შეზღუდვა მთელი რიცხვების გაყოფის მოქმედებისა (გარდა ნულზე გაყოფისა);

4. წილადი რიცხვები არითმეტიკული მოქმედების ყველა კანონს ემორჩილებიან, რაც განმარტებულია ნატურალური რიცხვებისათვის.

სასკოლო კურსში წილადი რიცხვების შესწავლა უნდა დავყოთ ორ ეტაპად:

1. განიხილება წილადი რიცხვების ცნება, შეკრება და გამოკლება, ასევე გამრავლება და გაყოფა ნატურალურ რიცხვზე.
2. წილადის გამრავლება და გაყოფა წილადზე.

დაწყებით კლასებში წილადის ცნება შეიცავს ორივე ეტაპს.

საშუალო სკოლებში წილადების სისტემატიური კურსის ძირითადი საკითხებია:

1. წილადების წარმოქმნა;
2. წილადების გარდაქმნა;
3. მოქმედებანი წილადებზე.

წილადის ცნება.

მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეებს გააჩნია წარმოდგენა მარტივ წილადებზე, საჭიროა ამ საკითხის უფრო გაღრმავება. ამასთან ძირითადად შესწავლის პროცესი კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა მიმდინარეობდეს.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისტორიულად წილადის შემოტანა სიდიდის გაზომვის აუცილებლობამ გამოიწვია. პრაქტიკაში სიდიდეების გაზომვის უმარტივესი ამოცანებია განვსაზღვროთ მონაკვეთის სიგრძე, მართკუთხედის ფართობი და კუბის მოცულობა.

ამ ამოცანების ამოსახსნელად და საილუსტრაციოდ საჭიროა ვისარგებლოთ წრფივი, კვადრატული და კუბური ერთეულებით და მათი ნაწილებით. მოსწავლეებს რვეულში უნდა გამოვახაზინოთ ეს ერთეულები და მათი ნაწილები.

კვადრატული სანტიმეტრი და მისი ნაწილები



ნახ. 1

წრფივი დეციმეტრი და მისი ნაწილები



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ამ მაგალითების განხილვის შედეგად მოსწავლეებს უყალიბდებათ წარმოდგენა წილადებზე, როგორც ერთეულის ტოლი ნაწილების ერთობლიობაზე.

განვიხილოთ მსჯელობის მეორე ხერხი: ვთქვათ გვაქვს 3 ვაშლი, რომელიც უნდა გაუყოთ ტოლად 4 ბავშვს. ამისათვის თითოეული ვაშლი გავყოთ 4 ტოლ ნაწილად და თითოეულს მივცეთ თითო ვაშლიდან მეოთხედები. თითოეული ბავშვი მიიღებს $\frac{3}{4}$ ვაშლს.

ძირითადი აზრი მსჯელობისა ისაა, რომ ერთეულის ნაწილი შეიძლება ჩავთვალოთ ახალ თვლის ერთეულად.

მას შემდეგ, რაც შემოვიტანეთ წილადის ცნება, საჭიროა შემოვიტანოთ წილადების ტოლობა და მეტობა. თეორიულ კურსში ეს ცნებები შემოტანილია განსაზღვრებით. სასკოლო კურსის გავლისას ეს საკითხი უნდა განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე.

შევადგენთ რა წილადებს ერთი და იგივე ერთეულის ნაწილებისგან, მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ წილადები შეიძლება ერთეულზე ნაკლები, ტოლი ან მეტი აღმოჩნდეს. ეს დაკვირვებები შეიძლება საფუძვლად დაუდოთ წილადების კლასიფიკაციას (წესიერი და არაწესიერი).

ლიტერატურა:

1. ა. წერეთელი, მათემატიკის დაწყებითი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1976.
2. Щербакова Е. И., Теория и методика математического развития дошкольников, Учеб. Пособие, 2009.

ვარჯიშების შერჩევა და გამოყენება V და VI კლასების მოსწავლეთა ძალის განვითარებისათვის

დავით კილაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** სრული პროფესორი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სკოლაში ეყრება საფუძველი ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობას, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სპორტის დარგის სპეციალისტის ფიქრისა და განსჯის საგანია დაწყებით კლასებში სპორტის გაკვეთილების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის გზების ძიება.

დღეისათვის I-VI კლასებში სპორტი ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც მოიცავს 2011-2016 წლებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს სწავლების შემდეგი პრინციპების დაცვას:

- ცოდნის კონსტრუირება;
- გაღრმავებული სწავლება;
- პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოტივაციის ამაღლება;
- მოსწავლის ჩართულობა;
- ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება;
- ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება;
- ფიზიკური განვითარება;
- სწორი პედაგოგიური მიდგომა.

დაწყებით კლასებში სპორტის გაკვეთილების ერთ-ერთი დანიშნულებაა, რომ ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული საშუალებათა გამოყენებით გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები და ხელი შეუწყოს მათ რომელიმე სპორტის სახეობის არჩევაში.

დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესის წარმართვისას განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექცეს თუ ვინ როგორ შედეგს აჩვენებს, არამედ იმას, თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის მიერ თანდათანობით რთული კოორდინაციური მოძრაობების დაუფლება. გარდა ამისა, მეცადინეობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოძრაობათა ათვისების პროცესისადმი ხელის შეწყობას და სათანადო პირობების შექმნას მომავალი სპორტის სახეობის არჩევისათვის.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია V და VI კლასების მოსწავლეების ძალის განვითარებისათვის სხვადასხვაგვარი ვარჯიშების შერჩევა და გამოყენება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ნაშრომში მოცემული ვარჯიშები საერთო ფიზიკური მომზადებისათვის, ტანვარჯიშული ვარჯიშები უიარაღოდ და ტანვარჯიშულ იარაღებთან, ისეთი მოძრავი თამაშების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ძალის განვითარებას.

ვარჯიშები ძალის განვითარებისათვის

1) საწყისი მდგომარეობა (შემდგომში ს.მ.) ძირითადი დგომი;
   თვლაზე 1 - წინმკლავი;
   2 - ჩაჯდომი ორივე ფეხზე;
   3 - ადგომი;
   4 - მიმკლავი;
   ვარჯიში სრულდება 10-12-ჯერ.
2) ს.მ. - ძირითადი დგომი
   თვლაზე 1 - წინმკლავი;
   2 - ჩაჯდომი მარჯვენა ფეხზე (მარცხენა ფეხი გაშლილია წინ) და პირიქით;
   3 - ადგომი;
   4 - მიმკლავი და დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;
   ვარჯიში სრულდება 6-8-ჯერ.

(გამარტივების მიზნით ამ ვარჯიშის ჩატარება შეიძლება ტანვარჯიშულ კედელთან მარჯვენა ან მარცხენა ხელი ტაცით მანაზე).

3) ს.მ. - ძირითადი დგომი, ფეხები მხრების სიგანეზე;
ღრმა ჩაჯდომი ტერფებზე და ორივე ფეხზე არეკნით მაღლა ახტომი;
ვარჯიშები სრულდება პაუზის გარეშე 15-16-ჯერ.

4) ს.მ. - ძირითადი დგომი;
ნახტომები ტყუპ ფეხზე წინ;
10-12 ნახტომი 4-6-ჯერ.

ვარჯიშები მუცლის კუნთებისათვის

1) ს.მ. - ზურგზე წოლა, გამართული ფეხების აწევა მაღლა თავს უკან და ძირს დაშვება;
2) ს.მ. - ზურგზე წოლი „ველოსიპედი“;
3) ს.მ. - ზურგზე წოლი, ფეხების აწევა 45^0-ით, ფეხების გაშლა და შეერთება;
4) ს.მ. - ზურგზე წოლი, ფეხები გაშლილია და მოხრილი მუხლის სახსარში, ხელები მოხრილია იდაყვში. ტერფებსა და ხელის გულებზე დაყრდნობით ტანის მაღლა ატანა - „ხიდი“. დაბრუნება საწყის მდგომარეობაში.
ვარჯიში სრულდება 5-6-ჯერ.

დადგომიდან დახტომი ხელებზე, თავყირა, ხელყირა

1) ს.მ. - ფეხშლით დგომი, ფეხები მხრების სიგანეზე;
თვლაზე 1-2 - წინზნექი, გარეუკუმკლავი;
3 - ბუქნბჯენი;
4 - ადგომი, ქვემკლავი;
ვარჯიში სრულდება 4-ჯერ, საშუალო ტემპში.

2) ს.მ. - ფეხშლით დგომი, განმკლავი;
თვლაზე 1 - დახტომი ორივე ხელზე;
2-3-4-5-6-7 - მკლავებზე აწევა-დაწევა;
8 - ადგომი, მიმკლავი;
ვარჯიში სრულდება 3-4-ჯერ, საშუალო ტემპში.

3) ს.მ. - ძირითადი დგომი;
თვლაზე 1-2 - დრეკადი წინზნექი, წინმკლავი, ნებებით იატაკზე შეხება;
3 - ბუქნბჯენი;
4 - ადგომი, ქვემკლავი;
ვარჯიში სრულდება 4-6-ჯერ, საშუალო ტემპში.

4) ს.მ. - ჯვარედინი დგომი, მარცხენა ფეხი წინ, დოინჯი;
თვლაზე 1 - წახტომით ფეხშლით დგომი;
2 - წახტომით ჯვარედინი დგომი, მარჯვენა ფეხი წინ;
3-4 - იგივე მეორე ფეხით და ა.შ.;
მეორდება წახტომები 16-20-ჯერ;
წახტომები სრულდება ფეხის ფერებზე საშუალო ტემპში. სუნთქვა თანაბარია.

ვარჯიშები ტანვარჯიშულ სკამზე

1) ს.მ. - ტანვარჯიშულ სკამზე განივად ძირითადი დგომი;
თვლაზე 1-2 - ცერებზე აწევა მკერდის არეში გაზნექი, გარემკლავებით ზემკლავი;
3-4 - ტერფებზე დაშვება, გარერკალებით ქვემკლავი;
ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, მეორდება 6-8-ჯერ;
1-2 თვლაზე - შესუნთქვა, 3-4 თვლაზე - ამოსუნთქვა.

2) ს.მ. - ტანვარჯიშულ სკამზე განივად ჯდომი;
თვლაზე 1 - ადგომი, გარემკლავებით ზემკლავი, ტაში თავს ზემოთ;
2 - დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;
ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, მეორდება 8-ჯერ;
1 თვლაზე - შესუნთქვა, 2 თვლაზე - ამოსუნთქვა.

3) ს.მ. - ტანვარჯიშულ სკამზე გასწვრივად ფეხშლით დგომი;
თვლაზე 1-2 - ორი დრეკადი წინზნექი, გარეწინმკლავი, ნებებით ცერზე შეხება;
3-4 - ზემართი, ქვემკლავი;

ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, მეორდება 6-8-ჯერ;

4) ს.მ. - ტანვარჯიშულ სკამზე განივად ფეხშლით ჯდომი, დოინჯი;
   თვლაზე 1 - მარცხნივ ზნექი, მარცხენის განმკლავი, ნებით იატაკზე შეხება;
   2 - ზემართი, დოინჯი;
   3-4 - იგივე მეორე მხარეს;
   ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, მეორდება 6-8-ჯერ;
   სუნთქვა არ კავდება, იგი თანაბარია.

ვარჯიშები ტანვარჯიშულ კედელთან

1) ს.მ. - ერთი ნაბიჯის დაშორებით პირისახით ტანვარჯიშული კედლისაკენ მხრების სიმაღლეზე ტაცით ფეხშლით დგომბჯენი;
   თვლაზე 1-2 - დგომღუნბჯენი (მკლავების მოხრა);
   3-4 - დგომბჯენი (მკლავების გამართვა);
   ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, მეორდება 6-8-ჯერ;
   1-2 თვლაზე - ამოსუნთქვა, 3-4 თვლაზე - ჩასუნთქვა.
2) ს.მ. - პირისახით ტანვარჯიშული კედლისაკენ ჯდომი იატაკზე, ფეხის ცერების მეორე მანის ქვევიდან გამოდება, ღუნგამკლავი თავს უკან;
   თვლაზე 1-2 - ზურგზე დაწოლა, განმკლავი;
   3-4 - დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;
   ვარჯიში სრულდება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპში.
3) ს.მ. - პირისახით ტანვარჯიშული კედლისაკენ მკერდის სიმაღლეზე, ტაცით მესამე მანაზე ფეხშლით დგომღუჯბჯენი;
   თვლაზე 1-2 - ზეტანის მარჯვენის ბრუნი, მარცხენა მკლავის გამართვა, მარჯვენის განმკლავი;
   3-4 - დაბრუნება საწყის მდგომარეობაში
   5-6 - იგივე მეორე მხარეს;
   7-8 - დაბრუნება საწყის მდგომარეობაში.
4) ს.მ. - ნახევარი ნაბიჯის დაშორებით ზურგით ტანვარჯიშული კედლისაკენ დგომი, ღუნგანმკლავი თავს უკან;
   თვლაზე 1-2 - ცერებზე აწევა, განმკლავი, ხელებით ტანვარჯიშულ კედელზე შეხება;
   3-4 - დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;
   ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში 4-6-ჯერ.

ვარჯიშები ბაგირზე, ღერძზე, ორძელზე

1) ბაგირზე ასვლა ხელებისა და ფეხების დახმარებით;
2) ბაგირზე ასვლა ფეხების დაუხმარებლად;
3) ბაგირზე ასვლა კუთხით;
4) ღერძზე აძალვა;
5) ვარჯიში ორძელზე (მიზიდვა, მკლავებზე დაშვება და გამართვა).

ვარჯიშები ტენილი ბურთებით

1) ბურთის თავს ზემოთ აკვრა
   ს.მ. - ფეხშლით დგომი, ბურთი მკერდის სიმაღლეზე;
   1-2 - მუხლებში მოხრა, გაშლა და ბურთის მაღლა აკვრა ორი ხელით;
   3-4 - ბურთის დაჭერა და დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;
   ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში 10-12-ჯერ.
2) ბურთის გადაგდება თავს უკან
   ს.მ. - ფეხშლით დგომი, ბურთი მკერდის სიმაღლეზე;
   1 - ბურთის გადაგდება თავს უკან;
   2 - ბურთის დაჭერა ორი ხელით ზურგს უკან;
   3 - ბურთის გადაგდება ზურგს უკნიდან თავს ზემოთ წინ;
   4 - ბურთის დაჭერა;
   ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში 8-10-ჯერ.
3) ბურთის აკვრა და დაჭერა მარცხენა და მარჯვენა ხელით
   ს.მ. - ფეხშლით დგომი, ბურთი მარჯვენა ხელის გულზე მარჯვენა მხართან;
   1-2 - ბურთის აკვრა ზევით მარცხენა მხარეს და დაჭერა მარცხენა ხელით;
   3-4 - იგივე მეორე მხარეს;

ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში 8-10-ჯერ.

4) ფეხებს შუა ბურთის უკან გდება

ს.მ. - ფეხშლით დგომი, ბურთი ორივე გამართული ხელებით თავს ზემოთ;

1-2 - წინზნექი და ბურთის ტყორცნა უკან ფეხებს შუა;

ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში 8-10-ჯერ.

სათამაშო ვარჯიშები ძალის განვითარებისათვის

ვარჯიში 1

მოთამაშეები იყოფიან წყვილებად, პირველი ნომრები გადაახტებიან მეორე ნომრებს და სამი-ოთხი ნაბიჯის შემდეგ იკავებენ თავიანთ ადგილს (წელში მოხრილები), შემდეგ მეორე ნომრები გადაახტებიან მათ და ა.შ. ვარჯიშს ასრულებენ 2-3 წუთს.

ვარჯიში 2

წყვილები დგებიან 2-3 მეტრის დიამეტრის წრეებში. მასწავლებლის ნიშანზე მოთამაშეები ცდილობენ, მხრის გაკვრით გააძევონ წრიდან თავისი პარტნიორი, ვარჯიშს ასრულებენ 2-3 წუთს.

ვარჯიში 3

მოედანზე გაავლებენ ორ ხაზს ერთმანეთისაგან 8 მეტრის დაშორებით. მოთამაშეები იყოფიან წყვილებად, ერთმანეთს ხელებს ჩაავლებენ და ცდილობენ, გაიყვანონ ხაზიდან პარტნიორი. ვარჯიშს ასრულებენ 2-4 წუთს.

ვარჯიში 4

წყვილებად განლაგებული მოთამაშეები ხელის კვრით ცდილობენ, წონასწორობიდან გამოიყვანონ ერთმანეთი. ეს ვარჯიში შეიძლება შეასრულონ ღრმა ჩაჯდომითაც. ვარჯიშს ასრულებენ 1-2 წუთს.

ვარჯიში 5

მოედანზე ჭადრაკისებურად ხაზავენ 30 სმ-ის დიამეტრის 10 წრეს, რომლებიც 80-90 სმ-ით არის დაცილებული ერთმანეთისაგან. მოთამაშემ ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხზე ხტომით შეუჩერებლივ უნდა გაიაროს ყველა წრე ისე, რომ არც ერთ ხაზს არ დაადგას ფეხი. რამდენ წრესაც გაივლის შეუცდომლად მოთამაშე, მით მეტი ქულა დაერიცხება. ვარჯიშს ასრულებენ 4-6 წუთს.

მოძრავი თამაშების ძალის განვითარებისათვის

„მხტუნავი ბეღურები“

ხაზავენ 15-20 მეტრი დიამეტრის წრეს. ეს წრე „გუბეა“, სადაც წყლის დასალევად მოდიან ბეღურები, ე.ი. მოთამაშეები. ერთი წამყვანია - „ყვავი“, რომელიც წრის ცენტრში იმყოფება. ბეღურები წყლის დასალევად წრეში შეხტებიან და შემდეგ გამოხტებიან. „ყვავი“ ცდილობს ჩაკორტნოს (ხელით შეეხოს) ბეღურები, რომლებიც გუბეში დახტუნავენ. გუბეში ხტუნვა შეიძლება მხოლოდ ცალ ფეხზე. „ჩაკორტნილი ბეღურა“ გადაიქცევა „ყვავად“ და თამაში გრძელდება.

„ბორცვზე ხტომა“

ერთმანეთის მიყოლებით 3-4 კოლონად მიწაზე 40-50 სმ-ის დაშორებით მონიშნულია პატარა წრეები - „ბორცვები“. თითოეულ კოლონაში 8-10 წრეა. მოთამაშენი იყოფიან 3-4 ჯგუფად და დგებიან კოლონებად. კოლონაში წინ მდგომები ხტებიან „ბორცვიდან - ბორცვზე“ და ცდილობენ ფეხი არ ჩაკრან „ჭაობში“, ე.ი. ბორცვებს შორის. მოგებულია ის მოთამაშე, რომელიც ზუსტად გადახტება და არ აცდება არცერთ წრეს. თამაში მთავრდება, როცა ყველა მოთამაშე მიიღებს მასში მონაწილეობას.

„მგელი ორმოში“

მოედნის სიგანეზე ავლებენ ორ ხაზს ერთმანეთისაგან 40-70 სმ-ის დაშორებით. ეს „ორმოა“, სადაც იმყოფება 2-3 „მგელი“, დანარჩენი მოთამაშეები „თხები“ არიან. მასწავლებლის ნიშანზე „თხები“ გადაახტებიან ორმოს. „მგლები“ კი ცდილობენ რომელიმე მათგანის დაჭერას. ორმოზე გადახტომისას დაჭრილი „თხა“ და ის „თხაც“, რომელიც ორმოზე გადახტომას ვერ მოასწრებს, თამაშიდან გადიან. თამაში მთავრდება მაშინ, როდესაც დაუჭერელი „თხების“ რაოდენობა გაუთანაბრდება „მგლების“ რაოდენობას.

„ვინ უფრო შორს ისვრის“

ბავშვები მოედანზე ეწყობიან 2-3 კოლონად. ერთმანეთისაგან 6-8 მეტრის დაშორებით და ერთიმეორის მიყოლებით გაივლება რამდენიმე ხაზი. კოლონის წინ მდგომთ ხელში უჭირავთ ნახერხით ან სილით დატენილი პარკები (200-250 გრამიანი). მასწავლებლის ნიშანზე ბავშვები წინ და შორს ისვრიან პარკებს. აღნიშნავენ, ვინ უფრო შორს გადაისროლა. პარკის გადამგდები გარბის მის ასაღებად, იღებს, ბრუნდება უკან, გადასცემს კოლონის მეორე მოთამაშეს და თვითონ დგება კოლონის ბოლოში. იგებს ის კოლონა, რომელსაც მეტი რაოდენობით აღმოაჩნდება შორ მანძილზე გადაგდებული პარკები.

ჩვენს მიერ ნაშრომში წარმოდგენილი ვარჯიშების სისტემატური გეგმაზომიერი გამოყენება ხელს შეუწყობს V-VI კლასის მოზარდებში ფიზიკური ძალის განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს მათ VII კლასიდან მომავალი სპორტის სახეობის არჩევაში.

ლიტერატურა:

1. ფალავანდიშვილი მ., მოძრავი თამაშობანი ბავშვებისათვის, თბ., 1994.
2. სპორტის თეორია, თბ., 2007.
3. გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, სპორტი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.
4. www.sportandyoth.ge

ფუნქციები სასრული ვარიაციებით

თამარ მინდიაშვილი, ცისნამი მელაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** სრული პროფესორი

ვთქვათ $[a;b]$ სეგმენტზე განსაზღვრულია $f(x)$ ფუნქცია. დავყოთ $[a;b]$ სეგმენტი ქვესეგმენტებად შემდეგი წერტილებით:

$$a = x_0 < x_1 < x_2 < \ldots < x_n = b$$

და შევადგინოთ ჯამი

$$S = |f(x_1) - f(x_0)| + |f(x_2) - f(x_1)| + \ldots + |f(x_n) - f(x_{n-1})| = \sum_{k=1}^{n} |f(x_k) - f(x_{k-1})|$$

$[a;b]$ სეგმენტის ყოველ დანაწილებას ქვესეგმენტებად შეესაბამება არაუარყოფითი რიცხვი S. ავღნიშნოთ H-ით ყველა S რიცხვის სიმრავლე. H სიმრავლის ზუსტ ზედა საზღვარს ეწოდება $f(x)$ ფუნქციის სრული ვარიაცია და აღინიშნება $\overset{a}{\underset{b}{V}} f$, თუ $\overset{a}{\underset{b}{V}} f < +\infty$, მაშინ $f(x)$ ფუნქციას ეწოდება ფუნქცია სასრული ვარიაციით.

თეორემა 1

$[a;b]$ სეგმენტზე მონოტონური $f(x)$ ფუნქცია არის ფუნქცია სასრული ვარიაციით და $\overset{a}{\underset{b}{V}} f =$ $|f(b) - f(a)|$.

დამტკიცება: თუ $f(x)$ ფუნქცია ან ზრდადია ან არაკლებადი, მაშინ $\sum_{k=1}^{n} |f(x_k) - f(x_{k-1})| =$ $\sum_{k=1}^{n} f(x_k) - f(x_{k-1}) = f(b) - f(a)$ ვინაიდან $f(x_k) - f(x_{k-1}) \geq 0 \quad k = 1,2,\ldots,n$ მაშასადამე $\overset{a}{\underset{b}{V}} f =$ $f(b) - f(a)$, ანალოგიურად თუ $f(x)$ ფუნქცია ან კლებადია ან არაზრდადი, მაშინ $\overset{a}{\underset{b}{V}} f =$ $f(a) - f(b) = |f(b) - f(a)|$. რ.დ.გ.

მაგალითი 1: ვთქვათ, მოცემული გვაქვს შემთხვევითი სიდიდე დისკრეტული ტიპის ξ, რომლის განაწილების კანონს აქვს სახე

ξ	0	1	2	3	4
P	$\frac{1}{11}$	$\frac{2}{11}$	$\frac{3}{11}$	$\frac{4}{11}$	$\frac{1}{11}$

მაშინ ამ შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$F_\xi(x) = p[\xi \le x],\ \ x \in R = \begin{cases} 0 & x < 0 \\ \frac{1}{11} & 0 \le x < 1 \\ \frac{3}{11} & 1 \le x < 2 \\ \frac{6}{11} & 2 \le x < 3 \\ \frac{10}{11} & 3 \le x < 4 \\ 1 & x \ge 4 \end{cases}$$

ამ $F_\xi(x)$ ფუნქციის სრული ვარიაცია $[0;4]$ სეგმენტზე ტოლი იქნება $\overset{4}{\underset{0}{V}}(F) = F(4) - F(0) = 1 - \frac{1}{11} = \frac{10}{11}$,

ხოლო $\overset{4}{\underset{-1}{V}}(F) = F(4) - F(-1) = 1 - 0 = 1$.

თუ $X __ N(0,1)$ ე.ი $M(x) = 0 \quad D(x) = 1$ ნ$(x) = 1$. $F_\xi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^{x} e^{-\frac{t^2}{2}} dt$.

$F_x(x)$ უწყვეტი R-ზე=$(-\infty,+\infty)$ და $0 \le F_X(x) \le 1$, ზრდადია და ამიტომ ნებისმიერ $[a;b]$-ზე

$0 \le \overset{b}{\underset{a}{V}} F_X = F(b) - F(a) \le 1$; $\overset{b}{\underset{a}{V}} F = F(b) - F(a) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_a^b e^{-\frac{x^2}{2}} dx$

ცნობილია შემდეგი თეორემები.

თეორემა 2

თუ $[a;b]$ სეგმენტზე $f(x)$ არის ფუნქცია სასრული ვარიაციით, მაშინ $f(x)$ შემოსაზღვრულია ამ სეგმენტზე.

თეორემა 3

თუ $f(x)$ არის ფუნქცია სასრული ვარიაციით $[a;b]$ სეგმენტზე, მაშინ $f(x) = \overset{x}{\underset{a}{V}}(f)$ ფუნქცია ზრდადი ფუნქციაა $[a;b]$-ზე.

დამტკიცება: ავიღოთ ნებისმიერი ორი წერტილი $a \le x_1 < x_2 \le b$, მაშინ $\overset{x_2}{\underset{a}{V}}(f) = \overset{x_1}{\underset{a}{V}}(f) + \overset{x_2}{\underset{x_1}{V}}(f)$. აქედან

ცხადია, რომ $f(x_2) = \overset{x_2}{\underset{a}{V}}(f) \le f(x_1) = \overset{x_1}{\underset{a}{V}}(f)$.

თეორემა 4

თუ $f(x)$ არის ფუნქცია სასრული ვარიაციით $[a;b]$ სეგმენტზე, მაშინ $f(x) = \overset{x}{\underset{a}{V}}(f)$ ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს $[a;b]$ სეგმენტზე I რიგის წყვეტის წერტილები და მათი რაოდენობა შეიძლება იყოს თვლადი.

დამტკიცება: რადგან $\overset{x}{\underset{a}{V}}(f)$ არაკლებადი ფუნქციაა და შემოსაზღვრული ამიტომ ცნობილია, რომ ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს I რიგის თვლადი რაოდენობა წერტილებისა.

მაგალითი 2: განვიხილოთ დისკრეტული ტიპის შემთხვევითი სიდიდე განაწილებული პუასონის კანონით:

ξ	0	1	2	...	n	…
p	$e^{-\lambda}$	$\frac{\lambda}{1!}e^{-\lambda}$	$\frac{\lambda^2}{2!}e^{-\lambda}$	…	$\frac{\lambda^n}{n!}e^{-\lambda}$	…

მის განაწილების ფუნქციას აქვს თვლადი რაოდენობა წყვეტის წერტილებისა {0, 1, 2, ... , n, …} და

$$F_\xi(x)=\begin{cases} 0 & x<0 \\ e^{-\lambda} & 0\le x<1 \\ e^{-\lambda}+\frac{\lambda}{1!}e^{-\lambda} & 1\le x<2 \\ \dots & \\ e^{-\lambda}+\frac{\lambda}{1!}e^{-\lambda}+\dots+\frac{\lambda^{n-1}}{(n-1)!}e^{-\lambda} & n-1\le x<n \\ \dots & \end{cases}$$

ვთქვათ ნებისმიერი $[n;n+1]$ სეგმენტზე $\overset{n+1}{\underset{n}{V}}(F_\xi)=F(n+1)-F(n)=\left(\frac{\lambda^{n+1}}{(n+1)!}-\frac{\lambda^4}{n!}\right)e^{-\lambda}\le 1$ ტოლია.

მაგალითი 2 გვიჩვენებს, რომ შეიძლება $f(x)$ ფუნქციას ჰქონდეს თვლადი რაოდენობა I გვარის წყვეტის წერტილები $[a;b]$ სეგმენტზე და ამ ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს სასრული ვარიაცია.

შენიშვნა: საზოგადოდ შეიძლება უწყვეტ $f(x)$ ფუნქციას $[a;b]$ სეგმენტზე არ ჰქონდეს სასრული ვარიაცია.

მაგალითი 3:

$$f(x)=\begin{cases} x\sin\frac{\pi}{2x}, & 0<x\le 1 \\ 0, & x=0 \end{cases}$$

ეს ფუნქცია უწყვეტია $[0;1]$ სეგმენტზე და არა აქვს სასრული ვარიაცია. მართლაც

$$x_0=0<\frac{1}{2n+1}<\frac{1}{2n}<\frac{1}{2n-1}<\frac{1}{2n-2}<\dots<\frac{1}{4}<\frac{1}{3}<\frac{1}{2}<1=x_n.$$

ცხადია, რომ $f\left(\frac{1}{2k+1}\right)=\frac{(-1)^k}{2k+1}$ $f\left(\frac{1}{2k}\right)=0$ $k=1,2,\dots,n.$

$f(0)=0$ $f(1)=1$, მაშასადამე

$$S=\left|f\left(\frac{1}{2n+1}\right)-f(0)\right|+\left|f\left(\frac{1}{2n}\right)-f\left(\frac{1}{2n+1}\right)\right|+\dots+\left|f\left(\frac{1}{2}\right)-f\left(\frac{1}{3}\right)\right|+\left|f(1)-f\left(\frac{1}{2}\right)\right|=$$

$$=\frac{2}{2n+1}+\frac{2}{2n-1}+\dots+\frac{2}{5}+\frac{2}{3}+1>1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\dots+\frac{1}{n}+\frac{1}{n+1}$$

ვინაიდან $\frac{1}{2k-1} > \frac{1}{k} \qquad k = 1,2,...,n+1$

მაგრამ $1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+...+\frac{1}{n}+\frac{1}{n+1}$ არის ჰარმონიული მწკრივის კერძო ჯამი, რომელიც უსაზღვროდ იზრდება n-თან ერთად. მაშასადამე $\overset{1}{\underset{0}{V}}(f) = +\infty$.

ცნობილია შემდეგი თეორემა:

თუ $f(x)$ არის ფუნქცია სასრული ვარიაციით $[a;b]$ სეგმენტზე და იგი უწყვეტია $[a;b]$-ზე, მაშინ $f(x) = \overset{x}{\underset{a}{V}}(f)$ უწყვეტია $[a;b]$ სეგმენტზე.

თეორემა

თუ $f(x)$ ფუნქცია უწყვეტია $[a;b]$ სეგმენტზე და $\overset{b}{\underset{a}{V}}(f) < +\infty$, მაშინ $f(x)$ ფუნქცია წარმოედგინება როგორც სხვაობა ორი ზრდადი დადებითი უწყვეტი ფუნქციებისა.

დამტკიცება: ვთქვათ $f(x) = \overset{x}{\underset{a}{V}}(f) \;\; a \le x \le b$

ცხადია, რომ $f(x)$ ზრდადი ფუნქციაა და უწყვეტი $[a;b]$ სეგმენტზე, განვიხილოთ შემდეგი ფუნქცია $\varphi(x) = \overset{x}{\underset{a}{V}} f - f(x) = \varphi(x) - f(x)$. ეს ფუნქცია უწყვეტია, რადგან $\varphi(x)$ და $f(x)$ უწყვეტი ფუნქციებია $[a;b]$ სეგმენტზე. ვაჩვენოთ, რომ $\varphi(x)$ ზრდადი ფუნქციაა $[a;b]$-ზე. ავიღოთ $[a;b]$ სეგმენტიდან x-ის ორი ნებისმიერი მნიშვნელობა x_1, x_2, $x_1 < x_2$. გვაქვს

$$\varphi(x_2)-\varphi(x_1)=\left[\overset{x_2}{\underset{a}{V}} f-\varphi(x_2)\right]-\left[\overset{x_1}{\underset{a}{V}} f-\varphi(x_1)\right]=\left[\overset{x_1}{\underset{a}{V}}(f)-\overset{x_2}{\underset{x_1}{V}}(f)-\varphi(x_2)\right]-\left[\overset{x_1}{\underset{a}{V}} f-\varphi(x_1)\right]=\overset{x_2}{\underset{x_1}{V}}(f)-\left[f(x_2)-f(x_1)\right]$$

რადგანაც $f(x_2)-f(x_1) \le \overset{x_2}{\underset{x_1}{V}} f$, ამიტომ $\varphi(x_2)-\varphi(x_1) \ge 0$ ==> $\varphi(x_2) \ge \varphi(x_1)$, ე.ი $f(x) = f(x) - \varphi(x)$.

რადგანაც $f(x)$ და $\varphi(x)$ უწყვეტი ფუნქციები არიან $[a;b]$ სეგმენტზე, მაშინ ისინი შემოსაზღვრული ფუნქციებია $[a;b]$-ზე ე.ი $|f(x)| \le K_1 < +\infty$; $|\varphi(x)| \le K_2 < +\infty$.

ავიღოთ K_1 და K_2 მუდმივზე მეტი სასრული H რიცხვი და $f(x)$ ნაცვლად განვიხილოთ $f(x)$ +H და $\varphi(x)$ ნაცვლად განვიხილოთ $\varphi(x)$+H მივიღებთ $f(x) = f(x) - \varphi(x) = (f(x)+H) - (\varphi(x)+H)$ ამ დაშლაში $f(x)$ +H და $\varphi(x)$+H ზრდადი, უწყვეტი და დადებითი ფუნქციებია.

მაგალითი 4: ვთქვათ ξ განაწილებულია ნორმალური განაწილების კანონით და მის სიმკვრივეს აქვს სახე $f_\xi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} e^{-\frac{x^2}{2}}$, ხოლო მისი განაწილების ფუნქციაა $F_\xi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^{x} e^{-\frac{t^2}{2}} dt$. ცხადია, რომ $F_\xi(x)$ უწყვეტი ფუნქციაა მთელ R-ზე $0 \le F_\xi(x) \le 1$ და ზრდადი ფუნქციაა. ცხადია, რომ ნებისმიერ $[a;b]$ სეგმენტზე $\overset{b}{\underset{a}{V}} F_\xi(x) = F(b) - F(a)$ და ამ თეორემის გამოყენებით $F_\xi(x) = (f(x)+3) - (\varphi(x)+3)$, სადაც $f(x) = \overset{x}{\underset{a}{V}} F$ და $\varphi(x) = f(x) - F_\xi(x)$ და $f(x)+3$ და $\varphi(x)+3$ უწყვეტი, დადებითი მონოტონური ფუნქციებია $[a;b]$-ზე.

ლიტერატურა:

1. ჭელიძე ვლ., ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, თბ., 1964.
2. ალექსიძე ლ., ზერაკიძე ზ., ალბათობათა თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბ., 2009.

კრიპტოგრაფია და ინფორმაციული უსაფრთხოება

დათო პაპიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი,** სრული პროფესორი

შეტყობინება წარმოადგენს ღია ტექსტს. შეტყობინების და ასევე ნებისმიერი ინფორმაციის დაცვა აუცილებელია, რადგან ისინი ხშირად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ. ამისთვის კი ამ ინფორმაციას ხშირად შიფრავენ.

დაშიფვრა (შიფრაცია) - დასაიდუმლოების მიზნით ღია ტექსტის გარდაქმნა.

გაშიფვრა (დეშიფრაცია) - დაშიფრული ტექსტიდან ღია ტექსტის აღდგენა.

კრიპტოგრაფია - დარგი, რომელიც სწავლობს შიფრაციისა და დეშიფრაციის ამოცანებს.

ინფორმაციული უსაფრთხოება არის ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების დაცვა არაავტორიზირებული წვდომისაგან. დღეისთვის, როდესაც ინფორმაციულ სისტემებს (ინტერნეტი, კომპიუტერი, მობილური, სოციალური ქსელები, საკომუნიკაციო საშუალებები, ინფორმაციის მატარებლები და სხვ.) აქვს მნიშვნელოვანი როლი ჩვენ ცხოვრებაში (როგორც პირად, ასევე სამსახურებრივ მხარეს), ისმის მისი და მასში მოთავსებული ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხიც.

კეისარი იყო პირველი ცნობილი ისტორიული პერსონაჟი, რომელმაც გამოიყენა დაშიფვრის ეს ტექნიკა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ტექნიკა მანამდეც იყო გამოყენებული, მისი ნათესავის ავგუსტუსის მიერ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ბიჯი იყო ერთი. მან პირველმა გამოიყენა დაშიფვრა ბიჯით 3 მარცხნივ, სამხედრო სახის მიმოწერაში. კეისრის კოდი შეიძლება გატყდეს ძალიან ადვილად - ავიღოთ ტექსტის რაღაც ნაწილი და ჩამოვწეროთ ცხრილში მისი ყველა შესაძლო ბიჯი.

კრიპტოგრაფია (წარმოიშვა ბერძნული სიტყვებიდან κρυπτός „კრიპტოს“ — ფარული, და ზმნიდან γράφω „გრაფო“ — წერა, ანუ ფარული წერა) არის მეცნიერება ინფორმაციის დაფარვის შესახებ. კრიპტოგრაფია განიხილება, როგორც მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების განაყოფი და მჭიდროდ დაკავშირებულია მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორებიცაა ინფორმაციის თეორია, კომპიუტერული უსაფრთხოება და ინჟინერინგი. დღესდღეობით იგი გამოიყენება ტექნოლოგიურად განვითარებულ სფეროებში, როგორიცაა: საკრედიტო ბარათები, კომპიუტერული პაროლები, ელექტრონული კომერცია და მრავალი სხვა. კრიპტოგრაფიული სისტემა ყოველთვის გულისხმობს 2 ან მეტ მონაწილეს, „გამგზავნს“ და „მიმღებს“, რომელთაც სურთ ერთმანეთს გადასცენ რაიმე სახის ინფორმაცია ისე, რომ ამ სისტემის გარეშე პირმა ვერ შეძლოს ამ ინფორმაციის მოპოვება (კერძო შემთხვევებში მონაწილე შეიძლება იყოს ერთი პირი, რომელსაც სურს მოახდინოს ინფორმაციის საიმედოდ შენახვა, ანუ ინფორმაცია გადასცეს თავის თავს, ოღონდ მომავალში). თვითონ გადასაცემ ინფორმაციას ეწოდება ღია ტექსტი. ინფორმაციის სახეცვლილებას ისე, რომ დაფარულ იქნას მისი აზრი, შიფრაციას უწოდებენ, უკუპროცესს — დეშიფრაციას, მიღებულ შედეგს — შიფროტექსტს, ხოლო შიფრაცია/დეშიფრაციის ალგორითმს — შიფრს. ეს პროცესი უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია გასაღებზე. ეს არის საიდუმლო პარამეტრი, რომელიც ცნობილია მხოლოდ ურთიერთმოკავშირე მხარეებისათვის. შიფრები გასაღების გარეშე უსარგებლოა, რადგან არსებობს მათი გატეხვის ტრივიალური ხერხები. კრიპტოსისტემა წარმოადგენს შიფრის, ყველა შესაძლო ღია ტექსტის, შიფროტექსტის და გასაღების ერთობლიობას. კრიპტოგრაფიული პროტოკოლები წარმოადგენენ წესების ერთობლიობას, რომლებიც სრულდება კრიპტოგრაფიული სისტემის მონაწილეების მიერ, თანამიმდევრობით და უპირობოდ.

ტერმინი „კოდი“ კრიპტოგრაფიაში აღნიშნავს ჩვეულებრივი ტექსტის ნაწილის შეცვლას კოდურის სიტყვით ან ფრაზით (მაგ., „ხმალი“ შესაძლოა აღნიშნავდეს „გაანადგურე მტერი“). კოდები სერიოზულ კრიპტოგრაფიაში აღარ გამოიყენება, რადგან მისი გამოყენება მოითხოვს, მონაცემთა გადაცემამდე მოკავშირეთა შორის ყველა შესაძლო მონაცემი შესაბამისი სიტყვებით კოდირებული და ურთიერთშეთანხმებული იქნას. ამავე დროს ყოველთვის არსებობს მონაცემთა სიმრავლე, რომელთათვისაც შესაბამისი კოდური სიტყვა ჯერ არ შეთანხმებულა. შიფრები უფრო მოსახერხებელია და ამავე დროს უფრო მისადაგებული კომპიუტერულ გამოთვლებთან.

თანამედროვე ერამდე კრიპტოგრაფია გამოიყენებოდა შეტყობინებათა საიდუმლოების დასაცავად — ტექსტის გარდაქმნით სიმბოლოების გაურკვეველ ნაკრებად ისე, რომ უკუგარდაქმნა იოლი ყოფილიყო მხოლოდ შეტყობინების ადრესატისათვის. უკანასკნელ ათწლეულებში კრიპტოგრაფიამ ისეთი ფუნქციებიც შეიძინა, როგრებიცაა შეტყობინების მთლიანობის შემოწმება, აუთენტიფიკაცია, ციფრული ხელმოწერა, პირადობის შემოწმება, საიდუმლო გამოთვლები და სხვ.

შიფრის კლასიკური ტიპებია გადანაცვლებადი შიფრი (ტექსტში ხდება სიმბოლოების გარკვეული გადაადგილება) და ჩანაცვლებადი შიფრი (ტექსტში ხდება ერთი სიმბოლოს ან სიმბოლოების ჯგუფის სხვებით შეცვლა). ჩანაცვლებადი შიფრის პირველი ცნობილი მაგალითია იულიუს კეისრის შიფრი, რომელშიც ლათინური ანბანის ყოველი ასო იცვლებოდა მისგან მარჯვნივ 3 პოზიციით დაცილებული სიმბოლოთი.

კლასიკური შიფრებით დამუშავებული ტექსტი (შიფროტექსტი) ყოველთვის შეიცავდა გარკვეულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც საშუალებას იძლეოდა საწყისი ტექსტის აღდგენისა. IX-ე საუკუნეში არაბი მათემატიკოსის მიერ სიხშირული ანალიზის აღმოჩენის შემდეგ, ასეთი შიფრების გატეხვა გაცილებით იოლი გახდა. 1467 წელს იტალიელმა ლეონ ბატისტა ალბერტიმ გამოიგონა პოლიალფაბეტური შიფრი, რომლითაც ტექსტის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა შიფრით იშიფრებოდა. მანვე გამოიგონა პირველი მექანიკური დამხმარე მოწყობილობა (ბორბალი). ვიგენერის პოლიალფაბეტურ შიფრში გამოიყენებოდა პაროლი, რომელიც განსაზღვრავდა, ტექსტის რომელი სიმბოლო შიფრის რომელი სიმბოლოთი უნდა შეცვლილიყო. 1800 წელს ბებიჯმა დაამტკიცა, რომ ასეთი ტიპის პოლიალფაბეტური შიფრებიც ექვემდებარებოდა გარკვეულ სიხშირულ ანალიზს.

მიუხედავად იმისა, რომ სიხშირული ანალიზი საკმაოდ მძლავრი საშუალებაა კრიპტოანალიზისათვის, ის მაინც შედარებით უცნობ მეთოდად რჩებოდა. ამ მეთოდის გარეშე შიფრის გატეხვა მოითხოვდა შიფრის ალგორითმის ცოდნას, რასი მოპოვებაც შპიონაჟით, მოქრთამვებითა და გამოძალვებით ხერხდებოდა. XIX საუკუნეში დადგინდა, რომ შიფრის ალგორითმის საიდუმლოდ შენახვა შიფრის დაცულობის გარანტი არ არის და რომ შიფრი დაცული უნდა რჩებოდეს მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე სრულად ფლობს გამოყენებული შიფრის ალგორითმის შესახებ ინფორმაციას. სხვა სიტყვებით, იდეალური შიფრის დაცულობა დამოკიდებული უნდა იყოს შიფრის გასაღების (პაროლის) დაცულობაზე. კრიპტოგრაფიის ეს ფუნდამენტური პრინციპი პირველად ჩამოაყალიბა 1883 წელს ავგუსტ კერჰოფმა („კერჰოფის პრინციპი“), შემდგომში ეს პრინციპი განავრცო კლოდ შენონმა — „მტერი იცნობს სისტემას“.

კრიპტოგრაფიაში მრავალი ხელსაწყო და მექანიზმი იქნა გამოყენებული. პირველი ცნობილი მაგალითია ძველ საბერძნეთში სპარტელების მიერ გამოყენებული ღვედი გადანაცვლებადი შიფრისათვის. პოლიალფაბეტურ შიფრებთან ერთად გამოჩნდა ალბერტის შიფრის დისკი, ტრიტემიუსის სქემა და ჯეფერსონის ცილინდრები. რამდენიმე შიფრაცია-დეშიფრაციის მოწყობილობა იქნა გამოგონებული XX საუკუნის დასაწყისში, მათ შორის როტორული მანქანები. მათგან ყველაზე ცნობილი, ენიგმა, გერმანელების მიერ გამოყენებულ იქნა II მსოფლიო ომში. ამ ტიპის მანქანებმა კარდინალურად გაზარდა კრიპტოანალიზის სირთულე.

კომპიუტერების გამოჩენამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო გაცილებით რთული და დახვეწილი შიფრები. შესაძლებელი გახდა დაშიფრულიყო ყველანაირი მონაცემი ბინარულ ფორმატში. კომპიუტერული შიფრები უმეტესწილად მანიპულირებენ ბიტებზე ან ბიტების ჯგუფებზე, განსხვავებით კლასიკური პოლიალფაბეტური შიფრებისაგან, რომლებიც ტექსტის ცალკეულ სიმბოლოებს ამუშავებდნენ. ამავე დროს გაადვილდა შიფრების კრიპტოანალიზი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე შიფრები მონაცემების დაცვის მაღალ დონეს უზრუნველყოფენ, მათი კრიპტოანალიზის გზით გატეხვა იმდენად კოლოსალურ გამოთვლით და დროით რესურსებს მოითხოვს, რომ პრაქტიკულად შეუძლებლად მიიჩნევა.

ინტენსიური ღია კვლევები კრიპტოგრაფიის დარგში შედარებით ახლო პერიოდში დაიწყო — 70-იან წლებში ეს იყო DES-ის (Data Encryption Standard) გამოქვეყნებული სპეციფიკაციები, დიფი-ჰელმანი და RSA ალგორითმი. მას შემდეგ ინტენსიურად დაიწყო კრიპტოგრაფიის გამოყენება კომუნიკაციებში, კომპიუტერულ ქსელებსა და მთლიანად კომპიუტერულ უსაფრთხოებაში. თანამედროვე კრიპტოგრაფიული სისტემების დაცულობა დამოკიდებულია გარკვეულ მათემატიკურ პრობლემებზე, მაგ., რიცხვის ფაქტორიზაცია, დისკრეტული ლოგარითმები და ელიპსური მრუდეები. დამტკიცებულია, რომ ასეთი კრიპტოგრაფიული სისტემა დაცულია, თუ მათემატიკური პრობლემის ეფექტურად და მოკლე დროში გადაჭრა შეუძლებელია. გამონაკლისია „ერთჯერადი ბლოკნოტი“, არ არსებობს მისი გატეხვის თეორიული გზა და წარმოადგენს იდეალურ კრიპტოგრაფიულ ალგორითმს.

თუ XX საუკუნემდე კრიპტოგრაფია ძირითადად მანიპულირებდა სიმბოლოებზე და იყენებდა ლინგვისტიკის ელემენტებს. XX საუკუნიდან ხდება მათემატიკის ინტენსიური გამოყენება ინფორმაციის

თეორიის, სტატისტიკის, კომბინატორიკის, აბსტრაქტული ალგებრის და რიცხვთა თეორიის ჩათვლით. ბოლო წლებში მიმდინარეობს კრიპტოგრაფიაში კვანტური ფიზიკის ელემენტების შემოტანაც.

თანამედროვე კრიპტოგრაფია ძალიან რთულია და ბევრ სხვადასხვა სახის მომდინარეობას შეიცავს. თანამედროვე კრიპტოგრაფიაში ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ინფორმაცია საიმედოდ იყოს დაცული.

სიმეტრიული კრიპტოგრაფია იყენებს მეთოდებს, რომლის დროსაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები იყენებენ ერთსა და იმავე გასაღებს (იშვიათად სხვადასხვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი გასაღები იოლად გამოითვლება მეორიდან). 1976 წლამდე ეს შიფრაციის ერთადერთი მეთოდი იყო. თანამედროვე სიმეტრიული კრიპტოგრაფია დაკავშირებულია ძირითადად ბლოკურ შიფრებთან, ნაკადურ შიფრებთან და მათ გამოყენებასთან.

ბლოკური შიფრი წარმოადგენს ფაქტობრივად პოლიალფაბეტური შიფრის მოდიფიკაციას: აიღება საწყისი ტექსტის გარკვეული სიგრძის ნაწილი (ბლოკი) და გასაღები, შედეგად მიიღება იგივე (იშვიათად განსხვავებული) სიგრძის შიფროტექსტი. შიფროტექსტის შემადგენელი ბლოკების ერთმანეთთან შერწყმისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებსაც მთლიანობაში ქმედების რეჟიმი ეწოდებათ. მონაცემთა შიფრაციის სტანდარტი (Data Encryption Standard — DES) და გაუმჯობესებული შიფრაციის სტანდარტი (Advanced Encryption Standard — AES) წარმოადგენენ ბლოკურ შიფრებს. DES (და მისი ნაირსახეობა 3DES) ჯერაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ალგორითმად და ფართოდ გამოიყენება. თუმცა მისი გასაღების სიგრძის არასაკმარისობის გამო, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა, უფრო თანამედროვე ალგორითმებით. დღემდე გამოგონილია მრავალი ბლოკური შიფრი, მათი უმეტესობა გატეხილია წარმატებული კრიპტოანალიზის შედეგად.

ნაკადური შიფრი ქმნის განუსაზღვრელი სიგრძის გასაღებს, რომელიც შემდგომ უერთდება საწყის ინფრომაციას (ბიტობრივად ან ბაიტობრივად). გამომავალი ინფორმაცია დამოკიდებულია შიფრის შინაგან მდგომარეობაზე, რომელიც მოქმედების მიმდინარეობისას იცვლება. საწყისი მსგომარეობა დამოკიდებულია შიფრის გასაღებზე (ზოგიერთ ნაკადურ შიფრში ტექსტზეც). ნაკადური შიფრის მაგალითია RC4.

კრიპტოგრაფიული ჰეშ-ფუნქციები (ტექსტის ანაბეჭდის ფუნქციები) წარმოადგენენ კრიპტოგრაფიული ალგორითმების მნიშვნელოვან კლასს. ისინი იღებენ საწყის მნიშვნელობად ტექსტს და უკან აბრუნებენ ფიქსირებული სიგრძის ჰეშს, რომლის დაკავშირება საწყის მნიშვნელობასთან პრობლემას წარმოადგენს. ასეთ ფუნქციებს ცალმხრივ ფუნქციებსაც ეძახიან. საუკეთესო ალგორითმებისათვის კოლიზიები (ორი ტექსტი, რომელთა ჰეში ერთი და იგივეა) რთული მოსაძებნი უნდა იყოს და ამის ალბათობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

შეტყობინების აუთენტიფიკაციის კოდები ჰეშ-ფუნქციების მსგავსია იმ განსხვავებით, რომ ჰეშ-მნიშვნელობის შესამოწმებლად გამოიყენება საიდუმლო გასაღები.

სიმეტრიული კრიპტოგრაფია იყენებს 1 გასაღებს შიფრაციისათვის და დეშიფრაციისათვის. ამ მეთოდის უპირველეს ნაკლს გასაღების მართვის აუცილებლობა წარმოადგენს. ქსელში ყოველ სხვადასხვა წყვილს უწევს იქონიოს ცალკე გასაღები, რაც წყვილთა რაოდენობის გაზრდისას გასაღებების რაოდენობის კვადრატული პროპორციით გაზრდას იწვევს.

1976 წელს უიტფილდ დიფიმ და მარტინ ჰელმანმა წარმოადგინეს ასიმეტრიული კრიპტოგრაფია — კარდინალურად განსხვავებული კონცეფცია, რომელშიც გამოიყენება ორი სხვადასხვა, მაგრამ მათემატიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული გასაღები — ღია და ფარული გასაღებები. ამავე დროს ფარული გასაღების მიღება ღია გასაღებიდან მოითხოვს კოლოსალურ გამოთვლით რესურსებს. ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში ღია გასაღები შეიძლება ყველასთვის ცნობილი იყოს, ამავე დროს ფარული გასაღები საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ტიპიურ შემთხვევაში ფარული გასაღები გამოიყენება შიფრაციის დროს, ხოლო ღია გასაღები დეშიფრაციის დროს. დიფიმ და ჰელმანმა ასევე წარმოადგინეს დიფი-ჰელმანის გასაღების გაცვლის პროტოკოლი.

1978 წელს კრიპტოგრაფების ჯგუფმა რონალდ რივესტის, ადი შამირის და ლენ ედლმანის შემადგენლობით შექმნეს მეორე ასიმეტრიული კრიპტოსისტემა RSA. დიფი-ჰელმანის და RSA ალგორითმები დღეს ფართოდ არის გავრცელებული. არსებობს ასევე რამდენიმე სხვა კრიპტოსისტემა, რომელიც ღია გასაღების კონცეფციას იყენებს.

შიფრაციის გარდა ასიმეტრიული კრიპტოგრაფია ციფრული ხელმოწერებისათვისაც გამოიყენება. ციფრული ხელმოწერა ჩვეულებრივ ხელმოწერას იმით წააგავს, რომ მისი მფლობელისათვის მისი შექმნა და განკარგვა მარტივია, ხოლო უცხო პირისათვის მისი დუბლირება — შეუძლებელი. ციფრული ხელმოწერები გამოიყენება 2 ალგორითმში:

1) ხელმოწერა, სადაც ფარული გასაღები გამოიყენება ტექსტის ან ტექსტის ჰეშის შიფრაციისათვის, ხოლო
2) შემოწმება, სადაც ღია გასაღების მეშვეობით ხდება დეშიფრაცია, მოწმდება ტექსტის ჰეში და ამდენად

ტექსტის მთლიანობა და ხელმოწერის ნამდვილობა. RSA და DSA წარმოადგენენ ციფრული ხელმოწერის ყველაზე გავრცელებულ ალგორითმებს და ფართოდ გამოიყენება ისეთ პროტოკოლებში, როგორებიცაა SSL/TSL, VPN და სხვ.

ღია გასაღების კრიპტოსისტემები დაფუძნებულია „ძნელი“ პრობლემების გამოთვლით სირთულეზე. მაგალითად RSA ემყარება რიცხვის ფაქტორიზაციის პრობლემას (ანუ დიდი რიცხვის დაშლას მარტივ მამრავლებად), ხოლო დიფი-ჰელმანის ალგორითმი ეფუძნება დისკრეტული ლოგარითმების პრობლემას. ასეთი სისტემების უმეტესობაში ინტენსიურად გამოიყენება მოდულით გამრავლება და ახარისხება, შესაბამისად გაცილებით მეტი გამოთვლითი სიმძლავრეა საჭირო, ვიდრე სიმეტრიულ სისტემებში. ამიტომ ღია გასაღების კრიპტოსისტემები ძირითადად გამოიყენება, როგორც ჰიბრიდული სისტემები, სადაც ინფორმაციის შიფრაცია/დეშიფრაციისათვის გამოიყენება სწრაფი სიმეტრიული ალგორითმები, ხოლო მისი გასაღების მართვისა და გადაცემისათვის გამოიყენება შედარებით ნელი ასიმეტრიული ალგორითმები.

ამ ყველაფრის მიუხედავად, უსაფრთხოება მაინც გადასაწყვეტი პრობლემაა. ბოროტგანმზრახველს, რომელსაც აქვს გასაღები (მოპოვებული მოპარვით, გამოძალვით, დაშინებით, სოციალური ინჟინერიით ან სხვა გზებით), შეუძლია ნებისმიერ დროს აღადგინოს ამ გასაღებით დაცული ნებისმიერი დაშიფრული ინფორმაცია.

ამჟამად სიმეტრიული ალგორითმებისათვის მეტ-ნაკლებად უსაფრთხო გასაღების მინიმალურ სიგრძედ მიჩნეულია 80 ბიტი, ხოლო 128 ბიტი სიგრძის გასაღები ითვლება საკმაოდ ძლიერ გასაღებად. ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში გამოყენებულ გასაღებებს გააჩნიათ გარკვეული მათემატიკური სტრუქტურა, კერძოდ დამოკიდებულნი არიან ორ დიდ მარტივი რიცხვის ნამრავლზე. ეს ინფორმაცია უკვე წარმოდგენას იძლევა გასაღების სტრუქტურაზე, ამიტომ ასეთი სახის კრიპტოგრაფიაში გამოყენებულ გასაღებს გაცილებით მეტი სიგრძე მოეთხოვება. დღესდღეობით დაცულად ითვლება 3072 და მეტი ბიტი სიგრძის მქონე გასაღები.

ყველა ამ ალგორითმის აბსოლუტური მდგრადობა თეორიულად ჯერ არ არის დამტკიცებული. ნებისმიერ დროს შესაძლოა აღმოჩენილ იქნას მათემატიკური მეთოდი, რომლითაც მოხდება ამ ალგორითმების გატეხვა. ასევე იზრდება კომპიუტერული ტექნიკის გამოთვლითი სიმძლავრეები, რაც გადარჩევის დროს ამცირებს. ამიტომაც პრაქტიკულ სისტემებში ცდილობენ გამოიყენონ მაქსიმალურად დიდი სიგრძის გასაღებები. გასაღების გამოცნობის თავიდან აცილების მიზნით, გასაღებები უნდა გენერირებულ იქნას შემთხვევითი რიცხვების გენერატორით და ჰქონდეს საკმარისი ენტროპია. საკმარისად დაცული გასაღებების გენერირება წარმოადგენს ცალკე კრიპტოგრაფიულ პრობლემას და სხვადასხვა სისტემებში შესაძლოა სხვადასხვანაირად იქნას გადაწყვეტილი. ზოგიერთ სისტემაში ხდება ენტროპიის "შეკრება" სხვადასხვა აპარატული წყაროებიდან, რომელთა ქმედების დროის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგ., მყარი დისკის თავაკის მოძრაობა. და ბოლოს, როდესაც რაიმე პაროლი (ან ფრაზა) გამოიყენება როგორც გასაღები, კრიპტოგრაფიული სისტემების მიერ ჯერ ხდება მისი გატარება ე.წ. დერივაციულ ფუნქციაში, რომელიც გასაღებს უმატებს "დამატებით ინფორმაციას", შემდგომ კი კუმშავს (ან შლის) მას ალგორითმისთვის საჭირო (128, 192,256 ბიტი) სიგრძემდე.

ლიტერატურა:

1. Bernhard Esslinger, *CryptographyandMathematics,* version 1.3.3 november, 2008
2. Bruce Schneier, *Applied Cryptography*,Second Edition,1996
3. Sarah Flannery *In Code :A Mathematical Journey,* 2001
4. James Gannon, *Stealing Secrets, Telling Lies: How Spies and Code breakers Helped Shape the Twentieth Century*, Washington D.C., Brassey's, 2001
5. http://ka.wikipedia.org/wiki/კეისრის_კოდი
6. http://ka.wikipedia.org/wiki/კრიპტოგრაფია

ქართული სუფრის რეგიონალური თავისებურებანი და სადღეგრძელოები

მარიამ რაზმაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

ქართული სუფრის ტრადიციები მსოფლიოს ყველა კუთხეშია ცნობილი. ჩვენს სტუმართმოყვარეობას და გულუხვ დახვედრას არაერთი უცხოელი სტუმარი მოუჯადოებია. ჩვენმა ერმა საუკუნეების მანძილზე სტუმარ-მასპინძლობის მტკიცე ნორმები ჩამოაყალიბა. საქართველოს ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში სტუმარი ხელშეუხებელ პიროვნებად ითვლება. სტუმრის პატივისცემის ადათს ისე ჰქონდა გადგმული ფესვები, სახლში მოსული მოსისხლე მტრის დაცვაც კი სავალდებულო იყო. იმერელი თავისთვის მოიკლებს, რომ სტუმარს ასიამოვნოს, მაგრამ რაც უნდა კარგად მიიღოს სტუმარი, ბოლოს მაინც მოუბოდიშებს: ,,მაპატიე, ბატონო, თქვენს შესაფერისად თუ ვერ დაგხვდითო.” საქართველოს ყველა კუთხეს მისი ტრადიციული კერძები გააჩნია. კახეთის, ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის, რაჭის, სვანეთის, ხევსურეთის და სხვა კუთხეების კერძები თავისი გემოვნებით, მომზადების ტექნოლოგიით მართალია განსხვავდებიან, მაგრამ საერთო სტილით ერთიან ეროვნულ ქართულს წარმოადგენენ. განსაკუთრებით მდიდარია იმერული სუფრის ასორტიმენტი. აქ უდავოდ მოწინავე პოზიციები ბოსტნეულსა და რძის კერძებს უჭირავს. სუფრაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლობიოს, სუფრის შეძენილი კომპონენტებია ახალი კიტრისა და პომიდვრის სალათები, კარტოფილისაგან და ტყის მცენარეულობიდან მომზადებული კერძები. რძის ნაწარმიდან, უმეტეს შემთხვევაში, სუფრაზე გააქვთ თანაბარ ნაჭრებად დაჭრილი იმერული ყველი და სულგუნი. ყველთან ერთად ცხელი მჭადი და ღომი.

ყველისაგან რამდენიმე კერძსაც ამზადებენ. მაგალითად, ცხიმში შემწვარი ყველი, ყველი კვერცხთან ერთად, ყველი პამიდვრით და სხვ. იმერულ სუფრაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თევზის კერძებს. მათ შორის აღსანიშნავია კალმახი, ორაგული, ციმორი, ხრამული, წვერა, ფოთის კეფალი, კამბალა, ქაშაყი და სხვები. თევზეულობიდან უმთავრესად შემწვარი თევზის კერძებს ამზადებენ, რომელსაც აყოლებენ ტყემლის, ქინძის ნაშარაბის საწებლებსა და ნიგოზით მომზადებულ ,,ბაჟეს”. ცივი ხორცის კერძებიდან აღსანიშნავია კუჭმაჭი, შემწვარი გოჭის, ბატკნისა და თიკნის ხორცი, ლაბასხმული, მოხარშული გულ-ღვიძლი, ენა, ძეხვეულობა და სხვ. ფრინველებიდან ამზადებენ სხვადასხვა მეთოდით შემწვარ წიწილებს, მრგვლად მოხარშულ და შემწვარ ქათმებს, ჩახოხბილს, საცივს, ნივრის წვენში ჩაწყობილ წიწილებს. მეორე ასორტიმენტი, თავის ცხელი კერძების, ძალზე მრავალფეროვანია, ჩამოვთვლით რამოდენიმეს: მწვადს, ჩაშუშულს, კუპატს, ხინკალს და ა.შ. ფქვილოვანი ნაწარმიდან აღსანიშნავია იმერული ხაჭაპურები, შოთის პურები, სხვადასხვა სახის ნამცხვრები. რაც შეეხება ხილსა და დესერტს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ტკბილი სასმელებიდან მიღებულია ჩაი და ყავა. საწებლებიდან უმთავრესად სუფრაზე გამოაქვთ ახალი ტყემლის, ახალი პომიდვრის, მკვახე ყურძნის, ნიგვზის, ნივრის, ქინძძმარის საწებლები და სხვ. იმერული სუფრა თვით ქართველი ხალხის, ქართველი ერის ხნისაა. ჭირში და ლხინში გამოხატავდა ერის ზნეობას, კულტურასა და კეთილშობილებას, მის წიაღში იდუმალადაა განფენილი ქართული პატიოსნება და სიდარბაისლე.

სუფრაზე მტკიცედ არის დაცული უფროს-უმცროსის ეთიკური ნორმები, განსაკუთრებით მკვეთრად იხატება მოკრძალება მანდილოსნებისადმი, ეროვნული ადათ-წესებისა და, საერთოდ, ადამიანებისადმი სიყვარული. აუცილებლად სუფრის უფროსს - თამადას აირჩევენ.

ქართული სუფრა და ქეიფი არასდროს ყოფილა მარტო ღვინის სმაში გაჯიბრების ასპარეზი. ეს იყო სხარტი სიტყვა-პასუხის, სიყვარულის, ზრდილობის, ურთიერთპატივისცემის, რაინდული თავდაჭერილობის, ერისა და მამულისადმი ერთგულების დემონსტრაცია. სტუმრის დახვედრა ქართველ კაცს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, მაგრამ სტუმრიანობა დასაშვებ ვადებს არ უნდა გადაცილდეს. ამ შემთხვევაში იუმორით სავსე სხარტული გამონათქვამი შემოუნახავთ: ,,დილით ოქრო ხარ სტუმარო, შუადღით ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ შეგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.” ლხინში თამადის და, საერთოდ, სუფრის წევრების დათრობა ვაჟკაცობად არ ითვლება. უმთავრესად სადღეგრძელო პოეტური უნდა იყოს. მჭერმეტყველი თამადა სადღეგრძელოებში გაურევს ცის სილაჟვარდეს, ვარდის სურნელებას, მწვერვალთა ბუმბერაზობას, ჩანჩქერთა ელვარებას, კლდის სიმტკიცეს და ა.შ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სადღეგრძელო უნდა იყოს ამაღლებული, წამახალისებელი, სინამდვილესთან მიახლოებული.

სუფრასთან ყველას აქვს უფლება ერთმანეთს თვალი გაუსწოროს, აქ ისინი ძმები, მეგობრები, ახლობლები ხდებიან, ასეთი ქება შეუჩვეველ ყურს შეიძლება მლიქვნელადაც მოეჩვენოს. სუფრასთან, როგორც წესი, ცუდს და უარყოფით მხარეს არ ახსენებენ. თუ ასეთი გააჩნია ვინმეს, ტაქტიანად უსურვებენ ხასიათის ან თვისების შეცვლას, რა თქმა უნდა, დადებითისაკენ. სუფრის ასეთ წარმართვაში სმა-ჭამა მეორე პლანზე გადადის, მის ადგილს გონებამახვილობა და მჭერმეტყველება იკავებს. მუზა ყველას მოსდის და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შესაფერისი ლექსი, თქმულება, ანდაზა, ხალხური გამონათქვამი გამოიყენოს და სადღეგრძელო გაამდიდროს. ასეთ თამადაზე ზედგამოჭრილი ხალხური სიმღერაა: ,,ეს თამადა რა ყოფილა, ცოტა ღვინო გვამყოფინა.” განსაკუთრებით გამოკვეთილია იმერული სუფრა ქორწილში. ქორწილის ჩატარებას ქართველი, შეიძლება ითქვას, დიდი მზადებით ელოდება. საქორწილო სუფრაზე სადღეგრძელოების წყობა ოდნავ განსხვავებულია. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ქორწილი თამადების არჩევით და მათი დალოცვით იწყება. შემდეგ უკვე თამადის ინიციატივით წარმოითქმება მშვიდობის, საქართველოს, ნეფე–დედოფლის, მათი მშობლების, ხელისმომკიდეების, დედმამიშვილების, ბაბუებისა და ბებიების, ოჯახის, მაყრების, ოჯახის სტუმრების, მეზობლების, სუფრის მომსახურეების სადღეგრძელოები და ა.შ. ასევე სპეციალურად გაშლიდა ქართველი სუფრას, თუ ოჯახში პირველი ვაჟიშვილი ანუ გვარის გამგრძელებელი დაიბადებოდა, საცხოვრებელ სახლს ააშენებდა და გადახურავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ,,რთველის” სუფრა, როცა მშრომელი საბოლოოდ იწევს მთელი წლის ნაამაგარს. შესაფერისი სუფრები ეწყობა აგრეთვე საახალწლოდ და სხვა სადღესასწაულო დღეებშიც. ქართულ სუფრაზე განსაკუთრებული მოკრძალებით წარმოთქვამენ დედის სადღეგრძელოს. სიტყვა დედიდან გამოჰყავს თამადას დედასამშობლოს, დედაკაცის, დედაენის სადღეგრძელოები. იმერეთში ყველა ოჯახს აქვს 2-3 სახის ღვინო, რომელთაგან ერთი მაინც გამორჩეული იქნება. ეს ,,გამორჩეული” არაფრით ჩამოუვარდება ცნობილ სამარკო ღვინოებს. ამ შერჩეულით გაუმასპინძლდება იგი გზად ჩავლილ უცხო კაცს, თუ მის ჭიშკართან შეჩერდება და წყალს მოითხოვს. ჩვენი წინაპრები, როცა მადლიან ღვინოს ჭაშნიკს გაუსინჯავდა, აუცილებლად იტყოდა: ,,იმ მარჯვენას გაუმარჯოს, ვინც ეს ღვინო დასწურაო.” ქართველები ოდითგანვე სუფთა ღვინოს სვამდნენ. ქართული ღვინო, ,,სურნელოვნადაა” მოხსენიებულია ცნობილ ,,ოდისეაში.” საერთოდ, ჩვენთან ღვინოს ბლომად სვამენ, მაგრამ საქმეც ის იყო, იშვიათად თვრებოდნენ. ფრანგი მოგზაური შარდენი მე-17 საუკუნეში ქართველებზე წერდა: ,,არსად ისე ბლომად და ისეთ სურნელოვან ღვინოს არ სვამენ, როგორც საქართველოში”. ქართული სუფრა მისი ტრადიციებით უნიკალურია, ერის წარსულში ჩამოყალიბებული და ძვალ-რბილში გამჯდარი წეს-ჩვეულება არ უნდა დავივიწყოთ. რაც კარგია, შევინარჩუნოთ, უფრო განვავითაროთ.

ტრადიციულად, ქართული სუფრა გამოირჩეოდა სტუმარ-მასპინძელთა თავდაჭერილობითა და ზრდილობის მაღალი დონით. 1672 წელს ირანისკენ მიმავალმა ფრანგმა ვაჭარმა და იუველირმა შარდენმა საქართველოშიც გაიარა. ვახტანგ მეფემ ფრანგი ვაჭარი ძმისწულის ქორწილში მიიწვია. შარდენს თვალში ეცა სუფრაზე მონადიმეთა „წესიერება და თავდაჭერა“. „სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა ის ას ორმოცდაათი კაცი, რომელიც სეფაში იყო“, - წერდა იგი.

ღვინო კახური, პური ქართლური, ყველი თუშური, ხარჩო მეგრული, „ლილე” სვანური - სუფრა ქართული. ქართული სუფრა ქართველი ხალხის კულტურული და ყოფითი ტრადიციების შემადგენელი ნაწილია. მისი საწყისების ძებნა ძალიან შორს წაგვიყვანს. თავად ფაქტი, რომ ქართველებმა ჩვენი ქვეყნად დასახლების ლეგენდაც კი სუფრას, ლხინსა და დროსტარებას დაუკავშირეს უკვე მიანიშნებს, რომ იგი იყო და დღესაც არის ადამიანური ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ერთ–ერთი უმთავრესი ფორმა.

სუფრას შეიძლება სხვადასხვა სახე და მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ ამით მისი არსი არ შეიცვლება. ნათქვამია: „ყველი და პურიო - კეთილი გულიო”. სუფრაზე მსხდომთა მთავარი იმპულსი გულითადი მასპინძლობა და ლხინისა თუ მწუხარების თანაზიარობაა.

ქართული სუფრა სახარებასავით ოთხთავია: პური, ყველი, ღვინო და სიმღერა. ამ ოთხ ბურჯზე დაფუძნებულ ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოდ თქმული უფლის დიდება, წარსულის ქება თუ მომავლის რწმენა საკურთხეველში წარმოთქმულ ლოცვას ემსგავსება.

ქართული სუფრა ერთიანი მწყობრი სისტემაა და ეყრდნობა მკაცრ წესრიგს, რომლის მთავარი ფიგურა სუფრის თამადაა. თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები სუფრის დანიშნულებიდან გამომდინარეობს და აუცილებელია მისი წევრებისათვის. ქართული სუფრა თავისი დანიშნულებით ორგვარია: სადღესასწაულო და ჭირის. პირველ მათგანს მიეკუთვნება: ქორწილი, ნიშნობა, დაბადების დღე, მეგობართა წრეში მოლხენა და ა. შ. თითოეული მათგანი საკუთარი კოლორიტით ხასიათდება, თუმცა სიმღერა, ცეკვა, ხუმრობები - თითოეული მათგანის დამახასიათებელი ელემენტია.

ქართულ სუფრას უფროს-უმცროსის, ურთიერთპატივისცემის, სტუმრისადმი უდიდესი ყურადღების, მანდილოსნების დაფასებისა და კულტურის სხვა ნიშნების დემონსტრირება ამშვენებს. ტყუილად კი არ ამბობენ "ქართული სუფრა-პარლამენტის (კარგი გაგებით) სხდომაა".

საქართველოს მდიდარი ძველი წეს-ჩვეულებებიდან უმეტესი ნაწილი უფრო მთიან რეგიონშია შემორჩენილი, რომელთაგან აღსანიშნავია ლელო, ყაბახი, დოღი. ქართულ ტრადიციებთანაა დაკავშირებული რელიგიური რიტუალები: საკლავის შეწირვა, ჭიაკოკონა. რიტუალები სპორტული შეჯიბრებით - ჭიდაობა, ლახტი, ცეკვა-სიმღერითა და სხვა სახის ზეიმით მდიდრდება. აღსანიშნავია: ლაშარობა, ლომისობა, ამაღლება, უსანეთობა, სამებობა, სვეტიცხოვლობა, ალავერდობა, მარიამობა, თელეთობა და სხვ. აღდგომას კი ყველგან აღნიშნავენ სუფრის გაშლითა და ზომიერი ქეიფით მთავრდებოდა.

თამადა ქართულ სუფრაზე. თამადა, ქართული პურობის, სუფრის გამძღოლი. ჩვეულებრივ, მასპინძელი ან თანამეინახენი თამადად ირჩევენ ჭარმაგ პატივსაცემ მამაკაცს, რომელიც სუფრის თადარიგის მცოდნედ და მჭევრმეტყველად ითვლება. სუფრის დანიშნულების (ქორწილი, ძეობა, დღეობა, ქელეხი და სხვ.) მიხედვით, თამადას ევალება ტრადიციული სადღეგრძელოების წარმოთქმა, სმის წესების, სუფრის წესრიგის, ცეკვა-სიმღერისა და ლხინის მთელი მსვლელობის რეგულირება.

როგორც სიმფონიური ორკესტრი წარმოუდგენელია დირიჟორის გარეშე, ასევე ქართული სუფრაც უთამადოდ არ არსებობს. თამადა ქართული სუფრის დირიჟორია. მას დიდ უფლებებთან ერთად დიდი ვალდებულებებიც აკისრია. თამადაზეა დამოკიდებული სუფრის წარმატება, სტუმარ-მასპინძლის მიერ მიღებული სიამოვნების ხარისხი და კვლავ შეხვედრის სურვილი. თამადობის წესი და კანონი ჯერ კიდევ ბიბლიური ზირაქის სიბრძნეშია ჩამოყალიბებული.

ქართული სუფრის თამადა ვერ „გაექცევა“ შემდეგ ძირითად ფუნდამენტურ სადღეგრძელოებს:

მშვიდობის სადღეგრძელო.

ქორწილში სიძე-პატარძლის სადღეგრძელო.

საქართველოს სადღეგრძელო.

წინაპართა სადღეგრძელო.

უდროოდ გარდაცვლილთა სადღეგრძელო.

მომავალი თაობის სადღეგრძელო.

ჩვენი რწმენის, ჩვენი ქრისტიანობის სადღეგრძელო.

ქართველი ქალის სადღეგრძელო.

სიყვარულის სადღეგრძელო.

ალავერდი და ვახტანგური. ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ თამადა მიმართავს რომელიმე თანამეინახეს: **ალავერდსა** ვარ! რაც ნიშნავს, რომ მას გადასცემს სადღეგრძელოს ანუ მის მიერ დაწყებული სადღეგრძელოს გაგრძელებას სთხოვს. სასაუბროდ გამოწვეული რამოდენიმე სიტყვას დაუმატებს თამადის ნათქვამს. განავრცობს მას. უნდა გვახსოვდეს, რომ თამადაზე ხანგრძლივი საუბარი არ არის სასურველი. სადღეგრძელო მოკლე უნდა იყოს. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირაია ამად კარგი“ გვასწავლის შოთა. ასეთი ალავერდით სადღეგრძელომ მთელი სუფრა უნდა მოიაროს. განსხვავებულად შესმულ სადღეგრძელოებში უნდა გამოიყოს **ვახტანგური,** როდესაც ორი თანამეინახე გამოთქმული სადღეგრძელოს მიმართ ერთნაირ დამოკიდებულებას სასმისის ერთდროული შესმით გამოხატავენ. განსაკუთრებულ შემთხვევაში თამადამ შეიძლება განსხვავებული სასმისი მოითხოვოს: სპეციალური თასი, ყანწი და ან ფიალა. ასეთ სადღეგრძელოს ყველანი ამ განსხვავებული სასმისიდან შესვამენ რიგრიგობით.

პერსონალური სადღეგრძელოები სადღეგრძელოების შემდეგი ჯგუფია. სუფრასთან ყველანი თანასწორნი არიან და ყოველი მათგანი ღირსეულად უნდა იქნეს ნადღეგრძელები. ყოველ თამადას თავისი სტილი, მეთოდი და ჩვევები აქვს. მან სუფრის თითოეული წევრი უნდა ადღეგრძელოს, რაღაც განსხვავებული და განუმეორებელი, მხოლოდ ამ ადამიანისთვის შესაფერისი უთხრას, შეაქოს, წინსვლა და წარმატებები უსურვოს. ამიტომაც არ შეიძლება თამადად შემთხვევითი ადამიანის არჩევა, ისეთის, ვინც არ იცნობს სუფრის და ოჯახის წევრებს. მამაკაცები ფეხზე მდგომნი ისმენენ მათდამი წარმოთქმულ სადღეგრძელოებს. როცა ყველანი შესვამენ სადღეგრძელოს, ადრესატი დალევს სამადლობელოს კეთილი სიტყვებისა და სურვილებისათვის.

პერსონალური სადღეგრძელოების შემდეგ სუფროს ყოველ წევრს, თამადის ნებართვით რა თქმა უნდა, ინდივიდუალური „თავისუფალი სადღეგრძელო“ შეუძლია შესთავაზოს დანარჩენებს. თანამეინახენი სადღეგრძელოს უერთდებიან, თუმცა კი არც უარის თქმაა გამორიცხული. ეს რაღაც იმდაგვარი დემონსტრაციული გამოსვლა იქნება, ვინმეს მოსასალმებლად გამოწვდილი ხელი რომ არ ჩამოართვათ. არ არის სასურველი, მაგრამ დასაშვებია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, მელორ ალფენიძე და სხვ., თბ., 1999.
2. ღლონტი თ., სუფრა წინამძღვარი, 2012.

3. ჯანაშია ს., შრომები, ტ. 4, თბ., 1968;
4. ფრუიძე ლ., ქსე, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 578.
5. https://www.google.ge/#site=&source=hp&q=ქართული+სუფრა
6. http://tekila555.blogspot.com/
7. http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/
8. http://bekauri.blogspot.com/2012/02/blog-post
9. http://qartulisupra.blogspot.com/
10. http://geosons.blogspot.com/2012/02/blog-post_27.html
11. http://ka.wikipedia.org/wiki/თამადა

ელექტრონული ვაჭრობის რეალიზაციის კომპიუტერული ტექნოლოგიები

სოფიკო რეხვიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ნოზაძე,** ასოცირებული პროფესორი

ელექტრონული ვაჭრობა წარმოადგენს ელექტრონული კომერციის შემადგენელ ნაწილს. ელექტრონული კომერცია განიხილება, როგორც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის ღონისძიების კომპლექსი კავშირის თანამედროვე ელექტრონული საშუალების გამოყენებით. მაგრამ ასეთი დახასიათება არ იქნება საკმარისი, რადგანაც კავშირის მრავალრიცხოვანი ისეთი ელექტრონული საშუალებები, როგორიცაა ტელეგრაფი, რადიო, ტელევიზია და კომპიუტერული ქსელები დიდი ხანია გამოიყენებიან კომერციულ ურთიერთობაში, მაგრამ მათ არ გამოუწვევიათ პრინციპულად ახალი თემის გამოჩენა. ასე მაგალითად, კომერციაში სატელეგრაფო კავშირმა ადგილი დაიმკვიდრა, როგორც შეტყობინების საშუალებამ ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციაში. სატელეფონო ქსელი მათი გამოჩენისთანავე გამოიყენებოდა, როგორც შეკვეთების განთავსებისა და მათი პარამეტრების შეთანხმების საშუალება. რადიო და ტელევიზია მრავალი წელია გამოიყენება სარეკლამო და პროპაგანდის საქმეში. საბანკო კომპიუტერული სისტემები შედარებით მოგვიანებით ანგარიშსწორების დასაჩქარებლად დაინერგა. ყველა ამ და სხვა მრავალმა ტექნიკურმა გადაწყვეტილებამ ვერ მიგვიყვანა ელექტრონული კომერციის ცნებასთან - დარჩნენ მხოლოდ სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის კომერციულ დანართებად. *ელექტრონული კომერცია – ეს სავაჭრო საქმიანობაა, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მიღება და დამყარებულია კომერციული ციკლის კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.*

„იდეალურ“ შემთხვევაში ელექტრონული კომერცია საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ადამიანი – არა მარტო მომხმარებელი, არამედ მყიდველიც კომერციული ციკლიდან. ურთიერთობის სისტემა მყიდველი–გამყიდველი შეიძლება შეიცვალოს ავტომატურად ფუნქციონირებადი სისტემით სერვერი–კლიენტი, წარმოდგენილი მხოლოდ აპარატული და პროგრამული საშუალებებით.

განვიხილოთ ელექტრონული ვაჭრობის ფორმების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები:

ელექტრონული მაღაზია - ეს არის გამოყენებითი სისტემა, რომელიც აგებულია ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების გამოყენებით. ჩვეულებრივი მაღაზიის მსგავსად ელექტრონული მაღაზია ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: მყიდველისათვის საქონლის (მომსახურების) წარდგენა, დაკვეთების დამუშავება და საქონლის (მომსახურების) მიწოდება. თუ უარს ვიტყვით ტექნიკურ ტერმინებზე, ელექტრონული მაღაზიის განსაზღვრება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ეს არის ადგილი (ანუ მისამართი) ინტერნეტში, სადაც ხდება საქონლის ან მომსახურების რეკლამა და მიყიდვა სხვა ინტერნეტ მომხმარებლებზე. ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით: ელექტრონული მაღაზია - ეს არის კომპიუტერული მონაცემების და მათი ელექტრონული ადგილმდებარეობის გაერთიანება ინტერნეტის ქსელში ბიზნესის წარმართვის მიზნით.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ არსებითად შეცვალა ბიზნესის წარმართვის შეხედულებები. ელექტრონული კომერცია კონკურენტულ ბრძოლაში ათანაბრებს მსხვილი

და მცირე ფირმების შანსს. დღესდღეობით მსოფლიოს მრავალ მსხვილ და მცირე ფირმა გააჩნია საკუთარი ელექტრონული მაღაზია, რომელთა მეშვეობით ისინი თავაზობენ თავის პროდუქციას ინტერნეტის ყველა მომხმარებელს.

ელექტრონულ მაღაზიას ჩვეულებრივ მაღაზიასთან შედარებით გააჩნია შემდეგი ძირითადი უპირატესობები:

- გაყიდვების მოცულობის გაზრდა;
- გასაღების ბაზრის გაფართოება. ვაჭრობა შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში;
- საწარმოო დანახარჯების შემცირება;
- მუშაობის შესაძლებლობა 24 საათის განმავლობაში.

ამჟამად ელექტრონული სავაჭრო სისტემის სამი ძირითადი სახეობა არსებობს:

ინტერნეტ-ვიტრინა წარმოადგენს ვებ-საიტის ლოგიკურ გაფართოებას. მასზე განთავსებულია საქონლის ან მომსახურების შესახებ ყველა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც საჭიროების მიხედვით პერიოდულად ახლდება.

ინტერნეტ-ვიტრინა ასრულებს მხოლოდ სარეკლამო ფუნქციას. ასეთ ელექტრონულ მაღაზიაში ყიდვის განხორციელებისათვის მომხმარებელი გადის ვაჭრობის ჩვეულებრივ ციკლს: კომპანიაში ვიზიტი ან დარეკვა და თანხის გადახდა. მომხმარებლის მზადყოფნიდან, შეიძინოს საქონელი მის ფაქტიურ შესყიდვამდე, გადის გარკვეული დრო. ინტერნეტ-ვიტრინის შექმნასა და ადმინისტრირებაზე დანახარჯები მცირეა. ასეთი კატეგორიის ელექტრონული მაღაზია გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა მაღაზიის სავაჭრო დარბაზში საქონლის დათვალიერება დიდ დროს მოითხოვს.

სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა ხასიათდება კომერციული ციკლის ავტომატიზაციის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ჩვეულებრივი ელექტრონული მაღაზია. სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა მაღალი ხარისხითაა ინტეგრირებული ორგანიზაციის კორპორაციულ საინფორმაციო სისტემასთან. ისინი მოითხოვენ დიდ დანახარჯებს მათ შემუშავებაზე, მაგრამ ამასთანავე შეუძლიათ არსებითად გაზარდონ გაყიდვების მოცულობები.

ინტერნეტ მაღაზია მყიდველებს სთავაზობს გარკვეულ უპირატესობებს საქონლის ძიებისას: დროის ეკონომია, ფართო არჩევანი (მაგალითად მაღაზია Amazon მყიდველებს თავაზობს 3 მილიონზე მეტი დასახელების წიგნებს), ბევრი სოფტ-საქონლის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტ მაღაზიაში, ამასთანავე მათი მიღება ქსელის მეშვეობით გადახდის შემთხვევაში იმწამსვეა შესაძლებელი, საქონლის მიღების შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, საჭირო კომპლექტაციის არჩევა (აკრეფა დაკვეთით). მომხმარებელს შეუძლია თვითონ აკრიფოს ნივთი საჭირო კონფიგურაციით და გაიგოს მისი ღირებულება. დაკვეთის განთავსება იმ საქონელზე, რომლის გამოშვება ჯერ არ დაწყებულა, რამდენიმე მწარმოებლის ფასების შედარება. ინტერნეტ მაღაზია გამყიდველებს სთავაზობს გარკვეულ უპირატესობებს: რესურსების უფრო მოქნილი დაგეგმვის შესაძლებლობას (მომხმარებლებიდან დაკვეთები წინასწარ მიიღება) და ბიზნეს-ციკლზე უფრო ეფექტური თვალყურის დევნება, დანახარჯების შემცირება არენდაზე, რეკლამასა და დაკვეთების განთავსებაზე, ვაჭრობის ტერიტორიის გაფართოება ინტერნეტის მომხმარებლების ხარჯზე, საკუთარი წარმომადგენლობა ინტერნეტში, შუამავლების რაოდენობის შემცირება.

აღსანიშნავია, რომ იმის მტკიცება, თითქოს ელექტრონულ მაღაზიას შეუძლია შეცვალოს ჩვეულებრივი მაღაზია, სადაც შესაძლებელია საქონელზე ხელის შეხება და მისი გასინჯვა, არ არის მართებული. მაგრამ უკვე დღესდღეობით არსებობს საქონლის ფართო სპექტრი, რომლის შეძენა ქსელში უფრო მოსახერხებელია. მაგალითად, თუ მომხმარებელს უნდა CD-დისკების ან წიგნის ყიდვა, მათი დათვალიერება ან მოსმენა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში. სულ უფრო იზრდება იმ საქონლის დიაპაზონი, რომლის შეძენა ელექტრონულ მაღაზიებშია შესაძლებელი.

ელექტრონულ მაღაზია Amazon.com კომპანიას გააჩნია ფილიალები ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთაც (კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი და ჩინეთი). Amazon.com-ის წარმატება განპირობებულია მისი უნიკალური კორპორაციული პოლიტიკით. მან პირველმა შეძლო ინტერნეტის პოტენციალის გამოყენება. Amazon.com-ის ვებ-საიტზე მომხმარებელს შეუძლია განათავსოს ნაყიდი ნივთის შეფასება, რაც კარგი ხარისხის საჭირო ნივთის არჩევის საშუალებას იძლევა. 2007 წლის მონაცემებით, Amazon.com-ის კაპიტალიზაცია 35.3 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ელექტრონული აუქციონი. ელექტრონული აუქციონი ეწოდება აუქციონს, რომელიც ტარდება ინტერნეტის მეშვეობით. ჩვეულებრივი აუქციონისაგან განსხვავებით ელექტრონული აუქციონის მონაწილე არ იმყოფება მისი ჩატარების ადგილზე და ფსონის გაკეთება შეუძლია ვებ-საიტიდან აუქციონის კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. ელექტრონული აუქციონის დამთავრების ვადა წინასწარ არის მითითებული გამყიდველის მიერ საქონლის ვაჭრობაზე გატანის დროს. ჩვეულებრივ აუქციონებზე კი ბრძოლა გრძელდება მანამ, სანამ იდება აუქციონზე ფსონები.

ელექტრონული აუქციონის დამთავრების შემდეგ მყიდველმა თანხა გამყიდველს უნდა გადაურიცხოს უნაღდო ანგარიშსწორებით, გამყიდველმა ფოსტის მეშვეობით უნდა გადაგზავნოს საქონელი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი აუქციონია ebay (http://www.ebay.com). 1995 წელს კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ხოსეში პროგრამისტმა პიერ ომიდიარმა (Pier Omdiar) შექმნა ონლაინ აუქციონი AuctionWeb, როგორც საკუთარი ვებ-საიტის ნაწილი. თავდაპირველად AuctionWeb იყო უფასო, რამაც განაპირობა მისი პოპულარობის სწრაფი ზრდა. უკვე 1995 წლის ბოლოს საიტზე ტარდებოდა ათასობით აუქციონი. 1997 წელს აუქციონმა მიიღო სახელი ebay. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს კომპანიამ შეიძინა ელექტრონული საგადამხდელო სისტემა PayPal, ხოლო 2005 წელს კომპანია Skipe.

დღესდღეობით ebay-ის მეშვეობით შესაძლებელია ვაჭრობა 200-ზე მეტ ქვეყანაში. მას გააჩნია 20-ზე მეტი ფილიალი სხვადასხვა ქვეყანაში და 200 მილიონი დარეგისტრირებული მომხმარებელი ანუ პლანეტის ყოველი მეხუთე ინტერნეტ-მომხმარებელი. ebay-ის კაპიტალიზაცია 2008 წელს შეადგენდა 80 მილიარდ დოლარს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინტერნეტი არის არა მხოლოდ ინფორმაციისა და გართობის სამყარო, არამედ ბიზნესის განვითარების პერსპექტიული რესურსი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იმ კომპანიების შემოსავლები, რომლებიც ელექტრონული კომერციით არიან დაკავებულნი, 2005 წელს 2 ტრილიონ დოლარს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ დღესაც ქართული ინტერნეტ-მაღაზიების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ სარეკლამო ტიპის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს (http://www.jj.com.ge/).

ჩვენს ქვეყანაში მაღაზია, რომელსაც მთელი მისი ფუნქციური დატვირთვით ინტერნეტ-მაღაზია შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ რამდენიმეა. მაგალითად: www.webmarket.ge; www.ebuy.ge; www.shopge.com; www.cd_shop.ge; www.magazia.net, www.flowers.ge, www.flowersplanet.ge და ა.შ.

ლიტერატურა:

1. ნოზაძე ც., ელექტრონული კომერციის საინფორმაციო ტექნოლოგიები, ლექციების კურსი, 2007.
2. www.navigator.ge

მათემატიკის გაკვეთილებისადმი შემეცნებითი ინტერესის განვითარება უმცროსკლასელებში სამეცადინო დიდაქტიკური თამაშების გამოყენების საშუალებით

ანი საათაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ჯემალ ქირია,** სრული პროფესორი

მათემატიკა დაწყებით კლასებში წარმოადგენს ძირითად სასწავლო საგანს. უმცროსკლასელები ითვისებენ უმნიშვნელოვანესი მათემატიკური ცნებების სისტემას, ეუფლებიან ცოდნასა და ჩვევებს გამოთვლით მათემატიკაში, წერილების წერას, მეტყველებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია სკოლაში ამ დისციპლინის წარმატებით სწავლება.

როგორც ცნობილია, ინტერესის გარეშე მიღებული ცოდნა არ არის სასარგებლო. ამიტომ დიდაქტიკის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და დღესაც ასეთად რჩება სწავლებისადმი ინტერესის გაღვივების პრობლემა.

მათემატიკაში მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის განვითარება შესაძლებელია ამ დისციპლინაში კლასგარეშე მუშაობის გამოყენებით. მათემატიკაში კლასგარეშე მუშაობას გააჩნია ისეთი მძლავრი რეზერვი, როგორიცაა შემეცნებითი ინტერესის ზრდა სწავლების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს სახალისო თამაში.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდგომში: უმცროსკლასელებში მათემატიკის გაკვეთილების მიმართ შემეცნებითი ინტერესის ამაღლებას ხელს უწყობს სწავლების პროცესში სხვადასხვა სახის დიდაქტიკური თამაშების სისტემატური ჩართვა.

ამოცანები:

- შესწავლილ იქნას უმცროსკლასელთა შემეცნებითი ინტერესის ფორმირებისა და განვითარების თეორიული საფუძვლები;
- გამოვლენილ იქნას მათემატიკის გაკვეთილებზე დიდაქტიკური თამაშების გამოყენების თავისებურებანი;
- შემუშავებულ და ჩატარებულ იქნას საცდელ-ექსპერიმენტალური სამუშაოები სამუშაო ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით.

1. დიდაქტიკური თამაშები და მათი სახეები

განსხვავებით სხვა სახეობებიდან დიდაქტიკური თამაში შეიცავს თავის თავში მიზანს; ბავშვი თამაშის გარეშე ცალკეულ ამოცანებს არც სვამს და არც ხსნის. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თამაშის განვითარებასთან ერთად გარკვეულ ეტაპზე ყალიბდება მიზანი, თამაშობრივი მოქმედება ხდება მიზანმიმართული. ბავშვმა იცის რა და როგორ გააკეთოს და რას მიიღებს თამაშის შედეგად. ზუსტად ისე, როგორც ფრენბურთის ან ფეხბურთის თამაშის დაწყებისას ბავშვების ამოცანაა გაიმარჯვონ, მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მიზანი არ გამოდის მიზნის ჩარჩოებიდან, ჩაკეტილია. მასში არავითარი გარეშე ამოცანები არ ისახება და არ იხსნება.

თუმცა თუ მოსწავლისადმი მიზანი თვითამოცანაშია, აღმზრდელისათვის, რომელიც აწყობს თამაშს, არსებობს სხვა მიზანიც - ბავშვების განვითარება, განსაზღვრული ცოდნის მიღება, შინაგანი შესაძლებლობების ფორმირება, გამოიმუშაოს პიროვნების ესა თუ ის თვისება.

სწავლებაში თამაშების გამოყენების მიზანშეწონილობაზე არსებობს განსხვავებული აზრი. თანამედროვე განათლების შინაარსის სირთულის გათვალისწინებით და საერთოდ ის, რომ სწავლება სერიოზული საქმეა. ზოგიერთი თვლის, რომ სწავლებაში თამაშების ადგილი არ არის. უფრო საფუძვლიანია სხვა მტკიცებულება, რომლის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მათ წინაშე ყველა ამოცანის ამოხსნა თამაშების გარეშე ვერ გადაწყდება. საქმე იმაშია, რომ სწავლების ამოცანები მნიშვნელოვნად ფართოა, ვიდრე მოსწავლისათვის ცოდნის გარკვეული რამის მიწოდება და ცოდნის მიღების შეძლების გამომუშავება. სწავლების მთავარი ამოცანაა - ბავშვების მომზადება ცხოვრებისათვის. მოსწავლეობის პერიოდში ბავშვები ფაქტიურად თამაშებში იღებენ გარე სამყაროს ტრანსფორმაციის შესაძლებლობას თავისი სურვილების შესაბამისად და გარდა ამისა, როგორც სამართლიანად მიუთითებს დ. ბრუნესი, ისაა ბავშვის დაკმაყოფილების წყარო, ის უზრუნველყოფს შემდგომში მის ადაპტაციას სოციალური ცხოვრების პირობებისადმი. თამაშის განსაკუთრებული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ „თამაში ნიშნავს ჩვენთვის, ჩვენი სურვილის შესაბამისად გარესამყაროს ტრასფორმციას, მაშინ როცა სწავლა გვცვლის ჩვენ გარემო პირობებისადმი უკეთესი ადაპტაციისათვის“.

ახალი მასალის შესწავლისას დიდაქტიკური თამაშები საწყის კლასებში შემოქმედების მომენტში შეიტანება. მაგალითად, მესამე კლასში გეომეტრიული ფორმების შესწავლისას რეკომენდაციას აძლევს სტიმულირებას, ბავშვებმა შეადგინონ გამოსახულება საგნების იმ ფორმებიდან, რომლებსაც ისინი უკვე გაეცნენ.

ხშირად დიდაქტიკური თამაშები გამოიყენება ცოდნის შეფასებისას, ასე მაგალითად, მათემატიკის კლასში ცოდნის შეფასების გაკვეთილზე ბავშვები იყოფიან ჯგუფებად, რომლებიც ეჯიბრებიან, ასრულებენ ამა თუ იმ დავალებას. მათემატიკური კარნახი, ამოცანის ამოხსნა ვარიანტებად, დაფაზე „ჯაჭვის“ ამოხსნის მაგალითები და სხვ. შედეგების შეფასებისათვის შეიძლება შედგეს ჟიური ანდა არბიტრები, ექსპერტები და ა. შ. ჯგუფებს შეიძლება მიეცეთ საზღაპრო ფანტასტიკური ან ბავშვებისთვის საინტერესო სახელი, შეიძლება სტრუქტურაში შეიტანონ სხვა სათამაშო სიმბოლოები.

ტრადიციულ შეჯიბრებებს, კონკურსებს, ოლიმპიადებს 90-იან წლებში დაემატა თამაშები პოპულარული ტელეგადაცემების ტიპით.

„რა, სად, როდის“, „საკვირველებათა სამყარო“, ,,ეტალონი “, „აუქციონი“ და სხვა. მათში შენარჩუნებულია შეჯიბრებით-საკონკურსო ფუძე, შეიცვალა მხოლოდ თამაშის გაფორმება.

გაკვეთილებზე ახლანდელ პირობებში თამაშ-შეჯიბრებასა და დრამატიზაციის გარდა - ატარებენ თამაშის იმიტირებას, რომლებიც განსაზღვრული დამოკიდებულებით უახლოვდებიან (მოდელირდებიან) თანამედროვე რეალურ სამყაროსთან.

სწავლებისას ყველა თამაშის გამოყენებისათვის დამახასიათებელია სასწავლო პროცესის ერთიანი სტრუქტურა, რომელიც 4 ეტაპს მოიცავს:

1. ორიენტაცია: მასწავლებელი წარმოადგენს თემას, ახასიათებს თამაშს, მიმოიხილავს მის მიმდინარეობას და წესებს;
2. მომზადება ჩატარებისათვის: სცენარის გაცნობა, როლების განაწილება, მომზადება შესასრულებლად, თამაშის მართვის პროცედურის უზრუნველყოფა;

3. თამაშის ჩატარება: მასწავლებელი თვალყურს ადევნებს თამაშის მიმდინარეობას, აკონტროლებს თანმიმდევრობას, უწევს აუცილებელ დახმარებას, აფიქსირებს შედეგებს;

4. თამაშის განსჯა: მოიცემა მოქმედების შესრულების დახასიათება, მოსწავლეთა მიერ მათი აღქმას, ანალიზდება თამაშის მიმდინარეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, წარმოშობილი სიძნელეები, მიმოიხილება თამაშის გაუმჯობესების შესაძლო გზები, მათ შორის წესების შეცვლაც.

ბოლო ათ წელიწადში ნელა, მაგრამ საკმარისად, სასკოლო პრაქტიკაში ინერგება კომპიუტერული თამაშები. უმრავლესობა გაკვეთილებში კომპიუტერის ეპიზოდური გამოყენება დღეისთვის საერთოდ იძლევა თამაშის გარემოებას იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე მუშაობს სასწავლო პროგრამით. მაგრამ არსებობს აგრეთვე სპეციალური სათამაშო პროგრამები განსხვავებულ სასწავლო საგნებში: ბიოლოგია, ქიმია და სხვ.

მაგალითად, ისტორიაში არის პროგრამა, როგორიცაა „ცივილიზაცია“, „ცენტურიონი“, „აუსტრელიცი“ და სხვ. მასწავლებლის, რომელიც კარგად ფლობს მუშაობის ტექნიკას კომპიუტერზე, შეუძლია თვითონ შეადგინოს სათამაშო, საკონტროლო და სასწავლო პროგრამები ან პროგრამები სათამაშო ელემენტებით.

სწავლებაში კომპიუტერის გამოყენების ერთ-ერთი პიონერთაგანი ს. პეიპერტი აღწერს კომპიუტერული თამაშების გამოყენების შესაძლებლობას სასწავლო პროცესში: „სატელევიზიო ეკრანზე“... გამოჩნდება ფერადი მულტიპლიკაცია. თქვენ შეგიძლიათ თვითონ დახატოთ ის... თქვენი სურვილით, ეკრანზე გამოჩნდება მთელი პალიტრა ფერების, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ფერი, რომლითაც დაიწყებთ ხატვას. ფერი შენარჩუნდება, სანამ თქვენ არ მოინდომებთ მის შეცვლას. მართალია სანამ თქვენ ეკრანზე ხატავთ, ეს პროცესი თავისი შესაძლებლობებით მცირედ განსხვავდება ხატვის ტრადიციულ ხერხიდან, მაგრამ განსხვავება ხდება პრინციპული, როცა თქვენ გადაწყვეტთ იმუშაოთ თქვენს ნახატზე. თქვენ შეგიძლიათ მოსთხოვოთ მას შეცვალოს ფერი ანდა გარდაქმნას ნახატი მოძრავ სურათად, აიძულებთ ორ მიღებულ გამოსახულებას იბრუნოს სხვადასხვა მიმართულებით... ჩაანაცვლოს ფერთა პალიტრა ხმოვანით და „დახატოს“ მუსიკალური ფრაგმენტი... არ უნდა ბევრი ფიქრი, რომ დაინახოთ ამ პროცესის გამრთობი მხარე. მაგრამ კომპიუტერში მუშაობა ეს არაა მხოლოდ გართობა. ეს მოწყობილობა საშუალებას გვაძლევს სწავლება გარდავქმნათ მაღალ ნაყოფიერ პროცესად. ელექტრონულ დაფაზე მუშაობისას ბავშვები სწავლობენ მუდმივად ცვალებადი ენით ლაპარაკს... ცვლადი სისწრაფით, ტექნოლოგიებისა და პროცესების ენაზე. სამწუხაროდ ასეთი თამაშების სწავლების დანერგვისა და გავრცელების გზაზე ვაწყდებით ძლიერი წინააღმდეგობას, კერძოდ ეკონომიური ბაზის უქონლობას, რომელსაც შეუძლია ყოველი ბავშვის უზრუნველყოფა საკუთარი კომპიუტერით, რომელიც ჩართული იქნებოდა ერთიან საკომუნიკაციო ხაზში. ესაა მნიშვნელოვანწილად ის წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლის სათამაშო პროგრამების შექმნას და მათი გამოყენების მეთოდების შემუშავებას განსხვავებული დისციპლინების სწავლებისას. არა მარტო ბავშვებს, არამედ მასწავლებლებსაც არ გააჩნიათ პერსონალური კომპიუტერი. თუმცა კომპიუტერის ეპიზოდური მოხმარებაც კი და ბავშვებთან ურთიერთობა კომპიუტერული თამაშებით თუნდაც არ იყვნენ ჩართულნი მსოფლიოს თანამედროვე ტექნოლოგიებში, მაინც ის აჩვენებს ადამიანის დამოკიდებულებას ტექნიკასთან მომავალ საზოგადოებაში.

ერთ-ერთი ცნობილი არატრადიციული სახე გაკვეთილისა არის გრამატიკული თამაში (კროსვორდები, რომელშიც იმალება ბავშვების შემოქმედებითი განვითარების დიდი შესაძლებლობები, მეხსიერების ვარჯიში და სხვ.) კროსვორდები გაკვეთილზე მიზანშეწონილია არა მარტო მოსწავლეთა ერუდიციის შესამოწმებლად, არამედ ფაქტიური მასალის უკეთესი შეთვისებისათვის. კროსვორდის ლოგიკური ამოცანები შეირჩევა მოსწავლეთა წლოვანებისა და ფსიქოლოგიური განწყობის შესაბამისად. დაშიფვრის მეთოდები, ხერხები ბევრია, მხოლოდ უმეტესი ინტერესს დაბალი კლასის მოსწავლეებში იწვევს თამაშები, რომლებშიც დაშიფრულია გამოცანების დახმარებით, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს მიხვედრილობას, პოეტურ მოფიქრებულობას. გამოცანები ბავშვებს ასწავლის ილაპარაკონ ნათლად, საგნობრივად, ისინი ამდიდრებენ ბავშვის მეხსიერებას მშობლიური ენის ძვირფასეულობით, გამოცანის დანიშნულებაა მოსწავლეში გამოიმუშაოს ყურადღება და აქცენტირება შესასწავლი საგნისადმი (ბავშვის სიტყვიერი მარაგის შესავსებად, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის გაცნობა, სმენითი განვითარება, მოგვიანებით მხედველობითი მეხსიერება, ორთოგრაფიული ხედვის გამომუშავება).

აფართოვებს რა ბავშვის მსოფლმხედველობას, აცნობს რა მათ გარე სამყაროს, ზრდის და ამდიდრებს მეტყველებას, გამოცანებს აქვთ შეუფასებელი მნიშვნელობა შემოქმედების შესაძლებლობის ფორმირებაში: ლოგიკური აზროვნება (ანალიზის, სინტეზის, შედარების, დაპირისპირების უნარი), ევრისტიული აზროვნების ელემენტები (უნარი წამოწიოს ჰიპოთეზები, ასოციურობა, ლავირება, კრიტიკული აზროვნება). აი რას წერს ამის თაობაზე კ. დ. უშინსკი: „გამოცანა მე მოვათავსე არა იმ

მიზნით, რომ ბავშვმა გამოიცნოს გამოცანა, თუმცა ეს ხშირად ხდება, რადგან ზოგიერთი გამოცანა ძალიან ადვილია, არამედ იმისთვის, რომ ვაიძულოთ ბავშვის ტვინი სასარგებლო ვარჯიშზე მოარგოს გამოცანას, მიეცეს მიზეზი საინტერესო და სრულ საკლასო საუბარზე, რომელიც გამაგრდება ბავშვის გონებაში იმის გამო, რომ მხატვრულ და მისთვის საინტერესო გამოცანა ჩაილექება მის გონებაში მყარად, მასთან დაკავშირებული ყველა ახსნით". გამოცნობის პროცესი, ზოგიერთი პედაგოგის აზრით, არის თავისებური ვარჯიში, რომელიც მობილიზაციას უკეთებს და ავარჯიშებს ბავშვის გონებრივ ძალებს. გამოცანის გამოცნობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემოქმედებითი პროცესი, ხოლო თვით გამოცანა (როგორც შემოქმედებითი ამოცანა), მოსწავლის შემეცნებითი აქტივობის მხარდაჭერა ცოდნის დონის კონტროლის მიმდინარეობისას აუცილებელი პირობაა სწავლის პროცესის წარმატებულობისა.

თანამედროვე სამუშაოებში განიხილება დიდაქტიკური თამაშების განსხვავებული ფორმები, რომელიც სამ ეტაპად იყოფა:

1. ბავშვებისადმი – პირდაპირი გაცნობა შემეცნების საგნებისა და ხერხებისა ანდა გარემომცველი სინამდვილის გამოხატულების;
2. ბავშვებიდან - დიდებში ინფორმაციის გადაცემა, როცა ბავშვები მოქმედებენ დამოუკიდებლად, ხოლო დიდი აკვირდება მათ მოქმედებას;
3. დიდებისა და ბავშვების თანაბარუფლებიანი ძიება, როგორც პრობლემის გადამწყვეტი მოქმედი სუბიექტებისა დაკვირვების მსვლელობისას, განსჯისას და ექსპერიმენტის ჩატარებისას.

სათამაშო და შრომითი მოქმედების მიზანმიმართული შერწყმა განათლებით პროცესში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბავშვთა სულიერ განათლებაში უმცროსი სკოლის ასაკში, რომლის გამოცალკევება-განხორციელება თამაშიდან მიმდინარეობს თანდათანობით და წარმოადგენს ბავშვის თამაშობრივი განვითარების ბუნებრივ შედეგს.

მოწოდებული გაკვეთილი მოგზაურობები, გაკვეთილი-ექსკურსია, გაკვეთილი-თამაშები ძირითადში უზრუნველყოფენ ცოდნისა და წარმოდგენების გამაგრებასა და გაფართოებას, რომელიც მიღებულია გაკვეთილზე, რომელიც მიმდინარეობს კლასში სახელმძღვანელოს ამოცანის გამოყენებით. გამონაკლისს შეადგენს მასალა, რომელიც დაკავშირებულია სამგანზომილებიან ობიქტთან, რომელიც შედის პირველი კლასის პროგრამაში და რომელიც თვითსპეციფიკიდან გამომდინარე არაა ასახული სახელმძღვანელოს გვერდებზე. გაკვეთილ-მოგზაურობა თემით „ჩვენი შეხვედრა მათემატიკასთან" გაკვეთილი სასურველია ჩატარდეს სკოლის ახლომახლოს, მარშრუტი დაიგეგმოს ისე, რომ შეიძლება ვესტუმროთ განსხვავებულ მაღაზიებს, გავუაროთ სხვადასხვა სიმაღლის სახლებს, გადავკვეთოთ ან თუნდაც შევხედოთ სხვადასხვა სიგანის ქუჩებს. მოგზაურობისას ბავშვები ზომავენ ცალკეული მოსწავლის მიერ არჩეულ გზის მონაკვეთებს ნაბიჯებით, ითვლიან მოსახვევებს მარჯვნივ და მარცხნივ.

სასურველია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეების მონაწილეობით შეადგინოს გავლილი გზის გეგმა.

მოცემული გაკვეთილის ამოცანაა ნატურალური რიცხვების ცნების გაცნობა, აბსტრაქტული აზროვნების ფორმირება - საგნების სამყაროში განსხვავებული, მაგრამ მათი რაოდენობა შეიძლება იმავე რიცხვებით ავსახოთ. გაკვეთილის ამოცანა:

1. ბავშვების დაინტერესება მათემატიკით;
2. მიეცეს განმარტება ნატურალურ რიცხვს;
3. მიეცეს ანგარიშის და რიცხვთა ურთიერთშედარების უნარი.

გაკვეთილი-თამაში თემაზე-„გარემოში ორიენტაცია". გაკვეთილი მიმდინარეობს სუფთა ჰაერზე ანდა შენობაში, რომელიც საშუალებას იძლევა დავასახელოთ დიდი რაოდენობა საგნებისა მასწავლებლის მიერ დასახელებულ ყველა მიმართულებაში - მარცხნივ, მარჯვნივ, წინ, ზევით, ქვევით, წინიდან, უკნიდან და ა.შ. კლასი იყოფა ორ ჯგუფად, რომლებიც მორიგეობით ასახელებენ საგნებს, განლაგებულს მოცემული მიმართულებით. ჯგუფი, რომელმაც ვერ შეძლო საგნის დასახელება, გადასცემს ფანტს. თამაშის ბოლოს ფანტები გათამაშდებიან. თამაშის პროცესში სასურველია ჯგუფებმა რამდენჯერმე შეიცვალონ ადგილი, რომელიც საშუალებას მისცემთ საგნების მდებარეობას შეხედონ განსხვავებული მხრიდან.

ამ გაკვეთილის მიზანია სივრცის ძირითადი კოორდინატების გაცნობა.

გაკვეთილის ამოცანები:

1. განავითაროს კოლექტიური მუშაობის ჩვევა;
2. მიეცეს სივრცეში მიმართულების ცნება;
3. გაუფართოვდეთ პრაქტიკული ჩვევა სივრცეში მიმართულების განსაზღვრისა.

გაკვეთილი-ექსკურსია „გეომეტრია ჩვენს ირგვლივ". გაკვეთილი შეიძლება ჩატარდეს იმავე მარშრუტით, როგორც პირველი გაკვეთილი, მაგრამ ახლა ძირითადი ყურადღება მიმართულია გარემომცველი საგნების ფორმებისადმი, რომელთა შორის ბავშვები ცდილობენ იპოვენ მსგავსება, აგრეთვე საგნების მოცულობის ძიებისას სიბრტყისეული ფიგურები (რგოლები, სხვადასხვა ფორმის

მრავალკუთხედები და ა.შ.) (პროგრამული მასალები, სასწავლო სახელმძღვანელოში არაა ასახული). ამ გაკვეთილის მიზანია ფორმის ცნების გაცნობა და აბსტრაქტული აზროვნების ფორმირება - საგნების სამყაროში.

გაკვეთილის ამოცანა; 1. ბავშვების დაინტერესება გეომეტრიით; 2. განემარტოს საგნის ფორმის ცნება; 3. შეიძინონ გამოცდილება ფორმის განსაზღვრისა და მათი ურთიერთშედარებისა;

სკოლის ტერიტორიაზე ანდა ნებისმიერ არჩეულ შენობაში, სადაც გაკვეთილი ტარდება, წინასწარ ეწყობა „სამალავები“, სადაც გუნდის რიცხვის მიხედვით მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს. ყოველი გუნდისთვის მზადდება მოძრაობის გეგმა სამალავისაკენ მოსახვევების ჩვენებით და გასასვლელების სიგრძე პირდაპირ მათ შორის ნაბიჯებში ანდა რომელიც გნებავთ სხვა მზომით, რომელიც ეძლევა კომანდებს (ეს შეიძლება იყოს ჯოხი ან თასმის ნაჭერი და ა.შ). სასურველია, რომ გზის ყოველ მონაკვეთზე ზომა არ აღემატებოდეს 9-ს. თამაში მთავრდება მაშინ, როცა ყველა კომანდა იპოვის თავის „სამალავს“. ანუ ვინც ამას შეასრულებს უფრო ადრე, შეუძლიათ წაეხმარონ ჩამორჩენილებს მათი თხოვნით (კომანდები შესაძლებლობებით უნდა იყვნენ შეძლებისამებრ თანაბარი).

2. პირველ კლასში დიდაქტიკური თამაშების გამოყენების განსაკუთრებულობა

თამაშის გამოყენებისათვის დამახასიათებელია სასწავლო პროცესის საერთო სტრუქტურა, რომელიც შედგება 4 ეტაპისაგან;

1. ორიენტაცია: მასწავლებელი წარმოადგენს თემას, იძლევა თამაშის დახასიათებას, საერთო მიმოხილვას, მის მიმდინარეობასა და წესებს;
2. ჩატარებისათვის მზადება: სცენარისადმი გაცნობა, როლების განაწილება, მომზადება შესასრულებლად, თამაშის მართვის პროცედურის უზრუნველყოფა;
3. თამაშის ჩატარება: მასწავლებელი აყურადებს თამაშის მიმდინარეობას, აკონტროლებს მოქმედების თანმიმდევრობას, აღმოუჩენს აუცილებელ დახმარებას, აფიქსირებს შედეგებს;
4. თამაშის განსჯა: იძლევა შეფასებას მოქმედების შესრულებაზე, მის მიღებას მონაწილეების მიერ, ანალიზდება დადებითი და უარყოფითი მხარეები თამაშის მიმდინარეობისას, წამოჭრილი სირთულეები, განიხილება თამაშის სრულყოფის შესაძლო გზები, მათ შორის წესების შეცვლითაც.

თამაშის პროცესში მასწავლებელმა თანდათან უნდა აღზარდოს წამყვანი ლიდერები, მარტივ თამაშებში შესთავაზოს წამყვანის როლი სხვადასხვა მოწაფეს რიგრიგობით.

ბავშვები არ უნდა მივაჩვიოთ იმას, რომ ყოველ გაკვეთილზე ელოდონ ახალ თამაშს ანდა ზღაპრულ გმირებს. აუცილებელია თანმიმდევრული გადასვლა გაკვეთილიდან, რომელიც გაჯერებულია სათამაშო სიტუაციებით, გაკვეთილზე, სადაც თამაში არის წახალისება გაკვეთილზე მუშაობისათვის, ან გამოიყენება როგორც ყურადღების აქტივატორი: მხიარული ხუმრობა - წუთები, თამაში - მოგზაურობა რიცხვთა ქვეყანაში ანდა ცოდნათა ქვეყანაში.

რასაკვირველია, სწავლება არ შეიძლება გარდავქმნათ განვრცობილ თამაშად. შემდეგში მოსწავლეები, როცა გაიზრდებიან, მიხვდებიან, რომ სწავლა არაა თამაში, არამედ შრომაა. შრომა სერიოზული და საპასუხისმგებლოა, თუმცა უწინდებურად სამხიარულო და საინტერესოა.

უმცროსი კლასელი აზროვნებს დასანახად - საგნობრივად, ამიტომაც საჭიროა დიდაქტიკური თამაშებით სარგებლობისას გამოვიყენოთ თვალსაჩინოება. თამაშის დროს ბავშვებს უნდა მიეცეთ დამოუკიდებლობა, ამავე დროს არ უნდა დავამყაროთ დიდი პასუხისმგებლობა. მთავარია, რომ ბავშვები თვითონ მისდევდნენ წესის დაცვას, რომ თამაშის ყოველი მონაწილე გრძნობდეს პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე.

დიდაქტიკური თამაშები არის მცირეხნიანი (10-20 წუთი) და მთავარია, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში არ შემცირდეს მოთამაშეთა გონებრივი აქტიურობა, არ დაეცეს ინტერესი დასმული ამოცანის მიმართ. განსაკუთრებით მთავარია მივდიოთ კოლექტიურ თამაშს.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, დასმული ამოცანის თანახმად, დამტკიცებულია, რომ პედაგოგიური მოღვაწეობისას გაკვეთილზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დიდაქტიკურ თამაშებს.

დიდაქტიკური თამაში ხელს უწყობს მათემატიკური ამოცანების უფრო კარგად გაგებას, მოსწავლეებში მათემატიკური ცოდნის ფორმირებას. თამაშები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოდნის შეძენის სხვადასხვა ეტაპზე: ახალი მასალის ახსნისას, მისი გამეორებისას და ცოდნის კონტროლისას. თამაშები აგრეთვე უზრუნველყოფენ მეტი მონაწილე ჩაერთოს შემეცნებით პროცესში.

ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე გ., არასტანდარტული ამოცანა, როგორც დაწყებითი სკოლის მათემატიკის კურსის ამოცანათა სისტემის ელემენტი, „საზრისი“, ტ. 19, 2005.
2. Вайс В., Перспективное планирование воспитательной работы в начальной школе // Воспитание школьников, 2005.

„ღვთაებრივი პროპორცია“

ნინო სარქისიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი,** სრული პროფესორი

სამყაროში ყველაფერი გარკვეული კანონზომიერებით, პროპორციითაა აგებული, მიუხედავად მისი ქაოსური ბუნებისა და მრავალფეროვნებისა.

მე-13 საუკუნეში, იტალიელმა მათემატიკოსმა ლეონარდო ფიბონაჩიმ შეადგინა რიცხვთა მიმდევრობა, რომელშიც ყოველი მომდევნო ციფრი წინა ორი ციფრის ჯამის ტოლია (1-1-2-3-5-8-13-21...). გარდა ამისა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ მეზობელი ციფრების შეფარდებები უახლოვდება 1,618-ს. მცენარეების, ცხოველების, ადამიანების აგებულებაში იმდენად ხშირად ვხვდებით 1,618-ს, რომ ანტიკური ხანის მეცნიერებმა მას „ღვთაებრივი პროპორცია“ უწოდეს.

ალბათ ყველას გვინახავს პენტაგრამა, რომელსაც ბევრი კულტურა მიიჩნევს ღვთაებრივ და ჯადოსნური ძალის მატარებელ გამოსახულებად, მასში ყველა სეგმენტის შეფარდება 1,618-ს ტოლია. თუ სწორად დავხაზავთ ამ სიმბოლოს, მაშინ წრფის მონაკვეთები ავტომატურად დაიყოფიან „ღვთაებრივი პროპორციის“ მიხედვით.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი ისეთი რამ გვხვდება, რაზეც სწორედ ეს სიმბოლოა გამოსახული, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანისამოსი (უმეტესწილად მაისურები), აქსესუარები, ჭურჭელი (ძირითადად ჭიქები), სვირინგები, როკ-მუსიკის ალბომები, მისტიკური ფილმები და ა.შ. ადამიანები მას სოციალური ქსელების ავატარადაც იყენებენ და ბოლო პერიოდში კი შევნიშნე, რომ ამ თემაზე უამრავი პოსტი იწერება, მათ შორის ჩვენს ბლოგზეც. აშკარაა საზოგადოების ინტერესი ამ მისტიური სიმბოლოს მიმართ და მეც ამიტომ გადავწყვიტე გამეზიარებინა ჩემი ცოდნა მათთვის. ჩემს მიერ წაკითხული ინფორმაციის დიდი ნაწილი პენტაგრამას უკავშირებს მაგიას, სატანიზმს, სუბკულტურებსა და საიდუმლო ორდენებს. მე კი მინდა თქვენი ყურადღება სულ სხვა თემაზე გადავიტანო. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, როგორც ჩანს ძალიან ცოტამ იცის, რომ ამ სიმბოლოს აქტიურად იყენებდნენ ანტიკურ საბერძნეთში. პითაგორელები მას ბედნიერების, ჯანმრთელობის, სიმტკიცის სიმბოლოდ თვლიდნენ და მათი კავშირის სიმბოლოც სწორედ პენტაგრამა იყო.

“ოქროს კვეთის” პრინციპი აღმოაჩინა პითაგორას მოსწავლემ ჰიპასოს მეტაპონტელმა (მონაკვეთის გაყოფა “ოქროს კვეთას” საფუძველზე მოცემულია ევკლიდეს “საწყისების” მეორე წიგნის 11-ე წინადადებაშიც), მოგვიანებით კი ჯერ ბიზანტიაში, შემდეგ კი ევროპაში გავრცელდა. შუა საუკუნეების ევროპაში ითვლებოდა, რომ პენტაგრამას შეეძლო დაეცვა ისინი ავი, ბოროტი სულების ზემოქმედებისგან, როგორც თილისმას, რასაც გოეთეს ფაუსტიც ადასტურებს.

ოქროს კვეთა მათემატიკაში — ჰარმონიული გაყოფა მთელისა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს და პირიქით, მთელი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მცირეს. ალგებრულად ოქროს კვეთა დაიყვანება შემდეგი განტოლების ამოხსნამდე:

$$\frac{a+b}{a} = \frac{a}{b} = \frac{1+\sqrt{5}}{2} = \varphi\,,$$



სადაც φ ოქროს კვეთის რიცხვია .

φ — ირაციონალური ალგებრული რიცხვი, კვადრატული განტოლების $x^2 - x - 1 = 0$ დადებითი ამონახსნი, საიდანაც წარმოდგება ურთიერთკავშირები:

$$\varphi^2 = \varphi + 1,$$
$$\varphi \cdot (\varphi - 1) = 1,$$
$$\varphi = \frac{1}{\varphi} + 1.$$

- ოქროს კვეთა გამოყენებულია ვეფხისტყაოსანში. 1662 სტროფიდან 963 ოქროს კვეთაზეა აგებული. სიმეტრიული ანუ მაღალი შაირი მტერი მტერსა| ვერას ავნებს| რომე კაცი | თავსა ივნებს თავისასა| ცნობისაგან || ჩავარდების | კაცი ჭირსა. ასიმეტრიული ანუ დაბალი შაირი იყოფა ორ სეგმენტად ეკვივალენტური გახარებოდა| ხვარაზმშას|| სიხარულითა| დიდითა მიღწვიან | მომიგონებენ|| დამლოცვენ, | მოვეგონები ინვერსიული მოლმობიერდა / მომიტკბა// გამწყრალი გამქისებული. დამოხნა /ტურფა-ტურფითა// ერთმანეთისა / მჯობითა.
- ოქროს კვეთა ლექსში: ფანტაზიებმა / დამღალეს// გადამავიწყდა / გრძნობები დავასაფლავე /სიცრუე // მომეტევება / ცოდვები გადაკარგული /სიზმრებად// თავზეგასული / ფიქრები გარდაცვალების /მიზეზად// გრძნობადაკრული / რითმები.
- ოქროს კვეთა მუსიკაში: ნებისმიერ მუსიკალურ ნაწარმოებს გააჩნია დროში განფენილობა და იყოფა "ესტეტიკურ საფეხურებად". ნაწარმოების ცალკეული ინტერვალები ერთდება "კულმინაციური მომენტით" და ოქროს კვეთის თანაფარდობაში იყოფა. ოქროს კვეთა ვლინდება ბეთხოვენის ნაწარმოებების 97%-ში, ჰაიდნის ნაწარმოებების 91%-ში, შოპენის ნაწარმოებების - 92%-ში, შუბერტის - 91%-ში. ოქროს კვეთა ვლინდება ბახის და ვაგნერის ნაწარმოებებში.
- მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები თავიანთ ქმნილებებში იყენებენ "ოქროს კვეთას". სალვადორ დალის ტილოს, რომელზედაც ასახულია "საიდუმლო სერობა", აქვს ოქროს მართკუთხედის ფორმა, ე. ი. მართკუთხედი, რომლის გვერდები იმყოფება ოქროს წესის დამოკიდებულებაში. მცირე ზომის ოქროს მართკუთხედები გამოყენებულია 12 მოციქულის ფიგურების განლაგებაში.
- 70-90 წლების ბიოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დაწყებული ვირუსებითა და მცენარეებით და დამთავრებული ადამიანის ორგანიზმით, ყველგან გვხვდება ოქროს პროპორცია, დამახასიათებელი მათი აღნაგობის პროპორციულობითა და ჰარმონიით. "ოქროს კვეთა" მიჩნეულია ცოცხალი სისტემების უნივერსალურ კანონად. შეიძლება გამოვყოთ ოქროს კვეთის ცოცხალ ორგანიზმებში გამოვლინების ორი ტიპი: პითაგორას ირაციონალური დამოკიდებულება 1.62 და ფიბონაჩის რიცხვები. დადგენილ იქნა, რომ ფიბონაჩის რიცხვები ახასიათებს მრავალი ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურულ აღნაგობას. მაგალითად, ტოტზე ფოთლების ხრახნისებრი განლაგება ქმნის ფიბონაჩის რიცხვების შესაბამის ფრაქციას. კარგადაა ცნობილი ოქროს პროპორცია ვაშლის, მსხლისა თუ ბევრი სხვა მცენარის ხუთფურცლოვან ყვავილებში. დნმ-სა და რნმ-ს მოლეკულებს გააჩნიათ ორმაგი სპირალი, რომელიც თავისი ზომით თითქმის სრულიად ემთხვევა ფიბონაჩის რიცხვებს.
- საკმარისია ყურადღებით დააკვირდეთ თქვენს ხელს და თითებს, რათა აღმოაჩინოთ მასში ოქროს კვეთის ჯადოსნური ფორმულა. ჩვენი თითები, გარდა დიდი თითისა, შედგება სამი

ფალანგისაგან. პირველი ორი ფალანგის თანაფარდობა თითის მთელ სიგრძესთან, გვაძლევს ოქროს რიცხვს. ამას გარდა, შუა თითის შეფარდება პატარა, ანუ "ნეკა" თითთან, აგრეთვე უტოლდება ოქროს რიცხვს. ადამიანს აქვს 2 ხელი, ორივე ხელზე თითები შედგება 3 ფალანგისაგან (დიდი თითის გამოკლებით). თითო ხელზე გვაქვს 5 თითი, ანუ მთლიანობაში 10, მაგრამ ორი ორფალანგიანი თითის, ანუ დიდი თითების გამოკლებით, მხოლოდ 8 თითი ემორჩილება ოქროს კვეთას. თუ კარგად დავაკვირდებით შედეგს, დავინახავთ, რომ მიღებული ციფრები ზუსტად ემთხვევა ფიბონაჩის რიცხვებს 2, 3, 5 და 8.

- ადამიანის სახის აგებულებაშიც გვხვდება აგრეთვე ოქროს კვეთა, თუმცა სწავლულებისა და ხელოვანების აზრით, ზუსტი პროპორციები გააჩნიათ მხოლოდ იდეალური სილამაზის მქონე ადამიანებს. მაგალითად: თუ ორი წინა ზედა კბილის სიგანეს გავყოფთ ამ კბილების სიმაღლეზე და მიღებული რიცხვი დაემთხვევა ოქროს რიცხვს, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს კბილები არის იდეალური პროპორციის მქონე.
- ყურადღებით დავაკვირდეთ ვარდკაჭაჭას ზრდას: ძირითადი ღეროდან ვითარდება გამონაზარდი, რომელიც გამოიღებს პირველ ფოთოლს. გამონაზარდი იზრდება სივრცეში, შემდეგ ჩერდება, ისევ გამოიღებს ფოთოლს, მაგრამ წინაზე მოკლეს და ასე აგრძელებს ზრდას, ოღონდ შედარებით სუსტად. თუ პირველი გამონაზარდი იყო 100 ერთეული, მეორე იქნება 62, მესამე 38, მეოთხე 24 და ა.შ. ფოთლების სიგრძეც აგრეთვე ემორჩილება ოქროს კვეთას.
- ბიოლოგიურ სამყაროში "ოქროს" სპირალი ფართოდაა გავრცელებული. ცნობილია, რომ ცხოველის რქა იზრდება მხოლოდ ერთი ბოლოდან. ეს ზრდა სრულდება ლოგორითმული სპირალებით. წიგნში "ცხოვრების მრუდე ხაზები" კუკი იკვლევს სხვადასხვა სახის სპირალებს, რომლებიც გამოხატულია თხის, ცხვრის, ანტილოპისა და სხვა რქოსანი ცხოველების რქებზე. მათგან იგი ირჩევს "ოქროს" სპირალს და მიიჩნევს მას ევოლუციისა და ზრდის სიმბოლოდ.
- მრავალ პეპელაში გულ-მკერდის ზომისა და მუცლის ნაწილების თანაფარდობა ექვემდებარება ოქროს კვეთას. ღამის პეპელა დაკეცილი ფრთებით ქმნის ტოლგვერდა სამკუთხედს. მაგრამ საკმარისია ფრთების გაშლა, რომ თქვენ დაინახავთ სხეულის დანაწილების იგივე პრინციპს. ჭრიჭინას აგებულებაც აგრეთვე ემორჩილება ოქროს კვეთას: კუდისა და სხეულის შეფარდება უტოლდება მთლიანი სიგრძის შეფარდებას კუდთან.
- **ოქროს სპირალი**: ოქროს სპირალს საზღვარი არ აქვს და იშლება უსასრულოდ. სპირალის ნებისმიერ წერტილში მისი რკალის სიგრძის ფარდობა დიამეტრთან ტოლია 1.618-ის. ამ სპირალის კანონით მრავლდებიან ბაქტერიები, ახვევს თავის ბუდეს ობობა, ახვევს კუდს კომეტა, დედამიწასთან შეჯახებისას მეტეორიტები ქმნიან ღრმულს ამ სპირალის შესაბამისად, ამ სპირალის შესაბამისად ფორმირდება ჩვეულებრივი გირჩის აგებულება, ახვევს ნიჟარას ლოკოკინა, ეხვევა ზღვის ტალღა, ეხვევა ცხოველების რქები, განლაგდება ყვავილის ფოთლები და მზესუმზირას მარცვლები, ეხვევა ქარბორბალა და გალაქტიკური მოძრაობები.
- ნიჟარის კონსტრუქციის შესწავლისას სწავლულებმა ყურადღება გაამახვილეს მის ფორმასა და ზედაპირზე: შიდა ზედაპირი გლუვი, გარე კი გოფრირებული. შიგნით ბინადრობს ხამანწკა, ამიტომაცაა შიგნითა მხარე გლუვი. გარეთა კიდეები ხდიან მას უფრო "მკაცრს" და ამ გზით ინარჩუნებენ მტკიცეს. ნიჟარის ფორმა აკვირვებს ხალხს თავისი სრულყოფილებით.
- ოქროს კვეთის პროპორციები ხვლიკის ზომებში, ოქროს კვეთის პროპორციები კვერცხში.
- მას შემდეგ, რაც დედამიწა კონტინენტებად დაიყო, საქართველოს ხან აზიას მიაკუთვნებდნენ, ხან ევროპას და ხანაც შუაზე ჰყოფდნენ ხოლმე. "ოქროს კვეთა" დედამიწის გეოგრაფიაშიც მრავლწახნაგოვნად შეიმჩნევა. ასე მაგალითად, ორი დედა - კონტინენტის - ევროპისა და აზიის პროპორციები ოქროს კვეთის კანონზომიერებას ექვემდებარება. კავკასია და, კერძოდ, საქართველო, სწორედ ევროპისა და აზიის მიჯნაზე, გზაჯვარედინზეა, თან მაქსიმალურადაა დაშორებული ოკეანის წყლებს. ჩრდ. პოლუსსა და ეკვატორს შორის კავკასია სიმეტრიულ შუაგულშია, ოკეანის წყლებს შორის კი იგი "ოქროს კვეთის" პროპორციითაა დაშორებული.

ლიტერატურა:

1. Richard A Dunlap, The Golden Ratio and Fibonacci Numbers, World Scientific Publishing, 1997
2. Hazewinkel, Michiel, ed. (2001), "Golden ratio", Encyclopedia of Mathematics
3. http://ka.wikipedia.org/wiki/ოქროს კვეთა

თამაშთა თეორიის ერთი გამოყენება

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ მუმლაძე,** სრული პროფესორი

თამაშთა თეორია ერთი მიმართულებაა მათემატიკური დარგისა, რომელსაც მათემატიკური მოდელირება ეწოდება. მოვლენის მათემატიკური მოდელის შექმნა გულისხმობს ამ მოვლენის არსის აღწერას მათემატიკური ცნებების და მიმართებების საშუალებით.

თამაშთა თეორია ან თამაშთა მათემატიკური თეორია გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე დარგს წარმოადგენს, რომელიც სწავლობს ისეთი სტრატეგიების (გადაწყვეტილებების) დადგენის და მათი პოვნის მეთოდებს, რომელთა გამოყენებით განსხვავებული ინტერესების მქონე ინდივიდებს, ჯგუფებს, საზოგადოებებს და ქვეყნებს კონფლიქტის შემთხვევაში, შეუძლიათ იდეალური შედეგების მიღება.

„თამაშთა თეორია შეისწავლის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს მასში მონაწილეთა ინტერესების ურთიერთქმედების პირობებში. იგი ეყრდნობა მათემატიკას, სტატისტიკას, მეცნიერებას მართვის შესახებ, ოპერაციათა კვლევას, ინჟინერიას, ეკონომიკას, პოლიტოლოგიას და სხვა დისციპლინებს. თამაშთა თეორიის თეორიული კვლევები და გამოყენებები სწრაფად ვითარდება ფართო დიაპაზონში – თვითმფრინავების და რაკეტების მართვიდან ბუნებრივი რესურსების მართვამდე, მოლაპარაკებათა წარმოების მეთოდებში, ფინანსურ ინვესტირებებში და გარემოს დაცვაში. ამრიგად, თამაშთა თეორია წარმოადგენს ყველაზე რთულ და პერსპექტიულ გამოყენებით მეცნიერებას რეალურ სამყაროში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების შესწავლისათვის და ანალიზისათვის“, – წერს დევიდ იანგი, თამაშთა თეორიის დარგში გამოჩენილი სპეციალისტი, ჰონკონგის უნივერსიტეტის „ფინანსთა თეორიისა და გადაწყვეტილებათა მიღების“ დეპარტამენტის პროფესორი.

თანამედროვე პირობებში მრავლად გვხვდება ისეთი სიტუაცია, რომლებშიც გამოცდილი ხელმძღვანელიც კი ვერ შეძლებს მეცნიერული მეთოდებისა და საშუალებების გამოუყენებლად, ობიექტურად შეარჩიოს შესაძლო მისაღებ გადაწყვეტილებათა განსხვავებული ვარიანტებიდან უპირატესი და აირჩიოს მათგან ოპტიმალური. ამიტომ, დღეს, როცა მთელი მსოფლიო შემობრუნდა მეცნიერებისაკენ, ძირითადად ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრში დადგა საზოგადოების რაციონალური ქცევის, მართვის, ორგანიზაციისა და ურთიერთობების პრობლემების შესწავლა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია თამაშთა თეორიის სხვადასხვა დარგის საჭიროება სამართლებრივი პრინციპების დაცვისათვის, ქმედებათა და ურთიერთობების რაციონალიზაციისათვის, კონფლიქტურ და კრიტიკულ სიტუაციებში და, საერთოდ, ყოველი არჩევანის გაკეთებისათვის გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად. სწორედ ამიტომაა ყველა სფეროში ქვეყნის წარმატებები დამოკიდებული იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

თამაშთა თეორიაში თამაშში იგულისხმება განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანთა ან მათი ჯგუფების (მოთამაშეთა, მხარეთა) ურთიერთობები, როდესაც მათ ორი არჩევანის (სტრატეგიის) გაკეთების შესაძლებლობა მაინც აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება და აქვთ განსაზღვრული მიზნები.

თამაშთა თეორია შექმნილია კონფლიქტური ტიპის მოვლენათა შესასწავლად. კონფლიქტური ტიპის მოვლენები ისეთი მოვლენებია, რომლებშიც მონაწილეობს რამდენიმე მხარე, რომელთა ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთი მოვლენების სპექტრი ძალიან ფართოა. მას შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც აზარტული თამაშები, ასევე ომები, კონკურენცია ბაზარზე, სპორტული შეჯიბრებანი, პოლიტიკა და სხვ.

თამაშთა თეორიის გამოყენებით საწარმოს აქვს შესაძლებლობა განჭვრიტოს პარტნიორებისა და კონკურენტების სვლები. იგი საჭიროა გამოვიყენოთ სტრატეგიული და კოოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

კონფლიქტური ტიპის ყოველი მოვლენის მოდელირების დროს მათემატიკურ ცნებებსა და მიმართებებში ასახული უნდა იყოს მოვლენის ყველა არსებითი ფაქტორი. მისი ძირითადი კომპონენტები ასეთია:

1. კონფლიქტური მოვლენის მონაწილეები, რომლებსაც მოთამაშეები ეწოდებათ;

2. გადაწყვეტილებანი, რომელთა მიღებაც მოთამაშეებს შეუძლიათ: მოთამაშეთა სტრატეგიები;
3. მოთამაშეთა მიზნები, რომლებიც რაღაც სარგებლის მიღებას წარმოადგენენ.

თამაშის მათემატიკური აღწერა უშვებს მისი სამი ფორმის არსებობას. ესენია: თამაშები პოზიციური ფორმით, თამაშები ნორმალური ფორმით და მახასიათებელი ფუნქციებით წარმოდგენილი თამაშები.

ყოველი თამაში უნდა დამთავრდეს რაღაც შედეგით, რომლის დროსაც გარკვეული უნდა იყოს თითოეული მოთამაშის სარგებელი, რომელიც უნდა გამოისახებოდეს რაოდენობრივად ანუ რიცხვით, რომელიც სხვადასხვა დროს შეიძლება იყოს ქულათა რიცხვი, თანხა ან სხვა.

N მოთამაშისათვის თამაში ნორმალური ფორმით არის სისტემა $<< S_1; S_2;...; S_N; \phi_1; \phi_2;...; \phi_N >>$, რომელიც შედგება მოთამაშეთა სუფთა სტრატეგიების S_j სიმრავლეებისაგან და მოთამაშეთა სარგებლიანობის ϕ_j ფუნქციებისაგან. ყოველი შესაძლო სიტუაციისათვის მოთამაშის მიერ წინასწარ განსაზღვრული სვლების ერთობლიობას ამ მოთამაშის სუფთა სტრატეგია ეწოდება. j –ური მოთამაშის სარგებლიანობის ფუნქციაა $\phi_j : S_1 \times S_2 \times ... \times S_N \to R$, ეს ფუნქცია განსაზღვრულია მოთამაშეთა სუფთა სტრატეგიების სიმრავლეთა დეკარტის ნამრავლზე.

განვიხილოთ ორი მოთამაშის თამაშები ნორმალური ფორმით, ანუ შემთხვევა, როდესაც $N = 2$: $<< S_1; S_2; \phi_1; \phi_2 >>$. ორი მოთამაშის თამაში ნორმალური ფორმით, როდესაც მოთამაშეთა სტრატეგიების რიცხვი სასრულია, შეიძლება წარმოვადგინოთ ორმაგი მატრიცების საშუალებით. ამისათვის საჭიროა მოთამაშეთა სტრატეგიების ყოველი წყვილს $(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$ შევუსაბამოთ სარგებლიანობის ფუნქციების მნიშვნელობათა წყვილი: $(\phi_1(s_1^{l_1}; s_2^{l_2}), \phi_2(s_1^{l_1}; s_2^{l_2}))$ და ავაგოთ ორმაგი მატრიცი, რომლის l_1 ნომრის სტრიქონისა და l_2 ნომრის სვეტის გადაკვეთაზე მოთავსებული იქნება $(\phi_1(s_1^{l_1}), \phi_2(s_1^{l_2}))$ წყვილი.

თამაში შეიძლება წარმოვადგინოთ ჩვეულებრივი მატრიცით, რომლის l_1 ნომრის სტრიქონისა და l_2 ნომრის სვეტის გადაკვეთაზე იქნება $\phi_1(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$ რიცხვიან $\phi_2(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$ რიცხვი. პირველ შემთხვევაში გვექნება პირველი მოთამაშის სარგებლიანობის ფუნქციის წარმომდგენი მატრიცი, მეორე შემთხვევაში – მეორე მოთამაშის სარგებლიანობის ფუნქციის წარმომდგენი მატრიცი.

თამაშთა თეორიას, ცხადია, ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველ იმ კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომლის მათემატიკური მოდელირებაც ხდება თამაშთა თეორიით, მოთამაშემ აირჩიოს ის სტრატეგია, რომელიც არის მისთვის ოპტიმალური, ხელსაყრელი იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მოთამაშესაც იგივე სურვილი ამოძრავებს. ასეთი ხელსაყრელი სტრატეგიის მოძებნას და არჩევას თამაშის ამოხსნა შეიძლება დაერქვას.

ორი მოთამაშის ნორმალური ფორმის თამაშის ამოხსნის და ამოხსნადობის კონცეფციებია:

- ოპტიმისტური ამონახსნი;
- პესიმისტური ანუ მაქსიმინური ამონახსნი;
- წონასწორული ამონახსნი;
- დასაშვები ანუ პარეტოს ამონახსნი.

პესიმისტური ანუ მაქსიმინური ამონახსნის შემთხვევაში მოთამაშე ორიენტაციას იღებს ყველაზე უარეს შედეგზე, ანუ სარგებლიანობის ფუნქციის გარანტირებულ მნიშვნელობაზე და ისე ირჩევს სტრატეგიას, რომ ეს გარანტირებული მნიშვნელობა იყოს მაქსიმალური. სიტუაცია $(s_1^*; s_2^*) \in S_1 \times S_2$, რომლის კომპონენტებზეც მიიღწევიან სარგებლიანობის ფუნქციათა ეს მაქსიმინური მნიშვნელობანი: $V_1 = \max_{s_1^{l_1}} \min_{s_2^{l_2}} \phi_1(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$, $V_2 = \max_{s_1^{l_1}} \min_{s_2^{l_2}} \phi_2(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$, $(s_1^*; s_2^*)$ სიტუაციასთან ერთად, წარმოადგენს თამაშის მაქსიმინურ ამონახსნს.

განვიხილოთ შემდეგი კონკრეტული საწარმოო ამოცანა, რომლის პირობაც მდგომარეობს შემდეგში:

ერთ ქუჩაზე ერთმანეთის პირდაპირ დგას ორი სუპერმარკეტი: I – ინდ. მეწარმე ლელა ზუბიაშვილი და II – ინდ. მეწარმე მაია დათუაშვილი. მეწარმეების სურვილია, რომ კონკურენციის პირობებში დარჩნენ ბაზარზე და აინტერესებთ რისკის გაუწევლად რა შანსი აქვთ ბაზარზე დარჩენისა. ეს ამოცანა გადაიჭრება შემდეგნაირად:

S_1 არის I მოთამაშის სტრატეგიათა სიმრავლე და მისი ელემენტებია s_1^1, s_1^2, s_1^3;

S_2 არის II მოთამაშის სტრატეგიათა სიმრავლე და მისი ელემენტებია s_2^1, s_2^2, s_2^3;

სუპერმარკეტებში იყიდება საქონლის სამი ჯგუფი:

I ჯგუფი. ნახევარფაბრიკატები	
s_1^1	s_2^1
ქათმის ბარკლები	ქათმის ბარკლები
ქათმის ფილე	ქათმის ფილე
კუპატი	კატლეტი

II ჯგუფი. ტკბილეული	
s_1^2	s_2^2
ფახლავა	ფახლავა
ცეზარი	შოკოლადის ჩხირები
აკინაკი კაკაოთი	ვაფლი

III ჯგუფი. ლუდი	
s_1^3	s_2^3
kaiser	ყაზბეგი
მთიელი	მთიელი
ნატახტარი ქარვა	ნატახტარი ქარვა

ჩამოვწეროთ სიტუაციათა ყველა შესაძლო შემთხვევა:

$(s_1^1; s_2^1) \to (550;1000)$

$(s_1^1; s_2^2) \to (900;1250)$

$(s_1^1; s_2^3) \to (900;1900)$

$(s_1^2; s_2^1) \to (800;1500)$

$(s_1^2; s_2^2) \to (350;1000)$

$(s_1^2; s_2^3) \to (800;1900)$

$(s_1^3; s_2^1) \to (1000;1500)$

$(s_1^3; s_2^2) \to (1000;1250)$

$(s_1^3; s_2^3) \to (600;1500)$

I მოთამაშისთვის (ინდ. მეწარმე ლელა ზუბიაშვილი) სარგებლიანობის მატრიცი იქნება შემდეგი:

$$\begin{array}{c|ccc} & s_2^{\,1} & s_2^{\,2} & s_2^{\,3} \\ \hline s_1^{\,1} & 550 & 900 & 900 \\ s_1^{\,2} & 800 & 350 & 800 \\ s_1^{\,3} & 1000 & 1000 & 600 \end{array} \begin{pmatrix} 550 & 900 & 900 \\ 800 & 350 & 800 \\ 1000 & 1000 & 600 \end{pmatrix} \begin{array}{c} \min \\ \begin{pmatrix} 550 \\ 350 \\ 600 \end{pmatrix} \end{array} \begin{array}{c} \max \\ 600 \\ \end{array}$$

თუ ეს მოთამაშე ითამაშებს $s_1^{\,3}$ სტრატეგიით, რომელიც, როგორც დავინახეთ, არის გარანტირებული სარგებლიანობს სტრატეგია, იგი ამ დროს არ მიიღებს 600 ლარზე ნაკლებ შემოსავალს.

II მოთამაშისთვის (ინდ. მეწარმე მაია დათუაშვილი) სარგებლიანობის მატრიცი იქნება შემდეგი:

$$\begin{array}{c|ccc} & s_2^{\,1} & s_2^{\,2} & s_2^{\,3} \\ \hline s_1^{\,1} & 1000 & 1250 & 1900 \\ s_1^{\,2} & 1500 & 1000 & 1900 \\ s_1^{\,3} & 1500 & 1250 & 1500 \end{array} \begin{pmatrix} 1000 & 1250 & 1900 \\ 1500 & 1000 & 1900 \\ 1500 & 1250 & 1500 \end{pmatrix} \begin{array}{c} \min \\ \begin{pmatrix} 1000 \\ 1000 \\ 1250 \end{pmatrix} \end{array} \begin{array}{c} \max \\ 1250 \\ \end{array}$$

თუ ეს მოთამაშე ითამაშებს $s_2^{\,2}$ სტრატეგიით, რომელიც არის გარანტირებული სარგებლიანობის სტრატეგია, მაშინ იგი არმიიღებს 1250 ლარზე ნაკლებ შემოსავალს.

თამაშის პესიმისტური ანუ მაქსიმინური ამონახსნია წყვილი: $(s_1^{\,3}; s_2^{\,2})$. თუ მოთამაშეები (მეწარმეები) ამ სტრატეგით ითამაშებენ, მაშინ პირველი მოთამაშის გარანტირებული შემოსავალი 600 ლარი იქნება, ხოლო მეორე მოთამაშისა კი 1250 ლარი, თუმცა ამაზე მეტი შემოსავალი შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ არა ნაკლები. ეს ის შემოსავლებია, რასაც ისინი მიიღებენ რისკის გაუწევლად.

ლიტერატურა:

1. მუმლაძე მ., „დისკრეტული მათემატიკა“, თბ., 2011.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://mystrangeart.blogspot.com/2011/06/blog-post.html
2. http://www.open.ge/index.php?m=12&y=2007&art=365

ზოგიერთი სამკურნალო მცენარის გამოყენება ონკოლოგიურ დაავადებათა წინააღმდეგ

თათია ხმიადაშვილი, ანი ოქუაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

შეუფასებელია მცენარეთა როლი ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში. ბევრი მიიჩნევს, რომ ადამიანმა თანამედროვე დონეზე განვითარება მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ გარს მცენარეული სამყარო ერტყა, რომელიც მას აძლევდა ყველაფერს, რაც კი არსებობისთვის სჭირდებოდა, მაგრამ დღეისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარის როლი ხალხურ მედიცინაში.

სამკურნალო მცენარეების შესწავლა და გამოყენება შორეულ წარსულს უკავშირდება. ამას ადასტურებს უძველესი წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი წყაროები.

ჯერ კიდევ 3-4 ათასი წლის წინ ეგვიპტეში ცნობილი ყოფილა მრავალი საკვები და სამკურნალო მცენარე. უძველესი ისტორია აქვს ჩინეთის, ტიბეტის, ინდოეთის, საბერძნეთის ხალხურ მედიცინაში

სამკურნალო მცენარეების გამოყენებას. ჰიპოკრატეს თავის შრომებში 200-ზე მეტი სამკურნალო მცენარე აქვს მოხსენიებული.

საქართველოში სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ ცნობებს იძლევა ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროები – ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI საუკუნე), ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“ (XIII საუკუნე), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (XV საუკუნე), „იადიგარ დაუდი“ (XV საუკუნე), დიდი მასალაა შემონახული იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა და სხვათა სამედიცინო ხელნაწერებშიც.

სამკურნალო მცენარეების სასარგებლო თვისებები განპირობებულია მათში სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური, ე. წ. მოქმედი ნივთიერებების არსებობით: ასეთებია - ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთები, გუმფისები, ფისები, ლორწო, ვიტამინები, ფიტონციდები და სხვა, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე და სხვადასხვა დაავადების გამომწვევ მიკრობებზე.

ნაშრომში წარმოდგენილია ზოგიერთი ის სამკურნალო მცენარე, რომელიც გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა სახის სიმსივნური დაავადების წინააღმდეგ.

ალოე, საბრი (*Aloe*)

ალოე - მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა, განეკუთვნება ქსეროფიტულ სუკულენტებს. აქვს გრძელი, ხორციანი, ხშირად ცვილისებრი ნაფიფქით დაფარული კიდეეკლიანი ფოთლები. წითელი, ნარინჯისფერი ან ყვითელი მილისმსგავსი ყვავილები შეკრულია მტევნებად ან საგველა ყვავილედად. აერთიანებს 250-მდე სახეობას. გავრცელებულია აფრიკაში, არაბეთში, შუა აზიაში და მადაგასკარზე, შავი ზღვის სანაპიროზე – ბაღებში, პარკებსა და პლანტაციებში. ალოეს ფოთლების შესქელებული წვენი – საბრი კარგი საფაღარათო საშუალებაა. ნორჩი ფოთლების გამონაწვლილს ხმარობენ კანქვეშ შესაშხაპუნებლად თვალისა და სხვა დაავადებათა დროს. იყენებენ ბიოლოგიური სტიმულატორადაც. ალოეს წვენისაგან დამზადებული პრეპარატები იხმარება გარეგან საშუალებად ჩირქოვანი ჭრილობის, დამწვრობისა და კანის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. გამოიყენება სიმსივნეების სამკურნალოდ.

ალოე – ასწლოვანა (Aloe arborescens), რომელსაც ბინებში აშენებენ. ორანჟერეებსა და ოთახებში ხშირია ალოეს სხვა, დეკორატიული სახეობებიც. საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ალოე დახურული გრუნტის გადასარგავი კულტურაა. გამრავლება შეიძლება მოზრდილ მცენარე აჭრილი გვერდითი ყლორტების დაფესვიანებით. დაფესვიანებულ ყლორტებს გამოსაზამთრებლად კვალსათბურში ტოვებენ, აპრილ-მაისში კი სანერგეში გადააქვთ ზრდის დასამთავრებლად. შემდეგი წლის გაზაფხულზე ჩითილს ღია გრუნტში გადარგავენ. ფოთლის მოსავლიანობა საშუალოდ 8-10 ტ/ჰა. ზოგ სეზონში ხუთჯერ კრეფენ და ნედლეულს მაშინვე გზავნიან ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში. ალოეს ზოგიერთი სახეობის ფოთლებიდან მიღებული ბოჭკოსაგან მზადდება ხალიჩები და საზღვაო ბაგირები.

ქაცვი (Hippophae rhamnoides)

ქაცვი ხშირტოტებიანი ბუჩქოვანი მცენარეა ფშატისებრთა ოჯახიდან, სიმაღლით 1,5-3,5 მ, იშვიათად 10 მ. სიმაღლის ხეა. ფოთლები მორიგეობითია, მოკლე ყუნწებით, ხაზურ-ლანცეტა, ზემოდან მონაცისფრო-მუქი მწვანეა, ქვემოდან მოვერცხლისფრო-თეთრი. ყვავილები ორბინიანია, სწორი ჯამისებური, უფურცლო ყვავილსაფარით. ნაყოფი წვნიანი, პრიალა, ნარინჯისფერი, ყვითელი ან მოწითალოა, სფეროსებრი ფორმის, ზიან ძალიან მოკლე ნაყოფსამაგრზე, რომელიც სქლად ერთხმის ტოტს. ქაცვი იზრდება მდინარის ნაპირებზე, მთის ფერდობებზე, ტენიან ადგილებში, სადაც ხშირად ქმნის ძნელადმისადგომ აღმონაცენს. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ქაცვი მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში, სადაც შესაძლებელია მისი მასიურად დამზადება.

ნაყოფები საჭმელად ვარგისია, მომჟავო, მდიდარი ვიტამინებით ანანასის სუნით. შეიცავს 3,5%-მდე შაქარს, 2,6% მჟავებს, 8% ცხიმოვან ზეთებს 300-450 მგ.% C-ვიტამინს, კაროტინს, B1, B2, BC (ფოთლის მჟავა) და E ვიტამინებს. ნაყოფში შემავალი ზეთი მიდის ჭრილობის შემხორცებელი წამლების დასამზადებლად.

ხალხურ მედიცინაში ქაცვის ნაყოფებს იყენებენ კიბოს წინააღმდეგ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ, კუჭის სამკურნალო და სურავანდის საწინააღმდეგო საშუალებას. გამოიყენება აგრეთვე ქაცვის ფოთლებიც. ისინი შეიცავს 230-260 მგ.% C-ვიტამინს და 10%-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს. ნორჩი ყლორტებისა და ფოთლებისაგან იღებენ შავ, ხოლო ნაყოფებიდან – ყვითელ საღებავებს.

კავკასიური მოცვი (Vaccinium arctostaphylos)

მოცვი ბუჩქი ან ტანდაბალი (2-4 მ), ხე მანანასებრთა ოჯახისა. მოწითალო-თეთრი ზარისებრი ყვავილები აქვს. ნაყოფი შავი კენკრაა, იჭმევა. გავრცელებულია ძირითადად კოლხეთში, ნაკლებად გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართლში, შიგა კახეთში, თალიშსა და თურქეთში (მდინარე ჭოროხის აუზი). იზრდება ქვეტყედ ზღვის დონიდან 2200 მ-მდე, მეტწილად წიფლნარში, სოჭნარ-ნაძვნარში, ფიჭვნარსა და სუბალპურ არყნარში, იშვიათად დეკიანში. ფოთოლი შეიცავს 135-მდე ტანიდებს, ახმობენ კერკად და ხმარობენ კუჭის შემკვრელ საშუალებად, კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში.

კავკასიური სურო (Hedera colchica)

მცოცავი ბუჩქი სუროს გვარისა. აქვს მომრგვალო ან მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის ტყავისებრი ფოთლები და პატარა მომწვანო ყვავილები. გავრცელებულია უფრო დასავლეთ საქართველოს ტყეებსა და ჩრდილიან ადგილებში. საქართველოს გარდა იზრდება თურქეთში (ლაზისტანი). კულტივირებულია ბაღებსა და პარკებში. მისი ფოთლები შემოდგომის დამლევს და ზამთარში სიცივისაგან ლამაზ მოწითალო იერს იღებს. ადვილად მრავლდება კალმითა და გადაწვენით.

სურო, როგორც სამკურნალო მცენარე, ძველთაგანვეა ცნობილი. იგი მოიხსენიება აზიურ და ევროპულ წყაროებში. მაგ., ავიცენა მიუთითებდა, რომ მას აქვს გამწმენდი თვისებები, ხოლო მისი რძე აცვენს თმებს. ღვინოში მოხარშული სურო იხმარებოდა ჭრილობების მოსაშუშებლად. მის მალამოებს იყენებდნენ დამწვრობისათვის. სუროს ნახარში ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ქრონიკული სურდოს, ფილტვების ტუბერკულოზის, რაქიტის სამკურნალოდ; გარეგანად იყენებენ დაჩირქებების, კანის ანთების, ქეცის, ჭრილობების სამკურნალოდ. გერმანელები იყენებენ კიბოს წინააღმდეგ, ბულგარელები - ხველის შესაჩერებლად. საქართველოში ხმარობენ მრავალი დაავადების, მათ შორის, კუჭის წყლულისათვის, თორმეტგოჯა ნაწლავისათვის. საპონინების შემცველობის გამო მას აქვს მრავალმხრივი გამოყენება.

ჟოლო (Rubus)

ჟოლო (Rubus) – მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ბუჩქბალახია, მისი სიმაღლეს 1-3 მ აღწევს. მიწისქვეშა ნაწილი მრავალწლოვანი ფესურაა, მიწისზედა – ერთ- და ორწლოვანი მწვანე, წითელი ან იისფერი ყლორტია, რომელიც დაფარულია სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ქაცვებით. ფოთოლი სამყურა ან ფრთისებრ რთულია, ყვავილი – ორსქესიანი, თეთრი, ნაყოფი – კენკრა, ფერად ყვითელი, წითელი ან მუქი მეწამული. მრავლდება თესლით (ახალი ჯიშის მისაღებად) და ვეგეტატიურად. ცნობილია ჟოლოს 120-ზე მეტი სახეობა. ფართოდაა გავრცელებული ყველგან. იყენებენ საჭმელად – ნედლად და გადამუშავებულს. მედიცინაში გამხმარი ნაყოფის ნახარში ოფლმდენი საშუალებაა. გამოიყენება, როგორც კიბოს საწინააღმდეგო მცენარე.

ლამაზი უცუნა – Colchicum speciosum Stev

ლამაზი უცუნა, შროშანასებრთა – Liliaceae ოჯახს მიეკუთვნება. იგი მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი მცენარეა. თავისი ბიოლოგიით უცნაური მცენარეა: ნაყოფი და ფოთოლი ადრე გაზაფხულზე ფორმირდება. ზაფხულში მცენარე მოსვენების სტადიაში გადადის (მცენარის მიწისზედა

ნაწილი კვდება). შემოდგომაზე ამთავრებს მოსვენების პერიოდს – ამოდის საყვავილე ისარი იისფერი დიდი გვირგვინის ფურცლებით.

მისი ტუბერბოლქვი მსხვილი, ოვალური მოყვანილობისაა. ბოლქვის ქვედა ნაწილში ნისკარტისებური გამონაზარდია, რომელიც დაფარულია ხმელი მუქი-დარიჩინისფერი ბზინავი ქერცლებით. ბოლქვის სიგრძე 3-5 სმ-ია, სიგანე - 2-4 სმ. ბოლქვი ნიადაგში 10-12 სმ სიღრმეზეა. ყვავილები მსხვილია, მოვარდისფრო, იშვიათად თეთრი; ისინი უსუნოა. ყვავილსაფარი შედგება 6 ფართოოვალური ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი 6-10 სმ დიამეტრისაა. ყვავილსაფარის მილის სიგრძე 25-40 სმ-ია. მცენარის მიწისზედა ნაწილი ნაყოფმსხმოიარობის ფაზაში 25-40 სმ-ია. ფოთლები უმეტესად 4-5–ია, მსხვილი, ოვალური, მოგრძო მოყვანილობის. ფოთლის წვერო ბლაგვია. ამოდის მეორე წლის გაზაფხულზე. ღერო არ აქვს. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია. თესლები მომრგვალოა, დარიჩინისფერი, 2-3 მმ დიამეტრით. უცუნა ყვავილობს ზაფხულში და შემოდგომით. ყვავილობისას ფოთოლი არა აქვს. შეფოთლილი ყლორტი და ნაყოფები ვითარდება მომდევნო წლის გაზაფხულზე. ნაყოფი მწიფდება მაის-ივნისში. დათესლიანების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილი კვდება. ზაფხულობით ბოლქვები მოსვენებით მდგომარეობაშია. ბოლქვები ყოველწლიურად განიცდიან შეცვლას. საგაზაფხული ვეგეტაციის ბოლოს დედა ბოლქვს ცვლის შვილეული.

იგი ძლიერ შხამიანი მცენარეა, მისი ალკალოიდებია კოლხიცინი და კოლხამინი. მათი რაოდენობა ტუბერბოლქვებში 0,25%, ფოთლებში 0,2-0,6%, თესლებში 1,2%-ია. ალკალოიდების რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს ფოთლების ფორმირების დასაწყისში, ხოლო კოლხამინი მერყეობს 0,01-0,072%-ის ფარგლებში და ის ალკალოიდების ჯამში დომინანტობს ფოთლებისა და ნაყოფების სრული ფორმირებისას. უცუნას ბოლქვებში შემავალ ალკალოიდებს – კოლხიცინსა და კოლმახინს გააჩნიათ სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობა. კოლმახინის ბაზაზე მზადდება ომაინის მალამო, რომელიც გამოიყენება კანის კიბოს დროს, ხოლო ტაბლეტების სახით ხმარობენ ქრონიკული ლეიკოზის, საყლაპავისა და კუჭის კიბოს შემთხვევაში.

ტყის კამა - Peucedanum Caucasicum (M. B.) c Koch

ტყის კამა ქოლგოსანთა ოჯახის წარმომადგენელია. ტყის კამა 30-120 სმ სიმაღლის მრავალწლიანი მცენარეა. მისი წვრილად დაღარული, გულგულით ამოვსებული ღერო განივჭრილში მრგვალშემოწერილობისაა და შუა და ზედა ნაწილში დატოტვილია. ღეროს ქვედა ნაწილში განლაგებული ფოთლები ფრთისებრ ორ-სამჯერაა დაყოფილი; კენწეროსა და ფოთლების იღლიებიდან ამოსული ტოტების ბოლოებზე განლაგებული უთანაბრო სიგრძის ქოლგები მრავალრიცხოვანი, 6-10 (16) თითისტარისებურად გამსხვილებული ფესვი ოდნავ მოყვითალო-თეთრია; ფესვის ყელი გამხმარი ფოთლების ყუნწების მუქწაბლისფერ ქეჩისებრ ბოჭკოებშია გახვეული. ყვავის ივნისს-აგვისტოში. ბოლო დროს მედიცინაში გამოიყენება, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატ თიოფოსფამიდის მოქმედების გამაძლიერებელი საშუალება. ამიტომ ამ პრეპარატთან ერთად პეუცედანინი ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობაში გამოიყენება.

ფუნთუშა მწვანე, Sedum Acre L

ფუნთუშა მწვანე, სქელფოთლიანთა ოჯახის წარმომადგენლია, ფუნთუშას კახეთში, რაჭასა და იმერეთში კატაძუძუს ეძახიან, აჭარაში კაკნისაკვნეტელა, კაკნისაკნატურას. მრავალწლოვანი, 4-15 სმ სიმაღლის მცენარეა. თასმისებრი დატოტვილი ფესურით. საყვავილე ყლორტები ზეაღმართულია, უნაყოფო ტოტები კი მიწაზეა გართხმული კრამიტისებურად განწყობილი სუკულენტური ფოთლებით.

ზურგის მხარეს ამობურცული, ძირში გასქელებული, 2-5 მმ სიგრძის, შიშველი, კვერცხისებრი, ხორცოვანი ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა განწყობილი. თითოეულ ყვავილედში სულ 3-5 ყვავილია, რომელიც ყლორტების კენწეროებზეა თავმოყრილი. ყვავილის ჯამის ფოთოლაკები ხუთია, ნაცრისფერმწვანე, ან მოყვითალო. ყვავილის გვირგვინი ჯამზე 2-3-ჯერ უფრო გრძელია, 5 ოქროსფერი-ყვითელი, ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა წვეტიანი გვირგვინის ფურცლებით. ყვავის მაისიდან ივლისის ჩათვლით, ზოგჯერ აგვისტოშიც. მისი უმთავრესი ადგილსამყოფელია კლდეები და ქვიანი ადგილები, მშრალი ხირხატნიადაგიანი ფერდობები. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. ხალხურ მედიცინაში გარეგან სახმარად გამოიყენება დამწვრობისა და წყლულების სამკურნალოდ. ნედლ, დანაყილ ფუნთუშას კიბოს წყლულოვან კერებზე იდებენ, რომელიც ასეთ კერებს ასუფთავებს, საქონლის ქონში არეული მისი წვენი კარგი საშუალებაა თავის კანზე არსებული გამონაყრების, ჩირქოვანი მუწუკების მოსარჩენად.

ცნობილ ბერძენ ბუნების მკვლევარსა და მკურნალს ჰიპოკრატეს ეს მცენარე სიმსივნების გასაკურნ საშუალებად მიაჩნდა. ბულგარეთის ხალხური მედიცინა მის დალევას ურჩევს ეპილეფსიის, სურავანდის, ათეროსკლეროზის სამკურნალოდ. გარეგან სახმარად რეკომენდებულია ნედლი, დანაყილი, ფაფისებრი მასის ახალწარმონაქმნზე (კანის სიმსივნეებზე) დაფენა.

ქრისტესისხლა (Chelidonium)

ქრისტესისხლა – მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ყაყაჩოსებრთა ოჯახისა. მისი ერთადერთი სახეობა Ch. mujus შეიცავს ნარინჯისფერ რძეწვენს. აქვს ღრმად, ფრთისებრ განკვეთილი ფოთლები და ქოლგისებრ ყვავილედებად შეკრებილი ყვითელი ყვავილები. იზრდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბარქტიკულ და ზომიერ სარტყლებში, ბაღებსა და დანაგვიანებულ ადგილებში. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. შხამიანი მცენარეა, შეიცავს ალკალოიდ ქელიდონიუმს, რითაც ხშირად იწამლებიან ცხოველები. ქრისტესისხლას რძეწვენი იხმარება მედიცინაში წყლულისა და კანის დაავადებათა, როგორც ყელის, ისე მკერდის სიმსივნეთა დროს.

ამრიგად, სამკურნალო მცენარეები არ კარგავენ პოპულარობას და მათი გამოყენება ხალხურ მედიცინაში დღესაც აქტუალურია სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

ლიტერატურა:

1. მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი, თბ., 1961.
2. სკლიარევსკი ლ., გუბანოვი ი., სამკურნალო მცენარეები ოჯახურ პირობებში, თბ., 1993.
3. ხიდაშელი შ., პაპუნიძე ვ., საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები, თბ., 1985.
4. ქუთათელაძე ი., სამკურნალო და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში, თბ., 1945.
5. წუწუნავა ნ., მცენარე, როგორც სამკურნალო საშუალება ძველ საქართველოში, თბ., 1959.

ელექტრონული მარკეტინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ნინო ათუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ მშვიდობაძე,** ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა კი ინტერნეტი, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც. ინტერნეტი განაპირობებს მსოფლიო სამეურნეო პროცესებში მჭიდრო ინტეგრაციას, აგრეთვე ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის, კონკურენტული და გამჭვირვალე ბიზნეს გარემოს, საინვესტიციო წყაროების გავრცელებასა და დამკვიდრებას.

ინტერნეტმა მიგვიყვანა მარკეტინგის განვითარების ახალ ეტაპზე. ელექტრონულმა მარკეტინგმა მოახდინა ახალი ეკონომიკური სივრცის ფორმირება. კომპიუტერული ინდუსტრია ჩამოყალიბდა და განვითარდა სწრაფად, დღეისათვის კომპიუტერული პარკი ითვლის 1 მლრდ კომპიუტერს, პერსონალური კომპიუტერის მსოფლიო მიწოდება შეადგენს 239,4 მლნ ერთეულს.

საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების შესწავლის მიზნით სხვადასხვა კვლევითი სააგენტოს მიერ გამოკვლეული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოს ინტერნეტ-პროვაიდერების ბაზარი, საქართველოს ინტერნეტ-ბაზარი, საქართველოში ინტერნეტის, კომპიუტერის მოხმარება და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებანი, საქართველოს ელექტრონულ ბაზარზე ინტერნეტ-რესურსების მოხმარებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულება.

ელექტრონული მარკეტინგის დანერგვა და გამოყენება ქართულ კომპანიებს აძლევს უამრავ სარგებელს, იგი არის, ერთი მხრივ, კომპანიის განვითარების ინდიკატორი, მეორე მხრივ - კატალიზატორი.

ელექტრონული მარკეტინგის ეფექტურ გამოყენებას ქართველი მომხმარებლისთვისაც მოაქვს ეფექტი. მომხმარებელს წარედგინება პროდუქტის სარგებელი, დამატებითი მომსახურება და დეტალური ინფორმაცია პროდუქტთან აგრეგირებისთვის, მომხმარებელი საქონელსა თუ მომსახურებაში იხდის დაბალ ფასს [1].

საქართველოს ინტერნეტ-პროვაიდერების ბაზრის მარკეტინგული კვლევა. ქართული ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტი გამოირჩევა ეკონომიკური მიმზიდველობით, რაც აისახება კიდეც ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შემოსავლების ზრდაში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს საკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლები 2006-2012 წლებში (მლნ. ლარი)*.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლები (მლნ. ლარი)	211,5	268,5	340,0	459,0	596,0	715,5	1001,4
საკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლების წილი მშპ-ში (%)	3,5	4,0	4,6	5,4	6,3	6,2	7,5
ინტერნეტ პროვაიდერების შემოსავლები (მლნ. ლარი)	3,7	5,8	8,7	11,5	16,2	19,8	26,15

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები, 2006 წლიდან მოყოლებული, ხასიათდება ყოველწლიურად 20 %-იანი ზრდის ტენდენციით, ხოლო 2012 წელს კი წლიურმა ზრდის ტემპმა 70 %-ს მიაღწია.

საქართველოს ინტერნეტ-ბაზარი მეტად დინამიურად ვითარდება. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანია ITU (International Telecommunication Union) და სხვა ანალიტიკური სააგენტოების მონაცემებით, საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის მთლიანი სეგმენტი 2006 წელს ითვლიდა 20 ათას ინტერნეტ-მომხმარებელს (საქართველოს მოსახლეობის 0,5 %-ს), ხოლო 2012 წელს საერთო რაოდენობამ შეადგინა 175600 ინტერნეტ-მომხმარებელი ანუ მთლიანი მოსახლეობის 4 % [2].

საქართველოში მეტად დინამიურად ვითარდება უნაღდო ანგარიშსწორების ინსტრუმენტის პლასტიკური ბარათის ბაზარი. დიდია დაინტერესება ამ ინსტრუმენტისადმი, რაც გამოიხატება როგორც მიმოქცევაში მის რაოდენობრივ ზრდაში, ასევე პლასტიკური ბარათის ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების მოცულობით. 2012 წლის პირველი კვარტლის მონაცემით, საქართველოში სულ მიმოქცევაში იყო 2085 ათასი ერთეული ბარათი.

პლასტიკური ბარათების მფლობელთა რაოდენობამ თბილისში შეადგინა რესპონდენტთა საერთო რაოდენობის 54 %, ხოლო რეგიონებში – 46 %. გარდა ამისა, გამოკვლეულ სეგმენტზე თბილისის რესპონდენტთა 32,5 % სარგებლობს პლასტიკური ბარათით, ხოლო რეგიონებში კი – 18,5 %. რაც შეეხება ბარათის მფლობელთა განაწილებას ცალკეული მარკის მიხედვით, გამოკითხულ მომხმარებლებში VIZA-ს ბარათების მოხმარების 62 % მოდის თბილისზე, ხოლო 38 % – რეგიონებზე, MasterCard-ს 74 % გავრცელებულია თბილისში, ხოლო 26 % – რეგიონებში, American Expres-ს 15 %-ს მოიხმარს რეგიონების ინტერნეტ-მომხმარებლები, დანარჩენს – თბილისის მომხმარებლები, ხოლო Georgian Card-ს საერთოდ არ იცნობენ რეგიონებში და მისი სარგებლობა მთლიანად თბილისზე მოდის. თბილისის სეგმენტზე VIZA-ს მოხმარება შეადგენს მთლიანი ბაზრის მოხმარების 64 %-ს და ბარათის მფლობელთა საერთო რაოდენობის 63 %-ს. MasterCard–ს წილად თბილისში მოდის მფლობელთა 24 % და საერთო რაოდენობის 23 %. რეგიონებში პლასტიკური ბარათის ბაზარი ჩანასახოვან მდგომარეობაშია, მფლობელთა რაოდენობა მეტად მცირეა, ხოლო ელექტრონულ ბაზარზე აქტივობა დაბალია [3].

დიაგრამა 1. თბილისის და რეგიონების მომხმარებლებში პლასტიკური ბარათების განაწილება.



საქართველოს ელექტრონულ ბაზარზე ინტერნეტის მოხმარების მარკეტინგული კვლევა

კვლევის შედეგად საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე გამოვლინდა ინტერნეტ-მომხმარებელთა ასეთი თანაფარდობა: თბილისშია მომხმარებლების საერთო რაოდენობის 60 %, ხოლო რეგიონებში – 40 %. ინტერნეტით სარგებლობა საქართველოში ძირითადად წარმოდგენილია სამსახურის და სახლის ინტერნეტ-არხებით (33 % და 31 % შესაბამისად). შედარებით ნაკლებია (18 %) სასწავლო დაწესებულებების მეშვეობით ინტერნეტის მოხმარება გარკვეული საქმიანობისათვის. ინტერნეტ-კაფის მიერ გავრცელებული მომსახურების წილი შეადგენს 14 %-ს. მეტად სოლიდური სეგმენტია იმ პირთა ჯგუფი (მომხმარებელთა 15 %), რომლებიც ინტერნეტში დაშვების რამდენიმე არხით სარგებლობენ.

თბილისთან შედარებით რეგიონებში დაბალია ინტერნეტის ფლობა როგორც სახლის პირობებში, ასევე კერძო სტრუქტურებშიც. თბილისელი რესპონდენტების 34 % ინტერნეტში დაშვებას ახდენს სახლიდან, 28 % – სამსახურიდან, 17 % – სასწავლებლის ინტერნეტიდან, 15 % - ინტერნეტ-კაფის მეშვეობით, ხოლო ბიბლიოთეკებში დადის – 4 % და სხვადასხვა წყაროებით სარგებლობს 2 %.

დიაგრამა 2. თბილისისა და რეგიონების მომხმარებელთა ინტერნეტით სარგებლობის ძირითადი ადგილები რესპონდენტთა საერთო რაოდენობასა და ცალკეულ სეგმენტთან მიმართებით.



კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში კომპიუტერის მომხმარებელთა ზრდა საქართველოში ძირითადად მოდის სტუდენტ-ახალგაზრდობაზე. ამასთან, კომპიუტერის ყოველდღიური მოხმარების ბაზრის საკმაოდ მრავალრიცხოვან სეგმენტს იკავებს უმაღლესი განათლების მქონე პირთა წრეც. მათ სამომხმარებლო ქცევასა და მოტივაციაზე დაკვირვებით შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება:

- კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების გავრცელებისა და ეფექტურობიდან გამომდინარე, მაღალია ქართველ მომხმარებელთა ფასეულობები და ინტერესთა სფეროები, ხოლო საქართველოს კომპიუტერის ბაზარი და გამოყენების ინტენსივობა დინამიურად ზრდადია.

ამგვარად, ელექტრონული ბაზარი და მისი გამოყენების ტექნოლოგიები, რომელმაც ჩანასახშივე ჰპოვა თავისი პრაგმატულობა და პრევალირება, თანამედროვე ბიზნესის მამოძრავებელი ძალაა. საქართველოს ელექტრონული ბაზრის განვითარება გლობალურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრირების აუცილებელი პირობაა. ელექტრონული ბაზრის რეგულირებისათვის კი საჭიროა სწორი მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც მარკეტინგული კვლევების საფუძველზე უნდა შემუშავდეს.

ლიტერატურა;

1. აბულაძე რ., ელექტრონული მარკეტინგის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 0175, საქართველო, 2010 წელი.
2. http://www.itu.int,
3. საქართველოს ეროვნული ბანკის „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“, N7 (133), 30 აპრილი-4 მაისი, 2012. www.nbg.gov.ge/macne.htm

აგროტურიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები მსოფლიოში

ცირა ჩიხლაძე, ნათია არჩუაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** სრული პროფესორი

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბდა. მსოფლიოში XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მიმართულებით გამოიკვეთა ლიდერი ქვეყნები, რომელთა შორისაა იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. თითოეულ ზემოაღნიშნულ ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებას თან ახლავს თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის.

გარკვეულწილად ამ თავისებურებებს ხსნის ტერმინი, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნებში აგროტურიზმს აღნიშნავენ. ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში იგი აღინიშნება ტერმინით **"სოფლის ტურიზმი"** (Rural Tourism).

ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყოფენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნების ტურიზმი და ა.შ. გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის **ედვარდ ინსკიპის,** რომლის ღვაწლი სათანადოდ დააფასეს გაერომ და მტო-მ, განმარტებით: **"სოფლის ტურიზმი არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მცხოვრებლები არიან. ხოლო ფერმერული, ანუ აგროტურიზმი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით, ან ცხოვრობენ მათ პლანტაციებში და ეცნობიან იქაურ ცხოვრებას; ან ცხოვრობენ მეთევზეთა დასახლებებში და ოჯახებში და მათთან ერთად გადიან სათევზაოდ".**

ტურიზმის სახეების კლასიფიკაცია შესაძლებელია ტურისტული პროდუქტის თვისებების, მისი მომხმარებლების, განთავსებისა და სატრანსპორტო საშუალებების და ა. შ. მიხედვით. მაგრამ ვფიქრობთ, კლასიფიკაციისას უფრო ლოგიკურია საფუძვლად იქნას აღებული პროდუქტის შინაარსი და დანიშნულება. თუკი ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ გამოდის, რომ ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი სახე არის რეკრეაციული ტურიზმი და მისი ფორმებია: ბუნების ტურიზმი, ეკოლოგიური ტურიზმი, აგროტურიზმი, რომელიც გვხვდება ფერმერული და სოფლის ტურიზმის ნაირსახეობებით.

აგროტურიზმის განვითარების გზები თანამედროვე მსოფლიოში

აგროტურიზმის სისტემა აღსანიშნავია იმით, რომ დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით. შეიძლება იცხოვრო XIV- XV საუკუნის გლეხურ სახლებში, მასპინძლები ემსახურებიან სტუმრებს ოფიციანტებად, მზარეულებად. სტუმრები მიირთმევენ შინაურ ყველს მაცარელას, ლორს, ხელით ნაკეთებ მაკარონს, ახლად მოხარშულ ციკანს ან ბატკანს, აგრეთვე ადგილობრივ წითელ ღვინოს. არის სხვაობა ფასებში. შეიძლება დაისვენო პატრიციანული ეპოქის ვილებშიც, რომლებიც მდებარეობენ ვენახების და ზეთისხილის პლანტაციების გარემოცვაში, მაგრამ ეს შედარებით ძვირი სიამოვნებაა. აქ პრობლემას არ წარმოადგენს უცხო ენის არ ცოდნა. ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური პროგრამები, აჩვენებენ საიდან მიიღება რძე, როგორ გამოიყურება ცოცხალი ცხვარი, ძროხა, კურდღელი, ქათამი, ცხენი. უწყობენ სეირნობას ცხენებით. მშობლები კი სიამოვნებით აკვირდებიან ყველის დამზადებას, ვაზის მოვლას. მათ ასწავლიან ნაციონალური კერძების მომზადებას, შეუძლიათ მონაწილეობის მიღება თევზაობაში, ველოსიპედით სეირნობაში, მაგიდის ჩოგბურთში და სხვა.

იტალია, კვიპროსისა და ბულგარეთისაგან განსხვავებით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ტურიზმის მექად. მიუხედავად ამისა აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის სახეობა შედარებით ახალია. იგი ძირითადად განვითარებულია **ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიაში.** ლიდერად ამ საქმეში გვევლინება **ტოსკანა და ტრენტინო** - სამხრეთ ტიროლი. ტოსკანა ფლორენციის, პიზის, სიენის და სხვა ცნობილი ისტორიული ქალაქების მიწაა, სადაც შუა საუკუნეების ნაგებობები და მონასტრებია

თავმოყრილი. ტრენტინო კი ევროპის ერთ-ერთი მსხვილი სამთო-სათხილამურო ტურიზმის ცენტრია. აქედან გამომდინარე აგროტურიზმის განვითარება შესაძლებელი გახდა უკვე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის საფუძველზე, ყოველივე არსებულს ემატება პეიზაჟების სილამაზე, კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი, შესანიშნავი ღვინოები და ხარისხიანი და მრავალფეროვანი ადგილობრივი სამზარეულო.

აგროტურიზმი იმითაა აღსანიშნავი, რომ იგი **მთელი წელი მუშაობს**. კვიპროსსა და ბულგარეთში აგროტურიზმმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. კვიპროსზე შემუშავებულია აგროტურიზმის განვითარების სპეციალური პროგრამა, რომელიც ახორციელებს სასოფლო სახლების რესტავრაციას და ნაციონალურ სტილში გაფორმებას თანამედროვე კომფორტისა და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ **ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში და სურვილისამებრ იარონ ზღვის ნაპირზე.** შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყურძნის კრეფასა და მის დაწურვაში, შეიარონ სამჭედლოსა და საფეიქრო სახელოსნოში.

ბულგარეთი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი აღსანიშნავი ტურისტული რეგიონია. იგი ცნობილია როგორც ზღვის, ასევე მთის კურორტებით, ითვლება ევროპის მასშტაბით პერსპექტიულ რეკრეაციულ ზონად. იმის გათვალისწინებით, რომ ბულგარეთის მოსახლეობის 70% დღეს სოფლად ცხოვრობს, ადვილი წარმოსადგენია, რომ აგროტურიზმმა აქტიურად მოიკიდა ფეხი. აქ ტრადიციული სოფლებისთვის აგროტურიზმი არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს. **ეს სახეობა აქ შედარებით იაფია, ეფექტური და ყველასათვის ხელმისაწვდომი**. ტურისტები ჩამოდიან სოფლებში ბულგარეთის ქალაქებიდან, რუსეთიდან და ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

აგროტურიზმის განვითარებამ ამ ქვეყნებს მისცა შემდეგი შედეგები:

1) სასოფლო რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა;
2) ტურისტული სეზონურობის გაბათილება, რადგან აგროტურიზმი მთელი წელი ფუნქციონირებს;
3) ტურისტების მიზიდვა სოფლებში;
4) სოფლებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
5) სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება;
6) ბუნებრივი გარემოს დაცვა;
7) ახალი, დივერსიფიცირებული ტურისტული სეგმენტის შექმნა.

აგროტურიზმის განვითარება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე

ფაქტია, რომ **აგროტურიზმი უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლებში ადგილობრივ დონეზე**. მაგრამ იგი არ შეიძლება განხილულ იქნას რეგიონალური, ეროვნული, ზოგჯერ კი საერთაშორისო კავშირებიდან გამოცალკევებულად. მიუხედავად ძირითადი ამოცანების იდენტურობისა, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიის წინაშე დგანან, როგორც რეგიონალურ და ნაციონალურ დონეზე იქნება ეს ძირითადი გეგმებისა და პროგრამების დამუშავება, აგრეთვე მარკეტინგი და ზოგადი პოლიტიკისა და სტრატეგიის დამუშავება. მაგალითად: პოლიტიკის დამუშავება, კანონმდებლობა, შეღავათები სოციალური ტურიზმის განვითარებისათვის; კანონმდებლობა ტურისტთა უსაფრთხოების საკითხებში, მათი ჯანდაცვა;

ქვეყნის შიგნით და ქვეყნიდან ტურისტების გადაზიდვების გაუმჯობესების მიზნით მსხვილმასშტაბიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნა მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობების დაცვა, ეროვნული პარკების სახელმწიფო და რეგიონალური დონის ნაკრძალების დაწესება;

საინფორმაციო და სარეკლამო სისტემის შექმნა, რომელიც დაკავებული იქნება ქვეყნისა და ამა თუ იმ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობის პროპაგანდით; ტურიზმის ინდუსტრიის ფარგლებში ძალისხმევის კოორდინაცია, რათა ქვეყნის მთავრობასა და პროფესიონალურ ტურისტულ ტურიზმის წრეებს შორის დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობები.

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო მონაცემებით აგროტურიზმის სტატისტიკა



მიუხედავად სიძნელეებისა აგროტურიზმმა საქართველოში უკვე მოიკიდა ფეხი. არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა“, რომლის ერთ-ერთი პროექტი იყო სწორად ამ კუთხით საქართველოს ყველა კუთხეში ტურიზმის განვითარება. პროექტი დასრულდა ამა წლის სექტემბერში. მათ ჩაატარეს ტრეინინგები მთელი საქართველოს მასშტაბით სოფლებში. ასევე მოახდინეს სასტუმრო სახლების კლასიფიკაცია მზეების მიხედვით.

ამან დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს სოფლებზე და დიდი შედეგიც აჩვენა. ვარაუდობენ, რომ მომავალში უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების, კულტურის და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, რადგან სწორედ აქ არის შემორჩენილი ძველი ტრადიციები, კერძები და ძველი დროის შეგრძნებები.

საქართველოში აგროტურისტთა სტატისტიკა



ინტერნეტ-რესურსები:
1. www.agriturizmo.pg.it
2. www.agrotourizm.com.cy
3. aboutbulgaria.biz

ბუღალტერი - რას ნიშნავს ეს და რა არის ბუღალტრული აღრიცხვა

მარიამ ბასილიძე, ვერიკო გაგლოშვილი, ნანა ელისაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი სადაღაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერი პროფესია, რომელსაც ზედმიწევნით კარგად დავეუფლებით, პრესტიჟული და საამაყოა. ძალიან ბევრს და მათ შორის ჩვენს კოლეგა ეკონომისტებსაც არ მოსწონთ სიტყვა "ბუღალტერი" და, აქედან გამომდინარე, ბუღალტრის პროფესიაც. ძირითად არგუმენტად ასახელებენ მშრალი ციფრებისა და ქაღალდების "კორიანტელს". სწორედ ამიტომაც მას მიიჩნევდნენ მოსაწყენ და არაშემოქმედებით პროფესიად. ეს შეცდომაა და აღნიშნული მოსაზრება თავიდანვე განწირულია. სიმართლის ძიება, მენეჯერის მიერ ერთადერთი სწორი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება ალტერნატიულ ვარიანტებს შორის თითქმის შეუძლებელია ბუღალტრის გარეშე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოცარტი თავის ზოგიერთ წერილს ხელს აწერდა მეტად საინტერესო სიტყვებით: ,,კოპელმაისტერი ბუღალტერიიდან". ამერიკელი პროფ. ბ. ჰიდლზი ნაშრომში ,,ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები" აღნიშნავს, რომ ბუღალტრულმა აღრიცხვამ წარმოშვა საინტერესო შემოქმედებითი, პრესტიჟული და კარგად ანაზღაურებადი პროფესია. ხოლო ინგლისელი ეკონომისტი ჟ. პ. პრუდონი (1809–1865) წერდა, რომ ,,ბუღალტერი ეს არის ნამდვილი ეკონომისტი".

ამრიგად, ბუღალტერი – ეს ეკონომისტია. პირველ რიგში მან უნდა იცოდეს, რომ მის მიერ გაკეთებული თითქმის ყველა ჩანაწერი ეხება კონკრეტული პირთა ინტერესებს.

ყველაზე რთული ცხოვრებაში – ეს არის მისცე ვინმეს ზუსტად და ლოგიკურად გამართული განსაზღვრება ამა თუ იმ საკითხისა. აღნიშნული ეხება ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებასაც.

ბუღალტრული აღრიცხვის მოწყობისა და ორგანიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აღრიცხვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, აღრიცხვის შემდგომ სრულყოფას, რასაც თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებას, წარმოებას, ფინანსური თუ საგადასახადო ანგარიშგებების მომზადებას ბუღალტრები ახორციელებენ. მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, ბუღალტრები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. სერთიფიცირებული დამოუკიდებელი;
2. ბუღალტერი–მენეჯერები.

სერთიფიცირებული დამოუკიდებელი ბუღალტრები (სდბ) უზრუნველყოფენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, უწევენ მათ კონსულტაციებს და ატარებენ აუდიტორულ შემოწმებებს.

1970 წელს ამავე ინსტიტუტის მესვეურებმა განაცხადეს, რომ აღრიცხვის ფუნქცია არის ,,უზრუნველყოს რაოდენობრივი ინფორმაცია, ძირითადში სამეურნეო ხასიათის, აგრეთვე სამეურნეო სუბიექტებზე, აღნიშნული ინფორმაციის სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებისათვის გამოყენების მიზნით".

პროფ. ვ.გ. გეტმანი, ეყრდნობა რა რუსეთის ფედერალურ კანონს ,,ბუღალტრული აღრიცხვის" შესახებ აღნიშნავს, რომ ,,ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს თანმიმდევრულ სისტემას ფულად ფორმაში გამოხატული ქონების, ორგანიზაციის ვალდებულებისა და მათი მოძრაობის შესახებ ყველა სამეურნეო ოპერაციის მუდმივი განუწყვეტელი და დოკუმენტური აღრიცხვის მეშვეობით". ზუსტად იგივეს სიტყვასიტყვით იმეორებს პროფ. ი. ვ. სოკოლოვი 2004 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ,,Бухгалтерский учет". იგივე აზრი აქვს გადმოცემული პროფ. ნ. პ. კონდაკოვსაც.

პროფ. ვ. პ. ასტახოვი 2002 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში ,,Бухгалтерский финансовый учет" ოდნავ სახეშეცვლილ განმარტებას იძლევა; „ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს ორგანიზაციის სამეურნეო ცხოვრების ფაქტებზე დოკუმენტარული დაკვირვების, გაზომვის რეგისტრაციისა და კონტროლის განუწყვეტელ და ურთიერთდაკავშირებულ, თანმიმდევრულ წყობას მაჩვენებლების გამოთვლისა და შეფასების მიზნით..."

2013 წლის მაისის დასაწყისში ინგლისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტთა შორის, სადაც განიხილა ბუღალტრის ფუნქციები და დაადგინეს, რომ ბუღალტერი ეს არის არა მარტო რიგითი შემსრულებელი, არამედ ფინანსური მენეჯერი, რომელმაც

უნდა შეასრულოს მართვის, დაგეგმვის, აღრიცხვისა და ფირმის წარმოებასთან დაკავშირებული ძირეული ფუნქცია.

ჩვენი აზრით ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ არის თანმიმდევრული სისტემა, რომელიც ახორციელებს განსაზღვრული სამეურნეო სუბიექტზე ფინანსურ ინფორმაციის მოპოვებას, გაზომვას, დამუშავებას და გადაცემას. ცხადია, აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას აძლევს მათ მომხმარებლებს მიიღონ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება ალტერნატიული ვარიანტის შერჩევისა ფირმის მმართველობის პროცესში.

ბუღალტრული აღრიცხვა არის შუამავალი რგოლი სამეურნეო საქმიანობასა და იმ პირებს შორის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს. ზემოთ აღნიშნულის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ბუღალტრული აღრიცხვა:

1. ზომავს სამეურნეო საქმიანობაში მონაცემთა რეგისტრაციის გზით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის;
2. ამუშავებს მონაცემებს და ინახავს მათ საჭირო მომენტამდე, ხოლო შემდეგ ამუშავებს ისეთნაირად, რომ ისინი გადაიქცნენ საჭირო ინფორმაციად;
3. ანგარიშგების მეშვეობით ინფორმაციას გადასცემენ მათ, ვინც იყენებენ მას გადაწყვეტილების მიღებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო საქმიანობის შესახებ მონაცემები გვევლინება იმისთვის, რომ გახდე სერთიფიცირებული დამოუკიდებელი ბუღალტერი, საჭირო წარმატებით ჩააბარო ცენტრალიზებული წესით ორგანიზებული საკმაოდ მკაცრი გამოცდა ბუღალტრულ აღრიცხვაში.

სერთიფიცირებულ დამოუკიდებელ ბუღალტერს, იმავდროულად, აუდიტორული საქმიანობის უფლებაც აქვს. აუდიტორული შემოწმება კი მოიცავს ფინანსური ანგარიშგებების და მასში ასახული ყველა ინფორმაციის უტყუარობის შემოწმებასა და დადასტურებას. ისინი აუდიტორული შემოწმების შედეგებზე ამზადებენ აუდიტორულ დასკვნას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგების ობიექტურობისა და სისწორის შესახებ. ამგვარი აუდიტორული დასკვნა ინვესტორების, კრედიტორების და მარეგულირებელი ორგანოებისათვის ფინანსური ანგარიშგებისა და, საერთოდ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს.

ბუღალტრები, რომლებიც მუშაობენ საწარმოს ადმინისტრაციის შემადგენლობაში და ამ საწარმოს თანამშრომლებს წარმოადგენენ, ბუღალტერ–მენეჯერებად იწოდებიან. ისინი აკონტროლებენ მომხდარ სამეურნეო ოპერაციებს, ამზადებენ საწარმოს ბიუჯეტს და აფასებენ კომერციულ, სამთავრობო და არამომგებიანი ორგანიზაციების საქმიანობის შედეგებს. ბუღალტერ–მენეჯერის თანამდებობის დასაკავებლად მათ უნდა ჰქონდეთ ბუღალტრულ აღრიცხვასა და მენეჯმენტში სპეციალური განათლების დამადასტურებელი დიპლომი. ზოგიერთი ბუღალტერი შიდა აუდიტორად მუშაობს. ისინი აკონტროლებენ თავიანთი საწარმოს საქმიანობას, მაგრამ დამოუკიდებელი აუდიტორებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი საწარმოს თანამშრომლები არიან და მათთვის აუდიტორის სერთიფიკატი სავალდებულო არ არის, ე.ი. სერთიფიცირებული დამოუკიდებელი ბუღალტრები და დამოუკიდებელი აუდიტორები არ არიან. შესაბამისად, მათ არა აქვთ აუდიტორული დასკვნის მომზადების უფლება.

ლუკა პაჩიოლის (1445–1517) დროიდან მოყოლებული ბუღალტრული აღრიცხვის განმარტება მრავალი იყო, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მათგან შევარჩიოთ ისეთი, რომელზეც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს არის ერთადერთი სწორი განმარტება. ამავე დროს ისიც ცნობილია, რომ რასაც აკეთებ, მის განმარტებას გვერდს ვერ აუვლი. ამიტომ ზემოთ მოვიყვანეთ სხვადასხვა ავტორთა განმარტებები შედარებისათვის.

ბუღალტრულ აღრიცხვის ძველ განმარტებებში ყურადღება კონცენტრირებულია ბუღალტრის ტრადიციულ ფუნქციებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ანგარიშების წარმოებასთან. 1941 წელს ამერიკის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტმა მოგვცა შემდეგი განსაზღვრება: ,,აღრიცხვა არის ჩანაწერების, ანგარიშების კლასიფიკაციისა და განზოგადების ხელოვნება ფულად ფორმაში განხორციელებული გარიგებების და მოვლენების რეგისტრაციის გზით, რომლებსაც უკიდურეს შემთხვევაში, რაღაც ნაწილში გააჩნიათ ფინანსური ხასიათი, აგრეთვე მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია“.

ლიტერატურა:

1. ნანუაშვილი ნ., ნანუაშვილი ს., ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბ., 2002.
2. ხარაბაძე ე., ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბ., 2012.
3. Астахов В., Бухгалтерский финансовый учет, М., 2002.

სასათბურე მეურნეობა, როგორც პრიორიტეტული და წარმატებული ბიზნესი

ნინო ბერუაშვილი, ფიქრია გოგიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. განვითარებადი ქვეყნებისთვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა და მას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები. 2010 წელს აგრარული სექტორი მსოფლიოში შემცირებული წარმოებით გამოირჩევა არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, რამაც გაზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ქვეყნები ცდილობენ აგრარული სექტორის დაფინანსების გაზრდით გაზარდონ წარმოება, რათა თავიდან აიცილონ საკუთარ ბაზრებზე ამა თუ იმ პროდუქტების დეფიციტი და ფასების ზრდა.

თუ მსოფლიოში აგრარული სექტორი შემცირებული წარმოებით 2010 წელს გამოირჩევა, ჩვენთან ეს პროცესი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და ბოლო 20 წელია სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა პერმანენტულად, მნიშვნელოვნად იკლებს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის ხვედრით წილს ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტში, იგი ასე გამოიყურება: 1990 წელი - 34.7%; 1994 წელი - 40%; 2005 წელი - 14,8%; 2006 წელი - 11%; 2009 წელი - 8.7%.

საქართველოში აგრო სექტორში არსებული პრობლემების აღმოფხვრის, მისი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მიზნით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა (EPI) ქვეყანაში სასათბურე მეურნეობის განვითარების გზებს გვთავაზობს.

ამჟამად საქართველოში სასათბურე მეურნეობები ნაკლებად არის განვითარებული. ამის მიზეზია გამოცდილებისა და ფინანსებთან ხელმისაწვდომობის არარსებობა. EPI-ს თვალსაზრისით, სასათბურე მეურნეობა წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს წარმადობის გასაზრდელად, მეტი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და მოგების მისაღებად სასოფლო-სამეურნეო დარგში. აღნიშნული სირთულეების აღმოფხვრის გზით EPI ხელს შეუწყობს სასათბურე მეურნეობების რაოდენობის ზრდას სრულიად საქართველოს მასშტაბით.

საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებაზე ისაუბრეს EPI-ს მოწვევით გამართულ მრგვალ მაგიდაზე EPI-ს ექსპერტებმა, საქართველოს მთავრობისა და თბილისის მერიის წარმომადგენლებმა, ქართული სასათბურე მეურნეობების მეპატრონეებმა და საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა.

მრგვალი მაგიდის მსვლელობისას EPI-ს ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს სასათბურე მეურნეობების მოწყობის ტექნიკური ასპექტები, ასევე წარმოადგინეს საუკეთესო პრაქტიკა ბოსტნეულის სათბურში მოყვანის გზებზე და ამ საშუალებით იმპორტის ჩანაცვლებაზე.

სასათბურე მეურნეობის განვითარებაზე მუშაობისას EPI ორი მიმართულებით განახორციელებს მუშაობას: პირველ მიმართულებას ფინანსებთან ხელმისაწვდომობის კომპონენტი წარმოადგენს, რაც სოფლის მეურნეობასა და ბანკებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას გულისხმობს. მეორე მიმართულება კი ფინანსური განკარგვას გულისხმობს - შეიქმნება საკონსულტანციო კომპანია, რომელიც ბიზნესებს გაუწევს კონსულტაციებს ფინანსურ განკარგვებთან დაკავშირებით.

დღეისთვის ჩვენს ქვეყანას იმპორტით 7000 ტონა ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი და მწვანილეულობა) შემოაქვს, სასათბურე მეურნეობების არსებობა კი ადგილობრივი ბაზრის დაფარვის საშუალებას და თავად საქართველოს ექსპორტიორად ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ადგილობრივი წარმოება გაცილებით ხარისხიანი იქნება და მოსახლეობაც არჩევანის გაკეთებისას სწორედ ხარისხიან, ანუ ადგილობრივ პროდუქტს მიანიჭებს უპირატესობას. სასათბურე მეურნეობაში მოყვანილმა პროდუქტმა შეიძლება კონკურენცია გაუწიოს იმპორტირებულ პროდუქტს ფასის მხრივაც.

დასავლეთ საქართველოში, წყალტუბოში, თანამედროვე ტიპის სასათბურე მეურნეობაა, რომელსაც ძირითადად მწვანილი მოჰყავს და ექსპორტს ევროპაში ახორციელებს. ეს ექსპორტიორი “ჰერბიაა”.

საქართველოში ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი - 53 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, 40 პროცენტი უშუალოდ ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ მათ მიერ შექმნილი დოვლათი ამ მაჩვენებლის პროპორციული არ არის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 8 პროცენტს შეადგენს. შიდა ბაზრის მოთხოვნა მხოლოდ 12 პროცენტით კმაყოფილდება. ამდენად, ჩანს, რომ სოფლად ჭარბად არის თავმოყრილი მშრომელი ძალა, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს არ ან ვერ იყენებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის" მიერ მომზადებული მიმოხილვა, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციაა ჩამოყალიბებული და რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ, მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა. დოკუმენტში წარმოდგენილია როგორც არსებული მდგომარეობის ანალიზი, ასევე სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივები 2011-2015 წლებში. ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი ინფლაციის ფონზე ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება და ადგილობრივი სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი კომპონენტია.

კონცეფციის მიხედვით, ვითარების შესაცვლელად საჭიროა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ძალისხმევა როგორც განვითარების ხელშემწყობი კანონების მიღების, ასევე მაღალი ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოში აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება 20 მილიონიდან 80 მილიონამდე გაიზარდა, თუმცა, კონცეფციის ავტორის თქმით, განვითარებისთვის მეტი სახსრებია საჭირო: "საქართველოს სოფლის მეურნეობას ამ წლიდან, მუდმივ დოლარებში გადაყვანით 160 მილიონი დოლარი სჭირდება იმისათვის, რომ ფეხზე დადგეს. დეფიციტი 44 მილიონია, რომელსაც სახელმწიფო სოფლის მეურნეობას ჰპირდება. ხოლო იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა საბოლოოდ "დავქოქოთ", 45 მილიონია საჭირო. კონცეფციაში ეს თანხა "ჩადებულია", როგორც დონორების დახმარება."

მეურნეობების გამსხვილება და სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა - პროდუქტიულობის გაზრდა, უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, ნაკლებ მუშახელს მოითხოვს.

სამრეწველო სათბურების ბიზნესი ფეხს იკიდებს საქართველოშიც. ბოლო ორ წელიწადში გააქტიურდნენ სამრეწველო სათბურების ისეთი პოტენციური ინვესტორები და ორგანიზატორები, რომელთა უმრავლესობა მანამდე არ განიხილავდა სათბურის ბიზნესს, როგორც მიმზიდველ ნიშას თავიანთი ძირითადი ბიზნესის დივერსიფიკაციისა და ინვესტიციებისათვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასათბურე მეურნეობა დღეს საქართველოში მეორე ახალგაზრდობას განიცდის, რომლის შექმნა და სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენება ამჟამად ძალიან სარფიანი საქმეა. ეს განსაკუთრებით ეხება სეზონურ ხილსა და ბოსტნეულს. სასათბურე მეურნეობის შექმნა წარმოადგენს ბიზნესის აქტუალურ და სარფიან სახეობას, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მსხვილ, ასევე მცირე მეწარმეთათვის იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ გეგმავთ საკუთარი ბიზნესის წამოწყებას.

მსოფლიოში არსებობს ისეთი სასათბურე მეურნეობები, რომლებიც ქვეყნის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მაგალითად Hortus Celestia ერთგვარი ექსპერიმენტია სასათბურე მეურნეობის განვითარებაში. მისი ინოვაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ სათბურები კოშკის 28 სართულზეა განთავსებული.

Hortus Celestia აშენდა ჰოლანდიური კომპანია Naaldwijk-ისათვის. ეს არის ვერტიკალურად განთავსებულული სასათბურე მეურნეობა და ასევე საექსპოზიციო დარბაზები. ვიზიტორის განცვიფრება კოშკის პირველი სართულიდან იწყება, ხოლო რაც უფრო მაღალ სართულზე ავდივართ, მოულოდნელობის ეფექტი უფრო და უფრო იმატებს. ეს არ არის უბრალოდ სხვადასხვა კულტურების მოსაყვანად გამიზნული მეურნეობა, ის უფრო ეკო-პარკია. პროექტი "ედემი" – კორნუოლის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა, დიდი ბრიტანეთი, სადაც მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი სათბური. სათბურში მოთავსებულია მსოფლიოს განსაკუთრებული მცენარეები.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად პრიორიტეტული და მომგებიანია სასათბურე მეურნეობა საქართველოში, ვეწვიეთ ბერბუკის სათბურს

ბერბუკის სასათბურე მეურნეობაში გავესუბრეთ მთავარ ბრიგადირს გია წიწილაშვილსა და დიმიტრი კორინთელს, რომლებმაც ამ დაწესებულებასა და პროდუქტზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვაწოდეს:

- ეს სათბური 2012 წელს დაარსდა, რომლის შექმნას 7 მლნ ლარი დაჭირდა. პირველი მოსავალი 2013 წლის იანვარში მიიღეს, დირექტორი გახლავთ ზურაბ ჯირკველიშვილი, საწარმოს საქართველოს

სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი ფლობს, რომლის შემადგენლობაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მთავრობის სხვა წევრები შედიან. ამ ეტაპზე გორის სასათბურე მეურნეობაში ინვესტიციას სწორედ აღნიშნული ფონდი ახორციელებს.

ეს სასათბურე მეურნეობა ტექნოლოგიურად ერთ-ერთი თანამედროვეა საქართველოში. შექმნილია ესპანელი სპეციალისტების მიერ მათ მიერ შემოტანილი ტექნიკით. მთავარი აგრონომია ანტონიო არიდო. ასეთი ტიპის სასათბურე მეურნეობა ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომლის დაარსებას დაახლოებით 7 მლნ დაჭირდა.

საწარმო 3.5 ჰექტარზეა გაშენებული, ამ ტერიტორიაზე 70000 ძირი ჩითილი ეტევა, რომელიც დღეში საშუალოდ 10 ტონა მოსავალს იძლევა და რომლის რეალიზაციასაც ხდება გორის, თბილისის და ქუთაისის ბაზარზე. დასაქმებული ყავთ 40 მუშახელი, რომელთა დღიური შემოსავალი შეადგენს 22 ლარს. მომუშავეები აღნიშნავენ, რომ მათი ხელფასი საარსებო მინიმუმზე დაბალია.

აქ ძირითადად იწარმოება ისეთი პომიდვრის ჯიშები, როგორიცაა: ამერიკული ბიგ-ბეფი, ქართული ვარდისფერი და ჩერი, რომელთა ფასი სეზონების მიხედვით განსხვავდება - იანვრის თვეში იყო 5 ლარი, ხოლო მომდევნო თვეებში 3-4 ლარს შორის მერყეობდა.

პროდუქცია უნიადაგო ტექნოლოგიებით მოჰყავთ, მაგრამ ის, რაც განაპირობებს ამ პროდუქციის გემოვნურ თვისებებს, ხარისხია.

ჩითილი ირგვება სპეციალურ გროუბეგში, სადაც მიწის ნაცვლად მოთავსებულია ქოქოსის ფხვნილი, რომელსაც ნიადაგის შემცველი ნივთიერებები ხელოვნურად მიეწოდება და ყოველდღიურად ხორციელდება მისი კონტროლი. მთელი საწარმო კლიმატ-კონტროლზეა აყვანილი და დასაშვები ტემპერატურა 20-დან 30 გრადუსამდე მერყეობს.

ისრაელიდან სპეციალურად ჩამოჰყავთ ფუტკარი დამტვერვისათვის, რომელიც 40 დღე ცოცხლობს და თითოეულის ღირებულება 2$-ს შეადგენს.

წარმოების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ტექნოლოგია და გამოყენებული საშუალებების ფასი. ელექტროენერგიას გამოიყენებენ თუ ბუნებრივ აირს სადაო საკითხია - ჩვენთან ენერგია გაცილებით ძვირია, ვიდრე თურქეთში და ამიტომ არის ჩვენთან პროდუქციაც უფრო ძვირი. ქართველ გლეხს სათბურში კიტრისა და პომიდვრის მოყვანას ვერავინ ასწავლის, მაგრამ დღეს იმიტომ იკავებენ თავს, რომ ენერგომატარებლებს, რომლითაც უნდა გაათბონ სათბურები, მაღალი ტარიფი ადევს. თუ ადგილობრივი წარმოების განვითარება და იმპორტირებულის ჩანაცვლება გვინდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს - უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რაც ძნელი არ არის, და სოფლის მეურნეობის ამ დარგის სუბსიდირება უნდა მოხდეს.

ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციით ბერბუკის საწარმო გათბობისათვის ქვანახშირს გამოიყენებდა, რაზეც მარაგის სიმცირის გამო მალევე თქვეს უარი და გათბობის სისტემა გაზიფიცირებაზე იქნა გადაყვანილი.

იმისათვის, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია უფრო რეალურად შეგვეფასებინა, ასევე ვეწვიეთ წეროვანის სასათბურე მეურნეობას და შევეცადეთ ამ ორ სათბურს შორის დაგვედგინა მსგავსებები და განსხვავებები.

სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროში პირველი ინვესტიცია წეროვანში განხორციელდა, რომელიც 0.85 ჰექტარზეა გაშენებული, სადაც დღეში 1ტ-1.5 ტ პროდუქტს იღებენ. აქ პომიდორი ისრაელში დანერგილი ტექნოლოგიებით მოჰყავთ.

მთავარ ინჟინერთან ბატონ გელა ქურთაძესთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ ამ საწარმოში დასაქმებულია 30 მუშახელი და თითოეულის დღიურ ხელფასს 12 ლარი შეადგენს. აქაც ბერბუკის სასათბურო მეურნეობის მსგავსად ხდება პროდუქტის წარმოება გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ეკუთვნის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს.

წარმოების პირობებში ძირითად ამოცანას მოგების მიღება წარმოადგენს. იმისათვის, რომ ადგილობრივი პროდუქცია რენტაბელური და კონკურენტუნარიანი გახდეს, საჭიროა მინერალური კვების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

განსხვავება ამ ორ საწარმოს შორის არის ის, რომ ბერბუკისაგან განსხვავებით წეროვანში კიტრის წარმოებასაც ეწევიან და აქვთ განსხვავებული პომიდვრის ჯიში „ბანდიტა“.

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოსთვის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებაა. დღეისათვის აგრო-სამრეწველო სექტორში მწვავედ დგას ფინანსების ნაკლებობის საკითხი, რაც პირდაპირ აისახება წარმოების პოტენციალსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს აღნიშნული რგოლების მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით.

სასათბურე მეურნეობა შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად, რომელიც წელიწადის ნებისმიერ დროს მუშაობს და მოგების მიღების საუკეთესო საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში. მაღალი რენტაბელობა, სწრაფი ბრუნვა და კარგი მოგება ეს მხოლოდ იმ სარგებელთა ნაწილია, რასაც ეს ბიზნესი მოიტანს.

ლიტერატურა:

1. www.moa.gov.ge
2. www.bcat.ge

აუქციონი და სააუქციონო ვაჭრობა საქართველოში

მარიამ დემურავი, ნონა მოსიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

სიტყვა „აუქციონი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს რაიმე ქონების ან ნივთის საჯარო ვაჭრობით გაყიდვას, რომლის შედეგად ნივთი რჩება ყველაზე მაღალი საფასურის გადამხდელს. აუქციონებზე საქონლის გატანა და ყიდვა წარმოებს საჯაროდ, წინასწარ გამოცხადებულ დროს და ადგილზე, თავისუფალი ფასებით, რომელიც დგინდება მყიდველთა კონკურენციის შედეგად. აუქციონს უძღვება აუქციონის წამყვანი, რომელსაც შეუძლია, ამა თუ იმ საქონელზე მომთხოვნიდან გამომდინარე, ფასის გაზრდა ან შემცირება.

აუქციონები შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია აუქციონები ტარდება მყიდველთა მონაწილეობით. დახურულ აუქციონებში კი მყიდველები და გამყიდველები თვითონ არ მონაწილეობენ, მათ დავალებებს ასრულებს ბროკერი, რომელიც ანაზღაურებას იღებს მყიდველებისა და გამყიდველებისგან.

განასხვავებენ იძულებით და ნებაყოფლობით აუქციონს. იძულებით აუქციონის წესით ახდენენ ქონების გაყიდვას იმ ვალის დასაფარავად, როდესაც პიროვნებას არ უნდა ან არ შეუძლია გადაიხადოს ვალი, დაგირავებული ლომბარდში და სხვა. ნებაყოფლობითი აუქციონები ეწყობა მესაკუთრის ინიციატივით იმ მიზნით, რომ მესაკუთრემ თავისი ქონება გაყიდოს მისთვის სასურველი პირობებით.

აუქციონებზე ძირითადად იყიდება: ძვირფასი საქონელი (მხატვრული ტილოები, საიუველირო ნაწარმი და სხვ.), ნედლეული (ჩაი, მატყლი, ტყავი, კაუჩუკი და სხვ.) და მალფუჭებადი საქონელი (ხილი, თევზი, ხორცი, ყვავილები და ა.შ.). სააუქციონო ვაჭრობა წარმოებს საჯარო ან საიდუმლო ხერხებით.

საჯარო ხერხის დროს აუქციონისტი თანმიმდევრულად აცხადებს ლოტის ნომრებს, საწყის ფასს და სვამს კითხვას „ვინ მეტს?“ვაჭრობა მიმდინარეობს მანამდე, სანამ ხდება ფასის მომატება. თუ მყიდველები ფასის შემდგომ მატებას არ სთავაზობენ აუქციონისტი სამჯერ იმეორებს შეკითხვას „ვინ მეტს?“ და მისი უპასუხოდ დატოვებისას ჩაქუჩის დარტყმით აფიქსირებს მოცემული ლოტის იმ პირთათვის მიყიდვას, რომელმაც დაასახელა მაქიმალური ფასი. ზოგიერთ ლოტზე აუქციონისტი ვერ ლახავს გასაყიდი ფასის დანიშნულ ზღვარს. ამ შემთხვევაში მას აქვს უფლება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოხსნას ლოტი ვაჭრობიდან და მოგვიანებით გაიტანოს გასაყიდად.

საიდუმლო ანუ მუნჯი სააუქციონი. ვაჭრობა ითვალისწინებს მყიდველის მიერ აუქციონისტისათვის ფასის აწევაზე თანხმობის შესახებ წინასწარ განსაზღვრული ნიშნის მიცემას. ამ შემთხვევაში აუქციონისტი მყიდველის დასახელების გარეშე აცხადებს ფასის მორიგ მატებას. ასეთი სააუქციონო ვაჭრობა გამიზნულია მყიდველის სახელის დასაფარავად. ზოგიერთ ქვეყანაში აუქციონზე გამოიყენება ფასის შემცირების ხერხი, რომელმაც მიიღო „ჰოლანდიური აუქციონის“ სახელწოდება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად აუქციონისტი ზედმეტად მაღალ ფასს ასახელებს, შემდეგ კი თანდათან ამცირებს მას მანამდე, სანამ არ გამოჩნდება მყიდველი.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი უძველესი აუქციონებია კრისტის და სოთბის აუქციონები, სადაც ძირითადად ხელოვნების ნივთები იყიდებოდა. კრისტის აუქციონი, მსოფლიოში განთქმული

სააუქციონო სახლი, დაარსდა ინგლისში, ლონდონში, 1766 წლის 5 დეკემბერს ჯეიმს კრისტის მიერ. კრისტიმ მყისვე მოიხვეჭა წამყვანი სააუქციონო სახლის რეპუტაცია და ასევე ისარგებლა ლონდონის, როგორც საერთაშორისო ხელოვნების ნიმუშთა ვაჭრობის წამყვანი ცენტრის ახლად შეძენილი სტატუსით საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ. კრისტის მის დიდი ხნის კონკურენტ სოთბიზე დიდი ბაზრის ნაწილი უჭირავს და ამჟამად მსოფლიოს უდიდესი სააუქციონო სახლია საბაზრო წილითა და შემოსავლებით.

სოთბის აუქციონზე იყიდება მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფერწერული ტილოები. ჯექსონ პოლოკის 1948 წლის ფერწერული ტილო, შესრულებული ბოჭკოვან დაფაზე, მასზე დასხმული დიდი რაოდენობით ყავისფერი და ყვითელი საღებავით, რაც ჩიტის ბუდის მსგავს გამოსახულებას ქმნის, 2006 წელს სოთბის აუქციონის ბროკერის შუამავლობით გაყიდულ იქნა $140 მილიონად, ყველაზე ძვირი ფასია, რომელიც ოდესმე ფერწერულ ტილოში გაუხდიათ.

“სოთბის” აუქციონზე ნიკო ფიროსმანის “შველი წყლის პირას” 500 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ამ დროისათვის უცნობია ახალი მეპატრონის ვინაობა, სავარაუდოდ ტილო კერძო კოლექციონერმა შეიძინა.

ლონდონში, “სოთბის” აუქციონის სახლში მიმდინარე წლის 4-12 მარტს გაიმართა ცხრა ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით – “გზაჯვარედინზე”. მასში შუა აზიისა და კავკასიის რეგიონის მხატვრების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. მსგავსი სახის გამოფენა-გაყიდვა ”სოთბიში” პირველად გაიმართა.

სოთბისა და კრისტის სააუქციონო სახლების თანამშრომლები ერთმანეთთან ყოველგვარ ურთიერთობას გაურბიან, ყოველ შემთხვევაში, სხვების თანდასწრებით. მსოფლიოს ორ, ყველაზე უდიდეს სააუქციონო სახლს შორის არსებულ "მტრობას" საპატიო მიზეზი აქვს: მათ შორის ბრძოლა სახელოვნებო ბაზრის მოსაპოვებლად მიმდინარეობს, რომლის წლიური ბრუნვა ყველაზე მცირე 2,5 მილიარდ დოლარს აღწევს.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული აუქციონების ტიპია, სადაც პრივატიზების პროცესში მყოფი საწარმოები იყიდება. საქართველოში აუქციონს ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკი ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით. აუქციონს წარმართავს საქართველოს ეროვნული ბანკის საბაზრო ოპერაციების ჯგუფი, რომელიც შედგება ეროვნული ბანკის თანამშრომლებისგან. აუქციონამდე არანაკლებ ხუთი კალენდარული დღით ადრე ფინანსთა სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას აუქციონის ჩატარების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სამინისტროს ვებ-გვერდზე.

აუქციონის შედეგების ამსახველი ძირითადი პარამეტრები ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ვებ-გვერდებზე არაუგვიანეს აუქციონის ჩატარების დღისა. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. დაინტერესებული პირი უნდა გაეცნოს აუქციონის პირობებს და დარეგისტრირდეს საიტზე, რის შედეგადაც მიიღებს უნიკალურ ID-ს (საიდენტიფიკაციო კოდს). აუქციონში მონაწილეობისთვის რეგისტრირებული მომხმარებელი აუქციონის ანგარიშზე ჩარიცხავს თანხას ID-ის (საიდენტიფიკაციო კოდის) მითითებით, რომელიც წარმოადგენს ავანსს. ავანსი არის წინასწარ გადახდილი ფული (ნაღდი ან უნაღდო), რომელიც გადაეცემა შემსრულებელს იმისათვის, რომ დამკვეთმა დაადასტუროს აუქციონზე ვაჭრობაში მისი მონაწილეობის საფუძველი.

დღესდღეობით საქართველოში აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონების ჩატარების ელექტრონულ სისტემაზე გადავიდა. დღეიდან აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებს სასურველი ნივთის შეძენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტრონულად, სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად შეეძლებათ. ინტერნეტ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა ელექტრონულ ვებ-გვერდზე www.eauction.ge რეგისტრაცია. ვებ-გვერდზე რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. რეგისტრაცია უფასოა. რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს უფასოდ მიიღოს სადებეტო ბარათი, რომლის მეშვეობითაც ისარგებლებს ყველაზე მარტივი ანგარიშსწორებით. აუქციონი წარმოადგენს საჯარო პროცესს, რაც ყველა სრულწლოვან და ქმედუნარიან პირს გაძლევთ საშუალებას, დაინტერესების შემთხვევაში, მიიღოთ მონაწილეობა.

<u>აუქციონის პროცესი:</u>

1. ინტერნეტ - განცხადება
2. აუქციონში მონაწილეობის პირობები
3. აუქციონის პროცესი
4. აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების წარმოშობა
5. ნულოვანი აუქციონი
6. ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში ნატურით გადაცემა

აუქციონის ჩატარების თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიურო აქვეყნებს ინტერნეტ-განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) აუქციონის დაწყების და დასრულების დროს. აუქციონის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი;
ბ) ქონების საწყის ფასს, რომელიც არის ამ ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%;
გ) გასაყიდი ქონების დასახელებას; ქონების მოკლე აღწერას (ლოტებად დაყოფის შემთხვევაში ლოტების მიხედვით), მის ადგილმდებარეობას;
დ) აუქციონის ჩატარების პროცედურებს.

ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულად ითვლება მონაწილე, რომლის მიერ აუქციონის დასრულებამდე შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

აუქციონში გამარჯვებულმა შესყიდვის ფასი სრულად უნდა შეიტანოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, აუქციონის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

ინტერნეტ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილ პირზე გასცემს განკარგულებას შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

ნულოვანი აუქციონი - განმეორებითი აუქციონი:

- თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ნივთის რეალიზაცია, აღმასრულებელი პირველი აუქციონის უშედეგოდ დასრულებისთანავე აცხადებს განმეორებით აუქციონს; განმეორებითი აუქციონი ტარდება იმავე ფორმით, როგორც პირველი; განმეორებით აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი შეადგენს 0 ლარს.

ნულოვანი აუქციონი, როდესაც ქონების საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია

თუ ქონების საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია, ტარდება მხოლოდ ერთი აუქციონი, რომლის საწყისი ფასი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი წესით ჩატარებულ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან. ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება აღარ განხორციელდება.

საბოლოო ჯამში აუქციონის ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მყიდველები ხელს აწერენ აუქციონის ტიპიურ კონტრაქტებს, შეაქვთ ავანსი, დადგენილ ვადებში გააქვთ საქონელი საწყობიდან და ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

ლიტერატურა:

1. მესხია ი., საერთაშორისო ვაჭრობა, 2011.
2. ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, 1997.
3. www.nbg.gov.ge
4. www.eauction.ge
5. www. nbe.gov.ge

დაზღვევის არსი, ისტორია და ეკონომიკური შინაარსი

ნინო დიასამიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

დაზღვევა ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საწარმოების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივი მეურნეობების და მოქალაქეთათვის ბუნების სტიქიური მოვლენების, ტექნიკური და ტექნოლოგიური ფაქტორების, კრიმინოგენური ხასიათისა და სხვა უბედური შემთხვევებისაგან დაცვა.

დაზღვევა არის ურთიერთობათა ერთ-ერთი უძველესი კატეგორია, რომელიც წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში და შემდეგ თანდათანობით გადაიქცა

საზოგადოებრივი წარმოების განუყრელ თანამგზავრად. ტერმინი „დაზღვევა" გამოიყენება როგორც რაიმე საქმის მხარდასაჭერად, ისე რისკების თავიდან ასაცილებლად. დაზღვევა წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს, ქონებრივი ინტერესების დასაცავად.

დაზღვევას მრავალსაუკუნოვანი აქვს. დაზღვევა წარმოიშვა XVII-XVIII საუკუნეში. იგი კაპიტალიზმის აღმოცენებას უკავშირდება. დაზღვევა სახელმწიფოს უძლიერესი ბერკეტია, რომელიც დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. დაზღვევა იძლევა დიდ შესაძლებლობას, რომ ამაღლდეს ერის სიმდიდრე და პოტენციალი.

დაზღვევა, როგორც სისტემა ეკონომიკური ურთიერთობისაა, რომელიც ეფუძნება რამდენიმე მეცნიერებას: ეკონომიკას, სტატისტიკას, ალბათობის თეორიას და დიდ რიცხვთა კანონს.

დაზღვევის ელემენტებს კაცობრიობა იყენებდა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. სადაზღვევო ურთიერთობები შუა საუკუნეების ეპოქიდან არის ოფიციალურად ცნობილი.

დაზღვევა წარმოიშვა და ვითარდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები ჰქონდა ადამიანს და როგორ შეიძლებოდა მათი დაცვა სხვადასხვა უბედური შემთხვევებისაგან. მასში გამოიხატება გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც ფორმირდება ადამიანებს შორის: მატერიალური რესურსების, წარმოების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში. როდესაც ადამიანმა გააცნობიერა სადაზღვევო დაცვის აუცილებლობა, წარმოიშვა სადაზღვევო ინტერესი, რის შედეგად დაიწყო რეალიზება კონკრეტული სადაზღვევო ურთიერთობებისა, კერძოდ ურთიერთობა მზღვეველსა და დამზღვევს შორის, ანუ გაჩნდა შესაძლებლობა უბედური შემთხვევების წინასწარ განჭვრეტისა და მათი თავიდან აცილებისა.

იმისათვის, რომ გაჩნდეს დაზღვევისადმი ინტერესი, უნდა არსებობდეს რისკი, ანუ ზარალის დადგომის შესაძლებლობა. თავის მხრივ, რისკი იყოფა საფინანსო და არასაფინანსო რისკებად. ჩვენს ინტერესში ექცევა ძირითადად საფინანსო რისკები. იმასთან დაკავშირებით, რომ სადაზღვევო რისკის განხილვა შეიძლება ეკონომიკური, სტატისტიკური, სამართლებრივი და სხვა თვალსაზრისითაც, ასევე მზღვეველთა სხვა პოზიციებიდან, დამზღვევთა და სადაზღვევო საზოგადოების მხრიდან მისი შეფასება განსხვავებული იქნება. მაგალითად, დამზღვევთა ინტერესებში შედის დაზღვევის ობიექტის მაღალ რისკებში დარვევა, მზღვეველთა ინტერესებში, კი დაზღვევის ობიექტის საშუალო რისკებში მიღება, დამზღვევისათვის დიდი რისკი მზღვეველისათვის შეიძლება იყოს წვრილმანი და ა.შ.

რისკის არსებობა საზოგადოებისათვის წარმოადგენს დისკომფორტს, იგი ცდილობს მაქსიმალურად შეებრძოლოს მას სხვადასხვა მეთოდებით:

1. რისკი შეიძლება თავიდან ავიცილოთ;
2. რისკი შეიძლება სხვას გადავცეთ;
3. რისკი შეიძლება შევამციროთ;
4. რისკი შეიძლება გადავანაწილოთ დროსა და სივრცეში.

გამომდინარე აქედან, დაზღვევა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც რისკის სხვისთვის გადაცემისა და შემდგომში მისი დროსა და სივრცეში გადანაწილების პრინციპით რისკის შემცირების მეთოდი.

დღეს, როდესაც კაცობრიობა უდიდესი ბუნებრივი, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, კრიმინოგენური და სხვადასხვა ხასიათის რისკების ეპოქაში ცხოვრობს, როდესაც ადამიანს არ ძალუძს გაანკონტროლოს ბუნება, აუკრძალოს მას სტიქიური მოვლენები, რომლებიც ასე დიდ ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკასა და პირად მოქალაქეთა კერძო მეურნეობებს, მით უფრო მნიშვნელოვანია დაზღვევის როლი, რამდენადაც ის ააცილებს ადამიანს ქონების გაუფასურების შესაძლებლობას.

დღევანდელ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია სადაზღვევო ეკონომიკის გარეშე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უზრუნველყოფს დაზღვევის მატების როლს საზოგადოებრივ აღწარმოებაზე, გაცილებით აფართოებს დაზღვევის მომსახურების სფეროს და მის ალტერნატიულ განვითარებას. დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გვევლინება, ერთი მხრივ, ხალხის კეთილდღეობისა და ბიზნესის დამცველ საშუალებად, მეორე მხრივ კი - თავისი საქმიანობით საკუთარი შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფს.

სადაზღვევო ორგანიზაციის მოგების წყაროს ემსახურება სადაზღვევო მომსახურების შემოსავალი, აგრეთვე დროებით თავისუფალ თანხებს სადაზღვევო ორგანიზაცია აბანდებს აქციებში, ფასიან ქაღალდებში, ახორციელებს ინვესტიციებს, დებს საბანკო დეპოზიტებზე და ა.შ. საიდანაც იღებს დამატებით შემოსავალს.

დაზღვევა ემსახურება საწარმოს აქტიურობის მნიშვნელოვან სტიმულირებას, უზრუნველყოფს ჯანმრთელი ცხოვრების სახეს, ქმნის ნაყოფიერი მუშაობის სტიმულს და უზრუნველყოფს საკუთარ კეთილდღეობასაც.

დაზღვევის სარგებლობის შემთხვევაში ადამიანი თავს გრძნობს დაცულად და არ ეშინია მოულოდნელი რისკისა და თავს დამტყდარი ფინანსური ზარალისა.

საქართველოში დაზღვევა ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, რაზეც პირველ რიგში, მზარდი სადაზღვევო ბაზარი მიუთითებს, ყოველწლიურად მატულობს როგორც დაზღვეულის რიცხვი, ასევე სადაზღვევო პროდუქტების და კომპანიების რიცხვიც კი.

1998 წლამდე სადაზღვევო ბაზარზე მოღვაწეობდა 32 კომპანია, ამჟამად კი 13 კომპანია, რომლებიც შემდეგნაირად არიან განაწილებულნი სადაზღვევო ბაზარზე მათი წილის მიხედვით:

- ირაო 17%;
- აი-სი-ჯგუფი 9%;
- იმედი 8%;
- სახალხო დაზღვევა 7%;
- ქართუ 4%;
- ალდაგი ბი-სი-აი 30%;
- ჯი-პი-აი 21%; (
- სხვა 4%.

კერძო სადაზღვევო კომპანიების განვითარების დინამიკა საქართველოში ასეთია:

- 1998 წელს 32%;
- 1999 წელს 18%;
- 2000 წელს 17%;
- 2005 წელს 16%;
- 2007 წელს 14%;
- 2008 წელს 12%;

დაზღვევის ბაზარზე ყველაზე დიდი წილი უკავია:

- ჯანმრთელობის დაზღვევას 46,1%;
- ქონების დაზღვევას 17,7%;
- სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ფინანსური რისკის დაზღვევას 7,1%;
- სიცოცხლის დაზღვევას 3,5%;
- სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას 3,3%;
- საპენსიო დაზღვევას 1,6%;
- ტვირთების დაზღვევას 1,6%;
- უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან 1,3%;
- პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა ავტოტრანსპორტით მფლობელთა სამოქალაქოს 1,0%;
- საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას 0,9%;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას 0,9%;
- გადაზიდვების პასუხისმგებლობის საწყალოსნო საშუალებების დაზღვევას 0,1%;

დაზღვევა არის რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება (სადაზღვევო საზოგადოებაზე გადაცემა).

კლიენტსა (დამზღვევი) და სადაზღვევო საზოგადოებას (მზღვეველი) შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებისას დამზღვევის მიერ ხდება რისკის მზღვეველისათვის გადაცემა, რის შემდეგაც შესაძლო ზარალის დროს მზღვეველი დამზღვევს სრულად აუნაზღაურებს ფინანსურ ზარალს იმ ოდენობით და იმ პირობებით, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაშია ჩადებული.

დაზღვევის ძირითადი პრინციპი ასეთია: ყოველწლიურად უამრავ ადამიანს გარკვეული თანხა შეაქვს საერთო ფონდში, საიდანაც კომპენსაცია მიეცემათ ცალკეულ დაზღვეულ პირებს.

დაზღვევის პირობები განისაზღვრება საბუთით - სადაზღვევო პოლისით, რომელსაც სადაზღვევო კომპანია გასცემს. ყველას შეუძლია ნებისმიერი უსიამოვნებისაგან თავის დაცვა, სახლისა თუ ავტომობილის დაზიანებით დაწყებული და სამსახურის დაკარგვით დამთავრებული.

დღესდღეობით ყველაფრის დაზღვევაა შესაძლებელი: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და ა.შ.

ლიტერატურა :

1. Шахов. В.В. Страхование: Учевник для вузов. –М.: Серахование полис, ЮНИТИ, 1997.-с.215;
2. http://www.lari.ge/menu/30-ra-aris-dazghveva/14-ra-aris-dazghveva.html
3. http://www.hemile.org/ugrelidze.pdf
4. http://saqartvelo201206.blogspot.com/2012/06/blog-post_14.html

თაფლის ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

გიორგი თამლიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ბიძინაშვილი,** სრული პროფესორი

ფუტკარი ყველაზე უფრო სასარგებლო მწერია, რომელიც ისეთი სახის პროდუქტებს იძლევა, როგორიცაა თაფლი, ცვილი, ყვავილის მტვერი, დინდგელი, ფუტკრის რძე, შხამი. მათგან ყველას გააჩნია სამკურნალო თვისებები. ფუტკრის თაფლი თავისი თვისებების გამო შეუცვლელია. მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ყველა წამალს შორის, რასაც ბუნება გვაწვდის ყვავილებისა და სამკურნალო ბალახების მეშვეობით. ნატურალური თაფლი ერთადერთი საკვები პროდუქტია, რომლის ათვისება ორგანიზმის მიერ 100%-ით ხდება.

თაფლის სასწაულმოქედი თვისებების შესახებ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მას უამრავ სამკურნალო, გამაჯანსაღებელ, გამაახალგაზრდავებელ თვისებას მიაწერენ. პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთ საარსებო წყაროს შეადგენდა ხის ფუღუროებსა და კლდის ნაპრალებში თაფლზე ნადირობა, რასაც მოწმობს არქეოლოგიური მონაცემები. ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში თაფლს, როგორც სამკურნალო საშუალებას, ფართოდ იყენებდნენ იმდროინდელი ექიმები. ძველი ბერძნები თაფლს „ღვთაებრივ საჩუქარს“, „ღმერთების საკვებსა“ და „ჯადოსნურ ელექსირს“ უწოდებდნენ და მას ხშირად იყენებდნენ რელიგიური რიტუალის შესრულების დროს. თაფლი პოპულარული იყო ძველ რომშიც. თაფლმა და ფუტკარმა თავისი ადგილი ჰპოვეს მხატვრულ ლიტერატურაში, ლეგენდებში, თქმულებებსა და პოეზიაში.

ცნობები საქართველოს თაფლის შესახებ გვხვდება ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში. ისტორიკოსებს მოეპოვებათ არაერთი ცნობა, რომელიც ფეოდალურ საქართველოში თაფლის პოპულარობაზე მეტყველებს. ქართველ ხალხს ოდითგანვე უყვარდა თაფლი და მისი შემქმნელი - ფუტკარი. ქართულ ფოლკლორში ფუტკარი ყველგან განასახიერებს შრომისმოყვარეობასა და კეთილშობილებას, ხოლო თაფლის ტკბილი გემო, ნაზი სურნელება და სასიამოვნო ოქროსფერი შეხედულება - სიტკბოს, სისპეტაკესა და კეთილდღეობას.

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ თაფლის მკვებავი და სამკურნალო თვისებების აუცილებელ პირობას მისი ხარისხი წარმოადგენს. თაფლის აუცილებელი მკვებავი და სამკურნალო თვისებების უზრუნველმყოფელი მაჩვენებლებია: მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება, მიკროელემენტები, ვიტამინები, ჭეოს მარცვლები და სხვ.

საქართველოში ძირითადად სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. მოყვარულ მეფუტკრეთა ასაკი უმრავლეს შემთხვევაში 40 წელს აღემატება, ამასთან ისინი სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან. **2011 წლის დასაწყისში თაფლს 10–მდე ქართული კომპანია აწარმოებდა.**[1] **ამის მიუხედავად, მომხმარებელი უპირატესობას მაინც უცხოურ თაფლს ანიჭებს. საქართველოში მოხმარებული თაფლის 80% უცხოურია.** დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე მეფუტკრეა, რომელიც 300-დან 700 ოჯახამდე ფუტკრის სკას ფლობს. ისინი მეფუტკრეობის დარგში გარკვეულ ამინდს ქმნიან, მაგრამ სერიოზული ფინანსური პრობლემები ფონზე საკუთარი ბიზნესის გაფართოება უჭირთ. გარდა ამისა აღნიშნული ბიზნესის განვითარებისათვის საკმაოდ ძვირადღირებული ტექნოლოგიებიცაა აუცილებელი. მეფუტკრე მოყვარულად ითვლება, თუ მას 10-დან 20 ოჯახამდე ფუტკარი ჰყავს, ხოლო თუ ფუტკრის რაოდენობა 20 ოჯახს აღემატება, მეწარმეს შეუძლია უკვე პროფესიონალურ მეფუტკრეობაზე იფიქროს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მეფუტკრეობის დარგი საკმაოდ განვითარებულია, პროფესიონალად ის მეფუტკრე ითვლება, რომელსაც ფუტკრის 300 ოჯახი ჰყავს. ცნობისათვის, მექსიკასა და ბრაზილიაში პროფესიონალებად ითვლებიან ის მეფუტკრეები, რომელთაც 500-1000 ოჯახამდე ფუტკარი ჰყავთ. თუმცა ამასთან დაკავშირებით მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ისიც, თუ რა პოტენციალს ფლობს მოცემული ქვეყანა აღნიშნული მიმართულებით. ჩვენს ქვეყანას პოტენციალი ნამდვილად გააჩნია, თუმცა ზემოაღნიშნულ მასშტაბებამდე მიღწევას ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა სჭირდება.

[1] http://www.financial.ge/news_flash/Interview/71538_დიდი_ხნის_პაუზის_შემდეგ,_ქართული_თაფლი_ექსპორტზე_გადის__/

თუ თაფლის წარმოების დინამიკას გადავხედავთ, ბოლო წლების განმავლობაში სასიკეთო ძვრები შეინიშნება, რაც თაფლის ბიზნესის განვითარებაზე გვაფიქრებინებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2008 წელს აწარმოეს 2,4 ათასი ტონა თაფლი, 2009 წელს 2,5 ათ. ტონა, 2010 წელს 4,2 ათ. ტონა, 2011 წელს 2,7 ათ. ტონა, ხოლო 2012 წელს 4,1 ათ. ტონა. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ 2012 წლის მონაცემებით წარმოებული თაფლის 100% ოჯახური მეურნეობების წილად მოდის. თუმცა თუ წინა წლების მაჩვენებლებსაც გადავხედავთ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი თაფლის წარმოებაში საკმაოდ უმნიშვნელო იყო და თაფლს თითქმის მთლიანად ოჯახური მეურნეობები აწარმოებდნენ (იხ. ცხრილი 1). თუ რეგიონალურ ჭრილში შევაფასებთ თაფლის წარმოების დინამიკას, აქ ლიდერობენ სამეგრელო და ზემო სვანეთის, აჭარის და კახეთის რეგიონები. თვალსაჩინოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თაფლის შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლები შემდეგი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

ცხრილი 1. სტატისტიკური მაჩვენებლების თაფლის წარმოების შესახებ

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)					
თაფლი	2008	2009	2010	2011	2012
	2.4	2.5	4.2	2.7	4.1
ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილები მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში (პროცენტობით)					
ოჯახური მეურნეობების წილი					
თაფლი	2008	2009	2010	2011	2012
	99.9	99.5	99.9	99.9	100.0
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი					
თაფლი	2008	2009	2010	2011	2012
	0.1	0.5	0.1	0.1	0.0
თაფლის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)					
	2008	2009	2010	2011	2012
საქართველო	**2.4**	**2.5**	**4.2**	**2.7**	**4.1**
მათ შორის:					
აჭარის არ	0.2	0.4	0.5	0.2	0.6
იმერეთი	0.4	0.8	0.3	0.3	0.2
სამეგრელო და ზემო სვანეთი	0.3	0.5	1.1	1.1	1.2
კახეთი	0.4	0.1	0.5	0.4	0.5
ქვემო ქართლი	0.1	0.0	0.2	0.2	0.2
სამცხე-ჯავახეთი	0. 3	0.4	0.5	0.2	0.3
დანარჩენი რეგიონები	0.7	0.3	1.1	0.3	1.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2013, www.geostat.ge

მეფუტკრეობის განვითარების მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი შპს „მეთაფლიამ" რამდენიმე წლის წინ გადადგა, რომელმაც თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მარკეტებში საკუთარი პროდუქციის სათანადო შეფუთვით შეტანა შეძლო. შპს ,,მეთაფლიას" გენერალური დირექტორი როლანდ ზირაქაშვილი გაზეთ „24 საათთან" ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საქმიანობა, ფაქტობრივად, ჯიბის ფულით დაიწყეს, მაგრამ საქართველოს ბაზარზე ფეხის მოკიდება შეძლეს. თანამედროვე შეფუთვით დაფასოებული თაფლი მომხმარებელს ძირითადად დედაქალაქში, ქუთაისსა და რუსთავში, „პოპულის" ქსელების საშუალებით მიაწოდეს. შპს ,,მეთაფლიას" პროდუქცია იყიდება აგრეთვე „გუდვილისა" და „ვეჯინის" ქსელში. მოსახლეობას რამდენიმე სახეობის თაფლი შესთავაზეს: მაისის, აკაციის, მდელოს თაფლი, მიღებული ადგილწარმოშობის მიხედვით. კომპანიამ ასევე დაამზადა ცაცხვის თაფლი. რ. ზირაქაშვილი მიუთითებს, რომ ალპურ რეგიონში მიღებული თაფლის ფასი შედარებით მაღალია. [1]

საგულისხმოა აგრეთვე კომპანია „გეო ნატურალი"-ს საქმიანობაც, რომელიც 2008 წელს მცირე მოცულობის კაპიტალით დაარსდა. მისი ბაზა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონშია, კერძოდ ამბროლაურის

[1] http://24saati.ge/index.php/category/business/2011-01-14/13112.html

რაიონში. კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი იაშვილი აღნიშნავს: „ბიზნესის განვითარებაში ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის განვითარების გრანტი დაგვეხმარა, რომლის დაფინანსებაც მოვიპოვეთ, და ამის საფუძველზე მოხდა წარმოების მოცულობის გაზრდა“.[1]

არსებობს პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან მეფუტკრეობის დარგისა და თაფლის ბიზნესის აყვავება-განვითარებას საქართველოში. ამ პრობლემების შესახებ არაერთი ბიზნესმენი და ექსპერტი მიუთითებს. აღნიშნულ პრობლემებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

1. საბანკო სისტემა თავს არიდებს სოფლის მეურნეობის დაკრედიტებას რისკების გამო, რაც პრაქტიკულად აფერხებს მეფუტკრეობაში რაიმე სერიოზული ნაბიჯის გადადგმას. ბანკები ძირითადად იმ დარგების დაფინანსებით არიან დაინტერესებულნი, საიდანაც თანხის ამოღების უფრო მეტი გარანტიები არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოცულობა საკმარისი არ არის. ფაქტობრივად, ბანკები ამ სფეროს მომსახურებაზე ორიენტირებულნი არ არიან;

2. მეფუტკრეობა, განსხვავებით სხვა დარგებისგან, პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ თანხებს თითქმის არ ტოვებს, რადგან შიდა ბაზარზე თაფლის საბითუმო ფასები საკმაოდ მაღალია. როცა მეწარმე საბოლოო პროდუქტს მომხმარებელს დაფასოებული სახით აწვდის, სარეალიზაციო ხარჯები იმდენად მაღალია, რომ მას მცირე მოგება რჩება. მაგრამ როცა პროდუქტს თვითონ აწარმოებს, მოგება უკვე სოლიდურია, რის გამოც საქართველოში სამოყვარულო მეფუტკრეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე მსხვილი წარმოება;

3. თაფლის ბიზნესის განვითარებას აფერხებს ტარასთან და კადრებთან დაკავშირებული პრობლემები. შუშის ტარას ქართველი მეფუტკრეები უცხოეთში ყიდულობენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მუშაობს ქსნის მინის ქარხანა, მაგრამ იგი, ძირითადად, კორპორაციულ კლიენტებზეა ორიენტირებული და, ფაქტობრივად, მცირე მეწარმეებისათვის არ არსებობს. ტარის გარეშე დარჩენილი მეფუტკრეები მინის ტარას სომხეთში მოქმედ საწარმოებს უკვეთავენ და იქიდან იღებენ შესაფუთ მასალას.

მეფუტკრეობის დარგში მწვავედ დგას კადრების საკითხიც. ექსპერტების მოსაზრებით, თვითნასწავლი მეფუტკრე პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა და აღმოსავლეთ საქართველოში კაჭრეთის პროფესიული განათლების ცენტრი შეიქმნა. დასავლეთ საქართველოში მსგავსი ცენტრებია მაგალითად, ახალციხეში, ქვემო ქართლის ზონაში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში გორის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზეც ფუნქციონირებდა სახელობო პროფესიული პროგრამები, რომლის ფარგლებშიც მომზადდა მეფუტკრეთა გარკვეული ჯგუფი, თუმცა აღნიშნული მიმართულებით კადრების მომზადება დღეისათვის შეწყვეტილია;

4. სრულყოფილი, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვული ლაბორატორიების არ არსებობა, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნის მეფუტკრეობის ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში. ამ მხრივ საყურადღებოა რადიო „კომერსანტის“ ინტერვიუ თაფლის კომპანია „გურიის“ მარკეტინგის დირექტორთან ნუგზარ ჩხაიძესთან, სადაც იგი აღნიშნავს: „როდესაც ხორციელდება საქართველოდან ქართული ნატურალური თაფლის ექსპორტი უცხოურ ქვეყნებში, ყველა ქვეყანას გააჩნია პროდუქციის შემადგენლობის განსაზღვრის სხვადასხვა სასერტიფიკატო მოთხოვნები. რიგ ქვეყნებში პროდუქციის ხარისხი და შემადგენლობა მოწმდება 32 პარამეტრზე, ხოლო დღეის მდგომარეობით, სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს ისეთი მაღალტექნოლოგიური და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორიები, რომელიც ქართულ ნატურალურ თაფლის ხარისხს შეამოწმებს ყველა მოთხოვნილ შემადგენლობაზე და ხარისხზე“[2];

5. ქართული თაფლის ბიზნესის განვითარებას გარკვეულ პრობლემებს უქმნის იმპორტირებული პროდუქციაც, რომელიც კონკურენციას უწევს ადგილობრივ თაფლს. თაფლის იმპორტირება საქართველოში, ძირითადად, გერმანელი მომწოდებლების მიერ ხდება. ფრანკფურტში მდებარეობს მეფუტკრეობის ცენტრი, სადაც მსოფლიო მომწოდებლებისგან დიდი რაოდენობით თაფლი შედის. აქედან გამომდინარე გერმანია მსოფლიო ბაზარზე თაფლის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია. საქართველოს სუპერმარკეტებში გერმანულ თაფლთან ერთად გვხვდება აგრეთვე ესპანური და ფრანგული თაფლი. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ხარისხითა და გემო-თვისებებით ქართული თაფლი გამორჩეულია, რაც, ცხადია, ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი ბუნებრივ კლიმატური პირობებითა და მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორითაა განპირობებული. გაყიდვების მაჩვენებლით სავაჭრო ქსელში

[1] http://24saati.ge/index.php/category/business/2011-01-14/13112.html

[2] http://www.financial.ge/news_flash/Interview/71538_დიდი_ხნის_პაუზის_შემდეგ,_ქართული_თაფლი_ექსპორტზე_გადის__/

ქართულ თაფლს 20-25 პროცენტი უკავია, დანარჩენი კი უცხოურ პროდუქტზე მოდის. [1] ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებული თაფლის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოში იმპორტირებულ თაფლის რაოდენობას. მაგალითად, 2012 წელს საქართველოდან ნატურალური თაფლის ექსპორტმა ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით შეადგინა 29 ათასი აშშ დოლარი - 3 ტონა, ხოლო საქართველოში ნატურალური თაფლის იმპორტმა ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით შეადგინა 70 ათასი აშშ დოლარი - 10 ტონა.[2] აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გატანილი თაფლის დიდ ნაწილს თურქეთი მო-იხმარს, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, მესამეზე კი - საბერძნეთი [3];

6. ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არსებობენ ქართული თაფლის არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები და ეს ფაქტი საკმაოდ ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს კეთილსინდისიერი ქართული კომპანიების მიერ წარმოებული ნატურალური და ხარისხიანი თაფლის იმიჯზე;

6. მეფუტკრეობის განვითარებას აფერხებს არახელსაყრელი და არამდგრადი კლიმატური პირობები, ამინდი;

7. მეფუტკრეობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური პრობლემები. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა კვლევების შედეგად უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრ ქვეყანაში თაფლმგროვ ფუტკრებს შორის გამოვლინდა ე.წ. „კოლონიების ნგრევის სინდრომი“, რომელიც იმაში ვლინდება, რომ ფუტკრები მასიურად სტოვებენ მშობლიურ სკებს და საკუთარ შთამომავლობას, საფუტკრეების მიდამოებში მეფუტკრეები ვერ პოულობენ ვერც გაქცეულ ოჯახებს და ვერც დაღუპულ ფუტკარს. ზოგიერთი მონაცემით, აშშ-ში „კოლონიების ნგრევის სინდრომის“ შედეგად ფუტკრის რიცხოვნობა შემცირდა 25 პროცენტით. მთელს მსოფლიოში ამ პროცესს ემატება დაავადებათა გავრცელება, რომელსაც მოჰყვება ფუტკრის დიდი რაოდენობით დაღუპვა[4] და ა.შ.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა მეფუტკრეობისა და, შესაბამისად, თაფლის ბიზნესში არსებული პრობლემების მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ბუნებრივია არსებობს სხვა პრობლემებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში თაფლის ბიზნესისა და მეფუტკრეობის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების დროულად გატარება:

1. სახელმწიფოსა და კერძო ფინანსური სექტორის მხრიდან სათანადო ყურადღების გამოჩენა მეფუტკრეობისა და თაფლის ბიზნესის განვითარების მიმართულებით. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მეფუტკრეობისა და თაფლის ბიზნესის განვითარებით არიან დაინტერესებულნი უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსა და კერძო ფინანსური სექტორის მხრიდან მხარდაჭერა, გამოხატული ამა თუ იმ ფორმით (სუბსიდიები, საგადასახადო და საბაჟო შეღავათები, კრედიტების მიცემა შეღავათიანი პირობებით და ა.შ.);

2. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით **მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შექმნა, რომელიც გააერთიანებს ისეთ დარგებს, როგორიცაა მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და სხვ.;**

3. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება მეფუტკრეობისა და თაფლის ბიზნესის მიმართულებით. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლიათ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს, რომლებიც შესაბამის, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოამზადებენ მოცემული მიმართულებით;

4. დადებითად მიგვაჩნია მეფუტკრეობისა და თაფლის ბიზნესის წარმოებით დაინტერესებული და დაკავებული პირებისათვის შესაბამისი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება, რომელიც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მათი ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის ამაღლებას აღნიშნულ დარგებში;

5. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეფუტკეობითა და თაფლის ბიზნესით დაკავებული ადამიანების უფლებებისა და, ზოგადად, ქართული თაფლისა და მეფუტკრეობის (მათ შორის შესაძლო ფალსიფიკაციისაგან) საკანონმდებლო დონეზე დაცვას. ამ მხრივ მუდმივად უნდა ხდებოდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა-გაუმჯობესება;

6. დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული თაფლისა და ფუტკრის პოპულარიზაციას არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, უნდა გამახვილდეს ქართული ფუტკრისა და თაფლის უნიკალურ თვისებებსა და მახასიათებლებზე, იმ

---

[1] http://24saati.ge/index.php/category/business/2011-01-14/13112.html

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2012, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2013, http://www.geostat.ge

[3] http://24saati.ge/index.php/category/business/2012-07-12/30550

[4] http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1988

უდიდეს და უმდიდრეს ტრადიციებზე, რომელიც მოცემული დარგის მიმართულებით ჩვენს ქვეყანას გააჩნია;

7. აუცილებელია შეიქმნას მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი თანამედროვე ლაბორატორიები, სადაც მოხდება ქართული ნატურალური თაფლის ხარისხის შემოწმება ყველა მოთხოვნილ შემადგენლობასა და ხარისხზე;

8. ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნებში თაფლის ხარისხთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი მოთხოვნებია, ამიტომ უმნიშვნელოვანესია საქართველოში წარმოებული თაფლის სერტიფიცირების საკითხი. სერტიფიცირებაზე შესაბამისი ორგანიზაციები უკვე მუშაობენ, მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ბიომეურნეობა „ელკანა“.

საქართველოს გააჩნია პოტენციალი, მოთხოვნის შემთხვევაში 3 ათას ტონაზე მეტი თაფლი აწარმოოს, თუმცა ამისთვის საექსპორტო ბაზრებია საჭირო. ქართველი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის ბაზარზე შესვლა საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებისა და წარმოების გაზრდისთვის[1], თუმცა ამ მხრივ ქმედითი და დროული ნაბიჯებია გადასადგმელი.

XX საუკუნეში ქართულმა ფუტკარმა არა ერთხელ მიიპყრო მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. კერძოდ, როგორც ყველა სხვა ჯიშის ფუტკართან შედარებით გრძელხორთუმიანმა და თვინიერმა, პროდუქტიულობაც არ დათმო – 1961 წელს გერმანიაში საერთაშორისო გამოფენაზე, 1965 წელს ბუქარესტში მეფუტკრეობის XX საიუბილეო საერთაშორისო კონგრესზე და 1970 წელს მოსკოვში მეფუტკრეობის საერთაშორისო გამოფენაზე. ქართული (კავკასიური) ჯიშის დედა ფუტკარზე მოთხოვნა დიდი იყო. ის ათიათასობით იგზავნებოდა საექსპორტოდ მსოფლიოს ყველა კონტინენტის 48 ქვეყანაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მთის რუხი ქართული ფუტკარი, რომელიც სხვა ჯიშის ფუტკრებისგან განსხვავდება თვინიერებით, მაღალპროდუქტიულობით. [2]

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველოში არსებული მეფუტკრეობისა და ნატურალური, მაღალხარისხიანი თაფლის წარმოების უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები ქართული თაფლის ბიზნესის განვითარების დიდ პერსპექტივებზე გვაფიქრებინებს.

ლიტერატურა:

1. მაყაშვილი ზ., თაფლი, თბ., 1965.
2. თონეთელი გ., თაფლი და ჯანმრთელობა, ჟურნალი ,,ჩემი მამული“, №8, 2004 წელი, სექტემბერი.
3. „მეფუტკრეობის პროდუქტები“, ჟურნალი ,,ჩემი მამული“, №7, 1995, სექტემბერი.
4. სტეფანიშვილი ვ., მეფუტკრეობაში კადრების ნაკლებობაა, ჟურნალი „ჩემი მამული“, №11, 2004, დეკემბერი.
5. ჯაში დ., ფუტკრის თაფლი, ჟურნალი „ჩემი მამული“, №5, 2002, მაისი.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2013, www.geostat.ge
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2012, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2013, http://www.geostat.ge
8. http://www.financial.ge/news_flash/Interview/71538_დიდი_ხნის_პაუზის_შემდეგ,_ქართული_თაფლი_ექსპორტზე_გადის__/
9. http://24saati.ge/index.php/category/business/2011-01-14/13112.html
10. http://www.gurianews.com/2010-11-25-17-01-44/3106-q-------q.html
11. http://www.financial.ge/news_flash/Interview/71538_დიდი_ხნის_პაუზის_შემდეგ,_ქართული_თაფლი_ექსპორტზე_გადის__/
12. http://24saati.ge/index.php/category/business/2012-07-12/30550
13. http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1988

[1] http://24saati.ge/index.php/category/business/2012-07-12/30550

[2] http://www.gurianews.com/2010-11-25-17-01-44/3106-q-------q.html

ატრაქციის მნიშვნელობა თანამედროვე ტურიზმში

თამთა კაპანაძე, ანა ფსუტური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გელა შაქარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ატრაქცია ცენტრალურ ადგილს იკავებს ტურიზმის ინდუსტრიაში, რადგან იგი მოგზაურობის დროს ტურისტისთვის უამრავ მოვლენას აერთიანებს. მაგ.: არქიტექტურას, ბუნებას, მუზეუმებს, მონუმენტურ ძეგლებს, თემატურ პარკებს, სავაჭრო ცენტრებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ფესტივალებს და ა. შ.

ფაქტობრივად, აღნიშნული სექტორი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისთვის ამომწურავი დეფინიციის მოძებნაც კი ჭირს. მიუხედავად ამისა, ატრაქციის მნიშვნელობა აშკარაა: იგი ხელს უწყობს ტურისტული პროდუქტის რეალიზებას, ხოლო ზოგჯერ თავადვე წარმოადგენს ტურისტული დანიშნულების ადგილს. იგი იზიდავს ტურისტებს („ატრაქცია“ წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან attract – მიზიდვა) და მოგზაურობის ხალისსა და მოტივაციას უქმნის.

ატრაქცია ანუ ტურისტული სანახაობა არის საჩვენებელი და გასართობი ობიექტები ტურისტული რესურსების მნიშვნელოვანი ელემენტებით, ტურისტული მოგზაურობებისა და დანიშნულების პუნქტებში.

თუ ჩავუკვირებით ტურიზმის განვითარების ეტაპებსა და ისტორიას, დავასკვნით, რომ ყოველთვის არსებობდა ატრაქციები და ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ ტურისტებისთვის მოგზაურობის მოტივაციის წყაროს. ანუ ადამიანები, ტრადიციული მიზეზის გარდა, ყოველთვის მოგზაურობდნენ რაღაცის მოსანახულებლად ან რაღაც შთაბეჭდილების მისაღებად. ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში არსებობდა რელიგიური (საკულტო) და საერო დანიშნულების ძეგლები და დაწესებულებები, რომელთა მოსანახულებლად მიემგზავრებოდნენ ადამიანები.

ტურისტული ატრაქციების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს:

ა) ბუნებრივი რესურსები (კლიმატი, პლაჟები, წყლის სივრცეები, მთები, კანიონები და სხვ.)

ბ) კულტურული და ისტორიული რესურსები: მსხვილი ისტორიული ქალაქები, მუზეუმები, თეატრები;

გ) რეკრეაციული საშუალებები: ნაციონალური პარკები, ნაკრძალები, სამთო–სათხილამურო კურორტები, ზღვის სანაპიროები და ა. შ.

დ) განსაკუთრებული მოვლენები – ღონისძიებები: საქვეყნოდ ცნობილი კარნავალები, მაგ., ლათინურ ამერიკაში, სპორტული ღონისძიებები (მაგ.: ავტორალები, „ფორმულა–1“), მსოფლიო შეჯიბრებები ფეხბურთში, ჩოგბურთში, მსხვილი ყოველწლიური გამოფენები, ფესტივალები;

ე) სპეციფიკური აქტივობები: შოპინგი, სამორინე, დოღი და ა. შ.

ვ) ფსიქოლოგიური მიმზიდველობები; რომანტიკა, თავგადასავლები და სხვ.

ზ) თემატური პარკები: ოკეანერიუმი, დელფინარიუმი, ზოოპარკი და სხვ.

ატრაქციების სახეების დიდი მრავალფეროვნებიდან გამოვყოფთ ფესტივალებსა და შოუებს, რომელთაც ასევე დიდი წვლილი შეაქვთ ტურ–პროდუქტის რეალიზაციაში. ტურისტულ ცენტრებში სეზონზე იმართება საგასტროლო–სანახაობითი ინდუსტრიის ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა მთელი ციკლები, როგორებიცაა: ცნობილი მსახიობების, თეატრალური კოლექტივების, მომღერლებისა და მუსიკოსთა გამოსვლები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების ფესტივალებს.

არსებობს ატრაქციების კლასიფიკაციის კიდევ ერთი სისტემა, რომელშიც შედის კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ატრაქციები.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ატრაქციების შექმნის მიზანი ყოველთვის ტურისტების მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ არის. მაგ., მუზეუმების უპირველესი დანიშნულებაა მისცეს განათლება და ინფორმაცია ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ მემკვიდრეობაზე, შეაგროვოს, დაიცვას და გამოფინოს არტეფაქტები, მატერიალური კულტურის ძეგლები, უძველესი მატერიალური კულტურის ნაშთები და მისცეს საზოგადოებას მათში წვდომის საშუალება.

დიდი განსხვავება კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ატრაქციებს შორის, შესაძლოა, არც იკვეთებოდეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მათ შორის პრინციპული სხვაობა. პრაქტიკული მენეჯმენტის თვალსაზრისით, ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ატრაქცია არა მხოლოდ ეწყობა კერძო სექტორისგან გამოცალკევებით (ფიზიკურად მოშორებულ ადგილზე), არამედ გამოეყოფა ხოლმე მას, რითაც ხაზს უსვამს მათ თვისებრივ განსხვავებულობას.

პირველის ფუნქციონირების მიზანი მოგების მიღებაა, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ატრაქციების უპირველესი დანიშნულებაა საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება.

ყველა სახის ატრაქცია დამთვალიერებლის სამსახურშია და ანიჭებს რა მას იმ შთაბეჭდილებას, რომლის მიღებაც მას სურს როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის მოგზაურ ტურისტს. როგორც ტურისტული პროდუქტი, ატრაქცია მომსახურებაა და ამდენად, ხასიათდება არამატერიალური, განუყოფელი, ერთგვაროვანი და გარემო პირობებისადმი მგრძნობიარე ხასიათით. ეს ნიშნავს, რომ ატრაქციების ინდუსტრიაში ადამიანებს ცენტრალური ადგილი უჭირავთ: ატრაქციის მომსახურე პერსონალს უნდა გააჩნდეს სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია სტუმრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მენეჯერული თვალსაზრისით, ტურისტულ ატრაქციას მოაქვს დამატებითი და საკმაოდ მაღალი შემოსავლები, როგორც თითოეული საწარმოსათვის, ასევე ქვეყნის ბიუჯეტში. ატრაქციის სტუმარი არა მხოლოდ სიამოვნებას იღებს ან ერთობა, იგი ეცნობა საკუთარ წარსულს, წინაპრებს, მათ ცხოვრებას. ანუ ატრაქცია, გარდა იმისა, რომ მნახველთა გართობისა და დასვენებისთვის არის განკუთვნილი, შემეცნებითი ხასიათისაცაა.

ტურისტებს ძალზე იზიდავს ღია ცის ქვეშ არსებული „მუზეუმების“ მონახულება. მაგ.; „სკანსენი“ შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში. ეს არის ფოლკლორული შვედური სოფელი, სადაც ძველებური ქალაქის და სოფლის სახლებში, რომლებიც ჩამოტანილია აქ შვედეთის სხვადასხვა რეგიონიდან, შეიძლება ვნახოთ სხვადასხვა სახის საინტერესო სუვენირები და ხალხური რეწვის ნიმუშები, ხოლო „სკანსენის“ ქუჩებში შეიძლება შევხვდეთ გამვლელებს ძველებურ შვედურ სამოსში.

პირველი გასართობი პარკები გაჩნდა ევროპაში 60–იანი წლების ბოლოს, მაგრამ ნამდვილი ტურისტული ბუმი მათ უკანასკნელ წლებში განიცადეს. ყოველწლიურად მსხვილ გასართობ ცენტრებს მოინახულებს 10 მლნ. სტუმარი. მათ ხშირად უწოდებენ თემატურ პარკებს. არსებული პარკები აქტიურად ფართოვდება და შენდება ახლები. 1995 წლიდან გაჩნდა “Port Aventura”, “Legoland”, “Worner Brothers” და სხვა კომპანიები.

თემატური პარკების მონახულების ტურები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ოჯახური დასვენების მოყვარულებში, ახალდაქორწინებულებსა და მცირე ახალგაზრდულ ჯგუფებში. საინტერესოა, რომ პარკების მნახველთა უმეტესობა ბავშვები კი არ არიან, რომლებზეც გათვლილია ისინი, არამედ უფროსი ასაკის ადამიანები.

მაგალითისთვის განვიხილოთ უოლდ დისნეის ამერიკული პარკი. დღეს უოლდ დისნეის იმპერია შედგება შედგება სამი სტრუქტურისაგან: “Walt Disney World” (ფლორიდას შტატი) “Disneyland” (კალიფორნიის შტატი) და “Euro Disneyland’ (საფრანგეთი).

პარკები „დისნეის სამყარო“ არის დასვენებისა და გართობის ნამდვილი ინდუსტრია. დისნეის სამყაროს ტურისტული პროდუქტის უნიკალურობა მდგომარეობს არა მხოლოდ მის ინფრასტრუქტურაში, რომელიც გამიზნულია გართობის, განთავსებისა და კვებისთვის; პარკის ქუჩებსა და ატრაქციონებში გვხვდებიან დისნეის მულტფილმებისა და მხატვრული ფილმების სხვადასხვა გმირები.

ტურისტებისთვის მიმზიდველია საუზმე და ვახშამი დისნეის გმირებთან ერთად. ამას გარდა, ვერანაირი ფულით ვერ შეიძენთ ზღაპარში ყოფნის შეგრძნებას, რომელშიც გამუდმებით იმყოფებით.

პარკში “MGM STUDIOU” დღესაც იღებენ მხატვრულ ფილმებს. ამ პარკში მისვლისას შეიძლება აღმოჩნდეთ გადასაღებ მოედანზე, მონაწილეობა მიიღოთ, მაგალითად „ვარსკვლავთა ომებში“, დაელაპარაკოთ ჯინს ფილმიდან „ალადინი“ ან იომოთ ინდიელებთან. სანსეტის ბულვარზე შეიძლება, გამოსცადოთ ბედი „საშინელებათა კოშკში“ ან შეხვდეთ ლამაზმანსა და ურჩხულს „ვარსკვლავთა თეატრში“.

კოსტიუმირებული ტურები კიდევ ერთი ავანგარდული მიმართულებაა ტურიზმში. ასეთ ტურებად ითვლება, მაგალითად, „ტურები ამერიკულ რანჩოზე“ დასვენებით, სადაც ტურისტები იცვამენ კოვბოების ტანსაცმელს, გამოცდილი ინსტრუქტორის დახმარებით სწავლობენ ცხენზე ჯდომასა და კოვბოურ ხელობას. ვენაში ტრადიციულად ტარდება პროფესიული მეჯლისები, რომელთა არა მხოლოდ მონახულება, არამედ მათში მონაწილეობის მიღებაც შეუძლიათ ტურისტებს. მათ შეუძლიათ იქირაონ კაბები და კოსტიუმები, რომლებიც სპეციალიზებულია XIX საუკუნის მიხედვით. ასეთი სახის ტურები დიდ ინტერესს იწვევს ტურისტებში.

XXI საუკუნეში ტურიზმის ინდუსტრიაში გაჩნდა მომსახურების ახალი მიმართულება, რომელიც, ვფიქრობთ, თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ატრაქციის ერთ–ერთ ქვესახეობას. ესაა ანიმაცია (animation) – გართობისა და თავისუფალი დროის გატარების ორგანიზება და შესაბამისი პროფესია ანიმატორი. ანიმატორი არის ტურისტული პროდუქტის ფორმირების სპეციალისტი, ტურისტთა რეკრეაციის ორგანიზატორი; ტურისტთა გამრთობი, თვითშემოქმედების ჯგუფის მსახიობი.

ანიმაციური პროგრამები მოიცავენ სპორტულ თამაშებს, შეჯიბრებებს, კარნავალებსა და ა.შ. ანიმაციურ მომსახურებაში შეიძლება შედიოდეს: ანიმაციური შოუ–მუზეუმების მონახულება, როდესაც ტურისტებსა და ექსკურსანტებს ექსპოზიციაზე ხვდებიან „გაცოცხლებული“ ისტორიული პერსონაჟები.

ანიმაციური საქმიანობის მეთოდური საფუძვლები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ❖ ოპერატორის თანამშრომლობა დასვენებისა და გართობის ცენტრებთან, ფესტივალებისა და კარნავალების ორგანიზატორებთან და ა. შ.;
- ❖ დასვენების ან ღონისძიებების სცენარების შედგენა, რომელიც ითვალისწინებს თემატიკას და მომხდარის მიმართ პირად ფსიქოლოგიურ აღქმას;
- ❖ შემუშავებული სცენარის ბაზაზე მომსახურების სრული კომპლექსის რეალიზაცია, რაც ითვალისწინებს მარშრუტზე ტურისტის ყველა შესაძლო მოთხოვნას.

უცხოურ მაგალითებთან ერთად, ჩვენთვის უფრო მეტად საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაა ტურიზმის ატრაქციულობის თვალსაზრისით საქართველოში. როგორც ვიცით, ჩვენთან იმართება ხოლმე სხვადასხვა სახალხო დღესასწაულები, ფოლკლორული და ღვინის ფესტივალები, თითოეული ქალაქისთვის დამახასიათებელი ტრადიციული „დღესასწაულები“, მაგ.: თბილისობა, რომლებიც უამრავ ადამიანს იზიდავს.

ჩვენ დავინტერესდით, კონკრეტულად ერთი, მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტული ობიექტის მდგომარეობით. ესაა ქართლში, გორთან ახლოს მდებარე უნიკალური კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე. გვაინტერესებდა, თუ რამდენად კარგადაა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ამასთან ერთად, თავად ტურისტებს რამდენად აკმაყოფილებთ არსებულ ობიექტზე მომსახურების ხარისხი და უპირველეს ყოვლისა, რა შთაბეჭდილებას ახდენს თავად კლდეში ნაკვეთი ანტიკური ქალაქი. ამასთან, ჩვენ დავინტერესდით, რამდენად საინტერესო იქნებოდა ტურისტებისთვის ჩვენი სტუდენტური იდეა, რომლის მიხედვითაც ყოველ ზაფხულს შესაძლოა უფლისციხეში ჩატარდეს ერთ–ორ კვირიანი ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც მსახიობები გამოეწყობიან ანტიკური ადამიანების "სამოსში" და ამ ხნის განმავლობაში "იცხოვრებენ" მათი ცხოვრებით. ამის პრეცედენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ანუ იქ ტარდება მსგავსი ტიპის ფესტივალები და ადგილობრივი მცხოვრებლები ფესტივალის განმავლობაში ტრადიციულ სამოსს ატარებენ და ტურისტებისთვის თვალსაჩინოდ ტრადიციულ ცხოვრებით ცხოვრობენ...

ჩვენ გამოვკითხეთ 6–დან 70 წლამდე ასაკის 100 მდე ტურისტი, მათ შორის ქართველი, უკრაინელი, რუსი, ბელორუსი, შვედი, შვეიცარიელი, ავსტრიელი და გერმანელი ტურისტები. კითხვაზე, მოგწონთ თუ არა უფლისციხის ტურისტულ ობიექტზე არსებული მომსახურება? ყველამ, 100% ცალსახად გვიპასუხა, რომ მომსახურება მოსწონთ და თავად ტურისტული ობიექტიც დიდ აღფრთოვანებას იწვევდა მათში. რაც შეეხება ობიექტის მდგომარეობას, 23 %–მა აღნიშნა ობიექტზე არსებული ანტისანიტარული მდგომარეობა.

კითხვაზე რა სერვისის დამატებას ისურვებდნენ აღნიშნულ ტურისტულ ობიექტზე, გამოკითხულთა 82%, ქართველები კი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ უფლისციხეს დიდი განვითარების პერსპექტივა აქვს და რომ შესაძლებელია, მიმდებარე ტერიტორიასა და მტკვრის სანაპიროზე ძალიან კარგი რეკრეაციული ზონა გაშენდეს კაფე–ბარებით, პლაჟით და მშვიდი პარკით. ისინი დაწვრილებით გვიყალიბებდნენ, თუ რისი გაკეთება შეიძლება და განვითარებასთან ერთად როგორ უნდა შენარჩუნდეს კლდეში ნაკვეთი ქალაქის ანტიკური სახე. 7%–მა გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა, ყველაფერი ძველ სტილში ყოფილიყო გადაწყვეტილი, რაც უფრო მეტ მიმზიდველობას შესძენდა უფლისციხეს. მაგალითად: კიბეები, სკამები, ურნები, ქვაფენილი და თვით საპირფარეშოც კი ძველ, ანტიკურ სტილში ყოფილიყო გადაწყვეტილი. 2 % (ავსტრიელი ტურისტები) სურდა, რომ გამოქვაბულებამდე ასასვლელი კიბეები უფრო გაეფართოვებინათ, ერთმა შვეიცარიელმა ტურისტმა გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ობიექტს ღამით სლაიდ–შოუებით გაალამაზებდნენ. 5 %-ის აზრით, გამოქვაბულებამდე მისასვლელ გვირაბს განათება აკლდა, 3 %-მა საკმაოდ კურიოზული პასუხები გაგვცა, მაგ.: კარგი იქნებოდა, თუ კიბეზე წითელ ხალიჩას დააფენდნენ, ლიფტს დაამონტაჟებდნენ და „ქარს ცოტას დაუწევდნენ“ (ავსტრიელი ტურისტები).

ჩვენს მთავარ კითხვაზე, რომელიც ატრაქციას შეეხებოდა, ისურვებდით თუ არა, რომ უფლისციხეში ყოველ ზაფხულს გაიმართოს ერთ-ორ კვირიანი ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც მსახიობები გამოეწყობიან ანტიკური ადამიანების "სამოსში" და ამ ხნის განმავლობაში "იცხოვრებენ" მათი ცხოვრებით, 94%–მა დიდი აღფრთოვანებით გამოხატა იდეისადმი ინტერესი. 3 %–ს აზრი კი მოეწონა, მაგრამ დამატებით აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი არ უნდა გასცდეს სიძველის ჩარჩოებს და უფლისციხე არ უნდა გადავაქციოთ დისნეილენდად (შვედი ტურისტები). ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც მისი თქმით ბევრი უმოგზაურია 15-მდე ქვეყანაში, აღნიშნა, რომ სამხრეთ კორეაში ნახა სწორედ მსგავსი რამ, სადაც ერთ ძველ სოფელში ადამიანები მათი წინაპრებისთვის დამახასიათებელი

ჩაცმულობით, სხედან და სხვადასხვა ტრადიციულ სამუშაოს ასრულებენ და ტურისტებს აჩვენებენ, როგორაა დამზადებული მათი სიძველეები მაგ.: ხეზე კვეთა, დურგლობა, სხვადასხვა მასალის დამუშავება და ა.შ. 3% თვლიდა, რომ არ იყო ასეთი ფესტივალის ჩატარება საჭირო და საინტერესო.

კითხვაზე, მიიღებდნენ თუ არა მსგავს ფესტივალში უშუალო მონაწილეობას და თუ მოირგებდნენ ანტიკური ადამიანის როლს თავიანთ თავზე, 57% გვიპასუხა, რომ დიდი სიამოვნებით მოირგებდა და რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ბევრი მათგანი ხანში შესული პენსიონერი იყო, რომლებსაც შვილიშვილებთან ერთად სურდათ ფესტივალში მონაწილეობა. 41%-მა თქვა, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას. ზოგის აზრით, ტურისტთა უშუალო მონაწილეობა სისულელე იქნებოდა და ფესტივალს ხარისხსა და მიმზიდველობას სავსებით დაუკარგავდა. 2 %-მა თქვა, რომ არ იცის, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა უშუალო მონაწილე, თუ საქართველოში ჩამოსვლის ფინანსები ექნებოდა.

ამრიგად, აღნიშნული, ძალზე მცირემასშტაბიანი სტუდენტური გამოკითხვით დავრწმუნდით, რომ ატრაქცია დიდ მნიშვნელობას ატარებს თანამედროვე ტურიზმშიც, ძალიან დიდია მის მიმართ როგორც მცირეწლოვანი ბავშვების, ასევე ხანშიშესული ტურისტების დაინტერესებაც. ყველა ცალსახად აცხადებს, რომ ყოველგვარი ატრაქცია მათთვის გაცილებით საინტერესოს ხდის ტურისტულ ობიექტს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, კარგი იქნება, უფრო მეტიც, აუცილებელია, ტურიზმის დეპარტამენტმა უფრო დიდი ყურადღება დაუთმოს ისეთ უნიკალურ, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს, როგორიც, მაგალითად, უფლისციხეა. მოწესრიგდეს და სრულად რეალიზდეს ის ტურისტული პოტენციალი, რაც მას გააჩნია და ტურისტთა უფრო მეტად მოსაზიდად შეემატოს სხვადასხვა ატრაქციები. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, საფუძვლიანი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://lib.convdocs.org/docs/index-168704.html?page=2
2. http://hafanana-turs.ru/turizm-ot-a-do-ya/attrakcii-i-razvlecheniya.php
3. http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B8%D0%BC%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F

დიმიტრი ყიფიანის წვლილი საქართველოში საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების განვითარებაში

დავით ლობჟანიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

დიმიტრი ყიფიანი - საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ–ერთი მესვეური, 2007 წელს ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა დიმიტრი სამშობლოსათვის წამებული“. 1830 წელს დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და იქვე დაინიშნა მასწავლებლად. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ვოლოგდაში გადაასახლეს. აქ გუბერნატორის კანცელარიაში განაწესეს (1835), 1837 წელს საქართველოში დაბრუნდა. ამ დროიდან 1864 წლამდე იყო მთავარმართლებლის კანცელარიაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1862 წლამდე მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, 1859-1867 წლებში სამეგრელოს მთავრის ქონება-მამულის მეურვე, 1864-1870 წლებში - თბილისის გუბერნიის, ხოლო 1885-1886 წლებში - ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, 1876-1879 წლებში - თბილისის ქალაქისთავი. 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) ქართველი ერი დაწყევლა. ყიფიანმა მას საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო თანამდებობიდან გადააყენეს და იმავე წელს სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მეფის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს.

უდიდესია დიმიტრი ყიფიანის, როგორც საზოგადო მოღვაწის დამსახურება საქართველოს წინაშე. იგი იყო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. აქტიურად მონაწილეობდა

ბატონყმობის გაუქმების მომზადებაში. იგი იყო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა" და "ქართული დრამატული საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი. იღვწოდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის. დიმიტრი ყიფიანის ნააზრევში ქვეყნის საზოგადოების განვითარების თაობაზე პროგრესული იდეები სჭარბობს. იგი ემხრობოდა სათავადოების საკუთრებაში მყოფი ვრცელი მამულების დანაწილების დაჩქარებას და ცალკეული მემამულეების სრულ კომლობრივ საკუთრებაში მათ გადაცემას. დიმიტრი ყიფიანი მომხრე იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ევროპულ ყაიდაზე რადიკალური გარდაქმნისა. ეროვნულ საკითხში დიმიტრი ყიფიანისთვის ამოსავალი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ისტორიულ უფლებას, რომელსაც ქართველ ხალხს ანიჭებდა 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი. დიდი იყო დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, მის ეროვნულ კონსოლიდაციაში. მისი ნააზრევი და პრაქტიკული საქმიანობა ჩაგრული ერის ყველა ძირითადი სოციალური ფენის ინტერესებს ეხმაურებოდა. მისი სწრაფვა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის ფართო გზაზე გასაყვანად სრული გაგებით და მხარდაჭერით სარგებლობდა ხალხის ფართო დემოკრატიულ ფენებში.

1874 წლის ნოემბერში თბილისის ცენზიანმა მაცხოვრებლებმა საქალაქო სათათბიროს 72 ხმოსანი აირჩიეს. 1875 წელს კი ქალაქის თავის არჩევნები გაიმართა, რომელშიც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა გაიმარჯვა. დიმიტრი ყიფიანი თბილისის თვითმმართველობის ორგანოს სამი წელი მეთაურობდა და არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორიც გახლდათ. მან ქალაქის მშენებლობის განყოფილება გამგეობას შეუერთა, ნაწილობრივ გადაწყვიტა საკითხი სამხედროების საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ, მოახდინა მოსახლეობის აღწერა, გააუქმა რიგი წესებისა, რომლებიც ახალ წყობილებასთან შეუსაბამობაში მოდიოდა, შემოიღო სწორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო სისტემა. დიმიტრი ყიფიანის მმართველობის პერიოდს უკავშირდება ყოფილი ერევნის მოედნის (თავისუფლების მოედანი) კეთილმოწყობა, შუამდგომლობა ახალი სახაზინო თეატრის აგებისათვის, თბილისში წყალსადენის პროექტის დასამუშავებლად საჭირო თანხების მოძიება; ამავე პერიოდში დაიწყო დაბალჩინოსანთა ოჯახებისთვის დახმარების გაწევა, უპატრონო ძაღლების განადგურება, მოხდა ქალაქის გაზის ნათურებით განათება, გაიაფდა საწვავი და სხვ.

უდიდესია დიმიტრი ყიფიანის წვლილი საქართველოში საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების განვითარებაში. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ გაჩანაგდა გლეხობის დიდი ნაწილი, გაძლიერდა გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია, მაგრამ არც ქართველი თავადაზნაურობა აღმოჩნდა მისთვის სასურველ მდგომარეობაში. მან დაკარგა სამუშაო ძალა და მემამულე - თავადაზნაურობის წინაშე დადგა ყმების გარეშე მიწების დამუშავების მწვავე პრობლემა. თავად-აზნაურთა ერთმა უფრო გონიერმა ნაწილმა თვითონვე იკისრა თავისი უზარმაზარი მიწის ნაკვეთების დამუშავება. საამისოდ შეიძინეს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული იარაღები, საკმარისი გამწევი ძალა, შეარჩიეს საუკეთესო ხარისხის თესლი და დაქირავებული შრომის გამოყენებით შექმნეს მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები. მიწის დამუშავების ასეთი ფორმა მათთვის უფრო ნაყოფიერი და ხელსაყრელი გამოდგა, ვიდრე ყმა გლეხის იძულებითი შრომის გამოყენება. გადიდდა მოსავლიანობა და გაიზარდა მასზე მოთხოვნაც.

თავად-აზნაურთა მეორე ნაწილმა ისევ განაგრძო ძველი ხელგაშლილი ცხოვრება. მათ არც ფული გააჩნდათ, არც უნარი და არც სურვილი მიწის საკუთარი ინიციატივით დამუშავებისთვის, ამიტომ ისინი დაადგნენ ფულის შოვნის თავშეუწუხებელ გზას - მამულების გაყიდვას ან საადგილმამულო ბანკებში დაგირავებას. აქედან მიღებულ ფულს არამწარმოებლურად იყენებდნენ და დაგირავებული მამულების გამოხსნაზე არც კი ფიქრობდნენ. ბანკები საჯარო ვაჭრობით ყიდდნენ ვადაგასულ დაგირავებულ მამულებს, რომელთა მყიდველები იყვნენ შეძლებული გლეხობა, ვაჭრები ან ადგილობრივი უცხო კაპიტალისტები, რომლებიც შემდეგ დაქირავებული შრომის გამოყენებით აწყობდნენ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას. ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად იზრდება თავად-აზნაურთა მოთხოვნა ფულზე. ეს მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ გლეხობისაგან ძარცვით მიღებული სახსრები უმნიშვნელო აღმოჩნდა. ამიტომ მიმართავდნენ დამატებითი შემოსავლის მიღებისათვის ყმა გლეხობით დასახლებული და დაუსახლებელი მამულების გაყიდვა-დაგირავებას. ამის შედეგად ბევრი დიდგვაროვანი ქართველი თავადი და აზნაური გაჩანაგდა, ბევრიც აშკარა დაღუპვის გზაზე დადგა. დაიწყო მიწათმფლობელობის კრიზისი. ამ მდგომარეობამ მეტად დააფიქრა ლიბერალური თავადაზნაურობის ვიწრო წრე და მათ შორის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი. მას თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის დაარსების იდეა დაებადა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ყრილობაზე 1862 წლის 30 აპრილს, როდესაც იხილებოდა

მის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის გატარების ძირითადი პრინციპები. დ. ყიფიანი ქართველებიდან მაშინ ერთადერთი იყო, რომელმაც ამ ძნელი და რთული საქმის მთელი სიმძიმე არსებითად თავის მხრებზე გადაიტანა. დ. ყიფიანის პროექტით ბანკი უნდა გამხდარიყო თავადაზნაურთა წოდების ეკონომიკური ბრძოლის იარაღი, მისი მატერიალური ბაზის შემანარჩუნებელი და წინ წამწევი. თავად-აზნაურთა წინამძღოლი დ. ყიფიანი იმ აზრის იყო, რომ აღნიშნული თანხა შედგენილიყო იმ ფულის წილიდან, რომელიც უმაღლესად უნდა მისცემოდა თავადაზნაურობას პირადი ვალდებულების მოსპობისათვის. ამ საქმის დასაწყისში შედგენილი ანგარიშით, ორი მილიონი ფულიდან, რომელიც ეძლეოდა თავადაზნაურობას, მხოლოდ 1/5 ე.ი. 350 ათასი მან. იქნებოდა საზოგადოებრივი თანხა. 1864 წლის დამლევს ეს წინადადება შეტანილ იყო განსახილველად უმაღლესად მოწვეულ საგანგებო სამაზრო კრებებზე. თავადაზნაურობა სრული თანაგრძნობით მიეგება ამ აზრს და 432 ხმით წინააღმდეგ 42 ხმისა, გადაწყვიტა გადაიდოს ამ საქმისათვის გლეხობიდან შემოსული ფულიდან 20% ამ ფულის ხაზინიდან მიღების დროს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საგლეხო რეფორმის მომზადებაში მონაწილე ოფიციალურ და კერძო პირთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას დ. ყიფიანი წარმოადგენდა. მან დაარწმუნა თავადაზნაურობა, რომ მათი გადარჩენა მხოლოდ ახალი თაობის სწავლა-განათლების მიღებით არის შესაძლებელი. ისიც აუხსნა მათ, რომ ახალგაზრდობის აღზრდა, სწავლა-განათლების მიღება და მეცნიერების ცალკეული დარგების დაუფლება საკმაოდ დიდ ფულად საშუალებებთან იყო დაკავშირებული, რისი საშუალებაც თავადაზნაურობას არ ჰქონდა.

საგლეხო რეფორმის გატარების მოსამზადებელი მუშაობის პროცესში დაიბადა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა და სწავლისათვის შეგროვილი ფული დ. ყიფიანის წინადადებით უნდა მოხმარებოდა გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თავდაპირველი კაპიტალის შექმნას, რადგან ბანკის მთავარი დანიშნულება სწორედ ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისათვის საჭირო თანხების შეგროვება იქნებოდა. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის 1874 წლის სექტემბრის კრება გადამწყვეტი ეტაპი იყო ბანკის დაარსების ისტორიაში. ამ კრებაზე არჩეული გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის წევრები აქტიურად ჩაებნენ ბანკის გახსნისწინა სამზადისის წარმატებით დამთავრების საქმეში. საგუბერნიო კრებამ 1867 წლის 8 მაისის ოქმით გადაწყვიტა ბანკის წესდების პროექტის შესამუშავებლად აერჩია სარედაქციო კომიტეტი. მთავრობის მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ, სარედაქციო კომიტეტი იმ შემადგენლობით, რაც დადგენილი იქნებოდა წესდებით, იმავე თავმჯდომარეობით იქცეოდა ზედამხედველ კომიტეტად, რომელიც დაიწყებდა მოქმედებას წესდების შესაბამისად, აირჩევდა ბანკის მმართველობის პირად შემადგენლობას და სთხოვდა მთავრობას მის დამტკიცებას.

1867 წლის ნოემბერ-დეკემბერში კომიტეტის მონაწილეობით შემუშავებული წესდების პროექტი, რომელიც დ. ყიფიანის მიერ იქნა წარდგენილი, 23 დეკემბერს ეგზავნება თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს და სთხოვს დადგენილი წესით გამოითხოვოს მთავრობის მიერ ბანკის წესდების დამტკიცება. თუმცა რამდენიმე თვეში ისევე დ. ყიფიანის თხოვნით წესდების პროექტს უკან აბრუნებენ. მასში ზოგიერთი შესწორების შესატანად, რომელიც მითითებული იქნა ცნობილი ფინანსისტის ნ.ი. ვოდოვის მიერ, რომელმაც იმავე წლის 16 ივნისს კომიტეტის სხდომაზე წაიკითხა მის მიერ შედგენილი წესდების პროექტი და განმარტებითი ბარათი წესდებისთვის. როგორც კომიტეტის ოქმიდან ჩანს, კომიტეტმა მოიწონა ვოდოვის პროექტი და მასვე მიანდო შეეტანა პროექტში ზოგიერთი შესწორება იმ შენიშვნების მიხედვით, რომლებიც მისცეს ამ სხდომაზე. ნ.ი. ვოდოვის მონაწილეობით შედგენილი პროექტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველი პროექტისაგან. ამჯერად მან მიიღო კომერციული სახე. მიუხედავად ასეთი მცდელობისა, მთავრობის მიერ წესდების პროექტის დამტკიცება საბოლოო ჯამში ვერ მოხერხდა. დ. ყიფიანის მიერ კიდევ რამდენჯერმე იქნა შესწორებული და გაგზავნილი წესდების პროექტი, თუმცა დამტკიცება ყოველთვის ჩიხში ექცეოდა და, საბოლოო ჯამში, ფინანსთა სამინისტროს მიერ თავადაზნაურობას ეთქვა უარი დახმარებოდა იმ თანხით, რომელიც საჭირო იყო ბანკის დასაარსებლად. ამასთან, გამოთქვა გარკვეული შენიშვნები წესდების პროექტის მიმართ. დიმიტრი ყიფიანი ბანკის სარედაქციო კომიტეტის თავმჯდომარეც იყო, მდივანიც და მომხსენებელიც, დაუცხრომლად იღვწოდა ბანკის დასაარსებლად, მაგრამ 1870 წლიდან იგი ჩამოშორდა თუ ჩამოაშორეს ბანკის საქმეებს, რადგან ამავე წლის მაისიდან დ. ყიფიანმა თავი დაანება გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლობას, თუმცა დ. ყიფიანის შემდეგ თავადაზნაურობამ გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი ამოირჩია.

დადგინდა, რომ ბანკში არსებული თანხა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებდა გუბერნიის თავად-აზნაურთა მოთხოვნას სასესხო კაპიტალზე. ამიტომ საჭირო იყო ისეთი საშუალებების გამოძებნა, რითაც ბანკს შეეძლებოდა ყველა მისი წევრის სესხით დაკმაყოფილება და ყოველწლიურად გარკვეული მოგების მიღებაც. ამ მოვალეობების შესრულება შეეძლო მხოლოდ იპოთეკურ ბანკებს, რომლებიც ამ დროს ძალზე გავრცელებული იყო როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. იპოთეკურ ბანკებში იძლეოდნენ იპოთეკურ

კრედიტს მიწის ან რაიმე უძრავი ქონების გირაოთი, მაგრამ არა ნაღდი ფულით, არამედ ფასიანი ქაღალდებით. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკიც ეკუთვნოდა იმ ბანკების კატეგორიას, რომელიც სესხს იძლეოდა არა ნაღდი ფულით, არამედ გირაოს ფურცლებით.

გირაოს ფურცლების ეკონომიკური არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ბანკი, სათანადო შემოწმების შემდეგ, იგირავებდა მამულს და დაწესებულ ფასს აძლევდა არა ნაღდი ფულით, არამედ გირაოს ფურცლებით, რომელსაც საკუთარი ღირებულება არ გააჩნდა და მოქმედებდა დაგირავებული მამულისათვის გაცემული ფულის მაგიერ.

თბილისის ბანკის გამგეობა დაინტერესებული იყო, არ დარჩენოდა ბანკში მიმოქცევის გარეშე არც ერთი მანეთის გირაოს ფურცელი, რაც ბანკისთვის დიდად საზარალო იქნებოდა. ამიტომ 1874 წლის შემოდგომაზე ი. ჭავჭავაძეს რუსეთში გამგზავრებისას დავალებული ჰქონდა მოლაპარაკებოდა იქაურ ბანკირებს თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის გირაოს ფურცლების სარფიან პირობებში გასაღების შესახებ. 1874 წლის 24 დეკემბერს პეტერბურგის თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობასთან და შემდეგ კი სხვა ბანკებთან ილიას დაუდია ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ისინი მიიღებდნენ თბილისის ბანკის გირაოს ფურცლებს 6% სარგებლით. ასე რომ, ბანკის დაჩქარებით გახსნის სამზადისი ყოველი მომართულებით მიმდინარეობდა.

1875 წლის 28 იანვარს თბილისში შეიკრიბა გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის დამფუძნებელთა საგანგებო კრება, რომელსაც 150 კაცი დაესწრო. კრება გახსნა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა - რევაზ ანდრონიკაშვილმა. მისი წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა დიმიტრი ყიფიანს, რომლის ინიციატივით, დაუღალავი შრომისა და ბრძოლის შედეგად დაწესდა ეს სანატრელი ბანკი.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., დიმიტრი ყიფიანი და საადგილმამულო ბანკი, თხზულებათა სრ. კრებული 20 ტომად, ტომი 8 - პუბლიცისტური წერილები, თბ., 2007, გვ. 152-159; 173-206.
2. ჭავჭავაძე ი., კრება ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრთა (16 მაისს), თხზულებათა სრ. კრებული 20 ტომად, ტომი 8 - პუბლიცისტური წერილები, თბ., 2007, გვ. 236-243
3. ჟურული გ., თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, თბ., 2009, გვ. 131-133
4. ასათიანი ი., ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, თბ., 1994.

საქართველოს საფონდო ბირჟა, პრობლემები და განვითარების ტენდენციები

სოფიო მუზაშვილი, ლალი გიგაური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საფონდო ბირჟა და მისი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საფონდო ბირჟას, რომელიც თავისი ფორმით წარმოადგენს ერთგვაროვანი საქონლით ვაჭრობის ადგილს და წესს, ხოლო შინაარსით - მიწოდება-მოთხოვნის ორგანიზებულ ინფორმაციულ ბაზარს. ბირჟა ქვეყანაში სტაბილური ბაზრის და, ამდენად, სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. ბირჟა არის ინსტიტუტი, რომელიც სწრაფად იჭერს საბაზრო და არა მარტო საბაზრო იმპულსებს და ახდენს მომენტალურ რეაგირებას. საფონდო ბირჟის განვითარების გარეშე XXI საუკუნის გლობალიზაციის ფონზე რაიმე ხელშესახები ეკონომიკური წამატების მიღწევა შეუძლებელია.

მსოფლიოს უმსხვილეს საფონდო ბირჟებს მიეკუთვნება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, ამერიკის საფონდო ბირჟა, ლონდონის საფონდო ბირჟა, ტოკიოს საფონდო ბირჟა და ა.შ.

საქართველოში 1999 წლის იანვარში დაარსდა „საქართველოს საფონდო ბირჟა“. საქართველოს საფონდო ბირჟა არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით

შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, პასუხობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის საბაზისო მოთხოვნებს.

1999 წლის 12 იანვარს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ საქართველოს საფონდო ბირჟა დაარეგისტრირა, როგორც სააქციო საზოგადოება. ამ სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფოს არანაირი წილი არა აქვს, ის კერძო საბროკერო კომპანიებმა დააფუძნეს. ეს არის უნიკალური სააქციო საზოგადოება, რადგან ბირჟის წევრები ამავე დროს მისი აქციონერები არიან და წევრ-აქციონერობა სხვაგან არც ერთ სააქციო საზოგადოებაში არ გვხვდება.

ბირჟის საწესდებო კაპიტალი არის 30 000 ლარი, რომელიც დაყოფილია 3 მილიონ აქციად და თითოეულის ნომინალური ღირებულება 0.01 ლარია.

დღესდღეობით საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას ახორციელებს სამი უწყება: ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია; სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო და ეროვნული ბანკი.

დღესდღეობით საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: დროებითი დებულება საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და საფონდო ბირჟების შესახებ; კანონი მეწარმეთა შესახებ; კანონი თამასუქის შესახებ; კანონი ჩეკის შესახებ; კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ; დებულება საინვესტიციო ფონდების შესახებ.

საინტერესოა, რა მდგომარეობაშია საქართველოს საფონდო ბაზარი და შესაძლებელია თუ არა ამ აქტივობების პირობებში, რეალურად ეფექტიანი საფონდო ბირჟის არსებობა.

დღესდღეობით საქართველოს საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულია 133 კომპანია, რომელთა სრულმა სავაჭრო კაპიტალიზაციამ 2012 წლისთვი-0.88 მილიარდი, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 7 538,83 დოლარი შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულია 7 საბროკერო კომპანია:

1. სს "ბი ჯი კაპიტალი"
2. შპს "თიბისი ბროკერი"
3. შპს "კაუკაზუს ფაინენშიალ სერვისის"
4. სს "კაუკაზუს კაპიტალ ჯგუფი"
5. შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+"
6. შპს "ქართუ ბროკერი"
7. შპს "ლიბერთი სიქიურითიზ"

საქართველოს საფონდო ბირჟის პარტნიორები არიან: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, საქართველოს ბანკი, ვთბ ბანკი ჯორჯია, ქართუ ბანკი, თბს ბანკი.

საქართველოს საფონდო ბირჟა ვაჭრობს სტაბილურად სესიაზე რამდენიმე ათას ლარს, თუმცა ხანდახან მოვისმენთ სასიხარულო ინფორმაციასაც, რომ ბირჟის რამდენიმე დღის ვაჭრობამ ჯამში რამდენიმე ასეულ ათასს მიაღწია.

ერთი შეხედვით თითქოს უცნაურია, რომ საქართველოში არსებობენ სააქციო საზოგადოებები, საკმაოდ მომგებიანნი და წარმატებულნიც, მაგრამ ბირჟა მხოლოდ ფორმალურად მუშაობს, შეიძლება ითქვას სულს ღაფავს.

ასეთი სავალალო მდგომარეობის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში შესაბამისი ტრადიცია და კულტურა ვერ ჩამოყალიბდა. დასავლეთში ეს კულტურა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. მაგალითად, რუსებმა უბრალოდ აიღეს და მოსკოვში უცვლელად გადმოიტანეს. მაგრამ მოსკოვის ბირჟას ის დაეხმარა, რომ რუსეთი ენერგომატარებლებით თუ სხვა რესურსებით ფანტასტიკურად მდიდარი ქვეყანაა. ამიტომ თვითონ რომ არ მოენდომებინათ, დასავლური კაპიტალი აიძულებდა და ასწავლიდა.

საქართველოს საფონდო ბირჟის ეფექტური ფუნქციონირების შესახებ მრავალი კითხვა იბადება, რაც, სამწუხაროდ, კითხვებადვე რჩება, მდგომარეობა კი კვლავ უცვლელი და არასაიმედო.

• სჭირდება თუ არა საქართველოს განვითარებული საფონდო ბაზარი?
• რა პრობლემების წინაშე დგას დღევანდელი საფონდო ბაზარი?
• რა ღონისძიებები მისცემს ადგილობრივ საფონდო ბაზარს განვითარების საშუალებას?

მიგვაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საფინანსო ბაზრის აღდგენა და განვითარება მისი მომსახურე ყველა ინსტიტუტით, რაც საკმაოდ რთული და მასშტაბური ამოცანაა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საფონდო ბირჟის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში განუზომლად დიდია. თუ საფონდო ბაზარი არის ინვესტიციების მოზიდვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, საფონდო ბირჟა ამ მექანიზმის საკვანძო ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ღიად, გამჭვირვალედ და

კონკურენტულ გარემოში ფასიან ქაღალდებზე ობიექტურ ფასწარმოქმნას, რაც უადვილებს ინვესტორს სწრაფად და ყოველგვარი სუბიექტური ფაქტორების აუცილებლობის გარეშე, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. მაშინ, როდესაც ამერიკაში ან ევროპაში უბრალო დიასახლისიც კი თავის დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს ფასიან ქაღალდებში აბანდებს, ჩვენ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობამ არც კი იცის საფონდო ბირჟის არსებობის შესახებ და მათაც, ვინც იცის, ურჩევნიათ ფული უფრო „საიმედო ადგილას“ - ბანკში შეინახონ.

მაშინ, როდესაც ნიუ-იორკის, ამერიკის, ლონდონისა და სხვა ბირჟებზე მონაცემები ფასიანი ქაღალდების კურსების შესახებ, დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების შესახებ ყოველწამიერად იცვლება და წუთში რამდენიმე ათეული გარიგება იდება, საქართველოს საფონდო ბირჟაზე სესიები მხოლოდ კვირაში სამჯერ ტარდება და სულ რამდენიმე გარიგება იდება თითოეულის დროს.

მაგალითად, ბოლო #65(1625) სავაჭრო სესია ჩატარდა 12/6/2013.

ვაჭრობაში მონაწილეობდა 4 საბროკერო კომპანია.

გარიგებების რაოდენობა 3

გარიგებების ჯამური მოცულობა (ფ/ქ): **3,140**

გარიგებების ჯამური ღირებულება (ლარი): **81,640.00**

მიგვაჩნია, რომ ვერც ერთ ქვეყანაში საფონდო ბაზარი ვერ განვითარდება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი შემდეგი უმნიშვნელოვანესი პირობები: მაკროეკონომიკური მდგრადობა, გამართული და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე ორიენტირებული, მსოფლიოს გამოცდილების საფუძველზე და ქართულ სინამდვილეზე მორგებული ეფექტური კანონმდებლობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო რეგულატორი, საფონდო ბაზრის ინფრასტუქტურის მონაწილეების არსებობა და მდგრადობა, სწორი საპრივატიზაციო პოლიტიკა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება და მიმოქცევა, ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსებისა და მიმოქცევის მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა, საზოგადოების გათვითცნობიერება ფასიანი ქაღალდების სფეროში.

საფონდო ბაზრის განვითარება და წარმოების სფეროს გაფართოება ურთიერთშემავსებელი პროცესებია და ორივე ეკონომიკის ეფექტიანი მუშაობისკენაა მიმართული. წარმოების სფეროს განვითარება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური დაძაბულობის შემცირებას, ცხოვრების დონის ამაღლებას. უნდა გაჩნდეს ნდობა, როგორც სააქციო საზოგადოებისა „უცხო პირებისადმი“, ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეებისა ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეების მიმართ.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.gse.ge
2. www.mof.ge

XXI საუკუნის ბიზნესი

მაკა საათაშვილი, თამარ ნადირაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

“XXI საუკუნეში ორი ბიზნეს მიმართულება განვითარდება, ერთი რომელიც იქნება ინტერნეტში, ხოლო მეორე, რომელიც ბიზნესი არ არის!”

უილიამ (ბილ) გეიტსი

ელექტრონული ბიზნესი არის ნებისმიერი საქმიანი ქმედება, რომელიც იყენებს გლობალურ ინფორმაციულ ქსელებს კომპანიის შიგა (ინტრანეტი) და გარე (ექსტრანეტი) კავშირებისათვის მატერიალური და დროითი მოგების მიღების მიზნით. ფაქტობრივად, იგი შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციული, საქმიანი ნაკადებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემად ინტერნეტული ტექნოლოგიების გამოყენებით. ელექტრონული ბიზნესი უზრუნველყოფს კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანოებისთვის:

ვებ-საიტის, როგორც ინტერნეტში ინფორმაციული წარმომადგენლობის შექმნას, კომპანიის ბიზნეს პროცესების ინტეგრაციას და მათ კავშირს დამკვეთებთანა და მომხმარებლებთან, ბიზნეს-პროცესების ქმედებების, სამომხმარებლო ჯგუფისა და მარკეტინგული სამსახურის გაფართოებას.

ელექტრონული ბიზნესის გამოყენებისას კომპანიებისა და ბიზნეს-პრაქტიკიდან გამომდინარე კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიანი ინფრასტრუქტურის (რეკლამა, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს. შედეგად მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე. იგი ამასთანავე უზრუნველყოფს კომპანიის იაფ და მუდმივ რეკლამას, სერვისის ამაღლებას, საიტზე კლიენტს შემოსვლა შეეძლება გეოგრაფიული ადგილისა და დროის ნებისმიერ მომენტში, შესაძლებელია კლიენტურის აზრის გამოკითხვა და სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატური შეგროვება.

მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ფართოდ ვითარდება ელექტრონული კომერცია. ელექტრონულ კომერციაში მოიაზრება ინტერნეტ-ტექნოლოგია, რომელიც სხვადასხვა სახის პროდუქციის ინტერნეტ რეალიზაციის საშუალებას იძლევა. დღესდღეობით ელექტრონული კომერცია ბიზნესის ის მიმართულებაა, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ბრენდები საკმაოდ შედეგიანად იყენებენ. ნებისმიერ ბრენდს გააჩნია ვებ-გვერდი, სადაც მომხმარებელს საკუთარი პროდუქციის კატალოგს სთავაზობს. ინტერნეტ-მაღაზიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია საგადასახადო სისტემა, რომელიც ონლაინ კლიენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული გამოსაყენებელი უნდა იყოს. გარდა ამისა, მომხმარებლის ნდობის მოპოვება ონლაინ ბიზნესის წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო ნდობის მოპოვება ხდება პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ბრენდის ცნობადობის შემთხვევაში. უმთავრესი ფაქტორი კი მთელ ამ პროცესში თანმიმდევრულობა გახლავთ.

ონლაინ მომხმარებელი ყოველთვის ანიჭებს უპირატესობას ისეთ ბიზნესს, რომელსაც ერთი გენერალური მიმართულება აქვს აღებული. ელექტრონული კომერციისა და ონლაინ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სარეკლამო სტრატეგია, საინფორმაციო განცხადებები, პროდუქციის მაღალი ხარისხი. პუბლიკაციების სტილი, რომელიც ამ პროდუქციას თან ახლავს, მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ასევე ონლაინ კლიენტის ნდობის მოპოვებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია მომსახურება და გარანტია. ის პროდუქცია, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობთ, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის ხარისხსა და ფასს.

უკვე ითქვას, რომ ონლაინ ბიზნესის სწორად დაგეგმარებაში დიდ როლს თამაშობს ინტერნეტ რეკლამა. დღესდღეობით სოციალური ქსელები, ფორუმები და ბლოგები ონლაინ რეკლამისთვის საუკეთესო რესურსია. სწორედ ამ ელემენტების გამოყენებით შესაძლებელია ონლაინ მომხმარებლის ფართო აუდიტორიის მიზიდვა.

საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის უმთავრესი საკითხებია ახალი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა, კიბერუსაფრთხოება, ლოჯისტიკა და შეკვეთილი ნაწარმის ადგილზე მიტანა, მომხმარებლების უფლებების დაცვა და ელექტრონული ვაჭრობის პოპულარიზაცია.

აშშ-ს სამთავრობო უწყებათა და წამყვან პოზიციებზე მომუშავე პოლიტიკოსთა უდიდესი ნაწილი თავიანთი საქმიანობისას აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებსა და ბლოგებს. ყველაზე ხშირად სამთავრობო უწყებები სოციალურ ქსელებში ქმნიან ჯგუფებს, ასეთი უწყებების რაოდენობა შეადგენს 32%-ს, პოპულარობით მეორე ადგილზეა ბლოგები და Wiki – ვებ გვერდები - 31%-ით, ხოლო ბოლო ადგილზე ფორუმები და ჩეთები - 30%-ით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალურ ქსელებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს Facebook-ი, LinkedIn-ი და Twitter-ი, აგრეთვე ზოგიერთი სახელმწიფო უწყება ანვითარებს საკუთარ ქსელურ რესურსებს ანალოგიური ფუნქციებით.

ექსპერტთა აზრით კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების მიერ სოციალური ქსელების გამოყენება მოსახლეობასა და პრესასთან რეალურ დროში ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ინტერნეტის გლობალური ქსელის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებამ გამოიწვია ცვლილებები ბიზნესის მართვაში და ელექტრონული ბაზრის გაჩენა. ცნობილია, რომ ელექტრონული ბიზნესი სამეწარმეო საქმიანობაა, რომელშიც მოგების მიღების მიზნით გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები.

საინფორმაციო პროდუქტების შექმნა (წიგნების, ინსტრუქციების, პროგრამული უზრუნველყოფის და ა. შ.) და მათი პირდაპირი გაყიდვა ინტერნეტის ქსელებში ვირტუალური მაღაზიების საშუალებით წარმოადგენს ელექტრონული ან საინფორმაციო ბიზნესის ფართოდ გავრცელებულ სახეობას. ინფორმაცია ხომ 21-ე საუკუნის ყველაზე შემოსავლიანი პროდუქტია. ელექტრონული კომერცია

ელექტრონული ბიზნესის მთავარი შემადგენელი ნაწილია. იგი ტექნიკური და ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მატერიალური და ფინანსური აქტივების გადაცემა ბიზნესის ერთი სუბიექტიდან მეორეზე, ნებისმიერი სახის კომერციული გარიგებებისა და კომერციული საქმიანობების განხორციელება პარტნიორებთან, ბანკებთან, მიმწოდებელსა და მომხმარებლებთან ინტერნეტის გამოყენებით. ელექტრონული კომერცია მოიცავს ინტერნეტის ქსელებში ბიზნეს-საქმიანობის ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ვაჭრობა (საცალო ან საბითუმო) ვირტუალური მაღაზიების, Web-ვიტრინების ან სავაჭრო ცენტრების საშუალებით; მომსახურების გაწევას, ელექტრონულ რეკლამას და ა. შ.

ელექტრონული კომერციის საწარმოებლად აუცილებელია ინტერნეტში საკუთარი Web-საიტის გახსნა და „ამუშავება". ვაჭრობის პროცესის ავტომატიზირებისათვის აუცილებელია საიტზე სპეციალიზებული პროგრამის (სკრიპტის), ე. წ. „ვირტუალური მაღაზიის" დაყენება, მასში შესაფერისი საქონლის გამოფენა, რეკლამისა და MLM მარკეტინგის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ამ საქონლის წინ წაწევის მიზნით.

ზოგიერთი კომპანია და კერძო მეწარმე ახორციელებენ საქონლის პირდაპირ გაყიდვებს (როგორც მატერიალურის, ისე საინფორმაციოსი) ვირტუალური საწყობებიდან ან მაღაზიებიდან. საკუთარი საქონლის წინ წაწევისათვის ისინი იყენებენ Direct marketing-ს (პირდაპირ მარკეტინგს). ელექტრონული კომერცია (e-commerce) და საქონლის ონლაინში გაყიდვა სამომხმარებლო ბაზრის მომავალია.

ელექტრონულ ბიზნესს განეკუთვნება ბიზნესი ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სასაქონლო და ძვირფასი ლითონების ბაზრებზე:

1. ტრეიდერად (ვაჭრობა) მუშაობა მსოფლიო სავალუტო (ფინანსურ) ბაზრებზე FOREX (Foreign Exchange Market). მსოფლიო სავალუტო ბაზარი არის საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ურთიერთდაკავშირებული რეგიონული სავალუტო ბაზრების სისტემა. მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე წარმოადგენს უცხოური ვალუტის სხვადასხვა სახის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ერთობლიობას. სავაჭრო ოპერაციების საიდუმლო იმაშია, რომ იყიდონ იაფად და ძვირად გაყიდონ.

2. OnLine აუქციონები (ინტერნეტ-აუქციონი).

Ebay-ს საერთაშორისო აუქციონზე მუშაობა როგორც მყიდველის, ისე გამყიდველის რანგში. აუქციონი Ebay - ეს ის ადგილია, სადაც შეგიძლიათ სარფიანად შეიძინოთ თქვენთვის საჭირო საქონელი საკუთარი ბიზნესის საწარმოებლად. ვაჭრობა "АУ-АУ" ინტერნეტ აუქციონზე. ეს არის საქონლის ყიდვა-გაყიდვის აუქციონი.

3. ბიზნესი ინვესტიციებზე. ეს არის ფულის დაბანდება პროცენტებით. ინტერნეტში უამრავი საინვესტიციო ფონდია განლაგებული, რომლებიც შემოგთავაზებენ ფულად სესხებს გადადგენილი პროცენტითა და გარკვეული ვადით.

ელექტრონული ბიზნესი საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს კლიენტთა მომსახურება, ხარჯების ერთდროულად შემცირების პირობებში მოიძებნოს პროდუქციის გასაღების ახალი არხები და გაიზარდოს კონკურენტუნარიანობის დონე.

დღეს ინტერნეტი არა მარტო ყველაზე მასშტაბური და იაფი ინფორმაციული რესურსია, არამედ იგი გვთავაზობს სხვადასხვა საქმიანობის მართვის ფორმათა რეალიზაციებს, მულტიფუნქციურ დამუშავების შესაძლებლობას გლობალური სისტემის ფარგლებში, რაც დროის და მატერიალური ხარჯის ეკონომიას უწყობს ხელს.

ბიზნეს პრაქტიკიდან გამომდინარე კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიან ინფრასტრუქტურის (რეკლამა, პიარი, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს. შედეგად კი მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე.

საფოსტო სერვის სააგენტომ E ExactTarget–ის და საკონსულტაციო ჯგუფის E Econsultancy-ის 2010 წლის კვლევების შედეგად, ამერიკელმა დამკვეთებმა მკვეთრად გაზრდეს თავიანთი მარკეტინგული აქტივობა სოციალურ ქსელებში (70%), შესაბამისად შეამცირეს რეკლამის ბიუჯეტები პრესასა (41%) და რადიოში (36%). გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა თავიანთი ბიუჯეტები გაზარდეს ციფრულ არხებზე, როგორიცაა: სოციალური მარკეტინგი (56%), email-მარკეტინგი (54%) და საძიებო სისტემები (51%).

ინტერნეტ სივრცის ასეთი სწრაფი განვითარება, შესაძლებლობების უსაზღვრო და მრავალფუნქციური ზრდა, საშუალებას გვაძლევს დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტი არის მესამე ათასწლეულის განვითარებადი ბიზნესი და ვინც ამ სფეროს შესწავლას დაიწყებს დღეს, ის ადვილად შეძლებს ფეხდაფეხ მისდიოს თანამედროვე სამყაროს და ადვილად დაიმკვიდროს თავი მზარდ ბიზნესში.

მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში ინტერნეტ ბიზნესი დიდად პოპულარულია, მაგრამ მათ რიცხვს, სამწუხაროდ, საქართველო არ მიეკუთვნება. არა იმის გამო, რომ არ იმუშავებს ეს სისტემა, არამედ საზოგადოების დაინტერესების დონეა დაბალი.

ლიტერატურა:
1. www.Navigator.ge
2. www.Lari.ge
3. www.Medgeo.net
4. www.Siaxleebi. info

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები

ბექა ნაოჭაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** სრული პროფესორი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან სულ უფრო ფართოვდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და პარტნიორი ქვეყნების საერთო რიცხვი, რომელთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ამერიკას უკავია. დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1992 წლის 23 აპრილს დამყარდა. ცხადია, ამერიკა-საქართველოს კულტურული კავშირები გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე ქვეყნებს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობა. ორივე ქვეყანა ახორციელებს კოორდინირებულ პოლიტიკას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში საერთო ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას, ქართული პროდუქციის ექსპორტს, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

საქართველოსა და ამერიკას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო გარანტორი. 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას. ქარტია წარმოადგენს უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკისა და ვაჭრობის, ენერგეტიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას. [1]

აღსანიშნავია, რომ აშშ უკვე წლებია სამართლიანად იკავებს საპატიო ადგილს საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის. გასულ წელს საქართველოს ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის ამერიკას მეშვიდე ადგილი ეკავა თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ჩინეთის, გერმანიის და რუსეთის შემდეგ, ხოლო უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებს შორის 2012 წელს მესამე ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის (26,4%) და სომხეთის (11%) შემდეგ. 2012 წლის მთლიან ექსპორტში ამერიკის პროცენტული წილი 2011 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 6,6%-დან 9,5%-მდე გაიზარდა.

2013 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია აზერბაიჯანი (94 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (87 მლნ. აშშ დოლარი) და ამერიკის შეერთებული შტატები (49 მლნ. აშშ დოლარი). [2]



აშშ-ში ძირითადად ხორციელდება ფეროშენადნობების, აზოტოვანი სასუქების, რადიომაუწყებლობის ან ტელევიზიისათვის გადამცემი აპარატურის, მსუბუქი ავტომობილების, ხილის წვენებისა და სხვათა ექსპორტი, ხოლო აშშ-დან იმპორტით შემოდის მსუბუქი ავტომობილები, შინაური ფრინველის ხორცი, კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, გაყინული თევზი, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

სავაჭრო ბრუნვა აშშ-თან 2004-2012 წწ. (მილიონი აშშ დოლარი)

წელი	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**
ექსპორტი	21,2	26,7	58,9	149	102,1	36,9	180,5	118,4	226,2
იმპორტი	110,9	146,9	129,6	203,8	358,0	226,7	173,4	163,2	213,2

www.geostat.ge, info@geostat.ge

საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულ გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვრცელდება GSP (პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა) სავაჭრო რეჟიმი, რაც შეერთებულ შტატებში ქართული პროდუქციის შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით ექსპორტის საშუალებას იძლევა.

2004-2009 წლებში აშშ-ს მხრიდან საქართველოში განხორციელებულ იქნა 445 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც ქვეყანაში არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობის 6,9%-ს შეადგენს. აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 2010 წელს 135.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2011 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში 18.1 მილიონი აშშ დოლარი.

2005 წლის 12 სექტემბერს საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას - „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს". საქართველოს ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა 2006 წლის 7 აპრილს ამოქმედდა. 2008 წლის 20 ნოემბერს ხელი მოეწერა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის 2005 წელს გაფორმებული კომპაქტის ცვლილებას. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებდა მიმდინარე პროგრამის (295,3 მილიონი აშშ დოლარი) ფარგლებში დამატებით 100 მილიონი დოლარის გამოყოფას, რის შედეგადაც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება 395,3 მილიონამდე გაიზრდა.

კომპაქტის ფარგლებში საქართველოსთვის მონიჭებული ფინანსური დახმარების ძირითადი ნაწილი მოხმარდა სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციას (209 მილიონი აშშ დოლარი); ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაციას (49.5 მილიონი აშშ დოლარი) და სხვადასხვა რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს (57.7 მილიონი აშშ დოლარი).

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დირექტორთა საბჭომ 2011 წლის 5 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველოს შესაძლებლობა მიეცა შეიმუშაოს და წარადგინოს წინადადებები ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის მისაღებად. აღნიშნული გადაწყვეტილება საბჭომ მიიღო მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, პირველი კომპაქტისას სწორი პოლიტიკის განსაზღვრითა და განხორციელებით და ისეთი პროექტების განვითარებით, რომლებმაც აშკარად შეუწყო ხელი ეკონომიკურ განვითარებას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, რამაც, საბოლოო ჯამში, კომპაქტის წარმატებით დასრულება განაპირობა.

ამერიკული ინვესტიციების შემოდინება საქართველოში დღესაც გრძელდება. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ინვესტიციების ჩადებითა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობით ამერიკული კომპანია "Hi-Lite Global Corporation" დაინტერესდა. [3]

ამერიკული კომპანიები საქართველოში ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ფარმაციის, ტურიზმისა და ღვინის სექტორებით არიან დაინტერესებულნი. აღსანიშნავია, რომ ქართულ საინვესტიციო ბაზარზე ამერიკული კაპიტალი დიდი მოცულობით წარმოდგენილი არ არის. ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს პრეზიდენტის განცხადებით ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: "პირველი ის, რომ ადრე აქ ამერიკული კომპანიების მოზიდვა პრიორიტეტული არ იყო... ინვესტორების შემოსვლის მთავარი კრიტერიუმი ინვესტიციის ზომა იყო - ვინც მეტს იხდიდა, ის იმარჯვებდა, თუმცა ზოგჯერ ფულის რაოდენობა ინვესტიციის ხარისხის განმსაზღვრელი არ არის. ინვესტიციას, ფულთან ერთად, უნდა მოჰყვეს მენეჯმენტი, პროფესიონალი კადრები და ახალი ტექნოლოგიები. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ 2003-დან 2008 წლამდე მსოფლიოში ფულის შოვნა საკმაოდ ადვილი იყო და ამერიკულ კომპანიებს შეეძლოთ, იგივე ინვესტიცია ამერიკასა და ევროპაში გაცილებით დაბალი რისკის პირობებში ჩაედოთ. კრიზისის მერე ეს შეიცვალა. აშშ-ში ფული არის, მაგრამ ინვესტორები მას შიდა ეკონომიკაში არ დებენ, რადგანაც გაურკვევლობაა. იგივე შეიძლება ითქვას ევროპულ ქვეყნებზე. საქართველოში ამ მხრივ გარკვეული შანსები არსებობს. ჩვენ დღეს შეგვიძლია გარკვეული თანხები მოვიზიდოთ. თუ იქნება მყარი გარანტიები სხვადასხვა მიმართულებით, პარალელურად კი ამის შესახებ ინვესტორებს ინფორმაციას მივაწვდით, შესაძლებელია, რომ ისინი ქართული ბაზრით დაინტერესდნენ." [4]

საქართველოსა და აშშ-ს შორის ვითარდება მჭიდრო კულტურულ-ჰუმანიტარული თანამშრომლობა. დამყარებულია პირდაპირი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირები ორი სახელმწიფოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის. გაფორმებულია ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ. საკმარისია გავიხსენოთ 2010 წელი, როცა საქართველოს კერძო განათლების სისტემაში უპრეცედენტო ინვესტიცია განხორციელდა. საქართველოს უნივერსიტეტმა ამერიკის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციისგან 12 მილიონი დოლარის ინვესტიცია მიიღო. [5]

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უდიდეს ფინანსურ დახმარებაზე, რაც საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკისაგან მიიღო. ბრიუსელში ჩატარებულ დონორთა კონფერენციაზე გადაწყდა, რომ საქართველოს ომის შედეგების სალიკვიდაციოდ 4,5 მლრდ ამერიკულ დოლარს გამოუყოფდნენ. აშშ-მა საქართველოს 1 მილიარდი დოლარის დახმარების გაწევა შესთავაზა. საქართველოს უკვე მიღებული აქვს ამ თანხების დიდი ნაწილი, რომელიც დევნილთა პრობლემების მოგვარებას, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და ენერგეტიკის განვითარებას მოხმარდა.

აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ოფიციალურ შეხვედრებზე არაერთგზის განაცხადა, რომ აშშ–საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლიანი ისტორიის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია „მყიფე სახელმწიფოდან“ ისეთ სახელმწიფოდ გარდაქმნაში, რომელიც წარმატებით ამცირებს წვრილმან კორუფციას; ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების და მომსახურების მოდერნიზაციას და აშენებს დემოკრატიულ ქვეყანას. მისი თქმით, საქართველომ დაადასტურა, რომ „სანდო პარტნიორია“ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ავღანეთი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და ვაჭრობა. ელჩის შეფასებით საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადადის. ნორლანდმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტთან 2012 წლის იანვარში გამართული შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები „ახალ ეტაპზე გადაიყვანა, როდესაც მან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების თაობაზე მაღალი დონის დიალოგის დაწყების შესახებ გააკეთა განცხადება, რაც, თავის მხრივ, ასევე მოიცავს შესაძლო შეთანხმებას თავისუფალ ვაჭრობაზე.“ [6]

ამრიგად, საქართველოსა და აშშ-ს შორის არაერთი შეთანხმება არსებობს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და გაფართოვდება.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=268&lang_id=GEO
2. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
3. http://timer.ge/3830-amerikuli-kompania-hi-lite-global-corporation-saqarthveloshi-investirebas-gegmavs.html#
4. http://24saati.ge/index.php/category/news/2011-10-26/21042.html
5. http://www.saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=2336:2010-12-03-12-46-48&catid=98:politics&Itemid=457#ixzz2M1ZlZ9J5
6. http://www.civil.ge/geo/article.php?id=25271

ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი დაძლევის გზები

დათო პაპიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** სრული პროფესორი

ჩრდილოვანი ეკონომიკა ნაციონალური ეკონომიკის ნაწილია, რომელიც არაფორმალური, ფარული და აღურიცხავი სამართალსაწინააღმდეგო სამეურნეო საქმიანობის სახეების ერთობლიობას წარმოადგენს. მისი მასშტაბების კონტროლი და შემცირება ყველა ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთმა ქვეყანამ მისი სრული აღმოფხვრა ვერ შეძლო. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით მისი დასაშვები ნორმა მშპ-ს 5-6% წარმოადგენს. ამ ფენომენის მხოლოდ ადმინისტრაციული ზომებით დამარცხება შეუძლებელია. აუცილებელია იმ მიზეზების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, რომელიც მას იწვევს და ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ჩრდილოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ნოყიერ ნიადაგს გამოაცლის. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა კრიტიკულ ზღვარს აღწევს და კონტროლიდან გამოდის იმ შემთხვევაში, როდესაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 50%-ს აღემატება. აღნიშნულ ზღვარს მიღმა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე ჩრდილოვანი ფაქტორების გავლენა უმართავი ხდება.

საქართველოში ბოლო წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების მიმართულებით უამრავი სამთავრობო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წ. 24 ივნისის №282 ბრძანებულება, რომლის მიხედვით ყველა სამინისტროს ევალება ქმედითი ზომების შემუშავება ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის მკვეთრი შემცირების მიზნით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2003 წელს დაუკვირვებელი ეკონომიკის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 31,8% შეადგენდა (2004 წ. პირველ კვარტალში - 29,2%), ხოლო მსოფლიო ბანკისა და სხვა მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების (შნაიდერი, დე სოტო) შეფასებებით იგი 68%-საც აღწევს და მსოფლიოში ყველაზე მაღალია (შნაიდერი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი სპეციფიურობის გამო ჩრდილოვანი ეკონომიკის ზუსტი მასშტაბების განსაზღვრა დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე და საკმაოდ რთულია.

ცხრილში წარმოდგენილია ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკაში, რომელიც გაანგარიშებულია საგადასახადო პოტენციალის და საგადასახადო ტვირთის შეფარდებით.

ქვეყნები პროცენტებით მშპ-თან

	საგადასახადო ტვირთი	საგადასახადო პოტენციალი	ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი
შვედეთი	53,0	60,0	13,2
ნიდერლანდები	47,0	44,4	5,6
ბელგია	42,6	47,8	12,1
გერმანია	39,8	35,8	10,0
დიდი ბრიტანეთი	34,7	31,8	8,5
იაპონია	22,9	22,6	1,5
საქართველო	14,0	25	78

ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების აღნიშნული მეთოდოლოგიის გარდა მსოფლიოში გამოიყენება აგრეთვე მისი გამოანგარიშება მოხმარებული ელექტროენერგიისა და ნაღდი ფულის მოთხოვნის დონის მეთოდის მიხედვით.

დღეისათვის საგადასახადო კოდექსში შეტანილია 400-ზე მეტი შესწორება, ე.ი. კოდექსის შემოღების დღიდან მეწარმეს წელიწადში 60-ზე მეტი შესწორების გათვალისწინება უხდებოდა. ასეთი ცვლილებების პირობებში რომელ საკანონმდებლო და სამეწარმეო სტაბილიზაციაზე იყო საუბარი, როდესაც ბიზნესის კეთებისას თვითონ ცვლილებები ბარიერებად გვევლინებოდა. მთავარი შედეგი კი ის არის, რომ მეწარმეს დაეკარგა ნდობის ფაქტორი. ასეთი მდგომარეობა არსებითად ზღუდავს ქართველი მეწარმის შესაძლებლობებს განავითაროს და განაახლოს წარმოება, რაც, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ადაბლებს. კანონმდებლობით დამტკიცებული მეტისმეტი და მიუღებელი საგადასახადო წნეხის არსებობა კორუფციისათვის ძალზე ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის.

საქართველოში ინდივიდუალურ საწარმოთა საქმიანობის ზოგიერთი მაჩვენებელი ასეთია: ინდ. მეწარმეები არ წარმოადგენენ სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის რაიმე მნიშვნელოვან შემადგენელს. რუსეთში ამ მოსაზრებით ისარგებლეს ალბათ, როდესაც ჯერ კიდევ 1996 წელს ინდ. მეწარმეები საერთოდ გაანთავისუფლეს დღგ-ს გადასახადისაგან. სამწუხაროდ ჩვენმა კანონმდებლებმა ამ ფაქტს იგნორირება გაუკეთეს და ისეთივე სიმკვირცხლე ვერ გამოიჩინეს, როგორც დღგ-ს რუსული ვარიანტის გადმოტანისას, რის გამოც ბოლო წლების მაჩვენებლების მიხედვით ინდ. მეწარმეები დაუკვირვებად სექტორში გადაბარგდნენ. წარმოუდგენელია, სხვა რითი უნდა ავხსნად ინდ. საწარმოებში დასაქმებულების და თვითონ ინდ. საწარმოების რაოდენობათა კლება. ბევრი არასამთავრებო ორგანიზაციის გაანგარიშებიდან სჩანს, რომ ინდ. მეწარმეს მხრიდან გადასახადების კანონიერად გადახდისას სახელმწიფოს თითქმის ორჯერ მეტი მიაქვს გადასახადების სახით, ვიდრე ინდ. მეწარმეს წმინდა მოგებით, რაც უეჭველად იწვევს ბრუნვის ოდენობის დამალვას და არაკანონიერ გარიგებებს საგადასახადოს წარმომადგენელთან.

ევროკავშირის დაარსების დღიდან დ.ღ.გ-ით დაბეგვრა მიჩნეული იქნა წევრი ქვეყნის სუვერენულ უფლებად, თუმცა ეროვნული მთავრობებისათვის არავის არ დაუშლია მინიმალური და, რაც მთავარია, რეალური განაკვეთების შემოღება. მაგალითად, შვედეთმა და დანიამ ყველაზე მაღალი დაბეგვრის რეჟიმი აირჩია, ხოლო საბერძნეთმა და ირლანდიამ ყველაზე დაბალი. 1993 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირის გაერთიანებამ დაამტკიცა, რომ ყველა მცირე წევრ სახელმწიფოში დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი უნდა ყოფილიყო 15%. თუმცა დაშვებული იყო მინიმუმიც - 5%. რატომ იქნა საქართველოში 20% განაკვეთი მიღებული? ამის მრავალი მიზეზი არსებობდა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელებაზე საგადასახადო პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს, რაზეც კიდევ ერთი სერიოზული ნაშრომი მეტყველებს, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოსცა 2002 წელს. ფრიდრიხ შნაიდერის ავტორობითა და დომინიკ ერნსტის მონაწილეობით შექმნილ ნაშრომში ავტორები ადასტურებენ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების და ზრდის ტემპების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სოციალურ უზრუნველყოფაზე გამიზნული გადასახადების და საგადასახადო ტვირთის ზრდა, ასეთი გადასახადები ზრდიან დანახარჯებს სამუშაო ძალაზე, რის გამოც ჩრდილოვანი ეკონომიკის საკვანძო ფაქტორებს წარმოადგენენ. ზუსტად ამ დანახარჯების გამო საქართველოში კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა სოცანარიცხების ამოღებასთან დაკავშირებით.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ: „ოფიციალური ანტიკორუფციული კამპანია სისხლისსამართლებრივი დევნისაკენ უფროა მიმართული, ვიდრე პრევენციისაკენ. ის არასტრუქტურირებულ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე სისტემურსა და ყოვლისმომცველს. შეშფოთების საგანს წარმოადგენს: საზოგადოების ჩართულობის დონე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლებები და ელიტური კორუფცია. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე გამოხატეს შეშფოთება ბიზნესთან მთავრობის კავშირების, კერძოდ, კორუფციული გარიგებების გამო. წლის განმავლობაში არაერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა“. 2004 წელს აშშ-ს და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობაში აშშ-ს მონაცემებთან შედარებით ჩრდილში იყო მოქცეული მთლიანი საგარეო ბრუნვის 56,7%, ლეგალიზებული იყო 43,3%; 2005 წელს ჩრდილში იყო მოქცეული 57,5%; 2006 წელს - 49%; 2007 წელს – 38,8%; 2008 წელს – 42%; 2009 წელს – 38%; 2010 წელს – 27,2%; 2011 წელს – 45,5%; 2012 წლის იანვარ-მარტში ჩრდილში იყო მოქცეული 46,5%, ლეგალიზებული იყო 53,5%. 2011 წელს ხორცის (მათ შორის, ქათმის) ბიზნესში ჩრდილში იყო მოქცეული აშშ-დან შემოსული პროდუქციის 66,5%, ლეგალიზებული იყო 33,5%; ნავთობპროდუქტების ბიზნესში ჩრდილში იყო მოქცეული 98,6%, ლეგალიზებული იყო 1,4%; ალკოჰოლურ სასმელებში ჩრდილში იყო მოქცეული 89,2%, ლეგალიზებული იყო 10,8%; ბრინჯის ბიზნესში ჩრდილში იყო მოქცეული 87,0%, ლეგალიზებული იყო 13,0%.

აშშ-ის ოფიციალური მონაცემებით 2004-2012 წლებში საქართველოსთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 276,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (United States Census Bureau, http://www.census.gov/foreign-trade/balance/c4633.html). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით იმავე პერიოდში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 418,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (http://www.geostat.ge/?action=page&pid=136&lang=geo). საქართველოს მხარემ დააფიქსირა 1 858,1 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი ბრუნვის მხოლოდ 56,5%. მათ შორის: აშშ-ის ექსპორტმა საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში ამერიკის მონაცემებით შეადგინა 3 008,7 მლნ დოლარი, ხოლო იმავე პერიოდში საქართველოს მონაცემებით აშშ-ის იმპორტმა საქართველოში შეადგინა 1 662,4 მლნ დოლარი. საქართველოს მხარემ დააფიქსირა 1 346,3 მლნ დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 55,3%. სახელმწიფო ბიუჯეტმა ამ პერიოდში მარტო გადასახადების სახით დაკარგა მინიმუმ მილიარდ ლარზე მეტი აშშ-დან მემოსული სხვადასხვა საქონლის განუბაჟებლობის გამო.

2004-2012 წლებში აშშ-ის მონაცემებით საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში შეადგინა 1267,6 მლნ დოლარი, ხოლო საქართველოს მონაცემებით იმავე პერიოდში ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადინა 755,8 მლნ დოლარი. საქართველოს მხარემ ამ მონაცემებშიც დააფიქსირა 512,2 მლნ დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 59,6%.

2004 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 304,8 მლნ აშშ დოლარს. საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 132,1 მლნ აშშ დოლარს, ანუ 2,3-ჯერ ნაკლებს. მათ შორის: აშშ საქართველოში ექსპორტს აფიქსირებს 227,1 მლნ აშშ დოლარს, ამავე პერიოდში საქართველო აშშ-დან იმპორტს – 110,9 მლნ დოლარს, ანუ 2-ჯერ ნაკლებს; აშშ საქართველოდან იმპორტს აფიქსირებს 77,7 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი აშშ-ში ექსპორტს – 21,2 მლნ აშშ დოლარს, ანუ 3,7-ჯერ ნაკლებს;

• აშშ საქართველოსთან აფიქსირებს დადებით სავაჭრო სალდოს 149,4 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ამავე პერიოდში – უარყოფით სავაჭრო სალდოს აშშ-თან 89,7 მლნ აშშ დოლარს, ანუ 40%-ით ნაკლებს. 2005 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 408,3 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 173,6 მლნ აშშ დოლარს, ანუ 2,4-ჯერ ნაკლებს.

• აშშ საქართველოსთან აფიქსირებს დადებით სავაჭრო სალდოს 19,5 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ამავე პერიოდში – უარყოფით სავაჭრო სალდოს აშშ-თან 120,2 მლნ აშშ დოლარს, ანუ 6,2-ჯერ მეტს. 2006 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 368,8 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 188,1 მლნ აშშ დოლარს, ანუ 49%-ით ნაკლებს.

• აშშ საქართველოსთან აფიქსირებს დადებით სავაჭრო სალდოს 158,2 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ამავე პერიოდში – უარყოფით სავაჭრო სალდოს აშშ-თან 71,7 მლნ აშშ დოლარს, ანუ 2,2-ჯერ ნაკლებს. 2007 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 575,8 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 352,9 მლნ აშშ დოლარს, ანუ 39%-ით ნაკლებს.

2008 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 794,3 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 460,3 მლნ აშშ დოლარს, ანუ 42%-ით ნაკლებს.

2009 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 433,4 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 268,5 მლნ აშშ დოლარს, ანუ 38%-ით ნაკლებს. მათ შორის:

• აშშ საქართველოში ექსპორტს აფიქსირებს 363,8 მლნ აშშ დოლარს, ამავე პერიოდში საქართველო აშშ-დან იმპორტს – 234,6 მლნ დოლარს, ანუ 36%-ით ნაკლებს;

• აშშ საქართველოდან იმპორტს აფიქსირებს 69,6 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ექსპორტს აშშ-ში – 36,9 მლნ აშშ დოლარს, ანუ 47%-ით ნაკლებს;

• აშშ საქართველოსთან აფიქსირებს დადებით სავაჭრო სალდოს 294,1 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ამავე პერიოდში – უარყოფით სავაჭრო სალდოს აშშ-თან 194,7 მლნ აშშ დოლარს, ანუ 34%-ით ნაკლებს.

2010 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 498,9 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 358,3 მლნ აშშ დოლარს, ანუ 28%-ით ნაკლებს. მათ შორის:

2011 წელს აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 714,8 მლნ აშშ დოლარს. საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 389,3 მლნ აშშ დოლარს, ანუ 45,5%-ით ნაკლებს. მათ შორის:

აშშ-ის მონაცემებით, 2011 წელს შტატების ექსპორტმა საქართველოში შეადგინა 538 მლნ აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს იმპორტმა შტატებში – 176 მლნ აშშ დოლარი. ამ ციფრებიდან გამომდინარე, უარყოფითმა სავაჭრო სალდომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეადგინა 362,6 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თავის ვებგვერდზე, სტატისტიკურ პუბლიკაციაში „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2011 წელს" (გვ. 18), იმავე მონაცემებს შემდეგნაირად აქვეყნებს: „ამერიკის შეერთებული შტატების იმპორტი საქართველოში – 245,8 მლნ აშშ დოლარი, საქართველოს ექსპორტი აშშ-ში – 143,5 მლნ აშშ დოლარი, უარყოფითი სავაჭრო სალდო – 102,3 მლნ აშშ

დოლარი (ანუ ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებთან შედარებით 3,5-ჯერ ნაკლები; გამოდის, რომ ჩრდილოვანმა ეკონომიკამ უარყოფითი სავაჭრო სალდოს დაფიქსირებაში შეადგინა 72%). 2012 წლის პირველ კვარტალში აშშ აფიქსირებს საქართველოსთან საგარეო-სავაჭრო ბრუნვას 177,1 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ანალოგიურ მაჩვენებელს – 94,7 მლნ აშშ დოლარს, ანუ 87%-ით ნაკლებს. მათ შორის:

• აშშ საქართველოში ექსპორტს აფიქსირებს 149,9 მლნ აშშ დოლარს, ამავე პერიოდში საქართველო აშშ-დან იმპორტს – 57,9 მლნ დოლარს, ანუ 2,6-ჯერ ნაკლებს.

• აშშ საქართველოდან იმპორტს აფიქსირებს 27,3 აშშ დოლარს, საქართველო კი აშშ-ში ექსპორტს – 36,8 მლნ აშშ დოლარს, ანუ 35%-ით მეტს.

• აშშ საქართველოსთან აფიქსირებს დადებით სავაჭრო სალდოს 122,6 მლნ აშშ დოლარს, საქართველო კი ამავე პერიოდში – უარყოფით სავაჭრო სალდოს აშშ-თან 21,0 მლნ აშშ დოლარს, ანუ 5,8-ჯერ ნაკლებს.

აშშ-ის მონაცემებით, 2012 წლის პირველ კვარტალში შტატების ექსპორტმა საქართველოში შეადგინა 149,9 მლნ აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს იმპორტმა შტატებში – 27,3 მლნ აშშ დოლარი. ამ ციფრებიდან გამომდინარე, უარყოფითმა სავაჭრო სალდომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეადგინა 122,6 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იმავე მონაცემებს, იმავე პერიოდში, შემდეგნაირად აქვეყნებს: „ამერიკის შეერთებული შტატების იმპორტი საქართველოში – 57,8 მლნ აშშ დოლარი, საქართველოს ექსპორტი აშშ-ში – 36,8 მლნ აშშ დოლარი, უარყოფითი სავაჭრო სალდო – 21,0 მლნ აშშ დოლარი (ანუ, ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებთან შედარებით 5,8-ჯერ ნაკლები; გამოდის, რომ ჩრდილოვანმა ეკონომიკამ უარყოფითი სავაჭრო სალდოს დაფიქსირებაში შეადგინა 83%).

აშშ-ის ოფიციალური მონაცემებით 2011 წელს საქართველოში ექსპორტირებული იყო 101,3 მლნ დოლარის ხორცი (მათ შორის, ქათმის) (http://www.census.gov/foreign-trade/statistics/product/enduse/exports/c4633.html#questions). ამ დროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აფიქსირებს (http://www.mof.ge/2066) აშშ-დან სულ 33,9 მილიონი დოლარის ხორცის შემოტანას(!). ანუ, 66,5% შემოვიდა კონტრაბანდულად და ქვეყნის ბიუჯეტს მარტო საბაჟოს კუთხით ამ ოპერაციებიდან დღგ-ის სახით დააკლდა მინიმუმ 12 მლნ დოლარი.

ამავე წელს აშშ-დან ამერიკის მონაცემებით ექსპორტირებული იყო 56 685 ათასი დოლარის სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტი. ამავე პერიოდში საქართველო აფიქსირებს აშშ-დან მხოლოდ 771,0 ათასი დოლარის სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტის შემოტანას, ანუ 74-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აშშ. 2011 წელს აშშ-დან გამოგზავნილი ნავთობპროდუქტების 98,6% საქართველოში აღრიცხული არ არის იმპორტად (!).

ამავე პერიოდში აშშ აფიქსირებს ალკოჰოლური სასმელების (გარდა ღვინისა) 4 373 ათასი დოლარის საქართველოში ექსპორტს, ხოლო ქართული მხარე ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის (მათ შორის, ღვინის) აშშ-დან შემოტანას აფიქსირებს მხოლოდ 470,7 ათასი დოლარის ოდენობით, ანუ 9-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აშშ. 2011 წელს აშშ-დან გამოგზავნილი ალკოჰოლური სასმელების 89,2% საქართველოში აღრიცხული არ არის იმპორტად (!).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული პროდუქციის ნაწილი, შესაძლებელია, რეექსპორტის სახით განუბაჟებლად გავიდა საქართველოდან, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რეექსპორტის წილი იმ შემთხვევაში, როცა თავიდანვე საქონლის რეალიზება საქართველოში იყო დაგეგმილი, ძალიან მცირეა და, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ დასკვნაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და ელიტური კორუფციის დიდ მასშტაბებზე.

ქვეყანაში ელიტური კორუფციის და, შესაბამისად, ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოსაფხვრელად აუცილებელია:

1. პირველ რიგში, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური ნება;
2. საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების გამჭვირვალობა და მათზე უმკაცრესი კონტროლის დაწესება, განსაკუთრებით საზოგადოების მხრიდან;
3. სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება (საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებით);
4. სტატისტიკური აღრიცხვისა და საგადასახადო შემოსავლების გამჭვირვალობა და საგადასახადო კოდექსში მონაცემთა საიდუმლოების გაუქმება;
5. ეკონომიკის ყველა სექტორის დემონოპოლიზაცია.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1 www.tsu.edu.ge/data/file_db/economist.../CV%20Nodar%20KHaduri.pdf
2. Jul 26, 2010 – მსოფლიო ბანკის ანგარიში

3. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ 4. 4. 4.http://www.gurianews.com/home/2010-11-30-14-14-53/2010-11-30-14-14-17/4087-2004-2012----------.html
5. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view.
6. www.tavisupleba.mobi/z/1005/pc38.html.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი

მირანდა ყაჩლავაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ჭიოტაშვილი,** სრული პროფესორი

დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. გარდა იმისა, რომ იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა ხასიათის უბედური შემთხვევებისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, იგი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე სადაზღვევო სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ ქვეყნის განვითარებასა და მაღალ დონეზე, რადგან იგი, ერთი მხრივ, ხალხის კეთილდღეობასა და ბიზნესის დამცველ საშუალებად გვევლინება, მეორე მხრივ კი, თავისი საქმიანობით საკუთარი შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფს. ასე რომ, მისი განვითარება ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

მრავალ ქვეყანაში დაზღვევის სისტემის სწორი ორგანიზაცია და რაციონალური მართვა უდიდეს პოტენციალს ქმნის წარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ მისი განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კატეგორიის ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა.

სადაზღვევო სისტემისა და სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოში ფართო მასშტაბებით 1997 წლიდან იწყება. ამ დროიდან დაიწყო სადაზღვევო ფორმირების ახალი ეტაპი. შეიქმნა სადაზღვევო კომპანიები, რამაც ხელი შეუწყო ბაზრის განვითარებას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში სადაზღვევო სისტემამ განვითარების სხვადასხვა ეტაპები გამოიარა. დღეისათვის მოქმედებს 14 ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია. ესენია:

1. სს სადაზღვევო კომპანია“ალდაგი ბისიაი“;
2. სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“;
3. შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ“;
4. შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“;
5. შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“;
6. შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“;
7. შპს სადაზღვევო კომპანია“პარტნიორი“;
8. სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“;
9. სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს “არქიმედეს გლობალ ჯორჯია“;
10. შპს სადაზღვევო კომპანია“ალფა“;
11. შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“;
12. შპს „პსპ დაზღვევა“;
13. შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“;
14. სს სადაზღვევო კომპანია “ჩარტისი“ საქართველოს ფილიალი.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე დიდი პოპულარობით „ალდაგი ბისიაი“ სარგებლობს, რომელიც პირველი სადაზღვევო კომპანიაა საქართველოში. მისი აქციების 100% საქართველოს ბანკს ეკუთვნის. ბაზრის განვითარებისა და კონკურენციის გაზრდის შედეგად გაიზარდა სადაზღვევო კომპანიების მომსახურებაც. დღეისათვის საქართველოში სადაზღვევო კომპანიების მომსახურება მოიცავს: ჯანმრთელობის, სიცოცხლის, ქონების, ბიზნესის, უბედურ შემთხვევათა, პასუხისმგებლობის და სხვა სახის დაზღვევებს.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიების რაოდენობითა და მათი მომსახურების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს ბაზარი აღმასვლას განიცდის. ეროვნული ბანკის მონაცემებით (nbg.gov.ge)

ბოლო წლებში გაიზარდა სადაზღვევო პრემიების რაოდენობა. 2012 წელს არასიცოცხლის დაზღვევით მიღებულმა პრემიებმა 451,485,946 ლარი, ხოლო სიცოცხლის დაზღვევით მიღებულმა პრემიების რაოდენობამ 19,469,352 ლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია, რაც ბაზრის განვითარებაზე პირდაპირ მეტყველებს.

გარდა ამისა, შეინიშნება მკვეთრი ტენდენცია: საქართველოს სადაზღვევო ბაზრის დიდი ნაწილი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, რაც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი სახელმწიფოს პოლიტიკაა. 2008 წლიდან მთავრობის ინიციატივით საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის ეტაპობრივად დაზღვევა დაიწყო. სადაზღვევო პოლისი თავდაპირველად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას, შემდეგ კი პედაგოგებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს გადაეცათ. შედეგად სადაზღვევო ბაზარზე ჯანმრთელობის დაზღვევის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2009 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი მოდელი, რომელიც ე.წ. ”იაფი დაზღვევის“ სახელითაა ცნობილი: 3-დან 60 წლამდე ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო ”იაფი სადაზღვევო პაკეტის” შეძენა 19.80 ლარად (სახელმწიფოს მიერ შეძენილი 60 ლარიანი პაკეტის 33% თანაგადახდით) და ერთი წლის მანძილზე, 8 000 ლარის ფარგლებში, ესარგებლა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი სტაციონალური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით და ასევე სამედიცინო დახმარებით უბედური შემთხვევისას. თუმცა აღნიშნულმა მოდელმა არ გაამართლა. მოთხოვნა დაბალი იყო, რაც გამოწვეული იყო არასათანადო ინფორმირებულობითა და სადაზღვევო კულტურის დაბალი დონით. ახალი მთავრობის ინიციატივით 2013 წლის პირველი ივნისიდან საქართველოს ყველა მოქალაქე ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტს მიიღებს. ოფიციალური ინფორმაციით, 2012 წელს ჯანდაცვის სფეროს პროექტებისთვის 359 883, 9 ლარი იყო გამოყოფილი. 2013 წელს კი 76%-ით გაიზარდა და 633 746, 0 ლარი შეადგინა.

სადაზღვევო კომპანიები სახელმწიფო პროგრამებში ჩართვით მხარდაჭერას უცხადებენ მთავრობას სოციალური პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ არსებობს მეორე მხარე — სადაზღვევო კომპანია არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, ის არის ფინანსური ინსტიტუტი და რეგულარულად ზარალიანობა მას დააკარგვინებს სადაზღვევო ბაზარზე ადგილს და საბოლოოდ გაკოტრდება.

გარდა ამისა, სადაზღვევო ბაზარზე არის პრობლემებიც, რაც უარყოფითად მოქმედებს მასზე. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ადამიანებს არა აქვთ მატერიალური საშუალება, შეიძინონ ესა თუ ის სადაზღვევო პროდუქტი. ყველაფერ ამას კი ემატება საზოგადოების დაბალი სადაზღვევო კულტურა, რაც, საბოლოო ჯამში, აფერხებს ბაზრის განვითარებას. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი სადაზღვევო კომპანიასთან ისე აფორმებს ხელშეკრულებას, რომ არ იცნობს სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე დაზღვევის პირობებს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს განსახორციელებელ სათანადო პროცედურებს. მოსახლეობის დაზღვევის შესახებ სათანადოდ ინფორმირება უმნიშვნელოვანესი საკითხია. უფრო მეტიც, ბაზარზე „სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის“ პროდუქტი ისე გამოვიდა, რომ პროდუქტის ბაზარზე შემოტანისა და გაყიდვების არცერთ ეტაპზე აქცენტი არ გაკეთებულა დაზღვეულთათვის სადაზღვევო პროდუქტის, დაფარვების, უფლება-მოვალეობებისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების შესახებ. შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილი პირველივე დაბრკოლებისთანავე (პოლისის არსებობის შემთხვევაშიც კი) სამედიცინო ხარჯებს თვითონ ანაზღაურებს.

სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში, კადრების მომზადება-გადამზადებაში, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვაში, ასევე კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის აუცილებელია საფონდო ბაზრის განვითარება, რაც მათ საშუალებას მისცემს გაზარდონ კაპიტალი და აღებული პასუხისმგებლობა შეასრულონ მაქსიმალურად.

როგორც ვხედავთ სადაზღვევო ბაზრის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს. მას შეუძლია პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო საბაზრო ურთიერთობაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირებას.

ინტერნეტ-რესურსები:

1. nbg.gov.ge
2. http://24saati.ge/index.php/category/news/2013-03-01/36123.html
3. http://www.nplg.gov.ge
4. http://www.psidiscourse.ge/geo/history.php?id=1%20%28nanaxia
5. http://netgazeti.ge/GE/40/business/3911/
6. http://speqtri.ge
7. http://24saati.ge/index.php/category/news/2013-03-01/36123.html

უმუშევრობა და შრომითი მიგრაცია

რუსუდან ცერცვაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

უმუშევრობა საქართველოში

უმუშევრობა - მოცემული ტერმინი ახასიათებს იმ დაუსაქმებელ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც შრომის ბაზარზე წონასწორობის მუდმივი რყევის შედეგად მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობას.

უმუშევრობის სახეებია: 1. ფრიქციული; 2. სტრუქტურული; 3. ციკლური.

საქართველოში უმუშევრობის ამსახველი ზუსტი მონაცემების დადგენა ძალზე რთულია. ექსპერტების ვარაუდით, ქვეყნის მოსახლეობის მესამედზე მეტი უმუშევარია, რაც არ ეთანხმება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს. საქსტატის მონაცემებით საქართველოში 2009 წელს დასაქმებულთა რიცხვი 1656,1 ათასი კაცი იყო, ხოლო დაუსაქმებელი 335,6 ათასი კაცი.

საქართველოში უმუშევრობის გამომწვევი მიზეზებია:

- ფართომასშტაბიანი გლობალიზაციის პროცესი;
- გარკვეული სახის სფეროებში აქტიური სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- დასაქმების სააგენტოებისა და სამსახურების არ არსებობა;
- შრომითი ბაზრის მოწყობის არასწორი პოლიტიკა;
- პროფკავშირების არ არსებობა;
- მზარდი ურბანიზაცია და ა.შ.

უმუშევრობის შედეგები

ნეგატიური:

- საზოგადოებრივი მორალის დაცემა;
- სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა;
- შრომადობის შემცირება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება;
- მომუშავეთა მიერ კვალიფიკაციის დაკარგვა და ა.შ.

პოზიტიური:

- სამუშაო ძალის რეზერვის მუდმივი შენარჩუნება;
- მომუშავეებს შორის კონკურენცია;
- შრომის მწარმოებლურობის და ინტენსივობის სტიმულირება;
- დასაქმების სოციალური სტატუსის ზრდა და ა.შ.

პრობლემის გადაჭრამდე საჭიროა:

1. უმუშევრობის რაოდენობრივი დადგენა;
2. მარეგულირებელი პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა;
3. გრძელვადიანი, ეფექტური სტრატეგია უმუშევრობის აღმოსაფხვრელად.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მიზნად დაისახავს უმუშევრობის დონის გარკვეულ ნიშნულამდე შემცირებას, უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ:

- ლიბერალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება;
- ინვესტირება დაბალმწალმოებლურ დარგებში;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
- ინვესტირება განათლების სფეროში;
- კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა;
- უმუშევართა დაზღვევა;
- ნახევარგანაკვეთიანი ადგილების შექმნა;
- ინფორმაციის მობილურობა შრომის ბაზარზე.

ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები. მთავრობის ვალია გაატაროს საჭირო რეფორმები, რათა ხელი შეუწყოს ეკონომიკის და, ამ შემთხვევაში, დასაქმების პოლიტიკის წარმატებას. საზოგადოებამ კი, თავის მხრივ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ისინი უნდა იყვნენ კეთილსინდისიერები და მომთხოვნები როგორც მუშაკის, ასევე დამსაქმებლის როლში.

უმუშევრობა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც თითოეულ ადამიანზე პირდაპირ და ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. დასაქმებულთათვის სამუშაოს დაკარგვა ნიშნავს ცხოვრების დონის ვარდნას, რაც მათ სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს.

უმუშევრად აღიარების კრიტერიუმები:

- ❖ იყოს ,,სამუშაოს გარეშე“ - ე.ი. არ გააჩნდეს ანაზაღაურებადი სამუშაო გარკვეული დროის განმავლობაში;
- ❖ ,,მზად იყოს“ მოცემულ მომენტში - ე.ი. მზად იყოს იმუშაოს დაქირავებით ან თავად დასაქმდეს;
- ❖ ,,ეძებდეს სამუშაოს“ - ე.ი. კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებდეს ანაზღაურებადი სამუშაოს მოსაძებნად.

უმუშევრობა და მისი დაძლევის გზები

საქართველოში უმუშევრობასა და დასაქმების პრობლემას არეგულირებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. დასაქმების სახელმწიფო სამსახური ინფორმაციას უნდა ავრცელებდეს: ვაკანსიების, მოქალაქეთა გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

2007-2008 წწ. დასაქმების პროგრამა 25-26 წლის ასაკის ადამიანებზე იყო განკუთვნილი. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს უნდა მოეხდინა კომპანიებისათვის საჭირო კადრების სამთვიანი გადამზადება, რომლის მიმდინარეობისას თითოეული ადამიანი სტიპენდიის სახით თვეში 200 (ორას) ლარს მიიღებდა. მთლიანად პროგრამის განხორციელებისათვის სახელმწიფო 60 მლნ. ლარს ხარჯავდა.

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოთხოვნა არის გარკვეულ კადრებზე, მაგრამ ვერ ხერხდება სათანადო დონის სპეციალისტის მოძებნა. განსაკუთრებით ეს ეხება სამრეწველო სექტორს, ამის გამო მნიშვნელოვნადაა ამ პრობლემის მოგვარებაში ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელმაც შეიმუშავა პროფესიული განათლების რეფორმა. მომრავლდა ე.წ. პროფ-სასწავლებლები, განახლდა პროფესიული კოლეჯები.

ქვემოთ მოცემულია მონაცემები დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ 2005 წლიდან 2011 წლის ჩათვლით. გამოკვლეულია სამუშაო ძალაში ქალებისა და მამაკაცების ხვედრითი წილი, დასაქმება ქალაქისა და სოფლის მიხედვით, უმუშევრობა და დასაქმება ასაკობრივ ჭრილში და 2011 წლის ძირითადი ტენდენციები.



სამუშაო ძალა - კაცები და ქალები

2011 წელი

საქართველოს მოსახლეობა - 4 469,2 ათასი კაცი

- კაცი - 2 127,3 ათასი
- ქალი - 2 341,9 ათასი

სამუშაო ძალა - 1 959,3 ათასი კაცი

- კაცი - 1 044 ათასი

წილი კაცებში - 49,1%

- ქალი - 916 ათასი

წილი ქალებში - 39,1%



უმუშევრობა

2011 წელი

უმუშევრობის დონე - 15,1%

- კაცი - 16,7%
- ქალი - 13,1%



უმუშევართა რაოდენობა - 295,1 ათასი კაცი

- კაცი - 174,8 ათასი

წილი უმუშევრებში - 59,2%

- ქალი - 120 ათასი

წილი უმუშევრებში - 40,8%



ეკონომიკური აქტივობა ქალაქისა და სოფლის მიხედვით

2011 წელი

საქართველოს მოსახლეობა - 4 469,2 ათასი კაცი

- ქალაქად - 2 371,3 ათასი კაცი
- სოფლად - 2 097,9 ათასი კაცი

აქტიური მოსახლეობა - 1 959,3 ათასი კაცი

- ქალაქად - 839,5 ათასი კაცი
  წილი აქტიურ მოსახლეობაში - 42,8%
- სოფლად - 1 119.8 ათასი კაცი
  წილი აქტიურ მოსახლეობაში - 57,2%



	ქალაქი		სოფელი	
	რაოდენობა (ათასი)	**წილი დასაქმებულებში**	**რაოდენობა (ათასი)**	**წილი დასაქმებულებში**
დასაქმებული	**617,4**		**1 046,8**	
➢ დაქირავებული	442,6	71,7%	189,4	18,1%
➢ თვითდასაქმებული	171,4	27,8%	854,0	81,6%
➢ გაურკვეველი	3,4	0,6%	3,4	0,3%
უმუშევარი	**222,1**		**73,1**	

უმუშევრობა და დასაქმება ასაკობრივ ჭრილში

2011 წელი

უმუშევრობის დონე - 15,1%

ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე

- 20-24 წლის ასაკში
- 15-19 წლის ასაკში
- 25-29 წლის ასაკში

დასაქმების დონე - 55,4%

ყველაზე მაღალი დასაქმების დონე

- 40-44 წლის ასაკში
- 45-49 წლის ასაკში
- 50-54 წლის ასაკში

აქტიურობის დონე - 65,2%

ყველაზე მაღალი აქტიურობის დონე

- 40-44 წლის ასაკში
- 45-49 წლის ასაკში
- 50-54 წლის ასაკში





უმუშევრობა და შრომითი მიგრაცია

შრომითი მიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან თან სდევს. ქართველების პირველი ნაკადი სამუშაოდ მეზობელ, მათთვის ნაცნობ რუსეთში, თურქეთსა და საბერძნეთში წავიდა. მცირე პერიოდში პატარა საქართველოდან მოქალაქეები მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარზე გამოჩნდნენ. უცხოეთში სამუშაოდ წასვლის მიზეზი, როგორც წესი, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, რაც ხელს უწყობდა უმუშევართა რაოდენობის ზრდას. ცნობილია, რომ შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა, რომელიც საქართველოში დღემდე სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. განსაკუთრებით მწვავედ უმუშევრობა რეცესიის დროს ვლინდება, ანუ მაშინ, როდესაც მთლიანი შიგა პროდუქტი იკლებს, სულ ცოტა, ზედიზედ ორი კვარტლის განმავლობაში. სამწუხაროდ,

რეცესიის ტიპის მოკლევადიანი ეკონომიკური რყევა საქართველოსთვის გრძელვადიან მოვლენად იქცა. ღრმა რეცესია – დეპრესიაა, თუმცა პოლიტიკოსები რეალობის ასე რადიკალურად შეფასებას ყოველთვის ერიდებიან... საქმე ისაა, რომ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროინდელი ფისკალური კრიზისი თუ არაერთი სხვა სტრუქტურული ხასიათის ეკონომიკური პრობლემა 2004 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ თითქოს მოგვარდა, მაგრამ დასაქმებას ეს არ დასტყობია. პირიქით, მოხდა გაუარესება აღნიშნული მიმართულებით.

ახალმა ხელისუფლებამ უცხოეთში დასაქმებულთა საქართველოში დაბრუნების აქტიური აგიტაცია დაიწყო. მიუხედავად იმ ეკონომიკური ცვლილებებისა და რეფორმატორული წარმატებებისა, რომლის შესახებაც ომახიანად და გამუდმებით საუბრობდა ხავერდოვანი რევოლუციით მოსული მთავრობა, უმუშევრობა დღესაც ისეთივე მტკივნეული თემაა, როგორც ადრე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უმუშევრობის ტერმინს ასე განსაზღვრავს: 15 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, სცადეს მუშაობის დაწყება გასული 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამსახური ვერ იშოვეს. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან დროებით დათხოვნილი და სამსახურის დაწყების მოლოდინში მყოფებიც. საქართველოს სინამდვილეში კი სიტყვა უმუშევარი განსხვავებული კრიტერიუმით ფასდება. თავს უმუშევარს უწოდებენ ისინიც, ვინც არათუ გასული 4 კვირის, არამედ გასულ 4 თვეზე მეტ პერიოდშიც ვაკანსიების შესახებ მონაცემებით არც კი დაინტერესებულან. ასეთი ტიპის ადამიანები ინფორმაციის გაცვლას ძირითადად ე.წ. „ბირჟაზე“ ახდენენ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შრომის ბირჟასთან. შედეგად, საქართველოში, ძირითადად, სწორედ ასეთი ინდივიდებისგან შედგება იმედდაკარგულ მუშახელთა კონტინგენტი – ადამიანები, რომელთაც სურთ მუშაობა, მაგრამ ხელი ჩაიქნიეს სამუშაოს ძებნაზე.

ხანგრძლივი სოციალური დაძაბულობა საზოგადოებაში ნიჰილიზმს ამძაფრებს და ძალაუნებურად უცხოეთში დასაქმების ინტერესს აღვივებს. შესაძლებლობის შემთხვევაში საზღვარგარეთ მუშაობაზე უარს არც სახელმწიფო და არც კერძო სტრუქტურაში (შედარებით სტაბილურად) მომუშავე საშუალო შემოსავლიანი ადამიანებიც არ იტყვიან. იციან, რომ იმ პოზიციაზე და იმ დოზით, როგორც სამშობლოში მუშაობენ, საზღვრებს გარეთ მეტ ანაზღაურებას მიიღებენ. უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა სეზონური სამუშაოს მიზნით მიგრაციაც. უცხოეთში დასაქმების ეს საშუალება გარკვეულ ბიზნესადაც იქცა, რადგან ბევრ ქვეყანაში შეღწევა არც ისე ადვილია და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნათესაური ურთიერთობა თუ ნაცნობობა. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა 2009 წელს ანგარიში გამოაქვეყნა - „შრომითი მიგრაცია საქართველოდან და ორმხრივი შრომითი ხელშეკრულებები: პერსპექტივები და საჭიროებები“, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოდან შრომითი მიგრაციის უდიდესი ნაწილი არალეგალურია. ანგარიშის შედგენაში მონაწილე ექსპერტების აზრით, შრომითი მიგრაციის რეგულირება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს. „მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი შრომითი მიგრანტია წასული საქართველოდან, ის, რომ მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ ათასს შეადგენს, ეჭვგარეშეა. იმის გამო, რომ საქართველოს შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ არც ერთ სახელმწიფოსთან არა აქვს გაფორმებული ფართომასშტაბიანი ხელშეკრულება, ქართველი შრომითი მიგრანტები, როცა მათი უფლებები ირღვევა, ფაქტობრივად, მოკლებულნი არიან სახელმწიფოს მხრიდან ლეგალური დაცვის შესაძლებლობას. საქართველოს საკონსულოებს საზღვარგარეთ კი შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ“. ანგარიშის ავტორთა აზრით, მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად ეფექტური იქნება ამ საკითხზე სახელმწიფოთა შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. განმარტავენ, რომ ქვეყნიდან წასული ადამიანების საკითხით დაინტერესება ხელისუფლებამ 2008 წელს სპეციალური უწყების შექმნაში გამოხატა, რომელსაც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეწოდება. „უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით სტრატეგიული გეგმა შეიქმნა, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივას გულისხმობს. მიმდინარეობს მუშაობა“ - აღნიშნულია მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის 2009 წლის ანგარიშში.

თანამედროვე მსოფლიოში დასაქმების სფეროში მდგომარეობის დასარეგულირებლად სახელმწიფოები გარკვეულ პოლიტიკას ატარებენ, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მონაცემთა ბაზის შექმნა; პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება; მუშახელის გეოგრაფიული მობილურობის უზრუნველყოფა და სხვ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ინიცირებული დასაქმების პროგრამა.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის შეფასების მიზნით 1 000 დამსაქმებელი გამოჰკითხა. გაირკვა, რომ საწარმოები პროგრამის ფარგლებში

მათთან დასაქმებული პირებისგან გრძელვადიან თანამშრომლობას მხოლოდ 10%-თან გეგმავენ, ანუ საშუალოდ დასაქმების პროგრამის შედეგად გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ ყოველი მე -10 ადამიანი საქმდება. „ვინაიდან სახელმწიფომ პროგრამის ფარგლებში დასაქმებისთვის 40 000 000 ლარი გამოიყო, ხოლო პროგრამაში 114 000 მოქალაქე მონაწილეობდა, ჩვენი დაშვებით გრძელვადიან პერიოდში საქმდება მაქსიმუმ 10%, ანუ სახელმწიფო ერთ სტაბილურ სამუშაო ადგილის შექმნაზე მინიმუმ 8 772 ლარს ხარჯავს ," – ასკვნის ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ქეთი ფაცაცია და იქვე ერთ პრობლემატურ თემაზეც ამახვილებს ყურადღებას – „ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში კერძო ბიზნესი მაღალი ტემპით ვითარდება და, შესაბამისად, იზრდება შრომის ბაზრის მოთხოვნები პროფესიულ კადრებზე. თუმცა, პროფესიონალიზმი პრობლემაა როგორც ტექნიკურ, ისე მენეჯერულ დონეზე". მისივე აზრით, პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების მაღალ დონეზე აღორძინება მნიშვნელოვნად განავითარებდა შრომის ბაზარს. დასაქმების პროგრამების ფარგლებში კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირთა გადამზადების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ გრძელვადიანი დასაქმების საშუალებას მისცემს. აუცილებელია სწორად შეირჩეს სპეციალობები, რათა კურსდამთავრებულები ფლობდნენ ბაზრის მოთხოვნის ადეკვატურ ხელობასა და უნარებს. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განათლება ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებაა. მაგალითად, აშშ-ში სკოლაში გატარებული ყოველი წელი პირის ხელფასს მომავალში დაახლოებით 10%-ით ზრდის. შესაბამისად, რაც მეტს დახარჯავს მთავრობა განათლებაზე, მით უფრო მეტად შეუწყობს ხელს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

კვალიფიცირებული მუშახელის მტკივნეულ პრობლემას აწყდება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისია საქართველოში. იგი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID- ის დაფინანსებით, კონსულტაციისა და დასაქმების პროექტ JCP-ს ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს 7 ქალაქში (თბილისში , თელავში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში) დასაქმების ცენტრებია გახსნილი. პროექტის ფარგლებში უფასო მომსახურებას უწევენ სამუშაოს მაძიებლებს, ხოლო კერძო თუ საჯარო სამსახურებს ოპერატიულად აწვდიან ვაკანსიის მოთხოვნის შესაფერის კანდიდატთა სიას. როგორც პროექტ JCP–ის დამსაქმებელთა ურთიერთობის კოორდინატორი ხათუნა ცხადაძე აღნიშნავს, „ შვიდივე ქალაქში (6 თვეში) რეგისტრირებულია დაახლოებით 7 000 ადამიანი და უკვე დასაქმებულია, დაახლოებით, მათი 20%. თუმცა აღსანიშნავია, რომ ძალიან სერიოზული პრობლემაა დაბალი კვალიფიკაცია. ბევრია დაბალკვალიფიციური ან საერთოდ არაკვალიფიციური ადამიანი".

დაბრუნებული მიგრანტები

მიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების უმეტესობისათვის სამშობლოში დამკვიდრება, მრავალწლიანი განშორების შემდეგ, არც ისე მარტივი პროცესია. მათი სოციალური რეინტეგრაციის მიზნით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში საგანგებო პროგრამას ახორციელებს. როგორც ირკვევა , 2003 წლიდან დღემდე მათ 1 232 დაბრუნებულ მიგრანტს გაუწიეს სხვადასხვა ტიპის დახმარება, რაც ძირითადად მცირე ბიზნესის ხელშეწყობაში გამოიხატება.

ზემოაღნიშნული ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამის კოორდინატორი რუსუდან იმნაიშვილი აღნიშნავდა: „მცირე ბიზნესში ჩვენ მიერ გაწეული დახმარების გარდა, იმ 1 232 დაბრუნებულ მიგრანტთაგან 133–მა, გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტ JCP-ის ცენტრის დახმარებით, სხვა სამსახურიც იშოვა. 92 ადამიანი კი დასაქმდა კიდევ ერთი – სოციალური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში (იგი საქართველოს იმ მოქალაქეებს ეხებოდა, რომლებიც არ ჩამოსულან ევროპის ქვეყნებიდან). დაბრუნებულ მიგრანტთაგან , რომელთაც დახმარება გავუწიეთ, 20 ადამიანი კვლავ გავიდა უმეტესწილად რუსეთსა და სომხეთში (ძირითადად ეთნიკურად სომხები). 20 ადამიანთან კი დაკავშირებას ვერ ვახერხებთ".

ხშირია შემთხვევები, როცა მიგრანტები გარკვეული ფინანსური დანაზოგით ბრუნდებიან, ყიდულობენ უძრავ-მოძრავ ქონებას, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ სამუშაოდ კვლავ უკან, უცხოეთში ბრუნდებიან. მათი არგუმენტი ასეთია: სოციალური თვალსაზრისით საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა და თავის სარჩენს იქ უფრო შოულობენ. უცხოეთში მრავალწლიანი მიგრაციის პერიოდში სხვა ქვეყნის მოქალაქეობამიღებულები კი, უკვე ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობების გამოყენებით, გარკვეული პერიოდით მუშაობენ ამ ქვეყნებში, ხოლო სამშობლოში სეზონურად ჩამოდიან და საზღვრებს გარეთ გამომუშავებული ფულით ცხოვრობენ. მოკლედ, წინა წლებში ნაკლები იყო ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უცხოეთიდან წარმატებული შრომითი მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ სამშობლოში დარჩენილან. მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე გუშინ, რადგან უფრო მეტმა ვიცით, რატომ. პატრიარქის მოწოდების შემდეგ ბევრი ადამიანი გადაწყვეტს სამშობლოში დაბრუნებას. ეს ეხებათ "გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ"

ადამიანებსაც, რომლებსაც ვერაფრით დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუნდებათ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მოურეველი სურვილიც უნდა გახდეს მათთვის.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. teonaberozashvili.blogspot.com/
2. www.osgf.ge/.../EPRC_Georgian_Economic_Outlook_II,_Nov_2011_G..
3. umushevrobamsoflioshi.blogspot.com/.
4. mkitxveli.ge/?p=399
5. tamar-kebadze.blogspot.com/2010/06/blog-post_09.html
6. www.mmkk.5u.com/umushevrobisdazleva.html
7. შენგელია თ., მაკროეკონომიკური ანალიზის ონტოლოგია, თბ., 2001.
8. ხადური ნ., მაკროეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2009.

კომუნიკაციისა და მოტივაციის როლი ორგანიზაციაში

ლელა ხაჟომია, თეონა მესხი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის პროფესიული სწავლების სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თამარ ვანიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სტრუქტურულმა ძვრებმა ეკონომიკაში გამოიწვია ბიზნეს-ოპერაციების გარდაქმნის აუცილებლობა. ეს მით უფრო აქტუალურია ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, როდესაც ჯერ მხოლოდ „ფეხს ვიდგამთ“ ახალ ეკონომიკურ სისტემაში და გზას ვიკაფავთ საბაზრო ურთიერთობის რთულ ლაბირინთებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ბიზნესს ჯერ კიდევ არ შეუძენია თანამედროვე ცივილიზებული ფორმა და შინაარსი, ბევრი რამ დასახვეწია. ამიტომ ბიზნესის სფეროსათვის კადრების (მენეჯერების, ეკონომისტების, იურისტების, მარკეტერების და სხვა სპეციალისტების) მომზადება ფრიად აქტუალურია, რომლებსაც მოუწევთ მუშაობა სხვადასხვა პროფილისა და ხასიათის საწარმოში, კომპანიასა და კორპორაციაში. გარდაქმნისა და განახლებისთვის ინოვაციური მიდგომაა საჭირო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოუდგენელია ფირმების, ორგანიზაციების ფუნქციონირება მართვის ინოვაციური პროცესების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს მათ სტაბილურ განვითარებასა და პროდუქტიულობას.

სამუშაო ადგილებზე ადამიანების შესწავლას, ზოგადად, **ორგანიზაციული ქცევის კვლევას** უწოდებენ. დავიწყოთ ორგანიზაციული ქცევის ტერმინის განსაზღვრით და მოკლედ მიმოვიხილოთ მისი წარმოშობა.

ორგანიზაციული ქცევა სწავლობს იმ გავლენას, რომელსაც ორგანიზაციებში ინდივიდები, ჯგუფები და სტრუქტურები ქცევაზე ახდენენ. ორგანიზაციული ქცევის მთავარი მიზანია ამ ცოდნის გამოყენება ორგანიზაციების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. რამდენადაც ორგანიზაციული ქცევა კონკრეტულად მუშახელის დაქირავებასთან დაკავშირებული საკითხებით ინტერესდება, მისი განსაკუთრებული ინტერესის სფეროში შედის სამსახურთან, სამუშაოსთან, სამსახურის გაცდენასა და მიტოვებასთან, პროდუქტიულობასთან, ადამიანთა მიერ სამუშაოს შესრულებასა და მენეჯმენტთან დაკავშირებული ქცევა.

ორგანიზაციული ქცევა ინტერესდება ორგანიზაციაში ქცევის სამი განსაზღვრით: **ინდივიდებით, ჯგუფებითა და ორგანიზაციის სტრუქტურით.** თუმცა მეცნიერები თანხმდებიან, თუ რა თემები შეადგენს ორგანიზაციული ქცევის კვლევის საგანს, ისინი თითოეულის მნიშვნელობის შესახებ ისევ კამათობენ.

წარმოდგენილ თემაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა **კომუნიკაციისა და მოტივაციის როლი ორგანიზაციაში.**

ორგანიზაცია გულისხმობს სამუშაო პროცესის ორგანიზებას და წარმოადგენს სოციალურ ერთეულს, რომელიც შედგება ადამიანთა ჯგუფებისაგან. ორგანიზაციის კლასიკური თეორია კონცენტრირებულია ორგანიზაციის სტრუქტურაზე და ერთადერთი, რაც მას მოეთხოვება, არის ორგანიზაციის სქემის, პროცედურებისა და საკომუნიკაციო არხების შენარჩუნება.

ორგანიზაციაში წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს **ახალი ტიპის ხელმძღვანელის** ჩამოყალიბება, რომელსაც უნდა ახასიათებდეს მაღალი პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა ეკონომიკურ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საკითხებში და გააჩნდეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

ორგანიზაციაში საქმის გაძღოლისა და მართვის უნარი უნდა ჰქონდეს არა მარტო პროფესიონალთა გარკვეული ჯგუფის მენეჯერებს, არამედ ნებისმიერ ადამიანს, რადგან იგი გამოსადეგია სამუშაო ადგილზე. ყველა მენეჯერი თავის საქმიანობას სხვადასხვანაირად წარმართავს. მენეჯმენტს, როგორც ცოდნის დარგს, გააჩნია ბევრი მეცნიერული მეთოდი, რომელიც მენეჯერმა უნდა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში. თითოეულ მენეჯერს გააჩნია განსხვავებული მიდგომა და მეთოდები. აქვს მართვის განსხვავებული სტილი.

ტერმინი **მენეჯმენტი** თავდაპირველად ნიშნავდა ცხენოსნობის უნარს და მის წარმართვას. ინგლისური სიტყვა manag (მართვა) მომდინარეობს ლათინური სიტყვის ფუძიდან manus (ხელი). მოგვიანებით ეს ტერმინები აღნიშნავდნენ იარაღის ფლობის უნარსა და ოთხთვალას მართვას. დღეისათვის ზმნა „მართვა“ (to manag) განეკუთვნება პროცესს, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მიზანი. არსებითი სახელი „მართვა“ (management) შეიძლება მივაკუთვნოთ ცოდნის სფეროს, ისეთს, როგორიცაა მართვის თეორია, პრაქტიკული საქმიანობის სფერო, აგრეთვე პიროვნულსაც, რომელიც ახორციელებს მართვის პროცესს. მენეჯმენტი ხშირად გაიგივებულია მიზნის მიღწევის პროცესთან, შემსრულებელთა ძალისხმევის კოორდინაციით და სხვა პირების მეშვეობით, ასევე სხვა რესურსებითაც.

მთლიანად მენეჯმენტი განისაზღვრება, როგორც პროფესიულად განხორციელებული საქმიანობა ობიექტის ხელმძღვანელობისა და მართვის სახით, რესურსების ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე, დასახული მიზნის მისაღწევად.

ინგლისურმა სიტყვამ „მენეჯემტი“ („management“ ქართულად „მართვა“ ბიზნესის სფეროში) შეიძინა ინტერნაციონალური მნიშვნელობა. იგი გულისხმობს ადამიანთა ხელმძღვანელობას სხვადასხვა ორგანიზაციაში (ფაბრიკა-ქარხანა, სასტუმრო, უნივერმაღი, რესტორანი, კომერციული ბანკი, სადაზღვევო კომპანია, ტურისტული სააგენტო და სხვ.). მარტივად, მენეჯმენტი ნიშნავს დასახული მიზნების მიღწევის უნარს სხვა ადამიანების შრომის, ინტელექტის, ქცევის მოტივირების გამოყენების საფუძველზე. მენეჯმენტი აგრეთვე სპეციალური ცოდნის დარგია, რომელიც ეხმარება მუშაკებს, განახორციელონ მართვა, ე.ი. მართვის მეცნიერებაა.

მენეჯმენტის, როგორც მართვის მეცნიერების წარმოშობა დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს აშშ-ში. ეს განაპირობა იმ ობიექტურმა პროცესებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ქვეყნის ეკონომიკაში. წარმოების, კაპიტალის კონცენტრაციამ და კომუნიკაციის გამწვავებამ, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის, დღის წესრიგში დააყენა მეურნეობის გაძღოლის ახალი კონცეფციის მენეჯმენტის დამუშავებისა და საჭირო პერსონალის (მენეჯერების) მომზადების შესახებ.

მენეჯმენტი, როგორც მართვის ხელოვნება, ნიშნავს მართვის თეორიის, აგრეთვე, მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას, ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორც აღინიშნა, ორგანიზაციები რთული სოციალურ-ტექნიკური სისტემებია, რომელთა ფუნქციონირებაზე ზემოქმედებენ როგორც შიგა, ისე გარე გარემოს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტორები. ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის მთავარი ფაქტორი ადამიანებია, რომლის გათვალისწინება მოითხოვს არა მარტო მეცნიერულ მიდგომას, არამედ მისი გამოყენების ხელოვნებას კონკრეტულ სიტუაციებში. თითოეული მუშაკს ახასიათებს ქცევის განსაკუთრებული მანერა, გააჩნია ფასეულობებისა და შრომისადმი მოტივაციის თავისი სისტემა და ა.შ.

ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი **ბარნარდი** ორგანიზაციული ქცევის სფეროში აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციის სრულიად გაშუქებულ ნებისმიერ თეორიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს **კომუნიკაცია**. ორგანიზაციის საქმიანობის სტრუქტურა, მოცულობა და მასშტაბი თითქმის მთლიანად განისაზღვრება კომუნიკაციების საშუალებით.

კომუნიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ერთი ადგილის დამაკავშირებელ გზას. ეს ტერმინი გულისხმობს, აგრეთვე ენის საშუალებით აზრის გადაცემას, ურთიერთობას.

კომუნიკაცია აყალიბებს სოციალურ სისტემას ან ორგანიზაციის ძირითად არსს. კომუნიკაცია აცოცხლებს და სიცოცხლისუნარიანს ხდის ნებისმიერ ორგანიზაციულ სტრუქტურას, კომუნიკაციური პროცესი არის ინფორმაციის გაცვლა ორ ან მეტ ადამიანს შორის. ამ პროცესის ძირითადი მიზანია ინფორმაციის გაგების უზრუნველყოფა. იგი წარმოადგენს სოციალურ პროცესს, რომელიც მოიცავს

შეტყობინების კოდირებას, გადაცემისა და გაშიფვრის პროცესს. ეფექტური მართვისთვის აუცილებელი პირობა არის სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციის შიგნით ინფორმაციის ეფექტური მიმოქცევა მმართველობითი აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ვინაიდან ნებისმიერ ორგანიზაციას მართავს ხელმძღვანელი, აუცილებელია, რომ თვით ის იყოს ეფექტური კომუნიკატორი, სწორედ აწარმოოს დავალებების გაცემა, მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება.

ეფექტიანი კომუნიკაცია მდგომარეობს შემდეგში: ორი ინდივიდის ურთიერთქმედება გულისხმობს, რომ ისინი თითქოს ერთმანეთს ადგილს უცვლიან და ცდილობენ სამყაროს თანამოსაუბრის თვალით შეხედონ და წინასწარ გამოიტანონ რეაქცია.

მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ურთიერთობების აბსოლუტური გაკონტროლება, მაგრამ ნამდვილად შეგვიძლია მათზე ზემოქმედების ეფექტიანი გზების გამონახვა.

სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მეცნიერება არ არის; ეს ხელოვნებაა! არ არსებობს ამ ხელოვნების დაუფლების რაიმე ზუსტი და ჯადოსნური რეცეპტი.

ურთიერთობის ხელოვნება ხშირად გატკეპნილი გზით სიარულზე უარის თქმის უნარს გულისხმობს. კარგი ურთიერთობა არ ნიშნავს ხმამაღალ, ემოციურ ან გულწრფელ ლაპარაკს. ის შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული სხვებისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობის გაზრდასთან, არც ჩვენთვის სულ უფრო სასურველი მესიჯის მიღებასთან. ის მხოლოდ და მხოლოდ *უფრო მეტ ურთიერთგაგებას მოითხოვს.* კარგი ურთიერთობა ნიშნავს სამყაროს იმ ადამიანის თვალით აღქმის უნარს, ვისთანაც ასეთი ურთიერთობის დამყარება გსურთ.[1]

კომუნიკაცია გამოიყენება არა მარტო ინფორმაციის გადასაცემად, არამედ ადამიანების დასარწმუნებლად და ასევე გავლენის მოსახდენად. კომუნიკაციის პროცესების მეშვეობით მენეჯერები არწმუნებენ თანამშრომლებს ორგანიზაციის მომავლის მათეულ ხედვაში და ახდენენ მათზე ისეთ ზემოქმედებას, რომ სტიმული მისცენ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მენეჯერს შეუძლია აამაღლოს კომუნიკაციის ეფექტურობა, თუ ის გააკონტროლებს თუ რას ლაპარაკობს და გააზრებულად აირჩევს ინფორმაციის გადაცემის არხს. დარწმუნებისთვის და გავლენის მოსახდენად მენეჯერები კონტაქტს ემოციურ დონეზე ამყარებენ და ამისათვის იყენებენ სიმბოლოებს, მეტაფორებსა და გადმოცემებს.

რაც შეეხება ორგანიზაციაში მოტივაციის თეორიის დებულების პრაქტიკულ გამოყენებას, ის სტიმულირების საშუალებაა - უფრო ნაყოფიერი შრომისკენ. თანამშრომელთა მოტივაციის შესწავლა მეცნიერული მენეჯმენტის ეპოქიდან დაიწყო, ძირითადი როლი **ტეილორს** ეკუთვნის.

მოტივაციის თანამედროვე თეორია სათავეს იღებს ფსიქოლოგიისა და ადამიანური ურთიერთობების სკოლის შემქმნელებისა და მათი მიმდევრების გამოკვლევებში. ამ სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა **ელტონ მეიომ** დაადგინა, რომ მაღალი ხელფასი და საწარმოო პროცესის კარგი ორგანიზაცია ყოველთვის არ იწვევს მუშაკების შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ერთი შეხედვით ეს პარადოქსული მოვლენა უფრო ღრმად შეისწავლა **აბრაჰამ მასლოუმ,** რომელიც, საბოლოო ჯამში, მივიდა დასკვნამდე, რომ ადამიანების მოქმედებას საფუძვლად უდევს არა მატერიალური სტიმულები, არამედ სხვადასხვა სახის მოთხოვნილებები, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ ან ირიბად იქნეს დაკმაყოფილებული ფულის მეშვეობით. პირობების შექმნის პროცესი, რაც გავლენას ახდენს ადამიანის მოთხოვნილებებზე და საშუალებას აძლევს მას წარმართოს იგი (ე.ი. თავისი მოთხოვნილებები) ორგანიზაციისათვის საჭირო მიმართულებით, დაინტერესოს მუშაკი აქტიურ და კეთილსინდისიერ შრომაში, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მოწოდებაში და სხვა. ყოველივე ამან მიიღო **„მოტივაციის“** სახელწოდება.

ტერმინი **„მოტივაცია“** წარმოდგება ფრანგული „მოტივი“-სგან, **მოტივები** (ფრანგ. Motif-მიზეზი), იძულებითი მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნების მოქმედებისა და საქმიანობის არჩევანს, მამოძრავებელი მიზეზი, ამა თუ იმ მოქმედების საბაბი. მოტივები შეიძლება იყოს შინაგანი, წარმოშობილი ადამიანის გარკვეული დამოკიდებულებით თავის საქმიანობისადმი; აგრეთვე არსებობს გარეგანი მოტივებიც, რაც დაკავშირებულია მასზე გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებასთან, რომლებიც არსებობენ მისგან დამოუკიდებლად და რომლებიც მოქმედებაში მოდიან სხვა ადამიანებისა და გარემოებების მიერ.

მოტივაციის საფუძველია **სტიმული** (ლათ. Stimulus წვერწამახვილებული ჯოხი, რომლითაც ძველ რომში ცხოველებს ირეკებოდნენ) წარმოადგენს პიროვნებაზე გარე ზემოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს მოტივების წარმოშობას. სტიმულირება ნიშნავს სტიმულების სისტემის გამოყენების პროცესს და მოტივების წარმოქმნას, რომელიც მუშაკში აღძრავს პირადი ანდა ჯგუფური მიზნების მიღწევის სურვილს. მოტივაცია უნდა განვასხვავოთ სტიმულირებისაგან, რომელიც იქმნება არა შრომისადმი შინაგან განწყობის ხარჯზე (მოთხოვნა პიროვნული პოტენციალის რეალიზაციისადმი), არამედ მუშაკის

[1] შელია მ., ვასაძე მ., კობიაშვილი მ., ხომერიკი გ., ,,მომსახურების ხელოვნება'', თბ., 2008.

ქცევაზე გარე ზემოქმედების შედეგად (პრემიები, დანამატები, შეღავათები და ა.შ.). სტიმულები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური. მოტივაციის ფუნქციის განხორციელება დაკავშირებულია პერსონალის სტიმულირებასთან. დაქირავებულები, რომლებიც გრძნობენ, რომ თავისივე კონტროლისა და თავისუფალი არჩევანის ქვეშ შეუძლიათ ქმედება, სამუშაოს შესრულებისთვის უფრო დიდი მოტივაცია აქვთ და დამქირავებლის ერთგულები არიან.

დავსვათ შეკითხვა - ვინ არის მენეჯერი და რას აკეთებს იგი? თუ დავაკვირდებით მენეჯერის საქმიანობას, ვნახავთ, რომ იგი მონაწილეობას იღებს მიზნის განსაზღვრაში, ადგენს მოქმედების გეგმას მის მისაღწევად გზების შემუშავებაში, იმ რესურსების მოზიდვაში, რაც აუცილებელია ამ მიზნის რეალიზაციისთვის და ბოლოს, აკონტროლებს მთელ მუშაობას.

თითოეული ადამიანი მეტ-ნაკლებად რაღაცის მენეჯერია. თითოეული პიროვნება პასუხისმგებელია საკუთარი მეურნეობის, საკუთარი ბიუჯეტის, საკუთარი ცხოვრების და ბედის მართვის. ნებისმიერი ადამიანი ქმნის საკუთარი ცხოვრების მართვის გეგმას, ისევე, როგორც ბიზნესში, ორგანიზებას უწევს რესურსების მოზიდვას მიზნის განხორციელებისთვის, შეფასებას აძლევს შედეგებსა და წარმატებებს.

მიზანი მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რათა ყველა თანამშრომელმა შეძლოს მისი დამახსოვრება და შეძლოს მისი განხორციელება. არ არის აუცილებელი, რომ მიზანი სამუდამო იყოს. ისევე, როგორც ორგანიზაცია იცვლის მიმართულებას, იცვლება საბაზრო და ეკონომიკური პირობები, იცვლება მიზნებიც. თუ მიზნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ თქვენი თანამშრომლები, ისინი უფრო მეტად ეცდებიან ამ მიზნის მიღწევას. მონაწილეობა ერთგულებას ნიშნავს. ეს წლების განმავლობაში გამოიკვეთა და იგივეს ადასტურებს უამრავი გამოკვლევა.

მიზანი უნდა იყოს ამბიციური, გამომწვევი, მაგრამ რეალური. თუ მიზნის მიღწევა შეუძლებლად მიაჩნიათ თანამშრომლებს, თავიდანვე დაკარგავენ ისინი მოტივაციას, ხოლო მარტივი მიზნის დასახვა, რომელსაც ორგანიზაცია ძალისხმევის გარეშე მიაღწევს, მოადუნებს თანამშრომლებს. საჭიროა თითოეული ადამიანი თვლიდეს, რომ ეს მიზანი მას ეკუთვნის, ამიტომ ის ჩართული უნდა იყოს მიზნის ფორმირების პროცესში. ამის მრავალი გზა არსებობს. დიდ ორგანიზაციებში საჭიროა ელექტრონული გამოკითხვის ჩატარება, მცირე ჯგუფის ფორმირება და მათ მიერ ვარიანტების მომზადება, სადაც მენეჯმენტი გაიტანს რამდენიმე ალტერნატივას და ყველა ერთად შეარჩევს და დახვეწს საუკეთესოს. მიზანი არ უნდა დარჩეს მხოლოდ დოკუმენტში, ის უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ორგანიზაციის თითოეულმა თანამშრომელმა უნდა გაითავისოს ის, ამისთვის კი საჭიროა ძალისხმევა მენეჯმენტის მხრიდან. უპირველეს ყოვლისა მიზნის ჩამოყალიბებისთანავე უნდა მოხდეს მისი კომუნიკაცია ყველასთან. ამისათვის შეიძლება ჩატარდეს დიდი პრეზენტაცია, რაიმე ღონისძიება ან ინდივიდუალური ღონისძიებები დივიზიონებთან. ყველაზე მთავარია კომუნიკაცია მოხდეს პირადად და არა ელექტრონული და სხვა დისტანციური საშუალებებით.

თითოეული რგოლი, პოზიცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიზნის მიღწევაში, თითო აგურს დებს ორგანიზაციის შენებაში და აუცილებელია მათ ეს კარგად ესმოდეთ და იცოდნენ, რომ ორგანიზაცია აფასებს და ხედავს ამ ყველაფერს. თანამშრომლები უნდა გრძნობდნენ, რომ ორგანიზაციის წარმატება მათზე აისახება და მათ კეთილდღეობაზე მოახდენს გავლენას. ამის მისაღწევად ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მეთოდია ბონუსის მიბმა საბოლოო შედეგებზე.

- მიზნის მიღწევის შემთხვევაში ყველა მიიღებს ხელფასის რაღაც პროცენტს ბონუსად, თუმცა ეს ერთჯერადია და შეიძლება საკმარისი მოტივაცია ვერ გამოიჩინოს თანამშრომლებში.
- მეორე ვარიანტი, ყველა თანამშრომელს გაეზარდოს ხელფასი მიზნის მიღწევაში, ეს გაცილებით სამართლიანი იქნება მათთან მიმართებაში. ასევე თანამშრომლების მოტივაციაზე გავლენას ახდენს მოულოდნელი წახალისებები. მაგ.: რომელიმე თვეში ძალიან მაღალი შედეგების შემთხვევაში ყველას მიეცეს ბონუსი განსაკუთრებული იდეების მოფიქრების ან ძალისხმევის გამოჩენისათვის.
- გადაეცეს მადლობის წერილი კონკრეტულ თანამშრომლებს, მენეჯერი შეხვდეს სხვადასხვა დივიზიონებს და გადაუხადოს მადლობა პირადად. მოტივაციები დაეხმარება თანამშრომლებს შეინარჩუნონ ხალისი წლის მანძილზე და დარჩნენ ბოლომდე მოტივირებულები, რა თქმა უნდა, მხოლოდ თანამშრომლების მოტივაცია არ იქნება საკმარისი. მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება მათ შესაბამისი პირობები შევუქმნათ. მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი იმისთვის, რომ იმუშაონ მეტი, დავეხმაროთ ამოცანების გადაჭრაში, მივცეთ რჩევები და სხვ.

ლიტერატურა:

1. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი, ორგანიზაციული კულტურა, თბ., 2009.
2. მარგალიტაძე ი., ,, მენეჯერის უნარ-ჩვევები'', თბ., 2009.
3. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., „მენეჯმენტის პრინციპები“, თბ., 2010.

4. შუბლაძე გ., მრეგრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ., 2008.
5. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ., 2010.
6. ზუმბულიძე ო., „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ., 2008.
7. შელია მ., ვასაძე მ., კობიაშვილი მ., ხომერიკი გ., ,,მომსახურების ხელოვნება'', თბ., 2008.
8. http://blogger.ge/post/3835
9. http://www.aura.ge

აქტიური ინვესტირება ანუ როგორ შევარჩიოთ მომგებიანი ფასიანი ქაღალდები

თამარ ხმიადაშვილი, თეონა რუსიტაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ინვესტირება – ეს არის თავისუფალი საინვესტიციო რესურსების (ყველა სახის ფულადი, მატერიალური და სხვა სახსრების) ამა თუ იმ ობიექტში დაბანდება გრძელვადიანი მიზნების რეალიზებისათვის მოგებისა და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით, რომელიც დიდ ფინანსურ რისკებთან და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებასთანაა დაკავშირებული. არსებობს სხვადასხვა სახის ინვესტიციები, თუმცა ყველა შემთხვევაში მიზანი ყოველთვის ერთია - მაქსიმალური მოგების მიღება. განვიხილოთ ინვესტიცია, რომელიც ჩადებულია ფასიანი ქაღალდების შეძენაში.

თუ ინვესტიცია წარუმატებლადაა ჩადებული აქციების შეძენის პროცესში ინვესტორის მოლოდინი ამ აქციებიდან შემოსავლის მიღებაზე სრული იმედგაცრუებით შეიძლება დამთავრდეს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა აქტიური ინვესტირების მეთოდის გამოყენება, თუმცა ისინი ინვესტორისგან მოითხოვენ გარკვეულ კლასიფიკაციას და გამოყოფილ რამდენიმე ათეულ საათს, რათა თვალყური ადევნოს მან ბაზარზე სიტუაციას, შეარჩიოს აქციები თავისი პორტფელისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, დააფიქსიროს მომგებიანი და წამგებიანი გარიგებები.

აქციები და ობლიგაციები ინვესტორის ძირითადი ინსტრუმენტებია.

აქცია ისეთი წილობრივი ფასიანი ქაღალდია, რომელიც მის მყიდველს კომპანიის კაპიტალში მონაწილეობის უფლებას აძლევს. აქცია იძლევა მოგებას დივიდენდის სახით. აქციებში წარმატებული ინვესტიციები მოითხოვს ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ტექნიკური ანალიზის კარგ ცოდნას, ასევე სავაჭრო სისტემებთან მუშაობის ცოდნას.

აქცია წარმოადგენს ნებისმიერი ინვესტორისთვის ფინანსური კაპიტალის ინვესტირების საუკეთესო საშუალებას. აქციებს გააჩნიათ შესანიშნავი თვისება: თუ კომპანია იზრდება და მომგებიანია, მისი აქციების ფასი მნიშვნელოვნად იზრდება. აქციებში ინვესტირება წარმოადგენს ფინანსების საკუთარი ინტერესებით მუშაობას დროის მცირე დანახარჯებით. სხვისი მომგებიანი ბიზნესი საკუთარი კაპიტალის მატების საშუალებაა. მეტი წილი ხალხისთვის არის შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა მომგებიან ბიზნესში და გაზარდოს კაპიტალი.

ობლიგაცია საემისიო ფასიანი ქაღალდია, რომელიც ამტკიცებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს ემიტენტისგან განსაზღვრულ დროში მისი ნომინალური ღირებულება ან სხვა ქონებრივი ექვივალენტი.

ობლიგაცია შეიძლება ითვალისწინებდეს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს ნომინალური ღირებულების ფიქსირებული პროცენტი ან სხვა ქონებრივი უფლებები. ობლიგაციისგან შემოსავალს წარმოადგენს პროცენტი ან დისკონტი, ხოლო რაც შეეხება ობლიგაციებს, მასში წარმატებული ინვესტიციები მოითხოვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის და სავაჭრო სისტემებთან მუშაობის მინიმალურ ცოდნას.

მრავალი აქცია მიმოქცევაშია არასაბირჟო ბაზარზე, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული სისტემის საშუალებით ყიდვა-გაყიდვის საკუთარი ფასის განმცხადებელ დილერთა ელექტრონულ ქსელს, რომელსაც ეწოდება **ფასიანი ქაღალდების დილერთა ნაციონალური ასოციაცია კოტირებათა ავტომატიზირებულ სისტემაში.** პრაქტიკულად ყველა გარიგება ხორციელდება ინტერნეტ-

ტერმინალების საშუალებით, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს, სადაც ხორციელდება ბირჟებზე დაკვირვება და ყიდვა-გაყიდვისთვის გარიგებების ფორმირება.

ინდივიდუალურ ინვესტორს, როგორც პროფესიონალს შეუძლია კომპიუტერის მონიტორზე დაინახოს მთელი საფონდო ბაზარი. ყველა აუცილებელი ინფორმაციის ტრანსლირება ხდება რეალური დროის რეჟიმში, რათა ინვესტორმა შეაფასოს სიტუაცია ბაზარზე და მიიღოს საინვესტიციო გადაწყვეტილება. ბირჟაზე შეკვეთის განხორციელება ხორციელდება მყისიერად.

ბირჟაზე მოხვედრის საშუალებას იძლევა ბირჟის პროფესიონალი მონაწილე - ბროკერი, საინვესტიციო კომპანია, რომელსაც გააჩნია საბროკერო ლიცენზია და აკრედიტებულია ბირჟაზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ ბროკერი აძლევს კლიენტს პროგრამას - სავაჭრო ტერმინალს და აერთებს მას საბირჟო ვაჭრობასთან.

გარიგების განხორციელება შეიძლება ინტერნეტის გარეშეც - ბროკერზე შეკვეთის გადაცემა ტელეფონის საშუალებით. ინტერნეტის საშუალებით მუშაობას დიდი უპირატესობა აქვს. ეს არის ინვესტორის მყისი რეაქცია საბირჟო მოვლენებზე, ბაზრის ონლაინ ანალიზი, ინფორმაციის მისაწვდომობა, გრაფიკების და საბირჟო მონაცემების გამოყენება ტექნიკური ანალიზისთვის. ამომწურავი საბირჟო ინფორმაცია იმყოფება ინვესტორის თვალწინ.

აქციათა შესყიდვა საკმაოდ სარისკო საქმეა. უხეირო ინვესტორი, რომელსაც ემუქრებოდა აქციების ყიდვა უმაღლეს ფასად, ხოლო გაყიდვა უმდაბლეს ფასად, დაკარგავდა დაბანდებული სახსრების 40%-ს.

როგორ შევარჩიოთ აქციები?

ამისათვის საჭირო იქნება ჩავიხედოთ კომპანიის ანგარიშებში ან ვისარგებლოთ სერვისებით, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას კომპანიის ფინანსურ შესაძლებლობებზე. პირველი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება, არის ყოველ აქციაზე მიმდინარე კვარტალური მოგება. კომპანიებმა, რომლებიც უნდა შეარჩიოს ინვესტორმა, უნდა აჩვენონ ერთ აქციაზე მიმდინარე კვარტალური მოგების მნიშვნელოვანი პროცენტული ზრდა გასულ წელთან შედარებით. ლიდერი კომპანიების მოგების ზრდა უნდა იყოს არანაკლებ 70%–ისა, ასეთი მოგების ჩვენება ბირჟაზე შეუძლია ემიტენტების არაუმეტეს 25%–ისა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ჩქარდება ლიდერ–კომპანიების მოგების დონის ზრდა. ასევე აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ მოგების ზრდას თან ახლავს გაყიდვების მოცულობის ზრდაც. როგორც წესი, კვარტალში არანაკლებ 25%–ისა. თუ რამდენიმე კვარტლის განმავლობაში აღინიშნება მოგების ზრდის შემცირება, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კომპანიას სერიოზული პრობლემები აქვს.

შერჩევის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და კრიტერიუმია მოგების ყოველწლიური მატება. არ ღირს კომპანიის სააქციო კაპიტალის ზრდის ციკლების იგნორირებაც. კომპანიის მოგების სტაბილურობის მოთხოვნის გამოყენებით შესაძლებელი გახდება აქციების პერსპექტიულობის გამორჩევა.

ცნობილმა ანალიტიკოსმა უილიან ჯ. ნილმა შეიმუშავა კომპანიის შეფასების რეიტინგული სისტემა, რომელიც გამოიყენება ჯგუფში საუკეთესო აქციების გამოსავლენად. ყველაზე მაღალი რეიტინგი ნიშნავს, რომ ერთ წელიწადში აქციამ ბაზარზე ყველა სხვა აქციის ფასს გაუსწრო.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საუკეთესო აქციების ფასი გაიზარდოს 90%–ით ან უფრო მეტით. ინვესტორები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ უფრო იაფი აქციების ყიდვას, რისკავენ ხელიდან გაუშვან მომავლისთვის უფრო პერსპექტიული აქციები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ კომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელი მსხვილი ორგანიზაციებია (მაგალითად: ბანკები, საინვესტიციო საფონდო ბირჟები, კორპორაციები), მათ გააჩნიათ ქმედითი ფინანსური რესურსები და შესწევთ უნარი კომპანია ფინანსური კრიზისისგან იხსნან, ასეთი კომპანიის აქციების შეძენაც საკმაოდ პერსპექტიული და სტაბილურია.

კომპანიის მონაცემების შესწავლის მიხედვით, აქციების შეფასებისა და შერჩევის შემდეგ, საჭიროა აქციების გრაფიკის ანალიზზე გადასვლა. ინვესტორმა უნდა მოძებნოს ისეთი აქციები, რომლებიც გამოდიან კრიზისის ზონიდან და უახლოვდებიან ფასების მაქსიმუმებს ან არღვევენ მათ. ჩვენ შეიძლება სწორად შევარჩიოთ აქციები, მაგრამ თუ ბაზარი დაიწყებს კლებას, მაშინ 4–დან 3 აქცია წამგებიანი იქნება. ამისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბაზრის მდგომარეობის შეფასება, ხოლო ამის გაკეთების საუკეთესო საშუალებაა მისი მოძრაობის თვალყურის დევნება ძირითადი საფონდო ინდექსის გრაფიკის, ფასების გრაფიკისა და მოცულობის მიხედვით.

მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ კომპანია, რომლის აქციების ყიდვასაც ვაპირებთ, შედიოდეს ეკონომიკის საუკეთესო დარგებში და წარმოადგენდეს ერთ-ერთ საუკეთესოს მოგების ზრდის ტემპებითა და გაყიდვების მოცულობით, კაპიტალზე მოგებით, მოგების ოდენობითა და პროდუქტის ხარისხით.

ფრთხილად მოეკიდეთ იაფფასიან აქციებს და შეისყიდეთ მხოლოდ შემდეგ ფასიან დიაპაზონებში მყოფი აქციები: NASDAQ-სათვის 15-დან 300 დოლარამდე, NYSE (New York Stock Exchange)-თვის 20-დან 300 დოლარამდე.

განიხილეთ ყოველკვირეული და ყოველდღიური გრაფიკები სწორი ბაზებისა და შესვლის წერტილების საპოვნელად.

იყიდეთ ისეთი კომპანიის აქციები, რომელიც სთავაზობს საუკეთესო პროდუქტს, სარგებლობს ბაზარზე მაღალი მოთხოვნილებითა და განვითარების პოტენციალით. ეძიეთ ისეთი კომპანიები, რომელთა აქციებსაც მათი უმაღლესი ხელმძღვანელობა ფლობს.

ლიტერატურა:
1. ქოქიაური ლ., ინვესტიციების თეორიული გენეზისი, წიგნი I, 2007.
2. გიტმანი ლ., ჯონკი მ., ბირმანი ჰ., შმიდტი ს., ინვესტირების საფუძვლები, თბ., 2001.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://somatoza.com/aqciebi
2. http://www.lari.ge/19-investicia/55-aqtiuri-investireba-rogor-avarchiot-aqciebi-.html#.Ubw-IeeOQtU
3. http://www.rogor.ge/article_595_rogor-xdeba-aqciebit-vachroba.h
4. http://somatoza.com/aqciebi/page20150/--20154/

FACEBOOK პარალელურ სამყაროში

ანიკო ჯანგიშერაშვილი, ნინო ტერტერაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

2004 წლის ერთ თავისუფალ დღეს ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მარკ ცუკერბერგმა უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა გატეხა და სტუდენტების შესახებ სრული ინფორმაცია მოიპოვა. FACEBOOK- ასე ერქვა მონაცემთა ბაზას. ჩანასახიც გაჩნდა.

2004 წლის 4 თებერვალს მსოფლიო ქსელში "დიდი ამოფრქვევა" მოხდა, რომელიც წინ უძღვოდა იმ მოვლენას, რომელსაც "დიდი აფეთქება" და პარალელური სამყაროს წარმოშობა ჰქვია.

Microsoft-ი მზად იყო ახალ პროდუქტში ცუკერბერგისთვის 2 მილიონი დოლარი გადაეხადა, ეს "ახალგაზრდა ტვინი" კი თავის კომპანიაში სამუშაოდ მიეწვია. მარკმა უარი განუცხადა და ჰარვარდის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

რამდენიმე თვეში საიტი იმაზე პოპულარული გახდა, ვიდრე მარკი მოელოდა. მასში უკვე მილიონი ადამიანი გაწევრდა. ცუკერბერგმა სწავლა მიატოვა და შექმნილი პროდუქტის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ბიზნეს-ინტერესებით კალიფორნიას, ინოვაციური კომპანიების სამშობლოს მიაშურა.

ერთმა ბიზნესმენმა მოლაპარაკებიდან ოთხიოდე საათში ებრაელი ახალგაზრდას პროექტში მილიონიანი ინვესტიცია ჩადო. მარკმა თანხა გონივრულად გაანაწილა, ასე რომ, მცირეოდენ ხანში FACEBOOK-ის მომხმარებელთა რიცხვმაც კიდევ უფრო იმატა.

რამდენიმე თვე და საიტში 12-მილიონიანი ინვესტიციაც განხორციელდა. ზუსტად ერთ წელიწადში ამ ინტერნეტ მახეში ხუთი მილიონი ადამიანი საკუთარი სურვილით გაიხლართა. მალე FACEBOOK-მა ნოვაცია დანერგა - გაიხსნა სერვისი პროფესიული საზოგადოებისთვის. საიტის პირველი კლიენტები კი "მაკდონალდსი" და "ცეერუ" გახდნენ. დღეს ეს ქსელი არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობას, ბიზნეს ინტერესებსაც ემსახურება.

დღეს FACEBOOK-ის ინტერნეტ ხლართებში ნახევარი მილიარდი ადამიანია გაბმული. საიტის მომხმარებელთა რიცხვი კი დღითიდღე იზრდება. ასე რომ, FACEBOOK-ი ქვეყანა რომ ყოფილიყო, ძალიან მალე ჩინეთსა და ინდოეთსაც კი გაუსწრებდა მოსახლეობის კოლოსალური რაოდენობით.

21-ე საუკუნეში, ცხოვრება ინტერნეტის გარეშე ყველა ჩვენგანისათვის წარმოუდგენელია. უახლოეს ტექნოლოგიებს ძალიან ბევრი დადებითი თვისება გააჩნიათ, ისინი გვეხმარებიან ნებისმიერი საქმის

უფრო სწრაფად განხორციელებაში. სოციალური ქსელების მეშვეობით ვეკონტაქტებით მეგობრებს, ახლობლებს, ასევე უამრავი კერძო თუ სახელმწიფო კომპანია აკეთებს რეკლამას, ავრცელებს სიახლეებს, რომელიც უამრავი ადამიანის ყურადღების ქვეშ ექცევა.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერნეტსა და კომპიუტერს დიდი ზიანის მოტანაც შეუძლიათ და ბევრ პრობლემას იწვევს, ეს ბოლო წლებში უფრო თვალსაჩინო გახდა. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ძალზე აქტუალურია, სოციალური ქსელების გავლენაა საზოგადოებაზე.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ზოგიერთი ოჯახი სწორედ სოციალური ქსელების საშუალებითაც დანგრეულა. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში განქორწინებების 20%, სწორედ სოციალურ ქსელ Facebook–ს უკავშირდება. ამ ინფორმაციას The Daily Mail წერს იმ იურიდიულ კომპანიებზე დაყრდნობით, რომლებიც განქორწინების საქმეებზე მუშაობენ.

თავდაპირველი საჯარო შეთავაზების მიხედვით Facebook-ი ყველაზე ძვირადღირებულ ინტერნეტ კომპანიაა. აქამდე ყველაზე ძვირადღირებული Google-ის საწყისი შეთავაზება 2004 წელს 23 მილიარდი დოლარი იყო.

2012 წელს Facebook-მა ბიჟაზე 421,2 მლნ აქცია განათავსა, თითო 38 აშშ დოლარად. Facebook-ის დებიუტი ბირჟაზე არცთუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. პირველ დღეს უმსხვილესი სოციალური ქსელის აქციების ფასი მხოლოდ 23 ცენტით გაიზარდა და 38,23 დოლარი შეადგინა. აქციების ფასმა შემდეგ ვაჭრობებზე ვარდნა დაიწყო და 22 მაისის ვაჭრობაზე 31 დოლარამდე დაეცა. 23 მაისს კი, IPO -ს შემდეგ პირველად, Facebook-ის აქციების ფასი 3,2%-ით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ წარუმატებელი დებიუტის გამო Facebook-ს ახალი აქციონერები უკვე უჩივიან. კალიფორნიის სასამართლოში ორი სარჩელია შესული. სოციალური ქსელის ახალბედა აქციონერები IPO-ს ანდერრაიტერ ბანკებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებენ. 2012 წლის 3 აგვისტოს Nasdaq-ის აუქციონზე გატანილი Facebook-ის აქციების ფასმა პირველად $20–ზე დაბლა დაიწია. სოციალური ქსელი ბირჟაზე 2012 წლის მაისში გამოვიდა. აქციების განთავსების ფასმა 38 დოლარი შეადგინა. ვაჭრობის პირველ დღეს აქციების ღირებულება გაიზარდა, თუმცა მას შემდეგ მუდმივად მცირდება. დღეს facebook-ის აქციების ფასი 23 დოლარს შეადგენს.

მომხმარებელთა უმეტესობას ჰგონია, რომ Facebook-ი არის მხოლოდ გასართობი, სოციალური ქსელი. და ბევრმა არ იცის, რომ ეს არის შესანიშნავი ინსტრუმენტი ბიზნესის განვითარებისთვის და არა აქვს მნიშვნელობა ბიზნესის სიდიდეს; Facebook-ს შეუძლია უზომოდ გაზარდოს თქვენი ონლაინ რეპუტაცია, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს შესანიშნავ პლატფორმას თქვენი ბიზნესის გაფართოებისათვის.

„Harvard Business Review“- მ გამოაქვეყნა კვლევა, რომელის თანახმადაც „Facebook Fan Page“-ი *(facebook გვერდი)* არის ძალზე ეფექტური მექანიზმი გაყიდვების ზრდისა და ბრენდის ნდობის მოპოვებისათვის.

ბევრი ბიზნესის მეპატრონე მიიჩნევს, რომ თუკი მათ აქვთ ვებსაიტი, „facebook გვერდი“-ის შექმნა და მართვა *(დამატებითი დროის ხარჯვა)* აღარ არის საჭირო, თუმცა ეს ასე არ არის. „Facebook გვერდი“ არ არის ვებსაიტის შემცვლელი, იგი არის შესანიშნავი შუამავალი კლიენტების ბიზნესთან დასაკავშირებლად, ხოლო ვებსაიტი, როგორც წესი, არის მხოლოდ ცალმხრივი კავშირი ბიზნესთან. სინამდვილეში, „facebook გვერდი“-ის მთავარი დანიშნულებაა შედგეს დიალოგი ბიზნესსა და მომხმარებელს შორის.

გთავაზობთ რამდენიმე ძალზე ეფექტურ საშუალებებს Facebook-ში ონლაინ რეპუტაციის, გაყიდვებისა და პოპულარობის გასაუმჯობესებლად:

პირადი პროფილის ბიზნეს მიზნებით გამოყენების შემთხვევები ბევრი ყოფილა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ Facebook-ს არაერთხელ გაუუქმებია ასეთი ანგარიში. ანუ პირადი პროფილის ბიზნეს მიზნებით გამოყენება რისკია და თქვენ მთელი თქვენი ანგარიშით და შიგთავსით და ონლაინ Goodwill-ით რისკავთ.

რეკლამა Facebook-ში ეს არის შესანიშნავი და იაფი გზა გახვიდეთ დიდი რაოდენობით ზუსტად თქვენთვის სასურველ კლიენტებზე. რეკლამის შექმნა უმარტივესი პროცესია, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშიროთ პირდაპირ თქვენს ბიზენსს, ვებსაიტს ან Facebook გვერდს. ამისათვის თქვენ დაგჭირდებათ შეურჩიოთ 25 სიმბოლიანი სათაური, სურათი და 135 სიმბოლოიანი სარეკლამო ეფექტური ტექსტი; დააკონკრეტოთ თქვენი დღიური ბიუჯეტი და დაგეგმოთ მაქსიმალური ფულადი განაკვეთი ერთ რეკლამაზე.

My Business BlinkWeb ამ აპლიკაციის საშუალებით შექმნით ვიჯეტს (widget) რომელიც რეკლამირებას უკეთებს თქვენს ბიზნესს და სხვა მომხმარებელს აძლევს თავის პროფილში ამ ვიჯეტის ინტეგრირების საშუალებას, რაც თქვენს მეგობრებს, კლიენტებსა და ნაცნობებს აქცევს თქვენს სარეკლამო აგენტებად.

Facebook Marketplace არის უბრალო და გენიალური გამოგონება, რომელიც პირდაპირ ზედგამოჭრილია ქართული საზოგადოებისათვის. ეს არის ინტეგრირებული პორტალი, რომელიც გვაძლევს საშუალებას ონლაინ რეჟიმში ნებისმიერმა ადამიანმა ან ბიზნესის წარმომადგენელმა განათავსოს განცხადება ამა თუ იმ პროდუქტის გაყიდვის, გაქირავების და თქვენ წარმოიდგინეთ სამუშაოს შესახებადაც კი. სერვისი უფასოა და შედარებით ახალი დანერგილი, იგი არ იძლევა ონალინ გადახდის საშუალებას, უბრალოდ განათავსებთ განცხადებას და მყიდველი დაგიკავშირდებათ.

უნდა ითქვას, რომ Facebook მთავარი სარეკლამო სივრცეა. სოციალური ქსელის საშუალებით ინტერნეტ-მომხმარებლებმა ბოლო სამი თვის განმავლობაში 1 ტრილიონი სარეკლამო ბანერი იხილა, ხოლო ინტერნეტ-რეკლამის მოგებამ ამ დროისთვის 2,7 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. Facebook-მა სარეკლამო ბიზნესში ისეთი პოპულარული კომპანიები ჩამოიტოვა, როგორებიცაა Yahoo, Microsoft, Fox Interactive Media, Google და eBay. უნდა ითქვას, რომ სოციალური ქსელის გამოყენება სარეკლამო საქმიანობისთვის საკმაოდ დიდ ეფექტს იძლევა. ეს არის უნიკალური შანსი სოციალურად აქტიურ და ეკონომიკურად უზრუნველყოფილ, ზრდასრულ აუდიტორიას შესთავაზოთ თქვენი პროდუქცია ან მომსახურება; აირჩიოთ მიზნობრივი აუდიტორია სქესის, ასაკის, განათლების, პროფესიის და სხვა დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით. გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სარეკლამო ბიუჯეტის დაზოგვა და კონტროლი.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://www.forum.ali.ge/index.php?/topic/863-facebook-ის-შექმნის-ისტორია
2. http://www.kvirispalitra.ge/specialurad-saitistvis/5330-facebook-.html
3. http://www.ireporter.ge/სოციალური-ქსელების-გავლე/
4. http://irinachochua.wordpress.com/2011/05/20/რეკლამა-და-სოციალური-ქსე/

მწვანე ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები

მარიამ ჯღირაძე, ნათია ილურიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, რამეთუ ის არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. მწვანე ეკონომიკა ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

,,მწვანე ეკონომიკის" კონცეფცია საკმაოდ ფართოა, ამასთანავე შედარებით ახალია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისთვის. ტერმინის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი.

,,მწვანე ეკონომიკისა" და ,,მწვანე ბიზნესის" ცნებები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მწვანე ბიზნესი მნიშვნელოვანი ელემენტია მწვანე ეკონომიკის მისაღწევად. ბუნებრივია, რომ ბიზნესი ნებისმიერი ეკონომიკისა და მწვანე ზრდის ხერხემალს წარმოადგენს - საბოლოო ჯამში მწვანე ეკონომიკას შესაძლოა მივაღწიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი პასუხობს ამ მოთხოვნებს.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას. მრავალი სპეციალისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

1. განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია);
2. მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მენეჯმენტი (წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენების მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყის განაშენიანება).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის ფარგლებში 2008 წელს შეიქმნა მწვანე ეკონომიკის ინიციატივა, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. მათი ერთობლივი მიზანი მწვანე სექტორში მიმდინარე საინვესტიციო და რეფორმების პოლიტიკის მაკროეკონომიკური ანალიზია.

მოცემული ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე სახის საქმიანობა, კერძოდ:

1. მწვანე ეკონომიკის ანგარიშის მომზადება, სადაც გაანალიზებული იქნება მწვანე სექტორში ჩადებული ინვესტიციების შედეგების გავლენა მაკროეკონომიკას, მდგრად განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე;
2. საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება მწვანე ეკონომიკის ცალკეული კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით;
3. სამიზნე კვლევების ჩატარების მიზნით მრავალი მხარის ჩართულობის უზრუნველყოფა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესისა და ნებისმიერი დაინტერესებული პარტნიორობისა.

ეკონომიკის გამწვანება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკურ გაჯანსაღებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური უთანასწორობისა და გარემოს გამოწვევების აღმოფხვრას. მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში. აუცილებელია ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. მარტო კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი 300 პროცენტით გაზარდა. ჩინეთში სუფთა ენერგიის დასაფინანსებლად 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო. შესაბამისად, ჩინეთმა წინ გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერგოტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩადებული ინვესტიციების მოცულობით დიდი ბრიტანეთი მესამე ადგილზე აღმოჩნდა, შემდეგ - ესპანეთი და ბრაზილიაა. როგორც მიმდინარე ტენდენციები უჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ.

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის მაგალითს, სადაც ,,მწვანე ეკონომიკა'' წარმატებით განხორციელდა:

განახლებადი ენერგია ჩინეთში. ჩინეთში წარმატებულად ხორციელდება განახლებადი ენერგიის წყაროების მოძიება. ამ სფეროში მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციები იქნა მიმართული. გეგმის თანახმად, ჩინეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ 2020 წლისათვის ძირითადი ენერგიის დაახლოებით 16%-ს სწორედ რომ განახლებადი წყაროები აწარმოებენ.

ორგანული სოფლის მეურნეობა უგანდაში. უგანდაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანული ფერმერული მეურნეობით ჩანაცვლების მიზნით, რაც ძალზე მომგებიანია როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსათვის. უარყოფილია ისეთი სინთეტიკური მასალების გამოყენება, როგორიცაა შხამ-ქიმიკატები, პესტიციდები და სასუქი. უგანდა ასევე ყველაზე მცირე რაოდენობის სასუქს მოიხმარს მსოფლიოში.

ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა ინდოეთში. ინდოეთის ურბანული განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაუმჯობესებაზე.

ტყეების მართვა ნეპალში. აღსანიშნავია, რომ ნეპალის ტერიტორიის (ხმელეთის) დაახლოებით 40%-ს ტყეები მოიცავს. ქვეყანაში შექმნილია სატყეო მეურნეობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც მართავს და თვალყურს ადევნებს სატყეო რესურსებს.

ორგანული მეურნეობა კუბაში. აშშ-სა და კუბას შორის არსებული ემბარგოს შედეგად კუბაში ნავთობის, პესტიციდებისა და სასუქის ნაკლებობაა. ამიტომაც მეურნეობები თავად ზრუნავენ საკუთარ

პროდუქციაზე. აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების გამო ისინი ბევრად უფრო ,,მწვანე მეურნეობას'' ახორციელებენ.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს: განახლებად ენერგიაზე გადასვლა; მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა; მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა; ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ნათელია, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც ნამდვილად მივყავართ სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისკენ. სუფთა ენერგიის გეგმის შემუშავებისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა. როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროსაც კი მწვანე სექტორში სამუშაო ადგილები იქმნება.

მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში, მათ შორის საქართველოც.

დაახლოებით ერთი წლის წინ ,,მწვანე ეკონომიკის" ფარგლებში საქართველოს მთავრობამ, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, 15 პროექტი შეიმუშავა. აღნიშნულ საკითხზე გაეროს განვითარების პროგრამა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ერთობლივად მუშაობს. თბილისში გამართულ მწვანე ბიზნესშესაძლებლობების კონფერენციაზე, რომელიც სწორედ "მწვანე ეკონომიკის" საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ საქართველოს მწვანე ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ამ მიმართულებით მთავრობა კერძო სექტორთან ერთად ინტენსიურად იმუშავებს.

დღეს საქართველოში არსებობს უზარმაზარი პოტენციალი მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. საუბარი არ არის მხოლოდ ჰიდრორესურსებზე, საუბარია ასევე მწვანე ტრანსპორტის საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და სხვ. ასე რომ, შევხედოთ "მწვანე ეკონომიკას," როგორც შემოსავლიან ბიზნესს, მისი მაგალითებია: მწვანე პროდუქტების წარმოება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერგიაზე დაფუძნებული წარმოება.

გაერო-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები, რაც ითვალისწინებს განახლებად ენერგიაზე გადასვლას, მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას, მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას, ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საქართველოსათვის მწვანე ზრდა ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისათვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და იმავდროულად, იმის უზრუნველყოფას, რომ ეს აქტივები არ შეწყვეტენ რესურსებისა და მომსახურების მიწოდებას, რასაც ემყარება ჩვენი კეთილდღეობა.

მწვანე ზრდის ინიციატივა წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას (მაგ., ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საშუალებით). სწორედ ამიტომ, როგორც მიმდინარე ტენდენციები აჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ. მწვანე ეკონომიკა არის 21-ე საუკუნის ბიზნეს შესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება მაშინ, როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდეც, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტუალურია როგორც არასოდეს.

ლიტერატურა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. მწვანე ეკონომიკის ანგარიში (2010) ოფიციალური ვებ-მისამართი:
http://www.unep.org/GreenEconomy/LinkClick.aspx?fileticket=JvDFtjopXsA%3d&tabid=1350&language=en-US
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. განვითარებული ქვეყნების მაგალითები (2010). ვებ-მისამართი:
http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf
3. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი. ოფიციალური ვებ-მისამართი:

http://greeneconomics.org.uk
4. საერთაშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.inderscience.com/ijge
5. მწვანე ეკონომისტი. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.greeneconomist.org
6. მწვანე საქართველო: http://greengeorgia.ge/?q=ka/about

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

სასჯელები თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

ხალიდა კუტალია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი,** მოწვეული სპეციალისტი

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სასჯელი არის სისხლის სამართლის ნორმაში მოცემული სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოს სახელით და კანონის საფუძველზე მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს და გამოხატავს ჩადენილი ქმედების საჯარო სამართლებრივ შეფასებას, ერთი მხრივ, მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ქმედების ჩამდენი პირის პერსონალურ უარყოფით შეფასებას (გაკიცხვას) ამ ქმედების ჩადენის გამო.

მართალია, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სახელდებით არ იძლევა სასჯელის ცნების განმარტებას, მაგრამ კოდექსით დადგენილია სასჯელთა ამომწურავი ჩამონათვალი გარკვეული თანმიმდევრობით (სიმძიმის მიხედვით), რომლებიც ქმნიან სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემას.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შინაარსიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხი უნდა განივრცოს სამი მიმართულებით, ანუ ცალკე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სასჯელები ფიზიკური პირებისათვის, სასჯელები იურიდიული პირებისათვის და სასჯელები არასრულწლოვნებისათვის. თუმცა ეს საკითხები ცალ-ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს და წარმოდგენილი თემის ფორმატიდან გამომდინარე შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო ისინი განსახილველი საკითხის ჭრილში.

ფიზიკური პირებისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის სახეები ამომწურავადაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში, რომელიც კანონით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სასჯელების ერთობლიობას წარმოადგენს. თუმცა სასჯელების ცალკეული სახელების ქვემოთ განხილვისას დავინახავთ, რომ უმჯობესია კანონმდებელმა, ძირითადი და დამატებითი სასჯელების ცნების გვერდით, შემოიტანოს შერეული სასჯელის ცნება, რაც გულისხმობს სასჯელის გარკვეული სახეების როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად გამოყენებას.

რაც შეეხება უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში ჩამოთვლილ სასჯელის სახეებს, რომლებიც სიმძიმის ზრდადობის მიხედვითაა განლაგებული, სასჯელის პირველ, ყველაზე მსუბუქ სახეს წარმოადგენს ჯარიმა, რომელიც არის ფულადი გადასახდელი და სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ძირითად, ისე დამატებითი სასჯელის სახედ, ანუ წარმოადგენს შერეული ტიპის სასჯელის სახეს, თუმცა ასეთი სახელით არაა მოხსენიებული კოდექსში და ასეთი ტიპის სასჯელებს სისხლის სამართლის

კოდექსის მე-40 მუხლი არ იცნობს. ჯარიმა წარმოადგენს ფართოდ გამოყენებად და გავრცელებულ ალტერნატიულ სასჯელს, ვინაიდან მისი გამოყენება არაა დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლირებასთან, რაც განპირობებულია არსებული ლიბერალური სასჯელშეფარდების პოლიტიკის გატარებით, რასაც განაპირობებს სამართალდამრღვევი ადამიანების მიერ ჯარიმისთვის, როგორც სასჯელის ალტერნატიული ფორმისთვის უპირატესობის მინიჭება. არის კი ჯარიმა ყველაზე მსუბუქი ალტერნატიული სასჯელი? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უფრო მიზანშეწონილი იქნება გავარკვიოთ ჯარიმის ცნების შინაარსი. ჯარიმა წარმოადგენს ფულად გადასახდელს, რომელიც სისხლის სამართლებრივად, სისხლის სამართლის მოქმედი პრინციპებიდან გამომდინარე გამოიყენება სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით მხოლოდ დამნაშავის მიმართ როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. ჯარიმის ძირითადი სასჯელის სახით გამოყენება, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, შეიძლება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მისი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო დამატებით სასჯელის სახით მისი გამოყენება შეიძლება მაშინაც, როცა იგი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით არ არის გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმის გამოთვლის დღიური ანაზღაურების სისტემა დღეისათვის შეცვლილია ჯარიმის თანხობრივი ანაზღაურებით, ჯარიმის მაქსიმუმი განსაზღვრული არ არის, მაგრამ განსაზღვრულია ჯარიმის ორი მინიმუმი. იმ დანაშაულისათვის, რომლისათვისაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით, ან მისი ნაწილით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად უნდა იყოს 2000 ლარზე ნაკლები, იგი შეიძლება იყოს 2000 ლარიც და უფრო მეტიც. რადგანაც ჯარიმის ორი მინიმუმია დაწესებული და მათ შორის ერთი 500 ლარი ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომელთათვის სასჯელის მაქსიმუმის სახით გათვალისწინებულია სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ჯარიმის მეორე მინიმუმი, 2000 ლარის ოდენობით ჯარიმა გათვალისწინებულია იმ დანაშაულებისათვის, რომელთა ჩამდენის მიმართ კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს თვით განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის ორი მინიმუმის დაწესება იქნებოდა უაზრო. აღსანიშნავია ასევე ის, რომ ჯარიმა სისხლის სამართლებრივი სასჯელია და იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ე.ი. დამნაშავის მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გარეშე არ შეიძლება.

ამასთან მოქმედებს პრინციპი: რაც მეტია დანაშაულის სიმძიმე, მით მეტია სასჯელი. სწორედ კანონმდებლის მიერ აღნიშნულის მხედველობაში მიღებით დაწესებული იქნა ჯარიმის ორი მინიმუმი, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმუმი; სისხლის სამართლის კოდექსი 2006 წლის 8 აპრილის კანონით ცვლილებების შეტანამდე, ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავდა დღიური ანაზღაურების სისტემით და კანონი ითვალისწინებდა ჯარიმის ზედა ზღვარს, რაც სრულწლოვნებისთვის არ შეიძლება ყოფილიყო 360 დღიურ ანაზღაურებაზე მეტი, ხოლო არასრულწლოვნებისთვის 200 დღიურ ანაზღაურებაზე მეტი. ამჟამად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლით კი ჯარიმის ორი მინიმუმია დაწესებული 500 და 2000 ლარი, ხოლო მაქსიმუმი საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ე.ი. კანონით შეუზღუდავი სასჯელია, რაშიც ვლინდება სწორედ მისი, როგორც სასჯელის მკაცრი ხასიათი.

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლში 2006 წლის დეკემბრის კანონით დამატების სახით შეტანილია შემდეგი შინაარსის 5^1 ნაწილი, რომლის ძალითაც „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.” მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე იმსჯელა კანონის ამ ნორმის კონსტიტუციურობაზე და ეს ასეც რომ მივიჩნიოთ, მე მაინც ვფიქრობ, რომ სისხლის სამართლის ამ ნორმის გამოყენებამ შესაძლოა მშობელი ჩააგდოს ეკონომიურად გაუსაძლის მდგომარეობაში, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სისხლის სამართლის ჯარიმის ზედა ზღვრის არარსებობით. მით უმეტეს, სსკ 42-ე მუხლის მე-3-ე ნაწილი სასამართლოსაგან მოითხოვს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრას მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი ქონების შემოსავლის და სხვა გარემოებათა მხედველობაში მიღებით, ხოლო მშობლის მიმართ იმპერატიულად მოითხოვს სასამართლო დაკისრებული ჯარიმის გადახდევინებას ყოველგვარი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე; ამიტომ არ შეიძლება სისხლის სამართლის სასჯელის გათანაბრება და პარალელის გავლება ადმინისტრაციული

ჯარიმის არასრულწლოვანის მშობლისათვის დაკისრებასა და სამოქალაქო სამართალში მიყენებული ზარალის მშობლის მიერ ანაზღაურებასთან, როგორც ეს გააკეთა მოპასუხე მხარემ სისხლის სამართლის კოდექსის ამ ნაწილის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, ვინაიდან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი წვრილმანი ხულიგნობისათვის ითვალისწინებს ჯარიმას 100 ლარამდე ოდენობით, ანუ განსაზღვრავს ადმინისტრაციული ჯარიმის მაქსიმუმს ისევე, როგორც სამოქალაქო სამართალში, როცა მშობელს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მისი შვილის მიერ მიყენებული ზიანისთვის და ამდენად აქაც ეს ვალდებულების მოცულობა შეზღუდულია და დამოკიდებულია მიყენებული ზარალის ოდენობაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი სპეციფიკურ კვლევას საჭიროებს და წარმოდგენილი თემის ფორმატიდან ფორმატიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ამ საკითხის კვლევის ძირეულ განხორციელებას შეუძლებელს ხდის. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ მაინც დგინდება სისხლის სამართლის კოდექსის ხარვეზი ამ ფორმით, რაც მოსაწესრიგებელია კანონით და ვფიქრობ, რომ კონკრეტულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს სასჯელების ზედა ზღვრის შემოტანა თითოეული დანაშაულის შესაბამის სანქციაში, მაგალითად, როგორც ეს იყო გათვალისწინებული საბჭოთა სისხლის კოდექსით ან როგორც ახლაა ეს მოცემული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამიტომ ან ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა რეალურად უნდა განისაზღვროს კანონით და სასჯელთა სისტემაში მას გამოეყოს შესაბამისი ადგილი, ან იგი დღევანდელი მდგომარეობით მისი სიმკაცრის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 40-ე მუხლში მოთავსებული უნდა იყოს არა პირველ ადგილზე, როგორც ყველაზე მსუბუქი ალტერნატიული სასჯელის სახე, არამედ – უვადო თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, როგორც ყველაზე მძიმე სასჯელი.

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის შემდგომ სახეს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს. ამ მხრივაც შეტანილ იქნა საჭირო კორექტირება კანონმდებლობაში. მაშინ როცა ნარკოტიკული დანაშაულების ჩამდენი პირისათვის ხდება „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევა სასამართლოს არა, მაგრამ შესაბამის საბჭოს, რომელიც შექმნილია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურში უკვე შეუძლია იმსჯელოს ამ ჩამორთმეული უფლებების აღდგენაზე. თუმცა მანამდე, იმის გამო, რომ ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იყო უფლებების უპირობო შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვის მთელი ვადის განმავლობაში, მის გასვლამდე, სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა საერთო წესით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ვადების გასვლის შემთხვევაში პირისათვის ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების აღდგენაზე. არადა, მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ შესაბამისი მუხლების სანქციები არ ითვალისწინებენ დამატებით სასჯელად თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ს.ს. კოდექსის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ კრძალავს და შესაძლებელს ხდის პირდაპირ არგათვალისწინების მიუხედავად სასამართლომ დააკისროს ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენს კანონით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა. მნიშვნელოვანი შეღავათია იმ პირთა ოჯახებისთვის, რომლებიც ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის იყვნენ მსჯავრდებულნი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო იმ მსჯავრდებულის ოჯახს, რომელსაც ხუთი წლით ჩამოერთვა მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, დღევანდელი მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით ეკონომიურად გააღატაკებს და ეს მომენტი შესაძლოა შემდგომში მსჯავრდებულის (რომელიც ხშირ შემთხვევაში ფსიქიკურად არამდგრადი პირია) მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის მოტივიც გახდეს.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ და დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულ სასჯელს საზოგადოების სასარგებლო შრომას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ანაზღაურების გარეშე, ბიუჯეტისა და საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას იმ პირის მიერ, ვისაც ეს სასჯელი შეეფარდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული „ევროპული წესებით საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შესახებ", რომლის მიხედვითაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ეს არის, გამასწორებელი, პოზიტიური და ე.წ. თერაპიული სანქცია.

მისი ასე აქტიურად გამოყენების მიზეზია, იყოს რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი და არ მოხდეს მათი საზოგადოებისაგან გარიყვა, ამასთან მსჯავრდებულთა შრომამ, რომელთაც დამატებით

სასჯელად შეეფარდათ სასჯელის ეს სახე, წარმოადგენს დიდ შრომით რესურსს როგორც სახელმწიფო, ისე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის.

მისასალმებელია ჩვენი სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს დამნაშავეთა გამოსწორებას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის დღეს არსებული რედაქცია შეესატყვისება ქართულ რეალობას, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4-ე ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა, რომლის ძალითაც იზღუდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება ორსულების, ინვალიდების და იმ ქალბატონების მიმართ, რომელთაც ჰყავთ შვიდ წლამდე ასაკის შვილები, ვფიქრობ, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, როგორც ალტერნატიული სასჯელის ზომის ფართო გამოყენების არეალს ამცირებს და უმჯობესი იქნება თუ ეს შეზღუდვა საერთოდ მოიხსნება, ვინაიდან ამ შეზღუდვამ შეიძლება მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააგდოს მსჯავრდებული.

სასჯელის შემდგომ სახეს გამასწორებელი სამუშაო წარმოადგენს, რომელიც ალბათ შეზღუდული სამუშაო ადგილების ფონზე ნაკლებად გამოყენებადია და თითქმის არ გამოიყენება პრაქტიკაში. თუმცა, ისევ სახელმწიფო ან კერძო სამეწარმეო სუბიექტთა ხარჯების დაზოგვის მიზნით მართებული იქნება თუ გაიზრდება ამ მიმართულებით სახელმწიფო დაინტერესება ალტერნატიული სასჯელის ამ სახის ფართოდ გამოყენების კუთხით.

ნაკლებად გამოყენებად სასჯელის სახეს წარმოადგენს ასევე სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, რომელიც უფრო ქმედითი სასჯელი რომ გახდეს, კარგი იქნება თუ 46-ე მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ იქნება გათვალისწინებული ამ სასჯელის დაკისრება ასევე იმ სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სამხედრო სამსახურში მსახურობენ შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე და ჩაიდენენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულს, როგორც ეს გათვალისწინებულია მაგალითად რუსეთის ფედერაციის ს.ს.კ-ის შესაბამის მუხლში (რფსკ 51-ე მუხლი). მაგალითად, კერძოდ გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 დეკემბრის განაჩენით კონტრაქტით მყოფი სამხედრო მომსახურე გელა გ-ე, რომელმაც ჩაიდინა ს.ს.კ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ძირითად სასჯელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით და დაუდგინდა გამოსაცდელი ვადა დამატებით სასჯელთან - ჯარიმასთან ერთად, რა დროსაც კონტრაქტით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის ვადით მის ქცევაზე კონტროლი და მეთვალყურეობა იმ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას დაევალა, სადაც იგი მსახურობდა. ასეთ შემთხვევაში მართებული იქნებოდა ამ სამხედრო მოსამსახურეს ძირითად სასჯელად დაკისრებოდა სწორედ სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, რომლის მოხდაც მისი ხელფასიდან განაჩენის განსაზღვრული ოდენობის თანხის დაქვითვით მოხდებოდა, მით უმეტეს გარკვეული ფორმით ამ სამხედრო სამსახურს უკვე დაეკისრა სასამართლოს მიერ მსჯავრდებული სამხედრო მოსამსახურის ქცევაზე კონტროლი. აღნიშნულს საფუძველს უქმნის ასევე სამხედრო მოსამსახურე მსჯავრდებულთა დიდი ნაწილის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები მას შემდეგ, რაც სამსახურისთვის ცნობილი ხდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რაც დამეთანხმებით, რომ ეს არ არის სასჯელის მიზანი, პირიქით, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურის გარეშე და შემდგომში უსახსროდ დარჩენა შეიძლება პოტენციურად გახდეს მათ მიერ კიდევ ახალი დანაშაულის ჩადენის საფუძველი. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სასჯელად დაკისრების შემთხვევაში კი პირი გადაურჩება სამსახურიდან დათხოვნას, სამხედრო სამსახურიც ვალდებული იქნებოდა აღესრულებინა სასჯელის ეს სახე და ამდენად სამხედრო მოსამსახურეც გააგრძელებდა სამხედრო სამსახურს და დაიზოგებოდა სახელმწიფო სახსრებიც. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სასჯელის ამოქმედება არ მოითხოვს რაიმე ძვირადღირებულ პროცედურებს ანუ ინფრასტრუქტურას, სახელმწიფოს კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში, ამ ალტერნატიული სასჯელის სახის ამოქმედება ახლო მომავალში რეალურ პერსპექტივად მიმაჩნია.

სასჯელებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევეხოთ თავისუფლების შეზღუდვას როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის სახეს. დღემდე ეს სასჯელი არ გამოიყენებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, თუმცა ამ მხრივ შეინიშნება წინსვლა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტი უახლოეს მოკლე დროში განიხილავს პენიტენციურ სისტემაში სრულიად ახალი ტიპის – თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შექმნის საკითხს, რაც ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის გზით ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვის, როგორც ალტერნატიული სასჯელის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ალბათ უახლოეს მომავალში ამოქმედდება, რაც, რა თქმა უნდა, უნდა

შეფასდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მხრივ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და წინგადადგმულ რეფორმატორულ ნაბიჯად, რითაც ქვეყანაში დაინერგება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული სტანდარტი. აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსდებიან ის პირები, რომელთაც სასამართლო შეუფარდებს თავისუფლების შეზღუდვას და ასევე ის მსჯავრდებულები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოების მიერ, მათივე თანხმობის საფუძველზე, შეეცვლებათ თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით. ასეთი ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს არ ექნებათ ერთმანეთთან შეზღუდული ურთიერთობა და თავისუფლად გადაადგილდებიან დაწესებულების ტერიტორიაზე, ხოლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე კი მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ შაბათ-კვირას დატოვონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. არასამუშაო დღეებში მსჯავრდებულები შეუზღუდავად ისარგებლებენ ხანმოკლე პაემნის უფლებით. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად განთავსებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება სააგენტოს მიერ შექმნილ სხვადასხვა პროფილის საწარმოში. თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში მსჯავრდებულებს ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ სხვადასხვა სარეაბილიტაციო კურსები და იქვე მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. მოცემული საკანონმდებლო ცვლილებებით თავისუფლების შეზღუდვის მოხდას პრობაციის ეროვნული სააგენტო გაუწევს კონტროლს.

რაც შეეხება ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთას, უმჯობესი იქნება ხშირად მოხდეს მათი არგამოყენება და მათ ადგილას პირობით მსჯავრთან ერთად ჩანაცვლებულ იქნეს ზემოაღნიშნული ალტერნატიული სასჯელები. თუმცა არის დანაშაულის კატეგორიები, რომლის ჩადენისთვისაც ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა უალტერნატივო სასჯელებს წარმოადგენენ.

და ბოლოს, სასჯელის უალტერნატივო სახეს ქონების ჩამორთმევა წარმოადგენს, რომელიც დაინიშნება სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისათვის და გულისხმობს დანაშაულის ჩადენის საგნის ან იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის ჩადენის საგანი ან იარაღი, ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი, რომელიც იმყოფება მსჯავრდებულის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში, ექვემდებარება ჩამორთმევას, რაც ვფიქრობ, რომ წარმოადგენს საკუთრების უფლების ხელყოფას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დადგინდეს რამდენად შეიძლებოდა სცოდნოდა ან ევარაუდა ნივთის მესაკუთრეს, რომ ის, ვისაც კანონიერ მფლობელობაში გადასცა ნივთი, ჩაიდენდა დანაშაულს. მაგალითად, გორის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრდებულს, რომელსაც ბრალი ედებოდა მიცვალებულისადმი უპატივცემულობაში, რაც გამოიხატა საფლავის ღობიდან ალუმინის ნაკეთობების ჩამოხსნაში, უპირობოდ ჩამოართვა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა, რომელიც მისი მამის საკუთრებაში იმყოფებოდა, რითაც ვფიქრობ, რომ მსჯავრდებულის მამას შეეზღუდა საკუთრების უფლება ნივთზე. უმჯობესია, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, დანაშაულის საგანთან ან ნივთთან მიმართებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ჩამორთმევას დაექვემდებაროს თავისი ბუნებით საშიში ან ზიანის მომტანი დანაშაულის ნივთები, სხვა შემთხვევაში დარჩეს მესაკუთრეს.

სასჯელის ფართო გაგება გულისხმობს ასევე პირობითი მსჯავრის გამოყენებას დანაშაულის ჩამდენის მიმართ, რომელიც ფართოდ გამოიყენება დღევანდელ რეალობაში და უმეტეს შემთხვევაში პირობით მსჯავრდებული ამართლებს არსებული ფორმით გამოსაცდელი ვადის წარმატებით დასრულებას. ასევე სახელმწიფოს მიერ ლიბერალურ მიდგომად უნდა ჩაითვალოს შესაბამისი კომისიების მიერ პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე მოხსნის შესაძლებლობა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 2005, გვ. 51
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2010, გვ. 252

ნორმატიული მასალა:

1. დონჯაშვილი თ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 361
2. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ქართული გამოცემა, გამომცემლობა ,,SANI", 1999.

ელექტრონული რესურსი:
1. Уголовный кодекс (УКРФ)
http://base.garant.ru/10108000/16/#10151
http://www.consultant.ru/popular/ukrf/10_11.html#p404
2. European rules for community sancxtions and measures
http://wcd.coe.int/viewdoc.jsp?id=615689&site+CM
3. Community service programmes in the united states
https://restorativejustice.org/university-classroom/making-amends/community-service
4. Community service orders in unaited kingdom
http://www.cjsni.gov.uk
http://www.legislation.gov.uk/ukpga/2008/4/contents
http://www.unil.ch/wpmu/space/space-ii

სუროგაცია

დავით ლომაია, თეონა ილარიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი,** სრული პროფესორი

XXI საუკუნე სამეცნიერო წინსვლის ხანაა, სახელმწიფო აღიარებს, რომ სამეცნიერო–ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ–ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენასა და მეცნიერების წინსვლას. დღეს შევეხებით თემას, რომელიც XXI საუკუნეში ზოგისთვის უპატიებელი დანაშაულია, ზოგისთვის კი – ჰუმანიზმი და სიკეთე, ალბათ, იმის გამო, რომ ცივილიზებულ ევროპასა და ამერიკაში საგრძნობლად იმატა უშვილო წყვილთა რაოდენობამ. მედიცინამ სამეცნიერო პროგრესის დამსახურებით შექმნა სუროგაცია. სუროგაცია უცხო ქალის ორგანიზმში ნაყოფის ხელოვნურ გადატანას ნიშნავს, შემდგომ მისი გამოზრდის მიზნით. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სუროგატი დედა არის ქალი, რომლის საშვილოსნოშიც გადააქვთ სხვა ქალის კვერცხუჯრედისგან მიღებული ემბრიონი, რომელიც იმყოფება განვითარების მეხუთე დღის სტადიაზე. სუროგატი დედის დახმარება ესაჭიროება ისეთ პაციენტს, რომელსაც თავისი საკუთარი ემბრიონის 9 თვე ტარება არ შეუძლია საშვილოსნოს პათოლოგიის ან რაიმე სომატური დაავადების გამო (მაგ., დიაბეტი). სუროგატ დედასა და ნაყოფს შორის არ არის გენეტიკური კავშირი, ვინაიდან ემბრიონი სხვა ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგადაა მიღებული. სუროგატი დედის სისხლიდან ნაყოფი მხოლოდ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს იღებს. სუროგატი დედის საშვილოსნო ე.წ. ბუნებრივი ინკუბატორის როლს ასრულებს, საშვილოსნოში ემბრიონის გადანერგვა უსისხლო და უმტკივნეულო პროცედურაა, ვინაიდან იმ მომენტისთვის ემბრიონი ძალიან პატარაა და გადატანა საშვილოსნოს ყელიდან ხდება. პირველად ეს ტექნოლოგია 1986 წელს ინგლისში გამოიყენეს, რომლის შედეგადაც დაიბადა გოგონა, სუროგატმა დედამ უარი განაცხადა ბავშვის გადაცემაზე, ნიუ–ჯერსის სასამართლომ ბავშვის მეურვეობა მიანიჭა ბიოლოგიურ მამას, მაგრამ ამასთანავე სუროგატ დედას ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის უფლება მიეცა. ყველაზე მრავალშვილიანი სუროგატი დედა 39 წლის ინგლისელი ქალია, რომელმაც ამ გზით ქვეყანას 9 ბავშვი მოავლინა. სუროგაცია დღეს საკმაოდ აპრობირებული მეთოდია, თუმცა, თავის მხრივ, იგი სხვა წინააღმდეგობას, კერძოდ სუროგატი დედის მოძიების სირთულეს აწყდება. ბუნებრივია, ამგვარ ,,მომსახურებაზე" ქალბატონები მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებიდან გამომდინარე იშვიათად თანხმდებიან. ძირითადად ისინი პრაგმატული მომსახურებით, ანუ გასამრჯელოს მიღების მოტივით იღებენ ამგვარ გადაწყვეტილებას. ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც ყველაფერი, მომსახურების ეს სფეროც ძალიან ძვირია, ამიტომ სუროგატი დედების მაძიებლები ეტანებიან ეკონომიკურად დაუძლურებულ ქვეყნებს, სადაც ცხოვრების დონე ძალიან დაბალია. სუროგაციამ, როგორც ჩანს, საქართველოშიც სერიოზულად მოიკიდა ფეხი. როგორც მოგახსენეთ,

სუროგატი დედა არის ქალი, რომელიც უშვილო წყვილის ნაყოფს მუცლით ატარებს და არავითარი გენეტიკური კავშირი არა აქვს ჩასახულ ემბრიონთან. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ქალი თუ გაიგებს, რომ სულაც არ არის მარტივი ცხრა თვის განმავლობაში ატარო ნაყოფი მუცლით, შეისისხლხორცო და ერთ დღეს თვალის დახამხამებაში გადასცე ბავშვი საკუთარ მშობლებს, თანაც ისე, რომ ამის შესახებ არასოდეს გაიხსენო მომავალში. სუროგატი დედის წყალობით პირველი ბავშვი საქართველოში 2004 წელს გაჩნდა. მას შემდეგ სუროგაციისადმი დამოკიდებულება წლიდან წლამდე იცვლება. ჯანდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სააგენტოს სუროგაციის ცენტრში სუროგატი დედობის მოსურნეთა რაოდენობა იზრდება. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაში კი სამი წლის განმავლობაში 100–ზე მეტი წარმატებული გარიგების ისტორია ინახება. საქართველოში სუროგატ დედებს, წყვილებსა და დონორებს შორის ხელშეკრულებების გაფორმება სამ ორგანიზაციაში ხდება: Human Georgia, New Life Georgia და საქართველოს სამედიცინო ტურიზმის კომპანია. სუროგატი დედა, ცხადია, ყველა ვერ იქნება, რადგან ის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს 35 წლამდე ასაკის; გათხოვილი; უნდა ჰყავდეს ერთი შვილი მაინც (როგორც სიყვარულის ობიექტი, რომ შემდეგ ადვილად დათმოს სუროგაციის ნაყოფი); უნდა იყოს ჯანმრთელი როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, რაც შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევებით დგინდება. რაც შეეხება გარეგნობას, ასევე მის შესაძლო გენეტიკურ დაავადებებს, ყურადრება არ ექცევა, ვინაიდან მასა და ჩასახულ ემბრიონს შორის არავითარი გენეტიკური კავშირი, მოგეხსენებათ, არ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ მას ჰყავს კანონიერი მეუღლე, მაშინ ყველანაირი პროცედურის ჩატარება მხოლოდ მასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს. უცხოელ წყვილს, რომელსაც დონორ–სუროგატი სჭირდება და პირველივე ცდაზე იღებს სასურველ შედეგს, მთელი ეს პროცესი 29 ათას დოლარამდე უჯდება: დაახლოებით 12 ათასი დოლარი სუროგატ დედას ეკუთვნის, 1000–მდე დონორს, დანარჩენი კი მედიკამენტებისა და მომსახურების ხარჯებია. სუროგატ დედას ნაყოფის გენეტიკური მშობლები სარჩო–თანხას ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში უხდიან, რომელიც ჯამში 20 000 ლარს შეადგენს. ტყუპების დაბადების შემთხვევაში სუროგატ დედას ეძლევა დამატებითი კომპენსაცია და სარჩო–თანხა ხდება 21 600 ლარი. ორსულობას თან სდევს შესაბამისი საფრთხეები და სწორედ ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ სუროგატ დედას მუცელი მოეშალა, იგი იღებს კომპენსაციას, ცხადია, იმ თანხას არა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ მას უნაზღაურდება სამედიცინო მომსახურების ხარჯები და ეძლევა აბორტის შემდგომი რეაბილიტაციის თანხა. საერთაშორისო კონვენციით ,,ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ორგანიზაციას საქართველო შეუერთდა 2001 წელს. სუროგაცია ჩვენს ქვეყანაში პირდაპირ აკრძალული არ არის, მაგრამ აღნიშნულია, რომ იკრძალება ადამიანის სხეულის ნაწილების გამოყენება ფინანსური სარგებლის მისაღებად. 1997 წელს მიღებულ კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ–ერთი ფორმა, დაშვებულია, მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი არც კომერციულ საქმიანობაზე და არც იმაზე, თუ როგორ და რომელი სტრუქტურა უნდა არეგულირებდეს მას. თუმცა დღეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143–ე მუხლში აღნიშნულია:

ნაწილი პირველი: ექსტრაკორპირებული განაყოფიერება ნებადართულია:

ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით, ან აგრეთვე ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის შემთხვევაში, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა;

ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის (სუროგატი დედის) საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის შესახებ წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია.

ნაწილი მეორე: ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლად, აქედან გამომდინარე, – პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან სუროგატ დედას არა აქვს ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.

მთავარი, რაც საქართველოში წყვილებსა და დონორებს დისკომფორტს უქმნის, ახალი ამოქმედებული კანონია: ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის რეგისტრაციისათვის სამოქალაქო რეესტრს უნდა წარედგინოს ხელოვნურ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილსა და დონორს შორის. სხვა ქვეყნის კანონებისგან განსხვავებით, ეს ანონიმურების პრინციპს არღვევს – დონორსა და წყვილს ერთმანეთის საპასპორტო მონაცემები გადაეცემათ. სუროგატი დედობა კანონით იკრძალება ავსტრიაში, გერმანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, საფრანგეთში, სკანდინავიის რამდენიმე ქვეყანასა და ამერიკის ზოგიერთ შტატში. საფრანგეთში ამ კანონის დარღვევის შედეგად პიროვნებას ეკისრება ჯარიმა 45 000 ევრო და სამწლიანი ციხე. აკრძალვის მოტივი ღარიბი ფენის დისკრიმინაციაა. რაც შეეხება ისრაელს, კანადას, დიდ ბრიტანეთს საბერძნეთსა და ავსტრალიას, ამ ქვეყნებში კანონი მხოლოდ

კომერციულ სუროგაციას კრძალავს. თუმცა ალტრუისტი სუროგატი დედების დეფიციტის გამო, ამ ქვეყნებში სუროგაცია პრაქტიკულად მკვდარია. საინტერესოა როგორ ხდება სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის სამართლებრივი ინტეგრაცია სხვა ქვეყანაში. მაგალითისათვის გვინდა მოვიყვანოთ ამონარიდი გერმანიის საკონსულო განყოფილების განცხადებიდან: ,, საელჩო ვერ აღიარებს კანონიერ მშობლებად სუროგატი დედის მიერ გაჩენილი შვილის ,,დამკვეთ მშობლებს", მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ბავშვის დაბადების მოწმობაში მშობლებად დაფიქსირებულნი. გერმანიის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვის დედად აღიარებულია მხოლოდ ის ქალი, რომელმაც გააჩინა ბავშვი, მიუხედავად ბიოლოგიური წარმომავლობისა და საქართველოს კანონმდებლობის ხედვისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის თვალსაზრისით, სუროგატი დედები არ არიან ნათესაურ კავშირში ,,დამკვეთ მშობლებთან" და ვერ მიიღებენ გერმანიის მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში საელჩო ვერ გასცემს ბავშვის პასპორტსა თუ პირადობის დამადასტურებელ რაიმე სხვა სამგზავრო დოკუმენტს! საქართველოდან გერმანიაში ბავშვებთან ერთად გამგზავრება შესაბამისი დოკუმენტის გარეშე შეუძლებელია. საელჩო გაცნობებთ, რომ გერმანიაში ყოფნის უფლების შესახებ გერმანიის მოქმედი კანონის თანახმად სუროგატი დედის მიერ საქართველოში გაჩენილ ბავშვზე ვიზა არ გაიცემა.

სუროგაციის ორი ძირითადი მოტივაცია არსებობს ჰუმანიზმი და პრაგმატიზმი. ძნელი სათქმელია სხვაგან წმინდა ჰუმანური მოსაზრებით თანხმდებიან ქალბატონები სუროგატ დედობაზე თუ ფინანსური დაინტერესების გამო, მაგრამ საქართველოში ამას უფრო ხშირად პრაგმატული მოსაზრებით რომ აკეთებენ, უდავოა. ალბათ, საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად სუროგატი დედები, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ თავს არიდებენ საკუთარი საქმიანობის საზოგადოებაში გამჟღავნებას, სწორედ ამიტომ ანონიმურობა დაცულია, ჩვენ მოვიძიეთ სტატია, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ ეკიდებიან სუროგაციის საკითხს სუროგატი დედები, ვახდენთ ციტირებას: ,,არ იყო მარტივი… სოციალურმა, ეკონომიკურმა პრობლემამ მიბიძგა ამ საქციელისკენ. ახლა უკვე მეორე ოჯახს ვაჩუქებ პატარას. ეს გზა გავლილი მაქვს და ვიცი, რომ ცუდს არაფერს ჩავდივარ". ,,თავიდანვე გაცნობიერებული მაქვს, თუ რატომ ვარ ფეხმძიმედ, – რომ ეს მხოლოდ სამსახურია და არა… აი, წარმოიდგინეთ, რომ ისეთი სამსახური გაქვთ, რომელიც ძალიან შორსაა თქვენი პროფესიისგან, ან უბრალოდ, საშინლად არ მოგწონთ თქვენი სამსახური, მაგრამ ის სამსახურია და სავალდებულოა, ხომ გესმით ჩემი? კი არ მავალდებულებს ვინმე რამეს, არა, ასე არ იფიქროთ, მხოლოდ გაჭირვება, მხოლოდ ეკონომიკური პირობები და არაფერი სხვა". ,,ყველა ვერ შეეგუა ჩემს გადაწყვეტილებას, რის გამოც ბევრი ადამიანი დავკარგე. მათ შორის საკუთარი მშობელიც კი. ჩემთვის უცხო გარემოში მიწევს ყოფნა, ჩემი სურვილის მიუხედავად, მაგრამ, სწორად გამიგეთ, ახლა თითქმის აღარ მაქვს საზრუნავი, არ მშია, არ მცივა და, რაც მთავარია, ჩემს შვილსაც უზრუნველყოფილი ბავშვობა შევუქმენი, თუმცა თავიდან ძალიან გამიჭირდა, მეგონა, რომ უმძიმეს დანაშაულს ჩავდიოდი. ხმამაღლა ნათქვამად ნუ ჩამომართმევთ, ვერც კი გადმოგცემთ, ისე გამიჭირდა, ბევრი დრო დამჭირდა, რომ საკუთარი თავი დამერწმუნებინა ჩემი ნაბიჯის სისწორეში. რთული გადმოსაცემია, არც კი ვიცი როგორ გითხრათ, მაგრამ ეს ძალიან რთული ფსიქოლოგიური ფაქტორია". როგორც ჩანს სუროგატ დედათა უმრავლესობას ამ ნაბიჯის გადადგმას სწორედ ეკონომიკური სიდუხჭირე აიძულებს, თუმცა, როგორც ყოველთვის, არსებობს საპირისპირო ფაქტებიც. ერთ–ერთ სუროგატ დედას, მისი თქმით, მატერიალურად არასდროს უჭირდა, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის წინ სუროგატობა გადაწყვიტა და ერთ ქართველ წყვილს, რომელსაც შვილი 18 წლის განმავლობაში არ ჰყავდა, გოგონა გაუჩინა, მისი ერთ–ერთი მოტივი ძალიან პირადული იყო: ,,ამით გარკვეულწილად წარსულში ჩადენილი დანაშაული მოვინანიე. აბორტი გავიკეთე და მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ თურმე ტყუპები მყავდა. ტყუპებზე კი ყოველთვის ვოცნებობდი. ამას დღემდე ვერ ვივიწყებ, მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ დედობის სიხარული სხვა ქალს განვაცდევინე, მეც მაბედნიერებს". მას არაფერი არ დაუმალავს და არც საზოგადოების მორიდებია. ბოლო დღემდე მუშაობდა და არც სამსახურში მალავდა, რატომაც დაორსულდა, როგორც იგი ამბობს, ყველა აღფრთოვანებული იყო, მას ბავშვის გულის ცემაც უხაროდა".

ფსიქოლოგიური ახსნით სუროგატის გულგრილობა არანორმალურია. ცხრა თვის განმავლობაში გრძნობები სუროგატ დედასა და ნაყოფს შორის აუცილებლად ჩნდება. ბავშვი დედასთან კავშირს მუცლადყოფნის პერიოდშივე ამყარებს, რეაგირებს დედის ემოციებზე, განიცდის ყველაფერს, რაც დედას აწუხებს. ფსიქოლოგიური ბარიერები უშვილო დედებსაც აქვთ, ისინი სუროგატ დედებზე ეჭვიანობენ და არჩევანის გაკეთების შემდეგაც უმძიმთ იმ ფაქტთან შეგუება, რომ საკუთარ შვილს სხვა ქალს ანდობენ. ფსიქოლოგები ასკვნიან, რომ მთავარია, სუროგაცია არ იქცეს აღებ–მიცემობად. აუცილებელია, თავისი წილი სიყვარული ორივე მხარემ ჩადოს, მშობლებმაც და სუროგატმა დედამაც, თუმცა ეს ერთდროულად რამდენად რეალურია, თავად განსაჯეთ.

საზოგადოება ამ სიახლეს თანდათან ეგუება, თუმცა სუროგაცია ბევრისთვის, როგორც, კომერციული პრაქტიკა, დღემდე მიუღებელია. მიზეზი ხშირად რელიგიურია. საზოგადოების დიდ

ნაწილს ამ სიახლის მიღება სწორედ რელიგიური შეხედულებების გამო უჭირს. ეკლესიის დამოკიდებულება სუროგაციისადმი ნაწილობრივ ცნობილი და ჩამოყალიბებულია: ,,ჩვენ ერთადერთი გზა ვიცით – უფლის გზა, ღვთის სიტყვის მიდევნა, ცოლ–ქმრული ურთიერთობები არ უნდა შეიბღალოს და მათი სარეცელი არ უნდა შეირყვნას. ქალისა და მამაკაცის შეერთება და თანაცხოვრება, ოჯახი და ბავშვებიც კი ღმერთის მონაწილეობის გარეშე ცოდვისა და და სულიერი სიკვდილის წყაროა მხოლოდ… თუკი ჩვენი ცხოვრება ღვთისათვის სათნო შეიქნება, როცა იმედი თითქმის გადაგვეწურება, შესაძლოა სწორედ მაშინ გვისმინოს უფალმა გულიდან აღმოსული ვედრება. ჩვენ ვიცით ამის მაგალითები წმიდა წერილიდან, გარშემოც ამის უამრავი მაგალითია და თუ არ მოგვცემს ყრმას, თუკი სხვა ღვაწლზე გვაკურთხებს უფალი, ამაში ღმრთის უმაღლესი განგებულება დავინახოთ და მუდამ ვმადლობდეთ მას“. ,,ყოველი ახალი სიცოცხლე უფლის ნებით ჩნდება, ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სუროგაცია, ანუ ხელოვნური ჩარევა ამ საქმეში მიუღებელია, გასაკვირი არ უნდა იყოს. მართალია, მედიცინა ამტკიცებს, რომ სუროგატ დედასა და ემბრიონს შორის კავშირი არ არსებობს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს მაინც ხელოვნური ჩარევაა, თუმცა ჩვენი აზრით, ეს ძალიან მტკივნეული თემაა, მსოფლიო საზოგადოების უმრავლესობა თვლის, რომ ეს არის უდიდესი საქმე უშვილო წყვილთათვის, რადგან ის მრავალ დანგრევის პირას მყოფ უიმედობაში ჩავარდნილ ოჯახს აძლევს საშუალებას იმედის თვალით შეხედოს მომავალს და აჩუქოს შვილი, როგორც ბედნიერებისა და სიხარულის საწყისი. ახალმა საუკუნემ ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალური პროცესების თანაზიარი გაგვხადა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ,,ნაბან წყალს ბავშვიც უნდა გადავაყოლოთ“. ქართველი კაცი ოდითგანვე არის მორწმუნე და მეორე მხრივ, სხვაგვარად აფასებს შვილს, ოჯახს და თავისი ფესვის გაგრძელებას, არ შეიძლება საკითხი დააყენო ან შვილი ან ეკლესია. უშვილობა ძალიან მტკივნეული პრობლემაა, რომელიც ძალიან ბევრ ადამიანს აწუხებს, მთავარია, საზოგადოებამ არ დაკარგოს ანალიზის უნარი და თუ სიცოცხლე თუნდაც ბუნებრივი ინკუბატორიდან იშვა, შენ, ადამიანს არ გაქვს უფლება უარყო იგი.

ჩვენი კომფორტული საუკუნის გარემოცვაში, სადაც ხდება გლობალური გაციება ადამიანის სულიერებისა და გაღვივება ცხოველური მოთხოვნილებებისა, სულ უფრო კნინდება ის უმაღლესი ღირებულები, რაზეც მთელი კაცობრიობა დგას, მშვენიერება, სიყვარული, სიკეთე და ა.შ. ახალი სიცოცხლის დაბადება ეს ღვთიური სასწაულია, მისი მოსპობისგან განსხვავებით, სიცოცხლის წარმოშობის კეთილსინდისიერი ხელშეწყობა არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, დაფიქრდით და წუთით უშვილო ქალის ჩამქრალ თვალებს ჩახედეთ, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მცირე სამედიცინო ჩარევით მისი ანთება, ჭეშმარიტად ბედნიერი მაშინ ხარ, როდესაც სხვისთვის მოგაქვს ბედნიერება, ამიტომ ჩვენი აზრით სუროგაცია უნდა განვიხილოთ როგორც ტექნოლოგიური პროგრესით მიღწეული ქმედება, რომელიც ჩვენი უმაღლესი ღირებულებების დამაკნინებელი კი არ იქნება, არამედ წყალი ჩვენი ფესვებისთვის და გამაკეთილშობილებელი ჩვენი სულისა.

ლიტერატურა:

1. www.surrogationcenter.com/index.?m=134
2. www.nplg.gov.ge - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
3. www.surrogacy.ge
4. Elagogaladze.blogspot.com
5. www.liberali.ge
6. www.moh.gov.ge
7. www.matsne.gov.ge საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
8. www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info.
9. http://en.wikipedia.org/wiki/Surrogacy
10. www.epn.ge

„ლიტანია ლაურეტანა“ - პირველი ქართული ნაბეჭდი ლოცვა

ქეთევან მარკოზაშვილი, თამარ ტერმაკოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** სრული პროფესორი

ადამიანის გონებრივ მიღწევათა შორის საბეჭდ მანქანას, რომელიც მე-17 საუკუნეში შეიქმნა, განსაკუთრებული ადგილი უკავია. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გლობალური ხასიათის პირობებშიც ბეჭდვითი სიტყვა ინფორმაციის ყველაზე მოქნილ და ყოვლისმომცველ საშუალებად რჩება. ეს ის ნიშან-თვისებაა, რომელიც მას განვითარების ყველა ეტაპზე გააჩნდა. ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ბეჭდვითი სიტყვა ინფორმატორისა და განმანათლებლის როლში გვევლინება, აგრეთვე ხალხთა შორის კულტურულ ფასეულობათა გაცვლის უბადლო საშუალებად. ამას ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაც გვიდასტურებს.

ქართული ბეჭდვითი სიტყვის ჩასახვა და საწყისი ეტაპი მისი განვითარებისა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთ რთულ ისტორიულ პერიოდს დაემთხვა, როდესაც კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოში რაიმე შესაძლებლობა თითქმის გამორიცხული იყო. 350 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ქართული წიგნი დაისტამბა. ეს მოვლენა მრავლისმეტყველი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც ისტორიული განვითარების მძიმე პირობები ჰქონდა. მას ხმალი უნდა გადაედო, კალამი რომ აეღო ხელში და პირიქით. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ პირველმა ქართულმა ნაბეჭდმა წიგნებმა საქართველოს ფარგლებს გარეთ, იტალიაში, იხილეს დღის სინათლე, რითაც სათავე დაედო მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ბეჭდურ ტრადიციას.

პირველი ქართული გამოცემებია: „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, კათოლიკური ლოცვის „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული თარგმანი. ერთგვერდიანი ლოცვის ქართული თარგმანის ნაბეჭდი ტექსტი აღდგენილია ფოტოასლის მიხედვით, რომელიც ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული ტექსტის ასლია.

1629 წელს რომში გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი - „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ამ წიგნის თავფურცელს აწერია, რომ იგი შეადგინა სტეფანე პაოლინიმ, ქართველ ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) დახმარებით. ეს წიგნი შეიცავს სამასამდე ქართულ სიტყვას, ქართულ ანბანსა და იტალიური სიტყვების საძიებელს. ამავე წელს რომში დაიბეჭდა მე-2 ქართული წიგნი - „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. წიგნები აწყობილია მხედრული და ნუსხური შრიფტით. სამწუხაროდ, რომში დასტამბული ქართული წიგნების შესახებ მრავალი წლის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიას არავითარი ხელშესახები დოკუმენტური ცნობა არ გააჩნდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოქვეყნება ინტერნაციონალურ საფუძველზე განხორციელდა. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ მე-17 საუკუნეში ბეჭდვითი სიტყვა უკვე საკმაოდ ქმედით იარაღს წარმოადგენდა საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გასაღრმავებლად.

პროპაგანდა ფიდეს არქივში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ ამ სასულიერო დაწესებულების სტამბაში გამოცემულია აგრეთვე ნიკიფორე ირბახის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი წარსულში პოპულარული ლოცვა ღვთისმშობლისადმი „ლიტანია ლაურეტანა“.

ქართული თარგმანის მიხედვით, ამ ტექსტს სათაურად „ლავრენტის ლიტანიობა“ ჰქონდა წამძღვარებული. ეს ცნობა დიდად საინტერესოც იყო და გაუგებარიც. საქმე ისაა, რომ „ლიტანია“ ბერძნული სიტვაა და „ვედრებას“ ნიშნავს, ხოლო ვედრებით, ძირითადად, იესო ქრისტესა და ღვთისმშობელს მიმართავენ ხოლმე. რას წარმოადგენს ,,ლავრენტის ლიტანიობა?“ საარქივო საბუთებიდან ირკვევა, რომ ეს ლოცვა ქართულად ნიშნავს: „ლიტანია ლორეტოს ნეტარისა ქალწულისაი მარიამისაი“.

თანამედროვე ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ სასულიერო შინაარსის ლიტერატურა საქართველოში არაერთგზის ყოფილა გამოგზავნილი, მაგრამ საარქივო ცნობა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების საქართველოში გამოგზავნის თაობაზე სულ სხვაგვარია. არსებობს ინსტრუქციის ტექსტი, რომელიც 1630 წლის 7 სექტემბერს არის შედგენილი და გამიზნულია მისიონერებისათვის, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებოდნენ. ინტრუქციაში საუბარია იმ სიძნელეებზე, რაც

მისიონერებს მგზავრობისას შეიძლება შეხვედროდათ. აღნიშნულია შავ ჭირთან დაკავშირებული საფრთხე და შიში გაძარცვისა.

ახლა შევეცადოთ გავერკვეთ იმაში, თუ რამ გამოიწვია ნიკიფორე ირბახის მიერ ასე თვალნათლივ გამჟღავნებული ინტერესი „ლიტანია ლაურეტანას“, ანუ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი კათოლიკური ლოცვის მიმართ, ან რა კონკრეტულმა გარემოებებმა შეუწყო ხელი მის მიერ ამ ლოცვის ქართულ ენაზე თარგმნას. მიუხედავად იმისა, რომ „ლიტანია ლაურეტანა“ კათოლიკური ლოცვაა, იგი არანაკლები პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდა მთელი მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ქრისტიანულ მოსახლეობაში. მაგალითად, რუსეთში 14 სექტემბერი დადასტურებულია „ლორეტოს ღვთისმშობლის ხატის“ სადღესასწაულო თარიღად.

მე-17 საუკუნეში სამეგრელოში მისიონერების მიერ სრულდებოდა ღვთისმშობლის ლოცვა. ლოცვის ნიშნად ზარი ირეკებოდა, რომლის შემდეგ საიდუმლო ლოცვა სრულდებოდა და მაშინვე უწმინდესი ღვთისმშობლის ლიტანიაც თან ერთვოდა. მისიონერების ეს სულიერი განრიგი ჩვენს წესრიგს შეესაბამება. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ,,უწმინდესი ღვთისმშობლის ლიტანიის სახით'' აქ ,,ლიტანია ლაურეტანა'' იგულისხმება, მაგრამ არა ლათინური ტექსტი ამ ლოცვისა, არამედ 1629 წელს რომში გამოცემული მისი ქართული თარგმანი. ეს უკანასკნელი მე-17 საუკუნის 30-იან წლებში პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებთან ერთად იტალიიდან საქართველოში მისიონერებმა ჩამოიტანეს.

,,ლიტანია ლაურეტანას'' ქართული ტექსტის გარეგანი სახე, სტამბური გაფორმების თვალსაზრისით, ბევრად უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ,,ანბანის'' ან ,,ლექსიკონის''. ლიტანიის ქართულ ტექსტს ორ სტრიქონად ზემოთ წამძღვარებული აქვს მეტად თავისებური და ძნელად გასაშიფრი ქარაგმული სათაური, რომლის თითოეული შემადგენელი სიტყვა მარჯვნივ წაწვეტებული სამწერტილითაა გამოყოფილი, რაც ნიშნავს: ,,დაბეჭდილია რომში, პროპაგანდა ფიდეს (წმინდა კონგრეგაციის) სტამბაში უმაღლესი სასულიერო მთავრობის ნებართვით''. მთელი ტექსტი - ,,ლიტანია ლაურეტანას'' ქართული თარგმანი ჩამოსხმულია ორიგინალურ, მეტად ლამაზი ორნამენტის შემცველ ჩარჩოში. მისი ცალკე გამოცემული ქართული ტექსტი სრულიად განსხვავებულად გამოიყურება, შთამბეჭდავი გრავიურის წყალობით. გრავიურა ლოცვის დამაგვირგვინებელი დეტალია, რომელიც მოთავსებულია სათაურის ზემოთ. გრავიურის სიუჟეტი ბიბლიური შინაარსისაა. მასზე მხატვრული დახვეწილობითაა წარმოდგენილი კომპოზიცია, რომლის ცენტრალური თემაა ღვთისმშობლის თაყვანისცემა ახალშობილი ქრისტესადმი წმინდა იოსების თანდასწრებით, სადაც მუხლმოდრეკილი მარიამი მოკრძალებით ეთაყვანება ახალშობილ ღმერთკაცს, რომელიც თივაზე დაფენილ თეთრ ტილოზე წევს. მარცხნივ ბოსლის ფრაგმენტია მოცემული - საქონლითურთ, რაც ქრისტეს ბოსელში დაბადებას გვაუწყებს, ხოლო მარჯვნივ მამაკაცების შედარებით დაშორებული ფიგურები მოჩანს, რომლებიც ჩაცმულობით მწყემსებს ჰგვანან. გრავიურის ზემოთ, ცენტრალურ ნაწილში, მზის სხივებში ანგელოზთა დასია გამოსახული, რომელიც ხელს უწყობს გრავიურაზე აღბეჭდილი სურათის მთლიანობაში აღქმას.

ლიტანიის, როგორც კათოლიკური ლოცვის, საფუძველს ბიბლიის ძველი აღქმის შინაარსში ეძიებენ. პირველი აღიარებული დოკუმენტური ცნობები საკუთრივ ლოცვის შესახებ 1531, 1547, 1554 წლებით არის დათარიღებული, თუმცა ოფიციალურად იგი მხოლოდ 1587 წელს იყო დადასტურებული რომის პაპის, სიქსტუს V-ის მიერ. ყველაზე განთქმულ ლიტანიებად ეგრეთ წოდებული „ყველა წმინდანის ლიტანია“ და ლორეტოს ღვთისმშობლის ლიტანია ანუ ,,ლიტანია ლაურეტინა“ ითვლება. 1575 წლიდან მოყოლებული თავი იჩინა სხვა ეგრეთ წოდებულმა ,,ახალმა ლიტანიებმა“, რის გამოც ვატიკანმა რიგი ღონისძიებებისა განახორციელა, რათა ლოცვა დაეცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან, მასში რაიმე ცვლილებების და შესწორებების შეტანისაგან. ალბათ, კათოლიკური ცენზურის ასეთმა სიმკაცრემ განაპირობა ის, რომ ლოცვის ტექსტს საუკუნეების მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. ,,ლიტანია ლაურეტანას'' 1629 წელს შესრულებული ქართული თარგმანის ტექსტში დაშვებულ უზუსტობათა ამოსაცნობად და დასახასიათებლად გამართლებულად გვეჩვენება მისი შეჯერება, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის ქართულ ტექსტთან, რომლის გამოცემა ბევრად უფრო გვიან, 1905 წელს განხორციელდა თბილისში და რომლითაც დღესაც სარგებლობენ მორწმუნე ქართველი კათოლიკენი. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით ძირითადად შეესატყვისება ,,ლიტანია ლაურეტანას'' 1629 წლის ქართულ ტექსტს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სათაურად ლორეტოს ღვთისმშობლის ლიტანიის ნაცვლად წამძღვარებული აქვს ,,ლიტანია ყოვლად წმიდისა'' და სტრიქონთა რაოდენობა შეადგენს არა სამოცს, არამედ სამოცდაოთხს. ,,ლიტანია ლაურეტანას'' ქართულ ტექსტში დაშვებული შეცდომები, ძირითადად, ეგრეთ წოდებულ ,,ევროპეიზმებს'' განეკუთვნება. ალბათ, ამავე რიგის ხარვეზებს უნდა მივაწეროთ ქართული მართლწერისათვის მიუღებელი ზოგიერთი სხვა ფორმაც. მაგალითად: ღვთისმშობლის სახელის არაქართული ფორმით მოხსენიება: ,,ცმიდაო მარია'' ნაცვლად ,,წმიდაო მარიამ ისა“.

ამრიგად, ,,ლიტანია ლაურეტანას" ქართული თარგმანის მიმოხილვა იმ უტყუარი ზოგადი დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ უკვე მე-17 საუკუნეში ბეჭდვითი სიტყვა საკმაოდ ქმედით იარაღს წარმოადგენდა როგორც პოლიტიკური, ისე სასულიერო მიზნების მისაღწევად. იმდროინდელი ბეჭდვითი სიტყვის ამ დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას ადასტურებს პირველი ქართული ნაბეჭდი ტექსტების გამოქვეყნებაში იტალიის, საბერძნეთის, გერმანიისა და საქართველოს წარმომადგენელთა ერთობლივი მონაწილეობა.

ლიტერატურა:
1. ჩიქობავა ა., ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, გამომცემლობა ,,ხელოვნება", 1983.
2. პაპუაშვილი ნ., მართლმადიდებლები და კათოლიკეები საქართველოში, ,,სოლიდარობა", N4 (31), 2009.

კულტურის ცნების საკითხისათვის

მარიამ მთიულიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** სრული პროფესორი

კულტურის ფენომენი დღეს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მთავარი პრობლემა და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისა და ცნობიერების აუცილებელი თემაა. სიტყვა „კულტურა" გავრცელებული ფორმაა, მაგრამ მისი ერთიანი გაგება არ არსებობს. ფილოსოფიის მიზანია შეისწავლოს კულტურა, როგორც ადამიანის არსების გამოვლენა.

საინტერესოა თვითონ სიტყვა „კულტურის" ისტორია, იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან Culture, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს Colere-დან. იგი ნიშნავს დასახლებას, კულტივირებას, მფარველობას, თაყვანისცემასა და მოწიწებას. შემდეგ თითოეულმა მნიშვნელობამ საკუთარი სიტყვა შეიძინა, მაგ.: Culture დასახლება და მოწიწება. Cultus ნიშნავდა კულტს. შუასაუკუნეების ევროპულ ენებში კულტურა აღნიშნავდა მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანას და კულტივირების პროცესს. თანამედროვე ევროპულ ენებში იგი აღნიშნავს:

1. ინტელექტუალური, სულიერი და ესთეტიკური განვითარების პროცესს;
2. გამოხატავს საზოგადოების მდგომარეობას, რომელიც ემყარება კანონს წესრიგსა და ზნეობას;
3. კულტურა მიუთითებს ცხოვრების წესზე, რომელიც ახასიათებს ან საზოგადოებას, ან ადამიანთა ჯგუფს, ან ისტორიულ პროცესს;
4. კულტურა აღნიშნავს ინტელექტუალური, მხატვრული შემოქმედების ფორმებსა და პროდუქტს.

კულტურის ცნებამ თანამედროვე მეცნიერული მნიშვნელობა შეიძინა მე-18 საუკუნეში (ვიკოსთან, ჰერდერთან და მონტესკიესთან). ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ევროპელებს მრავალი ერი და კულტურა გააცნო. მე-19 საუკუნეში კულტურის ცნება კარგავს შეფასებით ნიშანს და აღარ აღნიშნავს ცხოვრების მაღალ დონეს. შემდეგ მისგან ქრება რომანტიკული მინიშნებები, რაც კულტურას აძლევდა უნიკალურობასა და ყოველდღიური უფერული ცხოვრებისაგან გაქცევის საშუალებას. დღეს ადამიანი კულტურაში ეძებს საკუთარ თავს, მხოლოდ ამ სარკეში შეუძლია მას დაინახოს თავისი თავი.

კულტურის უზოგადესი ნიშანია ხელოვნურობა. იგი რეალობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ბუნებისა და მეტაფიზიკური სინამდვილის გვერდით. იგი არ გადაეცემა გენეტიკურად, არამედ აღზრდა-განათლების გზით. კულტურა თავის დასრულებას ნახულობს სამყაროს კულტურულ სურათში, მსოფლმხედველობაში, რომელიც ყალიბდება ერის კულტურის არსებობის მანძილზე, ამიტომ განსხვავებული კულტურის ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ, განიცდიან და გრძნობენ სამყაროს. კულტურა, როგორც სოციალური და კულტურული გამოცდილების კვლავწარმოების მექანიზმი, არის წარსული-აწმყო-მომავლის კავშირის ფორმა და შესაძლებლობა. იგი

ადამიანს ეხმარება იცხოვროს და განვითარდეს გარკვეულ სოციალურ გარემოში და შეინარჩუნოს საზოგადოების ერთიანობა და მთლიანობა.

კულტურა არის ადამიანის, ერის, ინდივიდუალურობის, თვითმყოფადობის, თვითგამოვლენის, თვითგამოხატვის ფორმა, რომელიც რეალიზდება ცხოვრების წესში.

კულტურა ერის კულტურული და ფიზიკური თვითშენახვის ენის სტრატეგიული გამოხატულებაა. რამდენადაც კარგად ასრულებს კულტურა ამ ამოცანას, მით უკეთ პასუხობს კულტურა ისტორიული ენის კულტურებს. სწორედ ეს არის კულტურის შეფასების კრიტერიუმიც. კულტურა ეფუძნება საკრალურის გაგებას. საკრალურის გაგება ქმნის კულტურის უნიკალურობის ბირთვს. კულტურა გაიგებს და გამოთქვამს ადამიანი-ღვთაებრივი მიმართების ბუნებას, რაც აფუძნებს კულტურას, როგორც ადამიანის ყოფიერების წესს. ესაა: მშვენიერების, ჭეშმარიტების, სიკეთის, სიწმინდისა და იდეალების, მორალური და იურიდიული ნორმების, დაწერილი და დაუწერელი ნორმების იერარქიული წესი, რომლებიც წარმართავენ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას. კულტურა არის ერის ისტორიით, მენტალობითა და გეოგრაფიული არეალის თვისებებით განპირობებული დიალოგი საკრალურისა და სიწმინდისა. სიწმინდის გაგება არის უღრმესი საფუძველი კულტურის, თვითმყოფადობის, რომელიც საფუძვლად უდევს ამ კულტურის ღირებულებათა სისტემას.

ფილოსოფიას აინტერესებს კულტურა, როგორც ადამიანის შემოქმედების შედეგი. ადამიანი არსებობს სამყაროში, ბუნებაში, მაგრამ ადამიანი ქმნის მე-2 ბუნებას, რომელსაც ბუნება ჰქვია. ეს არის ობიექტივირებული გონი. კულტურა ადამიანის გარდაქმნილი აქტივობისა და ასევე რეალობის პრინციპული უკმარისობის გამოხატულებაა. კულტურა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების გამოხატულებას. ფილოსოფიას სურს გაარკვიოს კულტურის ფენომენის არსი. ადამიანის ისტორიულ და გონით განვითარებას, კულტურის შესახებ თეორიულ რეფლექსიას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ გარკვეული ფრაგმენტული მოსაზრებები არსებობდა ლათინებთან. მსგავსი აზრების ამოკითხვა შეიძლება ასევე ანტიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში. ამ შეხედულებებს ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ კულტურის ფილოსოფიამდელი კულტურის ფილოსოფია. ციცერონმა თქვა: "გონის კულტურა არის ფილოსოფია".

კულტურის შესახებ ფილოსოფიური განაზრებანი ახალი დროის მოვლენაა, რაც გამოწვეულია ახალი დროის ევროპული მსოფლმხედველობებით. მისი არსი კი მდგომარეობს აზროვნების ახალ პარადიგმაში, რომლის მიხედვით იცვლება სამყაროს მიდგომის წესი. იგი ემყარება სუბიექტის აქტივობის პრინციპს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი დროის ადამიანი, თვითონ არის საკუთარი ყოფიერების დამდგენი. მისი არსებობა დამოკიდებულია საკუთარ შესაძლებლობებზე, რაც განასხვავებს ახალი დროის მსოფლმხედველობას წინა ეპოქების მსოფლმხედველობათაგან. სინამდვილე შედგება იმისაგან, რაც ადამიანამდელია, ანუ ბუნებისაგან და იმისაგან, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი დასაბამიდან დღემდე. ეს ყველაფერი კულტურაა. კულტურის შესახებ პირველ კვლევებს ჰქონდათ ფილოსოფიური ხასიათი, რადგან ფილოსოფია კულტურის არსში წვდომას ისახავდა მიზნად. მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდნენ კულტურის სოციოლოგია, კულტურის ფსიქოლოგია, კულტურის ისტორია, კულტურის ეთნოლოგია. ევროპულ სააზროვნო ტრადიციაში, კულტუროლოგია და კულტურის ფილოსოფია სინონიმური მნიშვნელობით მოიხმარება ევროპულ აზროვნებაში. რაც შეეხებათ ამერიკელ მოაზროვნეებს, მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ცდილობენ კულტუროლოგიის, როგორც ინტეგრარული მეცნიერების ჩამოყალიბებას. მართალია, მეთოდოლოგიურ საფუძვლად ისინიც კულტურის ფილოსოფიას მიიჩნევენ, მაგრამ ამბობენ, რომ კულტურის ფილოსოფიაში ინტეგრირებულია: კულტურის ფსიქოლოგია, კულტურის სოციოლოგია, კულტურის ისტორია და კულტურის ეთნოლოგია.

კულტურის სტრუქტურა
კულტურა როგორც მთელი

კულტურა ადამიანური შემოქმედებითი შრომის პროდუქტია, რომელშიც რეალიზებულნი არიან ღირებულებები. რამდენადაც კულტურა ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენის არენაა, ამდენად კულტურის სტრუქტურის გასაღებს ადამიანის სტრუქტურა წარმოადგენს. ადამიანი სინამდვილესთან სხვადასხვაგვარ მიმართებაშია. პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ იგი ბუნების ნაწილია და როგორც ასეთი ემორჩილება ფიზიკის კანონებს.

ადამიანი როგორც ბიო-სოციალური არსება, რომელსაც ცნობიერება განასხვავებს ბუნების სხვა შვილთაგან, არის ახალი სამყაროს, ადამიანური სამყაროს შემოქმედი. სამყაროსი, რომელიც ადამის ხელით, „გულით" და გონებითაა შექმნილი და რომელსაც ბუნებისგან განსხვავებით კულტურას ვუწოდებთ.

კულტურა, როგორც თავისუფალი შემოქმედებითი შრომის პროდუქტი, ურთულესია თავისი სტრუქტურისა და შინაგანი ტენდენციებით. როცა ვამბობთ, რომ ადამიანი თავისუფალი შემოქმედებითი შრომით ახდენს ღირებულებათა რეალიზაციას, ე.ი. ქმნის კულტურას.

ადამიანის საქმიანობა ფაქტობრივად არსებული ბიოლოგიური და სოციალური ორგანიზმების ბაზაზე, მათზე დაყრდნობით, მათი საშუალებებითა და მათში აღმოჩენილი შესაძლებლობების ფარგლებში ხორციელდება, ამდენად ადამიანი დამოკიდებულია მათზე.

როგორც ვნახეთ, ძალზე რთული და მრავალმხრივია ადამიანი და ასევე მრავალმხრივსა და რთულ მიმართებაშია სამყაროსთან, მისი საქმიანობა შეიძლება გავიგოთ როგორც მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის ქმნა, რაც განპირობებულია ადამიანის მოთხოვნილებათა სამგვარობით.

კულტურის მორფოლოგია

კულტურა ერთიანი, მთლიანი სისტემაა, რომელსაც გააჩნია მრავალი ასპექტი. კულტურის რომელიმე კონკრეტული არტეფაქტი, მაგ.: სამოსი. თანამედროვე საქართველოს სოციალური კულტურის დონე დიდად ჩამორჩება ამავე კულტურის სულიერი და მატერიალური კულტურების დონეს და სახეზე გვაქვს საკუთრივ სოციალური და ზოგადად ქართული კულტურის კრიზისი. როგორც ვთქვით, ემპირიულად კულტურის არტეფაქტებს შორის მკაცრი სადემარკაციო ხაზი არ არსებობს, მიუხედავად ამისა, მასში შესაძლებელია გამოვყოთ საკუთარი სპეციფიკის მქონე მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროები.

მატერიალური კულტურა

ადამიანი უპირველესად თავის თავს ავლენს როგორც მატერიალური არსი, როგორც გარკვეულ დროსა და სივრცეში არსებული, როგორც მოთხოვნილების მქონე. ეს მოთხოვნილებები, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურია. ყოველი ცოცხალი არსება უპირველესად ნივთიერების გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს გარემოსთან. მატერიალური კულტურა იმ საგანთა ერთობლიობაა, რომელიც ადამიანის არსებობის საშუალებას წარმოადგენს.

მატერიალური კულტურა აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანმა იარსებოს, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა იცხოვროს, როგორც ადამიანმა. ამდენად კულტურის მთლიან სტრუქტურაში მატერიალური კულტურა წარმოადგენს საშუალებას კულტურის სხვა ფენების განხორციელებისათვის, რათა ადამიანმა, როგორც კულტურის შემოქმედმა შეძლოს სპეციფიკურ-ადამიანური, სულიერი პოტენციის რეალიზება.

სოციალური კულტურა

ადამიანის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი მისი სოციალურობაა. მართლაც, უბრალო დაკვირვებაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ადამიანის არსებობა მის სოციალურობაშია. სოციალური კულტურა იმ საზოგადოებრივი მოვლენების, დაწესებულებების, ინსტიტუტების და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის, როგორც სოციალური არსების თვითშენახვასა და განმტკიცებას. ადამიანის მიმართება სოციალური ღირებულებებისადმი, რომლის განხორციელების შედეგია სოციალური კულტურა, ისტორიულ ხასიათს ატარებს.

ადამიანის სოციალური მიმართებები რთული და მრავალმხრივია, ასევე სოციალური ღირებულებებიც მრავალფეროვან სპექტრს შეიცავს, დაწყებული სქესთა შორის (გენდერული) ურთიერთობიდან, ოჯახის, ნათესაობრივი ურთიერთობების, სახელმწიფო ინსტიტუტების, სამშობლოსადმი დამოკიდებულების და სხვა მრავალი სახით, რისი საუკეთესო მანიფესტაციაა განსხვავებული სოციალური კულტურების არსებობა, მაგ.: ერთღმერთიანობა ქრისტიანულ კულტურაში და მრავალღმერთიანობა მაჰმადიანურ კულტურაში და სხვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასახელებულ კულტურებში აღნიშნულ სოციალურ მიმართებებს ღირებულებითი მიდგომა განასხვავებს.

მითოსი, როგორც სულიერი კულტურის ფორმა

სულიერი კულტურის ფორმებს შორის მითოსი ყველაზე უფრო მეტად ეურჩება ლოგიკურ განხილვას.

მითოსისათვის დამახასიათებელია სიცოცხლის ერთანობის პრინციპი. მასში ადამიანი საკუთარ თავს არ გამოყოფს გარემოსაგან. ყოველი საგანი, მოვლენა და ნივთი განსულიერებულია, ისინი ადამიანური თვისებების მატარებლებია, ადამიანი საკუთარ თვისებებს ხედავს ყოველ მოვლენაში.

ფეტიშიზმი ასევეა მითოსური ცნობიერების ზოგადი პრინციპების გამოხატულება.

მითოსური ცნობიერება კაცობრიობის გარიჟრაჟზე დაიბადა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიის შემდგომ ეტაპებში ის აღარ მონაწილეობს.

რელიგია

კულტურის არსებობის გზაზე ვერ მივუთითებთ თუნდაც ერთ მომენტს, სადაც მითოსი წყდება და რელიგია იწყება. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რელიგია შეიცავს მითოსურ ელემენტებს და გამსჭვალულია ამ ელემენტებით.

მეორე მხრივ, მითოსი შეიცავს ისეთ მოტივებს, რომლებიც ერთგვარად მიგვანიშნებს მოგვიანებით უფრო გაკეთილშობილებულ რელიგიურ წარმოდგენებზე, უკვე დასაწყისშივე მითოსი პოტენციური რელიგიაა.

ლათინური სიტყვა „რელიგია“, მკვლევართა აზრით, პირველად იმის აღსანიშნავად გამოიყენეს, რომ გამოერჩიათ და სახელდება მოეხდინათ იმ ძალის, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის ძალა და რომელიც მოითხოვს ადამიანისაგან გარკვეული წესით მოქცევას.

რელიგიის, როგორც კულტურის დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბება შეიძლება ვივარაუდოთ იმ მომენტიდან, როცა ადამიანის ცხოვრებაში მკვეთრად გაიმიჯნებიან სიკვდილი და სიცოცხლე, იმქვეყნიური და ამქვეყნიური, ბუნებრივი და ზებუნებრივი, როცა გრძნობად უეჭველობას ენაცვლება უპირობო რწმენა.

რელიგიის სტრუქტურაში გამოიყოფა სამი მხარე - შეხედულებები, ემოციები და კულტი. რელიგიური შეხედულებები არის იმ წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის სამყაროს თავისებურ სურათს.

თანამედროვე მონოთეისტურ რელიგიებს მიეკუთვნება: იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, ხოლო ნაციონალური რელიგიებია: კონფუციანელობა და დაოიზმი ჩინეთში, სინტოიზმი - იაპონიაში, ინდუიზმი - ინდოეთში, ზოროასტრიზმი - იეზიდებში.

ხელოვნება

სულიერ ღირებულებებს ესთეტიკური ღირებულებაც მიეკუთვნება, რომელიც ცნობიერების ემოციურ მხარესთან არის დაკავშირებული. ესთეტიკური ღირებულება რაფინირებული სახით მოცემულია ხელოვნებაში. ხელოვნების რთული ბუნება არის იმის მიზეზი, რომ არცერთი კულტურული მოვლენა ისე წინააღმდეგობრივად არ არის განმარტებული აზროვნების ისტორიაში, როგორც ამას ხელოვნების შემთხვევაში ჰქონდა და აქვს ადგილი.

ხელოვნების სპეციფიკის დადგენა საჭიროებს ხელოვნების რთული სტრუქტურის ანალიზს.

ხელოვნების საგნის სტრუქტურა ორშრიანია, სუბიექტურ-ობიექტური. ხელოვნება, როგორც სინამდვილის სახოვანი მოდელი, ერთდროულად პირობითიც არის და უპირობოც. სინამდვილის მხატვრული ათვისება რთული და მრავალფეროვანია, ამ სირთულის გამოსახატავად დასჭირდა ხელოვნებას განსხვავებული „ენები“ - პლასტიკური, ფერწერული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ა.შ.

ზნეობა

სულიერ ღირებულებებს მიეკუთვნება სიკეთეც, რომელიც ცნობიერების ნებელობით მხარესთან არის დაკავშირებული. ზნეობრივი ცხოვრება უმაღლეს მიზნად სიკეთეს ისახავს. ეს არის ასეთი ცხოვრების უმაღლესი ღირებულება. სიკეთე ადამიანთა ურთიერთობების მომწესრიგებელი ღირებულებაა.

ზნეობა სულიერი კულტურის გამორჩეული და თავისებური ფენომენია. მისი არსებობა საბოლოოდ მიჯნავს ადამიანურ ყოფიერებას ცხოველთა არსებობისაგან. ზნეობრიობის დონე ამა თუ იმ საზოგადოებაში წარმოდგება გარკვეულ საზომად, კრიტერიუმად ამ საზოგადოების კულტურული დონის დასადგენად. სწორედ ზნეობრიობის დეფიციტია კულტურის კრიზისის მაუწყებელი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზნეობრიობის დეფიციტს, მაშინ ეს კულტურა კრიზისულად კი არა, აყვავებულად წარმოგვიდგებოდა. მე-20 საუკუნის კულტურას ახასიათებენ, როგორც მაღალგანვითარებულ ცივილზაციას ზნეობის გარეშე, ან სხვაგვარად მას უწოდებენ ცივილიზებულ ბარბაროსობას, რაც აისახა მსოფლიო ომებში, მასობრივი განადგურების საშუალებებში და ა.შ. ალბერტ შვეიცერის აზრით, უზნეობა კი არ არის ომით გამოწვეული, არამედ პირიქით, ომი არის ზნეობის დაკარგვის შედეგი.

მეცნიერება

სულიერ კულტურას ეკუთვნის მეცნიერებაც, რომელიც დაკავშირებულია ცნობიერების შემეცნებით მხარესთან მისი სხვადასხვა დარგებით. მეცნიერება კულტურის თავისებური ფენომენია.

მეცნიერებას, როგორც სულიერი კულტურის დამოუკიდებელ ფორმას, განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა ფილოსოფოსთა - პითაგორას, ატომისტების, პლატონისა და არისტოტელეს შემოქმედებაში აღმოცენება.

არსებობს მეცნიერების რამდენიმე სახე, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცოდნის ხასიათით, შინაარსითა და კრიტერიუმით. აქედან გამომდინარე ახდენენ მეცნიერებათა კლასიფიკაციას. უახლესი კლასიფიკაციის მიხედვით განასხვავებენ სამ ტიპს: ფორმალურს, რეალურსა და ისტორიულს. ჩვენს მიერ ხსენებულ კლასიფიკაციაში არ მოხვდა ფილოსოფია, რომელსაც მეცნიერებათა დედოფალს უწოდებენ და რომლის წიაღშიც წარმოიშვა მეცნიერების ყველა დარგი.

ფილოსოფია

ფილოსოფიამ მისი წარმოშობიდან დღემდე მეტად რთული და წინააღმდეგობით აღსავსე გზა გაიარა. ის ჩაისახა მითოსურ ცნობიერებაში და განვითარდა როგორც მითოსური ცნობიერების უარყოფა. კაცობრიობის კულტურის სხვადასხვა ეტაპზე ის თავს სხვადასხვანაირად ავლენდა. მიუხედავად ამისა, იგი ყოველ ეტაპზე ინარჩუნებდა იმ სპეციფიკურ თვისებებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს კულტურის ამ ფენომენს უწყვეტობასა, თავისებურებასა და მნიშვნელობაზე ვილაპარაკოთ საკაცობრიო კულტურაში.

ფილოსოფია არის კვლევა-ძიება ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართების შესახებ. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ის ყველაზე რთული სტრუქტურის შემცველია. ფილოსოფიის სტრუქტურის მორფოლოგიური ანალიზი დღესაც გარკვეული დავის საგანია. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეიძლება პირობითად მოვახდინოთ ფილოსოფიურ დისციპლინათა კლასიფიკაცია. ისინი შეიძლება დავყოთ ასე: ფილოსოფიის განშტოებანი და ფილოსოფიის ნაწილები. ფილოსოფიის განშტოებებს მიეკუთვნებიან ლოგიკა, ეთიკა და ესთეტიკა, ხოლო ნაწილებს – ონტოლოგია, გნოსეოლოგია, აქსიოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, კულტურის ფილოსოფია, პოლიტიკის ფილოსოფია, ენის ფილოსოფია და სხვ.

ლიტერატურა:

1. ყულიჯანაშვილი ა., კულტურის თეორია, თბ., 2009, გვ. 10-75, 122-200.
2. რამიშვილი ვ., ფილოსოფია, თბ., 2010, გვ. 255-263.
3. ეთნოლოგია, ქრესტომათია, თბ., 1998.
4. ბიბლია, გამომცემლობა „საპატრიარქო“, 1989.

ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა თუ მათი უფლებების დაცვა

თამარ ხარაიშვილი, ზურაბ ტოროშელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

შესავალი

ცხოველების უფლებების დაცვისადმი ინტერესს იჩენდნენ ჯერ კიდევ უძველეს ხანაში. ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას გმობდა იმპერატორი აშოკი (ჩ.წ–მდე 304–232 წწ.), რომელმაც აკრძალა ცხოველების მსხვერპლად შეწირვის რიტუალები.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ადამიანების შეხედულება ცხოველებისა და მათი უფლებებისადმი, შესაბამისად, გამოიცა სხვადასხვა სამართლებრივი აქტი, რომლითაც ცდილობდნენ დაეცვათ ცხოველების უფლებები. თუმცა ბევრი მათგანი მხოლოდ ფორმალურად

არსებობდა და ბევრი მათგანიც გამოცემის შემდგომ მალევე გაუქმდა, რადგან საზოგადოება, როგორც ჩანს, ბოლომდე მზად არ იყო მიეღო და შეესრულებინა აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

თანამედროვე მსოფლიოში ცხოველთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველსა და გარანტიას წარმოადგენს ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია.

ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია მიღებულია 1977 წლის 23 სექტემბერს ცხოველთა უფლებების საერთაშორისო ლიგის მიერ ქ. ლონდონში, ხოლო მისი მსოფლიო აღიარება მოხდა 1990 წელს.

რაც შეეხება საქართველოს, აღნიშნული საკითხი ჩვენ სახელმწიფოში, სამწუხაროდ, ძალზე მწვავედ დგას. საქართველოში თითქმის ყოველდღე ხდება ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტები მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს 259–ე მუხლს, რომელიც წესით უნდა აწესრიგებდეს აღნიშნულ საკითხს, თუმცა რამდენად აწესრიგებს რეალურად, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია და საქართველოს კანონმდებლობა

ჩვენი რელიგია, ქრისტიანობა და აგრეთვე სხვა რელიგიები – ისლამი და იუდაიზმიც ცხოველების დაცვას მისი მესაკუთრის მოვალეობად მიიჩნევს. რელიგია ითვალისწინებს მათი მოვლის წესებსა და აგრეთვე მათი ხოცვის რეგლამენტს, რომელიც მიზნად ისახავს ცხოველების ტანჯვის, ტკივილისა და შიშის თავიდან აცილებას.

1959 წელს შეიქმნა ცხოველთა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება (ISPA).1981 წელს საზოგადოება გაერთიანდა ცხოველთა დაცვის მსოფლიო ფედერაციასთან (WFPA) და გარდაიქმნა ცხოველთა დაცვის საერთაშორისო საზოგადოებად (WSPA).

ცხოველთა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება არის ერთ–ერთი იმ ორგანიზაციათაგანი, რომელიც იბრძვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის მიღებისათვის. ის ატარებს აქტიურ კამპანიებს, რათა გაერომ აღიაროს ცხოველები ცოცხალ არსებებად, რომლებიც ასევე განიცდიან ტანჯვასა და ტკივილს და რომ ცხოველების კეთილდღეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს მსოფლიოს ქვეყნების სოციალური განვითარების პროცესში.

ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის პრეამბულაში ნათქვამია:

- ✓ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სიცოცხლე – ერთია, რომ ყველა ცოცხალი არსება ერთი წარმოშობისაა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ სახეობათა ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა,
- ✓ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ყველა ცოცხალ არსებას აქვს მინიჭებული ბუნებრივი უფლებები და რომ ნერვული სისტემის მქონე ნებისმიერ ცხოველს გააჩნია გარკვეული უფლებები,
- ✓ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ცხოველთა ამ ბუნებრივი უფლებების უგულებელყოფა, აბუჩად აგდება, ან უბრალოდ მათი არცოდნა სერიოზულ ზიანს აყენებს დედა-ბუნებას და ადამიანებს ცხოველების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებებისაკენ უბიძგებს,
- ✓ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის არსებობა უკვე გულისხმობს ადამიანის სახეობის მხრიდან სხვა სახეობის ცხოველთა სიცოცხლის უფლების ცნობას,
- ✓ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ადამიანის მიერ ცხოველთა ჰუმანური პატივისცემა განუყოფელია ადამიანის მიერ ადამიანის ღირსების პატივისცემისაგან, მაშინ დაცული და აღიარებული იქნება დეკლარაციაში ჩამოყალიბებული ცხოველთა უფლებები, რომელთაგან, რა თქმა უნდა, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია ის, რომ ყველა ცხოველს აქვს თანაბარი უფლება იარსებოს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში[1].

ცხოველის მოკვლაზე საუბრობს დეკლარაციის მე–3 მუხლის მე–2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ აუცილებელია ცხოველის მოკვლა, ეს უნდა მოხდეს მყისიერად, ტკივილის და ტანჯვის მიყენების გარეშე.

დეკლარაციის მე–5 მუხლით მოწესრიგებულია შინაური ცხოველების და ზოგადად ადამიანზე დამოკიდებული ცხოველების მდგომარეობაც. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადამიანზე

[1] ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცის პირველი მუხლი

დამოკიდებული ნებისმიერი ცხოველის უფლებაა მიიღოს შესაფერისი მოვლა და ზრუნვა; დაუშვებელია ცხოველის უმიზეზოდ, გაუმართლებლად მიტოვება ან მოკვლა; [1]

ძალიან მნიშვნელოვან და აუცილებელ მუხლს წარმოადგენს დეკლარაციის მე–6 მუხლის მე–2 ნაწილი, რომლის თანახმად, სისტემატურად უნდა ვითარდებოდეს და ხორციელდებოდეს ცხოველთა სულადობის აღდგენის მეთოდები.

დეკლარაცია, რა თქმა უნდა, ზრუნავს ცხოველთა იურიდიულ სტატუსზეც და ის მე–9 მუხლის პირველ ნაწილში ამბობს: „ცხოველთა გარკვეული იურიდიული სტატუსი და უფლებები უნდა განისაზღვროს სახელმწიფო კანონმდებლობით“.

დეკლარაცია მასში ჩამოყალიბებული მუხლების რეალიზაციის მნიშვნელოვან გარანტიაზე საუბრობს დასკვნით მე–10 მუხლში, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო სახელმწიფო ორგანოები ადრეული ასაკიდან უნდა უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა მიერ ცხოველებზე დაკვირვების, მათი გაგების და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

ახლა დავუბრუნდეთ საქართველოს და ჩვენ სახელმწიფოში არსებულ რეალობას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

საქართველომაც, როგორც დემოკრატიულმა სახელმწიფომ საკუთარ კანონმდებლობაში ადგილი დაუთმო ცხოველების უფლებების დაცვის საკითხს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259–ე მუხლის თანახმად: „1. ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, აგრეთვე ცხოველის წვალება, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) მცირეწლოვნის თანდასწრებით - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“[2]

ზემოაღნიშნული მუხლი, როგორც ვხედავთ, ხაზს უსვამს და აწესრიგებს მხოლოდ ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტებს, მაგრამ საუბარი არ არის ცხოველების სხვა უფლებებზე, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებს ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია. თუმცა ეს კიდევ არაფერია იმ რეალობასთან შედარებით, რომელიც საქართველოშია ცხოველებთან მიმართებაში. შევეცდებით სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის გაცნობით დაგანახოთ, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა ჩვენ ქვეყანაში ამ კუთხით.

ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის მეორე მუხლის თანახმად, „ყველა ცხოველს აქვს უფლება მოეპყრან პატივისცემით“. თუმცა, საქართველოში ცხოველებს არა თუ „პატივისცემით“, ხშირად სასტიკადაც ეპყრობიან. რა უფლებებით სარგებლობენ ცხოველები საქართველოში? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ძალიან საინტერესო ინფორმაციას მივაგენით, რომელიც საზოგადოებრივ–რელიგიურ ინტერნეტჟურნალ „ამბიონს“ მიაწოდა “საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების” თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, თეიმურაზ წიქორიძემ. მისი თქმით, საქართველოში ცხოველთა უფლებების არავითარი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს. საერთაშორისო კონვენციები არ არის რატიფიცირებული, ხოლო ცხოველთა დაცვის შესახებ კანონი, ან ადმინისტრაციული აქტი არ არსებობს. არის ერთადერთი სისხლის სამართლის 259-ე მუხლი, თუმცა ამ მუხლით დღემდე არავინ გასამართლებულა.

ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ გორის რაიონულ სასამართლოს იმ მიზნით, რომ გაგვეგო, განხილულა თუ არა საერთოდ საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებული არცერთი საქმე არ განხილულა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არის მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმწიფო და ჩვენ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას და ყოველივეს, რასაც გვასწავლიან ჩვენი წმინდა წიგნები და წერილები, ცხოველებისადმი მოპყრობის საკითხის გასარკვევად რელიგიური თვალსაზრისით, მივმართეთ გორის საკათედრო ტაძრის დეკანოზს. მან გვითხრა, რომ ჩვენი რელიგია, რა თქმა უნდა, მოგვიწოდებს დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ცხოველურ სამყაროს, ცოცხალ სამყაროს. დაუშვებელია მათი წამება და უმიზეზო, გაუმართლებელი ხოცვა. მან ხაზი გაუსვა ასევე სადაო საკითხს, რომელიც ეხება ეკლესიების ტერიტორიებზე ცხოველთა „შეწირვის“, მათი დახოცვის წეს–ჩვეულებას. მან დაადასტურა, რომ ასეთი ფაქტები ხშირად ხდება, მაგრამ ეკლესია ამას არ ეთანხმება. თუმცა მოსახლეობაში კვლავ რჩება წარმართული წეს–ჩვეულებები და მათ ამოღებას ქართველი ერის ცნობიერებიდან დრო სჭირდება.

სამწუხაროდ, საქართველოში საზოგადოების 99% ცხოველებისადმი არანაირ მორალურ ნორმას არ

[1] ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის მე–5 მუხლი

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კდექსის 259–ე მუხლი

იცავს, პირიქით, ხდება სისასტიკე. ცხოველი, პირველ რიგში, წარმოუდგენიათ საჭმელ ნედლეულად, როგორც ღორი, ცხვარი, ძროხა და ა.შ., გასართობ საშუალებად ან სანადირო ობიექტად. ცხოველებთან მხოლოდ ერთეულები მეგობრობენ.

თბილისსა და სხვა ქალაქებშიც უპატრონო ცხოველების რაოდენობა ძალიან დიდია. დედაქალაქში შედარებით გაუმჯობესდა მუნიციპალური სამსახურის დამოკიდებულება ქალაქში მყოფ უპატრონო ცხოველებისადმი, მაგრამ საზოგადოების მიდგომა არაადეკვატურია. იმის მაგივრად, რომ ქუჩის ძაღლებს დაეხმარონ, ადამიანები მათ დევნიან. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ქუჩის ცხოველი, საუბარია შინაურ ცხოველებზე: ძაღლსა და კატაზე, არ არსებობს. ეს არის შედეგი იმისა, რომ არსებობდა თავშესაფრები, სტერილიზაციის პროგრამები, ხალხმა ქუჩიდან აიყვანა ცხოველები და ისინი არავის დაუხოცავს.[1]

ჩვენთან მოსახლეობის 99%-ს სტერილიზაცია არც აინტერესებს. მათი სურვილია ეს ცხოველები ქუჩიდან მოაშორონ. წლების განმავლობაში თბილისში მიმდინარეობდა და სხვა ქალაქებში დღესაც ხდება ქუჩის ცხოველების მექანიკური განადგურება უსასტიკესი მეთოდებით. ამან გამოიწვია ადამიანებში აგრესიული დამოკიდებულება.

თბილისში ფუნქციონირებს 4 თავშესაფარი: საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების ორგანიზაციის, მუნიციპალიტეტის, ჰოლანდიელების და თამაზ ელიზბარაშვილის თავშესაფარი. საერთო ჯამში ამ თავშესაფრებში დაახლოებით 400-500 ძაღლია. თბილისში რომ გაკეთდეს ახალი თავშესაფარი, ქუჩაში მაინც იგივე რაოდენობის ცხოველები იქნებიან. არავინ იფიქროს, რომ ქუჩიდან ძაღლის წამოყვანით მათი რიცხვი შემცირდება. უნდა არსებობდეს თავშესაფარი, სადაც ცხოველს ვაქცინაცია-სტერილიზაცია ჩაუტარდება და მიკედლებულ ტერიტორიაზე დაბრუნდება. ამას სჭირდება პერიოდი, პროგრამები და მოსახლეობის მენტალიტეტის მაღალი დონე.

საბედნიეროდ, თბილისში სტერილიზაციის პროგრამები დაიწყო. მუნიციპალიტეტის თავშესაფარშიც ხდება სტერილიზაცია, მაგრამ იქ ბევრი რამ არის გამოსასწორებელი.

დასკვნა

გავიმეორებთ რა ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის პრეამბულაში შესანიშნავად ჩამოყალიბებულ ფრაზას, რომ სიცოცხლე – ერთია, რომ ყველა ცოცხალი არსება ერთი წარმოშობისაა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ სახეობათა ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა, თამამად განვაცხადებთ, რომ ჩვენი, როგორც საქართველოს თითოეული მოქალაქის, ასევე ზოგადად მსოფლიოს მოსახლეობის პირდაპირი მოვალეობაა დავიცვათ ჩვენსავით ცოცხალი არსებების, ცხოველების უფლებები და ინტერესები.

ჩვენი, კაცობრიობის მოვალეობაა ვიზრუნოთ ჩვენი მსოფლიოს ცოცხალ, ცხოველურ სამყაროზე, დავიცვათ ისინი გაუმართლებელი დახოცვისაგან, დავიცვათ ისეთი ექსპერიმენტებისაგან, რომლებიც იწვევენ მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

უნდა გვახსოვდეს, რომ გარეული ცხოველების დახოცვა, ბიოსფეროს დაბინძურება და დაზიანება გენოციდური ქმედებებია და ამისათვის თითოეულ ადამიანს კანონის სრული სიმკაცრით უნდა მოეთხოვოს პასუხი. თუმცა მხოლოდ კანონმდებლობის არსებობა საკმარისი არ იქნება პრობლემის გადასაჭრელად.

მსოფლიოს ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ საკმაოდ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ნაბიჯი გადადგა მათ წინ არსებული პრობლემის გადასაწყვეტად. საქართველოს კი, სამწუხაროდ, ჯერ ბევრი აქვს გასაკეთებელი.

საქართველოში რომ დაცული იქნეს ცხოველთა უფლებები, პირველ რიგში, ცნობიერების ამაღლებაა საჭირო, რაც მიიღწევა ქვეყნის კანონმდებლობის, საერთაშორისო კონვენციების და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ ცხოველებისადმი სიყვარული და პატივისცემა ადამიანს ბავშვობის ასაკიდანვე ასწავლონ, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ შეისწავლონ ეს არსებები და გააანალიზონ, რომ ისინი სიძულვილს და მრისხანებას კი არ იმსახურებენ ადამიანების მხრიდან, არამედ დახმარებას, მოვლას საჭიროებენ. როდესაც თითოეული ქართველი ამას გაიაზრებს, სწორედ მაშინ დადგება ის დრო ჩვენ ქვეყანაში, როდესაც თამამად ვიტყვით, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, დაცულია ცხოველთა უფლებები და ადგილი აღარა აქვს იმ სამწუხარო ფაქტებს, რომლებსაც ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა ეწოდება.

[1] http://www.ambioni.ge/cxovelta-problemebi-saqartvelosi

ლიტერატურა:
1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2. ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://www.ambioni.ge/cxovelta-problemebi-saqartvelosi
2. http://ru.wikipedia.org/wiki/Защита_животных
3. http://www.vita.org.ru/veg/religion/bibliya.htm

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

იაკობ გოგებაშვილის ერთი პუბლიცისტური წერილი და ანბანის სწავლების მისეული პრინციპი

მარიამ ბესიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** სრული პროფესორი

„იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს“... წერდა ვასილ ბარნოვი და ვფიქრობთ, ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს აზრი.

XIX საუკუნე გამორჩეული იყო იმით, რომ ღმერთმა მოგვივლინა იაკობ გოგებაშვილი. მან, თავისი სახელმძღვანელოებით, თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტიკითა და პირადი ცხოვრების მაგალითით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველობის გადარჩენაში. იაკობ გოგებაშვილმა შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრება, რადგან კარგად ესმოდა, რომ ენობრივი მთლიანობა ეროვნული მთლიანობის საფუძველია, ამას ჯერ კიდევ X საუკუნის მოღვაწე - გიორგი მერჩულე ქადაგებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილიასეულ სამებას იაკობი მეოთხე ფენომენს დაუმატებს და მისი აზრით, ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი „ეროვნული ძალა“ ამოძრავებს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნეობა.

იაკობის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილია „ერთი მუჭა წიგნი, ათი მუჭა სულელობა ანუ უ. მდივანოვის ანბანი“. ეს წერილი ფელნეტონის სახით დაიბეჭდა ჟურნალ „დროებაში“ (1877 წელს №№ 89 და 90) კ. კალმახელიძის ფსევდონიმით. ამ წერილში ი. გოგებაშვილი საღ პედაგოგიურ-მეთოდურ მოსაზრებათა საფუძველზე აკრიტიკებს მდივანოვის „ანბანს“, რომლის მესამე გამოცემა 1877 წელს გამოვიდა.

სათაურშივე ჩანს ავტორის დამოკიდებულება წიგნისა და მისი ავტორისადმი, რომელსაც ერთ მუჭა წიგნში ათი მუჭა სისულელის ჩატევა მოუხერხებია.

როგორც წერილიდან ვიგებთ, უფალი მდივანოვის ანბანი უკვე თხუთმეტი წელია არსებობს, მაგრამ იაკობ გოგებაშვილმა გვიან შეიტყო და დააფიქრა იმაზე, თუ ეს უგუნურებით სავსე წიგნი ამდენი ხნის მანძილზე როგორ დაუმახინჯებდა და გარყვნიდა პატარა ქართველების გონებას. იაკობ გოგებაშვილი წერილში ვრცლად არ განიხილავს უფალი მდივანოვის ანბანს, რადგან თვლის, რომ ეს მისთვის დიდი პატივი იქნებოდა. მხოლოდ სურს, რომ ზოგიერთი მისი უაზრო მხარეები გამოააშკარაოს.

უფალ მდივანოვს მოუსურვებია ანბანი ახალი მეთოდით შეედგინა, ანბანი სამად გაყო და თითო მესამედიდან ცალკე გაკვეთილის შედგენა მოინდომა. თავდაპირველად ცხრა ასო დაუბეჭდავს რიგზე,

შემდეგ კი რიგი აურევია: წინა ასონი უკან მოუქცევია და უკანანი წინ. ასე შეუდგენია II და III გაკვეთილებიც. შემდეგ სხვადასხვა შრიფტით დაუბეჭდავს ანბანი ჯერ თანმიმდევრულად, მერე არეულად. შემდეგ მოჰგონებია, რომ ასოების შემდეგ სიტყვები უნდა დაებეჭდა, მაგრამ ზედმეტად ჩაუთვლია მათი მარცვლებად წარმოდგენა, სიტყვათა სიმარტივე-სირთულის გათვალისწინება და პირდაპირ ოთხ სიტყვიან ფრაზებზე გადასულა. მაგალითად, აი, ასეთი ფრაზა შემოუთავაზებია: „გოგო დანა გერეთ დადე“, ან „მერე მოდი წერე“. ანბანის ბოლოს კი ასეთი ფრაზებია მოყვანილი: ბოლმა თვალები დამწო (დამწვას ნაცვლად), გოჭი ძალიან ჭყავის, ტურამ ქათამი მოიპარა.

რა კომენტარი შეგვიძლია გავუკეთოთ ამას?

ერთადერთი: მეთოდურად ყოვლად გაუმართლებელია ანბანის შესწავლა ასეთი მიდგომით და ყმაწვილისთვის არაფრის მთქმელი ფრაზების მოშველიებით.

ანბანს მოსდევს რამდენიმეგვერდიანი ტექსტები, მათი შინაარსი უფრო „საყურადღებოა“, რადგან მასში მოცემულია მდივანოვის მიერ შეთხზული ლოცვები, შემდეგ კი მთელი საეკლესიო ლოცვანი, რომელიც ბავშვს ზეპირად უნდა ესწავლა. გოგებაშვილის თქმით, ეს ტექსტები მოკლებულია ყოველივე გრამატიკულსა თუ ლოგიკურ აზრს. დაწერილია გაუგებარი, ცუდად გამართული ფრაზებით და დაგვირგვინებულია ხუცური ანბანით დაწერილი ლოცვებით.

ამ წიგნში არ მოიძებნება არც ერთი მოთხრობა, არაკი, ლექსი, ანდაზა და გამოცანა, რაც უსათუოთ უნდა იყოს ასეთ წიგნებში, ხოლო რაც არის, ისიც დაწერილია საარაკო უვიცობით და სამაგალითო სისულელითო, ამბობს იაკობ გოგებაშვილი და სამართლიანად აკრიტიკებს უფალ მდივანოვს, რადგან იგი ცოდვას ჩადის ჯერ ქართველი ერის წინაშე, რომ უმახინჯებს ენას, ანბანს და შეცდომით ასწავლის ბავშვებს ყველაფერს და მერე ღმერთის წინაშე, რადგან არასწორად განმარტავს ქრისტიანული მოძღვრების არა ერთ ცნებას.

წერილის ავტორს უკვირს, როგორ გაიკვალა ამ უმეცრებამ გზა, რომელიც ენას უმახინჯებს და გონებას ურყვნის პატარა ქართველებს. ამას ორი მიზეზით ხსნის იაკობი: ერთი ისაა, რომ ამ დროს არ არსებობდა ხალხის გასაგებ ენაზე შედგენილი საღვთო ისტორია, მდივანოვს კი შეუნიშნავს, რომ ხალხში დიდი იყო სურვილი მათი ცოდნისა, ბოროტად უსარგებლია ხალხის ამ ინტერესით და შეუტანია ძველი და ახალი აღთქმის მონაკვეთები თავის წიგნში, თუმცა დამახინჯებულად, არასწორი განმარტებებით. მეორე მიზეზი კი ქართველი კაცის უცნაური ბუნებითაა ახსნილი: უნიჭო, უჩინარ პირს ასეთი უმეცრებაც კი მიუტევოს, ხოლო საზოგადო ასპარეზზე გამოსული ადამიანი კი დაუმსახურებლად გასვაროს ტალახში.

წერილში „უმეცრობის ამაყობა“ გოგებაშვილი პასუხობს ანთიმოზ ჯუღელის მიერ გადაღმიელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ რეცენზიას ეძღვნება და აქ იაკობი წერს, რომ ვინმე ზახაროვსკი მიიჩნევს, რომ „რაც და ვინც ქართულ ენას მეტ-ნაკლებობით აყვარებს ბავშვებს, ის მომაკვდინებელი მცოდველია რუსული ენის წინაშეო“ [3: 290]. იგი მოუწოდებს მოსწავლეებს გადადეთ „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ და მთლად მათი შემდგენელი და სამაგიეროდ გიყვარდეთ სერგეი მდივანოვიო. ამის შემდეგ ალბათ ნათელი ხდება, თუ ვინ და რატომ გაუხსნა კარი მდივანოვის მიერ შედგენილ ანბანს.

იაკობ გოგებაშვილმა პირველი სახელმძღვანელო, რომელიც შეადგინა და გამოსცა იყო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი“. ამ წიგნის პირველი გამოცემის თარიღია 1865 წელი.

ანბანი შედგენილია ანალიტიკური მეთოდით. „ეს ანბანი სიტყვებიდგან იწყება“ - წერს ავტორი. მას ეს გზა იმიტომ აურჩევია, რომ „სწავლის დაწყება ასოებიდან ყმაწვილისათვის მავნებელია“. როცა „ანბანი ასოებიდგან იწყება“, „არა ჰაზრს არ ხატავენ“. იაკობის აზრით კი სწავლა უნდა იყოს გონივრული და წამახალისებელი. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პირველად ბავშვი სწავლას იწყებს ნაცნობი სიტყვებიდან, ნაცნობი სახელებიდან.

ამ „ანბანის“ ძირითადი ღირსება ის არის, რომ იგი ცდილობდა მოსწავლე დაეინტერესებინა მოსწავლეთათვის აზრიანი, გასაგები სიტყვების საშუალებით, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურებოდა ანბანის ღირსება სხვა არსებულ ანბანებთან შედარებით, მაგალითად, პლ. იოსელიანის, ივანე კერესელიძის, სერგეი მდივანოვის ქართულ ანბანებთან.

ამ ანბანის გამოცემის შემდეგ მან გამოსცა „დედა ენა“, რომელიც შედგენილია ანალიტიკურ-სინთეზური მეთოდით და ყოველი ახალი ასოს გავლის დროს მოცემულია დასურათებული საგანი, ხოლო სურათის ქვეშ არის დაწერილი საგნის აღმნიშვნელი სიტყვები - პირველად მსხვილი ასოებით, შემდეგ ჩვეულებრივი სიტყვებით, სიტყვა დამარცვლილია და ბოლოს ცალკეულ ბგერებადაა დაწერილი, ე.ი. მოცემულია სიტყვის სრული ანალიზი. ამის შემდეგ იწყება სინთეზი. ყველა ასოს შესწავლას თან ახლავს სათანადო დიდაქტიკური სავარჯიშო. ასოები იმ რიგზედ მისდევს ერთმანეთს, რომ წინ არიან მოქცეულნი უფრო ადვილი ასოები გამოთქმითა და გამოხატულებით და მათ მოყვება უფრო რთული.

იაკობ გოგებაშვილი წინააღმდეგია ერთ გაკვეთილზე ორი ასოს შესწავლისა, რადგანაც „ეს ეწინაღმდეგება ერთს ძირითადს პედაგოგიურს კანონსა: თითო ჯერ თითო სიძნელე“. ამ უკანასკნელ დებულებას უაღრესად სწორი დიდაქტიკური მოსაზრებით ასაბუთებს, როცა ბავშვს ერთი სიძნელე ხვდება, იგი თავისუფლად სძლევს მას. ამასთანავე ადვილად ასატანი ჯაფა მას სიამოვნებას აგძნობინებს და სწავლას აყვარებს, ხოლო როცა ბავშვს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე სიძნელეს ახვევენ თავზე, მას სწავლა უჭირს და მძიმე ტვირთად ექცევა. მთავარ ძალას მაინც პირველი გაკვეთილი - ია, აი ია, სძენდა „დედა ენას“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ეს არის ქართულ სინამდვილეში ყველა დროისათვის ყველაზე დიდი მცნება, ეპოქალური აღმოჩენა, ღვთისაგან ბოძებული აზრი ავტორისა. ია არის მარჯვე გასაღები, იოლი გზა იმ ურთულეს სამყაროში შესასვლელად, რომელსაც წიგნიერების სამყარო ჰქვია... ამ ყველაფრის შემდეგ ალბათ ყველასათვის გასაგებია თუ რატომ აკრიტიკებს ასე დაუნდობლად იაკობი მდივანოვს და მის მიერ შედგენილ ანბანს და ისიც ნათელი ხდება, თუ რა ძალების სურვილი იყო ქართველ ყრმათათვის მათთვის სრულიად გაუგებარი და უსარგებლო მდივანოვის მიერ შეთხზული ანბანი შეეჩეჩებინათ. ბავშვი ჯერ ეცნობა საგანს სათანადო წესით (სურათი და სხვ.), ამის შემდეგ კი სწავლობს ბგერებსა და ასოებს განსხვავებით მდივანოვის ანბანისაგან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იაკობის „დედა ენა“ არის ქართული სახელმძღვანელო, იგი ქართულ ეროვნულ შეგნებას აღვიძებს და ამკვიდრებს მოზარდში. „დედა ენა“ არის ზნეობრივი სახელმძღვანელო - მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ზნეობრივი პიროვნების აღზრდაა. „ია“ „აი“ „ია“. ხმოვან ასოთა, -ანისა და ინის ასე წაღმაუკუღმა დალაგება-გადალაგებით პირველი სიტყვის და მასთან ერთად პირველი ფრაზის ასე შეკრა ახლა, რაღა თქმა უნდა, ადვილია. მაგრამ მისი პირველად ჟღერადობის და უდიდესი შესაძლებლობის აღმოჩენა თავდაპირველად ბევრ ფიქრს საჭიროებდა, რომ ქართულ სიტყვათა ამოუწურავ საგანძურში ჩვენს დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა ეპოვნა.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტომი 1, 1952, „ერთი მუჭა წიგნი, ათი მუჭა სულელობა ანუ უ. მდივანოვის ანბანი“.
2. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტომი 1, 1952, „უმეცრობის ამაყობა“.
3. გოგოლაშვილი გ., ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, თბ., 2012.
4. „იაკობის სამრეკლო“, ზაქარია კიკნაძე, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, თბ., 1990.

ინტონაცია, როგორც რთული ფონეტიკური ერთეული

მედეა ზაუტაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელდარ ხიტირია,** მოწვეული სპეციალისტი

ტერმინი ,,ინტონაცია'' ენათმეცნიერებაში გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. ჯონსისა და არმსტრონგის თვალსაზრისით ტერმინი ,,ინტონაცია'' ძალზედ ხშირად მიესადაგება ტერმინს ,,სამეტყველო მელოდიას''. ამგვარადვეა ეს აზრი გატარებული ლაიპციგის ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

ტერმინ ,,ინტონაციის'' ხმარებასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს ასევე საბჭოთა ფონეტიკოსებს შორისაც. მაგ: გ. პ. ტორსუევს ინტონაციის ქვეშ ესმის ,,სიმაღლე'', ,,სიძლიერე'', ,,ჟღერადობა'' და ,,სამეტყველო ტემპი''.

ო. ნ. ნიკონოვა ,,ინტონაციის'' ქვეშ მოიაზრებს სამეტყველო მელოდიისა და ფრაზის მახვილის გარდა პაუზებსაც.

ადრეულ ხანაში ენათმეცნიერებაში ,,ინტონაციის'' ქვეშ გულისხმობდნენ მელოდიის პროცესს წინადადებაში.

დღევანდელ ენათმეცნიერებაში ,,ინტონაცია'' წარმოადგენს რთულ ცნებას. ერთი მხრივ, იგი მოიცავს სხვადასხვა მოვლენებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს.

ინტონაციის კომპონენტები აწესრიგებენ მეტყველებას ფონეტიკური და გრამატიკული თვალსაზრისით და ამასთან ერთად ანაწევრებენ მეტყველებას წინადადებებად და სინტაგმებად, გამოხატავენ ლოგიკურ დამოკიდებულებას წინადადების ნაწილებს შორის...

ინტონაცია და მისი სახეები თანამედროვე გერმანულ ფრაზაში

ინტონაციას საერთოდ განეკუთვნება ყველა ის ფონეტიკური საშუალებები, რომლებიც მეტყველებას აწესრიგებს, ე.ი საუბრისას ცალკეულ სიტყვებს სიტყვათა ჯგუფებში, სინთაგმებში და წინადადებებში აერთიანებს, რომლებიც განსაზღვრავენ წინადადების სახეს მიზნის მიხედვით და ამასთან ერთად ახასიათებს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. მაგ.: თუ ჩვენ წარმოვთქვავთ იზოლირებულად სიტყვებს: ,,wir'', ,,gehen'', ,,heute'', ,,rechtzeitig'', ,,nach Hause''. ამ დროს წარმოვთქვავთ მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკურ ერთეულებს, ამ შემთხვევაში არავითარი წინადადება არ იქმნება. მაგრამ თუ ჩვენ ამავე სიტყვებს ინტონაციის მიხედვით გავაერთიანებთ, მაშინ მივიღებთ უკვე წინადადებას: ,,Wir gehen heute rechtzeitig nach Hause''.

თითოეულ წარმოთქმულ წინადადებას ახასიათებს თავისი ინტონაცია. სიტყვებს: ,,sie'', ,,kommen'', ,,schon'' შეუძლიათ შექმნან გამონათქვამის მიზნის მიხედვით სხვადასხვა წინადადება.

Sie kommen schon.- Aussagesatz (თხრობითი წინადადება.)

Sie kommen schon?- Fragesatz (კითხვითი წინადადება.)

Sie kommen schon!- Ausrufesatz (ძახილის წინადადება.)

წერით მეტყველებაში წინადადების სახეს განსაზღვრავენ ორთოგრაფიული ნიშნები. ზეპირ მეტყველებაში კი წინადადების სახეს ინტონაცია განსაზღვრავს.

მაშასადამე, ინტონაცია წარმოადგენს ფონეტიკურ, სინტაქსურ საშუალებას.

ზოგჯერ ინტონაცია არის ერთადერთი საშუალება, რომელიც წინადადებას განსაზღვრავს. ზემოთ მოყვანილ წინადადებაში - Sie kommen schon- ინტონაცია მხოლოდ და მხოლოდ გვიჩვენებს იმას, თუ რა წინადადებაა ეს - თხრობითი, კითხვითი თუ ძახილის, დანარჩენ შემთხვევაში ინტონაცია განსაზღვრავს ლექსიკურ ანდა სინტაქსურ საშუალებებთან ერთად წინადადების სახეს.

კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვით წინადადების სახეს განსაზღვრავს თვით კითხვითი სიტყვა და ინტონაცია, ხოლო კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვის გარეშე წინადადების სახეს განსაზღვრავს სიტყვათა წყობა და ინტონაცია.

მაგ.: Wer kommt mit? Schreiben Sie ein Diktat?

ინტონაცია ახასიათებს აგრეთვე მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. მას ასევე შეუძლია გვიჩვენოს მოსაუბრის გრძნობები.

წინადადებას შეიძლება ჰქონდეს მშვიდი, უშუალო, მხიარული, აღშფოთებული, გაკვირვებული და უკმაყოფილო ჟღერადობა. თხრობითი წინადადება - Sie kommen schon - შეიძლება წარმოვთქვათ უშუალოდ, დანანებით ანდა სიხარულით.

ძახილის წინადადება - Sie kommen schon! - შეიძლება ჟღერდეს გაკვირვებით, განრისხებით ან სიხარულით.

კითხვით წინადადებას - Sie kommen schon? - შეუძლია გამოხატოს გაკვირვება ან უსულგულობა.

ამრიგად, ყველა ეს წინადადება სხვადასხვანაირად ჟღერს თუ მოსაუბრე თავის გრძნობებს გამოხატავს ძლიერად. ე. ი. თუ მოსაუბრის მეტყველებას ემოციური ელფერი ადევს, მაშინ ინტონაცია არის ემფატიური (შთამბეჭდავი).

ინტონაცია არის რთული ფონეტიკური ერთეული, მისი კომპონენტებია: პაუზები, წინადადების ანუ ფრაზის მახვილი, მელოდია, ტემპი, ტონის სიძლიერე და ტონის შეფერილობა. ეს კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და გამოდიან ერთ კომპლექსში.

მაგ.: პაუზა წარმოადგენს მეტყველების დანაწევრებას. წინადადების ანუ ფრაზის მახვილი - ეს არის წინადადებაში მნიშვნელოვანი აზრის გამოყოფა. მელოდიის ქვეშ იგულისხმება ხმის ტონის ცვლილებანი საუბრისას. ტემპი არის სწრაფი და ნელი საუბარი. ტემპი კერძოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული მახვილთან. ტონის სიძლიერე წარმოადგენს წყნარ ან ხმამაღალ საუბარს. ტონის შეფერილობის ქვეშ კი გვესმის ხმის ჟღერადობის შეფერილობა. ტონის შეფერილობა ინდივიდუალურია. სხვადასხვა ხმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტონის შეფერილობით. ხმის ტონის შეფერილობაზე მოქმედებს ასევე მოსაუბრის გრძნობებიც. სიხარულის, მხიარულების, სიყვარულის გამოხატვისას ხმა ჟღერს უფრო ნათლად და რბილად. ძალადობისას ხმა ჟღერს უფრო მკაცრად, ცივად. ტონის შეფერილობა განეკუთვნება ემოციონალურ ინტონაციას, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამორკვეული.

ინტონაციის ყველა კომპონენტი წინადადებაში ერთიანად გამოდის, მაგრამ მათი როლი მაინც სხვადასხვაა. მაგ.: წინადადებაში - ,,Wir treffen uns im Institut'', გვიჩვენებს მელოდიას, რომელიც დამახასიათებელია თხრობითი წინადადებისთვის. პაუზა გვიჩვენებს წინადადების დამთავრებას.

ფრაზის მახვილი მელოდიასთან და ტემპთან ერთად მთელ წინადადებაში წინ სწევს აზრობრივ მნიშვნელობას. ტემპი, ტონის სიძლიერე და ტონის შეფერილობა გვიხასიათებს მოსაუბრეს და მის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი.

ჩვენ განვიხილავთ ინტონაციას და მის ნაირსახეობებს მარტივ ფრაზებში. ნიკონოკას, შიშკინას, მალიუტკინას, მილოკიდოვას გამოკვლევებით და მათი ერთიანი აზრის მიხედვით დამკვიდრებულია ინტონაციის სამი სახე:

1. ტერმინალური ანუ აზრის დამამთავრებელი ინტონაცია - die terminale Intonacion, die abschliessende Intonacion, Intonacion der Abgeschlossenheit.
2. პროგრედიენტული ანუ აზრის გამაგრძელებელი ინტონაცია - die progrediente Intonacion, ან die Nichtabschliessende Intonacion ან კიდევ - die Weiterweisende Intonacion.
3. ინტერროგატიული ანუ კითხვითი ინტონაცია - die interrogative Intonacion, ან die fragende Intonacion.

ინტონაციასთან საერთოდ მჭიდროდაა დაკავშირებული მელოდია. ამ მიზნით განვიხილოთ ინტონაციის სახეები, რომლებიც დამახასიათებელია სხვადსხვა სახის წინადადებისთვის. მაგ.: 1. ტერმინალური ანუ აზრის დამამთავრებელი ინტონაცია- დამახასიათებელია შემდეგი წინადადებისათვის:

ა). თხრობით წინადადებაში: z.B. Eines Tages machten wir uns auf den Weg zum Wald.

ბ). ძახილის წინადადებაში: z.B. Lesen Sie den Text!

გ). კითხვითი სიტყვის მქონე კითხვით წინადადებაში. z.B. Wer hat diesen interessanten Artikel geschrieben?

სხვათა შორის კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების წარმოთქმა შეიძლება ორნაირად. შეგვიძლია მახვილი კითხვით სიტყვაზე გავაკეთოთ, ან - შემასმენელზე.

დ). ორმაგი შეკითხვის მეორე კომპონენტში. z.B. Fahrst du nach Tbilissi oder nach Kutaisi?

ე). ირიბ ნათქვამში: z.B. Er sagte mir, dass seine Schwester an der Konferenz teilgenomen hat.

ვ). ირიბ შეკითხვაში: z.B. Er fragte mich, ob ich heute in den Markt gehe.

2. პროგრედიენტული ანუ აზრის გამაგრძელებელი ინტონაცია გვხვდება:

ა). პირდაპირი ნათქვამისა და პირდაპირი კითხვის მაუწყებელ წინადადებაში:

z.B. Er sagte mir, Meine Schwester hat an der Konferenz teilgenomen.

Er fragte mich: ,,Gehst du heute in den Markt?''

ბ). ირიბი ნათქვამისა და ირიბი კითხვის მაუწყებელ წინადადებაში:

z.B. Er sagt, dass er aufs Land fahrt.

გ). თანწყობილ წინადადებებში: z.B. Ich bin beschaftigt, aber ich werde ins Theater gehen.

დ). ქვეწყობილ წინადადებებში: z.B. Ich weiss, dass er ein guter Sportler ist.

ე). ჩამოთვლისას: z.B. Im Institut studieren wir: Phonetik, Grammatik, Lexik…..

3. ინტერროგატიული ინტონაცია გვხვდება შემდეგ წინადადებებში:

ა). კითხვითი სიტყვის არმქონე კითხვით წინადადებაში. z.B. Haben Sie den Tirkurs besucht?

ბ). უკუ შეკითხვაში: z.B Woher wissen Sie das?- Woher ich das weiss?

გ). თავაზიან თხოვნაში – Darf ich eintreten?

დ). თავაზიან შეკითხვაში - Wie bitte?

დასკვნა

ამგვარად, ინტონაციის საშუალებები ასრულებენ ფონეტიკურ, ლოგიკურ, გრამატიკულ და ემოციონალურ ფუნქციებს.

ამგვარად, ,,ინტონაციის'' ქვეშ იგულისხმება ბგერითი გამოხატვის საშუალებები, რომლებიც ემსახურებიან მეტყველების ფონეტიკურ და გრამატიკულ მოწესრიგებას და მოსაუბრეს (მეტყველს) ეხმარებიან წინადადების აზრის და შინაარსის მთლიანობის გამოხატვაში.

ლიტერატურა:

1. შათირიშვილი შ., გერმანული ენის ფონეტიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1968.
2. ვარდიშვილი ა., ბეგლარიშვილი ც., გერმანული ენის ფონეტიკური კურსი, თბ., 1979.
3. О. Н. Никонова, Фонетика немецкого языка, М., 1958.
4. П. В. Миловидова, Вводно коррективны фонетическый курс немецкого языка, М., 1967.

5. О. А. Норк. Вводный фонетический курс, М., 1946.
6. В. Б. Линднер, Фонетика немецкого языка, М., 1959.
7. Zacher O., Deutsche Phonetik, Leningrad, 1960.

ДОХРИСТИАНСКАЯ ПИСЬМЕННОСТЬ У СЛАВЯН: ПОЛЕМИКА И КРИТИКА

Георгий Капанадзе
ст. 3 курса спец . «английская филология»
научн. рук. проф. Н. Хинчагашвили

Целью нашего исследования является обработка и систематизация последних материалов, касающихся дохристианской письменности у славян. Предметом исследования является очень любопытная, на наш взгляд, трактовка профессора Валерия Чудинова данной темы. Научная новизна работы и её практическая значимость заключаются в систематизации и обобщении новых материалов на тему. Мы использовали поисковый и аналитический методы исследования.

Дохристианская письменность славян (докириллическая, письменность) гипотетическая письменность, предположительно существовавшая у древних славян до начала их христианизации в ходе миссии Кирилла и Мефодия и создания глаголицы и кириллицы.

На данный момент накоплено относительно большое количество противоречивых свидетельств как в пользу, так и против существования письменности у славян до летописного начала использования кириллицы и глаголицы. Немногочисленные свидетельства, основывающиеся на работах современников того периода, не отличаются особой подробностью и объективностью.

О существовании каких-то знаков для письма (или счёта) и гадания («черты и резы») у славян-язычников пишет Черноризец Храбр в своем «Сказании о писменех»: «…Прежде убо словѣне не имѣху писменъ (вариант: книгъ), нъ чрътами и рѣзами чьтѣху и гатааху, погани суще…». Глагол чисти значит как «читать», так и «считать»; книгы (мн. ч.) — не только книга в современном смысле, но и вообще письменный текст, запись. Титмар Мерзебургский (976–1018 гг.), описывая западнославянскую крепость-храм Ретра (Радигощ, Радогост, Радегаст) на острове Рюген, пишет, что на каждом из имевшихся в святилище идоле было вырезано имя божества: Есть в округе редариев некий город, под названием Ридегост, треугольный и имеющий трое ворот… В городе нет ничего, кроме искусно сооружённого из дерева святилища, основанием которого служат рога различных животных. Снаружи, как это можно видеть, стены его украшают искусно вырезанные изображения различных богов и богинь. Внутри же стоят изготовленные вручную идолы, каждый с вырезанным именем, обряженные в шлемы и латы, что придаёт им страшный вид. (1)

Письменные свидетельства, относящиеся именно к народу руси В «Житиях Мефодия и Константина, в монашестве Кирилла», написанных в средние века на основе ранних церковных документов, рассказывается о путешествии в 860-х годах Константина в Херсонес (Крым), где будущий создатель славянской азбуки готовился к церковному диспуту в Хазарском каганате: В Херсоне Константину удалось найти «Евангелие и Псалтирь роусьскыми письмены писана», а также человека, говорившего этим языком. Константин, беседуя с ним, научился этой речи и, на основании бесед разделил письмена на гласные и согласные буквы и с помощью Божией вскоре начал читать и объяснять найденные книги. Сомнениям подвергалось как то, что в этом контексте «роусьский» значит «славянский». (4)

До X века византийские авторы разделяли росов (русов), совершавших набеги на Византию, и славян, так что возможно, что так называемые «русские письмена» имели иное происхождение. К тому же в том же «Житии» прямо говорится об отсутствии у славян письменности. Когда Константин спросил византийского императора Михаила III о буквах на славянском языке, то император ответил, что его дед, отец и многие другие искали, но не нашли их.

Ещё одна гипотеза (о ней упоминает, хотя и не высказывается в её поддержку В. Истрин; её развивал, в частности, А. Вайан) состоит в том, что в тексте была описка или тенденциозное искажение при переписывании — первоначально имелись в виду не «роуськие», а «соурськие» (сирийские) письмена. Проблема разделения гласных и согласных звуков была характерна для всех семитских письменностей, в том числе и для сирийского письма, но совершенно не характерна для любой из европейских письменностей. Возможно также, что к Константину попали Евангелие и Псалтирь на готском языке, достаточно близком к скандинавскому («роусьскому»), поскольку крымские готы в то время ещё жили в Крыму, недалеко от Херсона. (4)

Ибн Фадлан, арабский посол в Волжскую Булгарию в 922 году, рассказывает о нравах и обычаях русов, прибывших по торговым делам в Булгарию. После ритуального сожжения умершего соплеменника русы оставили надпись на могиле: Потом они построили на месте этого корабля, который они вытащили из реки, нечто подобное круглому холму и водрузили в середине его большую деревяшку хаданга (белого тополя или берёзы), написали на ней имя [умершего] мужа и имя царя русов и удалились. К сожалению, Ибн Фадлан не оставил более подробных заметок об этнографической принадлежности «русов». (6)

Арабский писатель Ибн ан-Надим в «Книге росписи известий об учёных и именах сочиненных ими книг» (987—988 гг.) сообщает: Русские письмена. Мне рассказывал один, на правдивость коего я полагаюсь, что один из царей горы Кабк [Кавказ] послал его к царю Русов; он утверждал, что они имеют письмена, вырезываемые на дереве. Он же показал мне кусок белого дерева, на котором были изображения, не знаю были ли они слова, или отдельные буквы, подобно этому. (2)

Надпись Ибн ан-Надима была представлена в Санкт-Петербурге в научном докладе арабиста Христиана Даниловича Френа в 1835 году, графически надпись стилизованна под арабское письмо и расшифровать её до сих пор не удалось. Предполагается, что белое дерево для письма было просто берёзовой корой. Небрежно срисованная Ибн ан-Надимом «русская» руническая надпись внешне напоминает скандинавскую руническую монограмму[источник не указан 186 дней]. Подобные монограммы изображались, например, на перстнях скандинавских воинов, служивших в Киевской Руси, но приемлемого прочтения таких монограмм не существует [источник не указан 186 дней. (5)

Персидский историк XIII века Фахр ад-Дин Мубарак-шах Марварруди: «У хазар есть также письмо, которое происходит от (письма) русов, ветви румийцев, которая находится вблизи них, и употребляет это письмо, и они(хазары?) называют румийцев „русами“. Хазары пишут слева направо и буквы не соединяются между собой. У них 21 буква: Б, Дж, Д, h, В, З, Х, th, Й, К, Л, М, Н, С, Г, Ф, Q, Р, Ш, Т, S [в оригинале записано арабскими буквами]. Та ветвь хазар, которая пользуется этим письмом, исповедует иудейство» (по переводу В. В. Бартольда). (4)

По мнению С. С. Высоцкого и А. А. Зализняка, в свидетельстве Марварруди речь идёт о кириллице, Сочинение Клювера излагает рассказ с указанием на диссертацию немецкого историка Конрада Шурцфлейша от 1670 года, в которой доказывалось, что у германских славян были свои школы, где детей обучали рунам. Ту же мысль повторил Клювер относительно германских вендов (славян): «Правда школы у вендов были в плохом состоянии, тем не менее их учителя-священнослужители наряду со своими буквами пользовались руническими письменами следующего облика» (3). В доказательство приводился образец алфавита, сходного с датскими рунами XIII—XVI веков, но имеющего ряд особенностей (которые обнаруживаются на предметах из Прильвицы, известных по более поздним публикациям).

Бронзовые изображения богов лютичей, покрытые славянскими «руническими письменами», и ритуальные предметы из Ретринского храма (см. Прилвицкие идолы) были найдены в земле деревни Прильвиц в конце XVII века и описаны А. Г. Машем.Однако позднее фигурки утрачены, в российской академической науке признаны подделками.

Одной из самых известных поддельных рукописей, претендующих на докириллические, является созданная в 1950-е годы Велесова книга, письменность которой — деформированная по образцу деванагари кириллица.

Гипотеза о славянских рунах долгое время не поддерживалась археологическими находками. Древнейшим восточнославянским текстом считается гнёздовская надпись на глиняном кувшине (корчаге), обнаруженном в1949 году при раскопке кургана возле села Гнёздово под Смоленском. Надпись-слово ГОРОУХЩА, обозначающее то ли сосуд для хранения горчицы, то ли имя владельца, выполнено кириллицей и датируется по найденным там же арабским монетам первой четвертью X века.

В 1912 году при археологических раскопках церкви Богородицы Десятинной в Киеве была найдена свинцовая печать, на обеих сторонах которой помещены изображения княжеского знака в форме простого двузубца, окружённого частично сохранившейся греческой или кириллической надписью. Исследователи пришли к выводу, что надпись на печати означает имя Святослав (князь, правивший в 945-972 годах). В обоих случаях это образец использования славянами-язычниками письменности, уже существовавшей у славян-христиан (в частности, болгар).

Одна из надписей, которая может притязать на звание «славянской рунической» — знаки на горшке из села Алеканово подРязанью (обнаружил археолог С. А. Городцов в конце 1897 года). Горшок датируется X—XI веками и выполнен, по мнению археолога, на месте. Там же в селе Алеканово на обломках посуды было обнаружено ещё несколько подобных знаков. У археологов существуют сомнения по поводу того, являются ли эти знаки надписью или же тамгами (родовыми знаками).

Интересную находку сделал в 1985 году вологодский археолог-краевед И. Ф. Никитинский. Он исследовал так называемое Тиуновское святилище, расположенное в Тарногском районе Вологодской области в бассейне реки Кокшеньга. Одним из объектов исследования стал огромный валун с высеченными на нём картинами и надписями. Этот камень местное население считает священным. На камень нанесено много надписей на кириллице. Самые ранние надписи на кириллице относятся либо к XIV либо к XV веку, однако возможно, что некоторые рисунки на камне старше. На камне есть несколько символов, скорее всего являющихся родовыми знаками (тамгами), однако было сделано замечание об их сходстве с руническим письмом. Пока надпись окончательно не расшифрована. Известно, что местное население вплоть до XVII века

(и, возможно, позднее) оставалось язычниками, и валун с высеченными знаками может считаться одним из сохранившихся до наших дней языческих культовых камней.

В 1967 году у села Войсковое Солонянского района Днепропетровской области был обнаружен ритуальный глиняный сосуд, датируемый эпохой Черняховской культуры (II—IV века) Надпись на сосуде состоит из двенадцати позиций и использует 6 знаков. Надпись не была расшифрована, однако схожесть начертания надписи с рунами определенно имеется.

Также существуют нерасшифрованные знаки на Микоржинских камнях (Познань, Польша) и Ситовская надпись (Ситово, Болгария, обнаружена в 1928), в которых предполагают рунические надписи славян. Есть версия перевода Ситовской надписи на фригийском языке.

Известны также пространные нерасшифрованные надписи на славянских биконических пряслицах XI—XIII веков, например, из Белоозеро или Волковыска. Также нерасшифрована надпись на сосуде из Археологического отдела бывшего Тверского музея, опубликованная Жизневским в 1888 году. Прорисовки трёх нерасшифрованных надписей — из Белоозеро, Волковыска и Тверской губернии.

На русском мече, найденном в Киевском уезде и датируемым серединой X века, сохранились надписи — с одной стороны клинка — кириллическая надпись «Слав», полностью не сохранившаяся по причине сломанного меча, она представляла собой имя кузнеца-изготовителя (как и Людоша на мече из Фощеватой). С другой стороны — не расшифрованные символы.

На обнаруженных в ходе раскопок в Новгороде деревянных «цилиндрах-замка́х» (пломбах) были обнаружены кириллические надписи, сделанные мечниками — сборщиками податей. Так, на одной деревянной пломбе, датируемой концом X века (970-е —980-е годы), имеется надпись упоминающая реку Тихманьга в нынешней Архангельской области: «Мецъницъ мѣхъ въ Тихъм[ен]гѣ пол[чет]ъвѣръ[та]». (3)

Надписи, принимаемые за памятники «славянских рун», чрезвычайно разнородны по географии и возможной датировке и визуально не представляют собой чёткой единой системы письма. Большое количество подобных надписей впоследствии зачастую оказывались памятниками других, более-менее известных письменностей (например, надписи из хазарского города Саркела, которые И. А. Фигуровский пытался «прочитать» на древнерусском, были определены как памятники тюркского рунического письма).

ЛИТЕРАТУРА:

1. Громов Д. В., Бычков А. А. Славянская руническая письменность: факты и домыслы, М.: 2005.
2. Загадки славянской письменности. М., «Вече», 2002
3. Истрин В. А. 1100 лет славянской азбуки, М., 1988
4. Священные камни и храмы древних славян. М., «Фаир-Пресс», 2004
5. Тайные руны древней Руси. М., «Вече», 2005

ტოპონიმებად გამოყენებული რამდენიმე ზმნისართის შესახებ

მარიამ კვაღნიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

თანდებული არის ფორმაუცვლელი დამხმარე სიტყვა, რომელიც გარკვეული ბრუნვის ფორმას დაერთვის. თანდებული მომდინარეობს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან, სახელებისა და ზმნისართებისაგან. თანდებულები გამოყენებულია ზმნიზედებად. თანდებულები აღნიშნავენ ადგილმდებარეობას და ამასთან თუ ძველ ფორმებს შევადარებთ, ისინი გამოყენებულია ტოპონიმებად, რომელთა ფუნქცია დღესაც საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით.

ზმნისართი განსაზღვრავს ზმნით ან სახელზმნით გამოხატულ მოქმედებას. ფორმის მიხედვით გამოიყოფა ძირეული და ნაწარმოები ზმნისართები. ზმნისართები გამოიყენება დამოუკიდებლად და თანდებულის ფუნქციით. დამოუკიდებლად ხმარებისას ზმნისართი უშუალოდ ზმნას შემასმენელს უკავშირდება. თანდებულად გამოყენებული ზმნიზედა სახელთა ნათესაობით ბრუნვასთან გვხვდება. ასეთებია: გარდა, ნაცვლად, მერე, გაღმა, გამოღმა, გარშემო, წინ, უკან, ქვეშ და სხვ. მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია.

მათ შორის საინტერესოა ანტონიმური სიტყვები წინ და უკან, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციაზე მიუთითებენ (ადგილზე, დროზე). ეს დამოკიდებულია არსებითი სახელის მნიშვნელობაზე.

თუ გადავხედავთ ქართულ ისტორიულ საბუთებს, ვნახავთ, რომ ადგილის აღმნიშვნელად, ტოპონიმებად წინ და უკან სიტყვები არაერთხელ გვხვდება.

1774-1781 წლების „ქსნის ხეობის ხალხის აღწერის" დავთრებში ასეთი მაგალითები საკმაოდაა დაფიქსირებული. ამ დროს ქარჩოხის ხეობის სოფელ წინუბანში ცხოვრობდნენ თინიკაშვილები, ბალხამიშვილები და ონიაშვილები.

უკანამხარე არა მარტო ხეობის სახელი, ამავე დროს იყო სოფლის სახელიც, სადაც ცხოვრობდნენ: შიუკაშვილები, გოდერძიშვილები, უკანაუბანში ჩიტიშვილი, ბაშარაული, პავლიაშვილი, ნარიმანიძე. ეს სოფლები, რომლებიც დღეს ნასოფლარებია, ხეობის თავში ანუ ჩრდილოეთით მდებარეობდნენ და ერეკლე მეფის აღმწერებმა ხეობის უკანა მხარეს მიაკუთვნეს გეოგრაფიულად.

სოფელი წინუბანი ამავე დროს ქსნის მარცხენა შენაკად ცხრაძმის ხეობაში მდებარეობდა, სადაც სახლობდნენ: ღონენაშვილი, მარტიაშვილი, ბალაშვილი. ასეთი სახელწოდების სოფლები დასახელებულია შემდგომი – 1781 წლის აღწერებშიც.

წინსოფელი მეოცე საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იყო სოფელ მეჯვრისხევის სამხრეთის შესასვლელში, რომელიც შემდგომ დიდ სოფელს შეუერთდა და ძველი სოფლის სახელწოდება გაქრა.

წინ ასეთი სახელის მქონე სოფელი მდებარეობდა ლეხურის ხეობაში. ამავე ხეობაში იყო სოფელი წირი, სადაც ნ თანხმოვანი აღდგება და ზემოხსენებულ სახელთა ფორმას უნდა მიეკუთვნოს. ეს სოფლები ქართველებით იყო დასახლებული და საინტერესო იქნება მათი ეტიმოლოგია.

ქსნის ხეობის 1774-1781 წლის სტატისტიკით, ტოპონიმების ფუნქციით გვხვდება თანდებულის გარშემო, რომელიც ცალკე მდგომ თანდებულებად ითვლება და გამოიყენება ზმნიზედათ.

სტატისტიკაში მსაზღვრელის როლშია:

გარშემო მოჭალიეთიდამ

გარშემო საქორეთიდამ

გარშემო გავაზიდამ

გარშემო მშველიეთიდამ

გარშემო ხარბალიდამ

მთის წვრილი სოფლები ზემოხსენებულ მაკროტოპონიმებად არის გამოყენებული და ორ–სამკომლიანი დასახლებები სიტყვა „გარშემოს" ფუნქციით არის აღჭურვილი.

სოფელ რუისის მაგალითზე თუ განვიხილავთ, აქ გვხვდება გეოგრაფიულ სახელებად: წინაუბანი, უკანაუბანი. მაკროტოპონიმებად ასეთი სახელწოდებები ყველა დიდ სოფელში არის შემორჩენილ. სოფელ წინაგარის სახელი მიღებულია წინაგორისაგან, რადგან ეს სოფელი ბერშუეთის მერე წინ ე.ი. სამხრეთით მდებარეობს, მთების სამხრეთის განშტოებაზე.

წინ ძველ ქართულში წინა-ს სახით იხმარებოდა როგორც ზედსართავისა და ზმნიზედის ფუნქციით, ისე წინდებულისა და თანდებულის ფუნქციით.

ამავე დროს ასეთი სახელები მიუთითებენ დროზე. წინ შეიძლება დაერთოს სხვა სიტყვას და მივიღოთ რთული სიტყვა - წინადღით, ამასწინათ, შარშანწინ, გუშინწინ, ორი დღის წინ და სხვ. აღნიშნული სიტყვა რთული სიტყვის წინაც გვხვდება და მომდევნოდაც.

უკან სიტყვის დროის გაგებით მნიშვნელობა უტოლდება სიტყვებს – ბოლოს. შემდგომ, მერე სიტყვების მნიშვნელობას და უპირისპირდებოდა სიტყვა წინას.

თანდებულის ფუნქციით უკან სიტყვის ხმარებისას, მაგალითად, მას უკან. მაგალითი კონდრატე თათარაშვილის „უიარაღოს" მოთხრობიდან. მას უკან მრავალმა წელმა განვლო. ასეთი მაგალითები ბევრია მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. ისევ მაგალითი: უკან სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ და მერე ან მერმე სიტყვების მნიშვნელობით იხმარება: სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების დაკითხვა გაათავეს. სადილის უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარი („კაცია – ადამიანი?!").

თანამედროვე ქართულში ჩემი სოფლის - ყელქცეულის მეტყველებაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებულ საპირისპირო სიტყვებს ზოგჯერ სინონიმურად ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობდნენ. ერთი დღის უკან ესმით, როგორც ერთი დღის წინ.

ყოველივე ეს სხვადასხვა ფაქტორად შეიძლება აიხსნას, ვინაიდან უკან სიტყვის მნიშვნელობა დაბრუნებასთან არის დაკავშირებული (უკან წავიდა, უკან გაბრუნდა, უკან დაიხია). უკან აბრუნდა დროის მიხედვით უკავშირდება წინათ სიტყვის მნიშვნელობას.

დროის გაგების მნიშვნელობით უკან ზმნისართს შეენაცვლა ზმნისართი შემდეგ, ხოლო ამავე ფუნქციით გამოყენებულმა უკან სიტყვამ, დიალექტურ მეტყველებაში უფრო ჰპოვა ადგილი. მაგალითად, ქორწილის შემდეგ, სადილის შემდეგ, ქეიფის შემდეგ.

ხშირ შემთხვევაში ზმნისართი წინადადებაში წყვილს ქმნის შემასმენელთან ან ნაზმნარი სახელით გადმოცემულ წინადადების წევრთან და ასრულებს სათანადო შინაარსის გარემოების როლს. უფრო ადგილისა და დროის გარემოებებს. გამოიყენება თანდებულადაც.

ასეთ შემთხვევაში ის მართავს სახელს ბრუნვაში, მაგალითად ინსტიტუტის წინ, ხევის გაღმა, სამი წლის წინათ, ორი დღის შემდეგ და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად წინ უნდა იყოს გამოყენებული და არა უკან სიტყვა, როგორც ისტორიულად გამართლებულია.

თანდებულად გამოყენებული უკან სიტყვის გამოყენება მიგვაჩნია, რომ სწორი იქნება. მყარ გამონათქვამებში – მას უკან, ცოტა ხნის უკან. შემდეგ სიტყვა უკვე მასობრივად გამოიყენება და უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი პირველი, დემოგრაფიული ძეგლები, გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის კაბინეტში დარეჯან მეგრელაძისა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ, თბ., 1967 გვ. 213-225.
2. ქართული ენა, ენციკლოპედია, 2008, გვ. 915.

nicht უარყოფითი ნაწილაკის ხმარების სირთულეები გერმანულ ენაში

თამარ ლაზარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა მახვილაძე,** სრული პროფესორი

უარყოფის გამოხატვა გერმანულ ენაში ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი თემაა. უკუთქმითი წინადადება გერმანულ ენაში აიგება უარყოფითი ნაწილაკის (nicht), უარყოფითი არტიკლის (kein/keine), უარყოფითი ზმნიზედების (მაგ.: keinesfalls, keineswegs, nie, niemals, nirgends, nirgendwo) და ნაცვალსახელების (მაგ.: niemand, keiner) საშუალებით. უარყოფა შეიძლება გამოიხატოს სხვა მორფოლოგიური ან ლექსიკური საშუალებებითაც, მაგალითად, პრეფიქსებით: un- (unnötig, unmöglich), miss- (შდრ., Erfolg – Misserfolg, gefallen – missfallen) და სხვ.

მათ შორის უმნიშვნელოვანესია უარყოფითი ნაწილაკი nicht, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. შესწავლილია ამ ენობრივი ერთეულის საშუალებით უკუთქმითი წინადადების აგების სირთულეები გერმანულ ენაში, ხაზგასმულია მოდალურ ზმნიზედებთან და მოდალურ სიტყვებთან მისი ხმარების თავისებურებანი. ნაშრომის მიზანია nicht უარყოფითი ნაწილაკის ხმარების სირთულეებში გარკვევა და შესაბამისად მათი დაძლევის ცდა.

გერმანულ ენაში nicht უარყოფითი ნაწილაკის ხმარება (იგულისხმება წინადადებაში მისი ადგილი) თავისუფალი არ არის. იგი ემორჩილება გარკვეულ წესებს. შესაძლებელია წინადადებაში ხსენებული ფაქტის სრული (Satznegation) ან ნაწილობრივი უარყოფა (Sondernegation, partielle Negation) (Helbig/Buscha 1980, 455).

პირველ შემთხვევაში nicht უარყოფს მთელი წინადადების შინაარსს და ქართულისაგან განსხვავებით ფრაზის ბოლოს დგას (უღლებადი ზმნის უარყოფა გულისხმობს მთელი წინადადების

უარყოფას). მეორე შემთხვევაში nicht ქმედების უარყოფილი დეტალის აღმნიშვნელი სიტყვის წინ დგას. იმის გარკვევა, უარყოფილია ფაქტი მთლიანად თუ მისი რომელიმე დეტალი, ზოგჯერ არც ისე ადვილია.

Er kommt **nicht** am Abend, sondern erst am Morgen.

უკუთქმით წინადადებაში სწორედ nicht ნაწილაკის ადგილი განსაზღვრავს იმას, უარყოფა ეხება მთელ წინადადებას, თუ მის რომელიმე დეტალს, შდრ.:

(1) **Nicht** alle Studenten waren verheiratet.

(2) Alle Studenten waren **nicht** verheiratet.

პირველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი ინტონაციის დროს გვაქვს ნაწილობრივი უარყოფა (Sondernehation). იგულისხმება, რომ არა ყველა, მაგრამ უმეტესი სტუდენტებისა არის დაოჯახებული. ხოლო მეორე წინადადებაში გვაქვს სრული უარყოფა (Satznegation). მაგრამ, როგორც წესი, წინადადების ცალკეული წევრების განსაკუთრებული გამოყოფით (მახვილი, ინტონაცია), შესაძლებელია წინადადების შინაარსის მოდიფიცირებაც (იქვე, 458).

უარყოფისას მთელისა და დეტალის დაპირისპირება ქართულისათვის უცხოა, ამიტომ nicht-ნაწილაკიანი წინადადების აგება ყურადღებას საჭიროებს.

ამდენად, არსებობს nicht ნაწილაკის ხმარების რამდენიმე კანონზომიერება (იხ. გვენცაძე, 2000, 42-43):

1. nicht ნაწილაკი ჩვეულებრივ ვითარებისა და ადგილის ზმნიზედების წინ დგას.

   Ich arbeite **nicht** viel.

   Sie ist **nicht** gern allein zu Hause.

რაც შეეხება დროის ზმნიზედებს, nicht ზოგ მათგანს წინ უსწრებს, ზოგს კი მოსდევს. დროის ზმნიზედა მოსდევს nicht ნაწილაკს, როდესაც მოქმედება არ სრულდება აღნიშნულ დროში.

   Wir bleiben hier **nicht** lange.

2. როდესაც უარყოფილია ზმნით გამოხატული მოქმედება საერთოდ, როგორც ცნობილია, nicht ნაწილაკი დგას წინადადების ან ფრაზის ბოლოს და ცხადია, დროის ზმნიზედა მას წინ უსწრებს:

   ა) Ich mache heute **nicht**. (Satznegation)

უნდა გვახსოვდეს, რომ გერმანულ წინადადებაში დასაშვებია მხოლოდ ერთი უარყოფითი სიტყვა, მაშინ როდესაც ქართულში, უმთავრესად სასაუბრო ენაში ორი ვარიანტი ისმის, შდრ.:

   ბ) Ich komme **nicht** heute, **sondern** morgen (Wortnegation)

დავუბრუნდეთ პირველ წინადადებას, სადაც უარყოფილია მთლიანი აზრი, ამიტომ nicht დგას წინადადების ბოლოს და რა თქმა უნდა მას წინ უსწრებს დროის ზმნიზედა heute. იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებს წინადადება, თუ ჩვენ სიტყვათწყობას შევცვლით შემდეგნაირად:

   Heute kommen wir **nicht.** (Satznegation)

მეორე წინადადებაში უარყოფა ეხება მხოლოდ დროის ზმნიზედას. ეს ნიშნავს, რომ მოქმედება ხდება, მაგრამ არა დღეს, არამედ ხვალ. ამ დროს გვაქვს ნაწილობრივი უარყოფა, რასაც მოსდევს ალტერნატიული ვარიანტი. ე.ი მოქმედება ხდება, მაგრამ არა ისე, როგორც უნდა ხდებოდეს, ან როგორც მსმენელს ჰგონია.

ხანდახან გვაქვს შემთხვევები, როდესაც უარყოფა ეკუთვნის მხოლოდ სიტყვის თავსართს. ასეთი განსაკუთრებული შემთხვევები თვალსაჩინოს ხდის, რომ უარყოფა ეხება არა მთელ აზრს და არც წინადადების წევრს, არამედ მხოლოდ სიტყვის რომელიმე ნაწილს; ამ შემთხვევაში თავსართს. ამიტომ მთქმელი უარყოფის შემდეგ აუცილებლად აზუსტებს თავის სათქმელს:

   Er ist **nicht** aus-, sondern umgestiegen.

ამიტომ ასეთი უარყოფის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინადადებაში მოუბარის ლოგიკურ მახვილს.

ასეთი არსებული წესების გარდა ენაში არსებობს სხვა განსაკუთრებული შემთხვევებიც. განსაკუთრებული სირთულეები ხდება მაშინაც, როცა ზმნა მჭიდროდ უკავშირდება წინადადების სხვა წევრებს. უარყოფითმა ნაწილაკმა nicht ხელი არ უნდა შეუშალოს ასეთ კავშირს, ამიტომ სწორია ფორმა:

   Ich war **nicht** ins Zimmer getreten.

   *Ich war ins Zimmer nicht getreten (falsch)

ზოგჯერ წინადადების შინაარსის არასწორად გაგების ასაცილებლად გამოიყენებენ სასვენ ნიშნებსაც, მაგალითად, წინადადებაში:

Ich giaube **nicht**, falsch zu handeln.

მძიმე გვიჩვენებს, რომ უარყოფა ეკუთვნის პირველ ფრაზას. მისი არყოფნის შემთხვევაში შეიძლებოდა მკითხველს უარყოფა მიეკუთვნებინა მის მომდევნო სიტყვისთვის, შდრ:

   Ich glaube, **nicht** falsch zu handeln. (= ich bin der Ansicht, richtig zu handeln)

უარყოფითი ნაწილაკი (nicht) თუ უარყოფითი არტიკლი (kein)

როგორც ვთქვით, nicht უარყოფით ნაწილაკს მიმართავენ ფაქტის ან მისი რომელიმე დეტალის უარყოფის შემთხვევაში. მაგრამ თუ უკუთქმითი ფორმით ნაგულისხმები დეტალი არსებითი სახელია, nicht ნაწილაკის ნაცვლად გამოიყენება უარყოფითი არტიკლი kein. სათანადო წართქმით ფორმაში მის ადგილას ჩვეულებრივ გვაქვს ან ნულოვანი, ან განუსაზღვრელი არტიკლი (Kein არტიკლი მორფოლოგიური ფორმითაც ein-ის ანალოგიურია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას მრავლობითი რიცხვიც აქვს). განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

მთელ რიგ შემთხვევებში nicht და kein ერთეულების ხმარება ენის მატარებელს სირთულეებს არ უქმნის, შდრ.:

Leider habe ich dich **nicht** gesehen.

Das ist **kein** Problem.

მაგრამ ძირითადად მაინც უნდა გაიმიჯნოს მათი ხმარების არეალი. გრამატიკოსები მიუთითებენ, რომ ზმნებთან sein და werden განუსაზღვრელი არტიკლით ან უარტიკლო (ნულოვანი არტიკლით) არსებით სახელის უარყოფისას გამოიყენება kein; სრულმნიშვნელოვან ზმნებთან კი დგას nicht:

Er ist (ein) Schauspieler. > Er ist **kein** Schauspieler.

Sie wird Studentin. > Sie wird **keine** Studentin.

Heute kommen die Gäste. > Heute kommen die Gäste **nicht**.

(2) ზოგიერთ შემთხვევაში კი nicht და kein ერთეულების ხმარება ჩანაცვლებადია.

Er ist Beamter.

ან: Er ist **nicht** Beamter.

(3) უარყოფითი არტიკლი kein გამოიყენება პროფესიის, ეროვნების, ფუნქციის, წოდების და მსოფლმხედველობის გამომხატველ სახელებთან, მაგ.:

Sie ist Ärztin. – Sie ist **keine** Ärztin.

Wir sind Deutsche. - Wir sind **keine** Deutschen.

Er ist Präsident. - Er ist **kein** Präsident.

Sie sind Christen. - Sie sind **keine** Christen.

Er ist Atheist. - Er ist **kein** Atheist.

როგორც ვთქვით, nicht და kein ერთეულების ხმარება ენის მატარებელს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის. ამიტომ, როგორც წესი, გრამატიკოსები მკაცრად გამიჯნავენ მათ გამოყენებას, კერძოდ, nicht უარყოფითი სიტყვა იხმარება წინადადებაში გამოთქმული მთელი აზრის უარყოფისას (Satzverneinung), kein კი პირიქით - ეხება მხოლოდ ნაწილს /დეტალს (Satzteilverneinung) და ამიტომ ხშირად ხდება მისი დაკონკრეტება sondern ნაწილაკით (Als Faustregel gilt, dass *nicht* die gesamte Aussage (Satzverneinung), *kein* hingegen nur einen Teil (Satzteilverneinung) verneint und deshalb häufig durch *sondern* ergänzt wird(Götze 2002, 280)).

Er ist **nicht** Lehrer.

Er ist **kein** Lehrer, **sondern** Psychologe.

(4) საკუთარ სახელებთან გამოიყენება ყოველთვის nicht:

Jutta singt. - Jutta singt nicht.

(5) ფუნქციურ ზმნებთან, რომლებიც წინდებულთან ერთად იხმარება, ყოველთვის დგას nicht:

Er stellt das Problem zur Disskussion.

Er stellt das Problem **nicht** zur Disskussion.

მაგრამ თუ საქმე ეხება პირდაპირ დამატებას, გამოიყენება kein უარყოფითი სიტყვა:

Sie stellt **keine** Fragen.

ლექსიკალიზებულ (მყარ) ზმნურ შეკავშირებებში შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში გამოვიყენოთ ორივე უარყოფითი სიტყვა, თუმცა ყოველთვის არა, შდრ.:

Die Kinder fahren Rad. > Die Kinder fahren **nicht / kein** Rad.

მაგრამ: Die Menschen standen Schlange. > Die Menschen standen **nicht** Schlange.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს შინაარსობრივ სხვაობას, კერძოდ:

Die Kinder fahren **kein** Rad. (Sie können nicht Rad fahren.) (იგულისხმება, რომ ბავშვებმა არ იციან ველოსიპედის ტარება.) (Götze /Hess-Lüttich 2005, 332-333).

nicht ნაწილაკის ხმარების განსაკუთრებული შემთხვევები:

ცალკე უნდა გამოიყოს nicht ნაწილაკის ხმარება, ერთი მხრივ, მოდალურ ნაწილაკებთან და მოდალურ სიტყვებთან, მეორე მხრივ, მოდალურ ზმნიზედებთან. პირველ შემთხვევაში nicht დგას

ყოველთვის წინადადების ბოლოს, მეორე შემთხვევაში კი (გამომდინარე იქიდან, რომ ზმნიზედა მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნასთან) დგას ამ სიტყვის წინ. შევადაროთ:

(1) მოდალური ნაწილაკი: Sie kommt *ja* **nicht**.

მოდალური სიტყვა: Sie kommt *sicherlich* **nicht**.

(2) მოდალური ზმნიზედა: Er arbeitet **nicht** *sorgfaltig.*

დროის ზმნიზედის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა: ისეთებთან, რომლებიც შეიძლება ქრონოლოგიურად დალაგდნენ (როგორც gestern, heute, morgen, ან vorher და nachher, ან später და früher), ნაწილაკი მოსდევს ზმნიზედას, ხოლო ისეთებთან, რომლებიც ქრონოლოგიურად ვერ დალაგდებიან (როგორც, მაგ.: sofort, rechtzeitig, pünktlich), ნაწილაკი nicht დგას წინ. შევადაროთ:

Sie starteten *gestern* **nicht.**

Sie starteten **nicht** *sofort.*

Sie starteten **nicht** *gestern*, sondern letzte Woche.

ამდენად, ჩვენ შევისწავლეთ და წარმოვადგინეთ nicht უარყოფითი ნაწილაკის დახმარებით უკუთქმითი წინადადების აგების კანონზომიერებები გერმანულ ენაში. ცალ-ცალკე განვიხილეთ nicht და kein უარყოფოთი სიტყვების ხმარებასთან დაკავშირებული სირთულეები, წარმოვადგინეთ მოდალურ ნაწილაკებთან, მოდალურ სიტყვებთან და მოდალურ ზმნიზედებთან nicht უარყოფითი ნაწილაკის ხმარების თავისებურებები.

ლიტერატურა:

1. გვენცაძე მ., გერმანული ენის სასწავლო გრამატიკა, (Gwenzadse, M.: Lerngrammatik für Deutsch als Fremdsprache), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2000.
2. Dreyer, H./ Schmitt, R.: Lehr- und Übungsbuch der deutschen Grammatik. Neubearbeitung. München, 1996.
3. Götze, Lutz: Deutsche Grammatik. Unter Mitarbeit von Gabriele Pommerin u. Anna-Ulrike Mayer, Bertelsmann Lexikon Institut, Gütersloh/München, 2002.
4. Götze, Lutz/ Hess-Lüttich, Ernest W. B.: Grammatik der deutschen Sprache. Sprachsystem und Sprachgebrauch. Bertelsmann Lexikon Institut, 3., vollständig neu bearb. u. aktualisierte Aufl. , Gütersloh/ München, 2005.
5. Helbig, G./Buscha, J.: Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht. VEB Verlag Enzyklopädie, Leipzig, 1980.
6. Reimann, M.: Grundstufen-Grammatik für Deutsch als Fremdsprache. Erklärungen und Übungen. Max Hueber Verlag, 3. Auflage, Ismaning, 2000.

ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმათა შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისათვის ქართულსა და ინგლისურში (გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით)

მაია მაისურაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** სრული პროფესორი

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ტიპოლოგიური კვლევის მიმართ. ქართული და ინგლისური ენები მიეკუთვნებიან ენათა სხვადასხვა ოჯახებს. ბუნებრივია, ზედსართავ სახელთა ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით ამ ენებში შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება ზოგადი მსგავსების გვერდით. ჩვენი ნაშრომის მიზანია გამოვავლინოთ ეს მსგავსებანი და განსხვავებანი ზოგად ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

ზედსართავი სახელი ქართულ ენაში ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც არსებითი სახელის რაიმე ნიშანს ასახელებს. მაგ.: სახლი შეიძლება იყოს: დიდი, პატარა, მრგვალი, ოთხკუთხედი, თეთრი და სხვ. ყველა ესენი ზედსართავი სახელებია. არ არსებობს მაგ.: „მრგვალის“ ცნება თავისთავად რაიმე საგნის გარეშე. ამიტომ ვამბობთ, რომ ზედსართავი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც საგნის ნიშან-

თვისებას გამოხატავს. ტერმინი წარმომდგარია ზედსართავის სინტაქსური თვისებებისაგან: წინადადებაში ის „ზედ დაერთვის“ არსებით სახელს. წინათ „ზედსართავის“ ნაცვლად „ზედშესრულ“ იხმარებოდა. ზედსართავი სახელის კითხვებია: როგორი? რანაირი? და სხვ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ინგლისურ ენაშიც. ინგლისურში, ისევე როგორც ქართულში, ზედსართავი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს, ანუ მის ნიშან-თვისებას გამოხატავს. ამ მხრივ ქართულსა და ინგლისურ ენებში რაიმე განსხვავება არ ვლინდება.

ქართულ ენაში ზედსართავი სახელის ორი სახეობაა ცნობილი: ვითარებითი სახელები, ანუ პირველადი ზედსართავები, ე.ი. ის ზედსართავები, რომლებიც არ არის ნაწარმოები არც ერთი სხვა მეტყველების ნაწილისაგან, მაგ.: კარგი, ლამაზი, წითელი და სხვა. და მიმართებითი ზედსართავი სახელები, რომლებშიც საგნის ნიშანი, რომელსაც ის გამოხატავს, სხვა საგანთან მიმართებით არის ნაგულისხმევი. მაგ.: როდესაც ვამბობთ „ხავსიანი ქვა“, ვასახელებთ ქვის ისეთ ნიშანს, რომელიც სხვა საგნის წარმოდგენასთანაა დაკავშირებული. ასეთი ზედსართავი სახელი ნაწარმოებია სხვა მეტყველების ნაწილებისაგან: არსებითი სახელისაგან, იშვიათად ზმნიზედისაგანაც. მაგ.: ქუდიანი, უქუდო, საქუდე, წვიმიანი, კლდიანი, აქაური, გუშინდელი და სხვ.

ინგლისურ ენაში, ქართული ენისაგან განსხვავებით, ზედსართავი სახელის სამი სახეობაა ცნობილი:

1) თვისებრივი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საგნის ამა თუ იმ თვისებას: მაგ.: გონებრივ თვისებებს - ჭკვიანი, სულელი... (clever; silly…); ფიზიკურ თვისებებს - ძლიერი, სუსტი... (strong; weak); ფერს - თეთრი, შავი (white; black); ფორმას - მრგვალი; სამკუთხედი... (round; triangular…); ასაკს - მოხუცი, ახალგაზრდა... (old; yong…); ზომას - დიდი, პატარა... (big; small); სიმაღლეს - მაღალი, დაბალი... (tall; low); სიგრძეს - გრძელი, მოკლე...(long; short); სიგანეს - ფართო, ვიწრო... (wide; broad) და სხვ.

2) რაოდენობითი ზედსართავი სახელი, რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა განუსაზღვრელ რაოდენობას. მაგ.: ბევრი (much, many); ცოტა, (little; few);

3) მიმართებითი ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ სხვადასხვა თვისებებს მათი საგნებთან ურთიერთობის მეშვეობით. მაგ.: რძიანი - (milky) მზიანი (solar); ყოველდღიური - (daily); კვირეული (weekly); და ა.შ. ე.ი. ინგლისური ენის რაოდენობითი და თვისებრივი ზედსართავები შეესაბამებიან ქართული ენის ვითარებით ზედსართავ სახელებს, ხოლო ინგლისურის მიმართებითი ზედსართავი სახელები, ქართული ენის მიმართებით ზედსართავ სახელებს.

ქართულ ენაში ვითარებით და მიმართებით ზედსართავ სახელებს შორის ის განსხვავებაა, რომ ვითარებითი ზედსართავი სახელები აწარმოებენ ხარისხის ფორმებს, ხოლო მიმართებითი ზედსართავი სახელები ვერ აწარმოებენ. მაგ.: დიდი-მოდიდო-უდიდესი; შავი-მოშავო-უშავესი. მაგრამ, ქუდიანი, მიმართებითი ზედსართავი სახელია და ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებს. ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმა ამა თუ იმ ნიშან-თვისებას მეტ-ნაკლები ოდენობით გამოხატავს. ქართულ ენაში ზედსართავ სახელთა სამი ხარისხის ფორმა არსებობს. ესაა დადებითი ანუ პირველადი, რომელიც ამა თუ იმ ნიშან-თვისებას საწყისი ფორმით გამოხატავს. დადებითი ფორმისაგან არის ნაწარმოები უფროობითი და ოდნაობითი ხარისხის ფორმები. ოდნაობითი ნიშან-თვისებას დადებითთან მიმართებაში ნაკლები ოდენობით გამოხატავს. მაგ.: მწვანე-მომწვანო-უმწვანესი. როგორც დასახელებული მაგალითიდანაც ჩანს, ოდნაობითი ხარისხის საწარმოებლად გამოყენებულია მო-ო პრეფიქს-სუფიქსი, ხოლო უფროობითი ხარისხის ფორმის საწარმოებლად უ-ეს პრეფიქს-სუფიქსი. ზოგჯერ უფროობითი ხარისხის საწარმოებლად გაორმაგებული უ არის გამოყენებული, რომლებიც ხელოვნურ ფორმებადაა მიჩნეული და ენაში იშვიათად იხმარება. მაგ.: „მათ შორის აღმოჩნდა ერთი უუშორესი თანამგრძნობელი“ (გ. ტაბიძე); „იქ ცხოვრება ჩემთვის უუდიდესი სიამოვნება იქნებოდა“ (მ. ჯავახიშვილი).

ხარისხის ფორმები ქართულ ენაში შეიძლება წარმოებული იქნას აღწერილობით ფორმათა გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავ სახელებს ახლავს სიტყვები: უფრო, მეტად, ოდნავ და ა.შ. მაგ.: ოდნავ წითელი (ნაკლებია, ვიდრე წითელი), უფრო წითელი, მეტად წითელი (უფრო მეტია, ვიდრე წითელი), უფროობითის შინაარსისაა ამ ტიპის გამოთქმებიც: კარგზე კარგი, ცუდზე ცუდი, ყველაზე მდიდარი და ა.შ. მაგ.: ,,მაგრამ ეს ხომ სიზმარია და სიზმარი ავზე ავი, ზღვაო, დილით შეიცვალა შუაღამე შავზე შავი.“ (გ. ტაბიძე)

თვისების ხარისხს ზოგჯერ ზედსართავის გაორკეცებითაც გადმოვცემთ: ლამაზ-ლამაზი; მაღალ-მაღალი, მაგრამ ესენი ხარისხის ფორმებად არ ითვლება.

ინგლისურ ენაში ზედსართავ სახელებს შედარებითი ხარისხები აქვს. შედარებითი ხარისხი სამია: დადებითი, ანუ პირველადი (the positive), შედარებითი (the comperative) და აღმატებითი (the superlative). შედარებითი და აღმატებითი ხარისხები სამგვარად იწარმოება:

1) შედარებით ხარისხში - er და აღმატებით ხარისხში-est სუფიქსების დამატებით. მაგ.: “As he is no longer beautiful he is no longer useful (by O. Wilde); „Than the regroes seized the youngest of the slaves” (by O. Wilde)…

2) შედარებითი ხარისხში more-ის და აღმატებით ხარისხში most-ის დამატებით. მაგ.: But right now we’re more concerned with the pollution in your bedroom”. (by Art Buchvald); “It is the most interesting thing to collect of all”. (by A. Christie).

3) სხვა ფუძიდან. მაგ.: little better than a bigger”. (by O. Wilde). Good - better – best; “no less important was the money.” (by Gone Uidal); little – less – least.

შედარებით ხარისხებს -er და -est სუფიქსების დამატებით აწარმოებენ ყველა ერთმარცვლიანი ზედსართავები (tall; big) და –y; -er; -ow-ზე დაბოლოებული ორმარცვლიანი ზედსართავები (happy; clever; narrow), ყველა მრავალმარცვლიანი ზედსართავი სახელი და ორმარცვლიანი ზედსართავების უმრავლესობა შედარებით ხარისხისათვის more (მეტი და უფრო) და აღმატებითი ხარისხისათვის most (ყველზე მეტი; ყველაზე უფრო); მაგ.: difficult - more difficult - most difficult. ზოგი ზედსართავი სახელი შედარებით ხარისხებს აწარმოებს სხვა ფუძიდან. მაგ.: bad - worse - worst; good - better - best; little - less - least; many - more - most. ასეთი ზედსართავები ინგლისურ ენაში სულ რამდენიმეა. ქართულშიც მოგვეპოვება იმისი მაგალითები, რომ ზედსართავი სახელები აწარმოებენ სხვა ფუძიდან. მაგ.: „კეთილი“ ძველად „კარგს“ ნიშნავდა და მისი უფროობითი ფორმა იყო უ-კეთ-ეს-ი. უკანასკნელი ფორმა დარჩა, მაგრამ დადებითად „კეთილის“ ნაცვლად „კარგი“ დამკვიდრდა, ამიტომ მივიღეთ ასეთი შეფარდება: კარგი - უკეთესი. ასევე გვაქვს სიტყვა „(მ)და-რე“, მაგრამ არა გვაქვს მისი საპირისპირო „აღ-რე“. სამაგიეროდ უკანასკნელისაგან ნაწარმოებია უფროობითი ხარისხის ფორმა: უაღრესი. იგივე სიტყვა, ღ-ს ამოღებით, უ-არ-ეს-ის სახით არის წარმოდგენილი და სხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული - იგი უკეთესის ანტონიმია. ასეთი ზედსართავები, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულშიც სულ რამდენიმეა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ენაში მიმდინარეობს ცოცხალი გრამატიკული პროცესი ერთი მეტყველების ნაწილის მეორე მეტყველების ნაწილად ქცევისა. მაგ.: ზედსართავი სახელებია სასტუმრო (სასტუმრო სახლი) და კარგი (კარგი ამხანაგი), მაგრამ არსებით სახელებად გვევლინება, როცა ვამბობთ: „თბილისში ბევრია კარგი სასტუმროა“. „ვანომ ქართულში კარგი მიიღო“.

ქართულ ენაში არის შემთხვევები, როცა ხდება ზედსართავი სახელის სუბსტანტივაცია და პირიქით, როცა ხდება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ადიექტივაცია. მაგ.: მას ჯიბეში ბევრი თეთრი ჰქონდა; უღელი არსებითი სახელია, მაგრამ ზედსართავის მნიშვნელობით არის ნახმარი, როცა ვამბობთ, „უღელი ხარი“...

ზედსართავი სახელი ცალკე აღებული ან არ გვხვდება, ან გვხვდება არსებითის მნიშვნელობით. ამიტომ, ცალკე აღებული ზედსართავი სახელი თვისებებსაც არსებითისას იძენს და ბრუნებისას სათანადო ფუძის მქონე არსებით სახელთან მიმართებაში არავითარ თავისებურებას არ ავლენს. იბრუნვის ზუსტად ისე, როგორც სათანადო ფუძის მქონე არსებითი სახელი. მაგ.:

სახელობითი:	ყვითელი	ყვითლ-ებ-ი	პატარა	პატარ-ებ-ი
მოთხრობითი:	ყვითელ-მა	ყვითლ-ებ-მა	პატარა-მ	პატარ-ებ-მა
მიცემითი:	ყვითელ-ს	ყვითლ-ებ-ს	პატარა-ს	პატარ-ებ-ს
ნათესაობითი:	ყვითლ-ის	ყვითლ-ებ-ის	პატარ-ის	პატარ-ებ-ის
მოქმედებითი:	ყვითლ-ით	ყვითელ-ებ-ით	პატარ-ით	პატარ-ებ-ით
ვითარებითი:	ყვითლ-ად	ყვითლ-ებ-ად	პატარ-ად	პატარ-ებ-ად
წოდებითი:	ყვითელო	ყვითლ-ებ-ო	პატარა-ვ	პატარ-ებ-ო

ინგლისურ ენაში კი ზედსართავი სახელი არ იცვლება და არც რიცხვის, არც სქესის და არც ბრუნვის მიხედვით.

ზოგი ზედსართავი ინგლისურში, ისევე როგორც ქართულში, არსებითი სახელის ფუნქციით იხმარება. ამ შემთხვევაში განსაზღვრული არტიკლი (the) დაისმის. ზოგიერთი ზედსართავი სახელი, თუმცა ასრულებს არსებითის ფუნქციას, მაგრამ მრავლობით რიცხვში -s სუფიქსს არ დაირთავს. მაგ.: rich (მდიდარი) ზედსართავი სახელია, მაგრამ the rich (მდიდრები) არსებითი. Poor (ღარიბი) the poor (ღარიბები) old (მოხუცი) the old (მოხუცები). ასეთ ზედსართავს ჰქვია გაარსებითებული ზედსართავი სახელი. ინგლისურ ენაში არსებობს ნაწილობრივ გაარსებითებული ზედსართავი სახელები, ე.ი. ის ზედსართავები, რომელთა წინ იხმარება მხოლოდ განსაზღვრული არტიკლი და მთლიანად გაარსებითებული ზედსართავი სახელები, ე.ი. ის ზედსართავები, რომლებიც იღებენ არსებითი სახელის ყველა თვისებას (არტიკლები, მრავლობითი რიცხვის დაბოლოება, კუთვნილებითი ბრუნვა). მაგ.: rich - the rich, poor - the poor, white, a white (თეთრი) ზედსართავი სახელია, ხოლო two whites (ორი თეთრი) the whites (თეთრები) არსებითი სახელებია.

აგრეთვე, ინგლისურ ენაში, ქართული ენის მსგავსად, ხდება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ადიექტივაცია. ე.ი. ამ მხრივ ინგლისურ ენაში ანალოგიური ვითარება გვაქვს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ზოგადი ხასიათის რამდენიმე დასკვნა:

1. ქართული და ინგლისური ენების განსხვავებული სტრუქტურის მიუხედავად, ზედსართავთა ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით ამ ენებში გარკვეული განსხვავების გვერდით არის მსგავსებაც, რაც ვლინდება ზოგადი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე.
2. როგორც ქართული, ისე ინგლისური ენის გრამატიკაში ზედსართავი სახელი ცალკე მეტყველების ნაწილადაა მიჩნეული. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზედსართავი სახელი, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, ღრმადაა დაფუძნებული ორივე ენის გლობალურ სისტემაში.
3. ზედსართავი სახელი ორივე ენაში აწარმოებს ხარისხის ფორმებს. როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში არსებობს ზედსართავ სახელთა ხარისხის სამი ფორმა. ორივე ენაში დაიძებნება იმისი მაგალითები, რომ ზედსართავი სახელები შედარებით ხარისხებს აწარმოებს სხვა ფუძიდან აგრეთვე ხარისხის ფორმები შეიძლება წარმოებული იქნას აღწერილობით ფორმათა გამოყენებით.

ორივე ენაში ხდება ზედსართავი სახელის როგორც სუბსტანტივაცია, ასევე სხვა მეტყველების ნაწილთა ადიექტივაცია.

ჩატარებული კვლევით არ ამოიწურება ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქება, რადგან კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ქართული და ინგლისური გრამატიკული ლიტერატურის გაცნობით, შემდგომისათვის კი გვსურს უშუალო ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანზე დაყრდნობით განვიხილოთ თუ რა შესატყვისობაა ქართულ და ინგლისურ ზედსართავ სახელთა ფორმებს შორის.

ლიტერატურა:

1. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.
2. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, 1981.
3. გახოკიძე ა., გახოკიძე ბ., ინგლისური ენის გრამატიკა, 1993.
4. OSCAR WILDE, FAIRY TARES, 1979.
5. ШАХ-НАЗАРОВА В. С., ЖУРАВЧЕНКО Н. В., АНГЛИЙСКЙ ДЛЯ ВАС, 1990.
6. ШАХ-НАЗАРОВА В. С., ПРАКТИЧЕСКИЙ КУРС АНГЛИЙСКОГО ЯЗЫКА, АМЕРИКАНСКИЙ ВАРИАНТ, 1991.

ანტონიმები ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში

სოფიკო მძინარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ენის შესაძლებლობათა აღწერა მიზნად ისახავს, გამოყოს და არსებითი ნიშნის მიხედვით გვიჩვენოს ესა თუ ის ენობრივი ხერხი, შესაძლებლობათა სიმრავლე კი ცნებებში და ტერმინებშია.

როცა ცალკეული მწერლების ენის შესახებ ვსაუბრობთ, ამით ჩვენ იმას ვადასტურებთ, თუ როგორ გამოიყენა მწერალმა თავის შემოქმედებაში ან რომელიმე ნაწარმოებში ენის ფენომენი, დავინახეთ თუ არა ენის მრავალფეროვანი სიმდიდრე.

ჩვენ გვაინტერესებს თუ როგორ არის ნიკო ლორთქიფანიძის ენაში ანტონიმები. ამ საკითხის გარკვევისათვის არსებობს მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისი. არნოლდ ჩიქობავა წერს: ანტონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებსაც ერთი მეორის საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ. ანტონიმები თვისების აღმნიშვნელ სიტყვებში გამოიკვეთა. ეს სიტყვები შეიძლება იყოს

სხვადასხვა ფუძისა (მაღალი – დაბალი). შეიძლება ისეთი ფუძისაგან იწარმოოს უარყოფის თავსართ-ბოლოსართებით (გემრიელი – უგემური).[1]

ანტონიმები გვხვდება სიტყვათა დაპირისპირებაში, რომლებიც ორ სხვადასხვაობას გულისხმობს მაინც.

ანტონიმებს ენაში შეაქვთ მეტი სახეობრიობა, სიძლიერე, სინათლე და დამაჯერებლობა. ანტონიმური ენობრივი შესაძლებლობის გამოყენება შეიძლება როგორც მხატვრული ნაწარმოების ენაში, მეცნიერულ ნაშრომში, ისე მეტყველებაშიც.

ანტონიმური წყვილები ხშირად რთული სიტყვებისა და მთავარი შესიტყვებების წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა. დაპირისპირება აფიქსებს, უარყოფით ნაწილაკებს ან ზმნისწინებს ეკისრებათ.

ანტონიმები ამოვიწერეთ ნიკო ლორთქიფანიძის პროზის მეორე ტომიდან, რომელიც გამომცემლობა „პალიტრა L"-მა 2012 წელს გამოსცა.

მწერლის ნოველებში, მინიატუებში, მოთხრობებში ვლინდება დიდი შემოქმედისათვის დამახასიათებელი ზომიერების გრძნობა. იგი მწერალს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კარნახობს, ზუსტად შეარჩიოს უბრალო სიტყვები ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებიდან და იმდაგვარად შეუწყოს ერთმანეთს, რომ ფრაზას მიანიჭოს რაც შეიძლება მეტი გამომსახველობა.

მწერალთან გამოყენებული ანტონიმური სიტყვები სხვადასხვა მეტყველების ნაწილებია, რომლებიც ამ მონაკვეთს თავისებურ რიტმულობას ანიჭებს. ყველაფერი ეს ერთად ქმნის კონტრასტს. წინადადებათა სიმრავლე, უეცრად მოზღვავებული ზმნები რიტმთან აისახება, თხრობის სწრაფი ტემპი ნაწარმოებს დინამიურობას ანიჭებს.

არსებითი სახელები ანტონიმებად:

მწერლის შემოქმედებაში ხშირად არის გამოყენებული არსებითი სახელები ანტონიმებად. აქ ისეთი სიტყვები უპირისპირდებიან ერთმანეთს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ რაიმე ნიშნის მიხედვით აჩენენ სხვადასხვა შინაარსს. მაგალითი: „აქ ვაჟკაცობას კი არ ვაჩვენებთ ერთი მეორეს, აქ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია" (1, 381). ფუძეხმოვნიანი და თანხმოვნიანი სახელები დაპირისპირებას კარგად გამოხატავენ.

1. „გოგოები გათხოვებას ელიან.
   ბიჭები - ცოლის შერთვას". (1, 11).

ბიჭები – არს. სახელი, ებ-იანი მრავლობითი, სახ. ბრუნვა
გოგონები – არს. სახელი, ებ-იანი მრავლობითი, სახ. ბრუნვა

2. „ი ფოთშიაც არაფერი ყრია - ციებ-ცხელების მეტი". (1, 345)

ციებ-ცხელება – ანტონიმური არსებითი სახელები, კერძოდ საწყისებია.

3. „მწუხარება – მარტოობა, ფარდებჩამოშვებულ ოთახში მყუდროება და სიბნელე. მხიარულება – საზოგადოება და სინათლე" (1, 96). აქ ბრუნვებიანი სახელების დაპირისპირებაა.

გაარსებითებული ზედსართავები ანტონიმებად:

1. „დიდი არს ჰალა პატარა ჩემო".

დიდი – ზედსართავი სახელი, ვითარებითი დადებითი ფორმის თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი.
პატარა – ხმოვანფუძიანი ვითარებითი ზედსართავი სახელი.

2. „– რა მშვენიერებაა! – რა სევდიანია!". (1, 151) (მეშველი ზმნის ნიშანია) დარჩენილი სიტყვაში მშვენიერებაა.

3. „დიდ-პატარა ერთად შეყრილიყო" გაარსებითებული ზედსართავებია.

დიდ-პატარა - ანტონიმური სუბსტანტივაციის მოვლენით.

რიცხვითი სახელები

1. „პირველი. - ოცდათხუთმეტი მანეთი ვერცხლის ფულათ.
   მეორე. - სპილენძის ქვაბი მთავარი" (1, 14-15)

პირველ-მეორე – რიგობითი რიცხვითი სახელები – თანხვედრია, ხმოვანფუძიანი.

2. „მესამე. – მისივე ტაშტი.
   მეოთხე. – ერთი თითბრის ტაშტი." (1, 15)

მესამე-მეოთხე რიგობითი რიცხვითი სახელები, ხმოვანფუძიანები.

3. „მეცხრამეტე. – ორი მუთაქა.
   მეოცე. – სამი ზეწარი." (1, 15)

მეცხრამეტე-მეოცე - რიგობითი რიცხვითი სახელი. სამი – რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

4. „ოცდამეათე. – სამი პერანგი.

---

[1] არნ. ჩიქობავა ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 190

ოცდამეთერთმეტე. – სამი მისი ამხანაგი.“ (1, 15)
ოცდამეათე-ოცდამეთერთმეტე - რიგობითი რიცხვითი სახელი.

ნაცვალსახელები:
1. „მე და შენ“ (1, 6).
მე, შენ – ანტონიმური ნაცვალსახელები – სახელობით ბრუნვაში
2.არადანი შენ კი არა, მე.
მე მიც. ბრუნვა.

ზმნა:
1. „გული უფრო უსკდებოდა და სიცოცხლე უფრო <u>სძულდა–უყვარდა</u>”. (1, 96)
2. „ასე უთხარი“, ახლა შენზეა ყოლიფერი–თქვა, გინდა დაგვასახლებ, გინდა <u>აგვყრი</u>–თქვა” (1, 9).
3. „სასაცილოდ აგვიგდო!.. თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია; თუ დავმარცხდით - ჩვენ აგვიანცებენ“. (1, 372).
4. „აქ ჰკრებდენ ცნობებს მტრის დაძაბუნებაზე, მოყვრის გაძლიერებაზე” (1, 131).
დაძაბუნება - გაძლიერება – ანტონიმური ზმნები.

ზმნა:
1. „ძლიერ დაღლილი ვართ ჯარიც და მეც; ცოტა ვივახშმოთ და მოვისვენოთ“. (1, 375).

<u>ზედსართავი სახელი ანტონიმურად:</u>
1. „არ ეძინა ორს; უდიდეს – მეფეს და უმცირესს – ლაზიკას“ (1, 376)
უდიდესი–უმცირესი, აღმატებითი ხარისხი, ანტონიმები. მიც. ბრ. უმცირეს – მიც. ბრ.
2. „ასეთს შემთხვევაში დროც არ ჰქონებია ჩაფიქრებოდა ქალაქის ავ-კარგს” (1, 38)
ავ-კარგს – ანტონიმები, მიც. ბრ. დადებითი ხარისხის ზედსართავები.
3. „ფუ! – მოუვიდა გული იაკოფას, - მთლად სულელია ეს ოჯახქორი!.. ვის გამეემსგავსა? მამა კაი იყო ყაზახის პირობაზე და დედა ჭკვიანი!..“ (1, 361)
სულელი - ჭკვიანი – ანტონიმური ზედსართავები. სულელი – ფორმ; სახ. ბრუნვის ფორმით.
4. „იგი უხვი გამოვა და მე კი ძუნწი“. (1, 406)
უხვი – ძუნწი – ანტონიმური ზედსართავი. უხვი და ძუნწი – სახელ. ბრუნვა, ვით. ზედს.

<u>ნაცვალსახელი:</u>
1. „მევიდენ ჩემთან და მე ვეტყვი“ (1, 291)
ჩემთან – კუთვნილებითი ნაცვ. მიც. ბრუნვა. I. პირი.
მე – I პირი, პირის ნაცვ. სახელი. მოთხ. ბრუნვა.
2. „ - შენ იკითხე, თვარა მე რა მენაღვლება!" (1, 328).
შენ – მე – ანტონიმური ნაცვალსახელები (პირის)
შენ – II პირის ნაცვ. მოთხრობითი ბრ. მხ. რიცხვი.
მე - I პირის ნაცვ. მოთ. ბრ. მხ. რიცხვი.

ზმნები ანტონიმებად:
„თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია; თუ დავმარცხდით - ჩვენ აგვიანცებენ...“ (1, 372)
„გინდა დაგვასახლებ, გინდა აგვყრი-თქვა“ (1, 9)

დადასტურებითი ნაწილაკები:
„ჰო, კაი ახლა, დაგვალევიე“ (1, 21)
„ქე ვარ... არ დამაგდო“ (1, 66)
„ხომ იცი... ურჩობა არ იკმარა“ (1, 246)
„ჰო, ჩემო თედო, როცა ყმაწვილი იყავი შეგახუმრეს, როცა დამწიფდი - უარი გითხრეს“ (1, 262)

ზედსართავი ანტონიმებად:
„მთლად სულელია... მამა კაი იყო... და დედა ჭკვიანი“ (1, 361)
„არ ეძინა ორს: უდიდეს... და უმცირესს“. (1, 376). აქ გვხვდება აღმატებითი ხარისხის ფორმები.
„დროც არ ჰქონებია ჩაფიქრებოდა ქალაქის ავ-კარგს“ (1, 38)
„მტერი ხარ, თუ მოყვარე?“ (1, 234)

მწერლის ინდივიდუალობა ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟთა მეტყველებაში ძალუმად იგრძნობა. ჩანს იმერული დიალექტის გავლენა, რასაც მწერალი შესანიშნავად იყენებს ექსპრესიულობის გამოსახატავად, რაც ანტონიმებშიც კარგად ჩანს.

ლიტერატურა:
1. ლორთქიფანიძე ნ., პროზა, სამტომეული, ტ. 2, თბ., 2012.
2. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ნიკო ლომოურის ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხისათვის

მარიამ ოქროპირიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** სრული პროფესორი

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე საუბარი მისი ენის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია. მწერლის ენის თავისებურებათა გამოსავლენად მრავალ ფაქტორს ენიჭება ყურადღება.

ენათმეცნიერთა ყურადღებას ყოველთვის იქცევდა და დღესაც იქცევს ამა თუ იმ მწერლის ენისა და სტილის შესწავლა, წერის მანერაზე დაკვირვება: ენობრივი გამოხატვის რა ფორმები და საშუალებებია გამოყენებული ნაწარმოების შინაარსის, იდეის გადმოსაცემად.

მხატვრული ნაწარმოები და, საერთოდ, მწერლობა დიდ როლს ასრულებს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, მის მოვლა-პატრონობაში, ამიტომაც ენიჭება მწერლის ენის თავისებურებათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა, ამიტომაც იწვევს მკვლევართა ინტერესს ინდივიდუალობით გამორჩეულ ენასა და სტილზე დაკვირვება. ყველა ჭეშმარიტი მწერალი თვით ქმნის თავის ენობრივ სტილს და, აქედან გამომდინარე, მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ მისეულია. ესა თუ ის მწერალი თავისი წერის სტილით, გამორჩეული მანერით ხდება მკითხველისათვის გამორჩეული და საყვარელი. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა საკითხი - ნიკო ლომოურის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება მოთხრობების მიხედვით.

ნიკო ლომოური ჩვენს ყურადღებას იქცევს მშვენიერი ქართული ენით. მის ენაში გამოხატულია ბუნება ქართლის დიალექტისა, მთელი ქართული ენისა. ნიკო ლომოურის ენას დიდი ილია და აკაკი ყოველთვის გამოარჩევდნენ ხოლმე და მაღალ შეფასებას აძლევდნენ (ე. ქარელიშვილი, 1986, გვ. 158).

ნიკო ლომოურის თანამედროვე თანამოკალმე და მეგობარი სოფრომ მგალობლიშვილი მწერლის მოსაგონებლად დაწერილ წერილში („სახალხო ფურცელი", 1915 წ. №263) ასე ახასიათებდა მას: „რაც გამოვიდა მისი კალმიდან, ყველა მშვენიერის და უებრო ქართლის ენითაა დაწერილი.... მისი მოთხრობები ენის მხრივ უმწიკვლონია. იგი ნამდვილი ოსტატი იყო ქართულის როგორც ილია, ისე აკაკი ქართული სტილის მხრივ ლომოურს მაღლა აყენებდნენ. ეს აზრი ორივეს ხშირად გამოუთქვამთ, კერძოდ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა მწერლების ნაწარმოებთა შესახებ, როგორც წერაში, ისე ლაპარაკშიც ნამდვილი მოქართულე იყო. მისი ტკბილი, დალაგებული, აუშფოთებელი, წმინდა ქართული უნებლიედ ხიბლავდა მსმენელს." (ს. მგალობლიშვილი, 1915, №263). თვით მწერალი ხშირად აღშფოთებულა ქართული ენის დამახინჯების გამო. მის არქივში დაცულია ორი ცალი ქუთათური გაზეთი „შრომა" (1908 წ, №4), რომელშიც დაბეჭდილია კორესპონდენცია „ხმა ქართლიდან". „შრომის" რედაქტორი იყო დავით მესხი, სერგეი მესხის ძმა. თავისი კორესპონდენციის ბოლოს ნ. ლომოურს აღშფოთებით მიუწერია: „რა უფლების ძალით დამიმახინჯეო ენა ამ მწერლისა? რა ცოდნისა და ტვინის პატრონი ბრძანდება გამსწორებელი?" მეორე ეგზემპლარში კი მიუწერია: „როგორ დაუმახინჯებიათ ენა, შეიძლება ამგვარ ურცხვ ვაჟბატონებს გაუგზავნო ნაწერი?" ხოლო ტექსტში კი რედაქციის მიერ „გასწორებული" სიტყვები აღუნიშნავს და ენობრივი შეცოდებანი ცხადუყვია. ეს სიტყვებია: სითფოს? დაბერა, ჩამოუშვებენ, მიყვენ, გაქანდენ, გაყვენ, გავიდენ, ეცენ, იწვენ და სხვანი. ესენი და ამგვარი სიტყვები ნიკო ლომოურს სამართლიანად დაუწუნებია.

ნიკო ლომოურს ღრმად სჯეროდა, რომ ყოველივე სიკეთე ხალხშია და მხოლოდ ხალხისაგან შეიძლება შესწავლა ერის წარსულის, აწმყო მდგომარეობისა და ნამდვილი ბუნებრივი ენისა.

ხალხშია დაცული ენის ეროვნული ბუნება, მისი დიალექტური თავისებურება. მწერალი ღრმად უნდა ჩასწვდეს მათ, აითვისოს და შემოქმედებრივად გადაამუშაოს, დაწმინდოს, დახვეწოს იმ ხელოვნური, იმ დროთა განმავლობაში გარედან შეძენილი ელემენტებისაგან, რომელნიც ამახინჯებენ ქართული ენის არსს, სილამაზესა და სიმშვენიერეს.

ნიკო ლომოურმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ლიტერატურული ენის გამდიდრებაში. მისი სიტყვიერი მასალა მდიდარია, ამაღლებული, დიალოგი ძარღვიანი (ე. ქარელიშვილი, 1986). აი ერთი უბრალო მაგალითი ამ აზრის განსამტკიცებლად. - „ყმაწვილო, ამ პაპანაქება სიცხეში, შუადღის გულზე, მგზავრობა არც სასიამოვნოა და არც სასარგებლო!.... ჩამობრძანდით, მზის გადახრამდე აქ, ჩვენთან ჩრდილი იჩრდილეთ, ლხინი ილხინეთ, და მერე გზა მშვიდობისა მოგცეთ უფალმა!.... ჩამობრძანდით, შენი ჭირიმე! ... მგონია, ე ჩემი ბიჭების სიმღერას უგდებდით ყურსა. ოღონც გვეწვიეთ და, ემ წმინდა გიორგის მალდს გეფიცებით, უკეთეს სიმღერას ვიტყვი და ვათქმევინებ იმათაც...

- მეტისმეტად უზრდელი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც გაექცევა შენისთანა მასპინძელსა!" („ბერუა ქრისტესიაშვილი", 367).

ნაწარმოებებში ხალხურ სიტყვებთან და გამოთქმებთან ერთად ოსტატურადაა გამოყენეული მრავალი ანდაზა. ანდაზები და იდიომები მძლავრი საშუალებაა ენის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. მათი ჩართვით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და, რაც მთავარია, ეს მასალა ბუნებრივადაა ჩაქსოვილი თხრობაში. „კაცს თუ ბედის ჩარხი ერთხელ უკუღმა დაუტრიალდა, სულ უკუღმა იტრიალებსო" („ალი", 41). „ზურგწამხდარი ცხენი ზეცას კაჭკაჭებს დაინახავსო" („ქრისტიანი ლეკები", 186). „ამ დროის განმავლობაში ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა" („ალი", 45).

პერსონაჟთა მეტყველებაში მიმობნეულია წყევლის ფორმულები, ისინი განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენენ ნაწარმოებების ენას.

- „ვინა ხარ, შე ოჯახ და სახლ-კარ დაქცეულო?" („ალი", 38).

- „ოი, დაწყევლა ჩემმა გამჩენმა წმინდა გიორგიმ ეგ დედაკაცი!..." („ალი", 52).

- „ჯანდაბაშ წადი და დოზანაშ, - დაიჩიფჩიფა მოხუცებულმა ბაბალემ" („ბედი უბედურთა", 72).

მწერალმა ამგვარი მასალის თხრობაში ჩართვით გვიჩვენა ხალხური მეტყველების სიბრძნე და მოქნილობა.

ნიკო ლომოური ბუნების მოვლენების საუკეთესო მხატვარია. მის მიერ დახატული ბუნების სურათები ხელს უწყობენ და აღრმავებენ მწერლის მიერ დასახულ იდეურ–ფსიქოლოგიურ ამოცანას: ბუნება ადამიანთან ერთად მოჰყავს მოძრაობაში, რათა უფრო მეტად რელიეფური გახადოს თემა და საგანი მოთხრობისა.

აი, როგორ წინასწარ აგრძნობინა მწერალმა მკითხველს გარდაუვალი უბედურება, რომელიც სვიმონა ლუკაშვილს უნდა დასტეხოდა თავს და გული საშინელის მოლოდინით აუძგერდა.

„დამავალი მზის მკრთალი უსიცოცხლო სხივები ოდნავ, უხალისოდ ანათებდნენ ენაჩავარდნილ, დამუნჯებულ დედამიწასა... ამ ბუნების გარინდებულ, სამარისებურ მყუდროებას მხოლოდ ხანდისხან ცივი, სუსხიანი ზენა–ქარი არღვევდა. აგერ უეცრად ამოვარდა, საზარელი გმინვა – კვნესით დაიქოლა და შემდეგ, გაოცებული მხეცივით, მოედო მთასა და ბარსა..... იწყო ერთ ადგილას ტრიალი და მსწრაფლ კუდიან ქარად გადაქცეული, უგზო-უკვლოდ გადაერია სოფელ – ვენახებსა, მინდორსა და ველსა და დამაყრუებელის გრიალ-ზრიალით მიაწყდა ნიკრეულას უბადრუკ ქოხმახებსა" („ქრისტიანი ლეკები", 184).

ასეთი მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება ამოვწეროთ ნიკო ლომოურის ნაწარმოებებიდან. მწერალი მიმართავს გამეორებას, შთაბეჭდილებების გაძლიერების მიზნით იმეორებს სიტყვებსა და გამოთქმებს. მაგ.: „- სადა, ადამიანებო, სადა, სად უნდა გადავსახლდეთ?!" („ალი", 62), „ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ" („ალი", 53). „თქვენი ოჯახი სულ უკუღმა და უკუღმა მიდის" („ალი", 55). „მობრძანდი, მობრძანდი, ზაქარია!" („ალი", 54).

მწერლის ენას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს არქაული ფორმების ხმარება. მაგ.: „კნიაზების" შესახებ კი ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავსა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთა მათგანნი სრული თანამგრძნობელნი ბრძანდებოდნენ ამ აზრისა" („წუთისოფელი", 259). „მოეფინა მუნ შეგუბებულ წყვდიადსა" („წუთისოფელი", 247). „სახელოვანმა ვექილმა ყოველივე ესე გულდამშვიდებით მოისმინა" („წუთისოფელი", 251).

ავტორი იყენებს არქაიზმებს ამაღლებული განწყობისა და სიძველის განცდის შესაქმნელად.

ნ. ლომოურს თავის ნაწარმოებებში მოყვანილი აქვს საკმაოდ ვრცელი ტოპონიმიკური მასალა. როგორც ვიცით, ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ტოპონიმების სამი ჯგუფი გამოიყოფა:

მიკრო, მაკრო და საკუთრივ ტოპონიმები (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 220). ნიკო ლომოური უფრო იყენებს საკუთრივ ტოპონიმებს. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ტოპონიმები, რომლებიც აღნიშნავენ სოფლებს, ქალაქებს, მდინარეებს. აქ ჩვენ ვეცნობით ბევრ ისეთ ტოპონიმს, რომელიც დღეს ან აღარ არსებობს, ან შეცვლილი აქვს სახელი. მწერალი კარგად იცნობდა მაშინდელი ქართლის სოფლებს და, რაღა თქმა უნდა, დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი ასახა კიდეც თავის ნაწარმოებებში. მის მიერ დასახელებული ტოპონიმები შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ამა თუ იმ ტოპონიმის ეტიმოლოგია და შემდგომში ღირსეული კვლევა ვაწარმოოთ ამ მიმართულებით. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ტოპონიმს: „კავკასიის მთის ერთს მაღალ ტოტზედ, მივარდნილ ციცაბო ადგილას არის გაშენებული პატარა სოფელი სათაურა“. („ქაჯანა”, გვ. 119). დღეს ამ სოფელს შეცვლილი აქვს სახელწოდება, იგი ცნობილია გერის სახელწოდებით.

„სოფელ დიცურას პატარა ღარიბ ეკლესიაში წირვა გათავდა” („სამფეხა ამირანა”, გვ. 170). დღეს ეს სოფელი იგივე სახელწოდებითაა ცნობილი.

„ქ. გ-ან ოცდაათი ვერსის მანძილზე, პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, სხვათა შორის, ერთი პატარა სოფელიცა, რომელსაც სახელად ნიკრეულა ჰქვიან“. („ქრისტიანი ლეკები”, გვ. 182). დღეს ეს სოფელი ცნობილია მერეთის სახელწოდებით.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ტოპონიმებიდან, რომელიც მწერალს აქვს მოყვანილი თავის თხზულებებში.

ნიკო ლომოურმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ლიტერატურული ენის გახალხურებაში. მისი ენის ქართლური დიალექტი ისეა განზოგადებული და დამუშავებული, რომ შენარჩუნებული აქვს ბუნებრივი სურნელება. ქართლური დიალექტის თავისებურებებზე ააგო საკუთარი მხატვრული სტილი. საინტერესოა ა და ი ხმოვნების უჩვეულო ხშირი ხმარება. მაგ.: „ - ვენაცვალე მაგის მადლსა და მაგის სახელსა” („ალი, 31). „ჭიაკოკონობა ღამეს ერთხელაც არა ყოფილა ისა შინა” („ალი”, 39). „მამული აღარა გვაქვს ჩვენა” („ალი”, 61). „ამ უღმრთოებს, როგორ მოუმხიათ ე ჩვენი რუ მიწითა და ქვითა, სიბრაზით დაიძახა გიგომ” („ბედი უბედურთა”, 111). „-ეგ რომელი ყივის ასე უდროვოდ, ეგ ჩემი ცოდვით სავსეი, ეგა” („ქაჯანა”, 111). „მოხუცებულ სოლომონს სამგანა ჰქონდა თავი გატეხილი” („ბედი უბედურთა”, 85).

ემფატიკური „ა”-ს ხმარება უცხო არ არის დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის, მაგრამ არა ასეთი სიუხვით, როგორც მას მწერალი მიმართავს. ემფატიკური „ა”-ს ხშირი ხმარება თითქოსდა აუბრალოებს ნაწარმოებთა ენას. ნაწარმოების ენა დაახლოებულია ყოველდღიურ მეტყველებასთან და ადვილად იკითხება. მწერლის ენაში ნათლად იგრძნობა ქართული ენის თავისებურება და ისტორიული თავგადასავალი.

მწერლის ნაწერებში ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის ზოგჯერ თანხმოვან მოკვეცილად გვხვდება: „-ი წყეული ძაან ღონიერია თურმე” („ალი”, 32). „ე ბავშვები სულ ავად არიან” („ალი”, 61). „ი რას გვეყოფა, ბიჭო, მერე!” („ქაჯანა”, 112) „-ე სიმინდ-ვენახები დაგვიხმნენ ამოდენა გვალვისაგან – განაგძრო გიგომ, - ე ჩვენ რუს სულ აღარ გვანებებენ” („ბედი უბედურთა”, 79). „ამ უღმერთოებს, როგორ მოუმსიათ ე ჩვენი რუ მიწითა და ქვითა” („ბედი უბედურთა”, 81).

ზმნაში გვხვდება „ჰ და ს” პირის თავსართების არამიზნობრივი ხმარება: გაჰქრა, სჩანდა სძევს ჰქუხს. ამ ზმნებში ობიექტი არაა, ხოლო მესამე სუბიექტური პირი სუფიქსითაა გამოხატული. ამიტომ, პრეფიქსის (ს-ს ან ჰ-ს) ხმარება ზედმეტია და მათი ხმარება სალიტერატურო ენაში შეცდომად ითვლება. (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ., გვ. 188).

უ ხმოვნის წინ არ ჩანს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი. მაგ.: „მე სიხარულით და ხტუნაობით გამოუდექი უკან” („ალი”, 34).

მწერლის ნაწერებში ხშირია ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა. მაგ.: მართვა, მამიგო მან“. ნაწერებში მრავლად შეინიშნება თანდებულის ბოლოკიდურა თანხმოვნის შეცვლის შემთხვევები: დან- თანდებულს შეცვლილი აქვს ბოლოკიდურა „ნ” „მ” ბგერით. მაგ: „ამისათვის გირჩევ, რომ აიყარო აქედამ და აი შენ საბძელთან გადასახლდე” („ალი”, 31)... „გამომიარა გვერძე და ცუღლუტურის ბუტბუტით გავიდა ჩვენი სახლიდამ” („ალი”, 31). „გახარებული გადმოვხტი დაყენებული ურმიდამ”, („ალი”, 84). „შესძახა ქვემოდამ ერთმა ჩემმა ბიძათაგანმა” („ალი”, 86).

მწერალი თითქმის არსად არ ხმარობდა „დან” თანდებულს, არამედ ხმარობს მის სახესხვაობას „დამ”-ს. დამ- დართული ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ იხმარება, იგი გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ კილოში (თუშურში, კახურში, ქართულში). (ლ. კვაჭანტირაძე, 1981 გვ. 159).

იგივე ითქმის ვითარებითი ბრუნვის თანდებულზეც, „მდის” ნაცვალად ნახმარია „მდინ”.

„მრცხვენოდა ისე, რომ გადავწყვიტე ვახშმობამდინ შინ არ შევსულიყავ" („ალი", 30). „მეორე დღეს სამხრობამდინ ვუცადეთ სალომეს" („ალი", 59).

- მდის თანდებულის – მდინ, -ან –მდისინ, სახით ხმარება სალიტერატურო ქართულში დაუშვებელია (ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 160).

მწერლის ნაწარმოებში დასტურდება ისეთი სიტყვები, რომელიც მხოლოდ მისეულია. მაგ., „ცაქ-ცაქა", „ბღლაძუნი" „პაწაწკინტელა", „პაწაწკინა", „ცუხცუხი" და მრავალი სხვა.

ეს ნიკო ლომოურის ენის თავისებურებების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია. ნიკო ლომოურმა იცოდა მრავალი შესატყვისი, ერთი და იგივე მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვები. არ ხმარობდა ისეთ სიტყვას, რომელიც თავისი ან წარმოშობით, ან ბუნებით წმინდა ქართულად არ მიაჩნდა. თუ ჩვენ მის ნაწარმოებებში მაინც შეგვხვდება ისეთი მაგალითებიც, რომელნიც ამ თვალსაზრისს ეწინააღმდეგებიან, მათ მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს (ე. ქართველიშვილი, 1986, გვ. 159).

ამრიგად, როგორც ნიკო ლომოურის ენასა და სტილზე დაკვირვებიდან გამოჩნდა, მისი ლიტერატურული ენა დახვეწილი და სუფთაა, ფრაზები, წინადადებები და სიტყვათა შეკავშირებები ნათელი და გასაგებია. იმედი გვაქვს, რომ მისი ნაწარმოებების შემდგომი გამოკვლევა კიდევ უამრავ საინტერესო ფორმას წარმოაჩენს.

ჩვენ ჩვენის მხრივ შევეცდებით, გავაგრძელოთ კვლევა და წარმოვაჩინოთ სხვა სიახლეები, რომელიც ხელს შეუწყობს ნიკო ლომოურის ნაწარმოების ენისა და წერის სტილის საფუძვლიან შესწავლას.

ლიტერატურა:

1. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.
2. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
3. ქარელიშვილი ე., ნიკო ლომოური, თბ., 1986.
4. ლომოური ნ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963.
5. ლომოური ნ., ხმა ქართლიდან, გაზეთი „შრომა", №4, თბ., 1908.
6. მგალობლიშვილი ს., სახალხო ფურცელი, №263, თბ., 1915.
7. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელი ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში

ნათია ოქრუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** სრული პროფესორი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა" პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, რომელმაც ეპოქა შექმნა ქართულ ლექსიკოლოგრაფიაში. „სიტყვის კონის", ან როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ „ქართული ლექსიკონის", ახლო შესწავლა და შედარება იმდროინდელ წყაროებთან გვარწმუნებს, რომ სულხან-საბას მართლაც „ფრიადი შრომა" გაუწევია მის გაწყობაზე. იგი 30 წელი მუშაობდა ამ საქმეზე.

„სიტყვის კონაში" შეტანილი ლექსიკური ერთეულები განსაკუთრებული სიყვარულითაა შესწავლილი და შეჯერებული. საბას დიდი სიფრთხილით შეუჯერებია მის ხელთ არსებული ლექსიკური მასალა. მეცნიერთა დაკვირვებით „ქართულ ლექსიკონში" გამოყენებულია 140-ზე მეტი წყარო, მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი საერო და სასულიერო ძეგლები. საბას ლექსიკონში აღბეჭდილია 17.000-მდე ლექსიკური ერთეული.

საბას ლექსიკონი „ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტად" გახდა გამოჩენისთანავე. შთამომავლობამ სწორედ შეაფასა დიდი მოღვაწის ნაშრომი. საბას ლექსიკონი სამაგიდო წიგნია ჩვენი კულტურის მუშაკისათვის (ღლონტი, 1964, გვ. 154).

ავტობიოგრაფიული ნუსხები, რომელსაც ემყარება სულხან-საბას ლექსიკონი, საინტერესოა არა მხოლოდ საბას მუშაობის პროცესის თვალის მისადევნებლად თავიდან ბოლომდე, არამედ საინტერესოა იმითაც, რომ მათში საბას შენიშვნების სახით დაცულია მასალა ლექსიკონთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გასარკვევად.

ლექსიკონში სიტყვები დაჯგუფებულია ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ე.წ. ბუდეების მიხედვით. ლექსემებს შორის დერივაციულ კავშირებს ემყარება დერივაციული ბუდეების გამოყოფა. თითოეულ ბუდეში შედის განსხვავებული დერივაციული აფიქსებისა და საერთო ძირის მქონე ლექსიკური ერთეულები. ასეთი დაჯგუფებები წარმოგვიდგება „დერივაციული პარადიგმების“ სახით. (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 351).

დერივაციულ პარადიგმას წარმოადგენს: მაგ.: „პური - ზოგადი სახელი არს ყოველთა პურთა: გამომცხვართა, გაფუებულთა, გინა უფოელთა ქრთილისათა და სიმინდისათა, ფეტვისათა და იფქლისათა, გინა ყოველთა სხვათა ფქვილთაგანთასა“(საბა, 1991, გვ. 632). „მეპურე - პურის მცხობელი“ (საბა, 1991, გვ. 465).

ქართული ენის ლექსიკაში გამოიყოფა ათეულობით დარგობრივი კლასი, სპეციფიკური სიტყვარით რომ ავსებს საერთო მარაგს (ღლონტი, 1964, გვ. 33). ამ თემატიკური რკალებიდან ერთ-ერთია საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელ ლექსიკას გარკვეული ადგილი უჭირავს, რომლებიც შეგვიძლია დავაჯგუფოთ. ასეთი ლექსიკური ჯგუფები ქმნიან თემატიკურ რკალებს. თემატიკური რკალები სემანტიკურად ერთიანდებიან რაღაც ნიშნის მიხედვით. მაგ.:

პური: „შაქრის პური - შაქრითა და ნივთებითა სხვადასხვა რიგად პურნი მცხვარნი“ (საბა, 1993, გვ. 281). „კოლლვირდი - კეთილი პურებია, ერბოთა და ზეთითა და ნივთებით მზადებულნი“ (საბა, 1991, გვ. 380). „ნაზუქი - სხვათა ენიდამ შემოღებულა, რომელსა ქართულად ნატიფი ეწოდების, რომელ არს ჩვილად და კეთილად ნამზადი და ნაქმარი, რაიცა იყოს, ხოლო პურებთაგან კვერცხითა, სძითა, ერბოთი და ნივთებითა მრავალსახენი არიან“ (საბა, 1991, გვ. 561). „ხაოანი - ნაზუქივით“ (საბა, 1993, გვ. 416). „ლელენგო - უფოვარი ნაზუქი“ (საბა, 1991, გვ. 411). „ქადა - ერბოთ ზელილი პური“ (საბა, 1993, გვ. 209). „პლაკუნტი - ხვეული ქადა“ (საბა, 1991, გვ. 627). „მჭადი - ფეტვისა, სიმინდისა და მისთანათ პური“ (საბა, 1991, გვ. 549); ლავაში - ბრტყელი და გრძელი პური“ (საბა, 1991, გვ. 403), „ლიკანი - თორნეში ჩაყუდებული პური“ (საბა, 1991, გვ. 415), „შოთი - მოგრძე სქელი პური“ (საბა, 1993, გვ. 306), „ფაშარი - პური საფხვნელი“ (საბა, 1993, გვ. 186), „ქაბრაწოვანი - მეტად დიდი პური“ (საბა, 1993, გვ. 209).

ცხიმი: „კარაქი - ახალი ერბო უმარილო“ (საბა, 1991, გვ. 353). „ზეთი - მარცვალთ ცხიმი“ (საბა, 1991, გვ. 279). „მალთო-ფიჭვის ზეთი“ (საბა, 1991, გვ. 430).

წყალი: „ვეძა - მლაშე წყალი“ (საბა, 1991, გვ. 262). „წყალი მოცვისა - წყალი გარმოვლებული სიმაგრედ“ (საბა, 1993, გვ. 392). „წყალი ცხოელი - წყაროს წყალი“ (საბა, 1991, გვ. 392).

ღვინო: „მაჭარი - ახალი ღვინო“ (საბა, 1994, გვ. 451). „ძმარი - ღვინო მყვირტლე“ (საბა, 1993, გვ. 355). „აბრამიანი - თაფლ-ღვინის ბოღლიწო“ (საბა, 1991, გვ. 37). „არმუნჯი - უწყლო ღვინო“ (საბა, 1991, გვ. 65). „ჟოქო - გაწყალებული ღვინო“ (საბა, 1991, გვ. 635).

ბალახი: „მოლი - ახალი ბალახი“ (საბა, 1991, გვ. 500). „მწუანვილი - ყოველი ბალახი მწუანვილი არს... რაიცა მტილთა შინა დაითესების“ (საბა, 1991, გვ.547). „მხალი - ესე არს, რაიცა მწვანვილი კაცთაგან საჭმლად დაითესების“ (საბა, 1991, გვ. 551).

მწნილი: „კომბოსტო - ყოველთა კომბოსტოთა სახელი არს და უფროსად თავ-დახვეულთა“ (საბა, 1991, გვ. 381). „წიწაკა - ბალახის პილპილა“ (საბა, 1993, გვ. 380).

ყველი: „ შრატი - ახალის ყველის წვენი“ (საბა, 1993, გვ. 307). „ნაჭყუეპი - ყველის წვენი“ (საბა, 1991, გვ. 586). „წაქა - ძველის ყველის წვენი“ (საბა, 1993, გვ. 368). „დელამუტი - რძე შეყველებული“ (საბა, 1991, გვ. 217). „ხაჭო - ყველი და სძის შემტკნარებულიდამ რამდენრიგი იქნების, ხაჭო არის“ (საბა, 1993, გვ. 419).

„აპოხტი - ყოველთა ჴმელთა ჴორცთა სახელია, ხოლო განაყოფით: შაშხი ეწოდების პოხილსა ჴმელსა ჴორცთა ოთხფერჴთა და ფრინველთასა, ხოლო ლორი მეტად პოხილსა ჴორცთასა და თევზთასა, ოფიტონი ღორის ფელიკსა ჴმელსა და ხინკალი დუმასა და სუთსა ხმელსა“ (საბა, 1991, გვ. 54).

ქერი: „ქერქეჭანა - ფიჭვის განაყარი ქერქი“ (საბა, 1993, გვ. 220). „ლუდი - ქერის თაფლუჭი“ (საბა, 1991, გვ. 424).

წვენი: „ბადაგი - ტკბილი მოდუღებული“ (საბა, 1991, გვ. 88). „ავშარაჯი - შაქრითა და ხილებთა და მსხალთა წვენი სასმლად შემზადებული“ (საბა, 1991, გვ. 41).

ქართული ენის ლექსიკის მარაგში გარკვეული ადგილს იჭერს ნასესხები, სხვა ენობრივი სამყაროდან შემოსული სიტყვები. სესხება ენის ლექსიკის გამდიდრების ფრიად მნიშვნელოვანი საშუალებაა (ღლონტი, 1971, გვ. 92).

სულხან-საბას ლექსიკონში ვხვდებით საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შემოსულია უცხო ენიდან. მაგ.: „რეჰანი - სხვათა ენაა, ქართულად შაშპრა ჰქვიან“ (საბა, 1993, გვ. 9). „ტარხუნა - სხვათა ენაა, ქართულად ტეგანი ჰქვიან“ (საბა, 1993, გვ. 134). „ნაზუქი - სხვათა ენიდამ შემოღებულა, რომელსა ქართულად ნატიფი ეწოდების“ (საბა, 1991, გვ. 561). „არაყი - არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინაიდგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების“ (საბა, 1991, გვ. 60). „რახი - ბერძნულია, არაყი არაბულია და იყი ქართულად ჰქვიან“ (საბა, 1993, გვ. 6). „ბანჯარი - სომხურია, მხალსა ჰქვიან“ (საბა, 1991, გვ. 94). „აიაზმა - ბერძნულია, ქართულად წმიდა წყალი ჰქვიან“ (საბა, 1991, გვ. 42).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელი სიტყვების სინონიმური ჯგუფები.

სინონიმი ბერძნულად თანასახელს ნიშნავს, ე.ი. ერთი და იმავე საგნის მეორე სახელს. (ფოჩხუა, 1974, გვ. 29).

ლექსიკური სინონიმები ერთი და იმავე დისტრიბუციული კლასის ისეთი ლექსემებია, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობებს საკმარისად დიდი საერთო ნაწილი აქვთ. ისინი მსგავსი ან იდენტური სისტემებით აღიწერება (სინონიმებს ხშირად განსაზღვრავენ როგორც საერთო საგნობრივი მიმართების, ან ერთი და იმავე დენოტატის მქონე ლექსემებს, ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხა სახელწოდებას (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 365).

საბას ლექსიკონში საჭმელ-სასმელის მრავალსახელთა (სინონიმთა) ასეთი ჯგუფები გვხვდება: „**თაფლი** - ფუტკრის **მანანა**“ (საბა, 1991, გვ. 302), „**გოლი** - ტკბილი, გინა თაფლი“ (საბა, 1991, გვ. 165), „**კიპრუჭი** - თაფლი მაგარი“ (საბა, 1991, გვ. 375). **„ნაზუქი** - სხვათა ენიდამ შემოღებულა, რომელსა ქართულად ნატიფი ეწოდების... მრავალსახენი არიან: **კოლვირდი, ხაოანი, ღალანოს, მანდარი, ლელენგო, ფოფხი, პლაკუნტი, კუპატი, ქადა, ხაჭაპური“** (საბა, 1991, გვ. 561).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **არაყის** სინონიმებად დასახელებულია **იყი** და **რახი** (საბა,1991, გვ.60; 1993, გვ. 6).

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონში“ გარკვეული ადგილი უჭირავს საჭმელ-სასმელის აღმნიშვნელ ლექსიკას, რომელშიც გამოიყოფა დერივაციული, მრავალსახელთა (სინონიმური), ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. ასეთი დაჯგუფების წყარო არის არა მარტო დიალექტური მეტყველება და სესხება, არამედ ძველი ფილოსოფიური აზრი, უშუალოდ კი, ლექსიკონში დადასტურებული.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
2. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
3. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
4. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1991.
6. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1993.

ნიკო ლორთქიფანიძის ენის სტილური ნიუანსები

მთვარისა სადაღაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქართულ ლიტერატურაში ნიკო ლორთქიფანიძე აღიარებულია სიტყვის, ქვეტექსტის, ლაკონური ფრაზის, სხარტი, გამართული დიალოგების დიდოსტატად. მან შემოიტანა სრულიად ახალი, მაღალი გემოვნების მხატვრული სტილი და წერის თავისებური მანერა. ამ შემთხვევაში ნიკო ლორთქიფანიძე გვევლინება, როგორც ნამდვილი ნოვატორი. ქართულ პროზაში ახლად შემოჭრილ ფსიქოლოგიზმის ნაკადს ნიკო ლორთქიფანიძემ ახლებური, ფორმისა და ექსპრესიული

ხერხების თანხმიერად შეკრული მხატვრული მოდელი მიუყენა და მკვეთრად ინდივიდუალური, თვისობრივად განსხვავებული ლიტერატურული ფენომენი დაამკვიდრა.

ნიკო ლორთქიფანიძის სტილი განუმეორებელია, ერთადერთი; ლაკონური, ტევადი ფრაზები, ქვეტექსტები, წყვეტილი თხრობა, ნერვიული დაძაბული რიტმი.

ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილი ნოველა „თავსაფრიანი დედაკაცი" სწრაფი თხრობის ბრწყინვალე ნიმუშია. ამ ნოველაში ჩნდება თავისებური სინტაქსი, პუნქტუაცია, აბზაცები, სტრიქონების უჩვეულო გრაფიკული განლაგება „არაპროზაული" მეტყველებისთვის დამახასიათებელი რიტმულობა. მის ნოველაში „თავსაფრიანი დედაკაცი" ფართოდ ეხსნება კარი „და" კავშირს და განსაკუთრებული ემოციური ფუნქცია ენიჭება.

„ნამალევათ შორიდან დაანახვა ქალი; მოაწყო „ქალის ნახვა" და მიაცემინა შარნა.

და მერე?" (3, 3-4)

„მეფე-დედოფალს სუფრაზე, ცხვირის წინ, ულაგებდნენ „თავზეგადასაგდებს": პატარა სარკეს, მოოქრულ სათითურს, ძეწკვს, თითბრის ტაშტს, დანა-ჩანგალს, ვერცხლის მანეთიანებს და ათ შაურიანებს.

... ქვიჯასაც,

და განგებ მოწვეული სოფლის მწერალი სისწორით ადგენდა სიას"... (3, 4)

„დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი...

და გაიხადა, მოიხსნა...." (3, 10).

მწერლის ნოველაში დინამიკურობას ქმნის არა მარტო ზმნები, არამედ ერთსა და იმავე ბრუნვაში მიჯრით „მიწყობილი" სახელებიც რომლებიც ამ მონაკვეთს თავისებურ რიტმულობას ანიჭებენ. ეს ყველაფერი ერთად – კონტრასტი სახელდებითსა და ზმნებით დატვირთულ სტრიქონებს შორის, წინადადებათა სიმოკლე, უეცრად მოზღვავებული ზმნები, რიტმთა ნაირსახეობა და თხრობის სწრაფი ტემპი მის ნოველას უკიდურეს დინამიკურობას ანიჭებს.

„... და იგი დადის
პოლიციაში,
სასამართლოში,
მეზობლებთან,
მამასახლისთან.
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე, –
გადაიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს.
თავისას კი მიაღწევს:
ბავშვებს სამართალს მოუნახავს,
დახმარებას გამოითხოვს,
მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს.
ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან
მაჭანკლებიც მოუგზავნეს.
– „როგორ ვუმტყუნო ობლებს?!" (3, 7-8).

აგრეთვე, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს ნოველაში პუნქტუაციის ნიშნებიც კი. თუნდაც მოულოდნელი - ტირე! იგი თითქოს ჭიმავს სიტყვებს შორის სივრცეს, რომელიც ჩვენ, მკითხველებმა, საკუთარი წარმოსახვით უნდა შევავსოთ:

„ცოლი გოდრის ასაწევათ არ მიიხმარა: მოერიდა ახალ ნალოგინევს.

და თვით ეცა უძინარი:

კარგი სიმინდი – ნალიაში;

უვარგისი – ცხვენზე;

ფუჩეჩი – საბძელში...

ადგა მთქნარებით – ისევ სამუშაოთ"... (3, 6)

ნოველაში რიტმულობის ეფექტს ნიკო ლორთქიფანიძე აღწევს სინტაქსური პარალელიზმის ხერხის მოხმობით:

„და განგებ მოწვეული სოფლის მწერალი სისწორით ადგენდა სიას...

სვეს,
იცეკვეს,
არა მარტო გოგო-ბიჭებმა,
მოხუცებულებმაც.
დაიშალენ სტუმრები.
აბღავლდნენ დანაკლავ ადგილზე ძროხა და ხარი". (3, 4)
„ეზოზე ჩოჩიალა ურემმა გადაიტანა ნაჭა, საბანი, ლები... ხორაგი.
გადავიდნენ 60 მანეთით დატვირთული სიძე, მაყრები, რომ ახალ ადგილს
ეცეკვათ,
ესვათ,
არა მარტო გოგო-ბიჭებს,
არამედ მოხუცებულებსაც.
დასახლდნენ, დაფუძნდენ". (3, 4)

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, სინტაქსური პარალელიზმის იშვიათ მაგალითთან გვაქვს საქმე: ფიქსირდება არა მარტო წინადადებათა მსგავსი კონსტრუქციები, არამედ ძალზე მიახლოებით ან მთლიანად მეორდება სიტყვები და გამოთქმებიც კი.

ნიკო ლორთქიფანიძე ეპითეტს იშვიათად მიმართავს, მაგრამ სადაც იყენებს, იქ ეპითეტი საგნის შუაგულიდან ამოაქვს. რა მრავლისმეტყველია ეპითეტი - „კაპასი ქალი", „მოკრძალებით მდგომი მათხოვარი", „თავსაფრიანი დედაკაცი".

უმძიმეს სულიერ განცდებს ნიკო ლორთქიფანიძე გამოხატავს თავის მოთხრობაში „ტრაგედია უგმიროთ". მწერალი უბრალო პროზაული სიტყვებით და საოცარი სისადავით აღწევს საოცარ მხატვრულ ეფექტს, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, საოცრად დაწურული ფრაზები იმ ზომამდე, რომ ყველაზე უფრო მტკივნეული განცდები მხოლოდ ძახილის ნიშნებით არის გამოხატული: არავითარი სახვითი საშუალებანი, მხოლოდ არსებითი სახელები, ზმნები, ორად ორი ემოციურად დატვირთული ზმნიზედა: „წყნარად", „ნაზად" და ინტონაციური ნიუანსები.

„ადგა, მივიდა ბავშვებთან...

შეტრუცული ბჟოლის ძირში მიგდებულიყვნენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გავაღვიძო მაინც! რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!..

უმცროსს გამოეღვიძა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

- მამა!.. – წყნარად დაიწყო ბავშვმა.
- რა, შვილო? – ნაზად უპასუხა.
- მთლად შეჭამე?
- !!!
- მამა, ცოტა იქნებ დაგრჩა – მომეცი... მუცელი მტკივა... არ გაგამხელ...

მამას ზლუქუნი წასკდა" (4, 286-287)

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „კერიასათვის" დიალოგურ მეტყველებაში ფრაზა ინტონაცია და სინტაგმატიკა ბუნებრივია. ყოველი ელემენტი მოწოდებულია შექმნას „სასაუბრო" ატმოსფერო.

„ - ვინ ხარ ძმაო, შენ?
- წყაროსელი ვარ, ხაჭარაშვილი, - მიუგო ბიჭმა.
- მერე აქ ვის უცდი?
- სამუშაო მინდა ვიშოვო...
- რა სამუშაოს ეძებ?
- სულ ერთია, რაც იქნება...
- არ ვიცი, ძმაო, ხელზე მოსამსახურე ამ ტყეში ვის მოუნდება და ტყის მუშათ შენ ვინ აგიყვანს?
- რატომ? ხის მოჭრა რა დიდი ბედენაა?...
- იარაღი მაინც თუ გაქ?...
- ნაჯახი?
- ჰო! ნაჯახი, ბაწარი, ქლიბი, ბირდაბირი. (2, 29)

მწერლის ლექსიკა გამორჩეულია, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოთხრობა „კერიასათვის", რომელშიც აღწერილია საყოფაცხოვრებო ნივთების ვრცელი ნუსხა.

„პირველი. - ოცდათხუთმეტი მანეთი ვერცხლის ფულათ.
მეორე. - სპილენძის ქვაბი მთავარი.
მესამე. – მისივე ტაშტი.

მეოთხე. – ერთი თითბრის ტაშტი.

მეხუთე. – ერთი თუნგი სპილენძისა…

მეცხრამეტე. – ორი მუთაქა.

მეოცე. – სამი ზეწარი.

ოცდამეერთე. – ექვსი კაბა: ერთი შალის და სხვა ჩითი.

ოცდამეორე. – ორი იუბკა პირკლისა.

ოცდამესამე. – ოთხი კოფთა...

ოცდამეათე. – სამი პერანგი.

ოცდამეთერთმეტე. – სამი მისი ამხანაგი.

ოცდამეთოთხმეტე. – ერთი მოსახურავი (2, 14-15).

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „კერიასათვის" უხვად არის გამოყენებული ისეთი დიალექტური ფორმები როგორიცაა:

„ - შენ რაც დეესახლო, მაგ შენ კოდარა დედაკაცს დააქადნე. ჩემთან რა საქმე გაქვს. დეეტიე მადანე… " (2, 5)

„ - რატომ გინდა მიგვატოო?" (2, 7)

„ - ეს ქე ვიცით... მაგას ჯიბეში ვერ ჩეიდებთ... შენ ეს გვითხარი, რა გაქვს დახარჯული ოჯახიზა?" (2, 12)

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში აგრეთვე ვხვდებით ნაწილაკიან ფორმებს:

თუ პირდაპირი ნათქვამი სხვის სიტყვებს გულისხმობს მას ჩვეულებრივ ბოლოში ო დაესმის. სხვათა სიტყვების ო ჩვეულებრივ მესამე პირის ნათქვამის აღსანიშნავად არის გამოყენებული. იგი ხშირად გვხვდება ზეპირმეტყველებაში, ანდაზებში, გამოცანებში, შელოცვებში.

სხვათა სიტყვის ნაწილაკი ო უშუალოდ დაერთვის სიტყვას და იწერება იმ სიტყვებთან, რომელსაც იგი ახლავს.

- „წადი, ბიცოლას მოახსენე... ნუ გეშინია, უთხარი გიორგი გახლავთ-თქო" (2, 224).

- „როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩაუარე გვერდი…" (2, 407)

თქვა ნაწილაკის ფუნქციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. თქვა ზეგჯერ ნაწილაკი კი არ არის, არამედ ორპირიანი გარდამავალი ზმნაა ო ნაწილაკი წარმოშობით უკავშირდება თქვა ზმნას. ო თქვა გადაიკარგება ძირეული თქო, ხოლო ვ- კომპლექსმა მოგვცა ო. უნდა ითქვა, რომ ძველ ქართულში ო ნაწილაკი იშვიათად იხმარებოდა, ხოლო ახალ ქართულში ნ. ლორთქიფანიძის თხზულებებში გაბატონებულია.

„ - აკი გითხარი, ოდანია იმედაძეს–თქვა"… (2, 8)

„ - არ გავრჯი-თქვა, რომ გითხრა ტყუილია… (2, 37)

მეთქი ნაწილაკების ხსენება უფრო ხშირია დიალექტებში. იგი ხშირად გვხვდება ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებშიც. მეთქი წარმომდგარია ორი სიტყვის შეერთებიდგან „მე ვთქვი". ამიტომ, იგი მოსაუბრის პირის ნათქვამის გამეორებას ან განაზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს.

„ - გზა-მეთქი! სისულელით თავს ნუ მაკვლევინებ! (2, 111).

„ - არ ვიცი-მეთქი, მოვახსენე (2, 135)

„ - მართალია, - ჩაერია ლაპარაკში ოქროპირა, - მამა რომ გადეეცვალათ, მღვდლისაგან ისესხეს 50 მანეთი და იგი გეიზარდა სამ წელიწადში 12 თუმნათ". (2, 12)

„ხან გაყოფაზე ფიქრი და ჯავრი ჰქონდათ, ხან ისე უეცარი უსიამოვნება ერთმანეთში. ამიტომ დაფაცურდენ, დაკლეს, გაპუტეს, შამფურზე წამოაგეს ერთი კაი დედალი და შამფურის სატრიალებლათ პატარა ბავში მიუჩინეს" (2, 21)

- „დიახ, ბატონო, დიდი ხალხი ასევია თურმე. . . ინჯილრები არიანო" (2, 25).

ვითარებითი ბრუნვა, ჩვეულებისამებრ, დ-თანხმოვნით ბოლოვდება, თუმცა ზეპირმეტყველებაში ის ხშირად თ –თანხმოვნად იქცევა.

ნიკო ლორთქიფანიძე თითქმის ყოველთვის იმ ფორმას წერდა, რომელიც ზეპირმეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. მის მოთხრობებში „კერიასათვის" ვკითხულობთ:

„საპატიმროში მინაიი მოეშვა. მოითენთა, მუდამ ახსოვდა თავისი დანაშაული, ჩუმათ ღმერთს ევედრებოდა პატიებას, ბრუნდსა და მართალს, მთავრობის პირებს და პატიმართ გულწრფელათ ეუბნებოდა აღსარებას და სასჯელის შემსუბუქებას არა თუ მოელოდა, არც კი თხოულობდა" (2, 65)

„მინაიასთან ახლა ბლომათ ხალხი დაიარებოდა, ვინ შემწეობას სთხოვდა, ვინ ფულის სესხებას, ვინ ნათლიობას.

მაგრამ მინა გულწრფელათ ეუბნებოდა:

- ხალხო, სად მაქ ამდენი ფული? ხაზინა კი არ გამიცარცვავს!“. (2, 71).

„არა, ყველაფერი იწყებოდა საჩქაროთ, ვითარდებოდა მძლავრათ, უგულოთ”. (2, 80)

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში შევხვდებით ნაწილაკიან ფორმებს, როგორებიცაა:

„ - აკი გითხარი, ოდანია იმედაძეს-თქვა”... (2, 8)

„ - არ გავრჯი-თქვა, რომ გითხრა ტყუილია“... (2, 37)

„ - გზა-მეთქი! სისულელით თავს ნუ მაკვლევინებ!“ (2, 111)

„ - არ ვიცი-მეთქი, მოვახსენე“ (2, 135)

ამრიგად, ასეთია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსახიერებული იდეების და თემების სამყარო, ასეთია მისი სამწერლო ინდივიდუალური, მხატვრული სტილის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი. იგი პოეტური გატაცებით ამუშავებდა თავის ნაწარმოებთა ენობრივ ქსოვილს, ხვეწდა ფრაზას. მისი შემოქმედება, როგორც ლიტერატურული, ისე ენობრივი სამუდამოდ არის შესული მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ძირითად ფონდში.

ლიტერატურა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, 1982.
2. ლორთქიფანიძე ნ., პროზა, სამტომეული, ტ. 2, თბ., 2012.
3. ლორთქიფანიძე ნ., პროზა, სამტომეული, ტ. 3, თბ., 2012.
4. ლორთქიფანიძე ნ., მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, თბ., 2006.

მიცემითი ბრუნვა ქართველურ ენებში

თეონა ქაჯაია

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** სრული პროფესორი

ქართველურ ენებში მიცემითი, სახელობითსა და მოთხრობითთან ერთად, ე.წ. „სინტაქსურ ბრუნვათა სერიას“ ქმნის.

მიცემითის გამოყენება ამ ფუნქციით გვიანდელი მოვლენაა. გარდა ამისა მიცემითი გამოხატავს:

ძვ. ქართულში: ა) ზოგადად ადგილს („პრომს დამკჯიდრებულიიყვნეს“); ბ) დროს („უკეთუ ვინმე ვიდოდეს ღამესა“); გ) საგანს (ობიექტს, მოვლენას), რომელსაც სხვა საგანს (მოვლენას) ადარებენ („რაოდენ უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა“)...

მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკის გადმოცემისას, ძველ ქართულში ხშირია მიცემითი ბრუნვის ხმარება იმავე ფუნქციით, რაც ვითარებითს ეკისრება, მეტიც - ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციებში მიცემითი და ვითარებითი პარალელურად იხმარებიან; შდრ. „აღვიდა იესუ ტაძარსა“ - „აღვიდა იესუ ტაძრად“ ...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ერთი მხრივ, მეტად შეზღუდულია ვითარებითი ბრუნვის ფუნქციონირება მოძრაობის სასრული პუნქტის (დროში სასრულობის) ასახვის პროცესში; მეორე მხრივ, უთანდებულო მიცემითი თანდათან გამოდის ხმარებიდან; ამჟამად მეტად იშვიათია „შევიდა ტაძარსა“ // „შევიდა ტაძრად“ ტიპის ფორმები; მათ თანდებულიანი კონსტრუქციები ცვლის („სახლამდე // სახლში // სახლთან მივიდა“)

ზანურში საწყისობა-სასრულობის ოპოზიცია დაშორებითისა და მიმართულებითის საშუალებით იქმნება; თუმცა, მიცემითი ბრუნვა ხშირად ჩაენაცვლება მიმართულებითს.

თანამედროვე სვანურში -ხ̈ან, -თე თანდებულთა დაპირისპირებით გადმოიცემა საწყისობა-სასრულობის ოპოზიცია, მაგრამ სვანურშიც საკმაოდ ხშირია მიცემითის ლოკატიური ფუნქციით ხმარება სასრულობის ამსახველ კონსტრუქციებში (შდრ.: ,,ლგცას//ლგცდ შგდახ” - წყალში ყრიდნენ).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ხშირია სასრულობის ამსახველ სუფიქსთა (ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, თანდებულით დაზუსტებული ფორმები) მიცემითი ბრუნვის ფორმით ჩანაცვლება.

მიცემითი სამსავე ქართველურ ენაში ზოგადად ლოკატივის ადგილის ამსახველი ბრუნვაა; ჰ. ფოგტი მიცემითს „წერტილოვან ბრუნვას“ უწოდებდა. მანვე ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ, მაგალითად, ადიშის ოთხთავის ტექსტში ნათესაობითით, ზედსართავით ან ჩვენებითი ნაცვალსახელით განსაზღვრულ სახელთან გვაქვს მიცემითი. მიცემითის ძირითადი მნიშვნელობა არის რაიმე წერტილის მიმართ ორიენტაციის აღნიშვნა.

საზოგადოდ, უნდა გაიმიჯნოს ლოკატივის (ზოგადად ადგილის) და ლატივის (მოძრაობის სასრული პუნქტის) სემანტიკა: ლატივი შედარებით ვიწრო ცნებაა, ლოკატივი - მოიცავს მას. ლოკატივის ბრუნვა შეიძლება ჩაენაცვლოს ლატივს, მაგრამ საპირისპირო პროცესი, როგორც წესი, არ ხდება.

მიცემითის ფუნქციონირების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ზანურის ვითარება: მეგრულსა და ლაზურში მეტად განვითარებულია ზმნისწინთა სისტემები (თანდებულთა სიმწირის ხარჯზე). ზმნისწინი სტატიკურ ზმნებსაც დაერთვის და, მარტივი მიცემითით გაფორმებულ სახელთან ერთად, მდგომარეობის, პროცესის, მიმდინარეობის ადგილს (და არა მიმართულებას!) გამოხატავს; შდრ.: ზან. „რაში ტყასგ ქაშედიარეგ“ - ქართ. რაში ტყეში ბალახობს.

მეგრულ-ლაზურში, მსგავსად ქართულისა, მიცემითი ბრუნვა **-ს** ალომორფითაა გაფორმებული (განურჩევლად ფუძისა), როგორც ეს ქართულშია. მოსალოდნელი იყო - **შ**, მაგრამ იგი არსად შენახულა მიცემითში:

მეგრული

კო-ს	„კაც-ს“
ხოჯი-ს	„ხარ-ს“
დიდა-ს	„დედა-ს“
კირდე-ს	„კლდე-ს“
კოტო-ს	„ქოთან-ს“
ჯიმუ-ს	„მარილ-ს“

ლაზური

ოხორი-ს	„სახლ-ს“
ჯუმა-ს	„ძმა-ს“
ორძო-ს	„სკამ-ს“
დუცხუ-ს	„ცაცხვ-ს“
ბერე-ს	„ბავშვ-ს“

მიცემითში იშვიათად არის **-ას:** ძვირ-ას „ძვირად“. ეფ-ას „იაფად“, ნწარ-ას „მწარედ“, შხირ-ას „ხშირად“, თელას „ცოცხლად“ ... ი. ყიფშიძის აზრით, **-ას** არის არაქაული ბრუნვის ნიშანი ქართული მიცემითისა; ალბათ, ნაგულისხმევია ქართულის შემდეგი სახის მაგალითები: ალაგ-ას, ადგილ-ას, ძირ-ას და ა.შ.

ზემოხსენებული **-ს** ფორმანტი მიცემითისა ძირითადია სენაკურ კილოკავში როგორც ხმოვან-, ასევე თანხმოვანფუძიან სახელებთან:

ქოხონუნა **დიხას** (ხუბ., 56, 22) - ,,ქე ხნავენ მიწას.“ ჟირი ჟიმა მუშენდგ ც **ვანას**. (ხუბ., 64, 4) - ,,ორი ძმა მუშაობდა ყანაში. ‘’ ორე თე კოჩი **ონადირუს** (ხუბ., 64,5) - ,,არის ეს კაცი სანადიროდ. ‘’ სი დეკვირი ჩქიმი **ქურს** (ხუბ., 61, 10) - ,, შენ დაუკვირდი ჩემს ქუსლს.’’ ე **ბოშის** დიდა ღურელ ცოფუ- ,,ამ ბიჭს დედა მკვდარი ჰყოლია“ ...

ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში, როგორც წესი, **-ს** ყოველთვის შენარჩუნებულია მხოლოდ ბოლოხმოვნიან სახელებში და **ი** შემომტკიცებულ ფუძეებში:

სახელობითი		**მიცემითში**
ცირა	„ქალიშვილი“	ცირა-ს
ცუდე	„სახლი“	ცუდე-ს
ონდლე	„შუადღე“	ონდღე-ს
კოტო	„ქოთანი“	კოტო-ს
ბაბუ	„ბაბუ“	ბაბუ-ს
ტგ	„ცური“	ტგ-ს
ძღაბი	„გოგო“	ძღაბი-ს

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის მიცემითში ბოლოთანხმოვნიან სახელებთან **ს**-ს პარალელურად დასტურდება **-ც** მორფემაც. (ყიფშიძე, 1914, გვ. 024, გ. კლიმოვი, 1962, გვ. 69-70); **-ს**-ს და **-ც**-ს პარალელურად გამოყენება გვხვდება ერთგვარ კომპლექსებში: **რს, ლს, ნს, მს, ფს, დს, ტს, ჯს... რც, ლც, ნც, მც, ფც, დც, თც, ჯც...** მეტიც, ერთსა და იმავე პირის მეტყველებაშიც კი.

ი. ყიფშიძისა და ს. ჟღენტის აზრით, **ს > ც** პროცესი ერთნაირად კანონზომიერია როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის შემდეგ. ა. ლომთაძის დაკვირვებით, **,,ს** სპირანტის აფრიკატიზაცია (ს > ც) მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხშულ თაქნხმოვნებს შორის ხვდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორი ბგეროვნებითაა თანხმოვანი: სონორია ის თუ მჟღერი, ფშვინვიერი თუ მკვეთრი. მთავარია ხშვის პროცესი ახასიათებდეს მას“ (ლომთაძე, 1987, გვ. 18).

უწუ მუში **ცხენც** (ხუბ. 218, 33) – „უთხრა თავის ცხენს.“ გასხუპეს **ართიანც** (ხუბ.189, 14) – „გადაკოცნეს ერთმანეთი.“ ჩილამურიში თუდო **ღორონც** ქაახვეწუნგ (ყიფ. 61.9) – „ცრემლებით შესთხოვა ღმერთს“. ართ დღა-ონდღეში **გურც** (ხუბ. 181, 24) – „ერთ დღეს, შუადღეს“. **ჯილამენც** მუ ხვადგნია? (ხუბ. 189, 21) – „ძმებს რა ხვდებაო“?..

დასკვნა

ამრიგად მიცემითის ბრუნვის ნიშნებს სამსავე ქართველურ ენაში საერთო წარმომავლობისად მიიჩნევენ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი. ქართველურ ენებში წარმოდგენილი მსგავსება-განსხვავება მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან ისე, რომ მათ შორის კავშირის დადგენა შეუძლებელი იყოს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველური ენები ერთმანეთის პარალელურად ვითარდებიან იმის გამო, რომ ისინი უმწერლობო ენებია. მათი განვითარება არაფრით არაა შეზღუდული, მაგრამ განიცდიან სალიტერატურო ქართულის გავლენას.

ლიტერატურა:

1. თოფურია ვ., ზოგიერთი ბრუნების გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურსი, ენიმკის მოამბე I, 1939.
2. კოლხური ენა, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, შემადგენლები რუსუდან ამირეჯიბი-მალენი, ნანა დანელია, ინგა დუნდუა, თბ., 2006.
3. ლომთაძე ა., ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.
4. მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ლექციების კურსი, 2003.
5. ნაჭყებია მ., სახელის ბრუნების პარადიგმა მეგრულ-ლაზურში, თბ., 2009.
6. ნაჭყებია მ., ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა, თბ., 2012.
7. ჭარაია პ., მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, მასალა (ჟურნ.) ,,მოამბე“, 1995. №X-XII, 1996, №I-II).
8. ჭუმბურიძე ზ., სვანური ენა, გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები ლექსიკონი თბ., 2007.
9. ხუბუა გ., მეგრული ტექსტები, თბ., 1937.
10. Кипшидзе И., Грамматика мингрельского языка, С.П., 1914.
11. Климов Г., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

ნაწარმოები ზმნების მორფოლოგიური-სინტაქსური თავისებურებანი გერმანულ ენაში

თამარ ცერაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ცისანა ასანიძე,** მოწვეული სპეციალისტი

შესავალი

ენის ლექსიკის გამდიდრების და ახალი სიტყვების წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად მიჩნეულია სიტყვაწარმოება.

გერმანული ენის, ისევე როგორც ქართული ენის, ლექსიკური ფონდის გამდიდრების ყველაზე მნიშვნელოვანი გზა სიტყვაწარმოებაა. იგი გულისხმობს ახალი სიტყვების შექმნას ენაში უკვე არსებული სიტყვების ბაზაზე მათი მორფოლოგიური სტრუქტურის შეცვლის გზით. ახალი სიტყვების წარმოება მოცემულ მაგალითში ხდება ერთ შემთხვევაში ძირის შეცვლით, მეორეში - სიტყვამწარმოებელი აფიქსით, მესამეში - ერთი გრამატიკული კლასიდან მეორეში გადასვლით. სიტყვაწარმოება დიდ როლს ასრულებს ენის დაუფლებაში, ამდიდრებს ენის ლექსიკურ ფონდს.

სიტყვათწარმოებაში ყველაზე მეტი და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აფიქსაციას. აფიქსაციის საშუალებით დაწვრილებით მუშავდება გერმანული სიტყვების სხვადასხვა სტრუქტურული ტიპები და მორფოლოგიური ანალიზის ძირითადი ელემენტები. სიტყვამწარმოებელ აფიქსებს აქვს როგორც ლექსიკური, ისე ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა.

პრეფიქსებს უმეტეს შემთხვევაში აქვს წმინდა ლექსიკური მნიშვნელობა, ანუ ახალი სიტყვის წარმოების დროს ისინი უცვლიან მას მნიშვნელობას, სიტყვა კი რჩება იმავე მეტყველების ნაწილად. აფიქსური სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეა პრეფიქსაცია. გერმანულ ენაში პრეფიქსად გამოყენებულია ძირითადად წინდებულები და ზმნიზედები.

ზოგიერთ შემთხვევაში პრეფიქსი მოცილებადი თავსართია. aufstchen – stand auf, aufgestanden. ზოგჯერ კი მოუცილებადი: bestehen, verstchen.

პრეფიქსები, როგორც წესი, წინდებულების მნიშვნელობას ატარებენ და სიტყვის ძირითად ფუნქციას კი არ იცვლიან, არამედ გარკვეულ ელფერს აძლევენ მას. პრეფიქსს ძირითადი მნიშვნელობის გარდა, შეიძლება ჰქონდეს მეორეხარისხოვანი ან გადატანითი მნიშვნელობა. auf – პრეფიქსი წინდებულიცაა და ზმნიზედაც. Aufstehen, aufbrauchen.

სიტყვას შეიძლება ერთდროულად დაერთოს რამდენიმე პრეფიქსი. მაგ. aufbewahren; beabsichtigen, bearbeiten, beeinflussen;

პრეფიქსებს უმეტეს შემთხვევაში აქვს წმინდა ლექსიკური მნიშვნელობა, ანუ ახალი სიტყვების წარმოების დროს ისინი უცვლიან მას მნიშვნელობას, სიტყვა კი რჩება მეტყველების იმავე ნაწილად. გამონაკლისს წარმოადგენს ზმნათა ისეთი პრეფიქსები, რომლებიც გამოიყენება არსებითი და ზედსართავი სახელიდან ზმნის საწარმოებლად. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, რა როლს ასრულებს პრეფიქსაცია ზმნათა სიტყვაწარმოების დროს. [5;9].

გერმანულ ენაში განასხვავებენ მოცილებადთავსართიან და მოუცილებადთავსართიან ზმნებს.

მოუცილებადთავსართიან სიტყვებს წარსულში დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდათ. დღევანდელ გერმანულში კი დამოუკიდებელი მნიშვნელობით აღარ იხმარებიან. ისინი უმახვილო სიტყვამწარმოებელი ელემენტები არიან, ამასთან ერთად ისინი ზმნა-შემასმენლის პრეზენსისა და იმპერატივის ფორმებზე არ მოქმედებენ. Ich bekomme viele Briefe.Vergiss meine Worte nicht! Der Schef empfängt heute eine Delegation

ძირითადი ფორმებისა და პრეზენსის წარმოებისას მოუცილებლადთავსართიანი ზმნები ინარჩუნებენ სუსტი და ძლიერი ზმნებისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშან-თვისებას. მაგ.: besuchen-besuchte-besucht. bekommen-bekam-bekommen

ზოგიერთ მოუცილებადთავსართიან ზმნებს არ გააჩნია საკუთარი ფუძე, მისი მნიშვნელობა დაკარგულია ენის განვითარების რომელიღაც ეტაპზე. მაგ: gelingen, verlieren, vergessen, beginnen, empfehlen

თამანედროვე გერმანულ ზმნური სისტემის სიმდიდრეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გერმანული ენის ზმნური თავისებურებების სიტყვაწარმოებითი ფუნქციების სიუხვე და სიმდიდრე. სწორედ მათი შემწეობით იქმნება ახალი ზმნები, რომელთა გაჩენას ენაში აუცილებლობის ძალით იწვევს ტექნიკის ინტენსიური განვითარება, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში მიღწეული სიახლენი, ცვლილებები სოციალურ სფეროში. მაგ., vergesellschaften, verstädten, verknappen.

ზმნური თავსართები ver- , be-, er-, ent-, ge-, emp- დაერთვიან სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის ფუძეებს, ხოლო miss- და ge თავსართები მხოლოდ ზმნურ ფუძეებს.

მოუცილებადი თავსართები ძირითადად პროდუქტულია, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ emp- და ge-.მოუცილებადი თავსართები გერმანულ ენაში ბევრი არ არის, მაგრამ მათი უმრავლესობა (ver-, be-, er-, ent-) გამოირჩევა მრავალმნიშვნელობით.

მოუცილებლად თავსართების სემანტიკაში სხვა მნიშვნელობებთან ერთად ასპექტობრივი კომპონენტებიც შეინიშნება. ასპექტობრივი ნიუანსების გადმოცემა შეუძლიათ მხოლოდ ver-, be-, er- თავსართებს.

suchen – besuchen, zählen – erzählen, stehen- versfchen . . .

მაგრამ გერმანულ ზმნას არ გააჩნია მორფოლოგიური საშუალებები, რათა უღლების პარადიგმაში ასპექტობრივი ნიუანსები აისახოს. ამავე დროს არსებობს სიტყვაწარმოებითი საშუალებები და აღწერილობითი ფორმები, რომლებიც ამა თუ იმ ასექტობრივ მნიშვნელობას გამოხატავდნენ. ver-, be- და er თავსართების მაგალითზე შეიძლება ზმნის ასპექტობრივი თავისებურებების ჩვენება. ზმნები arbeiten, bearbeiten და verarbeiten, გამოხატავენ საგანზე მიმართულ მოქმედებას, ამასთანავე arbeiten ზოგადად აღნიშნავს საქმიანობის პროცესს და გამოხატავს მოქმედების ხანგრძლივობას. ამ ზმნას უპირისპირდებიან ზმნები: bearbeiten, erarbeiten, verarbeiten, რომლებიც მიუთითებენ მოქმედების შედეგზე.

Der Schriftsteller bearbeitet sein Werk. Sie erarbeiten ihren Plan. Die Arbeiter verarbeiten viele Rohstoffe.

გერმანულ ენაში 8 მოუცილებლად თავსართია

be – პრეფიქსი აწარმოებს გარდამავალ ზმნებს და ამასთანავე ზმნას აძლევს მიმართულებას საგანზე. schreiben – წერა, beschreiben – აღწერა, arbeiten – მუშაობა; be-arbeiten – დამუშავება რაიმესი.

ge- პრეფიქსი უმთავრესად ზმნას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს: hören – მოსმენა, ge – hören – კუთვნილება, ეკუთვნის. fallen – დავარდნა, ge-fallen – მოწონება.

ზოგჯერ პრეფიქსი ge – გვხვდება ისეთ ზმნებთან, რომლებიც ამ პრეფიქსის გარეშე არ იხმარება. gewinnen – მოგება, gelingen – მიღწევა.

ent – პრეფიქსი ზმნას აძლევს მოშორების მნიშვნელობას. entnehmen, entlaufen - გაქცევა.

emp – პრეფიქსი ფონეტიკურად სახეცვალებადია. ის გვხვდება მხოლოდ შემდეგ ზმნებთან: empfehlen- რეკომენდირება, რჩევა. empfangen – მიღება empfinden - შეგრძნება.

er - დაერთვის ზმნის ფუძეებს, რომლებიც გამოხატავენ სუბიექტთან დაკავშირებულ მოქმედებას, მდგომარებას, მოძრაობას. er - პრეფიქსი აძლევს ზმნას მოქმედების დაწყების ან დასრულების მნიშვნელობას. er-lernen - შესწავლა. er-wachen – გაღვიძება, er-blühen – აყვავდება...

ver – დაერთვის ფუძეებს, რომლებიც აღნიშნავენ სივრცეში გადაადგილების, ადგილის შეცვლას, მოძრაობის სხვადასხვა სახეებს: ver - პრეფიქსი ძალიან გავრცელებულია (ხმარებაშია). ის ზმნას აძლევს სხვადასხვა მნიშვნელობებს, მაგ., სხვა მდგომარეობაში გადასვლა. verkohlen – ნახშირად გადაქცევა, განადგურება. verbrennen - დაწვა.

პრეფიქსი ver–ის საშუალებით იწარმოებიან ზმნები, რომლებიც აზრობრივად, შინაარსით განსხვავდებიან ძირითადი ზმნისაგან.

stehen - დგომა, ver-stehen – გაგება, fassen – ხელის ტაცება, verfassen - შექმნა.

პრეფიქსი ver –, ისევე როგორც პრეფიქსი ge –, გვხვდება რიგ ზმნებთან, რომლებიც მის გარეშე არ იხმარებიან: vergessen – დავიწყება. ver-lieren – დაკარგვა. zer- პრეფიქსი დაერთვის ზმნურ ფუძეებს, რომლებიც გამოხატავენ დაყოფას, დანაწილებას, დანგრევას, განადგურებას. zerbrechen – გატეხვა, zerschlagen – დამტვრევა, დამსხვრევა. zerstören.

miss – პრეფიქსი ზმნას აძლევს ძირითადი ზმნის საწინააღმდეგო დანიშნულებას. brauchcn – missbrachen – ბოროტად გამოყენება. verstechen – გაგება; missverstehen – არასწორად გაგება. trauen – ნდობა – misstrauen – უნდობლობა.

რაც შეეხება ge პრეფიქსს, მკვლევართა უმრავლესობის მთავარ ფუნქციად მიიჩნევენ ზღვრული და არაზღვრული ზმნების სხვაობის გამოხატვას.

გარდამავლობის გამოხატვის ფუნქცია ძირითადად აკისრია be – და er თავსართებს.

საინტერესო მასალას გთავაზობთ be– თავსართი როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან დაკავშირების დროს.

გარდამავალ ზმნებზე be- თავსართის დართვისას გამოიყოფა ორი შემთხვევა: 1. be- თავსართი ამოსავალ ზმნას არ უცვლის მართვას, მაგრამ ცვლის ამოსავალი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას და ეს ცვლილება შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ნაწარმოები ზმნა სავსებით მოსწყდეს ამოსავალ ზმნას. მაგ., შევადაროთ denken – ფიქრი, bedenken – მადლობის გადახდა; treiben – betreiben – ტარება, შეხება. stellen – bestellen – შეკვეთა.

be- თავსართი არ უცვლის ნაწარმოებ ზმნას არც მართავს, არც ლექსიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ანიჭებს მას ასპექტურ და მოქმედების გაძლიერების მნიშვნელობას.

შევადაროთ, grüßen - begrüßen , singen-besingen, lehren-belchren. გარდაუვალი ზმნების გარდამავალ ზმნებად გადაქცევას be– თავსართის მეშვეობით თან ახლავს ზმნური კონსტრუქციის სპეციფიკური ცვლილებები. შევადაროთ, antworten auf etw – beantworten. kämpfen für etw – etw bekämpfen.

be- თავსართიანი ზმნები უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავენ უფრო რთულ მოვლენებს, ვიდრე ამოსავალი ზმნა. ნაწარმოები ზმნისა და ამოსავალი ზმნის მნიშვნელობის სხვაობას თან სდევს განსხვავებაც. მაგ., schenken-beschenken.

Er schenkt seiner Schwesfer Blumen-ის ჩუქნის თავის დას ყვავილებს. Er folgt ihm. Er befolgt ihn.

გარდამავალია აგრეთვე er – თავსართიანი ზმნებიც, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა სახის მოქმედებით გამოწვეულ შედეგს: arbeiten – erarbeiten (etw. durch Arbeit erreichen). laufen (vi) erlaufen (vt) – einen Sieg erlaufen.

ფართოდ განვითარებული მრავალმნიშვნელიანობის წყალობით თავსართები ერთმანეთთან სინონიმურ მიმართულებებს ამყარებენ.

თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს ver და be - პრეფიქსების სინონიმურობას.

vergolden – begolden; versilben – besilben; vergipsen – begipscn. [4; 81; 83]

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი be – თავსართიანი ზმნა ადგილს უთმობს ver – თავსართიან სინონიმებს versilben – vergolden, ხოლო ერთი ძირიდან ნაწარმოები ver და be – თავსართიანი ზმნები თანაარსებობენ ენაში:
verzaubern – bezaubern; verhexen – behexen.

გერმანულ ენაში ზმნას დაერთვის მოცილებადი თავსართი, რომელიც:

1. ზმნას უცვლის მნიშვნელობას;
2. პრეტერიტუმში, ანუ მეორე ძირითად ფორმაში ზმნას სცილდება და დგას მის შემდეგ.
3. მიმღეობა მეორეში, ანუ მესამე ძირითად ფორმაში დგას ge – თავსართის წინ.
4. ყოველთვის თავსართს დაირთავს.

მოცილებადი თავსართები აწარმოებენ ზმნებს დამოუკიდებელი მნიშვნელობით. მათ დიდ ნაწილს მიეკუთვნება ზმნიზედები და წინდებულები. მოცილებადთავსართიან ნაწარმოებ ზმნებში მახვილი მოდის ყოველთვის თავსართზე. დამოკიდებულ წინადადებაში თავსართი სცილდება ზმნის ფუძეს, მაშინ როცა ზმნა დგას პრეზენსში, პრეტერიტუმში ან იმპერატივში.

მოცილებადი თავსართებია:

mit -:mitkommen
nach -: nachlaufen
aus - : ausgehen
ab - : abfahren
auf - : aufstehen
empor -: emporkommen
her -: herkommen
vorbei – vorbeigehen
zurück -: zurückkommen
weg-: wegfahren
weg-: wegfahren
an -: ankommen
aus -: aussteigen
ein -: einsteigen
fort -: fortgehen
los -: losfahren
nach-:nachlaufen
vor -: vorlesen
zu - : zuhören.

ეს თავსართები მუდამ მახვილიანია და მათი მორფოლოგიური კავშირი ზმნასთან ნაკლებად მყარია: გარკვეულ პარადიგმებში (მაგ., პრეზენსისა და იმპერატივის) ისინი ზმნა – შემასმენელს სცილდება. ეს ცხადია წინადადების აგებაზეც მოქმედებს: ამოსავალი ზმნა ჩვეულ მეორე სინტაქსურ პოზიციაში რჩება, ხოლო თავსართი ადგილს წინადადების ბოლოში იკავებს [2; 191]. მოცილებადი თავსართის როლში შეიძლება გამოვიდეს სხვა ზმნა. ასეთ შემთხვევაში, ორთოგრაფიული რეფორმის თანახმად, ეს ზმნები ცალ-ცალკე იწერება. მაგ. kennen lernen – lernte kennen - kennen gelernt.

ზმნათა თავსართებს დაკისრებული აქვთ შემდეგი ფუნქცია:
1. აღნიშნოს მიმართულება; 2. ორიენტაცია; 3. სრული სახით წარმოადგინოს მოქმედება; 4. აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა.

თავსართმა შეიძლება ერთსა და იმავე დროს აღნიშნოს გეზიც, ორიენტაციაც მოქმედების სრული სახეც.

ზმნის თავსართის წარმოშობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნის ჩამოყალიბებასთან. გარკვეული ნიშნები ზმნას აქვს მხოლოდ თავსართის წყალობით მოპოვებული: გეზი, ორიენტაცია, თუ ზმნას არ ეწყობა ზმნისწინი, მას არ შეუძლია გამოხატოს არც ერთი მათგანი. გეზი და ორიენტაცია მხოლოდ ზმნისწინის ზმნასთან ხმარების შედეგია, ის, რომ თავსართს შეუძლია აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა, ამ ფუნქციის აღნუსხვა ლექსიკონის საქმეა [6; 33].

მოქმედების მიმართულების აღნიშვნა პრეფიქსის პირვანდელი დანიშნულება იყო, რომელიც ზმნას დღემდე შემორჩა განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მოძრაობას გამოხატავენ. ეს საერთო მოვლენაა ყველა ენაში. ამგვარ თავსართებს გარკვეული ცვლილებები შეაქვთ ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობებში: აღნიშნავენ მიმართულებას.

an – ab ისეთი თავსართებია, რომ გვიჩვენონ მოქმედების ორიენტაცია მე-3 პირისაკენ. მაგ, abfliegen, anfliegen.

გერმანულ ენაში არის აგრეთვე თავსართები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით ხან მახვილიანია, ხან უმახვილო და შესაბამისად, ხან სცილდება ზმნას, ხან არა. ამ მერყევი თავსართებიდან ყველაზე ფართოდაა გავრცელებული: ეს განსხვავება ძირითადი ფორმების წარმოებისასაც იჩენს თავს: dúrchfahren – fuhr durch – dúrchgefahren (ჩავლა, ჩაივლის), werktags fahren hier Züge durch (სამუშაო დღეებში აქ მატარებელი ჩაივლის).
durchfáhren – durchfuhr – durchfáhren (შემოვიდა, შემოივლის).

Im Somwer durchfahren wir das Land kreuz und quer. (ზაფხულში ქვეყანას შემოვივლით ხოლმე).

wieder

აღნიშნული თავსართები ემორჩილებიან მოცილებადი და მოუცილებადი თავსართების ხმარების წესს: თუ მახვილი თავსართს მოუდის, იგი მოცილებადია. თუ მახვილი ზმნის ფუძეს ეცემა, იგი მოუცილებადია. ამგვარ ზმნებს ლექსიკონში ან წარმოქნისას განვასხვავებით მახვილით, რომელიც ზმნას ან თავსართზე მოუდის, ან ფუძეზე. მახვილი ზმნას უცვლის მნიშვნელობას, მოცილებად თავსართთან ზმნას პირდაპირი მნიშვნელობა აქვს, მოუცილებადს კი – გადატანითი მნიშვნელობა. Wir reisen hier nur dúrch – ჩვენ აქ გავლით ვართ. Die Touristen durchreisen das Land - ტურისტები ქვეყანაში მოგზაურობენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრეფიქსები, გარდა ge-და emp-სა, ძალზე პროდუქტიულია თანამედროვე გერმანულ ენაში ისინი ფართოდაა გავრცელებული განსაკუთრებით სიტყვაწარმოების სფეროში და არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება ენის ზმნებით გამდიდრებისა.

რთული ზმნები

რთული ზმნების რაოდენობა გერმანულ ენაში შეზღუდულია. სიტყვათა წარმოების ეს თვისება აღინიშნება ლინგვისტურ ლიტერატურაში. რთული ზმნები ორი ან მეტი სიტყვისგან შედგება: fernsehen, kaputtwachen, teilnehmen, heimgehen და ა.შ.

რთული ზმნები იწარმოება ზმნისა და მეტყველების რომელიმე ნაწილის შეერთებით. რთული ზმნის მეორე ნაწილი ყოველთვის ზმნაა, პირველი ნაწილი კი შეიძლება იყვეს:

1. არსებითი სახელი teilnchmen- მონაწილეობის მიღება = Teil +nehmen; achtgeben = ყურადღების მიქცევა – Acht+geben. Teil – არაა არსებითი სახელი, ის არის არასრული რთული ზმნის ფუძე, მას არა აქვს გრამატიკული გაფორმება და არ შეუძლია შევიდეს კავშირში სიტყვებთან წინადადებაში. Er nimmt an unserer Arbeit teil.
2. ზედსართავი სახელი – frei lassen- გათავისუფლება - frei+lassen. festellen - დადგენა = Fest + stellen. Stillsitzen = still + sitzen.
3. ზმნა. ზმნები stchenbleiben - გაჩერება = stechen+bleiben.
   ზმნა განმსაზღვრელ ანუ ძირითად სიტყვად იხმარება.
4. წინდებული და ზმნისზედები: რთული ზმნის განმსაზღვრელი სიტყვა არის წინდებულები ან ზმნიზედები.mitnehmen - თან წაღება; fortfahren - გამგზავრება;
5. არსებითი სახელი წინდებულით. zugrunde gehen=zu Grunde + gehen - დაღუპვა.

რთული ზმნები იუღლებიან როგორც მოცილებადთავსართიანი ზმნები პრეზენსში, პრეტერიტუმში და ბრძანებითი კილოში რთული ზმნის პირველი ნაწილი სცილდება ძირითად ზმნას და გადადის მის შემდეგ. წინადადებაში კი ის წინადადების ბოლოშია [7; 36]

დასკვნა

როგორც ავღნიშნეთ, თანამედროვე გერმანული ენის ზმნური სისტემის სიმდიდრეს განაპირობებს თავსართების სიტყვაწარმოების სიუხვე და სიმდიდრე. სწორედ მათი მეშვეობით იწარმოება ახალი ზმნები, რომელთა გაჩენასაც ენაში აუცილებლობის ძალით იწვევს ტექნიკის ინტენსიური განვითარება, მეცნიერებასა და კულტურის სფეროში მიღწეული სიახლენი, ცვლილებები სოციალურ სფეროში.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალიდან ვასკვნით, რომ პრეფიქსაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ენის ლექსიკაში ახალი ზმნების წარმოქმნისათვის და ახალი მნიშვნელობის მინიჭებისათვის, იქნება ეს გარდამავლობა - გარდაუვლობის, გეზის, ორიენტაციის, ასპექტუალობის და სხვა მნიშვნელობანი.

ნაშრომში განხილულია ზმნათა სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება პრეფიქსაცია; დადგენილია პრეფიქსთა სახეები და მათი წარმომავლობის საკითხი.

მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეთ ცალკეული პრეფიქსის ფუნქციას ზმნათა სიტყვაწარმოების პროცესში. განვიხილეთ ნაწარმოები ზმნების მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები, ცალკე გამოვყავით და დავახასიათეთ მრავალმნიშვნელობით გამორჩეული პრეფიქსები: ver - , be - , er - , ent - .

წარმოვადგინეთ გერმანული ზმნის სიტყვამაწარმოებელი პრეფიქსების რაობა და სახეობები თანამედროვე გერმანულ ენაში და განვიხილეთ ის ობიექტური მიზეზები, რაც განაპირობებს ენის ლექსიკაში ახალი ზმნის წარმოქმნის აუცილებლობას.

განვიხილეთ ზმნათა პრეფიქსთა სახეები, მათი წარმომავლობის საკითხი, ცალკეული პრეფიქსების ფუნქცია სიტყვაწარმოების პროცესში; ზმნის ძირითადი სიტყვაწარმოებითი საშუალებები გერმანულ ენაში და წარმოვადგინეთ შესაბამისი მოდელები და საილუსტრაციო პრაქტიკული მასალა, ზმნის მოცილებადი და მოუცილებადი თავსართები, ასევე მერყევი თავსართები და რთული ზმნები.

ნაშრომში ძირითადად დავეყრდენით გერმანელი, რუსი და ქართველი მკვლევარების მოსაზრებებს. თითოეული მოდელი ილუსტრირებულია საინტერესო პრაქტიკული მასალით და შესაბამისი განმარტებებით, რაც გერმანული ზმნის სიტყვაწარმოების სტრუქტურას უფრო გასაგებსა და პრაქტიკული გამოყენებისათვის მისაწვდომს ხდის.

ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი ნ., გერმანული ენის გრამატიკა, თბ., 2004.
2. გვენცაძე მ., გერმანული გრამატიკა (Deutsche Grammatik), თბ., 2004.
3. ფურცელაძე ვ., თაბუკაშვილი რ., გერმანული ენის პრაქტიკული გრამატიკა, Praktische Grammatik der deutschen Sprache. თბ., 2001.
4. „უცხო ენებში სკოლაში", პერიოდული გამოცემები (1983–1998 წ.წ.)
5. ჟ. "საზრისი" პერიოდული გამოცემები 2005-2006. წ.წ.
6. შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია, I, თბ., 1973.
7. Степанова М. Д., Словарь Словообразовашельных элементов.
8. Степанова М. Д .,словарь неменцкого языка. Словобрадовательных элементов. М. 1979.
9. Грабарь – Пассек, Практическая грамматика нем. яз., М., 1964.

ДЕНЬ СЛАВЯНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ И КУЛЬТУРЫ КАК РЕЛИГИОЗНО-ГОСУДАРСТВЕННЫЙ ПРАЗДНИК РОССИИ

Софья Ханишвили
ст. 3 курса спец . «английская филология»
научн. рук. проф. **Н.Хинчагашвили**

Цель нашего труда - ознакомление с историей празднования современным русским государственным праздником.

Задачи исследования – получение знаний об этом празднике, разработка материала, систематизация сведений, характеристика, история становления праздника.

Ежегодно 24 мая в России отмечается День славянской письменности и культуры. История его возникновения неразрывно связана с именами святых Кирилла и Мефодия, создавших славянскую азбуку. День славянской письменности и культуры (День святых Кирилла и Мефодия) — российское название праздника, приуроченного к дню памяти святых равноапостольных братьев Мефодия и Кирилла (IX). Аналогичные государственные торжества существуют в ряде иных славянских стран.

Почитание просветителей славянских народов особенно усилилось в России в XIX веке. Этому способствовал целый ряд знаменательных юбилейных дат, а также участие русского народа в освободительном движении балканских народов.

Впервые с инициативой проведения праздника славянской письменности выступили болгары в 1857 году. По инициативе все той же Болгарии этот праздник отмечается и в других «кириллических» странах: Сербии, Черногории, Чехии и Словакии.

История праздника восходит к церковной традиции, существовавшей в Болгарии в X—XI веках. Самые ранние данные по празднованию 11 мая (по ст. стилю) дня равноапостольных святых просветителей Кирилла и Мефодия, известных также как «Солунские братья», датируются XII веком, хотя они были признаны святыми

ещё в конце IX века. В отдельности память святого Кирилла отмечается 14 февраля, святого Мефодия — 6 апреля, в дни их смерти.

Общий праздник святых Кирилла и Мефодия отмечался болгарской церковью и в следующие века, а в эпоху болгарского Возрождения превратился в праздник созданной ими азбуки. Этот праздник выражал духовное стремление к церковной независимости, национальному самоопределению, расцвету просвещения и культуры болгар. Праздник отмечался не только в болгарских землях, но и среди эмигрантов в России и Румынии, болгарских студентов за границей, заключенных в турецких тюрьмах.

Празднование памяти святых братьев ещё в старые времена имело место у всех славянских народов, но затем, под влиянием исторических и политических обстоятельств, было утрачено. В начале XIX века, вместе с возрождением славянских народностей, обновилась и память славянских первоучителей. В 1863 году в России было принято постановление праздновать память святых Кирилла и Мефодия 11 мая (24 мая по новому стилю).

Впервые с инициативой проведения праздника славянской письменности выступили болгары в 1857 году. По инициативе все той же Болгарии этот праздник отмечается и в других «кириллических» странах: Сербии, Черногории, Чехии и Словакии.

В 1877 году началась война России с Турцией за освобождение балканских стран. Россия приняла самое активное участие в избавлении единоверного болгарского народа от турецкого владычества, а русская армия принесла на алтарь победы жизни множества своих лучших воинов. Единство двух православных народов было скреплено славянской кровью, пролитой у Дуная, на Шипке и под Плевной. 19 февраля (3 марта по григорианскому стилю) 1878 года под стенами Константинополя, в Сан-Стефано, был подписан мирный договор, который провозгласил «истину и свободу там, где до этого царили ложь и рабство.

Освобождение болгарского народа от османского ига породило празднование «Дня Кирилла и Мефодия» (или, как называют этот день в Болгарии, «Праздника букв») именно потому, что национальное возрождение болгар в XIX веке напрямую связано с возрождением национальной письменности, школьного образования и болгарской культуры в целом. 24 мая в день памяти святых равноапостольных Кирилла и Мефодия стало традицией ежегодно по всей Болгарии проводить демонстрации, литературные вечера, концерты.

Только в Болгарии это праздник национального масштаба: этот день является нерабочим, все выходят на праздничные службы, демонстрации, крестные ходы, концерты, научные чтения, литературные вечера, И по сей день в Болгарии в канун 24 мая устраивают праздники букв и викторины знаний. Венками из живых цветов школьники украшают портреты Кирилла и Мефодия. Кроме того, научные деятели, преподаватели школ и вузов возлагают венки и цветы к памятникам Кириллу и Мефодию.

С присоединением Болгарии к Европейскому союзу 1 января 2007 года кириллица стала его третьим официальным алфавитом.

День болгарского просвещения, культуры и славянской письменности является официальным болгарским национальным праздником. Отмечается 24 мая. В этот день болгары чествуют не только болгарскую культуру, но и создателей славянской азбуки (кириллицы) равноапостольных святых Кирилла и Мефодия.

Впервые праздник болгарской письменности, прошедший 22 мая 1803 года в Шумене, упоминается в армянской летописи 1813 года. По инициативе деятеля Болгарского возрождения Найдена Герова (1823—1900) праздник стали отмечать в 1851 году в Болгарии (сначала в Пловдиве, затем в Шумене, Ломе, Стамбуле, а потом и по всей стране). 11 мая было избрано в связи с тем, что этот день был общим церковным праздником обоих святых.
В 1892 году учитель музыки из Русе Стоян Михайловский (1856—1927) написал текст общешкольного гимна, названного «Гимн святых Кирилла и Мефодия». Гимн состоял из 14 строф, из которых обычно исполняют первые шесть. Болгары знают его по первой строке «Върви, народе възродени!» («Вперед, народ возрожденный!»). В 1900 году композитор Панайот Пипков (1871—1942), в то время учитель в Ловече, написал музыку к гимну.

С введением в Болгарии Григорианского календаря в 1916 году церковный и светский праздник был объединен в один — 24 мая. В 1969 году церковный календарь был искусственно отделен от светского, и праздник пришёлся на 11 и 24 мая соответственно.30 марта 1990 года решением 9-го Народного собрания Болгарии 24 мая объявлен официальным праздником — Днём болгарского просвещения, культуры и славянской письменности. И по сей день в Болгарии в канун 24 мая устраивают праздники букв и викторины знаний. Венками из живых цветов школьники украшают портреты Кирилла и Мефодия. Кроме того, научные деятели, преподаватели школ и вузов возлагают венки и цветы к памятникам Кириллу и Мефодию. Звучит гимн Кириллу и Мефодию. Обычно к празднику приурочиваются другие культурные события, к примеру, «Салон искусств» в Народном Дворце в Софии, книжные ярмарки, поэтические чтения, книжные выставки и пр.

По пышности и масштабности празднования в Болгарии превосходят отмечание праздника в других славянских странах. В социалистический период в городах и крупных поселков 24 мая устраивались массовые манифестации школьников и преподавателей начальных и средных школ, которые проводятся и в настоящее время. Неделя около 24 мая — также пора «абитуриентских балов» выпускников средних школ.

С присоединением Болгарии к Европейскому союзу 1 января 2007 года кириллица стала его третьей официальной азбукой.

В России День славянской письменности впервые отмечался в 1863 году. Российский Святейший Синод определил, в связи с празднованием тысячелетия Моравской миссии святых Кирилла и Мефодия, установить ежегодное празднование в честь преподобных Мефодия и Кирилла 11 мая.К сожалению, эта традиция просуществовала всего несколько десятилетий.

В 1869 году исполнилось 1000 лет со дня кончины святого Константина-Кирилла. Во всех славянских странах совершались торжественные службы славянским первоучителям, поэты посвящали им стихи, а композиторы составляли хвалебные песни в их честь и память.

К 1000 – летию со дня кончины святого Мефодия. Святейший Синод Русской Православной Церкви разослал по всей России особое праздничное Послание, в котором говорилось о великом подвиге первоучителей славянских народов. П.И. Чайковский написал гимн в честь святых Кирилла и Мефодия. С 1901 года по указанию Святейшего Синода Русской Православной Церкви 11(24) мая становится для многих учебных заведений России праздничным днем. К этому дню во многих школах заканчивались учебные занятия, служились торжественные молебны и проводились праздничные концерты и вечера.

После революции 1917 года память о Кирилле и Мефодии хранила лишь Церковь и русские слависты, занимавшиеся изучением кирилло-мефодиевского научного наследия. Почти незаметно для широкой общественности прошли две знаменательные юбилейные даты — 1100 лет со дня кончины святых Кирилла и Мефодия.

Только с 1963 года в Советском Союзе (год 1100-летия создания славянской азбуки) стали проводиться научные конференции, посвященные этому празднику, да и то нерегулярно.

Мурманский писатель Виталий Семенович Маслов (1935-2001) был одним из первых, кто ратовал за возрождение традиции проведения праздников славянской письменности уже в 1980 году, но осуществить ему это удалось только в 1986 году в г. Мурманске. На первом празднике было решено центром торжеств каждый год избирать новый город – своеобразная столица праздника, в которой этот день отмечается особенно торжественно. . В 1987 году это уже была Вологда, в 1988 – Новгород, 1989 – Киев, 1990 – Минск.

В 1991 год Указом правительства РФ 24 мая День славянской письменности и культуры был объявлен государственным праздником**.** С тех пор gраздник прошел уже в 25 российских городах. В 1992 году центром торжеств стала Москва, в 1993 – Херсонес, 1994 – Салоники, 1995 – Белгород, 1996 – Орел, 1997 – Кострома, 1998 – Псков, 1999 – Ярославль, 2000 – Рязань, 2001 – Калуга, 2002 – Новосибирск, 2003 – Воронеж, 2004 – Самара, в 2005 – Ростов-на-Дону.

Сегодня День славянской письменности и культуры празднуется в РФ повсеместно. По своему содержанию День славянской письменности и культуры давно является единственным в России государственно-церковным праздником. По решению священного Синода Русской Православной Церкви и с благословления Святейшего Патриарха Московского и Всея Руси Алексия II сопредседателем Оргкомитета празд ника в течении нескольких лет является Митрополит Крутицкий и Коломенский Ювеналий.

С утра в главном храме города служится Божественная Литургия в честь святых равноапостольных Кирилла и Мефодия, за которой следует Крестный ход участников праздника. На одной из центральных площадей, празднично оформленной и обустроенной по этому случаю, звучат обращения к многотысячной аудитории главных устроителей праздника: министра культуры РФ, а также сопредседателей Оргкомитета – представителя Русской Православной Церкви и главы областной администрации. Эти мероприятия проходят под открытым небом в наиболее значимой исторической части города. При подготовке к празднику отреставрировано 13 храмов.

С полным основанием можно говорить об уникальности этого праздника духовности, проводимого с Русской Православной Церковью. Без сомнения, он представляет собой значительное явление в культурной и политической жизни всего славянского мира. Обращение к истокам национальных культур славянских народов, их тесная взаимосвязь подчеркивают органичное единство и вместе с тем – многообразие славянских культурных традиций.

В последние годы сформировалась структура и определились основные мероприятия Дня славянской письменности и культуры.

- Ежегодно, вне зависимости от дня недели, администрация области, принимающей праздник, объявляет 24 мая выходным днем.
- Созданы эмблема , гимн и медаль праздника;
- В рамках праздника проходит открытый урок для учащихся школ, средних и высших учебных заведений.
- Традиционно проводится Международная научная конференция «Славянский мир: общность и многообразие», Кирилло-Мефодиевские чтения.
- В каждом городе – центре празднования поставлены памятники Кириллу и Мефодию.
- Создан Славянский центр, который является центром изучения не только славянских языков и литератур, но и культур и истории славянских народов.
- В этот день проходят грандиозные народные праздники на улицах и площадях городов в музеях деревянного зодчества, в заповедных архитектурных ансамблях. В них, как правило, принимают участие практически все народные художественные коллективы города и области. Около церквей продают иконы святых и поделки на тему праздника

Большая роль отводится всевозможным контактам с учеными и научными организациями славянских стран. Сюда входит обмен студентами, организация стажировок преподавателей и аспирантов, обмен научной литературой, а также организация и проведение международных конференций и семинаров по славистике. Центр имеет постоянные научные связи с целым рядом вузов России и зарубежья. Наиболее активны контакты с Болгарской Академией наук (Институт за български език), Ягеллонским университетом (Польша, Краков), Македонской Академией наук (Институт за македонски језик), Белградским университетом (Сербия). Весьма активны контакты с университетами Украины (Одесса, Донецк, Луганск), а также с Гомельским университетом (Беларусь). Сотрудники центра регулярно проходят стажировку в Польше (Жешовский университет) и Македонии (Университет св. Кирилла и Мефодия, Скопье).
- В дни праздника проходят культурные события, к примеру, «Салон искусств» , книжные ярмарки и выставки, поэтические чтения.
- В этот день проходят грандиозные народные праздники на улицах и площадях городов в музеях деревянного зодчества, в заповедных архитектурных ансамблях. В них, как правило, принимают участие практически все народные художественные коллективы города и области. Около церквей продают иконы святых и поделки на тему праздника.

День славянской письменности и культуры — это праздник христианского просвещения, праздник родного слова, родной книги, родной литературы, родной культуры. Обучаясь русскому языку, мы, по выражению древнерусского летописца, пожинаем то, что было посеяно славянскими просветителями Руси, воспринявшими святыми Кириллом и Мефодием.

В заключение хочется отметить, что наша работа имеет практическое значение. Выполненная презентация пополнит электронную библиотеку кабинета русского языка и может быть использована в любом общеобразовательном учреждении для организации учебного процесса.

ЛИТЕРАТУРА:

1. Георгиев Е., Славянская письменность до Кирилла и Мефодия. М., 1992.
2. Зиндер Л. Р., Из истории письма. С.-П.., 2009.
3. Константинов Н. А., История русской азбуки // Знание № 1. 1953.
4. Черных П. Я., Происхождение русского литературного языка и письма. М., 1950.
5. http.www.rulex.ru.
6. http. www. trinitas.ru
7. http .www. philol.msu.ru

სოფელ გეჯეთის ონომასტიკა

ცოტნე ჯღამაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** სრული პროფესორი

სოფელი გეჯეთი მდებარეობს ტეხურსა და აბაშის მარჯვენა შენაკადის - უჩაღაის შუა. 1733 წლით დათარიღებულ გრიგოლ კათალიკოსის გუჯარში მოხსენიებულია: ,,ოდიშის ქვეყანას მეჯეთს დოდელიასეული ადგილი" (ს. კაკაბაძე, 1921, გვ. 142). ეს მეჯეთი შესაძლებელია გეჯეთის დამახინჯებული ფორმა იყოს. ამავე გუჯარში ჩამოთვლილია ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირული ყმა გლეხები: მამუკა გეგენავა, ინალი და ჭუჭა კუპრაისშვილები, ბაბუსია და ნანაია ჯგამაიები (იქვე). მეჯეთის ფორმით გვხვდება სოფელი 1696-1742 წლების ახლო ხანებში დაწერილ საბუთში, საიდანაც ირკვევა, რომ ,,ოდიშის" თავს მეჯეთს მამუკა გეგენავა მისის ცოლშვილით, სახლკარით და ყოვლის ფერით მეხადილეა".

კავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური აღწერილობის თანახმად სენაკის მაზრის ნოქალაქევის უბანში შემავალი გეჯეთის სოფლის საზოგადოება აერთიანებდა ორ სოფელს -საკუთრივ გეჯეთსა და წყემს. გეჯეთში სახლობდა 283 კომლი (1512 სული) (ს. კაკაბაძე, 1921, გვ. 142).

ოიკონიმ ,,გეჯეთის" ეტიმოლოგიაზე რამდენიმე ხალხური გადმოცემაა ჩაწერილი: ა) მონადირეებს ,,გეჯე მისარონში" ოქრო-ვერცხლით სავსე სეიფი უნახავთ და ქონება გაუყვიათ. ამის შემდეგ ერთი

ჯგუფი მდ. აბაშის გაღმა დღევანდელი სეფიეთის ტერიტორიაზე დასახლებულა. პირველი ჯგუფისთვის უთქვამთ ,,დაგეჯერდით“ (დაჯერდით) ამ ტერიტორიას, სადაც რჩებითო. პირველი ჯგუფი დათანხმებულა, აქ დასახლებულა და სოფლისთვის გეჯერდი - გეჯერთი შეურქმევია; ბ) ,,გეჯეთი“ თათრული სიტყვაა და ნავით წასვლას, ნავით გაქცევას ნიშნავს. დამარცხებული თურქები ნავით გაქცეულან სამდინარო გზით ზღვისაკენ (იხ. გ. ელიავა, 1989, გვ. 63-64); გ) თურქობის დროს ნოქალაქევისაკენ მომავალ თურქებს ადიდებული მდინარე აბაშა რომ ვერ გადაულახავთ, თურქთა სარდალს უბრძანებია: **გეჯეთი**, რაც, თითქოს, თურქულად იგივეა, რაც ,,ნავით გადადით“. თურქ მეომრებს ტივით თუ ნავით გადაულახავთ აბაშა და იმ ტერიტორიაზე დაბანაკებულან, სადაც დღეს სოფელი გეჯეთია. ადგილსაც, თითქოს, ამის გამო დარქმევია გეჯეთი - ,,ნავით გადადით“ (თ. გითოლენდია, გაზეთი ,,მახარია“, N11, 2001, გვ. 12); დ) შემოხიზნულ თუთბერიძეს ბატონისათვის თხა და კოკა ღვინო ძღვნად მიურთმევია და თან თავშესაფარიც უთხოვია. გლეხს თხა კოკის სახელურზე მიუბამს, რათა ბატონს დაჩოქილი ხლებოდა. თხას გაუწევია და კოკა გატეხილა. სასაცილო სიტუაციით გამხიარულებულ ბატონს უბრძანებია - ეს გვეჯე (დაბალი და დაგვანჯული) კაცი ამიერიდან ჩემი შინა ყმა და გვარად ოჩიგა იქნებაო. ასე მოუნათლავს ბატონს ხიზანი თუთბერიძე გვეჯე ოჩიგად. (ოჩი - ვაცი, გა - რქა) (თ. გითოლენდია, 2001, გვ. 12).

1838 წლის სამეგრელოს ეპარქიის სტატიკური აღწერილობის მასალებში დასახელებულია გეჯეთის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც მდგარა საკოხიოში, სასაფლაოზე და ეძახდნენ ,,გოჭვიროხვამეს“ (გამომწვარ ეკლესიას)(ი. კეკელია, დ. ოდიშარია, 2012, გვ.65).

სოფელი გეჯეთი მდიდარია ტოპონიმებით: ოჯაპე, ვერხონა, ნარამუ.

ოჯაპე ეწოდებოდა სახნავ-სათეს მიწას და მისი სახელწოდება თუთის ხიდან მომდინარეობს. როგორც ვიცით, საქართველოში ოდითგანვე მეაბრეშუმეობას მისდევდნენ, თითქმის ყველა ოჯახში იყო აბრეშუმის ჭია, საუკეთესო აბრეშუმი თუთის ფოთლიდან მზადდებოდა, ამიტომაც გადაწყვიტეს თუთის გაშენება და იმ ადგილებს, სადაც თუთამ გაიხარა, ,,ოჯაპე“ დაარქვეს. ,,ჯაპი“ - მეგრული სიტყვაა და ქართულად თუთას ნიშნავს.

ვერხონა სახნავ-სათესი მიწაა, მისი ფართობი 300 ჰექტარია და მდებარეობს მდინარე აბაშის სანაპირო ზოლში. ეს ნაკვეთი გამოირჩევა კარგი მოსავლიანობით და ამ ტერიტორიაზე ხალხს დასახლება აუკრძალეს, ამით განაწყენებულმა გლეხებმა ამ ადგილს ვეხორა უწოდეს. ,,ვერხონა“ მეგრული სიტყვაა და ქართულად არდასახლდეს ნიშნავს. მისი სახელწოდება სწორედ აქედან მომდინარეობს.

ნარამუ. რამი არის მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ საუკეთესო ხარისხის თოკს, ეს მცენარე დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ტერიტორიაზე მოჰყავდათ და ამ ადგილს შემდეგში ,,ნარამუ“ უწოდეს. **ნა-რამუ** ამ სიტყვაში **ნა** მაწარმოებელი პრეფიქსია, **რანი** სიტყვის ფუძე.

ობამბე. დასავლეთ საქართველოში თესავდნენ ბამბას და მისგან ძაფს ამზადებდნენ.

იმ ადგილებს, სადაც ბამბას თესავდნენ ობამბე უწოდეს. **,,ბამბე“** მეგრული სიტყვაა და ბამბას ნიშნავს.

საინტერესოა ასევე ღელეების სახელწოდებები, რომლებიც ძირითადად მეგრულ ტერმინებს უკავშირდება. მაგალითად, **,,ღალუჩა“. უჩა** მეგრული სიტყვაა და შავს ნიშნავს. ამ ადგილის სახელწოდება თურქებთან ბრძოლას უკავშირდება. ღალის პირად გაჩაღებულ ომს ღელე გვამებით და სისხლით აუვსია. გაოცებულ ხალხს ამ ადგილისთვის ,,**უჩა ღელე“** უწოდებიათ. უჩა ამ შემთხვევაში ნახმარია როგორც უბედურების სიმბოლო და არა როგორც ფერის გაგება.

ნაგორდოუ. მდინარე ტეხურზე არის ერთი ადგილი, რომელსაც ნაგორდოუს უწოდებენ. ეს სახელწოდება თევზჭერას უკავშირდება. **გორდოუ** არის წკნელისაგან დაწნული კონუსისებრი მოწყობილობა, რომელსაც თევზის საჭერად იყენებენ. გორდოუს დგამენ გამდინარე წყალში. მდინარე ტეხურს ერთ ადგილზე ქონია წყლის ვარდნის შესანიშნავი დონე, რომელიც გორდოუთი თევზაობისთვის იყო საუკეთესო და სწორედ ამ ადგილზე დგამდნენ გორდოუს და მისი სახელწოდება - **ნაგორდოუ** აქედან მომდინარეობს.

ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო ნოქალაქევში არსებული ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის სახელწოდებაზე **დედამოკა**. საქართველოში თურქების ერთ-ერთი შემოსევის დროს ვერაგი მტერი ორსულ ქალს გამოედევნა შესაპყრობლად, ქალმა თავი კლდეში გადაიჩეხა და ამ ადგილს დედამოკა უწოდეს. **,,მოკათ“** მეგრული სიტყვაა და ორსულს ნიშნავს.

საინტერესო მასალას გვაძლევს გვარების წარმოება.

სოფელ გეჯეთში გვხდება გვარი **ჩემია.** ამ გვარის ისტორია მეტად საინტერესოა. ბატონისგან განაწყენებულმა ყმამ მეორე ბატონს სთხოვა მფარველობა, რამაც ბატონებს შორის დაპირისპირება გამოიწვია, დავისას ერთი ბატონი ამბობდა, ეს ყმა ჩემიაო, მეორე - არა ჩემიაო. აქედან მომდინარეობს ორი გვარი **ჩემია** და **არაჩემია.**

გვარი ჯღამაძე რაჭიდან მომდინარეობს, გვარის სახელწოდება მეწაღეობას უკავშირდება. ამ გვარის წარმომადგენლები საუკეთესო ფეხსაცმელებს კერავდნენ. **,,ჯღანი"** მთის კილოებში ფეხს გამოხატავს (ვაჯა-ფშაველა, „სტუმარ მასპინძელი").

სოფელ გეჯეთში უბნის სახელწოდება გვარებს უკავშირდება. მაგალითად, **საჩემიო,** ამ უბანში ცხოვრობენ **ჩემიები** და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ასევეა **სათურქიო,** სადაც **თურქიები** ცხოვრობენ. არის უბანი **საოჩიგაო,** სადაც **ოჩიგავები** ცხოვრობენ.

სოფელ გეჯეთში არის ადგილი, რომელსაც **თურქებიშ ოხვამეს** უწოდებდნენ. ამ სახელით დაინტერესებულმა, ვიკითხე ამ სახელის ისტორია და ასეთი ინფორმაცია მომაწოდეს: მესხეთიდან გადასახლებულმა თურქებმა საბჭოთა ხელისუფლებას მოსთხოვეს საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნება, მათი მოთხოვნა ნაწილობრივ შესრულდა, მაგრამ მესხეთის ნაცვლად ისინი საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე დაასახლეს. 21 ოჯახი გეჯეთშიც ჩამოასახლეს. მათი პირველი მოთხოვნა ყოფილა სამარხი მიწის გამოყოფა, სადაც მხოლოდ თავიანთი რჯულის ადამიანი უნდა დამარხულიყო. შემდეგში ამ ადგილს ხალხმა **თურქებიშ ოხვამე უწოდა, ოხვამე** მეგრული სიტყვაა და სასაფლაოს ნიშნავს.

ამრიგად, სოფელ გეჯეთის ონომასტიკა საინტერესო მასალას გვაძლევს ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და ანთროპონიმების შემდგომი კვლევისათვის.

ლიტერატურა:

1. გითოლენდია თ., ჩემი სოფელი გეჯეთი, გაზეთი ,,მახარია", თბ., 2001, N11 (16).
2. ელიავა მ., სენაკის რაიონის ტოპონიმიკა, თბ., 1989.
3. კაკაბაძე ს., I, II, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტბ., 1921.
4. კეკელია ი., ოდიშარია დ., სენაკის რაიონის ზოგიერთი იოკონიმიის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის: ფილოლოგიური პარალელები, N4, თბ., 2012.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

კახეთის აჯანყების გამოძახილი გიორგი ერისთავის „ოსურ მოთხრობაში"

მარიამ ბესიაშვილი, მაია მაისურაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** სრული პროფესორი

XIX საუკუნის 30-იანი წლები სხვა წინამორბედ აჯანყებებთან ერთად რუსეთის იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული თავადაზნაურთა შეთქმულებით აღინიშნა, რომლის მიზანი იყო საქართველოში დამოუკიდებლობისა და მეფის ხელისუფლების აღდგენა. საქართველოში შექმნილი მდგომარეობა თითქოს წააგავდა XVII საუკუნეში შაჰ-აბასის კახეთში თურქმენების ჩამოსახლებას და თავისუფლება მოსილი პირის, ფეიქარ-ხანის დანიშვნას. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ გახდა საინტერესო XIX საუკუნის ქართული მწერლობისათვის 1659 წლის კახეთის აჯანყების თემა, რომელსაც მიეძღვნა გიორგი ერისთავის (1813-1864) „ოსური მოთხრობა".

პირველი ნაწარმოები, რომელიც ამ თემაზე შეიქმნა, არის გიორგი ერისთავის პოემა, რომელიც 30-იან წლებში შეიქმნა. აღნიშნულ პერიოდში ,,საიდუმლო ორგანიზაცია'', რომელიც ამ შეთქმულებას ხელმძღვანელობდა, ცდილობდა ერთგვარად მოემზადებინა საზოგადოება მომავალი ცვლილებებისათვის, წარსულ ისტორიაზე დაყრდნობით გაეღვიძებინა მასში საბრძოლო განწყობილება. ამიტომ ერთადერთ ქართულ ჟურნალში, რომელიც ამ პერიოდში გამოდიოდა (,,სალიტერატურო

ნაწილნი ტფილისის უწყებათანი''), მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებში იბეჭდება შეთქმულების ახალგაზრდა მონაწილის, პოეტის, გიორგი ერისთავის ყველაზე ადრეული პოემა ,,ოსური მოთხრობა''. მეოთხე ნომერში ასეთი შენიშვნაა: ,,დასრულება შემდგომს ნომერში'', მეხუთე ნომერში პოემის გაგრძელება არ დაბეჭდილა, ხოლო შემდგომ ჟურნალიც დაიხურა. ,,ოსური მოთხრობა'' სრულად დაიბეჭდა 1853 წელს ,,ცისკრის'' მეოთხე ნომერში სათაურით: ,,ზარე და ყანიმათი". ამიტომ ეს პოემა შემდგომში ორი სათაურითაა ცნობილი: ,,ოსური მოთხრობა ანუ ზარე და ყანიმათი". 1832 წელს გამოქვეყნებული ნაწყვეტი პოემის I ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ავტოგრაფისა (ლ.მ.18032) და ,,ცისკარში'' გამოქვეყნებული ტექსტისაგან საკმაოდ განსხვავდება. რაც მთავარია, მთელი რიგი ნაწყვეტები, რომლებიც იყო დაბეჭდილი 1832 წელს, არ არის მოცემული არც ავტოგრაფში და არც ,,ცისკარში'' გამოქვეყნებულ ტექსტებში. 1853 წელს ,,ცისკარში''დაბეჭდილ ნაწილში, 1832 წელს გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით, თითქმის მესამედი არ არის შესული. სათაური პოემისა 1832 წელს გამოქვეყნებული ტექსტსა და ხელნაწერ H2684-ში არის ,,ოსური მოთხრობა'', რაც ამ ნაწყვეტისათვის სავსებით მიზანშეწონილია, რადგანაც ზარესა და ყანიმათის სიყვარულის ისტორიის შესახებ ამ ნაწილში არაფერია ნახსენები. ამასთან, დღეს გავრცელებულ ტექსტთან შედარებით აქ გაცილებით უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი ადგილები, რომლებშიც აღწერილია ოსთა საქმიანობა, ზნე-ჩვეულება და მდინარე ქსნის ხეობის ბუნების სურათები.

ავტოგრაფში სათაურად არის ,,პოემა ზარე და ყანიმათი'', ,,ცისკრის'' პუბლიცისტიკაში კი -,,ზარე და ყანიმათი, პოემა''.

პოემის პირველ ნაწილში მოკლედ მოთხრობილია აჯანყებაზე, რომელიც მიმართული იყო შაჰ-აბასის და ყიზილბაშთა გასაძევებლად საქართველოდან.

„მე მაქვს იმედი თავის ჩემის ზეცისა ძალით
თუ შემეწევით, მათ განვდევნით ჩვენისა ხმალით,
დაცაარღვიეს წმინდა ხატნი მათ ურჯულოთა" [გ. ერისთავი 1966:90]

- უცხადებს ბიძინა ჩოლოყაშვილი ელიზბარ ერისთავს. პოემის პირველ ნაწილში მოჩანს თუშთა დახმარებაც, რაც ისტორიულ რეალობას შეესაბამება.

როგორი იყო ისტორიული რეალობა კახეთის აჯანყების წინ?

1656 წელს როსტომ-ხანს ჩამოართვეს კახეთი და იგი სამართავად განჯის ხანს სელიმს გადასცეს. შაჰი კახეთში ,,ყიზილბაშობის'' დამყარებას აპირებდა. ქართველი პოლიტიკოსები და, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზი ამ საფრთხეს კარგად ხედავდნენ. საფრთხე იგრძნო კახეთის მოსახლეობამაც, თვით ყიზილბაშების მხარეზე გადასული და გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალებიც კი წინ აღუდგნენ ირანის შაჰის ამ განზრახვას და ერთიანი გამოსვლისთვის სამზადისი გაშალეს.

შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით აქტიურობდა კახეთის მთიანეთი. ეს გასაგებიცაა. მთა ორგანული ნაწილი იყო კახეთისა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბართან. იქ, მთაში, თავშესაფარს პოულობდნენ მტრის შემოსევით შევიწროებული ბარელები. მთა მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, აქედანვე იწყებოდა გადამწყვეტი შეტევა მომხდურთა განსადევნად. მთა ბარის ამოუშრეტელი რეზერვი იყო. მთის მეშვეობით თითქმის მთლიანად გავერანებული და დაცარიელებული ბარის კახეთი, ისევ ივსებოდა მოსახლეობით და ფეხზე დგებოდა. თავის მხრივ, მთაც სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული მჭიდრო კავშირით. მთიელებს საჭირო პურ-ღვინო ბარიდან შემოჰქონდათ, კახეთის ბარში იყო თუშ-ფშავ-ხევსურთა ცხვრის საზამთრო საძოვრებიც. ამაყი მთიელები ვერც მომხდურთა უმსგავს საქციელსა და წესებს უყურებდნენ გულგრილად. ამიტომ იყო, რომ კახეთის განთავისუფლებისათვის ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშეს.

1658 წელს თვითონ თეიმურაზ I ჩავიდა რუსეთში. მოხუცი მეფე რუსეთის სამეფო კარს გაბედულ გეგმას სთავაზობდა, მაგრამ რუსეთმა ეს გეგმა არ მიიღო. როგორც კი ირანის პოლიტიკოსებისათვს აშკარა შეიქმნა, რომ რუსეთი იმჟამად საქართველოსათვის რაიმე რეალური დახმარების გაწევას არ აპირებდა, გადაწყვიტეს დაესწროთ და კახეთის მიმართ ენერგიული ზომების გატარებას შეუდგნენ. შაჰ-აბას II-მ ბრძანება გასცა კახეთში შემოესახლებინათ მომთაბარე თურქმენი ტომები და ამით ეს დაუმორჩილებელი ქვეყანა საბოლოოდ ყიზილბაშურ-მაჰმადიანურ სახანოდ გადაექციათ. ასეთი იპერიული მიზნები ჰქონდა რუსეთს XIX საუკუნეში. კახეთისათვის უმაგალითო დღეები დადგა, ჩამოსახლებულმა თურქმენებმა თანდათანობით დაიკავეს ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველები, განსაკუთრებით საგულდაგულოდ გაამაგრეს ბახტრიონის ციხე. მომხდურებმა ციხედ აქციეს ალავერდის ცნობილი ტაძარიც. ,,ხოლოდ თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ ჰქონდათ და მრავალი ჴელი ცოლ-შვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულად კახეთი გასათათრებლადა ელის დასახლება'', - ასე აღწერს კახეთის ვითარებას ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი.

შექმნილ ვითარებასთან შეგუება როგორც კახეთის, ისე ქართლის საბოლოოდ დამორჩილებასა და ,,გაყიზილბაშებას'' მოასწავებდა. ეს იქნებოდა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარებისა და საზოგადოებრივი დაქვეითების დასაწყისი... მაგრამ ქართველმა ხალხმა მრისხანე გამოსვლით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უშრეტი სასიცოცხლო ძალა. ამ პერიოდში მწიფდება აჯანყება, რომლის თარიღადაც ზოგი ისტორიკოსი 1659 მიიჩნევს, ზოგი 1660 წელს. ჩვენ ვემყარებით ძველ თარიღს 1659 წელს, როგორც ეს ცნობილი იყო XIX საუკუნის ქართული მწერლობისთვის. 1659 წლის ზაფხულში კახეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ, რომელმაც საფუძველშივე ჩაშალა მტრის ეს მზაკვრული განზრახვა.

აჯანყების მეთაურად მიჩნეულია ზაალ არაგვის ერისთავი. იგი სპარსელთა ერთგულ პირად ითვლებოდა. ზაალ ერისთავი კახეთის მმართველი ხანების მრჩევლადაც იყო აღნიშნული. თავისი მდგომარეობით ყველაზე უკეთ ხედავდა მტრის ნამდვილ განზრახვას და ქვეყნისათვის სპარსელთა ბატონობის დამღუპველ შედეგებს. მასთან ერთად გამოვიდნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. როგორც ჩანს, ქართლის მოწინავე წრეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ კახეთის ,,გაყიზილბაშება'' საბოლოოდ ქართლსაც ასეთივე შედეგს მოუტანდა. მიუხედავად ქართლსა და კახეთს შორის არსებული პოლიტიკური გათიშულობისა, ქართლმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კახეთიდან თურქმენთა განდევნაში. კახეთის აჯანყების მომზადების სულისჩამდგმელი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი იყო. კახეთის დასახმარებლად წამოსული მთიელები დათქმულ დროს ნაქერალას მთაზე შეიკრიბნენ და იქიდან დაეცნენ თავს ციხეებში გამაგრებულ ყიზილბაშებს.

აჯანყებამ მტრისათვის მოულოდნელად იფეთქა. აჯანყებულთა მოქმედებას უშუალოდ მეთაურობდნენ ზაალ ერისთავის შვილი ზურაბი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ერისთავები. ქართველებმა რამდენიმე ადგილას ერთდროულად შეუტიეს თავის მრავალრიცხოვნობაზე დაიმედებულ თურქმენებს. აჯანყებულთა ერთი ნაწილი დაეცა ბახტრიონის ციხეს, სადაც სპარსელთა ჯარის მნიშვნელოვანი ძალა იყო თავმოყრილი, მეორე ნაწილმა კი შეუტია ალავერდში გამაგრებულ თურქმენებს. მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. თავზარდაცემული თურქმენები კახეთიდან გადაიხვეწნენ. ეს იყო ქართველობის დიდი გამარჯვება.

კახეთის მმართველად შაჰმა ყიზილბაში მოხელეები ვეღარ გამოგზავნა და ქვეყანა გადასცა ქართლის გამგებელს, ვახტანგ V-ს. მართალია, ვახტანგ მეფე იყო გამაჰმადიანებული და შაჰის ხელის შემყურე, მაგრამ ეს უკვე იმასაც ნიშნავდა, რომ კახეთში ,,ქართველობას'' საფრთხე აღარ ელოდა. ვახტანგს კახეთის დაკავება ძალით მოუხდა, მაგრამ ეს უფრო შინაური კონფლიქტის ხასიათის იყო.

ირანის შაჰი აზერბაიჯანში ჯარებს უყრიდა თავს და ახალი შემოსევით იმუქრებოდა. ვახტანგ V-მ ამ ამბით ისარგებლა და მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგე ზაალ არაგვის ერისთავი მის ძმისშვილებს ღალატით მოაკვლევინა. ზაალის ვაჟი - ზურაბი კი დაატყვევა და ირანში გაგზავნა. ასეთი გზით მან სცადა ირანის შაჰის მრისხანების დაცხრომა. ხალხური გადმოცემით, ზეზვა გაფრინდაული ტყვედ ჩაუგდიათ სპარსელებს და სიკვდილით დაუსჯიათ. აჯანყების დანარჩენი ხელმძღვანელები - ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები თავისი ნებით ეახლნენ შაჰს, რათა ამით ეხსნათ ქვეყანა გააფთრებული მტრის ახალი შემოსევისაგან. შაჰმა ისინი კახეთში ამოხოცილ თურქმენთა თანამეტომეებს გადასცა, რომლებმაც სამშობლოსათვის თავდადებული გმირები წამებით დახოცეს.

შაჰნავაზმა თეიმურაზის შეპყრობაც შეძლო. ყიზილბაშთა წინააღმდეგ აქამდე შეურიგებლად მებრძოლი მეფე თბილისში წამოიყვანეს და შემდეგ ირანში გაისტუმრეს. თეიმურაზის ირანში გამგზავრება, ისევე როგორც აჯანყების მეთაურების - ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების გამოცხადება შაჰის კარზე, ქვეყნის გადარჩენას ემსახურებოდა. მათმა თავდადებამ კახეთს მტრის ურდოების ახალი შემოსევა ააცილა. [ნ. ასათიანი: 299-303]

ბიძინა ჩოლოყაშვილის ნეშტი ევროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადღაც უცნობ ადგილას. შალვასა და ელიზბარის ცხედრები, როგორც იქნა, მათმა სვეგაშავებულმა მეუღლეებმა გამოიხსნეს, საქართველოში ჩამოასვენეს და ქსნის ერისთავთა საგვარეულო იკორთის მონასტერში მიაბარეს მიწას. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა სამივე გმირი, წამებულნი ერისა და სარწმუნოებისა. [ლ. სანიკიძე 1991 ტ. 3: 510]

წამებულნი ჯერ ნიქოზის ეკლესიაში დაუსვენებიათ, შემდეგ კი იკორთის ტაძარში დაუკრძალავთ, ბესარიონ კათალიკოსის თხზულების „შესხმა წმინდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყება წამებისა მათსა“ მოკლე ანუ სვინაქსარული ვარიანტის მიხედვით, ელიზბარი და შალვა ძმები ყოფილან, ვრცელის მიხედვით კი შალვა ელიზბარის ძმისწულია. ვრცელი აღწერით აჯანყების სამი მეთაური შაჰ-აბაზმა შიპყრო, სვინაქსარულით კი ფეიქარ-ხანმა. ვრცელი რედაქციით სამივე გმირის ცხედარი იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიაში, ერთ სამარეში ჩაუსვენებიათ, მოკლე რედაქციით კი ბიძინას ბედი გაურკვეველია. მათმა თავდადებამ კახეთი მტრის ახალ შემოსევას გადარჩინა. [ვ. როდონაია]

ახლა ლიტერატურულ ტექსტებს მოვავლოთ თვალი. გიორგი ერისთავის პოემა ,,ოსური მოთხრობა'' თავისებური და საინტერესო მოვლენაა XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართულ პოეზიაში. ავტორი იძლევა ცდას ისტორიული წარსულის მომარჯვებით გააშუქოს თანადროული ცხოვრების მტკივნეული საკითხები. პოემაში ლაპარაკია წარსულზე, მაგრამ მიზანში პროექტის თანადროულობა და თანამედროვენი არიან. ამ მხრივ გიორგი ერისთავი ერთგვარ წინამორბედად გვევლინება სამოციანელებისა, რომლებიც არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილებებს ხშირად წარსულიდან აღებული ამბების გამოყენებით ქმნიდნენ. პოემა ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია ქართლ-კახეთის ბრძოლა მე-17 საუკუნეში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, შაჰ-აბასის მიერ გამოგზავნილი ყიზილბაშების განსადევნად. აღწერილია ის თავდადება და მხნეობა, რაც ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ერისთავებმა გამოიჩინეს. მეორე ნაწილში ნაჩვენებია, რომ თავდადებულ გმირთა გვერდით იყვნენ მხდალი და მოღალატენიც, რომლებიც ვიწრო, პირადული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ, არცხვენდნენ გმირ თანამემამულეებს, პოეტი იმარჯვებს ლეგენდას და ამასთანავე ეხება გვარებს შორის შექმნილ შუღლსა და ბრძოლას, რომელსაც ორივე გვარის არსებობა დაღუპვამდე მიუყვანია. ყველა ამ საკითხს იმგვარად გადმოგვცემს პოეტი, რომ უაღრესად თანადროულს ხდის. [დ. გამეზარდაშვილი 1974:170-171]

ამ პოემაში არიან რეალურად არსებული ისტორიული პერსონაჟები, რომელნიც მონაწილეობდნენ 1659 წლის კახეთის აჯანყებაში: ლუარსაბ მეფე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები და სპარსეთის მეფე შაჰ-აბასი, პოეტი აღფრთოვანებით აღწერს ბიძინა ჩოლოყას ძეს, როგორც კაცს, რომელიც იყო „მხნე და მებრძოლი და მტრისა მიმცემი ახთა“. ავტორი გადმოგვცემს აჯანყების შედეგებს და შაჰის წინ მათ წარგზავნას. პირველი ნაწილის დასასრულს წარმოდგენილია, თუ როგორ აყურებინეს ბიძინას ერისთავების სიკვდილი და ბოლოს აღწერილია მისი მოწამეობრივი დასჯაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემას აქვს მეორე ნაწილიც. ამ ნაწილში ავტორს შემოჰყავს გამოგონილი პერსონაჟების: მოურავი როინი, ჩარაშვილი და როინის ძმა, რომელნიც თან გაჰყვნენ ერისთავებს, ჩარაშვილის შთამომავალი ბერი და მისი ასული ზარე, რომელსაც უყვარს როინის გვარის შთამომავალი ყანიმათი.

ქართლ-კახეთის აჯანყებას თავისუფლებისათვისა და სპარსელების განსადევნად მე-17 საუკუნეში ედგნენ: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები, რომლებიც ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისათვის არ ზოგავდნენ საკუთარ თავსა და მხნეობას. მათ ეს თავდადება მარტო სამშობლოში კი არ დაამტკიცეს, არამედ სპარსეთის შაჰის კარზეც, სადაც მამულისა და სარწმუნოების გადარჩენისათვის განრისხებულმა სპარსელებმა ჯერ შალვა და ელიზბარ ერისთავებს გააგდებინეს თავები, რათა ბიძინა ჩოლოყაშვილის ნებისყოფა მოეტეხათ მათ ეგონათ, რომ ბიძინა საკუთარ ძმებს განშორდებოდა, მაგრამ ბიძინა ვერ გადაიბირეს და ამის გამო ურჯულო ჯალათებმა სასტიკად დასაჯეს: ,,ჰყვეს მხნე ბიძინა განშიშვლებული ჰქმნეს ნაწილ-ნაწილ დაწვლილებული.'' [გ. ერისთავი 1936: 84]

პოემის ძირითადი იდეა პატრიოტიზმია. ავტორის მიზანია გააღვიძოს მამულის სიყვარულის გრძნობა, აღანთოს იგი სამშობლოს თავდადების იდეით. ,,ოსურ მოთხრობაში'' შეთქმულთა იდეებია ჩაქსოვილი, პოემაში არაერთი ადგილია ისეთი, რომელიც გვაგონებს შეთქმულთა სიტყვებს, წარმოთქმულს მათსავე შეკრებებზე. პოემის ცალკეული ადგილები (,,შესწირეთ თავი მამულსა მსხვერპლად'', ,,მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა, თუ ვერ განვდევნით ჩვენის საზღვრით მამულის მტერთა'', ,,ვართ მზად ქართლისათვის ჩვენს მარადის სისხლ დასაღვრელად'' და სხვ.). [დ. გამეზარდაშვილი 1974: 174]

ავტორი წარსულს იყენებს აწმყოსთან დასაპირისპირებლად. იგი მისტირის საქართველოს წარსულს და იქ ხედავს ყველაფერს იდეალურს, გმირულს, პოემაში ალეგორიული ხერხებით მკვეთრ ხაზებშია ანტირუსული მისწრაფებები. [გ. ერისთავი: XXVll]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი ერისთავის პოემას წინ უძღოდა ისტორიული რეალობა, რითაც მკვეთრ განსხვავებებს ვაწყდებით ,,ოსურ მოთხრობასა“ და ისტორიულ სინამდვილეს შორის. უმთავრესი განსხვავება არის აჯანყების მეთაურებთან დაკავშირებით. გიორგი ერისთავის პოემაში არ ფიგურირებს აჯანყების მეთაური - ზაალ არაგვის ერისთავი და მისი შვილი ზურაბი, რომელიც აჯანყებულთა მოქმედებას უშუალოდ მეთაურობდა. ისტორიული სინამდვილის მიხედვით კახეთს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწიეს მთის ხალხებმა, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურებმა.

,,ოსურ მოთხრობაში“ ჩანს, რომ განრისხებულმა შაჰმა წერილი გამოუგზავნა ლუარსაბ მეფეს, რათა ერისთავები ეახლონ მას, ხოლო ისტორიულში ფიგურირებს ვახტანგ V და აგრეთვე არ ჩანს, რომ შაჰი წერილს უგზავნის მეფეს.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ვიგებთ, „ოსური მოთხრობა“ და „ზარე და ყანიმათი“ ერთმანეთთან მხოლოდ აჯანყების შემდგომი თაობის უკანასკნელი შთამომავლების ტრაგიკული ისტორიითაა დაკავშირებული, შეიძლება დამოუკიდებელ ნაწარმოებებად მივიჩნიოთ, რომელთაგან პირველი აშკარად გამოძახილია 1659 წლის აჯანყებისა და ერთგვარად მიმანიშნებელი მომავალი შეთქმულებისა თუ მის შედეგებზე, მეორე კი ორ, მოსისხლე გვარს შორის ჩამოვარდნილი შუღლის ამბავს გადმოგვცემს, რომელშიც ჩარა ბერი შურისძიების ჟინითაა შეპყრობილი და აისრულებს კიდეც წადილს - კლავს ყანიმათს, მაგრამ ამითვე ბოლოს უღებს თავის ერთადერთ ქალიშვილს - ზარეს. პოეტისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა გიორგი ერისთავისათვის წარსული რეალობის გახსენება გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს თანამებრძოლთ. ამავდროულად ეს გაფრთხილებაა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მას.

ლიტერატურა:

1. გამეზარდაშვილი დ., ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორია თბ., ტ. I, ,,თსუ'', 1974.
2. ერისთავი გ., თხზულებანი, ტფ., 1936.
3. ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია, საქართველოს მაცნე, 2010.
4. რადიანი შ., ახალი ქართული ლიტერატურა, წიგნი პირველი, თბ., სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1952.

АНГЛОМАНИЯ В РОССИИ КАК СОЦИАЛЬНОЕ И ЛИТЕРАТУРНОЕ ЯВЛЕНИЕ КОНЦА XVIII – НАЧАЛА XIX ВЕКА

Теона Гегечкори
ст. 3 курса спец . «английская филология»
научн. рук. проф. **Н. Хинчагашвили**

Проблема взаимоотношений русской культуры с культурами западноевропейских стран всегда привлекала к себе внимание исследователей.

За последние несколько лет в связи как с известными политическими событиями, так и с бурным развитием новых информационных технологий наблюдается интенсивное проникновение западной, прежде всего, американской массовой культуры в нашу страну.

Ситуация с влиянием иной культуры на русское общество конца XX века становится схожей с той, которая существовала в рассматриваемый в работе период, что, несомненно, делает проблему исследования своевременной и актуальной.

Объектом нашего исследования стал процесс взаимодействия и взаимовлияния русской и английской культур в последней трети XVIII - середине XIX века. Предметом исследования является особое пристрастие к английскому образу жизни, нравам, привычкам и перенесении английского стиля жизни на русскую почву. Хронологические рамки работы определяются последней третью XVIII века, временем появления англомании в России и серединой XIX века, когда отношения между Россией и Англией переживают драматические моменты, что было связано с усилением соперничества между двумя странами на Балканах, обострением восточного вопроса, что привело к прямым военным действиям между Россией и Англией. Все это привело к видоизменению русской англомании, которая постепенно сходит с исторической сцены.

Задачи нашего исследования вытекают из поставленной цели и включают в себя:

- раскрытие содержания понятий «англомания», «англоман»;
- показ предпосылок возникновения и источников англомании в России;
- выделение основных этапов развития англомании в России и их основных характеристик;
- определение основных сфер интереса русского общества к английской культуре и его конкретного воплощения;
- выделение и описание различных социокультурных типов русских англоманов.

Англомания в России - это сложное явление, которое, будучи результатом взаимодействия и взаимовлияния русской и английской культур, отражало ценностные ориентации определенной части общества и имело значительное влияние на различные стороны жизни России в рассматриваемый период.

На протяжении долгого времени складывался определенный стереотип данного явления как бездумного подражания английским нравам, обычаям, образу жизни, причем сами понятия «англомания» и «англоман» употреблялись в отрицательном смысле. Это происходило из-за стремления некоторых общественных сил критиковать любые проявления увлечения иностранным вообще, из-за отсутствия понимания необходимости и полезности многого, что могло быть заимствовано из английской культуры и принято на пользу России.

Складывался искаженный (дамахинджебули) образ «англомана» как человека, интересующегося лишь теми сторонами английской жизни, которые были связаны лишь с развлечениями и приятным препровождением времени. Образы таких англоманов, выведенные в произведениях А.С.Пушкина и И.С.Тургенева.

Этимология слова «англомания» не вызывает затруднения. Примечательно, что понятие «англомания» фиксируется почти одновременно во французском, английском и русском языках.

Впервые слово «англомания» появляется во французском о языке в 1764 году. Возникновение англомании и появление первых англоманов во Франции относится к началу 60-х годов XVIII века, когда после окончания Семилетней войны и заключения мира 1762 года все английское стало чрезвычайно популярным. После заключения мира 1762 года фраки, английские кареты, английские лошади, скачки, пари, пунш, ростбиф, пудинг наводнили Францию.

Примерно в это же время похожее явление возникает и в России, что было сразу же отмечено филологами.

– Первым словарем, который зафиксировал понятие «англоман» был словарь Н.Яновского (1803 год): «Англоман - кто удивляется и подражает с излишеством, п смеха достойным, всему тому, что делается в Англии».

– Н.М.Карамзин относит первое появление слова «англоман» к 177 6 году. В то время англомания представлялась как неумеренная любовь ко всему английскому.

– Энциклопедичекий словарь Селивановского определяет англомана как человека, «который любя все английское о страстно, удивляется подражает оному с излишеством».

– Энциклопедический лексикон Плюшара дает следующее определение англомании: Англомания - предпочтительное и исключительное уважение англичан и всего английского, английских законов, нравов, обычаев, мод и т.д.»

В английском и французском языках, откуда это понятие пришло в русский язык, понятия «англоман» и «англофил» различаются по значению. Первое рассматривается как «сильное или преувеличенное восхищение Англией и ее учреждениями», «мания по отношению к тому, что является английским», «образ жизни, который предполагает преувеличенное и систематическое подражание всему, что связано с Англией», второе же -как «любовь к английскому».

В современном русском языке понятия «англомания» и англофильство» определяются как «пристрастие к английскому образу жизни, обычаям и т.п.» , причем они объединены в одну словарную статью.

На протяжении почти двух столетий между Россией и Англией, то затухая, то возгораясь с новой силой развивались разнообразные двусторонние связи, среди которых связи в области культуры занимают особое место.

Особое значение имели связи России и Англии в области литературы и искусства. Деятели русской культуры - Н.М.Карамзин, В.П.Петров, Н.М.Муравьев и многие другие проявляли интерес к английской литературе и искусству. Многие из них в разное время побывали в Англии в XVIII - первой половине XIX века. Результатом этих поездок стало еще большее распространение в России произведений английской литературы и предметов искусства.

Очень ценным источником для изучения умственного и нравственного состояния людей определенной эпохи, для понимания ее психологии являются мемуары, дневники и частная переписка.

Мемуарная литература. Многочисленные мемуары являются богатейшим источником по истории русской культуры XVIII-XIX веков. Они написаны участниками описываемых событий. Главной особенностью мемуаров является то, что, как правило, они написаны от первого лица, а основой их написания служит память и личный жизненный опыт автора, его личное участие в описываемых событиях или присутствие

Следующий вид источника – **личные дневники.** Характерной особенностью дневников как исторических источников является то, что записи в дневниках отрывочны, в них попадает много такого, что со временем утрачивало всякое для исследователей. Дневники много точнее мемуаров, записи в них достовернее. Для нас и интерес представили мемуары Смирновой -Россет А.О.

Частная переписка. Частное личное письмо в России первой половины XIX века имело значение самостоятельного литературного жанра. Они передают колорит времени, помогают понять цели и действия людей.

Литература путешествий. В путевых заметках россиян, побывавших в Англии, можно найти очень много сведений об экономике, политическом устройстве Англии, быте, культуре, и, что особенно важно, о психологии англичан. Одним из наиболее значительное из произведений данного жанра являются «Письма русского путешественника» Н.М.Карамзина. Кроме изложения фактов и наблюдений в них есть воспоминания, описанием ландшафтов. В молодости Карамзин искренне увлекался Англией, в более зрелые годы это увлечение уступило место взвешенному и серьезному отношению Карамзина к различным сторонам английской жизни.

Периодическая печать. Журналы «Отечественные записки», «Сын Отечества», издатели Н.М.Карамзин, А.Н. Греч сообщали русским читателям сведения о жизни в Англии, об успехах этой страны в различных областях. Периодическая печать представляла читателям новости о происходивших в Англии событиях и их оценку с российской точки зрения.

Русская англомания не была однородной. Среди ее представителей мы находим тех, кого интересовала лишь внешняя сторона английской жизни, сторона, связанная с развлечениями и приятным препровождением времени. Определенная часть русского общества, в особенности, представители высших классов, имея возможность знакомиться с английской культурой во время своих поездок в эту страну, воспринимали английские нравы, привычки, образ жизни. Но это было лишь внешней стороной того явления, которое у современников получило название «англомании».

Но среди англоманов было много и выдающихся государственных деятелей, которые, изучая социально-политическое устройство Англии, английскую философию, экономические теории, имели в виду, прежде всего, интересы и насущные потребности России. Такие деятели, среди которых Н.И.Панин, Александр и Семен Воронцовы, Н.С.Мордвинов, видели в Англии не образец для бездумного подражания, а идеал государства, где воплощены в жизнь принципы разумного устройства общества, где все члены этого общества могут пользоваться равными правами, независимо от их материального положения .

Одним из основных вопросов, встающих перед исследователями данной проблемы, является вопрос о причинах заимствований. Что заставляет отдельных членов общества стремиться к заимствованию извне?

- Заимствование возможно и происходит в той среде, где существует понимание выгоды, которую приносит освоение элемента другой культуры. Чтобы заимствование стало фактом исторического развития, необходимо отстоять его, доказать его нужность, найти его сторонников. Сделать это не так просто, так как большинство общества живет в согласии с установленными порядками и принципами и не готово воспринять что-то новое. И все же новшества пробивают себе дорогу, особенно если они связаны с жизнью высших классов общества. Если верхушка общества воспринимает заимствования, и они становятся неотъемлемой частью ее жизни, тогда процесс этот приобретает лавинообразный характер. среди представителей высших классов общества было много людей, видевших в иностранных заимствованиях лишь способ получить что-то новое для собственного удовольствия и развлечения, Другие слои общества, пытаясь во всем копировать жизнь и привычки высших классов, принимают заимствования как данность, зачастую совершенно не понимая ни ценности их, ни пользы. В данном смысле можно говорить о двух уровнях процесса заимствования. Высшие классы общества, обладая определенным материальным положением, достаточно высоким образованием и способностью к размышлениям и исследованию культур других народов, имеют больше возможностей к критическому восприятию всего того, что они пытаются перенять у других культур.

Представители же более низких социальных слоев зачастую лишены всех этих возможностей и поэтому их восприятие других культур является в значительной мере механистическим, не подразумевающим никакой работы ума.

Этапы англомании в России. До конца XVIII века Ключевский выделяет три периода этого процесса. На фоне культурной ориентации Европы и России в XVIII — начале XIX века на Францию (и преобладающей галломании высшего общества) англомания была заметным элитарным явлением. К числу англоманов относились некоторые влиятельные политические деятели (Виктор Кочубей), представители дипломатического корпуса (Александр Завадовский (прозванный «Англичанином»), близкий к дипломатическим кругам Михаил Воронцов (выросший в семье русского посла в Британии). Идеи англомании были достаточно популярны и на флоте. Поклонниками Англии и её традиций был ряд видных адмиралов — Павел Чичагов. Феномен англомании стал развиваться в России как альтернатива увлечению Франции с конца XVIII века. Основными носителями и популяризаторами английской традиции являлись представители высшей знати, побывавшие в Англии по военно-морским или дипломатическим делам. Один из русских бар-англоманов описан Пушкиным в повести «Барышня-крестьянка». До конца XVIII века Ключевский выделяет три подпериода этого процесса.

1. Еще в XV-XVI веках Россия была знакома с Западной Европой, вела с ней дипломатические и торговые дела, заимствовала плоды ее, просвещения, приглашала к себе ее художников, врачей, военных. Но это не было «влиянием», считает Ключевский, а всего лишь «общением». Влиянием же следует считать такие отношения, когда общество, воспринимающее данное влияние, начинает осознавать превосходство среды или культуры, влияющей на него, и необходимость учиться у этой культуры, нравственно ей подчиняться, заимствуя у нее не только житейские удобства, но и самые основы житейского порядка, взгляды, понятия, обычаи, общественные отношения. Великосветское общество середины XVIII века (общество «французского языка и легкого романа», как называет его Ключевский) живо обсуждало, кто ввел в употребление шампанское в России, кто первый заменил белые свечи восковыми, что граф Алексей Кириллович Разумовский был первым русским, ставшим носить бриллиантовые пуговицы, а английское пиво, дотоле неизвестное в России, было введено в употребление графиней Анной Карловной Воронцовой.

Этот момент в его развитии можно назвать елизаветинским, хотя он продолжался и в царствование Екатерины. В это время неимоверно возрастает интерес к французской культуре в ее различных проявлениях, возникает и развивается явление, получившее название «галломании», когда пристрастие ко всему французскому быстро распространялось в русском обществе, захватывая не только столичное, но и широкие массы провинциального дворянства.

2. В XVI-XVII веках Россия механически заимствовала технические средства и материальные житейские удобства. Для России Западная Европа была «магазином нужных изделий». С 1630 года до Петра III необходимо было выучиться делать в России то, что прежде покупали за границей. В это время Западная Европа становится для России «школой техники и светского общежития». Именно это время считается началом западного влияния в России**.** В XVIII веке влияние западной культуры все более проникало в различные стороны русской жизни. Петр I, отбросив всякие сомнения по поводу того, опасно сближение с Европой или нет, начал широкой рукой забирать практические плоды европейской культуры, военные, торгово-промышленные, ремесленные усовершенствования

3. И, наконец, начиная с царствования Екатерины II, с расширением западного влияния на политический, умственный и нравственный строй русского общества трансформировало отношения России и Западной Европы в вопрос русской мысли и политики: может ли Западная Европа быть для России «мастерской и образцом идей и порядков». Колебания между положительным и отрицательным решением данного вопроса Ключевский считал одним из основных фактов русской истории вплоть до его времени.

Известный русский историк В.О.Ключевский писал: «Во многих явлениях русской жизни XVIII века, - пишет Ключевский, - резко обнаруживается западное влияние. Западная культура для нас вовсе не предмет выбора: она навязывается нам с силой физической необходимости. Это не свет, от которого можно укрыться, - это воздух, которым мы дышим, сами того не замечая».

Период рубежа XVIII и XIX веков представляется в этом смысле очень важным, так как именно в это время происходит новый качественный скачок в отношении иностранных заимствований. Многие авторы, исследовавшие этот вопрос пишут о том, что до конца XVIII века в России «царили старинное невежество и слепая галломания». К концу XVIII века вымирают пресловутые типы петиметров и щеголих. В начале XIX века уже наблюдается тип светской красавицы и молодого человека, совершенно непохожий на своих предшественников, прежде всего своим нравственным обликом. Русское общество начала XIX века противопоставляло «нравственность» людей нового века «разврату» эпохи Екатерины II.

Исходя из вышесказанного, мы сделали следующие выводы:

- Период рубежа XVIII и XIX веков – новый качественный скачок в отношении иностранных заимствований.
- На протяжении почти двух столетий между Россией и Англией, то затухая, то возгораясь с новой силой развивались разнообразные двусторонние связи, среди которых связи в области культуры занимают особое место.
- Русская англомания не была однородной: можно говорить о двух социальных уровнях процесса заимствования: высшие классы общества, обладая высоким образованием, критически воспринимала другую культуру; низшие слои воспринимали чужую культуру механистически, не подразумевающей никакой работы ума.
- Для изменения позиции общества в вопросе бездумного увлечения всем иностранным очень много сделала русская литература, периодическая печать и жанры типа путешествия и мемуарной литературы.

Как продолжение нашего исследования, еще одним направлением могло бы стать изучение галломании, которая наряду с англоманией имела значительное влияние на русское общество в XVIII-XIX в. Все это, несомненно, обогатило представления о процессах, протекавших в русской культуре того времени. На наш взгляд, возможность представителей одной культуры изучить другую культуру, обязательно должно вызвать желание сопоставить, а в чем-то и противопоставить себя ей для лучшего понимания собственной культуры, ее основных черт и особенностей, а не бездумно и слепо следовать всему иностранному.

Тема англомании в России слабо освещения в научной литературе. В богатом интернет-фонде не было ни одной работы, которая бы более или менее систематически рассматривала данное явление. Внимание уделяется лишь вопросам развития политических и экономических связей России и Англии, а сфере межкультурного общения почти нет. Поэтому мы воспользовались смежной литературой, которая дала нам лишь фон исследования. Сам вопрос же ещё ждёт своих исследователей.

ЛИТЕРАТУРА:

1. Карамзин Н.М. «Письма русского путешественника». М., 1998
2. Ключевский В.О. Письма. Дневники. Афоризмы и мысли об истории. М., 1968
3. Словарь иностранных слов. М., 1988. С.293
4. Смирнова-Россет А.О. Автобиография. М., 1931
5. Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона (18 90 год) :
6. The Oxford Dictionary of English Etymology. Oxford, 1982. P.37.

კონფლიქტი მხატვრულ ტექსტებში

ეველინა თარაშვილი, მარიამ ოქროპირიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** სრული პროფესორი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირველი ფაქტი აფხაზეთის ომთანაა დაკავშირებული (1992 წ.). ყოველი მოვლენა მეტ-ნაკლებად აისახება მხატვრულ ტექსტებში. აფხაზთა და ქართველთა შორის წინააღმდეგობამ გამოიწვია, ერთი მხრივ, მძაფრი გაღიზიანება და, მეორე მხრივ, სევდა და ტკივილი. ამ ტკივილმა დაბადა სწორედ ის ორი ნაწარმოები, რომელიც დღეს ჩვენი განხილვის საგანია: ფაზილ ისკანდერის „ბიჭი და ომი“, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“. ამ „ტკივილს“ ჩვენ ვუწოდეთ „ხიდჩატეხილობა“ (ილია ჭავჭავაძის ერთი ფრთიანი ფრაზის ასოციაციით). ილია ჭავჭავაძის სიტყვებისა არ იყოს, „ჩვენ-შუა ხიდია და ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი...“ (ი. ჭავჭავაძე, 1987, 164).

სწორედ საქართველოსა და აფხაზეთის ომის თემაზეა შექმნილი და მთლიანად ამომსეხება 2007 წელს გამოცემული წიგნი „ხიდი“, რომელშიც შესულია როგორც ქართველ, ისე აფხაზ მწერალთა ნაწარმოებები. მხატვრულ ნაწარმოებთა ფონზეა გაშლილი ის მთავარი პრობლემები, რომელიც წარმოიშვა ამ ორ მოძმე ხალხს შორის.

ზემოთ დასახელებული წიგნის მოკრძალებული მიზანია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის პირველი, თუნდაც „მხატვრული სიტყვის ხიდი“ გაიდოს. მთავარი პრობლემა, რაზეც ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენს მოხსენებაში გახლავთ ომის შემდგომი „ხიდჩატეხილობა“ ორ ქვეყანას შორის.

„მშვიდობა ათასობით კილომეტრის სავალი გზაა ოღონდაც თითო ჯერზე მხოლოდ ერთი ნაბიჯი უნდა გადაიდგას“ (ლინდონ ჯონსონი). მაგრამ თითქოს სწორედ ამ ერთი ნაბიჯის გადადგმა გვიჭირს, ნუგზარ შატაიძე, ისევე როგორც ფაზილ ისკანდერი ცდილობენ თავის ნაწარმოებში სწორედ ამ ერთი ნაბიჯის გადადგმაში დაგვეხმარნონ და ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარონ აფხაზ და ქართველ ხალხთა შორის ურთიერთობა, აღადგინონ „ჩატეხილი ხიდი“ ქართველსა და აფხაზს შორის.

ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე მწერალია. მისი მოთხრობები ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რაც ნამდვილად მისასალმებელია. საოცარია, მაგრამ მისი ძირითადი პროფესიას ლიტერატურასთან საერთო არაფერი ჰქონია. მან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სპეციალობით თბოენერგეტიკოსი გახლდათ. ერთი შეხედვით რადიკალურად განსხვავებულ საქმიანობას მისთვის ხელი არ შეუშლია, მას ღრმა სულიერებით სავსე ნაწარმოებები შეექმნა, თავად ამბობდა: ,,ჩემთვის ამბავი კი არ არის მთავარი, არამედ მარჯვედ ნაპოვნი სიტყვა და ამ სიტყვებისგან აგებული მარჯვე წინადადებებიო“. მართლაც, ამბებს რა გამოლევს, ვიდრე ადამიანი არსებობს, იარსებებს ამბავიც, მთავარი ისაა, ვინ როგორ მოჰყვება, როგორ მიაწვდის მკითხველს. [http://mastavlebeli.ge/]

ნუგზარ შატაიძის ,,მოგზაურობა აფრიკაში“ ტრაგიკული სურათია, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ დაზარალებული ხალხის ყოფას, მათ ტკივილს ეხმიანება. ბიჭის შემზარავი ისტორია ამ საზარელი მოვლენების ანარეკლია, რომელმაც უამრავი ხალხი შეიწირა, იძულებით აყარა საკუთარი მიწიდან და ფიზიკურად მოსპო. ეს მოუშუშებელი ტკივილია, რომელსაც თითოეული დევნილი დღესაც ისევე მძაფრად განიცდის, როგორც მის დღეებში.

ნუგზარ შატაიძე აღწერს პატარა, მაწანწალა ბიჭებისა და გოგონების ცხოვრებას, მოგვითხრობს, როგორ ატარებენ და აწამებენ მეტროში დაუცველ ბავშვებს, როგორ ართმევენ იმ მცირედსაც, მხოლოდ ლუკმაპურის საყიდლად რომ ძლივს ეყოფათ, როგორ ყნოსავს გათიშული მოზარდი წებოს, რეალობას რამდენიმე წუთით მაინც რომ გაექცეს და იწყება საოცარი მოგზაურობა აფრიკაში ყველაზე მიმზიდველ კონტინენტზე, სადაც საოცარი ცხოველები – სპილოები, ჟირაფები და ზებრები – ბინადრობენ....

მთავარი გმირი სწორედ მეგობრის ტრაგიკულმა სიკვდილმა აიძულა ახალი ცხოვრება დაეწყო და დაეწყო სწორედ მამის პოვნის გადაწყვეტილებით. როგორც ჩანს, წარსულის დაბრუნების გარეშე ახლის დაწყება შეუძლებელია, მამა კი წარსულის ხატია, ბედნიერი, უზრუნველი წარსულისა, თეთრი თოლიების კივილით და ზღვის ხმაურით რომ იყო სავსე.

ოცდაშვიდი ლარითა და ზურგჩანთაში თევზის კონსერვებით, ბიჭი აფხაზეთისკენ მიმავალ მატარებელში ჯდება, ოღონდ იცის, რომ თავი ყველას მუნჯად უნდა მოაჩვენოს, რადგან ქართულად ლაპარაკი საშიშია.

აფხაზეთში (ტყვარჩელი) ჩასული მოზარდი იმ სახლისაკენ მიემართება, სადაც მისი ოჯახიც ცხოვრობდა, პოულობს ნაჭრის დათუნიას, გერასიმეს, თავისი წართმეული ბავშვობის სახეს. სახლი, რომელსაც აღარც კარი აქვს, აღარც ფანჯარა, ნაგვით არის სავსე. ეზო ცარიელია, ერთი მოხუცი, მარო ბებოღა დარჩენილა წარსულის ნუგეშად. სწორედ მისგან იგებს ბიჭი მამის დაქორწილებისა და არმავირში გადასვლის ამბავს და კიდევ უფრო სევდიანი ბრუნდება თბილისში.

მამის დაოჯახება, ახალი ცხოვრების დაწყება ბავშვისთვის მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა. ალბათ, ძნელია ოცნებას ასე ახლოს ჩაუარო და ვერ მისწვდე... ღირდა კი წვალება იმ ადამიანის გამო, რომელსაც თურმე საერთოდ არ ახსოვდა დევნილი, გაუბედურებული ოჯახი? იქნება გმირის ცხოვრება სხვაგვარად წარმართულიყო მამასაც რომ არ დავიწყებოდა? ეს რიტორიკული კითხვაა, რომელზეც ძნელად იპოვი პასუხს.

მოთხრობაში გვხვდებიან პერსონაჟები, რომელთა უანგარო სიკეთე მოზარდს აოცებს. როგორც ჩანს, ადამიანს კარგი უფრო უკვირს, ვიდრე ცუდი.

სამწუხაროდ, ის, რასაც პატარა ბიჭი გაურბოდა მოგზაურობის დასაწყისში, ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. წუპკას სიკვდილმა იგი გამოაფხიზლა, იმედი ჩაუსახა, ოცნება გაუღვიძა, მაგრამ ამაოდ.... მრავლისმთქმელია მოთხრობის ფინალი, რომელიც სულით ხორცამდე შეძრავს მკითხველს: აფხაზეთიდან დაბრუნებული გმირი ღრმად ჩაეფლო ქუჩის სიბინძურეში და შეიძლება შავი ფერის ორი ოცკაპიკიანი პარკი, ექვსი ცალი წებო - ღარიბთა და უქონელთა ნარკოტიკი და აი სულ მალე „შორეული აფრიკიდან მასთანაც მოვიდნენ საოცარი ცხოველები, მაგრამ სპილოსა და ჟირაფის ნაცვლად, სვავები და ორი აფთარი ესტუმრა“. [„ხიდი“, ნუგზარ შატაიძე, ,,მოგზაურობა აფრიკაში“, 2007, 16].

ნუგზარ შატაიძის არაჩვეულებრივმა მოთხრობამ ,,მოგზაურობა აფრიკაში'' დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში, რასაც ისიც მოწმობს, რომ ამ მოთხრობის მიხედვით 2009 წელს რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა გადაიღო ფილმი ,,გაღმა ნაპირი'', რომელშიც მოთხრობის სიუჟეტმა გარკვეული ცვლილება განიცადა. ამ ფილმმა უამრავი ჯილდო მიიღო, წარმატება მოუტანა რეჟისორს. ასევე მოთხრობის ავტორმა ნუგზარ შატაიძემ გონ ფრევილის საერთაშორისო კონფერენციაზე საუკეთესო სცენარისათვის პრიზიც მიიღო. [http://mastavlebeli.ge/]

აფხაზეთ–საქართველოს ომმა ფართო ასახვა ჰპოვა ერთ-ერთი აფხაზი მწერლის, ფაზილ ისკანდიერის მოთხრობაში ,,ბიჭი და ომი''. ფაზილ ისკანდიერი დაიბადა 1929 წლის 6 მარტს სოხუმში. წარმოშობით ირანელ-აფხაზი რუსულენოვანი მწერალია. 1954 წელს მან დაასრულა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. ფაზილ ისკანდერი საქართველოში კარგად არის ცნობილი თავისი ადრეული ხანის მოთხრობით ,,მახაზი და შალიკო''. იგი თავს თვლის რუს მწერლად, წერს მხოლოდ რუსულად, თუმცა მისი შემოქმედების თემა მუდამ იყო და არის კავკასია, კერძოდ აფხაზეთი. [http://7days.ge/].

„სხვა ნაციონალური ხასიათის ანალიზისა და აღქმის პრობლემა, მისდამი მიმართების თემა, ძირითადად, ეთნოფსიქოლოგიური სტერეოტიპების ჭრილში განიხილება. ამგვარი კვლევისთვის მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები საინტერესო მასალას იძლევიან, რადგან მათში ფიქსირებულია, ერთი მხრივ, სამყაროს ენობრივი სურათი და, მეორე მხრივ, მსოფლაღქმისთვის მნიშვნელოვანი წარმოდგენები სხვა ნაციონალურ ხასიათებთან მიმართებით, რომლებიც, თავის მხრივ, ხორცშესხმულია მხატვრული პერსონაჟების მეშვეობით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის კვლევებში აქცენტი გადატანილია არა მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოჩენილი სხვა (უცხოელი) პერსონაჟების მხატვრულ ფუნქციაზე, არამედ ხალხში არსებულ წარმოდგენებზე მათ შესახებ, ანუ სტერეოტიპებზე“. [მ. მირესაშვილი, 2011, 32-33] - წერს აფხაზეთიდან ლტოლვილი მეცნიერი მარიამ მირესაშვილი.

და, მართლაც სწორედ ერთი მოვლენის ორი კუთხით აღქმაზე იძლევა ამა თუ იმ ფაქტის ობიექტური შეფასების საშუალებას. მ. მირესაშვილი ყურადღებას ამახვილებს ფ. ისკანდერის მოთხრობის მთავარ პერსონაჟზე და მის მიერ აღქმულ სამყაროზე, კერძოდ, ნაცნობ თუ უცნობ ექიმზე, რომელიც ომის მსხვერპლი გახდა.

მოთხრობაში ,,ბიჭი და ომი'' ნაჩვენებია ომის რეალური სურათი, ყოველგვარი მხატვრული შელამაზების გარეშე. ეს ნაწარმოები ყველას კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს იმაზე, რომ ომი საშინელებაა, რომელსაც ეწირება არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე, თუ როგორ ანგრევს იგი ადამიანთა ცხოვრებას, გვაკარგინებს საყვარელ ადამიანებს და მარად მოუშუშებელ ჭრილობებს უტოვებს ადამიანის სულს, ისეთ ჭრილობებს, რომელიც ადვილად არ შუშდება და რომელიც მთელი

ცხოვრების მანძილზე ამჩნევია ადამიანის ცხოვრებას. „სუნთქვაშეგუბებული ბიჭი უსმენდა ამბავს, რომელსაც სამზარეულოში ჰყვებოდნენ. ვერაფრით გაეგო ამ ამაზრზენი სისასტიკის არსი“ - წერს ფ. ისკანდერი და გრძნობ, როგორ სტკივა გული ავტორს უაზრო, ამაზრზენი სისასტიკის გამო. ბიჭისთვის გაუგებარია ასეთი არაადამიანური დამოკიდებულება ექიმის მიმართ, რომელიც ეროვნული ნიშნით არ განასხვავებდა პაციენტს და იმდენი სიკეთე ჰქონდა დათესილი გაგრაში, რომ არ უფიქრია ცოლ-შვილთან ერთად გამგზავრება და საკუთარ ბინაში მოხუც სიდედრთან ერთად დარჩენა. ვის სჭირდებოდა ქალაქში ყველასათვის საყვარელი ექიმის მიზანმიმართული მოკვლა? ღამით ბინიდან მისი გამოყვანა და დახვრეტა ქალაქის განაპირას? პატარა ბიჭი მეორე დღესაც განაგრძობს მომხდარზე ფიქრს, იგი ვერ გარკვეულა ცხოვრების საზრისში, თუ რა აზრი აქვს ცხოვრებას, თუკი ბოროტება სიკეთეს ამარცხებს. ბიჭი მამამისს უზიარებს თავის პესიმისტურ განწყობას და ეს უკანასკნელიც ვერ პოულობს დამაჯერებელ პასუხს.

მოთხრობის ფინალში სადარბაზოდან გასული მამა-შვილი დაინახავს მოხუც ხეიბარ ქალს, რომელიც საჭმლის ნარჩენებს აჭმევს უპატრონო ძაღლებს. მამა ეუბნება შვილს, რომ სადღაც თუ ვიღაცა არამზადა ავ საქმეებს სჩადის და უდანაშაულო ადამიანებს კლავს, ეს მოხუცი ქალი, თავად გაჭირვებაში მყოფი, როგორც შეუძლია, ისე ზრუნავს სხვებზე. სწორედ ეს გახდა ბიჭისთვის მაგალითი იმისა, რომ სიკეთე ბოროტებას დაამარცხებს.

მწერალი პატარა ბიჭის წყალობით ამბობს თავის სათქმელს, სწორედ პატარა ბიჭი ათქმევინებს იმას, რის თქმასაც მოზარდები ვერ ბედავენ, ან შეგნებულად გაურბიან. სწორედ ბიჭი სვამს მეტად რთულ შეკითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. გაკეთილშობილდა თუ არა ადამიანი? ავტორი ბიჭის მეშვეობით გონიერების სიღრმეში გვახედებს.

ნაწარმოების გმირი, პატარა ბიჭი განასახიერებს მომავლის იმედს მისი წყალობით ავტორი ამბობს თავის მთავარ სათქმელს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრებაში სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს, რომ ის დაუძლეველი ძალაა. ,,ბოროტება კი სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლოვანება ადამიანში''.

სიკეთე, ერთმანეთისადმი სიყვარული, ჭირში თანადგომა ის დიდი მამოძრავებელი ძალაა, რომლის წყალობითაც ჩვენ, მოკვდავი ადამიანები ვარსებობთ. არა აქვს მნიშვნელობა, შენ აფხაზი ხარ თუ ქართველი. აფხაზებსაც, ისევე როგორც ქართველებს, ომმა ღრმად მოუშუშებელი ჭრილობები დაუტოვათ, რომელთა მორჩენაც, ალბათ, მხოლოდ ჩვენ შორის „ჩატეხილი ხიდის“ ხელახლა აღდგენის შედეგად იქნება შესაძლებელი.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ორივე მწერლის ნაწარმოები ერთ თემას ეხმიანება, აფხაზეთის ომის შემდეგ დაზარალებული ხალხის ყოფას, მათ ტკივილს. ორივე მწერალს ერთი დიდი ტკივილით სტკივა გული. ამ ორი ნაწარმოების შეხების მთავარი წერტილია რის ორ ქვეყანას შორის არსებული კონფლიქტი და ამ კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა. მწერლები ცდილობენ საკუთარი სიტყვით აღადგინონ ის ხიდი, რომელიც 1992 წელს ჩატყდა და რომელიც დღემდე არაა აღდგენილი. ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა შედეგს გამოიღებს მათი მცდელობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარე კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ჩვენ ერთნი ვართ და ჩვენი ერთმანეთისგან გაყოფა არ შეიძლება.

ჩვენ ვიტოვებთ იმედს, მათი მცდელობა უშედეგოთ არ ჩაივლის და ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ყველაფერი. მათ გზა გაგვიკვალეს, ხოლო ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად და შეუცდომლად ვივლით ამ ძნელად სავალ გზაზე, რომელსაც აფხაზეთამდე და გამთელებულ ხიდამდე მივყავართ.

,,არ არსებობს გზა მშვიდობისკენ, მშვიდობა თვითონ გზაა''. [sites.googee.com]

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., ,,ოთარაანთ ქვრივი“, ბათ., 1987.
2. მირესაშვილი მ., ,,ქართველები აფხაზების თვალთახედვით“, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციის „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელობა, მომავალი“ მასალები, თბ., 2011.
3. შატაიძე ნ., ,,მოგზაურობა აფრიკაში“, კრებულში ,,ხიდი“, თბ., 2007.
4. http://mastavlebeli.ge/
5. http://7days.ge/
6. sites.googee.com

დედაენა დღეს და ქართული საზოგადოება

თეონა კაკაშვილი, იზა გოდელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე,** სრული პროფესორი

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, მისი პერიოდიზაციისა და ნორმალიზაციის საკითხები მუდამ იყო ქართველ მწერალთა, თუ ლიტერატორთა ინტერესისა და ზრუნვის საგანი. მხოლოდ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები, ნაწარმოებები ან სიტყვები „მამული, ენა, სარწმუნოება“ საკმარისია ამის დასტურად! გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას წერილი “ენა”.. ან ზვიად გამსახურდიას შეხედულებები, რომლისთვისაც ენობრივი იდეალი ქართული სალიტერატურო ენის უწყვეტობაა. პოეზიაშიც ხომ უამრავი არაჩვეულებრივი სტრიქონი მიეძღვნა ქართულ ენას. უამრავი პოეტი გვაწვდის სულიერ საზრდოს პატრიოტიზმითა და ემოციებით სავსე ლექსებით: მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, გიორგი ლეონიძე, მუხრან მაჭავარიანი და ასე უსასრულოდ... თითოეული მათგანის სიტყვები, რომელიც ქართულ ენას შეეხება, საოცრად სწორად და კარგად არის მორგებული იმჟამინდელ ყოფასა და ვითარებას. ენა ცოცხალი ორგანიზმია. იგი მუდმივად ვითარდება და ივსება. ენის პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ძვრები მიმდინარეობს. ქვეყნის ცხოვრებაში სერიოზულ გარდატეხათა დროს, სხვა გლობალური პროცესების პარალელურად, იცვლება ენობრივი გარემოც. სწორედ ამიტომ არაერთხელ იდგა დღის წესრიგში ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: „ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი ვითარცა გონება და სიყვარული. უდიდესი საუნჯეა ქართული ენა, იგი უძველესი და უტკბილესია, რაღაც განსაკუთრებული მადლით მოსილი. როდის წარმოიშვა იგი? როდესაც ქართველი კაცი გაჩნდა ამქვეყნად, აი მაშინ წარმოიშვა ქართული ენაც, ის დიდებულია თავისი სიღრმით და ფილოსოფიური დატვირთვით.“

ქართველმა ხალხმა ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ისტორიული ქარტეხილის გზებზე და მოიტანა დღემდე, როგორც უპირველესი ნიშანი ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფობისა. უამრავ დასაცველსა და გასაფრთხილებელ-გადასარჩენს შორის, ყოველთვის რომ ჭარბად ჰქონდათ ქართველებს, უპირველესად ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის თავის გადადებას მიიჩნევდნენ და ხშირად ეს მოვალეობა სავალალო მსხვერპლთშეწირვით დაუსრულებიათ. მტერი და დამპყრობი არასდროს ელეოდა იბერთ ქვეყანას, რადგან კურთხეული მიწის მიტაცება ულევი სიმდიდრის მოპოვების უტყუარი საწინდარი გახლდათ. ამის აღსრულება ძალზე ადვილად შეიძლებოდა, ქართველთათვის ენისა და სარწმუნოების წართმევით. ამიტომაც უნგრევდნენ და უბილწავდნენ ეკლესია-მონასტრებს, უმშვენიერესსა და უძველეს ენაზე მეტყველებას უკრძალავდნენ, მაგრამ შეუძლებელი იყო მართლმადიდებლობის უარყოფა, სხვა რჯულის აღიარება. შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელი იაკობის, დავითის, თამარისა და სხვათა წმინდანების ენის უარყოფა. შეუძლებელი იყო უძველესი ანბანის ულამაზესი ასოების დავიწყება და გაქრობა.

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასი ენაა, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი. მათ შორის ერთი უძველესთაგანია ქართული. საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა **კირიონ მეორემ** ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ: „დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი. მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას“.

მეტაფორულად რომ ვთქვათ, ქართული ენა ის ,,სახლია“, რომელშიც ქართველი ადამიანი და მთლიანად ქართველი ერი ისტორიულ ცხოვრებას ახორციელებს.

დედაენა, ეს ხომ დიდი საგანძურია ქართველი ხალხისა. „სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა“ - წერდა იაკობ გოგებაშვილი. დედაენა მარტო სულიერი ცხოვრების უაღრესად სრული და მართალი მატიანე როდია, იგი ამასთან ერთად არის ხალხის უდიდესი მასწავლებელი, რომელიც ხალხს მაშინ ასწავლიდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო წიგნები და სკოლები, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორისაც არის ბუნება კავკასიონისა. მშობლები, რომლებიც შვილებს ზრდიან გარეშე დედაენის გავლენისა სწყვეტენ კავშირს

მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს. დედაენას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელ მის ბუნებაში. დედენა ხომ მართლაც ბუნებითი იარაღია, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა, გულისა, ნაფიქრისა რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერი ღონითა და მხნეობით.

მართლაც რომ სწორი გამონათქვამია „თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფი მათი მოქმედებისა რჩებიან დედაენაში, ჩამომავლების საკუთრებად“.

ქართული ენა, რომელშიც აღბეჭდილია ხალხის განვითარების ყველა ეტაპი. უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ყოველთვის იყო ცივილიზაციის ძლიერი იარაღი. ძირითადი ფაქტორი ერის სულიერი განვითარებისა, მისი შემოქმედებისა, ეროვნული თვითშეგნებისა. ამ ვითარების ინტუიციების ხედვით ნაკარნახევი ცნობიერი დამოკიდებულება საკუთარი ცნობისადმი, ქართველმა ხალხმა ნათლად აღბეჭდა თვით გონშივე, როცა მას ,,დედაენა“ უწოდა. მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თავისთავად ძალზედ მრავლისმეტყველი და საგულისხმოა. ნურასდროს დავივიწყებთ, ყველას ვაუწყოთ ჩვენს სიმდიდრესა და განძზე, ბევრისთვის სანატრელსა და ვერმოპოვებულზე, რომ: **„ქართული მარტო ენაა?!ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა!“** იმედია ეს დაგვაფიქრებს და შევეცდებით არ დაივიწყოთ ქართული. სანამ სხვა ენაზე საუბრის დახვეწას და გაგიჟებას დავაპირებთ, მანამდე ჩვენი შევისწავლოთ და დავაფასოთ. ღმერთმა ისე ქნას ყველა ქართველმა იცოდეს რამდენიმე ენა, მაგრამ, მოდით, ეს ენა მაშინ გამოვიყენოთ, როცა შესაბამის ქვეყანაში ვიქნებით. არავისზე ნაკლები ენა არ გვაქვს, მოდით დავაფასოთ ის და სხვასაც დავანახოთ მისი მშვენიერება. როგორც დიდმა ილიამ თქვა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დავგრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან, ენა, მამული, სარწმუნოება“. ნუ დავივიწყებთ ამ სიტყვებს, საქართველო ხომ მთელი არსებობის განმავლობაში ამ სამი სიწმინდისთვის იბრძოდა, რამდენი ადამიანი შეეწირა ამ ბრძოლას. მოდით, ნუ დავივიწყებთ მათ საქმეებს და განვაგრძოთ ეს საქმე ჩვენც. დავიცვათ ჩვენი სიწმინდენი და დავანახოთ მსოფლიოს, რომ ამ პატარა ქვეყანას გააჩნია ყველაფერი, რაც ერს სჭირდება არსებობისთვის: წარსული, ღირსება, ძლიერება, რწმენა... ნუ დაგვავიწყდება ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საითკენ მივდივართ, თორემ ისედაც კლდის პირას ვართ და სწორედ ეს იქნება ბოლო ბიძგი, რომ გადავიჩეხოთ და ვეღარც გადავრჩებით ვერასოდეს.

ადამიანი ენით აგებულ სივრცეში ცხოვრობს; იმ სივრცეში, რომლის სტრუქტურაც ენას დაუდგენია და ადამიანს ამ გზით ეძლევა. დედაენის ძალმოსილება, გაუცნობიერებლად, უკვე ადრეული ბავშვობიდანვე მოიცავს ყოველ პიროვნებას; გაცილებით ადრე გამოიკვეთება ბავშვის ენობრივ ცოდნაში ბგერა და მისი შინაარსი, თანაც ისე საგულდაგულოდ, რომ დედაენის სფერო სიცხადეს იძენს. დედაენის გარეშე აღზრდილი კაცი ვერ შეძლებს იოტისოდენა, რომ შესძინოს, ხალხის გონებით სიმდიდრეს, ვერ შეძლებს უცხოური გადააქციოს ეროვნულად (ე.ი. კრიტიკულად, შემოქმედებითად გამოიყენოს ა.შ.) ვერასდროს ვერ შეიგნებს თავის ერსა და ვერასდროს ვერაფრისგან იქნება იგი შეგნებული.

მარტოოდენ დედაენას შეუძლია გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური. მხოლოდ მას ძალუძს ღრმას შესძრას იგი, მოხსნას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირიან ფესვიანად. იგი აუცილებლად აღზრდის მოზარდებში ზედაპირობას აზრისას, ფუქსავატობას მსჯელობისას, ქარაფშუტობას გრძნობისას და სისუსტეს ხასიათისას. სკოლის საგნების შეგნება და შეთვისება, სწორი განვითარება და გაფურჩქვნა გონებისა მაშინ შეიძლება, როდესაც მოსწავლეებს ესმით ენა, რომელზედაც წარმოებს სწავლა.

ქრისტიანული ეკლესია ყველგან და ყოველთვის მისდევდა იმ აზრს, რომელიც გამოთქვა “ ღვთის ერმა“ დავით წინასწარმეტყველის პირით: „ჩვენ ვადიდებთ მას, ვინც უბნობს ჩვენის ენითა“. ქართული ენა ქრისტეს დაბადების დროიდან ითვლება ლიტერატურულ ენად, აქვს დამწერლობის უძველესი ძეგლები და, გავლენიანი ლინგვისტების აზრით, დაყენებული უნდა იქნას ყველაზე სრულყოფილი ენების გვერდით. ყოველთვის გვაინტერესებდა ეს საკითხი და ბოლო დროს გვესმოდა აზრი, რომ პირველსაკითხავი წიგნი „დედაენა“ შეცვალა კომპიუტერმა. საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს განსხვავებული აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჩაგვეტარებინა კვლევა და გაგვეგო რას ფიქრობდა ხალხი პირველი კლასის მოსწავლეს დედაენა შეესწავლა კომპიუტერის თუ წიგნის საშუალებით. ზოგიერთი ადამიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პირველი კლასის მოსწავლეს შეხება უნდა ჰქონდეს წიგნთან, და არ გახდეს მათთვის ეს საკითხი სათამაშო. შევადგინეთ ანკეტა რომელიც შემდეგი კითხვებისგან შედგებოდა:

ანკეტა

ასაკი	
სქესი	
არის თუ არა დედაენა ქართველი ხალხის დიდი საგანძური?	
როგორ ფიქრობთ არის თუ არა დედაენის შემცვლელი სხვა რაიმე წიგნი?	
ამართლებთ თუ არა დედაენის შესწავლას კომპიუტერის საშუალებით პირველი კლასელებისთვის ? წიგნი თუ კომპიუტერი?	
როგორია თქვენი მომავლის ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით?	

გამოკითხვის შედეგები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვანაირად გადანაწილდა. ასეთია კვლევის შედეგი შემდეგ კითხვაზე:

1. არის თუ არა დედაენა ქართველი ხალხის დიდი საგანძური?

ყველა ასაკის წარმომადგენელი თვლის რომ დედაენა მართლაც ქართველი ხალხის დიდი საგანძურია



100%

2. როგორ ფიქრობთ არის თუ არა დედაენის შემცვლელი სხვა რაიმე წიგნი?

55-75, 40-55, 30-40 ასაკობრივი ჯგუფის 50% თვლის, რომ დედაენ შეუცვლელია და მარადიული ქართველი ხალხისთვის

უფროსი თაობა კრიტიკულადაა განწყობილი ამ საკითხისადმი და თვლიან, რომ აუცილებლად უნდა იყოს წიგნთან შეხება, თითქოს გაადვილებულია კომპიუტერის საშუალებით ცოდნის მიღება, თუმცაღა ეს ზოგიერთი ბავშვისთვის დამღუპველია, ისინი ამას უყურებენ როგორც სათამაშოს და გასართობს, ასეთია ზოგიერთი მშობლის მოსაზრება. გამოკითხვის შედეგები სხვადასხვანაირად გამოიყურება და თითოეული მოქალაქის აზრი განსხვავებულია ამ საკითხთან დაკავშირებით. კვლევა მიმდინარეობდა შიდა ქართლში (გორი, ქარელი, სკრა, სვენეთი და სხვა რაიონები).

გადავწყვიტეთ, შემლებისდაგვარად გავაშუქოთ სახალხო განათლების საკითხები ცალკეულ გამოცემებში, რათა ჩვენს საზოგადოებაში კიდევ უფრო გავაძლიეროთ ამ საკითხისადმი ინტერესი და ხელი შეუწყოთ მათ სწორ გაგებას, გადაჭრასა და ცხოვრებაში გამოყენებას. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დედაენის შესწავლა წიგნთან შეხების გარეშე სკოლაში, უფრო მავნებელია ქართველ მოსწავლეთათვის, ვიდრე სხვა კავკასიელი ბავშვისათვის.

ენა ისტორიული გამოცდილების უზარმაზარი რეზერვუარია. ენა, როგორც შუამავალი, დედაენის გზით ხდის ადამიანს გარკვეული საზოგადოების წევრად. დედაენა ის ენაა, რომელიც მეტყველების ზოგად ადამიანურ ჟანრს ემპირიულად განახორციელებს და ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ ენობრივ სოციუმის წევრს, ჩართავს საგანთწვდომის აქტებში, ათასწლობითი ისტორიის მანძილზე, რომ შემუშავებულა. ენა ჩართულია ადამიანის საგნებთან ურთიერთობაში და სწორედ საგნობრივი ცნობიერების აგებაში მონაწილე ფაქტორია. ერის ცხოვრება და დიდება მისი ისტორიაა, რა ენა წახდეს არს დაცული ერით! დედაენა არის ენა სულისა და გულის, დედაბოძი ჭეშმარიტი განათლებისა. დედაენით უნდა გაიზარდოს ყველა პატარა, რაც ჩვენთვის წმინდაა! დედაენა ის წყაროა, საიდანაც ჩვენ ვარსებობთ, მისით ვსუნთქავთ და მისით აღვიქვავთ სამყაროს. დედაენა – თვითონ სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რომ დედასავითაა ჩვენი ქვეყნის ენა. რა ტკბილია მშობლიური ენა, ის დედასავითაა.

შეიძლება იყო ქართველი და არ იფიქრო ქართულ ენაზე ან კიდევ დედაენაზე? მაშინ რა ქართველი იქნები. დედაენის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვენი ეთნოგრაფიული და სახელმწიფოს საზოგადოების ისტორია. დედაენა საუკუნოვანი სიდიდეა ახალი და ძველი თაობისთვის. დედაენის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობას ის, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება დაუგროვებია, ეს რომ არა, კულტურის განვითარება არ იქნებოდა შესაძლებელი. ერთი თაობა მიდის, მეორე მოდის, უკვდავად დარჩება მისი ისტორია თუ მას ხალხი ზურგს არ შეაქცევს.

ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი მ., თხზულებანი შვიდ ტომად, წერილები, ტომი მეშვიდე, თბ., 2008.
2. რამიშვილი გ., დედაენის თეორია, თბ., 2000.
3. მთიბელაშვილი თ., „მერაბ მამარდაშვილი“, თბ., 2007.
4. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003
5. ძიძიგური შ., ლიტერატურულ-ენთმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
6. ფილოსოფია, კულტურა, ისტორია (კრებული), თბ., 2000.
7. პუბლიცისტური, სოციალურ-პოლიტიკური და პედაგოგიური აზრები (სხარტი გამონათქვამები) იაკობ გოგებაშვილი დაბადების წლისთავისათვის 165, გორი, 2005.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://urakparaki.com/?m=4&ID=58449
2. sulakauri.ge/books/single/146
3. www.slideboom.com/presentations/710823/დედა--ენა
4. http://pleasantt.wordpress.com/2012/04/20/ქართული-ენა-და-პრობლემებ/
5. http://iberiana.wordpress.com/iberiana/jigauri/qartuli/
6. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=8&id=121
7. http://intermedia.ge/სტატია/13150-ღირსების-საკითხი-ქართული-ენა/19/
8. http://www.ambioni.ge/qartuli-ena-da-tanamedrove-media

ქალი და მისი უფლებებისთვის ბრძოლის საკითხები XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევში

ნათელა საზანდრიშვილი, ნათია ტერტერაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ქეთევან ბარბაქაძე,** ასოცირებული პროფესორი

საუკუნეების განმავლობაში ყოველთვის აქტუალური იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრობლემა. ძველად მსოფლიოში ქალის როლი წინა პლანზე იყო წამოწეული. ჯერ კიდევ ქვის ხანის ეპოქაში ოჯახს მართავდა ქალი და ეს პერიოდი ისტორიაში „მატრიარქატის“ სახელითაა ცნობილი. დროთა განმავლობაში კი ცხოვრების წესის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობაც. მისი ფუნქცია ოჯახის მართვასთან მიმართებით შეითავსა კაცმა, ანუ „მატრიარქატი“ შეიცვალა „პატრიარქატით“. გავიდა საუკუნეები და ქალმა დაიწყო ბრძოლა მამაკაცის უფლებებთან საკუთარი უფლებების გათანაბრებისათვის.

ფემინისტური (ლათ. femina - ქალი) ხასიათის იდეები პირველად ძვ. ჩინეთში: გამოჩნდა. ზოგიერთ მკვლევარს პირველ ფემინისტად პლატონი მიაჩნია. თუმცა მისი თეორიის ჩამოყალიბება დაიწყო 1792 წელს, როდესაც გამოვიდა მერი უოლსთოუნქრაფტის წიგნი "განცხადება ქალთა უფლებების შესახებ". უფრო ფართო აუდიტორია „ფემინისტურმა“ იდეამ მოიპოვა 1840-1850 წლებში, როცა დასავლეთის რიგ ქვეყნებში გაიშალა სუფრაჟისტების მოძრაობა, რომლებიც მოითხოვდნენ ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას. ეს იყო „ფემინიზმის“ ე.წ. "პირველი ტალღა".

დალეწილი ფანჯრის მინები და ვიტრინები, გადამწვარი სახლები და ეკლესიები, დემონსტრაციები, შიმშილობა, თვითმკვლელობა და აფეთქების მცდელობები - ამ მეთოდებით იბრძოდნენ XIX-XX საუკუნეში ფემინისტი ქალები უფლებების მოსაპოვებლად. სწორედ ამის შედეგია, რომ დღესდღეობით ქალები ცხრა ქვეყანას მართავენ: გერმანიას, ავსტრალიას, ბრაზილიას, ლიბერიას, ლიტვას, ფინეთს, კოსტა-რიკას, არგენტინასა და ყირგიზეთს. ქალებს ქვეყნის მმართველის თანამდებობა 35 ქვეყანაში ეკავათ. მინისტრების 17%-ს მთელს მსოფლიოში ქალები შეადგენენ. ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ სამ ქვეყანაში: ბუტანში, ბრუნეისა და საუდის არაბეთში.

დღესდღეობით პროცენტული მაჩვენებელი ქალების განათლების შესახებ ასეთია: მთელს მსოფლიოში სტუდენტების 51%-ს ქალები შეადგენენ. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ქალი სტუდენტების რაოდენობა კიდევ უფრო მეტია - 55-56%. გაეროს მონაცემებით 769 მილიონი ადამიანიდან, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, 70% ქალია. პირველი ქალი სტუდენტები ევროპის უნივერსიტეტებში XIX საუკუნის შუა წლებში გაჩნდნენ.

XIX საუკუნიდან საქართველოში აქტიურ ფაზაში შედის ქალთა ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. საქართველო ევროპისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ჩვენთან ქალები არც გამოსვლებს აწყობდნენ და არც გაფიცვებს. მათი პირველი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სიტყვითი, ლიტერატურული მოძრაობა, მეორე ნაბიჯი კი - ასოციაციების შექმნა. ქართველი ქალების გააქტიურება ნაწილობრივ ქართველი მამაკაცების დამსახურებაც იყო. ქართველი ქალი თითქოს შეგუებული იყო პასიურობას ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი სერგეი მესხი თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“ გვიხატავს თავისი პერიოდის ქალის მორჩილებას. წერილის ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველი ქალების უმრავლესობა ბუნებით ლმობიერია და ეგუება თავის მეტად არასახარბიელო მდგომარეობას: „თავის სამოქმედო ასპარეზად იმას (ქალს) მხოლოთ სასტუმრო, საწოლი და სატანციო ოთახები მიაჩნია და ამის გამო ვერ გაუგია, რათ ეუბნებიან, რომ ქალის დანიშნულება მარტო კეკლუცობაში და კაცების და თავის გრძნობების დაკმაყოფილებაში არ მდგომარეობსო“ (ს. მესხი 1992: 92).

სერგეი მესხმა 1873 წლიდან 14 თვე დაჰყო ევროპაში, იქაური ცხოვრების შესასწავლად, თუმცა მანამდეც კარგად იცნობდა ევროპის ქვეყნების კულტურულ საქმიანობასა თუ ცხოვრებას. მან 1871 წელს გაზეთ „დროების“ მე-4 ნომერში დაბეჭდა ზემოხსენებული წერილი, რომლის დასაწყისშივე იგი ერთგვარად მიმოიხილავს ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებას, საიდანაც მისი საზღვარგარეთული განათლება ჩანს. ეს წერილი მიუძღვნა ქართველ ახალგაზრდა ქალებს და იგი მოგვევლინა ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების დამცველის როლში. ს. მესხი მიიჩნევს, რომ

ამერიკელ ქალებს ყველაზე მეტი უფლებები გააჩნიათ. მათ ხელშია თითქმის მთელი სახალხო განათლება და ისინი ენერგიულად და ჭკუით მოქმედებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად. ავტორის აზრით, ამერიკის წარმატებულობის მიზეზია ქალთა დამოუკიდებლობა: „ვინ იცის, ერთი მიზეზთგანი იმ ბედნიერი ცხოვრებისა და კეთილი მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ამჟამად ამერიკა, ის გარემოებაც იყოს, რომ ქალებს ყველაზე უფრო მომეტებული უფლებები აქვთ მინიჭებული“ (ს. მესხი 1992: 97).

ამ წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ ამერიკის შემდეგ ყველაზე უფრო გაცხარებული მოძრაობა ქალების სასარგებლოდ ინგლისშია: „ქართველებივით ძველ ჩვეულებებს არ ღალატობენ, მაგრამ კარგს და ცუდს მაინც არჩევენ“ (ს. მესხი 1992: 90). ის აგრეთვე მიმოიხილავს ქალთა მდგომარეობას საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, დანიაში, ნორვეგიასა და რუსეთში.

„არცერთი განათლებული ხალხი არ უყურებს ისე ცუდად ქალს, როგორც ფრანგები. ფრანგების აზრით ქალი მხოლოთ კაცის სათამაშოთ, დროის გასატარებლად და საარშიყოდ არის გაჩენილი“ (ს. მესხი 1992: 92).

„გერმანიაში ამერიკას გარდა სხვა ყველა ქვეყანაზე უკეთ მიდის (ქალების საქმე)“. (ს. მესხი 1992: 92).

„ესპანეთში, დანიაში, ნორვეგიაში ქალებს სწავლის უფლება აქვთ როგორც ცალკე დაარსებულ, აგრეთვე საჯარო უნივერსიტეტებში“.

„რუსეთში ქალებზე ლაპარაკი პირველათ 1861 წ. დაიწყეს, როცა მაშინ დიდი გავლენის მქონე ჟურნალში - „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა ამ საქმის შესახებ რომანი“ (ს. მესხი 1992: 101).

1871 წელს გაზეთ „დროების“ მე-12 ნომერში ს. მესხმა დაბეჭდა წერილი „საქალ-ვაჟო შკოლებზე“ ხელმოუწერლად. ის წერილში საუბრობს ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლების მნიშვნელობაზე. ის ცდილობს, ტრადიცია, რომელიც გულისხმობდა მათ ერთმანეთისაგან დაშორებას სწავლების პროცესში და რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მისი მოღვაწეობის პერიოდში, უგულებელეყო ქართველ ხალხს თავისდა სასიკეთოდ. როგორც ჩანს, XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში და სავარაუდოდ მანამდეც ცდილობდნენ ქალისა და ვაჟის ერთმანეთისაგან დაშორებას, ერთს სხვანაირად ზრდიდნენ, მეორეს სხვანაირად. აღმზრდელ დედებს ეს სწორად მიაჩნდათ. ს. მესხი ცდილობს მათ გადარწმუნებას: „საზოგადოდ კაცს და ნამეტურ ახალგაზრდას ისეთი ხასიათი აქვს, ის ყველაზე უფრო მიელტვის და მიეშურება იმ საგანს, რომელსაც აშორებენ, ართმევენ და რომლის მიკარება იმას აკრძალული აქვს“ (ს. მესხი 1992: 92).

ს. მესხი ხსნას ქართველ გლეხკაცობაში ხედავდა, რომელშიც: „...არასოდეს არ არის ისეთი განსხვავებული აღზრდა ქალებისა და ვაჟებისა, როგორც უფრო უმაღლეს საზოგადოებაში, ამიტომ, მგონი, ურიგო არ იქნეს, რომ იმ სასოფლო შკოლებში, რომელნიც ცოტა-ცოტათი იხსნებიან ახლა ზოგიერთ ჩვენ სოფლებში, განსაკუთრებით ვაჟებისათვის, ქალებიც მიიღონ და ამნაირათ ჩვენი სოფლის შკოლა შერეულ შკოლათ დაგაიქცეს“ (ს. მესხი 1992: 92).

კიდევ ერთი პუბლიცისტური წერილი, რომელსაც სერგეი მესხი ქალის განათლების საკითხს უძღვნის, არის „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“, რომელიც დაბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1872 წელს. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ქართველი ქალები გაემგზავრონ უცხოეთში უმაღლესი განათლების მისაღებად, რათა იქიდან განათლებულები, გამოცდილები დაბრუნდნენ სამშობლოში და თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს განვითარების საქმეში. სხვათაშორის, 1875 წელს ს. მესხმა ცოლად შეირთო თავისი მეგობრის, სტეფანეს და ეკატერინე მელიქიშვილი, ერთ-ერთი პირველი ქალი, რომელმაც საზღვარგარეთ მიიღო განათლება.

აგრეთვე, საინტერესოა ს. მესხის შემოქმედება იმ თვალსაზრისითაც, რომ დავინახოთ ქალის მასწავლებლის პროფესიის არჩევის აუცილებლობა: „მართლაც, ქალს ამ ჟამად ბევრი გზები და სახსრები არ აქვს, რომ ცხოვრების ღონის-ძიებისათვის რომელიმე საშუალება მოსძებნოს. ის კაცზე უფრო ადვილათ მოიცდის ერთ ალაგს, კაცზე უფრო ნაკლებ ჯამაგირს დასჯერდება; მაგალითმა დაამტკიცა, რომ ქალის ჩჩვილ, მომთმენ ხასიათსა და მუყაითობას დიდი გავლენა და მშვენიერი ზედმოქმედება აქვს ყმაწვილზე სკოლაში; ისინი უფრო გულმოდგინეთ ასწავლიან, რადგან სხვა ბევრი ასპარეზი არ მოეძევათ ცხოვრებაში, რომ ლუკმა-პური იშოვნონ“ (ს. მესხი 1963: 81).

XIX საუკუნის II ნახევარში ამ საკითხს გამოხმაურება მოჰყვა რუსეთის იმპერიისგანაც. „50-60-იანი წლებიდან მეფის რუსეთმა შემოერთებულ მხარეში თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ქალს, როგორც დედას, აღმზრდელს, მასწავლებელს და ცდილობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში მის ჩაბმას. რუსეთის განაპირა მხარეებში სკოლის მთავარი მიზანი რუსული ენის შეტანა და დამკვიდრება იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ საქმეში ქალს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. ცარიზმის თვალთახედვით, „იმპერიის არარუსი მოსახლეობის გარუსებისათვის ქალი-მასწავლებელი უნდა ქცეულიყო იმ ძალად, რომელიც განათლებასა

და გარუსებას ერთმორწმუნოებაში მოაქცევდა და თავისი საქმიანობით ოჯახში, საზოგადოებასა თუ სკოლაში ყოველთვის მაგალითის მიმცემი იქნებოდა“ (ნ. სუდაძე 1998: 94).

ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა „ქალთა - მასწავლებელთა შემწეობისათვის და ხელშწყობისათვის შექმნილ საზოგადოებას“ პუბლიცისტური წერილით „ქალი მასწავლებელი“. ეს წერილი დაწერა 1886 წლის 7 იანვარს, ხოლო ზემოხსენებული საზოგადოება შეიქმნა სამი დღით ადრე. ილია აღფრთოვანებას არ მალავს იმ ქალთა მიმართ, რომლებმაც ჩივილისა და ხვეწნის გარეშე, საკუთარი თაოსნობითა და საკუთარი თვითმოქმედებით აიღეს ფარ-ხმალი და წინ აღუდგნენ ქალების დამჩაგრავ გარემოებას. ილიას აზრით, ასეთი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორც წერილიდან ვიგებთ, ქალები, მით უფრო ქალი მასწავლებლები მეტად არასახარბიელო და უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილან: „რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიენიჭება ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად“. ქალს მასწავლებლად გახდომის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახალგაზრდებს მასწავლებლად ამზადებდნენ, ვაჟების უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალების და ქალს რომ მოეხერხებინა ამ პროფესიის დაუფლება, მაინც კაცს ანიჭებდნენ უპირატესობას სამსახურის დაწყებისას.

XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში არსებობდა 21 საშუალო სასწავლებელი:

#	საწავლებლების დასახელება	დაარსების წელი	მოსწავლეთა სერთო რიცხვი
1	თბილისის ვაჟთა I გიმნაზია	1830	852
2	თბილისის ვაჟთა II გიმნაზია	1881	753
3	თბილისის ვაჟთა III გიმნაზია	1892	669
4	ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია	1850	689
5	ბათუმის ვაჟთა გიმნაზია	1897	397
6	თბილისის ქალთა I გიმნაზია	1865	1125
7	თბილისის ქალთა II გიმნაზია	1878	768
8	თბილისის ქალთა III გიმნაზია	1894	512
9	თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი	1846	461
10	ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი	1847	704
11	გორის ქალთა პროგიმნაზია	1881	221
12	სოხუმის ქალთა პროგიმნაზია	1870	116
13	თბილისის რეალური სასწავლებელი	1874	678
14	თელავის წმინდა ნინოს პროგიმნაზია	1898	678
15	ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი	1897	678
16	თბილისის ალექსანდრეს სახ. სამასწ. ინსტიტუტი	1872	93
17	გორის სამასწავლებლო სემინარია	1876	355
18	ხონის სამასწავლებლო სემინარია	1881	150
19	თბილისის სასულიერო სემინარია	1817	678
20	ქუთაისის სასულიერო სემინარია	1894	340
21	ნერსეს სასულიერო სემინარია	1834	215

ქალთა განათლების საქმეს კიდევ უფრო მეტად აფერხებდა ის, რომ გაჭირვებულ მოსახლეობას არ ემეტებოდა ძნელად მოპოვებული ფული ქალების განათლებისთვის. ვაჟთა გიმნაზიებში თავადაზნაურთა, ვაჭართა, მოხელეების, სასულიერო პირების, საპატიო მოქალაქეების შვილები მოსწავლეთა 60%-ს შეადგენდნენ; ქალთა გიმნაზიებში ეს პროცენტი მეტი იყო (66%) (ნ. ვასაძე 2004: 260).

განსაკუთრებულად მოითხოვს ილია ახალგაზრდა ქართველ ქალთა პატრიოტული განათლების სკოლებს: „ნურავინ ნუ დაივიწყებს, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს

ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არს ვინაღვლით“ (ვ. ქაჯაია 1953: 95).

ი. ჭავჭავაძე გენდერული თანასწორობის მომხრეა. ქალს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეს, როგორიც მამაკაცსო - ამბობდა იგი. მისი აზრით, დედაკაცს სამი უწმინდესი, უსამღვთოესი დანიშნულება აქვს: დედობა, ცოლობა და დობა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მას ადამიანობა მოეთხოვება: „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რამედ, იმიტომ, რომ მამობა და დედეობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის“. მსგავსი იდეოლოგიის მატარებელია მისი წერილი „ქალთა სასწავლებელი“, რომელიც 1889 წლის 6 მარტს დაწერა. ამ წერილით გამოეხმაურა იმავე წლის 4 მარტს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილს „საზოგადოების საყურადღებოდ“, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა სასწავლებლის დაარსების მომხრეთა გაჩენას საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ქართველ ქალთა ერთ ნაწილს გადაეწყვიტა თავადვე ეზრუნა საკუთარ განათლებაზე ევროპელ ქალთა მსგავსად. წერილის ავტორი, და ცხადია მისი თანაგუნდელებიც, არ უცხადებდნენ ათას საყვედურს საპირისპირო სქესის წარმომადგენელთ, უფრო მეტიც, საკუთარი მხნეობით, გამრჯელობითა და თვითმოქმედებით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

კიდევ ერთი ქართველი კლასიკოსი, ასევე ქალების საპირისპირო სქესის ადამიანი, დგას ქალთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე. ეს არის ვაჟა-ფშაველა, რომელმაც 1914 წელს დაწერა პუბლიცისტური წერილი „ქალთა შესახებ“. ის მიიჩნევს, რომ ყოველი დედა, ქალი უნდა იყოს განათლებული, განვითარებული იმისთვის, რომ იცოდეს როგორ აღზარდოს შვილი. ილიასგან განსხვავებით, ვაჟა ქალის უმთავრეს მოვალეობად სახავს დედობას. ქალის განათლება ძალზე მნიშვნელოვანია, ვაჟას აზრით, რადგან: „დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდსა და პატარაზე; შვილების პირველდაწყებითი აღზრდაზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელში“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 347).

გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1910 წელს აკაკი წერეთლის წერილი „სიტყვა აკაკისა, საქალებო სასწავლებლის დაარსების შესახებ“. ამ წერილში აკაკი საუბრობს ქალთა განათლების აუცილებლობაზე, რადგან: „ერთად ცხოვრებაში საზოგადოდ ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში. ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგოდოსიც. ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს “(ა. წერეთელი 1961: 107).

არც ანტონ ფურცელაძის ყურადღების მიღმა დარჩნილა ქალთა საქმე. იგი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ისტორიის ფურცლებზე წითლად დაწერილმა მოვლენებმა ნირი წაუხდინეს ქართველ ქალთა უფლებიანობას. ის ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იმედს ისევ ქალებზე ამყარებს: „ქალის ენერგია, ქალის საქვეყნო საქმეებში გარევა, საქვეყნო საქმეების კისრება, თაოსნობა აფხიზლებს ქვეყანას, ამხნევებს და თავს ადებინებს მამაკაცთაც, ამკვიდრებს სიყვარულს, ქვეეყნის საქმეებისათვის ზრუნვას“ (ა. ფურცელაძე 2000: 626). სერგეი მესხის მსგავსად ანტონ ფურცელაძეც მიიჩნევს, რომ ევროპის წარმატებულობის ერთ-ერთი მიზეზია ქალთა აქტიურობა და მათი როლის ზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მაშასადამე, XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედების განხილვის შედეგად მეტ-ნაკლებად სრული სურათი იქმნება ამ პერიოდის ქალის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე საქართველოში. ჩვენ განვიხილეთ იმ საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომები, რომლებიც საპირისპირო სქესის წარმომადგენელთ უფლებებისა და ღირსებების დაცვისათვის ექომაგებოდნენ.

იმ დრომდე ქალს არ ჰქონდა სიტყვის თავისუფლება, ის არ იყო აქტიურად ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და „ეგუებოდა“ უმოქმედობას. სწორედ ამ პერიოდიდან, ე.ი. XIX საუკუნის II ნახევრიდან, ქალი იწყებს გამოფხიზლებას და თანდათან აანალიზებს საკუთარი უმოქმედობით მიღებულ არასასურველ შედეგებს, იმას, რომ მას არ აქვს საშუალება საშუალო ან უმაღლესი განათლება მიიღოს სამშობლოსა თუ საზღვარგარეთ.

ამის შემდეგ ის იწყებს თავის გარშემო იმ ადამიანთა შემოკრებას, რომლებსაც მსგავსი ინტერესები გააჩნიათ. ისინი აარსებენ საზოგადოებებს, რომელთა მიზანია ურთიერთდახმარება საზოგადოებრივ ასპარეზზე. მართლაც, XIX საუკუნის II ნახევარში, კერძოდ, 1886 წელს დაარსდა „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“ ცნობილი მოღვაწე ქალის ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ხელმძღვანელობით. საზოგადოებამ 1893 წელს თბილისში გახსნა ქალ-ვაჟთა შერეული სკოლა 3 განყოფილებით (ქართული, რუსული და სომხური). მასწავლებლები მატერიალურად ეხმარებოდნენ რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში საქართველოდან წარგზავნილ ქალიშვილებს (ნ. ვასაძე 2004: 267). ეს მათი მხრიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელსაც უკვალოდ არ ჩაუვლია.

ქალების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ XIX ს-ის 80-90-იან წლებში რუსეთსა და საქართველოში დაიწყო მარიამის სახელობის ქალთა სკოლების დაარსება. ამ სკოლების არსებობის წყაროს შეადგენდა სწავლის ქირა და კერძო შემოწირულობანი. ასეთი სკოლები არსებობდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სიღნაღსა და ხონში. (ნ. ვასაძე 2004: 256).

ქართველი ქალები აქცენტს აკეთებდნენ განათლების საკითხზე, რადგან მათ მშვენივრად იცოდნენ განათლებული და ინტელექტუალი ქალი საკუთარ პოზიციას არ დასთმობდა და ნათელი გონებით იბრძოლებდა საკუთარი უფლებებისა და ღირსებების დასაცავად. ეს კარგად ესმოდათ დიდ საზოგადო მოღვაწეებს და რადგანაც ქვეყნის ხსნას ხედავდნენ უფლებების გათანაბრებაში, ისინი მუდამ მხარში უდგნენ ქალებს მატერიალურად და, რაც მთავარია, მორალურად. საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებამ ნიადაგი მოუმზადა ქალთა აქტიურობის პროცესს და ხელი შეუწყო მას წინსვლაში.

ფემინისტი ქალების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დღესდღეობით საქართველოში საკანონმდებლო სიმაღლეზეა დაყენებული ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისგან''.

ლიტერატურა:

1. ქაჯაია ვ., „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, I კრებული, თბ., 1953.
2. ვასაძე ნ., „პედაგოგიკის ისტორია“, თბ., 2004.
3. მესხი ს., „თხზულებანი“, ტომი I, თბ., 1962.
4. მესხი ს., „თხზულებანი“, ტომი II, თბ 1963.
5. ბერიძე ნ., „ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა სამხეთ საქართველოში“, თბ., 2009.
6. ჭავჭავაძე ი., „პუბლიცისტიკა“, ტომი IV, თბ., 2012.
7. ფურცელაძე ა., „პუბლიცისტური წერილები“, თბ., 2000.
8. ვაჟა-ფშაველა, „პუბლიცისტიკა და ეთნოგრაფიული წერილები“, ტომი IX, თბ., 1964.
9. წერეთელი ა., „პუბლიცისტური წერილები“ ტომი XIV, თბ., 1961.
10. სუდაძე ნ., სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1998.
11. http://elawjournal.wordpress.com/tag/გენდერული-თანასწორობა/

ამერიკული „ახალი კრიტიკა“

ხატია ტეტუნაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე,** სრული პროფესორი

ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების შეფასების ხელოვნება კრიტიკამ საუკუნეთა განმავლობაში შეიმუშავა და ამ მიმართულებით უაღრესად ზუსტი კრიტერიუმები უპყრია ხელთ.

მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, გულისხმობს მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტი არსის და მისი შეფასების მეცნიერული კრიტერიუმების შესწავლას, მიაჩნია რევაზ მიშველაძეს.

შეფასება მხატვრული ნაწარმოებისა ესთეტიკის, კრიტიკის ერთ-ერთი დარგია. ასე რომ, გარდა კრიტერიუმთა ცოდნისა, იგი მხატვრულ ნაწარმოებთან ინტუიციურ დამოკიდებულებასაც გულისხმობს და ამ თვალსაზრისით, შეიძლება შეფასების ხელოვნებაც თანდაყოლილი ნიჭი იყოს, „მაგრამ თუ, თუნდაც გემოვნებიან, ნიჭიერ შემფასებელს, ხელთ არა აქვს მომარჯვებული კრიტერიუმები, რითაც იგი

მხატვრულ ნაწარმოებს მიუდგება, მისეული შეფასება სრულყოფილი არ იქნება. გემოვნებას მიმატებული ცოდნა არის გარანტია კრიტიკაში გამარჯვებისა“. [2. 3-4]

გასული ასწლეულის დასავლური ლიტერატურული სამყარო ლიტერატურულ-თეორიული მიმდინარეობების უპრეცედენტო სიუხვით გამოირჩეოდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ინგლისში ჩამოყალიბდა და განვითარდა „ნეოკრიტიკის“ სახელით ცნობილი ახალი ლიტერატურულ-თეორიული სკოლა. იგი დაუპირისპირდა მე-19 საუკუნის მიწურულს ფორმირებულ იმ ძირითად მეთოლოგიურ მიმართულებებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ლიტერატურული ტექსტის კრიტიკულ ათვისებაზე და სცადა ახალი კრიტერიუმების დადგენა. ნეოკრიტიკულმა მეთოდმა არა მხოლოდ ჩამოაყალიბა და დაამკვიდრა ლიტერატურათმცოდნეობითი აზროვნების ნოვატორული სტილი, არამედ ბევრად განსაზღვრა მე-20 საუკუნის ლიტერატურის თეორიის სპეციფიკა. „ნეოკრიტიკის უშუალო გამოვლინებად იქცა პრაქტიკული კრიტიკის მეთოდი და ამერიკული „ახალი კრიტიკა“, რომლებმაც საეტაპო როლი შეასრულეს ლიტერატურის თეორიის განვითარების ისტორიაში“. [1.111]

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა მიმდინარეობამ, რომელიც ცნობილია „ახალი კრიტიკის“ სახელწოდებით.

ტერმინი „ახალი კრიტიკა“ პირველად გაისმა 1910 წელს, როდესაც ამერიკელმა ჯოელ სპინგარნმა ამ სახელწოდებით გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ეჭვის ქვეშ დააყენა ლიტერატურული ნაწარმოებისადმი ისტორიული მიდგომის ობიექტურობა. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არც ამ ახალ თვალსაზრისს და არც მის ავტორს თითქმის არავითარი გამოხმაურება ან მხარდაჭერა არ ხვდომია წილად. 20-იან წლებში, ამერიკის სამხრეთში, ქალაქ ნეშვილში ჩამოყალიბდა პოეტ-კრიტიკოსთა ჯგუფი „ლტოლვილები“; 1941 წელს კი ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჯონ კროუ რესონმა გამოაქვეყნა წიგნი იგივე სათაურით („ახალი კრიტიკა“). ამავე წლებში ქვეყნდება ანალოგიური ხასიათის სხვა ავტორთა არა ერთი ნაშრომი, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობის შემდგომ განვითარებაში. გაბატონდა ახალი მიმდინარეობა, რომლის ამოსავალ პრინციპს შეადგენს მხატვრული ტექსტის იმანენტური არსის აღიარება და რელატიური მიდგომის სრული უარყოფა. ამ თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოების ტექსტის ანალიზისა და მისი ენობრივი სტრუქტურის შესწავლის სფეროდან სავსებით გამოირიცხა დროის, სოციალური გარემოს და საერთოდ, ეპოქის შესწავლის აუცილებლობა.

ამერიკის ლიტერატურულ ესთეტიკურ აზროვნებაში არც ერთ მიმდინარეობას არ გამოუწვევია აზრთა ისეთი მრავალფეროვნება, როგორიც „ახალმა კრიტიკამ“. [3.132]

1922 წელს ჟურნალ „ლტოლვილი“-ის ირგვლივ შემოკრებილ ლიტერატორთა ჯგუფის მოღვაწეობა თამამად შეიძლება შეფასდეს როგორც დასაწყისი „ახალი კრიტიკის“ მიმართულების გაფორმების პროცესისა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფუჯიტივისტებმა, ქალაქ ნეშვილის უნივერსიტეტში თავმოყრილ ლიტერატორებისა და კრიტიკოსების ერთმა ჯგუფმა, უდიდესი გავლენა იქონია ლიტერატურის თეორიის ამერიკული სკოლის გადაფასებისა და გარდაქმნის პროცესზე. ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ ჯონ ქროუ რენსომი, ალენ ტეიტი, რობერტ პენ უორენი, დონალდ დევინსონი და ქლინთ ბრუქსი. ფუჯიტივისტთა ჯგუფის ფორმირება ბევრად განაპირობა ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის რევოლუციურმა აღმავლობამ და ამ აღმავლობის სერიოზულმა გახმიანებამ 20-იანი წლების ამერიკის სალიტერატურო სივრცეში. 1912-1915 წლებში ამერიკის ჩრდილოეთის წიგნის ბაზარზე გამოჩნდა სერიოზული პოეტების წიგნები, დაიწყო მთელი რიგი საინტერესო პოეტური და პუბლიცისტური კრებულების გამოცემა. პროვინციული ნეშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საერთო ლიტერატურულ მოწოდებებს, რაც აიხსნება ამ რეგიონის ეკონომიკური სიახლოვით ამერიკის ჩრდილოეთთან.

საგულისხმოა „ახალი კრიტიკის“ პირველი წარმომადგენლის, ჯოელ სპინჰარნის, დამოკიდებულება თავად კრიტიკის ცნებასა და დანიშნულებასთან: „პოეტების მეტი ნაწილი, – წერს იგი, – ებრძვის ნებისმიერი ტიპის კრიტიკას. ეს გამოწვეულია მათი გაზვიადებული პატივმოყვარეობით: პოეტები თავიანთ თხზულებებს გაუკრიტიკებელ შედევრებად მიიჩნევენ... ისინი ცდებიან, ვინაიდან პოეტები და კრიტიკოსები ერთ საქმეს ემსახურებიან და უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ“. [1.119-120]

„კრიტიკა“ სპინჰარნისათვის ლიტერატურის თეორიული დასაბუთებაა, თავად ლიტერატურა კი - „რაღაცის გამოხატულება“, ეს რაღაც შეიძლება იყოს სხვადასხვა რამ, კრიტიკოსის აზრების, სუბიექტური განცდების, ხშირად რეალობის არსის წარმოჩენა, ან პირიქით, კრიტიკოსის პირადი ემოციებისა და გამოცდილების კონდენსაცია, მაგრამ ერთი რამ უცვლელია: ის „რაღაც“ მუდმივად არსებობს და ფუნქციონირებს ლიტერატურაში.

საინტერესოა ამერიკული „ახალი კრიტიკის“ მიმართება სხვა ქვეყნების ლიტერატურული კრიტიკის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება არსებობს არა მარტო ინგლისურ, ფრანგულ და ამერიკულ „ახალ კრიტიკებს“ შორის, არამედ თვით ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა შორისაც, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მათი კონცეფციების საერთო პრინციპებსა და ხასიათზე. ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს ფორმის თავისებური გაგება. ამ მხრივ რუსულმა ფორმალისტურმა სკოლამ შედარებით შეზღუდული ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ სკოლაზე პოლონელი ფენომენოლოგის ინგარდენის, ამერიკელი რენე ველეკისა და პრაღის სკოლის ზოგიერთი წარმომადგენლის მეშვეობით.

მკვლევარი ლალი ცაგარელი აღნიშნავს, რომ სწორედ რუსული ფორმალისტური სკოლის უშუალოდ არცოდნის გამო მოხდა, რომ ამერიკაში ამ ახალმა კრიტიკამ მიიღო „გამაცოცხლებელი ორიგინალობის“ სახელწოდება. თვით ეს „ორიგინალობა“ კი მოითხოვს, რომ „ლიტერატურული კრიტიკა გადაიქცეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმის ინტერპრეტატორად, საჭიროა ფორმის სინამდვილისაგან მოწყვეტა, ხოლო ნაწარმოების მხოლოდ გონების ჭვრეტის საგნად ქცევა“. [3.133-134]

სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ქართული ლიტერატურული საზოგადოება მოკლებული იყო აქტიური თანამშრომლობის უფლებას დასავლურ ლიტერატურულ წრეებთან: აკრძალული „ბურჟუაზიული ლიტერატურული აზროვნების ნიმუშების“ არა თუ ციტირებას, არამედ ხელისუფლებისათვის არასასურველ კონტექსტში მოხსენიებასაც კი შეიძლებოდა უსიამოვნო შედეგები მოჰყოლოდა. ცალკეული მეცნიერები და კრიტიკოსები, ცხადია, ახერხებდნენ მცირედად ლავირებას, მაგრამ ამას მასიური და საყოველთაო ხასიათი არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა.

დღეს, გახსნილი საზღვრების პირობებში, პრობლემას აღარ წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურულ-თეორიულ გამოცდილებასთან ზიარება, მაგრამ სირთულეს სხვა გარემოებები ქმნის: ერთი მხრივ, მთელი საუკუნის მანძილზე დაგროვილი მასალის თითქმის დამაბნეველი სიჭარბე, მეორე მხრივ კი - ენობრივი ბარიერი.

„ახალი კრიტიკის“ თეორიული სკოლის უმთავრესი პრობლემა იყო ლიტერატურული ტექსტის არსის განსაზღვრა და კვლევა, ანუ ტექსტის ანალიტიკური კითხვა და ინვარიანტული ინტერპრეტაცია მისი ფორმალური ასპექტების მაქსიმალური აქცენტირების ფონზე.

ამერიკული „ახალი კრიტიკის“ არსებითი მახასიათებელი ელიოტის, რიჩარდსის, სპინჰარნისა და ჰიუმის ნეოკრიტიკულ იდეათა გამთლიანება და გაღრმავება იყო.

„ახალი კრიტიკის“ მესვეურებს მიაჩნდათ, რომ სამყაროს „მთლიანობისა“ და „ჰარმონიის“ აღდგენის უტყუარ გზას პოეზიის გზა წარმოადგენდა. ისინი თვლიდნენ, რომ პოეზიას, მისი შინაგანად ორგანიზებული ფორმალური სტრუქტურით, შესწევდა ძალა, დაეძლია წინააღმდეგობანი და გამოემუშავებინა ღირებული ალტერნატივა.

„ახალი კრიტიკა“ სრულიად ახალი ტიპის პროფესიონალიზმის ფლანგად იქცა. რენსომის, ტეიტის, უორენის, უელეკის და სხვათა ხედვით, ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პოეზია, ვულგარული სამყაროს წინააღმდეგ მიმართული თავდაცვით ფრონტს წარმოადგენდა. „ახალი კრიტიკის“ იდეოლოგია რეალობის კრისტალიზებულ მოდელს ქმნიდა: ლიტერატურას ენიჭებოდა პრივილეგია, ჰარმონიული მთლიანობის წიაღში წარმოეჩინა სამყაროს წინააღმდეგობრივი ბუნება. ამ კონცეფციის თანახმად ლიტერატურა (პოეზია) ცხადდებოდა ერთგვარ რელიგიად, მზარდი კაპიტალიზმის, ინდუსტრიული რევოლუციებისა და მეცნიერული რაციონალიზმისაგან დამცველ ნოსტალგიურ ნავსაყუდელად. შედეგად, ლიტერატურამ კერპის იერი შეიძინა, კრიტიკამ - კერპთაყვანისმცემლის სტატუსი: „ახალი კრიტიკის“ არსებით პრინციპად ტექსტის ფეტიშიზმი იქცა.

მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში „ახალი კრიტიკის“ ფუძემდებელთა მიერ ჩამოყალიბებული და დამუშავებული თეორიული კონცეფციები 40-50-იან წლებში სერიოზულ საგანმანათლებლო კამპანიად გაფორმდა. გამოიცა საეტაპო მნიშვნელობის მქონე თეორიული შრომები: რ. უელეკისა და ო. უორენის „ლიტერატურის თეორია“, უ. უიმსეტის „სიტყვის ღვთაება“, ქ. ბრუქსისა და უ. უიმსეტის „ლიტერატურული კრიტიკა: მოკლე ისტორია“. აღნიშნულ თეორიულ შრომებს დაეფუძნა ამერიკის საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული პროგრამა და ლიტერატურათმცოდნეობითი პერიოდიკა. ამ გლობალური პროცესის გამომწვევ ძირითად მიზეზებად უნდა დასახელდეს შემდეგი: პირველ ყოვლისა, „ახალმა კრიტიკამ“ შეძლო მართებული პედაგოგიური მეთოდის შემუშავება ამერიკელ სტუდენტთა ჭარბი და კვლავაც მზარდი პოპულაციისათვის და მეორე, ლიტერატურის „ახალი კრიტიკისეული“ ანალიზი ამკვიდრებდა ნაწარმოების მთლიანობის იდეას და ათავისუფლებდა მას ნებისმიერი ტიპის დეზორიენტირებული წინააღმდეგობებისაგან.

მსჯელობამ ამერიკული „ახალი კრიტიკის“ მეთოდოლოგიური მიღწევებისა თუ შეცდომების ირგვლივ ამ სკოლის აქტიური მოღვაწეობის დასასრულს, 60-70-იან წლებში იჩინა თავი. რეაქცია ძირითადად ნეგატიური იყო: ახალი ტალღის კრიტიკოსთა უმეტესობა გაემიჯნა ამერიკულ „ახალ

კრიტიკას“ როგორც „ტრადიციულ“ არსით ფორმალისტურ, ხოლო მეთოდოლოგიურად ექსპლიკაციურ მიმდინარეობას.

„დღეს „ახალი კრიტიკა“ არა მხოლოდ გაძევებული, ხმარებიდან გამოსული და უსიცოცხლო გვამია, არამედ „მცდარ“ და „უგუნურ“ მიმდინარეობადაც არის მიჩნეული,“ - წერდა აღშფოთებული რ. უელეკი.

„ახალ კრიტიკას“, ისევე როგორც ყველა სხვა მნიშვნელოვან თეორიულ კონცეფციას, ჰქონდა თავისი ნაკლი, მაგრამ ჰქონდა მრავალი ღირსებაც.

„ახალი კრიტიკის“ არსებით სისუსტედ, ალბათ, მისი არაისტორიზმი, დეპერსონალიზმი და ექსტრატექსტუალური ფაქტორისადმი პრინციპული გულგრილობა უნდა ჩაითვალოს. „ახალი კრიტიკა“ ქადაგებდა ნაწარმოების ავტონომიური არსებობის იდეას და ონტოლოგიურ სტატუს ანიჭებდა მას. ძნელია დაეთანხმო „ახალი კრიტიკის“ ფორმულას: „ნაწარმოები არ უნდა ნიშნავდეს, ის უნდა იყოს. მნიშვნელოვანია არა ნაწარმოების შინაარსი, არამედ მისი არსებობა“ (1.130-131). მსგავსი თეორიული რადიკალიზმი, ცხადია, სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა „ახალი კრიტიკის“ სკოლის ავტორიტეტულ თეორიებს.

მაგრამ, მიუხედავად გარკვეული სისუსტეებისა, „ახალი კრიტიკის“ კონტრიბუციები თანამედროვე ლიტერატურის თეორიის მიმართ უაღრესად მნიშვნელოვანია. „ახალმა კრიტიკამ“ შეძლო გარდატეხის შეტანა ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის ტრადიციულ სისტემაში და გეზი უცვალა კრიტიკოსთა ინტერესებს. „ახალმა კრიტიკამ“ წინ წამოსწია „ტექსტის“ მივიწყებული ცნება და ნაწარმოების სულიერ-ფსიქოლოგიური ანალიზის რელსებზე გადასული კრიტიკა პრაქტიკული ანალიზის სამსახურში ჩააყენა.

„ახალი კრიტიკა“ სწორედ ის თეორიული სკოლაა, რომელსაც მუდმივად უნდა გაეწიოს ანგარიში ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. რატიანი ი., ლიტერატურის თეორია, ამერიკული „ახალი კრიტიკა“, თბ., 2006.
2. მიშველაძე რ., მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები, თბ., 2005.
3. მხატვრული წარმოსახვისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა ცალკეული ჟანრების შესახებ, ლალი ცაგარელი, ამერიკული „ახალი კრიტიკის“ ძირითადი პრინციპების შესახებ, თბ., 1980.

სიკეთისა და ბოროტების გარჩევის პრობლემა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასა“ და მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ მიხედვით

მარიამ ქელეხსაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანა დათუაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

სიკეთისა და ბოროტების გარჩევის პრობლემა ადამიანთა სამყაროსავით ძველია და რაც ადამიანი ,,ჰომო საფიენზად“ გადაიქცა, მას შემდეგ აწუხებს კაცობრიობას... ლიტერატურა როგორც ცხოვრების გამოძახილი ასევე დაინტერესებულია ამ პრობლემით და მთელი არსებობის მანძილზე მისი საუკეთესო წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებში პასუხი გაეცათ კითხვაზე, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება...

სხვადასხვა რელიგიის მიმდევარნი ერთ რამეში თანხმდებიან, ღმერთი არის აბსოლუტური სიკეთე, ხოლო ეშმაკი აბსოლუტური ბოროტება... ეს ასე თეორიულად, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ძნელია სიკეთის ბოროტებისაგან, სიმართლის ტყუილისაგან და სწორი გზის მრუდისაგან გარჩევა, რადგან ისინი გარეგნულად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თითქმის ისევე, როგორც დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია.

როგორც უკვე ვთქვით, დიდი ლიტერატურის ძირითადი თემა სწორედ ბოროტებისა და სიკეთის საზღვრის პოვნაა, ანუ ზუსტად იმისი ცოდნა, რა არის ნამდვილი სიკეთე და რა შეიძლება გვეგონოს

სიკეთე, თუმცა ბოროტების გარეშე სიკეთეს, ალბათ, არასოდეს ექნება აზრი, არადა თუ სიკეთეზე მიგვანიშნებს, სწორედაც რომ არ ყოფილა ბოროტება ძალიან ბოროტი.

ლიტერატურას ახსოვს ქარიზმატული ეშმაკის მრავალი სახე, განსხეულებული ბოროტების ერთგვარი გამართლება სრულიად ლოგიკური მიდგომით, გოეთეს, ბაირონის და სხვათა შემოქმედებაში. ჩვენ დღეს გვინდა შემოგთავაზოთ პარალელები ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრის ,,დათა თუთაშხიასა“ და მეოცე საუკუნის უდიდესი რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის ,,ოსტატი და მარგარიტას“ პერსონაჟებს შორის, რომელნიც სწორედ ამ სიკეთისა და ბოროტების სამანების დადგენაში არიან გართულნი და სრულიად დაბნეულნი. მართლაცდა რას ეწოდება ბოროტი გადაჭრით და არსებობს თუ არა სინამდვილეში ბოროტება, თუ როგორც იეშუა ამბობს ,,არ არსებობს ბოროტი ადამიანი“?

დათა თუთაშხია ტყუპისცალივით ჰგავს მუშნი ზარანდიას, ისე ძალიან, რომ ახლობლების გარდა სხვებს მათი გარჩევა უჭირთ, რაც ასევე სიმბოლური მინიშნებაა სიკეთისა და ბოროტების გარეგნული ნიშნებით გარჩევაზე. ვოლანდიც სწორედაც რომ ჩვეულებრივად გამოიყურება, ის კი არა, საკმაოდ სიმპატიურია და მისი ცნობა უჭირს ადამიანის მოდგმას, აკი ამბობს კიდეც: ,,ნურასოდეს იმსჯელებთ ადამიანებზე მათი ტანსაცმლის მიხედვითო“.

ზარანდია, ისევე როგორც ვოლანდი, მანიპულირებს ადამიანთა ბედით... ვოლანდისა და ბერლიოზის საუბარი და მუშნის საუბარი დოცენტთან, ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ორივე ცდილობს მიახვედროს თანამოსაუბრე, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია, ისინი დასცინიან ადამიანებს, მაგრამ არა უმიზეზოდ, ორივე თითქოს საზოგადოების მახინჯი მხარეების ინდიკატორად გვევლინება და ამ მახინჯი მხარეების აღმოფხვრას ცდილობს.... პერსონაჟები რომელთაც ისინი ებრძვიან, თავიანთი სიბრიყვითა და ვერაგობით ისედაც იწვევენ ანტიპატიას მკითხველში. თუმცა, ერთისთვისაც და მეორისთვისაც არსებობენ ადამიანები, რომელთაც ისინი ანგარიშს უწევენ და ცდილობენ არ გაწირონ, ერთისთვის ეს სიყვარულია ოსტატისა და მარგარიტას სახით, მეორესთვის საკუთარი სისხლი და ხორცი.... ესეც მინიშნებაა ორივე ნაწარმოებში იმაზე, რომ სიყვარული ბოროტების მეორე მხარეა, მთვარის ნათელი მხარე, რომ არც ბოროტებას აქვს სიკეთის გარეშე არსებობის სურვილი, რომ ბოროტება სიკეთის სისხლით ნათესავია და მიტომ ბევრი რამ აქვს საერთო მასთან.

ვოლანდი, ისევე როგორც ზარანდია, ძალიან ჭკვიანია. ამიტომ ძნელია ადამიანთათვის მათ მიერ დაგებული ხაფანგიდან თავის დაღწევა, სწორედ ამიტომაც ვერ გაურბიან ბრიყვი ადამიანები მათ მიერ მოვლენილ განსაცდელს, მხოლოდ ჭეშმარიტ სიკეთეს შეუძლია დადგეს ამ ყველაფერზე მაღლა და ეს ჭეშმარიტი სიკეთე არაჩვეულებრივ, ღვთაებრივ ადამიანებში კი არა, არამედ ჩვეულებრივ სულიერად გამორჩეულ ადამიანებშია, რომელთაც შეიძლება სწორად არც ესმით რას მოითხოვს მათგან რელიგია, მაგრამ გულის კარნახით მოქმედებენ და ბუნებითი ნიჭი აქვთ სიყვარულისა და სიკეთის ქმნისა... ასეთი სახეა ოსტატი, რომელსაც ეშმაკის არ ეშინია, არც სძულს, რადგან სცნობს მას და ტოლსწორივით ესაუბრება. ვოლანდიც სიმპატიით განეწყობა მის მიმართ და ეხმარება კიდეც მის სიყვარულს... მუშნიც არანაკლები სიმპატიითა განწყობილი დათას მიმართ და ეს არ არის მხოლოდ ნათესაური სიმპატია... ის პატივს სცემს დათას გონიერებას, პატიოსნებას და სიმართლეს, მაგრამ მუშნისაც თავისი სიმართლე გააჩნია. დათას და მუშნის მრწამსი ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ორივე ისე ემსახურება ამ სიმართლეს, როგორც თავისი პოზიციიდან მიიჩნევს სწორად.

მუშნის, ისევე როგორც ვოლანდს, ერთგვარად შურს კიდეც თავისი მეორე მხარის გამბედაობისა, რომელსაც ეშმაკის არ ეშინია და თავისი სიმართლით ქვეყანას უპირისპირდება. ,,ოსტატი და მარგარიტას“ ფინალის წაკითხვისას გებადება განცდა, რომ ვოლანდს მოსწონს მარგარიტა და შურს ოსტატის, მაგრამ საბოლოოდ ამას არ ამჟღავნებს. ასევე შურს ზარანდიას დათას გამბედაობა, რომელმაც გაბედა და საკუთარი მრწამსის დასაცავად გადაუდგა ქვეყნიერებას, გაერიდა და აბრაგობის გზა აირჩია.

როდესაც ვოლანდზე ვსაუბრობთ, ბოროტია იგი თუ კეთილი, ბუნებრივია, სატანა არ შეიძლება კეთილად მივიჩნიოთ, მაგრამ როდესაც ვოლანდი ამბობს: „ყველაფერი როგორ უნდა განაგოს ადამიანმა, როცა მას ისიც კი არ უწყის, ხვალ რა მოელის?“ ამით ხომ იგი ღმერთის არსებობაზე საუბრობს და ადამიანებს გამოსაფხიზლებელ სილას აწნავს.

ვოლანდს, ისევე როგორც მუშნის, ჰყავს დამქაშები. ისინი ცალ-ცალკე განასახიერებენ უზნეობას, სიბრიყვეს და ადამიანთა სხვა მანკიერ მხარეებს. ისინი არ არიან მათი ბატონებივით ჭკვიანები, სხვადასხვა ბოროტებას ასიმბოლიზირებენ და მხოლოდ დავალების შემსრულებლები არიან, ამიტომაც იწვევენ სრულ ანტიპატიას საკუთარი ბატონებისაგან განსხვავებით, მუშნიც და ვოლანდიც ძირითად მრწამსში ეთანხმებიან მოწინააღმდეგეს და ამიტომაც იბრძვიან ასევე ბოროტების წინააღმდეგ ეშმაკისეული ხერხებით (ვარენუხას ისტორია ან მუშნის მიერ ნაკაშიძეების სახელით მოწყობილი ძარცვა).

გამომდინარე აქედან, ორივე რომანი გოეთესეულ ტრადიციას აგრძელებს და არატრადიციულ ეშმაკს გვთავაზობს ერთი არ უარყოფს ღმერთს, მეორე - ზნეობას, მუშნი აბრუნებს ოქროს თუმნიანს და

თვლის, რომ ,,კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს და არა ჯამაგირი კაცს“, რადგან არ არსებობს დიდი და პატარა ჯამაგირი, არსებობს პატარა და დიდი მადა, ასევე ის უბრუნებს ბრილიანტის საყურეებს ებრაელ ვაჭარს, ანუ ის არ არის ხარბი და გაუმაძღარი მომხვეჭელი, მაგრამ, ისევე როგორც ვოლანდი, არ ამბობს უარს უზნეო მეთოდების გამოყენებაზე იქ, სადაც თვლის რომ მართალია. მაგალითად აბრაგებზე ჭორების გავრცელება და ა.შ.

,,ხშირად მუშნი ზარანდიას ჩანაფიქრი კეთილის სამსახურს გულისხმობს, მაგრამ მცდარია გზა, რომლითაც იგი კეთილის განხორციელებას ცდილობს. კეთილის არსებობის განმტკიცებისათვის თავისი გზა უნდა ჰქონდეს. თუ კეთილმა და ბოროტმა საარსებოდ ერთნაირ საშუალებას მიმართა, მაშინ სადღაა მათ შორის განსხვავება? მუშნი ზარანდია მართალია, როცა წესრიგის დასამყარებლად იბრძვის, მაგრამ როცა იგი ამ მიზნით ძალადობას იყენებს, უკვე მტყუანია. ძალადობა სიკეთეს ვერ დაამკვიდრებს, რამეთუ იგი (ძალადობა) არსებობისათვის ყოველთვის კეთილისა და კეთილშობილების ექსპლუატაციაც მიმართავს. ასეთ სიკეთეს არსებობა არ შეუძლია. ასეთ სიტუაციაში იგი ან იხრწნება ან იღუპება.“ (აკაკი ბაქრაძე)

ნიშანდობლივია ამ რომანში გრაფი სეგედისა და პილატე პონტოელის სახეთა მსგავსება. გრაფი ისევე პოვებს სიმშვიდეს თუთაშხიასთან ურთიერთობაში, როგორც პილატე იეშუასთან საუბრისას, მაგრამ არც ერთი არ ცდილობს ბოლომდე აიღოს საკუთარ თავზე გმირის გადარჩენა. გრაფი ხვდება, რომ ლაზი აზნაური დათა თუთაშხიაა, დაუფარავი სიმპატიითაა განწყობილი მის მიმართ, მაგარამ გადამწყვეტ მომენტში პილატესავით იბანს ხელს და შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრება აწუხებს თავის ტკივილი ჩადენილისა თუ პირიქით, არჩადენილი საქციელის გამო.

„იქნებ იმაზეც დაფიქრდე, რა უნდა ექნა შენს სიკეთეს ქვეყნად ბოროტება რომ არ ყოფილიყო, ანდა რას დაემგვანება ქვეყანა, მიწის პირიდან ჩრდილები რომ გაქრეს?“ კითხულობს ვოლანდი და ეს კითხვა აწვალებს ყველა მოაზროვნეს კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟიდან და თუ ბოროტება აუცილებელია, რომ არსებობდეს სიკეთის საცნობად, მაშინ ბოროტი შეიძლება მხოლოდ გებრალებოდეს, მაგრამ არ გძულდეს, რადგან ქრისტიანობის არსთა არსი ხომ სიკეთეა და სიყვარული და ბოროტება მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ იცნო, შეიბრალო და არა ემსგავსო.

ლიტერატურა:

1. ბულგაკოვი მ., ,,ოსტატი და მარგარიტა“ „პალიტრა ელ“, თბ., 2011.
2. ამირეჯიბი ჭ., ,,დათა თუთაშხია“, გამომცემლობა ,,ჭაბუა“, 2003.
3. ბაქრაძე ა., ,,თხზულებანი“, მესამე ტომი, ,,ტარიგი ღვთისა“, 2004.

ნერსე II ერისთავის სახე ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებში

თეონა შავლოხაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ოქროპირიძე,** უფროსი მასწავლებელი

VII საუკუნის II ნახევრიდან ჩვენს სამშობლოს არაბთა სახით საშიში მტერი გამოუჩნდა. მათი ბატონობა თანდათან მტკიცდებოდა. საქართველოსთვის გამანადგურებელი იყო მურვან ყრუს ლაშქრობები VIII საუკუნის I ნახევარში. სარკინოზებმა მოსახლეობას მძიმე ხარკი დაუწესეს, მისი ვერ გადახდის შემთხვევაში ქართველებს აიძულებდნენ მაჰმადიანობა მიეღოთ. არაბთა მმართველობა განსაკუთრებით აუტანელი შეიქმნა VIII საუკუნის II ნახევარში, როდესაც ქართლში ერისმთავრობდა ნერსე მეორე. სამწუხაროა, რომ საქართველოს ისტორიას ძალზე მწირი ცნობები შემოუნახავს მისი მოღვაწეობის შესახებ. ,,ქართლის ცხოვრების“ წიგნები, კერძოდ, ,,მატიანე ქართლისაი“ გაკვრით ამბობს: ,,რამეთუ მამა მისი ნერსე [ადარნასეს მამა] ძე ვარაზ - ბაკურისა ანთიპატრიკოსსა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისა და ძმა დემეტრესი, ესენი გარდაცვალებულ იყვნეს“..... [1, 252]. ასევე უბრალოდ ახსენებს ნერსეს პიროვნებას სუმბატ დავითის ძის

ქრონიკებიც: ,,..... და მერმე [ერისთავობდა] ნერსე და ძენი მისნი ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე, და ძენი მისნი გურგენ ერისთავი და აშოტ კურაპალატი .....“ [2, 376]. ,,მოქცევაი ქართლისაის“ ცნობაც ძუნწია, ოღონდ აქ ნერსე მოხსენიებულია, როგორც ,,დიდი“: ,,და მერმე [ერისთავობდა] ნერსე დიდი და ძენი მისნი: ფილიპე და სტეფანოზი, ადარნასე და გუარამ ... და ძენივე ადარნასესნი აშოტ და გურგენ“ ... [6, 267]

ზემოთ მოყვანილი ცნობების გარდა ქართული საისტორიო წყაროები დუმს ნერსე ერისთავის შესახებ. ამ დანაკლისს ერთგვარად ავსებენ ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლები: ,,წამებაი წმინდისა ჰაბოისი“ და ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე ნერსეს სახე ამ თხზულებებშიც მკრთალადაა წარმოდგენილი, თუმცა მრავლის მეტყველია. ,,აბოს წამების“ მთავარმა გმირმა არაბმა ჭაბუკმა აბუამ, რომელიც არაბეთიდან გამოჰყვა ნერსე ერისთავს საქართველოში, მიიღო ქრისტეს რჯული, რის გამოც არაბებმა იგი წამებით მოკლეს. ავტორს ნერსეს სახე აბოს ღვაწლის წარმოსაჩენად სჭირდება. ნერსეს ცხოვრებიდან მხოლოდ ისაა ნაჩვენები, რაც არაბი ჭაბუკის თავგადასავლის უმთავრეს მომენტებს უკავშირდება: ,,... რამეთუ იყო ჯამი ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაი სახელით ნერსე, ძეი ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრისაი მოწოდებულ იქნა ქვეყნად ბაბილოვნისა მფობელისა მუმნისა აბდილაისაგან... ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე... მოკვდა აბდილ მუმნი და დაჯდა მის წილ ძეი მისი მაჰდი და გამიყვანა ნერსეი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა კვალად იგი ერისმთავრობით აქა ....“ [3, 125-126]. ასევე გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიული დეტალის გამოკვეთას ემსახურება ნერსეს სახე გიორგი მერჩულეს თხზულებაში: ,,ესე იყო შვილი წარჩინებულთა .... და სახლსა შინა სამეუფეოსა დიდისა ნერსე ერისთავისა აღზრდილ იყო კეთილად ნერსეს ცოლისათა, რომელსაც ეშვილა, რამეთუ იყო ძმისწული მისი ...“ [4, 216] გასაგები მიზეზების გამო ავტორი მეტს არ გვეუბნება ნერსეს შესახებ, მაგრამ ერთი სიტყვით ,,დიდი“ ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. ,,მოქცევაი ქართლისაიც“ ხომ ,,დიდს“ უწოდებს ქართლის ერისთავს. ისტორიიდან ვიცით - ასეთ მაღალ ტიტულს (დიდი, აღმაშენებელი, ბრწყინვალე და სხვ.) შემთხვევით არა ანიჭებდა ხალხი ამა თუ იმ მოღვაწეს. ისინი გამორჩეული იყვნენ სამშობლოსადმი თავდადებით, სიბრძნითა და გონიერებით, გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ერისთავის უმძიმეს წუთებში. ჩვენი წარსულიდან მეტ-ნაკლებად ასეთ მამულიშვილთა ღვაწლი ვიცით, რისთვის უწყალობა შთამომავლობამ თუ მათმა თანამედროვეებმა მათ ასეთი ტიტული. ჩვენს შემთხვევაში სხვაგვარადაა საქმე. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით ბუნდოვანია, რატომაა ნერსე ,,დიდი“. თითქოს განგებაა იდუმალებით შემოსილი ძველი თუ ახალი მწერალ-ისტორიკოსების მიერ მისი სახელი და ქმედებანი. რატომაა ასეთი მწირი ცნობები ნერსე ერისთავზე? მართებულად მიგვაჩნია მკვლევარ ვახტანგ ჭელიძის მოსაზრება, რომ ეს ფაქტი ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობითაა გამოწვეული: ,,სავარაუდოა, რომ არსებობდა ნაწარმოები ნერსე ერითავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და მრავალ ლიტერატურულ ძეგლთან ერთად დაიღუპა ...“ [6, 268]. საქართველოს მატიანე ვერ გვეუბნება თარიღს, რომელ წელს გახდა ნერსე ქართლის ერისმთავარი. მხოლოდ ის ვიცით, რომ 772 წელს, ,,აბოს წამების“ მიხედვით, იგი დაიბარა ხალიფამ ბაღდადში.

,,ქართლის ცხოვრება“ ორიოდე სიტყვით ადასტურებს, რომ ნერსეს შვილები და შვილიშვილებიც (აშოტ ბაგრატიონი ნერსე მეორის შვილიშვილად მიიჩნევა) ჰყავდა და ისინიც ერისმთავრობდნენ გარკვეულ პერიოდში. ამასვე ადასტურებს იოანე საბანისძე ,,აბოს წამებაში“, რასაც დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ეყრდნობა. იგი მცდარს უწოდებს გიორგი მერჩულეს ცნობას, თითქოს ნერსე უშვილო ყოფილიყოს [6, 271].

,,აბოს წამებაში არ ჩანს კონკრეტულად რისთვის გაიწვიეს ნერსე სამი წლით ბაღდადში, ან რა პირობებში გაატარა სამწლოვანი პატიმრობა. არც ისაა ცნობილი, ვინ ასრულებდა ნერსეს მოვალეობას ამ დროის განმავლობაში. თუმც ნერსეს სახის ფერგანეტული ჩვენების მიღმაც, თუ გონებას ძალას დავატანთ, მივხვდებით, რომ იგი ჭეშმარიტი მამულიშვილია თავისი ქვეყნისა, არაბთა ბატონობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი. იგი მართლმადიდებელი მმართველია, არაბთა მთავარი მიზანი კი ქვეყნის ისლამზე მოქცევაა, რაშიც ნერსე ხელს უშლიდა დამპყრობელს. ამიტომ იგი დააპატიმრეს, უცილობელია, რომ მას არაერთხელ მოსთხოვდნენ ქრისტეს რჯულის დათმობას მაცდური კეთილდღეობის სანაცვლოდ. ნერსემ, როგორც ჭეშმარიტმა ლიდერმა ღირსეულად დაითმინა, იოანე საბანისძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,მწარისა მისგან საპყრობილისა“ ტკივილები და გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში. ნერსე ერისთავმა მაგალითი მისცა თავის ხალხს ,,რომელნიც ირყეოდნენ ვითარცა ძლიერთა ქართაგან ლერწამნი.“ უფრო მეტიც, ნერსე ერისთავმა ფიზიკური ბრძოლის გარდა იდეოლოგიური ომიც მოუგო არაბებს. მტერმა არათუ ვერ გატეხა ნერსე და ვერ მიაღებინა მაჰმადის რჯული, პირიქით, მან თავისი ღრმად მორწმუნეობით, პიროვნულობით შეძლო უცხოტომელი არაბი ჭაბუკის მოქცევა მართლმადიდებლობაზე. მართალია, მთავარი გმირი თხზულებისა აბოა, მაგრამ როგორ მოვიდა აბო ქრისტეს მოძღვრებამდე? აბო 17-18 წლის მენელსაცხებლე ,,ნაშობი ძეთაგან ისმაილისათა,

ტომითაგან სარკინოზთაისა.... არაბიელთა თესლი მამულად და დედულად ...“ [3, 126]. მოიხიბლა მისთვის უცნობი სარწმუნოების მიმდევარი ადამიანის ნებისყოფით, აბო დაინტერესდა რას წარმოადგენდა ქრისტიანობა, რომლისთვისაც ნერსე სიცოცხლეს თმობდა. სავარაუდოა, რომ ნერსემ აუხსნა ღვაწლი აბოს მართლმადიდებლობის არსი, ღრმა ჰუმანიზმი. აბოში ნელ-ნელა ხდებოდა ფერისცვალება და გადაწყვიტა ქრისტეს უკეთ შეცნობისთვის მისთვის უცხო ქვეყანაში გამოჰყოლოდა ნერსეს. წარმოვიდგინოთ, რომ ნერსეს ადვილად დაეთმო იესოს მცნებები, დაჰყოლოდა მტრის ნებას. აბოს ინტერესი გაუქრებოდა ქრისტეს მოძღვრებისადმი. შესაბამისად იგი, როგორც მოწამე უფლისა ჩვენისა და ქართული ეკლესიის წმინდანი ვერასოდეს გახდებოდა. უზენაესმა შეაძლებინა ნერსეს თავგანწირვა უფლისა და სამშობლოსათვის, რამაც, თავის მხრივ, ახალგაზრდა არაბის გულში ქრისტესადმი დიდი ინტერესი და სიყვარული დაბადა. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან აბო ნერსე ერისთავის სასახლეში ცხოვრობს. ნერსე, ბუნებრივია, ხშირად უყვება აბოს ჯვარცმული ქრისტეს ცხოვრების და მისი ცად ამაღლების ამბავს. თბილისს ამ დროს არაბთა ამირა განაგებდა და მაჰმადიანებიც საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ. ტექსტის მიხედვით ორივეს - არაბთა ამირასა და ქართლის ერისთავის სამყოფელი თბილისშია. აბომ შეისწავლა ქართული ენა და ,,იწყო ზედმიწევნად და სწავლად წმინდათა საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა სჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფადა მას....“ [3, 126]. აბოს ქრისტიანად მოქცევა, ანუ გაქართველება ასე უბრალოდ არ მომხდარა. ადამიანის მსოფლმხედველობის, ფსიქიკის, ბუნების შეცვლა მასშტაბური მოვლენაა, თვითჩაღრმავებას განაპირობებს. საქართველოში ჩამოსული აბო, როგორც მკვლევარი ვახტანგ ჭელიძე წერს, განაცვიფრა უთუოდ ნერსეს კარზე მოფუსფუსე განათლებულმა ადამიანებმა. შესაძლებელია, იგი გრიგოლ ხანძთელსა და მის მეგობრებსაც შეხვდა. აბო ასაკითაც თითქმის გრიგოლ ხანძთელის თანატოლია. ეს შეხვედრები კიდევ უფრო განუმტკიცებდნენ რწმენას ერთი არსის სარწმუნოებისადმი. სამშობლოში დაბრუნებული ნერსე კვლავ ერისმთავრის ფუნქციას იბრუნებს. ერთის შეხედვით, არაბთა მმართველი ენდობა მას, თუმცა მაინც უთვალთვალებენ. არაბებს შეუმჩნეველი არ რჩებათ, რომ მის კარზე ერთგვარი მოძრაობაა. ამიტომ ,,კვლავ განრისხდნენ სარკინოზთაი ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზნი....“ [3, 127]. ნერსე ხაზარეთში, შემდეგ აფხაზეთს გადადის თავისი ამალით, სადაც ცოლ-შვილი ჰყავს გახიზნული. აგიოგრაფი არ აკონკრეტებს ნერსეს მოგზაურობის მიზეზს, მაგრამ ნერსეს დაუდეგარი პიროვნებიდან გამომდინარე, საფიქრებელია, მისი მიზანი ანტიარაბულ მოძრაობის გაფართოება და ქვეყნის გამთლიანებაა. ამ მოგზაურობის დროს იღებს აბო ქრისტეს ნათელს: ,,... გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ სიყვარულსა უფლისა ჩემისასაა...“ [3, 130]. წმინდანმა გულით შეიყვარა სამპიროვანი უფალი და საქართველო. აღიარა, რომ ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია და მისთვის თავის გაწირვა საუკუნო სასუფეველს მოუპოვებდა, რასაც ვერ აძლევდა მას სარკინოზთა სჯული. ქართლში ნერსეს არყოფნის დროს ხალიფა მაჰდი ერისთაობას უბოძებს სტეფანოზს. სტეფანოზი, ,,აბოს წამების“ მიხედვით, ნერსეს დისშვილია, ,,ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა თხზულებებში შვილადაა მოხსენიებული. აქ ძნელია ამტკიცო, რომელი წყაროა მართალი. ეს წინააღმდეგობრივი ცნობებიც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დიდი ქართველის ცხოვრების ირგვლივ ერთგვარი ვაკუუმია საქართველოს ისტორიაში. გარკვეული დროის შემდეგ ნერსემ ამირას მოციქულები მიუგზავნა და ქართლში დაბრუნება ითხოვა, დაარწმუნა ამირა, რომ იგი მას პრობლემებს არ შეუქმნიდა. ნერსე ბრუნდება თავისი ამალით. აბო რამდენიმე წლის მანძილზე უშიშრად დადიოდა თბილისში როგორც ქრისტიანი, არაბებმა დაასმინეს იგი ხალიფასთან - ჩვენი რჯული უარჰყოვო. სარკინოზები ბევრს ეცადნენ აბო კვლავ მაჰმადიანობაში დაებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ. 786 წელს იგი სასტიკად აწამეს. მტრის მიზანი იყო დაეშინებინათ ქრისტიანები, მაგრამ მოხდა პირიქით, ქართველებმა შიში დასძლიეს, გამოფხიზლდნენ: ,,მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტიანეთამან და განაგდეს შიში და განვიდოდეს ადგილსა მას, სადაცა დაწვეს ხორცნი იგი წმინდისა მოწამისა...“ [3, 140]. ამ მოვლენამ დაამტკიცა ქრისტიანობის ჭეშმარიტება, შეარყია არაბთა ბატონობა საქართველოში. უფლის შემწეობით ქვეყანას მოუვლინა წმინდანი, რომელიც წამალივით სჭირდებოდა ლერწამივით მოქანავე, შეშინებულ, საკუთარ ძალებში დაეჭვებულ ქართველობას. აბოს წამებამ ბიძგი მისცა ახალ ეროვნულ-სარწმუნოებრივ მიმართულებას. ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი და მეთაური ნერსე ერისთავი და მისი სამეუფეო კარია. მკვლევარები კიდევ ერთ რამეზე ამახვილებენ ყურადღებას: ნერსეს მართლაც სურდა ხაზარების გამოყენება არაბების წინააღმდეგ, მაგრამ გადაიფიქრაო, რადგან ისინიც არანაკლები მტრები იყვნენ საქართველოსი და საშიშად მიიჩნია მათი შემოყვანა [6, 305]. აფხაზეთში მის სტუმრობას გენიალურ ნაბიჯად აფასებს მეცნიერი ვახტანგ ჭელიძე. ნერსეს ვიზიტს დაემთხვა მაშინ აფხაზთა მთავრის ლეონ მეორის ბიზანტიელთაგან განდგომა. მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო მკვლევარს. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ნერსემ დაარწმუნა აფხაზთა მთავარი: დგებოდა ჟამი ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლისა. ,,მატიანე ქართლისაი“ გადმოგვცემს: ,,ხოლო რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ .... დაიპყრა აფხაზეთი და ეგეოსი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე

აფხაზთა ...“ [1, 254]. აფხაზეთად მაშინ მთელი დასავლეთ საქართველო მოიაზრებოდა, რომელიც ბერძენთა გავლენისაგან თავისუფლდება. იქმნება ერთიანი დასავლურ-ქართული სამეფო. ამ დიდი მოვლენის უკანაც ნერსე ერისთავი დგას. აი რატომ უწოდა ხალხმა და მწერალ-მემატიანეებმა მას ნერსე დიდი.

,,აბოს წამება“ და ,,გრიგოლ ხანცდელის ცხოვრებაში“ არსებული მოქმედებანი თითქმის ერთდროულია. თუ პირველში ნერსე დიდი უცხოტომელი ჭაბუკის მოქცევით არაბებს მძიმე დარტყმას მიაყენებს და ერთიანი დასავლურ-ქართული სამეფოს შექმნის ხელშემწყობად გვევლინება, მეორე თხზულებაში ნერსეს კიდევ უფრო ჭკვიანური მოქმედება ჩანს. გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ, მას ,,დიდს“ უწოდებს. ავტორი X საუკუნის მოღვაწეა და მან უკვე იცის ნერსეს საგმირო საქმენი. თუცა, როგორც წესი, მასზე არ ჩერდება და მთელი ყურადღება გრიგოლის - სასულიერო პირის დაუღალავ მოღვაწეობაზე გადააქვს. ნერსეს ცოლის ძმისწული თავის თანამოაზრეებთან ერთად მოემგზავრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მურვან-ყრუს მიერ იყო განადგურებული. ,,... ესე ოთხნი შეანაწევრა სარწმუნოებანან და საღრთომან სიყვარულმან, შეამტკიცნა ერთ ზრახვად შეკრულნი...“ [4, 220]. მათი უდიდესი მოღვაწეობის წყალობით უდაბნოდ ქცეული მხარე აღეშენა და გამშვენდა. აქ დაარსებული ეკლესია-მონასტრები ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მძლავრ ცენტრად იქცნენ. დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ,,ამ მოძრაობის მოთავედ გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი ყოფილა... ამ მოძრაობას საქართველოსთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა... უდაბური ტყეებით მოცულსა და მტრისაგან განადგურებულს ადგილებში კვლავ სიცოცხლისა და კულტურის კერა შეჰქმნა. გასაოცარი მოვლენა კი არის, მაგრამ ნამდვილი ამბავია, რომ სწორედ ეს ქვეყნისაგან ლტოლვილი, ცოდვილი ცხოვრების უარმყოფელი ბერები იყვნენ ერისკაცთათვის გზის მაჩვენებელნი...“ [5, 113]. ცხადია, გოლიათურია და შეუფასებელი გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ვინ დგას ამ უდიდესი მოღვაწის უკან და ვისი ხელშეწყობით ყალიბდება იგი ამ მოძრაობის ფაქტობრივ მეთაურად? გრიგოლი, როგორც მერჩულე წერს, ნერსემ და მისმა მეუღლემ იშვილეს და თავად აღზარდეს. მან ,,...სწრაფენ დაისწავლა დავითნი და მწიგნობრობაცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთოთა წიგნი ზეპირად მოიწუართნა, ხოლო სიბრძნენიცა იგი აბოს სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად.....“ [4, 116]. ნერსე ერისთავი გრძნობს გრიგოლის დიდ ნიჭს და მას საქვეყნო საქმისადმი ამზადებს. გრიგოლს იმ დროისათვის სერიოზული განათლება აქვს მიღებული. სავარაუდოდ, ნერსეს ,,სამეუფეო კარი“ ერთგვარ სკოლა-სასწავლებლის ფუნქციას ასრულებდა, სადაც თავს იყრიდნენ ნიჭიერი და პატრიოტი ადამიანები. აგიოგრაფიის სიტყვით, გრიგოლი და მისი მეგობრები ერთი მიზნით არიან შეკრულნი - სამოღვაწეოდ წავიდნენ ტაო-კლარჯეთში. ეს გვაფიქრებინებს, რომ მათაც გრიგოლთან ერთად ნერსეს სკოლა გაიარეს, ნერსესაგან არიან დამოძღვრილნი. ჩვენი მტკიცე ვარაუდით, გრიგოლის და მისი თანამოაზრენის გადაწყვეტილება - იმოღვაწეონ უდაბნოდ ქცეულ საქართველოს უკიდურეს სამხრეთში - ნერსე ერისთავთანაა შეთანხმებული, მისი სამოქმედო გეგმის ნაწილია. არაბებისაგან გარშემორტყმულ ქართლში ასეთი მოღვაწეობის გაშლა შეუძლებელი იქნებოდა. ნერსეს სურს საქართველოს აღმშენებლობისა და გაერთიანებისათვის ბრძოლა მტრისთვის შეუმჩნეველი იყოს. ქართლის ერისთავის წარმოსახვაში ერთიანი საქართველოს კონტურები ისახება. მკვლევართა ვარაუდით (პავლე ინგოროყვა, ვახტანგ ჭელიძე, ივანე ჯავახიშვილი) ნერსეს კარზე აუცილებლად იქნებოდა სჯა-ბაასი განათლებული ადამიანებისა ქვეყნის მომავალზე [6, 277]. მასთან უთუოდ დაახლოებული იქნებოდა დიდი მწერალი და მოაზროვნე იოანე საბანისძე, მაშინდელი ქართლის კათალიკოსი სამოელი, პატრიოტულად განწყობილი დიდებულები... ბრძნული გამოდგა აღმზრდელ-აღზრდილის შემუშავებული გეგმა - არაბთა აუტანელი მმართველობის ჟამს ტაო-კლარჯეთი აქციეს ქართლის ნაცვლად რელიგიურ-არქიტექტურულ-კულტურულ ცენტრად, რომლის საბოლოო მიზანი ამ კუთხის აღორძინება და ქვეყნის გაერთიანება იყო. აქ გადმოინაცვლა ქართლის ერისმთავრის რეზიდენციამ. ქართლის საერისთაო ქართველთა სამეფოდ იქცა, ქართლის ერისთავი კი ,,ქართველთა მეფედ“ იწოდა. 786 წლიდან ჯერ ქართლის ერისთავი, ხოლო არაბთა მკაცრი ზეწოლისა და დევნის შემდეგ კლარჯეთში დამკვიდრებული ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიის მამამთავარი, ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს პირველი ბაგრატიონი მეფეა ნერსე ერისთავის შვილიშვილი აშოტ I დიდი კურაპალატი. იგიც ნერსეს მეურვეობის ქვეშ, მისი პრინციპებით იზრდებოდა. თავისი თავგანწირული მოღვაწეობისა და მოწამეობრივი სიკვდილის გამო ერმა დიდი პაპის მსგავსად აშოტ მეფესაც ,,დიდი“ უწოდა. ,,...და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქვეყანათა ღმრთისმსახური ხელმწიფე დიდი აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნეი, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაი მისი და შვილთა მისთაი ვიდრე უკუნისამდე ჟამთა...“ [4, 229]. აქვე შეიქმნა ქართველ მეფეთა ხვთაებრივი წარმოშობის იდეა, რომელიც პირველად გრიგოლ ხანძთელმა გამოთქვა აშოტ მეფის დალოცვის დროს: ,,დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო!.. არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა.... დიდებულ იყვნენ უკუნისამდე...“ [4, 235].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიაში ნაკლებად ცნობილი ნერსე დიდი მართლაც დიდია თავისი მოღვაწეობით. ქართული სასულიერო მწერლობის აღნიშნული ძეგლებიდან, მისი სახის სიმკრთალის მიუხედავად, შორეული წარსულიდან იმზირება გმირი ქართველი, რომელმაც თავისი გააზრებული მოღვაწეობით საქართველოს გაერთიანების პროცესი შეუქცევადი გახადა. ნერსე ერისთავი ქმნის და ძერწავს აბოს პიროვნებას. ერს სანუგეშებლად და გამოსაფხიზებლად, ცხადია, უფლის წყალობით, მოუვლენს ახალ მოწამეს, რომელსაც საგანგებოდ მიეძღვნება იოანე საბანისძის თხზულება - მგზნებარე მანიფესტი, მოწოდება ქართველთა მორალური განწმედისა და გაერთიანებისაკენ. ამ დიდმა მოვლენამ უბიძგა ავტორს ხმამაღლა გამოეთქვა ქართველთა პრეტენზიები ბერძენთა მიმართ, რომ ქართველებს უამრავი ძველი და ახალი წმინდანნი გვყავს და არაფრით ჩამოუვარდებით ბერძნებს ქრისტიანობაშიო. აბოს მსგავსად, დიდ მოღვაწეებად აყალიბებს ნერსე გრიგოლსა და მის მეგობრებს, აშოტ კურაპალატს, რომელნიც თავისი ზნეკეთილი ცხოვრებით სულიერად და ფიზიკურად განამტკიცებენ ერს ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლაში.

ლიტერატურა:

1. ,,ქართლის ცხოვრება“, წ. I, ,,მატიანე ქართლისაი“, თბ., 1955.
2. ,,ქართლის ცხოვრება“, წ. I, ,,სუმბატ დავითისძის ქრონიკები“, თბ., 1955.
3. ქართული პროზა, წ. I, იოანე საბანისძე, ,,აბოს წამება“, თბ., 1981.
4. ქართული პროზა, წ. I, გიორგი მერჩულე, ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, თბ., 1981.
5. ჯავახიშვილი ივ., ,,ქართველი ერის იტორია“, ტ. II, თბ., 2012.
6. ჭელიძე ვ., ,,ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, თბ., 1975.
7. ქ.ს.ე., ტ. II, თბ., 1977.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
9. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.

მგლის სახე-სიმბოლო ევროპულ ლიტერატურასა და მითოლოგიაში

ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანა დათუაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ცხოველთა სიმბოლიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. ცხოველთა სამყარო წარმოადგენს ნაწილს ბუნებისას, იმ ნაწილს, რომელიც ახლოსაა ადამიანთან. ეს ნათესაობა და სიახლოვე საკმაოდ დიდი ძალით შეიგრძნობა ძველ ებრაელებთან. ამის გამოა სწორედ, რომ ბიბლიაში ხშირად გამოიყენება ცხოველები ადამიანთა ბუნებისა და თვისებების აღმნიშვნელ სიმბოლოებად. ცხოველების სიმბოლოებს ხშირად ვხვდებით ჰაგიოგრაფიასა და სხვა სამწერლო დარგებში; თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა ცხოველი როდი მოიაზრება, როგორც სიმბოლური სახე. ამას განაპირობებს თვით ცხოველის ბუნება. თუმცა ცხოველებს შორის გამორჩეული სიმბოლო - მგელია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი სახეა.

მგლის სიმბოლო თავდაპირველად გვხვდება ელინურ მითებში. ელინური მითები თავისი მითოლოგიური სახეების სიუხვითა და არაჩვეულებრივი ნაიფეროვნებით, თავისი მომაჯადავებელი სიმარტივითა და შეუდრეკელი მხატვრული ძლიერებით იზიდავდა და ხიბლავდა ყველა დროისა და ყველა ხალხის მწერლებს, მხატვრებს, პოეტებსა და მეცნიერებს. სკანდინავიურ მითებში ქაოსის სიმბოლო უშველებელი მგელი ფენრირი, სამყაროს არსებობის ბოლოს ყლაპავს მზეს. იგივეა მოთხრობილი ერთ-ერთ კელტურ მითშიც. სხვა რეგიონებში მგლის სიმბოლიკა რადიკალურად იცვლება. ის ხდება მეომართა სიმბოლო. მგელი წმინდა ცხოველია აპოლონისა ძველ საბერძნეთში და ოდინისა სკანდინავიურ მითოლოგიაში. საერთოდ მგელი ანტიკურ და რომაულ კულტურაში ძალიან დაფასებული ცხოველი იყო, ბოლოს და ბოლოს რომის დამაარსებელი ძმები რომული და რემი მგელმა გაზარდა. ასევეა სკანდინავიურ მითოლოგიაში, სადაც ოდინის თანამგზავრები და ერთგული მეგობრები მგლები არიან, ჯერი და ფრეკი. მოგვიანებით კი მგელი რატომღაც ადამიანის მტრად და ბოროტების მსახურად მიიჩნიეს. ეს მოხდა შუა

საუკუნეებში, როცა ევროპაში ინკვიზიცია ბობოქრობდა, მაშინ მგელი ადამიანის კონკურენტად ე.ი. მტრად და მოწინააღმდეგედ აღიქვეს, იმ პერიოდში ათასობით ადამიანი დაწვეს მაქციის ბრალდებით. მაქციების მითს ხშირად უკავშირებენ ვამპირებს. ითვლება, რომ მაქციის მოკვლა მხოლოდ ვამპირს შეუძლია, თუმცა ვამპირიც თავისთავად მაქციაა. ბრემ სტოკერის „გრაფ დრაკულა"-ს მიხედვით დრაკულას შეუძლია გადაიქცეს ღამურად, ნისლად, მგლად და ა.შ. ადამიანის მგლად გადაქცევის ჯადოსნურ უნარზე მოგვითხრობს ლეგენდა, რომ ზევსმა ლიკაონი მგლად გადააქცია: „დღეიდან შენ სამუდამოდ გადაიქცევი მგლად. შენ იქნები მგელთა მგელი. ეს იქნება შენი საზღაური. სიკვდილი შენთვის ძალიან მარტივი სასჯელი იქნებოდა". ასე დასწყევლა ზევსმა ლიკაონი, არკადიის მეფე, ტირანი და სადისტი, რომელმაც ზევსს ადამიანის ხორცი აჭამა მოტყუებით, რომ შემდეგ დაემცირებინა ის. საჭმელი კი საკუთარი 7 წლის შვილისაგან გააკეთა. გერმანულ მითოლოგიაში „მგელი" გახლდათ საშიში დემონი, რომლის ყმუილიც სამყაროს დასასრულს მოასწავებდა. უძველესი თქმულებები მოგვითხრობენ ვერვოლფთა ანუ მგელკაცთა ამბავს, რომლებიც დროდადრო მგლად გარდაისახებოდნენ ხოლმე და შიშის ზარს ჰგვრიდნენ ყველა სულდგმულთ. გარდა ამისა, „მგელი" სხვა ხალხთა კულტურებშიც ხშირად განასახიერებდა მრისხანე და მტარვალ ძალას, რომელიც ირგვლივ სიკვდილსა და განადგურებას თესავს. თუმცა ანტიკურ პერიოდში მგლები ითვლებოდნენ სიბრძნის და სიმამაცის სიმბოლოდ, მისი დემონურ ძალებთან დაკავშირება მხოლოდ ქრისტიანულ პერიოდში მოხდა. ტყის ეს მოუთვინიერებელი მხეცი ქრისტიანულ სიმბოლიკაში ბოროტებისა და ძალადობის სიმბოლოა. ასევე, იგი არაერთგზისაა გაიგივებული ეშმაკთან. ცხვრების საპირისპიროდ, რომელნიც ეკლესიის მსახურებს განასახიერებენ, მგელი გამოცხადდა ეშმაკისა და ერესის სიმბოლოდ.

ზემოთ ნახსენებ ელინურ და სკანდინავიურ მითებში, ანტიკურ და რომაულ კულტურაში, ასევე შუა საუკუნეებსა და ქრისტიანულ პერიოდში მგლის სიმბოლიკა განსხვავებულია. სხვადასხვა დროს მგლები ჩვენთვის იყვნენ როგორც ყველაზე ახლო მეგობრები, ისე ყველაზე მძვინვარე მტრები.

ბიბლიური ენციკლოპედიის განმარტებით, უდაბნოს მგელი ღამით გამოდის სანადიროდ და ჩანს როგორ იღუპებიან უწმინდურნი. ამონარიდს დავიმოწმებთ იერემია წინასწარმეტყველიდან: „წავალ წარჩინებულებთან და დაველაპარაკები-მეთქი, მათ ეცოდინებათ უფლის გზა, ღვთის სამართალი, მაგრამ მათაც დაულეწავთ უღელი და დაუწყვეტავს აპეურები, ამიტომაც დაგლეჯს მათ მაღნარის ლომი, უდაბნოს მგელი გააჩანაგებს მათ, ვეფხვი დაუდარაჯდება მათ ქალაქებს, ყოველი გარეთ გამსვლელი დაიგლიჯება, რადგან გამრავლდა მათი ცოდვები, გახშირდა მათი განდგომილებანი". სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მგელი განიმარტება, როგორც მხეცი ბოროტი. ცნება „მგელს" ურთავს მინიშნებას: იოანე 10, 12. სახარების აღნიშნულ მუხლში თქმულია: „ხოლო სასყიდლით დადგინებულმა და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თვისნი, იხილის რაი მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ და მგელმა წარიტაცის იგინი და განაბნინის". უფლის სიტყვების მაღალ საზრისს განმარტავს იოანე ოქროპირი: „ამიერითგან იწყებს თხრობად მოწევნადთა მათ ზედა ჭირთა და განსაცდელთა, არა რომელ იგი ხოლო ყოფად იყო, არამედ ყოველივე, რომელიც შემდგომად ჟამისა მოწევნად იყო, რაითა შორითვე შეჭურნეს და განმზადნეს ბრძოლად ეშმაკისა. იტყვის, ვითარმედ შორის მგელთა მრავალთასა გიხმს შესლვა.. „ეჰა, ბრძოლა ესე საკვირველი, განწესება ესე უცხო-ცხოვართა და ტრედთა მგელთა მიმართ განწყობა". მგელი როგორც მტაცებელი გვხვდება ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში, მაგრამ მისი მოთვინიერება მხოლოდ წმინდა მამებს შეუძლიათ. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი: „ჩემი ზღუდე-გალავანი მიუდგომელია მგლისათვის, არც ავაზებს შემოუშვებს შიგნით, ვერც მპარავნი თუ გარეშენი გარდმოევლებიან მას. კარგად ვიცი, რომ ოდესმე მას უფრო ფართოსაც ვიხილავ, რომ იმათგან, რომელნი აწ მგელნი არიან, ოდესმე მრავალი ცხვრებად უნდა მოვითვალო და ვინძლო ზოგი მწყემსადაც. ამას თვით მწყემსი კეთილი მახარებს მე, რომლის მიერაც სულს დავდებ ცხოვრებისათვის". სახარებაში სამოთხის ცხოვრება დაახლოებით ასე არის აღწერილი: „თხა და მგელი ერთად ძოვდეს", ანუ იყოს მშვიდობა და ჰარმონია, დაივიწყოს მხეცმა თავისი ველური ბუნება. სწორედ ასე უნდა აღვიქვათ მგლის მწყემსობა.

ახლა კი განვიხილავთ მგლის სიმბოლიკას როგორც მსოფლიო ზღაპრებში, ასევე ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში.

ზღაპარი, ხალხური ზეპირსიტყვიერება სიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი ჟანრია. მსოფლიო ზღაპრები სტრუქტურით, თემატიკით, მოტივებით, პერსონაჟთა ფუნქციებით მსგავსია. ამავე დროს მათ განსაკუთრებული ხიბლიც ახლავს, რასაც ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და მთლიანობაში ნაციონალურ თავისებურებებს განაპირობებენ. მკვლევრები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მსგავსებამ დამოუკიდებლად წარმოშვა მსგავსი სიუჟეტები და მოტივები. მსოფლიო ზღაპრებში კეთილი ადამიანები იმიტომ კი არ სჩადიან სიკეთეს, რომ ამას პირადი სარგებლობის, გამორჩენის მიზნით აკეთებენ, ხოლო საზღაურად რაიმე ჯილდოს მოითხოვენ ან მოელიან. ზღაპრებში სიმართლე მუდამ იმარჯვებს უსამართლობაზე, სიკეთე - ბოროტებაზე. ზღაპრები ცხოველებზე ერთ-

ერთი უძველესი ჟანრია ხალხური შემოქმედებისა. აქ ცხოველები და მცენარეები გაიდიალებულია, ისინი ადამიანებივით მოქმედებენ. ცხოველთა ზღაპრებში შემონახულია უძველესი კულტურა და ცხოვრებისეული გამოცდილება. აქ ხდება, მოდელირება იმდროინდელი შრომითი საქმიანობებისა, ურთიერთობებისა წეს-ჩვეულებებისა, როცა ის შეიქმნა.

ახლა კი ჩვენ მიერ მოყვანილი მოსაზრების არგუმენტისთვის შევადარებთ როგორც კავკასიურ ზღაპრებს, ისე ევროპულს, კერძოდ, ფრანგული ზღაპარი „თხები და მგელი“ და ოსური ზღაპარი „ბებერი მგელი“. მოყვანილ ზღაპრებში ნათლად არის გამოხატული მგლის სიბრიყვე. ფრანგულში: „მგელი სახურავზე ავიდა, საკვამურში ჩაძვრა, ცეცხლში ჩავარდა და დაიწვა“, ხოლო ოსურში: „დეკეულმა დაიბღავლა, მგელმა შეყმუვლა. ამ ხმაზე ხალხი გამოცვივდა და მგელს კეტები დაუშინეს“. ასევე მგლის თვისებათა რიცხვს განეკუთვნება, რომ ის ყოველთვის მშიერია და ამის გამო მტაცებლად გვევლინება ხოლმე. მისი ეს თვისება მსოფლიოს ყველა ზღაპარში გვხვდება. ინგლისურ ზღაპარში „სამი გოჭი“: „რუხი მგელი, ცბიერი, დადის ტყე-ტყე მშიერი“. მისი ეს თვისება მოცემულია ლაკურ ზღაპარშიც „სულელი მგელი“: „მშიერი მგელი ტყე-ტყე დადიოდა“. მგელი არის მტაცებლობის სიმბოლოც, ეს თვისება ჩანს როგორც ქართულ ზღაპარში „დათვისა, მგლისა და მელიის ამბავი“, როდესაც მგელი სთხოვს მელიას დახმარებას: „თუ ღმეთი გწამს, მე გადამაქსოვე თავზედ გოგორიო, უთხრა მგელმა, - ცხვარი რომ ჩანს, იქითკენ დავგორდებიო“, ასევე ნათლად არის გამოხატული ინდურ ზღაპარში „ლომი, მგელი და ტურა“: „მგელს თავისი მუცლის გვრემა ჰქონდა და მიუგო: -ოო, ჩვენო მბრძანებელო, მე გირჩევ ძროხა მიირთვა, თხა და კურდღელი ჩვენ გვიბოძო“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავკასიურ ზღაპრებში მგლის სახეზე ხაზი ესმება ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა სიბრიყვის, მტაცებლობის, ვერაგობის და სიხარბის სიმბოლო. რაც შეეხება ევროპულ ზღაპრებს, მათში ყოველივე ეს თვისება უკლებლივ გვხვდება. ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნის ზღაპრები ამტკიცებენ, რომ მსოფლიო ხალხთა ზღაპრები საერთო წყაროდან სარგებლობენ და ერთმანეთის მსგავსია. ყველა ზღაპარში მგელი მზაკვარი და ავი ცხოველია, ვინაიდან ძარცვა-რბევაზე გადასული და ხახადაღებული უვლის ხოლმე გარს მინდორზე შეფენილ ფარას.

მგლის სიმბოლოს ევროპულ ლიტერატურასა და ზღაპრებს შორის განსხვავება არ შეინიშნება. ეს სწორედ ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ სიმბოლოს მრავალწახნაგოვანება ბედნიერებაა შემოქმედებისათვის; მას საშუალება ეძლევა სხვადასხვა მხრიდან შეხედოს სიმბოლოს და მთლიანობაში გვიჩვენებს იგი. ახლა კი მოვიყვანთ ევროპული ლიტერატურის ნაწარმოებებს, სადაც მგელს, როგორც დაუნდობელ და მტაცებელ სიმბოლოდ განვიხილავთ. მაგალითად, ბრემ სტოკერის კლასიკური ვამპირული ზღაპარი საშინელებათა ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთხრობა, რაც კი ოდესმე დაწერილა, კერძოდ „დრაკულა“, ასევე ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“, რომელიც მსგავსია მოტივითა და მგლის ფუნქციით. ამ ორი ნაწარმოების ბოროტ ძალას წარმოადგენენ როგორც დრაკულა, ისე საურონი, რომლებიც არიან მხეცზე მეტი, რადგან ხორცშესხმული ეშმაკია, შეუძლია სტიქიების მართვა, ქარიშხლის, შეუძლია განაგებდეს დაბალ არსებებს: ვირთხებს, ღამურებს, ბუებს, ქინქლებს, მელიებს და მგლებს. „დრაკულაზე“ წერდნენ ძველ საბერძნეთსა და და ძველ რომში. ცნობილი იყო გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთსა და ინდოეთში. იგი გვხვდება ისლანდიელების, ჰუნების, სლავების, საქსონელების ზეპირსიტყვიერებაში. „დრაკულადან“ რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ ზემოთ მოყვანილი აზრის გასამტკიცებლად, კერძოდ: „გრაფის ხმა გაისმა მის საპასუხოდ ყოველ მხრიდან, შორიდანაც კი მგლების ყმუილი მოისმოდა. რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ მთელი ხროვა ტყვეობიდან თავდახსნილი ველური მხეცებივით განიერ შემოსასვლელით ეზოში შემოიჭრა. ქალის ყვირილი შეწყდა და მგლების ყმუილიც უეცრად მოყუჩდა. ამის შემდეგ ისინი დრუნჩების ლოკვით თითო-თითოდ გაიკრიფნენ“. ასევე: „მთვარის შუქზე, რომელიც ბნელი ღრუბლებიდან გამოცურდა, ჩვენ გარშემო კბილებდაკრეჭილი მგლების ხროვა დავინახეთ, რომელსაც წითელი ენები გადმოეგდოთ და უხეში ბეწვით დაფარულნი გრძელ, კუნთიან ფეხებს ეყრდნობოდა. ავბედითი ყმუილით მოცულები ახლა გაცილებით საშიშნი იყვნენ, ვიდრე მაშინ, როცა გაბმით ყმუოდნენ“. მგლის დაუდობლობა ნათლად ჩანს, როგორც უკვე ვახსენეთ, „ბეჭდების მბრძანებელში“, კერძოდ: „ბოროტება გარს შემორტყმოდა და აყრუებდა ტყეს, მგლები დათარეშობდნენ ყმუილით მის საზღვრებთან, მაგრამ თავად ლორიენის წყვდიადის მტრავალი ხელი ჯერ არ მისწვდომოდა“.

ბოროტების ზეიმი დროებითია, სიკეთე საბოლოოდ მაინც იმარჯვებს, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე ანუ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.

ასევე, ზემოთ ხსენებული ამონარიდებიდან ჩანს, რომ ევროპულ ლიტერატურაში მოხსენიებულია ბოროტი ძალა, რომელიც მხეცზე მეტია ანუ ხორცშესხმული ეშმაკია და იგი იმორჩილებს დაბალ არსებებს, როგორიცაა, კერძოდ, მგელი. მაგრამ ორივე ნაწარმოების პერსონაჟებს ძალას აძლევს ღვთის წყალობა და ისინი ღვთის მოიმედეები არიან ამ ბოროტი ძალის განადგურებაში. ბოლოს კარგად ჩანს, როგორ მარცხდება ეს ბოროტი ძალა და იმარჯვებენ კეთილი გმირები. ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც

მგელი გაიგივებულია ეშმაკთან. ბიბლიაში წერია: „ბოროტმოქმედნი მოისპობიან. თვინირნი დაიმკვიდრებენ დედამიწას და გაიხარებენ დიდი მშვიდობით“ (ფსალმუნი 37:9-11), ღმერთი ბოროტების ყოველგვარ კვალს წაშლის.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ იოანეს გამოცხადება გვამცნობს, რომ სიკეთე სამუდამოდ იმარჯვებს ბოროტებაზე. ამასვე მოწმობს მის მიერ მოყვანილი ამონარიდი წმინდა წიგნიდან, სადაც „მხეცები შეებრძოლებიან კრავს, მაგრამ კრავი იმძლავრებს მათზე“.

მგლის სიმბოლიკა როგორც ევროპულ, ისე ქართულ ნაწარმოებში ზოგან განიხილება როგორც „მგელი“ თვითანალიზისა და შინაგანი ჭიდილის შედეგი. მაგალითად ოთარ ჩხეიძე გვესიტყვება: „მხეცებში ადამიანები ამოელანდებათ, ადამიანებში მხეცები მოსჩანანო, ირწმუნებიან. ირწმუნებიან და გვარწმუნებენ: დააკვირდით თუნდაც კეთილი თვალითაო... ოღონდ საგულდაგულოდ დააკვირდიო,- კაცი წაიშლება, მხეცია თითქოსაო. შინაურ პირუტყვზე ნუღარას იტყვი: იმდენი ხანია მოშინაურდნენ, იმდენი ხანია შეეწყვნენ ერთმანეთსა, - ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. შეეწყვნენ, შეხმატკბილდნენ. სახება რაღაა, ანარეკლია სულისაო“. სხვა მწერალმა ახლებურად შეხედა ადამიანის ფენომენს. ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“, იგი შინაგანი გონებისგან გატანჯული მარტოსულია, ვიდრე არ მოათვინიერებს თავის არსებაში მხეცს და სულიერ ჰარმონიას არ ეზიარება. ამიტომაც ჩვენ ამთავითვე უნდა ვიცოდეთ, რომ „მგლური“ ბუნების განვითარების მოთხოვნა ჰესესთან დაქვეითებას კი არ გულისხმობს, არამედ ამაღლებას, ვინაიდან ხელს უწყობს სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას. მგლის არსი მოგვიანებით კარგადაა ახსნილი ჰერმინეს სიტყვებით: „ცხოველები მეტწილად სევდიანები არიან, ზოგჯერ ადამიანსაც შეიპყრობს ხოლმე სევდა და წუხილი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კბილი სტკივა ანდა ფული დაკარგა! არა, მას სევდა მაშინ მოერევა, როცა უეცრად იგრძნობს, რა ხდება მის გარშემო, რა ყოფილა ეს ცხოვრება. აი, ასეთი ნაღდი სევდით შეპყრობილი, იგი ცოტათი ცხოველს ჩამოგავს და ამ დროს მისი განცდები ალალი და მშვენიერია“, ხოლო რაც შეეხება გოდეძი ჩოხელის რომანს „მგელი“, აქაც იგივე სიმბოლიკაა მგლის. ამ ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს ლუკას მგლების გარემოცვაში მოქცეული მთელი სამყარო სამგლეთად ეჩვენება: „ვინ იცის, რამდენჯერ გადაჰყრია მგელს. იქნებ დაძრწიან დღისით და ღამით სამგლო საქმეებით დატვირთულნი, უჯდებიან ერთმანეთს მანქანებში ან საავადმყოფოებში იპარებიან... ანდა უცებ თავს დაგესხმიან და ციხეში ამოგალპობენ, ან საგამოცდო კომისიაში დაგხვდებიან, ვინ რა იცის, რომ მგელთან აქვს საქმე. კაცის სახე აქვს და ფარდობითობის თეორიას გეკითხება“. გოდერძი ჩოხელის კიდევ ერთი პერსონაჟია თევდორე, რომელიც ადრე მგლების ბეჭდით იყო დაღდასმული, მაგრამ უფლის შეწევნით და საკუთარი ძალისხმევით მერე თვით იქცა „ნადირთა“ რისხვად. სწორედ ნამგლარი თევდორე თავისი არსების ველურ საწყისებს ებრძვის და გამარჯვების საწინდარია ქრისტიანული მრწამსი. გოდერძი ჩოხელის მთავარი იდეა იყო მგლების, ბნელი შვილების დამარცხება, ზნეობრივი სრულყოფისთვის ბრძოლა.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ კაცობრიობას დასაბამიდანვე ამგზავრებოდა მგელი, საერთოდ მხეცნი, მტაცებელნი. მგელი მოცემულ ნაწარმოებში არის ნაწილი ადამიანის შინაგანი სამყაროს იმ ბნელი მხარისა, რომელიც მათ აკარგვინებს სრულყოფილების შეგრძნებას და ჰარმონიას. ამ ნაწარმოებების პერსონაჟებს, ორბუნოვანი საწყისი აქვთ, მასში ერთიანდება მგლური და ადამიანური თვისებები და ისინი ებრძვიან ამ ველურ საწყისს.

ჩვენი აზრით, მოყვანილი ნაწარმოების პერსონაჟების ველური საწყისის აღმოფხვრა მხოლოდ სიკეთეს ძალუძს, როგორც გოდერძი ჩოხელმა თქვა, გამარჯვების საწინდარია ქრისტიანული მრწამსი. ამასვე ადასტურებს იოანეს გამოცხადება, სიკეთე სამუდამოდ იმარჯვებს ბოროტებაზე.

ლიტერატურა:

1. ოსური ზღაპრები, გამომცემლობა ,,ირისტონი“, 1972.
2. ბრემ სტოკერი „დრაკულა“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2013.
3. ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი „ბეჭდების მბრძანებელი“, წიგნი 1, ბეჭდების საძმო, ქარჩხაძის გამომცემლობა. 2010 წ.
4. ჰერმან ჰესე, „ტრამალის მგელი“, 2010 წ.
5. ფრანგული ზღაპრები, მთარგმნელი ჯენეტი ჭანტურია, „ნაკადული“, 2007.
6. ინდური ზღაპრები, მთარგმნელი ნ. თოფჩიშვილი, თ. ჭავჭავაძე, ქ. კაკაბაძე, „ნაკადული“, 2007.
7. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1989.
8. ლუარა სორდია, სიტყვით ნათლისმცემელი გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პოლემატიკა და სახეები), თბ., 2009.

დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმისათვის

რუსუდან ბიხანაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელდარ მამისთვალიშვილი,** სრული პროფესორი

საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებას XI ს-ის 70-იან წლებში ბზარი შეეპარა. ამის მთავარი მიზეზი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე თურქ-სელჩუკების გამოჩენა იყო. 1080 წლიდან სელჩუკების მოძალებამ საშინელი ხასიათი მიიღო, ეს ტრაგიკული დრო ქართულ მატიანეში „დიდი თურქობის“ სახელით არის ცნობილი. პოლიტიკურად, ეკონომიკურად და მორალურად განადგურებულ ქვეყანაში მოიშალა ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაციის ყველა რგოლი, მით უმეტეს, რომ დამპყრობლები მაჰმადიანები იყვნენ. უფლებისმოყვარე ფეოდალები სარგებლობდნენ ქვეყნის ხელისუფლების დასუსტებით და დამპყრობლებისადმი მლიქვნელური ერთგულების გამოჩენით ცდილობდნენ, თავიანთი სამთავროების საქართველოს ერთიანი სახელმწიფოდან გამოყოფას. „ეკლესიამ შეუვალობა მოიპოვა და სახელმწიფოში ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა”[1] დავითის ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ „მამულობით უფრო ვიდრე ღირსებით” ანუ მაღალ სასულიერო თანამდებობაზე, არაკეთილსინდისიერი, შემთხვევითი პირები ხვდებოდნენ. საეკლესიო თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. როგორც ჩანს, დავითის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქვეყნის მდგომარეობა არასახარბიელო იყო. საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობის დამყარება ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილებას გულისხმობდა, „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით, უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს”.[2]

მომწიფდა საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევის აუცილებლობა. კრების მოწვევას სხვა ბევრი მიზეზიც ედო საფუძვლად. გარდა საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნის საკითხისა, მოსაგვარებელი იყო სხვა საკითხებიც: ირღვეოდა ხელდასმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქონება, ადგილი ჰქონდა „ჩჩვილთა ქალ-ყრმათა“ გვირგვინის კურთხევას, მონასტერში იმართებოდა ვაჭრობა. ცხადია, ამ ყველაფრის განხორციელების დროს დავით აღმაშენებელი ბევრ სიძნელეს წააწყდებოდა, რადგან, ბუნებრივია, ის პირები, ვისაც თანამდებობები ეკავათ, არც ისე ადვილად დათმობდნენ გაბატონებულ მდგომარეობას.

ზემოთ ასახული პრობლემების გადაჭრის მიზნით დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ იქნა კრება „მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა - რუისსა და ურბნისისა“[3] რატომ მაინცდამაინც რუისისა და ურბნისის მიმდებარე ტერიტორია? ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. გაბიძაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კრების რუისში მოწვევა ჯერ ერთი მისი ადგილმდებარეობიდან იყო განპირობებული, ეს ტერიტორია ქვეყნის შუაგულშია, რაც საგრძნობლად გაუადვილებდა კრებაზე ჩამოსულ დელეგატებს გზის სიშორეს, მეორე - კრების რეზონანსი გააღვივებდა ახლომახლო, მაჰმადიან დამპყრობელთა ხელში ქრისტიანული მოსახლეობის ეროვნულ სარწმუნოებრივ ინტერესებს. ე. გაბიძაშვილის ვარაუდით, რუის-ურბნისის მიმდებარე ტერიტორია იმიტომაც აარჩია დავითმა, რომ სწორედ, რუისში აკურთხეს მეფედ გიორგი II.

ჩემი აზრით კი დავით აღმაშენებელს განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება უნდა ქონოდა რუისისადმი, რადგან ხალხში გავრცელებული მოსაზრებით ის იზრდებოდა აქ, მამაცაშვილების გვარის მიერ.

---

[1] მეტრეველი როინ, დიდნი საქმენი, თბ., 1978, გვ. 103.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 270.
[3] გაბიძაშვილი ე., რუის ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978 გვ.20

დიდი დავაა რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღთან დაკავშირებითაც. ისტორიკოსები დღესაც ვერ შეთანხმებულან 1103, 1104, 1105, 1106 წლებიდან ზუსტად როდის იქნა მოწვეული ეს კრება.

კრებას ესწრებოდნენ როგორც არისტოკრატია, ისე სასულიერო პირები. მათ შორის იყო მეფე დავითი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით მეფე კრებას დასწრებია, მაგრამ იგი აქ ყოფილა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“[1] როინ მეტრეველიც იგივეს ამბობს ამასთან დაკავშირებით. ისიც ამტკიცებს, რომ „დავით აღმაშენებელი რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას მხოლოდ რიგითი წევრივით ესწრებოდა”[2] საფიქრებელია, რომ კრების მოწვევას წინ დიდი სამზადისი ჰქონდა. კრება ძირითადად ეყრდნობოდა მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად სამართლებრივ კანონმდებლობას - ნომოკანონს.[3] აშკარად ჩანს, რომ კრების მესვეურები ყველანაირად ცდილობდნენ რუის-ურბნისის კრება მსოფლიო კრებების „სტანდარტების“ მიხედვით ჩატარებულიყო.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში არასოდეს ყოფილა სადავო, რომ რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ ავტორი არსენია. ეს კარგად ჩანს დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი „შესხმის“ სათაურშივე, ავტორი გვაცნობს თავის თავს „მეფესა დავითს მონაზონი არსენ““[4] -არსებობს ორი მოსაზრება: პირველის თანახმად „ძეგლისწერის“ ავტორია ძველი ქართული კულტურის დიდი მოამაგე არსენ იყალთოელი, ხოლო მეორის თანახმად სხვა პირი დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებული არსენ ბერი სახელდება. ე. გაბიძაშვილის მოსაზრებით „ძეგლისწერის“ ავტორი არსენ იყალთოელია, რადგან მას „არსენი მონაზონის“ ზედწოდებით არაერთი თხზულება აქვს დაწერილი, ხოლო არსენი ზედწოდებით „ბერ“, ამ პერიოდში არ არსებულა. კორნელი კეკელიზის აზრით კი „არსენ ბერი ან ბერ-მონაზონი თანამედროვე დავით აღმაშენებლისა და დიმიტრი მეფისა, არ არის არსენ იყალთოელი”[5] მისი თქმით, არსენ ბერს ეკუთვნის „ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა რუის-ურბნისის კრებისა“.

ამ მნიშვნელოვანი საქმის მომზადებისას, დავით აღმაშენებელს მხარში უდგნენ გიორგი მწიგნობართუხუცესი, რომელსაც ამ საეკლესიო კრების ”ძეგლისწერა” კრების ”თვალს” უწოდებს; იოანე კათალიკოსი ამავე დოკუმენტით დახასიათებულია, როგორც „ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათამთავარი”; წმინდა ბერი და სულიერი მამა ევსტრატი; არსენი მონაზონი და სიმრავლე „მამათა მღვდელმთავართა, მღვდელთა და მონაზონთა” კრების თავმჯდომარე იყო იოანე კათალიკოსი.[6]

კრებამ მიიღო დადგენილება „ძეგლისწერაი წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათუის რომელნი ქუემო მოხსენებულ არიან“.

ძეგლისწერას ივ. ჯავახიშვილი 4, ხოლო კორნელი კეკელიძე - 3 ნაწილად ყოფს. „ძეგლისწერა“ შედგება:

ა) შესავლის,

ბ) კანონების,

გ) დავითის შესხმისა და

დ) ქართულ მოღვაწეთა მრავალჟამიერისა და მოსახსენებლისაგან.

კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ძეგლისწერა 15 მუხლს მოიცავს, ხოლო დოლიძე მას 16 მუხლად ყოფს. ამ კანონებით:

1. შეიცვალა უღირსი მღვდელმთავრები;
2. დაწესდა წლოვანების ზღვარი ხელდასმისთვის (35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30 - მღვდელთათვის, 25 - დიაკონთათვის, 8 - წიგნის მკიხველთათვის);
3. დადგინდა ხელდასმის წესი;
4. აიკრძალა ხელდამსხმელის მიერ ხელდასხმულისგან „ქრთამისა და საფასის მიღება“;
5. აიკრძალა ყოველგვარი საეკლესიო ნივთის მოხმარება;
6. აიკრძალა უეკლესიოდ ნათლისცემა და ქორწინება;
7. აიკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩვილთა ქალ-ყრმათა“ თუ მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დამოყვრება, ნება ეძლეოდათ პატარები დაეწიდნათ, ხოლო დაქორწინება მხოლოდ განსაზღვრულ ასაკში იყო დაშვებული. ჯვარდაწერილი ქალი 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო;

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება”, ტ. I, გვ. 156.

[2] მეტრეველი რ., დიდნი საქმენი, თბ., 1978.

[3] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 384.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, დოლიძის გამოცემა

[5] კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბ., 1980, გვ. 83

[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979, გვ. 310-311

8. კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს დაევალათ ქორეპისკოპოსებად „სჯულისა და საღვთოთა წიგნთა მეცნიერი“ აერჩიათ;

9. მონასტერს უნდა ჰყოლოდა ერთი მოძღვარი, განსაკუთრებულ შემთხვევაში - ორი, თუ მონასტერი დიდი იყო;

10. აიკრძალა მონასტერთან ბაზრობის გამართვა.

მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები შინასაეკლესიო საქმიანობებს ეხებოდა.

14. აიკრძალა მეორედ გვირგვინის კურთხევა;

15. აიკრძალა სასულიერო პირთა შორის დამკვიდრებული ზოგიერთი უწესობა.[1]

„ძეგლისწერის“ კანონების განსჯის ობიექტს წარმოადგენენ სახელმწიფო-საეკლესიო უმთავრესი მნიშვნელობის საკითხები, რომელთა მოგვარება და გადაჭრა უპირველესი რიგის საქმე იყო. რაც შეეხება „შესხმას“, კანონთა ტექსტებიდან შესხმაზე გადასვლა ორიგინალურად არის გაკეთებული. „შესხმა“ არის დავით აღმაშენებლის ქება, ხოლო რაც შეეხება სინოდიკონს, სავარაუდოდ, ტექსტის ავტორი უხერხულ მდგომარეობაში იქნა აღმოჩენილი, გიორგი მეფეც ცოცხალი იყო ამ დროს სწორედ, სინოდიკონშია მოცემული მეფე გიორგის ქება.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ამ საკითხთან პარალელს გავავლებ თითქმის იმავე პერიოდში მოღვაწე ინგლისის მეფე ჰენრი II-ის საეკლესიო რეფორმასთან. დავით აღმაშენებლის ანალოგიურად ჰენრი II-საც საეკლესიო რეფორმის გატარებით ეკლესიის დამორჩილება სურდა სამეფო ხელისუფლებისადმი.

მოკლედ მოგახსენებთ ჰენრი II-ის პიროვნების შესახებ. ჰენრი მეფობდა 1154-1189 წლებში. დავითის მსგავსად, ისიც ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო. უყვარდა სწავლულებთან პაექრობა. მან დაახლოებით იგივე რეფორმა გაატარა, რაც საქართველოში დავით აღმაშენებელმა. ამ საქმეში დავით აღმაშენებელი გიორგი ჭყონდიდელს დაეყრდნო. ჰენრი II-მ კი არასწორად შეაფასა ტომას ბეკეტი, თავისი სიყრმის მეგობარი. სანამ ჰენრი II კენტერბერის არქიეპისკოპოსად დანიშნავდა, ბეკეტი ფიქრობდა, რომ ეკლესია მეფეს უნდა ემორჩილებოდესო, არქიეპისკოპოსად დანიშვნის შემდეგ კი მან შეხედულება შეიცვალა. 1164 წელს ჰენრი II-მ გამოსცა „კლარენდონის დადგენილება“, რომლის ძალითაც საეკლესიო სასამართლო და მთელი ეკლესია მეფეს უნდა დამორჩილებოდა, ეკლესია გადასახადებითაც იბეგრებოდა. ეს დადგენილება მხოლოდ მაშინ შეიძენდა ძალას, თუ მას ტომას ბეკეტი დაამტკიცებდა, მაგრამ ტომას ბეკეტი ამის დამტკიცებას ნამდვილად არ აპირებდა. მეფესა და ტომას ბეკეტს შორის იმდენად იყო გამწვავებული ბრძოლა, რომ ერთხელ მეფეს წამოსცდა „ნუთუ ჩემს ქვეყანაში არ მოიძებნა პირი, ვინც ამ აბეზარ ბებერს თავიდან მომაცილებსო“[2]. ტომას ბეკეტი მოკლეს, ხალხის აღშფოთების დასარეგულირებლად კი ჰენრი II იძულებული გახდა მის საფლავზე მოენანიებინა და დადგენილება გაეუქმებინა. ამ გადაწყვეტილებამ ყველა გაახარა, ხალხი ამბობდა „მკვდარმა აჯობა ცოცხალსო“.

ამგვარად ჰენრი II-ის საეკლესიო რეფორმამ კრახი განიცადა.

ჩემი აზრით, რუის-ურბნისის კრების მოწვევა მართლაც რომ სწორი ტაქტიკა იყო დავით აღმაშენებლის მხრიდან, რადგან ქვეყანაში ჯერ შიდა არეულობა და უწესრიგობა უნდა აღმოფხვრილიყო, ქვეყანა გაძლიერებულიყო და შემდეგ გარეშე მტერიც ადვილი დასამარცხებელი იქნებოდა. სარწმუნოება ხომ ერს კრავს და აერთიანებს. ეს რეფორმა დიდ რისკთანაც იყო დაკავშირებული, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „უღირსი მღვდელმთავრები“ ადვილად არ დათმობდნენ გაბატონებულ მდგომარეობას. ყველაფერი შესანიშნავად დასრულდა და რეფორმამაც დიდი წარმატება მოუტანა ქვეყანას.

ვფიქრობ, რუის-ურბნისის კრება იყო ის მნიშვნელოვანი, აუცილებელი და დროული რეფორმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაბრწყინებასა და გამთლიანებას, რომლის ლოგიკური დასასრული გახლდათ ისეთი უბრწყინვალესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში, რომელიც „ოქროს ხანად“ დაივანებს მომავალ თაობებში.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვ., „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.
2. გაბიძაშვილი ე., რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978.
3. „დიდნი სჯულისკანონი“, თბ., 1975.
4. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.
5. მეტრეველი რ., დიდნი საქმენი, თბ., 1978.
6. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979.

[1] საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, გვ. 468

[2] კუტალია გ., შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, გვ. 352-353

8. საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, 1984.
9. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, 1955.
10. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, დოლიძის გამოცემა, 1965.
11. კუტალია გ. შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, 2004.

აფხაზეთის ომი

მარი კეჩხუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ახლოური,** ასოცირებული პროფესორი

14 აგვისტოს 21 წელი შესრულდება აფხაზეთში ომის დაწყებიდან. საქართველოს უახლოესი ისტორიის ამ ტრაგიკულ ფაქტში განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა დღევანდელ თაობათა მოურჩენელი ტკივილი. ყველასი ერთად და თითოეულის ცალ-ცალკე.

აფხაზეთი ისეთივე ძირძველი ქართული მიწა-წყალია, როგორც სამეგრელო, სვანეთი, გურია, კახეთი და ა.შ. ამიტომ აფხაზეთის ისტორია ყოველთვის საქართველოს ისტორიის კონტექსტში განიხილებოდა, სანამ რუსეთის მიერ არ დაიწყო საქართველოს ისტორიის უხეში ფალსიფიკაცია. ამასთან, აფხაზებს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში წამლავდნენ და აქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ. არა და აფხაზიც ისეთივე ქართველია, როგორც სვანი, კახელი, მეგრელი. აფხაზთა დაპირისპირებას წინ უძღოდა მათი ადიღეელებად გამოცხადება, ამას მოჰყვა აფხაზთა ცალკე ერად აღიარება. დამოუკიდებლობის ლოზუნგი სატყუარა იყო აფხაზებისთვის. რუსეთის მიზანი აფხაზეთის გამოყენება იყო საქართველოს წინააღმდეგ, რათა არა მარტო აფხაზეთი, საქართველოც შესულიყო სსრკ-ში. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთი იყენებდა აფხაზებს, როგორც პაიკებს დიდ თამაშში. ამას თან დაერთო აფხაზთა გარუსება, რუსული სკოლების გახსნა, რუსული ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. ყოველივე ეს კი სეპარატიზმის საფუძველს წარმოადგენდა.

1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში „აიდგილარას" მიტინგზე აფხაზმა ინტელიგენციამ წამოაყენა მოთხოვნილება აფხაზეთისთვის საკავშირო რესპუბლიკის მინიჭების შესახებ, რაც 1989 წლის 9 აპრილის სისხლისღვრის მიზეზი გახდა. 1989 წლის 15 ივნისს კი მოხდა პირველი შეიარაღებული შეტაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის, სადაც 17 ადამიანი დაიღუპა და 448 დაიჭრა. თუმცა, მთელი საქართველო ფეხზე დადგა, მდინარე ღალიძგას 50 ათასი ქართველი მიადგა და აფხაზებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

აფხაზურ მხარესთან წინასწარი შეთანხმებით, 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთში თავდაცვის სამინისტროს გარკვეული კონტინგენტის შეყვანის შესახებ რკინიგზებისა და საავტომობილო მაგისტრალების დაცვის, ამ ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდფორმირებებისა და ყაჩაღობის აღკვეთის მიზნით. 1992 წლის 14 აგვისტოს სამთავრობო ჯარების მიერ გალისა და ოჩამჩირის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას, აფხაზთა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი გახსნეს. ასე მოეწყო ომის პროვოცირება. ვლადისლავ არძინბამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა და დაიწყო ძმათამკვლელი ომი. ქართველების წინააღმდეგ კარგად გაწვრთნილი სამხედრო შენაერთები მოქმედებდნენ. უმრავლესობა რუსეთის მოქალაქე იყო - ჩეჩნები, ადიღები, კაზაკები, რუსები, ბოევიკები სირიიდან, თურქეთიდან, დნეპრისპირეთიდან, ყარაბაღიდან. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 345-ე სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, ოჩამჩირისა და გუმისთის ბატალიონები.

25-26 აგვისტოს რთული ვითარება შეიქმნა გაგრის ზონაში. აფხაზეთის რეგიონში რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთზე, რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სტრუქტურების აშკარა ხელშეწყობით დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიელ შეიარაღებულ ბოევიკთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების

ინტენსიური გადმოსვლა, რამაც საბრძოლო მოქმედებების არა თუ შეწყვეტის, არამედ დაწყების წინაპირობა შექმნა. 26-28 აგვისტოს აფხაზ ბოევიკთა რაზმებმა რამდენიმე ლოკალური თავდასხმა განახორციელეს, ხოლო 29 აგვისტოს სეპარატისტებმა დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის ზეპირი შეთანხმება. გაგრის ზონაში თავს დაესხნენ საქართველოს შეიარაღებულ შენაერთებს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. იმავე დღეს ქვეყნის საჯარისო შენაერთებმა გადალახეს მდინარე გუმისთა, მაგრამ წინსვლა შეაჩერეს აფხაზეთის მითითებულ პარამეტრებში განლაგებულ რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილებთან შეტაკების რეალური საფრთხის გამო.

1992 წლის 3 სექტემბერს ქ მოსკოვში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება აფხაზეთის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუმცა შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. 2-5 ოქტომბერს აფხაზი სეპარატისტებისა და ჩრდილოელ კავკასიელ ბოევიკთა ფორმირებების მიერ დაპყრობილ იქნა ლესელიძე, განთიადი, გაგრა და მიმდებარე ტერიტორიები, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები - მშვიდობიანი ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა უსასტიკესი ფორმებითა და მეთოდებით მკვლელობა, წამება, დარბევა, საცხოვრებელი სახლებისა და პირადი ქონების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების განადგურება და ძარცვა, ქალების, მცირეწლოვანი გოგონების გაუპატიურება, მოქალაქეთა მასიური დეპორტაცია მოჰყვა.

აფხაზეთში გენოციდი ეტაპობრივად ხორციელდებოდა. ყოველდღე შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა. სიკვდილი ცელავდა ქართველებს საკუთარ მიწაზე. რუსეთის ჯარისა და მათი ტექნიკით ზურგგამაგრებულთა მიზანი ერთი იყო - აფხაზეთი, ქართველთა ძირძველი საუფლო, ჩვენივე სასაფლაოდ ექციათ. წუხდა აფხაზეთი, უღმერთოდ აღზრდილი თაობების ვნებები ეხეთქებოდა ერთმანეთს. თვეების მანძილზე ბომბავდნენ სოხუმს, ოჩამჩირეს. მარტო სოხუმში ჩამოაგდეს ათასობით ბომბი, რასაც შეეწირა 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. დაბომბვა ძირითადად ხდებოდა ღამით, როცა ქალაქს ეძინა. სეპარატისტებმა გამიზნულად ისარგებლეს იმით, რომ 1992 წლის 27 ივლისს მიღწეული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მთავრობამ სოხუმიდან და ოჩამჩირიდან გაიყვანა მძიმე ტექნიკა და არტილერია და 16 ნოემბერს დაიწყეს სოხუმისა და ოჩამჩირის მასირებული შეტევა. განუწყვეტლივ იბომბებოდა სოხუმის აეროპორტი, სადაც ათასობით ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების ადამიანი ელოდებოდა თვითმფრინავს. პირდაპირი დამიზნებით ჩამოაგდეს სამოქალაქო თვითმფრინავი, რასაც 50-ზე მეტი ქალისა და მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლე შეეწირა.

სოხუმს მტრის არაერთი შემოტევა ახსოვს, მაგრამ ისეთი, 1993 წლის 15-16 მარტს რომ ქონდა, მართლაც გაუგონარი გახლდათ: თავისი სისასტიკით, შეუპოვრობით - როგორმე დაეჩოქებინათ იგი, რუსი სამხედროების მიერ თავიანთი მრავალნაცადი ტექნიკისა და სამხედრო გამოცდილების პრაქტიკული გამოყენებით და რაც მთავარია სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობისადმი მართლაც არაადამიანური დამოკიდებულებით, მათდამი პათოლოგიური, მაგრამ ყოვლად უსაფუძვლო სიძულვილით.

ერთი სიტყვით, უნიჭო რუსი გენერლების მიერ იმღამინდელი „ნიჭიერად“ დადგმული სპექტაკლი ძალას იკრებდა. .... გვიანი ღამეა, არ სძინავს ქალაქს, მოსახლეობა რაღაც ავისმომასწავებელ წინათგრძნობას მოუცავს - გაოგნებულია, შფოთავს, გამოსავალს ვერ პოულობს, შიში ჩამდგარა ადამიანების თვალებში... ყველა, დიდი თუ პატარა, ეზოში გამოსულა, ათას რამეებს ყვებიან, ზოგი ხუმრობით ცდილობს დაძაბულობის განმუხტვას, მაგრამ არავის ეხუმრება... და აი, საოცრება - რუსის „შავმა ყორნებმა“ საშინელი გუგუნით გადაუფრინეს ქალაქს - ერთხელ, ორჯერ.... ღამის სოხუმის თავზე კამარა შეკრეს და - კოსმიურად განათდა ირგვლივ ყველაფერი: მტერმა ქალაქის თავზე „გირლიანდები“ ჩამოჰკიდა... ახლა მოწინააღმდეგე მხარისათვის ხელისგულივით მოჩანს სოხუმი და მისი შემოგარენი... ასე უფრო გაუადვილდება მტერს „ინადიროს“ სოხუმელებზე. და ამოქმედდა პრაქტიკულად რუს გენერალთა ჩანაფიქრი - შემოუტიეს ქალაქს ზღვიდან, მდინარე გუმისთის მხრიდან, შრომა-კამანიდან და ცხადია ჰაერიდან. ზღვიდან ქვემეხების ყუმბარებს უშენენდნენ სოხუმს, გუმისთიდან, შრომა-კამანიდან არტილერიისა და ტყვიამფრქვევების საშინელი ხმაური ისმის, თვითმფრინავები ბომბავენ ქალაქს... მომხვდურნი ერთ სულზე არიან შტურმით აიღონ ჩვენი ნაფერები, ნალოლიავები, უსაყვარლესი სოხუმი...

ყველამ იცის - ქალაქს ყოველი მხრიდან უტევენ, - მხოლოდ ჩვენი ბიჭების სიმამაცე და თავგანწირვა თუ იხსნით განსაცდელისაგან.

შუაღამე გადასულა, გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ მთავარი რედაქტორის შვილი პაატა იარაღასხმული შინ დაბრუნდა უშიშროების კომიტეტიდან. საოცრად დაღლილი ჩანს - ნუ შიშობთ, მართალია ძლიერი შემოტევაა, მაგრამ სოხუმელები არ დავთმობთ ჩვენს ქალაქს“ - აიმედებს ყველას. ამ ორიოდე დღის წინათ კომიტეტის ხელმძღვანელობამ ოთხი თუ ხუთი დღის მოკლევადიანი შვებულება მისცა, რათა გახიზნული ცოლ-შვილი ინახულოს, მაგრამ ახლა რაღა დროს იმათზე ფიქრია, მთავარია მტერი არ შემოიჭრას სოხუმში.

ტელეფონი რეკავს, სიძეა: - პაატა, ცუდად მიდის საქმე, ეს ესაა მტერმა გუმისთა გადმოლახა და ქალაქში შემოჭრას აპირებს, ბრძანება მივიღეთ - გავიდეთ ბრძოლის ხაზზე. ....სოხუმელმა ვაჟკაცებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს - უკუაგდეს მოძალადენი, გაწმინდეს ქალაქის შემოგარენი ურჯულოთაგან. არ შედრკა სოხუმი! მიუხედავად გამარჯვებისა, მიხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ათასზე მეტი მებრძოლი დაკარგა, მაინც ძვირად დაუჯდა ქალაქს ეს გამარჯვება - ასამდე ქართველი ჭაბუკი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე... პაატა ამ ბრძოლაში ფეხში დაიჭრა, სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა.

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი ტკივილიანი დღე ახსოვს სოხუმს. სამარადისო დიდება გმირებს - ჩვენს ვაჟკაცებს, ღიმილიან ბიჭებს!

1993 წლის 27 სექტემბერს კი სოხუმი საბოლოოდ დაეცა.

27 სექტემბერს აწამეს და დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა. იგი აღმშენებლობის მისიით ჩავიდა აფხაზეთში, მისი რაინდული სული გამოვლინდა სოხუმის დაცვის დროს, როცა ამ მძიმე განსაცდელის ჟამს არ დატოვა ქალაქი და ბოლო წუთამდე იბრძოდა თანამემამულეთა გადასარჩენად. მან ვაჟკაცურად შეასრულა სოხუმში ჩასვლისას ხალხისთვის მიცემული დაპირება: „ რაკი მე აქ ჩამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე, მზად ვარ ყველაფერი გავიღო, რაც გამაჩნია, თვით საკუთარი სიცოცხლეც“. ჟიული შარტავამ თავის დროზე აფხაზ კოლეგებს გაუწოდა დახმარებისა და თანადგომის ხელი და რაოდენ გულსატკენია, რომ მათი არაკაცობისა და მუხანათობის მსხვერპლი გახდა. მან ჭეშმარიტად საკუთარი სისხლით დაიცვა აფხაზეთის ქართული მიწა-წყალი გადამთიელებისაგან. ჟიული 16 სექტემბერს ჩავიდა სოხუმში მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სოხუმი იბომბებოდა. მისი უკანასკნელი სიტყვები მეუღლისადმი ასეთი იყო: „ჩემი საბუთები და სურათები დიპლომატშია, თუ რამე მოხდა, ღირსეულად მიტირეთ“. ბევრჯერ დაისვა კითხვა, რატომ წავიდა სოხუმში, როცა სოხუმის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო? ამ კითხვას თავად ჟიული შარტავას სიტყვებით გავცემთ პასუხს: „რაც ვარ, ესა ვარ, დადებითი და უარყოფითი, ცოდვებითა და უცოდველობით. მე ვდგავარ ერთ პოზიციაზე - რაიმე კონკრეტული სარგებლობა მოვუტანო ჩემს ერს“.

სოხუმის აღებით გახარებულმა ექსტრემისტებმა სოხუმში დაიჭირეს ქართველი გოგონა, გააუპატიურეს, შუაზე გახერხეს და გვამს რუსულად დააწერეს: „როგორც ეს გვამი არ გაერთიანდება, ისე აფხაზეთი არ გაერთიანდება საქართველოსთან“.

27 სექტემბერი - ეს დღე თითოეული ჩვენგანის, განსაკუთრებით დევნილი თანამემამულეებისათვის მოუშუშებელი ტკივილის, უმძიმესი განცდის, შვილების, მშობლების, უახლოესი ნათესავების, საკუთარი კარ-მიდამოს დაკარგვასთან, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთანაა ასოცირებული. ეს დღე უნდა იქცეს ჩვენი დევნილი თანამემამულეების, სრულიად საქართველოს ერისა და ბერის უპირველესი - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცებისათვის, ყველა პროგრესული ძალის და საშუალების გაერთიანების დღედ.

გენოციდის პოლიტიკამ განსაკუთრებული მასშტაბურობა მიიღო სოხუმის დაცემის შემდეგ მთელ აფხაზეთის რეგიონში. აი, რას გვიამბობენ თვითმხილველები:

გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმანარაში სეპარატისტებმა კომენდატად დანიშნეს ომარ ჩამაგუა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ მოკლა თავისი ქართველი ცოლი, ერთადერთი შვილი და სიდედრი, შემდეგ კი ათობით მშვიდობიანი მოქალაქე გაანადგურა.

აფხაზი იური კვარჩია ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიბუაში თავს დაესხა ქართულ ოჯახს, ორი მცირეწლოვანი ბავშვი მშობლების თვალწინ რკინის ღობეზე ჩამოაცვა, მშობლები კი დახვრიტა.

სოფელ ახალდაბაში აფხაზებმა ქართველები სტადიონზე შერეკეს, ექვს წელზე ეროსი ასაკის ყველა ბავშვს თავები მოაჭრეს, ზოგს თავზე ჩამოაცვეს მანქანის საბურავები, ცოცხლად ცეცხლი მოუკიდეს და დაწვეს.

სოფელ ფშავში სომხებმა ფეხმძიმე ქალს, გვარად პაპავას, გაუჭრეს მუცელი, ნაყოფი ამოუღეს, შემდეგ ხეზე დაკიდეს, დაასხეს ბენზინი და დაწვეს.

მ. მგელაძე მთელი ღამე ნაწამები, შიშველი მუხლამდე წყალში ჰყავდათ ჩაყენებული, ჩეჩენმა ბოევიკმა მისი სისხლით აავსო ჭიქა და ცინიკურად უთხრა: „ძმაო არ გეწყინოს, მე ქართველის სისხლს ვსვავო“ და დალია.

სოფელ ზემო კელასურში შეიპყრეს 60 წლის გიული კალანდია-ფიფია, რომელსაც ცოცხლად ამოგლიჯეს გული და ძაღლებს მიუგდეს.

სოფელ კოლხიდაში 29 წლის გულად სანიკიძეს ჯერ თვალები დათხარეს, შემდეგ გადაუმტვრიეს ხელები და ფეხები, ბოლოს კი დახვრიტეს.

ეს არის არასრული სია იმ შემზარავი ფაქტებისა, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა და დაქირავებულმა მკვლელებმა ჩაიდინეს. მოძმეთა სისხლი ზეცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!

დიახ, სამარცხვინო ამბავი დაგვემართა, ეს ხომ ჩვეულებრივი ომი არ ყოფილა, ეს იყო ძმათამკვლელი ომი, რომელიც ისტორიის ანალიზში შევა როგორც საძრახისი ომი როგორც ქართველთათვის, ისე აფხაზებისათვის. თუმცა ისტორიულ აფხაზებს ცნობიერებას ვერ აღვუდგენთ, მაგრამ ის მაინც შევძლოთ, რომ მათ ბოროტების ფსიქოლოგიური იმუნიტეტი მოვუხსნათ და აღვუდგინოთ ერთმოგვარე ქართველებთან სისხლით ნათესაობის ქრისტიანული მრწამსი. ამის მიღწევა კი შეიძლება მას შემდეგ, რაც იქ რუსეთის ფედერაციის ხელების ფათური შეწყდება, შემდეგ კი აფხაზი ხალხის ისტორიული წარსულის ჭეშმარიტების აღდგენით და გაცნობიერებით, რაც საუკუნეების განმავლობაში ფეხქვეშ იქელებოდა. იმედია რუსეთს ძვირად დაუჯდება აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერა. ჩვენთვის კი მთავარია გვახსოვდეს აფხაზეთი და გვქონდეს იმედი, რომ დავბრუნდებით!

ლიტერატურა:

1. მიქაძე 1997. ნ. მიქაძე გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1997.
2. ფურცელაძე 1999. მ. ფურცელაძე გაზეთი „ალია“, 1999.
3. გაზეთი „მირაჟი“ 5 ოქტომბერი, 1993.
4. გაზეთი „იბერია სპექტრი“ 1996.
5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 სექტემბერი, 2000.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 ოქტომბერი, 2005.
7. წივწივაძე 1996 თ. წივწივაძე გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1996.

1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები

სარდიონ კვალიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვაჟა ჩოჩია,** სრული პროფესორი

მთელი 70 წლის მანძილზე, ვიდრე საქართველო მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის -საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, 1924 წლის აჯანყება ტაბუდადებულ საკითხად ითვლებოდა. აჯანყების შეფასების საკითხში თავიდანვე განსხვავებული პოზიცია დაიკავა საზღვარგარეთ ემიგრირებულმა ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც თავისუფალი იყო ყოველგვარი ზეწოლისგან. 1924 წლის აჯანყების შესახებ საინტერესო მემუარები გამოაქვეყნეს უცხოეთში მცხოვრებმა სოლომონ ზალდასტანიშვილმა [1], ალ. სულხანიშვილმა [2], სიმონ გოგიბერიძემ [3], ვ. ჩუბინიძემ [4] და სხვებმა. მათ ერთხმად აღიარეს აჯანყების ეროვნულობა და მისი გამომწვევი მიზეზები. საკითხის კვლევაში ემიგრანტულ პრესას და მემუარულ ლიტერატურას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

ტაბუდადებული და გაყალბებული საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულება იცვლება XX ს. 80-იან წლებში. აქედან მოკიდებული 1924 წლის აჯანყება იხილებოდა ეროვნული ინტერესების პოზიციიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველი ისტორიკოსების პ. სურგულაძის, ლ. თოიძის, აკ. სურგულაძის, ალ. მუჯირის, ავთ. მენთეშაშვილის და სხვათა ნაშრომები. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ შევეხებით 1924 წლის აჯანყების ერთ ასპექტს, კერძოდ, აჯანყების გამომწვევ მიზეზებს.

1924 წლის აჯანყება მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა ვ. ბენიძემ [5]. შემდეგ გამოქვეყნდა რ. გრძელიძის ბროშურა [6] და ნ. კირთაძის წიგნი [7]. ამ უკანასკნელ ნაშრომში გაშუქებულია არა მარტო 1924 წლის ტრაგედია, არამედ მისი ობიექტური წანამძღვრები. დეტალურად არის წარმოჩენილი 1921-1924 წლების მთელი ეროვნული მოძრაობა. ავტორი ნ. კირთაძე ამ ნაშრომში ეყრდნობა არა მარტო მანამდე გამოქვეყნებულ ლიტერატურას, არამედ იმ დოკუმენტებსაც, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში იყო დაცული და მეცნიერი-ისტორიკოსებისთვის ხელმიუწვდომელი იყო ეს მნიშვნელოვანი წყარო.

ნებისმიერ მოვლენას თავისი ობიექტური წანამძღვრები გააჩნია. ამ მხრივ არც 1924 წლის აჯანყება წარმოადგენს გამონაკლისს. მის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა მკვლევარი თუ აჯანყების ცალკეული მონაწილე სხვადასხვაგვარად აყალიბებს. თუმცა, მასალების სიმრავლე იძლევა საშუალებას, მეტ-ნაკლები სიზუსტით დადგინდეს ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ეს აჯანყება და შეფასდეს მისი ისტორიული მნიშვნელობა. ალ. მუჯირი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ,,აგვისტოს აჯანყება მნიშვნელოვანწილად განაპირობა არა უბრალოდ შეცდომებმა, არამედ პრინციპული ხასიათის დარღვევებმა. დეფორმაციებმა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ აგრარულ, რელიგიურ და ეკოლოგიურ სფეროებში. ამ ,,დარღვევათა“ და ,,დეფორმაციათა“ ანალიზს კი მივყავართ იმ ბიუროკრატიულ სისტემამდე, რომელიც საქართველოში რუსული ხიშტის საშუალებით დამყარდა“. [8]

საქართველოს ოკუპაციას მოჰყვა მისი სრული ანექსია: ჯერ თითქოს დაუტოვეს დამოუკიდებლობა, მერე შეიყვანეს ამიერკავკასიის ფედერაციაში ხალხის დაუკითხავად და საქართველო ეკონომიკურად, ფინანსურად და პოლიტიკურად დაუმორჩილეს რუსეთის ფედერაციას [9]. ამგვარად, საქართველომ დაკარგა თავისი სრული დამოუკიდებლობა და გადაიქცა სრულიად რუსეთის საზღვრებში უბრალო კულტურულ-ავტონომიურ ერთეულად.

საქართველოს ოკუპაციის დროიდან მოკიდებული, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ჩამოაცილა ტერიტორიები თავისი მოსახლეობით: სომხეთს გადაეცა ბორჩალოს ნაწილი - ლორე; აზერბაიჯანს - ყარაიაზი, ზაქათალის ოლქი და სიღნაღის მაზრის ერთი ნაწილი; ოსმალეთს - არდაგანის ოლქი, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი [10]. 1921 წელს რუსეთის მცდელობით საქართველომ სულ დაკარგა 20 000 კვ. კილომეტრზე მეტი ტერიტორია [11]. საქართველოს რკინიგზა გააერთიანეს ამიერკავკასიის რკინიგზასთან და შემდეგ გადასცეს რუსეთის ხელისუფლებას სრულ განკარგულებაში. საქართველოში გააუქმეს ყველა პოლიტიკური პარტია, ბოლშევიკურის გარდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი პარტიები ცდილობდნენ გამოენახათ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან საერთო ენა, ხელისუფლება მორიგების მაგიერ შეუდგა მათ მასიურ დაპატიმრებას და გადასახლებას შორეული რუსეთის მკაცრი ჰავის ადგილებში.

აჯანყების განმსაზღვრელი ფაქტორი რომ სწორედ ეროვნული საკითხი იყო, ამას მოწმობდა სვანეთ-ხევსურეთის გამოსვლები, რომლებიც მიმართული იყო რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ [12]. აჯანყება სვანეთში დაიწყო და მალე თითქმის მთელ საქართველოს მოედო. ფშავ-ხევსურებს წინამძღოლობდა დემოკრატიული საქართველოს არმიის ოფიცერი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. მან ჯერ კიდევ 1921 წლის 12 მარტს, ავლევის ტყეში საბრძოლო ფიცით შეიფიცა პირველი ექვსი თანამებრძოლი, მალე მათ სხვებიც შეუერთდნენ. ასე შეიქმნა რაზმი, რომელსაც ,,შეფიცულთა“ რაზმი ეწოდა [13]. ქაქუცას ინიციატივით პარტიზანული რაზმები შეიქმნა კახეთსა და ქართლში. სამწუხაროდ, აჯანყებულთა მცირერიცხოვანი რაზმები დამარცხდნენ ძალიან ჭარბ ძალებთან, რასაც მოჰყვა სასტიკი რეპრესიები ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან.

1923 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა [14] ერთა ლიგას გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: ,,საქართველოში გამეფდა უსაშინელესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი... რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაობაა იმ წამებასთან, რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს“ [15].

ახალმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა აგრარული საკითხი, ფიქტიური აღმოჩნდა სოფლად კოოპერატიული მოძრაობაც. 1921-1923 წლები საქართველოს ეკონომიკაში უმძიმესი იყო. მოშლილი იყო სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგი - მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი. ვითარება გაამწვავა ცენტრალური ხელისუფლების სავალუტო პოლიტიკამ. ქართული ფული, რომელიც ამიერკავკასიაში ყველაზე მყარი ვალუტა იყო, გაუთანაბრეს საბჭოური რესპუბლიკების ვალუტას. შეფერხდა შრომის ნაყოფიერება, დაბალი იყო შრომითი ანაზღაურება. არ იყო ხელფასები, გადასახადების რაოდენობა კი თვითნებურად იზრდებოდა. გლეხობა და მუშათა კლასი გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე დამოუკიდებლობის პერიოდში.

აუტანელ ეკონომიკურ პირობებს ემატებოდა იდეოლოგიური პროპაგანდა, რათა ხელისუფლებას ერთპარტიული სისტემა დაემყარებინა. პარტიებმა ახალი ტაქტიკა შეიმუშავეს, რათა არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყვნენ და კონსპირაციულად მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება. ამ მიზნით, 1922-1923 წლებში ,,თვითლიკვიდაცია“ გამოაცხადეს მენშევიკებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა, ,,ახალგაზრდა მარქსისტებმა“. სოციალ-ფედერალისტები კი ორ ფრთად გაითიშნენ და 1923 წელს ,,მემარცხენეებმა“ მიიღეს კომუნისტურ პარტიასთან შეერთების გადაწყვეტილება. [16] ,,თვითლიკვიდაციის“ პროცესმა შინაგანი სიმშვიდის ატმოსფერო შექმნა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აჯანყების მომზადებას.

სვანეთ-ხევსურეთის გამოსვლებმა ნათლად აჩვენა, რომ ახალ ხელისუფლებას, როგორც დემოკრატიიდან დიქტატურისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, განსაკუთრებით ეწინაღმდეგებოდა ერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - თავადაზნაურობა და ინტელიგენცია. ბოლშევიკებს მათი არსებობა სოციალისტურ სამყაროში ზედმეტად მიაჩნდათ და გადაწყვიტეს მათი მოცილება რეპრესიებით. 1922 წლის დეკემბერს პარტიის ყველა სამაზრო კომიტეტს დაეგზავნა საგანგებო ცირკულარი, რომელიც მოითხოვდა, რომ გლეხებს საკუთარი ინიციატივით გამოერეკათ სოფლის მემამულეები თავისი სახლ-კარიდან და აღეკვეთათ მათი ბატონობა. ამ ცირკულარის მიღების შემდეგ საქართველოს სოფლებში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა [17]. გლეხობა შეესია თავად-აზნაურთა ოჯახებს, აწიოკებდნენ, იტაცებდნენ მათ ქონებას, წინააღმდეგობის გამწევთ კი ადგილზე კლავდნენ. გლეხებთან ერთად აქტიურად მოქმედებდნენ მილიცია და საგანგებო კომისიის ორგანოები.

რეპრესიები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აჯანყების გამომწვევ მიზეზთა შორის და მას ემატებოდა ანტირელიგიური კამპანია, რომელიც არანაკლები სიმკაცრით განახორციელეს კომუნისტებმა. რელიგიური ცრურწმენების აღმოფხვრის ,,რევოლუციური კურსი“ ახალი ხელისუფლების ორგანოებმა ადგილებზე გაიგეს, როგორც რეპრესიები კულტის მსახურთა მიმართ. 1923 წლის რეპრესიებში 1500 ეკლესია დაიხურა, მათი ნაწილი საწყობებად და თავლებად გამოიყენეს. უმეტესობა დაანგრიეს, საეკლესიო ქონება დაიტაცეს და დაანაწილეს. მღვდლებს მთლიანად ართმევდნენ მიწებს, წინადადებას აძლევდნენ ანაფორა გაეხადათ, წვერი გაეპარსათ, უარი ეთქვათ წოდებაზე, მხოლოდ ამის შემდეგ მისცემდნენ მათ მიწის ნორმას [18]. რეპრესიებმა შეუზღუდავი ხასიათი მიიღო. თვითონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა კიდეც, რომ ეკლესიათა ნგრევა მათი უდიდესი შეცდომა იყო და ის ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა.

ხალხის საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაპატიმრებამ იმ წერილის გამო, რომელიც მან გენუის კონფერენციას გაუგზავნა 1922 წელს და ითხოვა ევროპის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა [19]. ამბროსი ხელაიას პროცესი, რომელიც 1924 წლის მარტში მიმდინარეობდა, მტკივნეულად განიცადა საზოგადოებამ. მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა პატრიარქი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები დამოუკიდებლობის დაკარგვა და აუტანელი ყოფა იყო. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყველა კლასის, წოდებისა და ფენის გულისწყრომა დაიმსახურა. მუშათა კლასი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მათი ინტერესების გამომხატველმა მენშევიკების პარტიამ ძალაუფლება დაკარგა; გლეხმა დაკარგა მიწა ნაციონალიზაციის შედეგად; ბურჟუაზიამ - ხელისუფლების ორგანოებში მონაწილეობის უფლება და მთელი თავისი ქონება; თავადაზნაურობამ - მიწა, უფუნქციოდ დარჩა და აუტანელი ტერორის ქვეშ აღმოჩნდა; ინტელიგენციამ დაკარგა სიტყვის, პრესის თავისუფლება; სამღვდელოებამ კი - ყველა თავისი პოზიცია.

ლიტერატურა:

1. ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.
2. სულხანიშვილი ალ., ჩემი მოგონებანი, სან-ფრანცისკო, 1981.
3. გოგობერიძე ს., ბრძოლა სამშობლოსათვის, თბ., 1991.
4. ჩუბინიძე ვ., პარიზი, 1953.
5. ბენიძე ვ., 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991.
6. გრძელიძე რ., 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.
7. კირთაძე ნ., 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
8. მუჯირი ალ., ,,საქართველოს გასაბჭოება და 1924 წლის აჯანყება“, გაზ. ,,ქუთაისი“, 1990 წ. 24 თებერვალი.
9. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. 4, თბ., 2012, გვ. 280-281.
10. იხ. გოჩა საითიძე. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, თბ., 2012, გვ. 39-41.
11. იქვე, გვ. 41.
12. სურგულაძე აკ., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991, გვ. 251.
13. სულხანიშვილი ალ., დასახ. ნაშრ., გვ. 196.
14. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის 1922 წლის მაისის დამდეგს დაიდო შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“, რომელსაც პარტიულ წრეებში პარიტეტულ ან ინტერპარტიულ კომიტეტსაც უწოდებდნენ, რადგან თითოეულ პარტიას ამ კომიტეტში წარმომადგენლად ერთი წევრი ჰყავდა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს მენშევიკმა გოგიტა

ფაღავამ, ნაციონალ-დემოკრატმა იასონ ჯავახიშვილმა, სოციალ-ფედერალისტმა გრიგოლ რცხილაძემ, სხიველმა მუხრან ხოჭოლავამ და ესერმა იოსებ გობეჩიამ.
15. კირთაძე ნ., 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 133.
16. სურგულაძე აკ., სურგულაძე პ., დასახ. ნაშრ., გვ. 249.
17. ჟორდანია ნ., რჩეული ნაწერები, თბ., 1990, გვ. 86.
18. სურგულაძე აკ., სურგულაძე პ., დასახ. ნაშრ., გვ. 253.
19. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. 4, გვ. 286.

ირან-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIII საუკუნეებში

ნინო კორაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

ირანსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში კვლავ გამოცოცხლდა.

1587 წელს ირანში გამეფებულმა აბას I-მა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სულ მოკლე დროში ირანი სოციალურ-ეკონომიკურ თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოდ ქცეულიყო. ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, მან აჰყარა მდინარე არაქსზე მდებარე სომხური ქალაქი ჯ უ ლ ფ ა , რომელიც დიდ როლს ასრულებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საქმეში. აღნიშნული ქალაქის მოსახლეობა ირანის ახალი დედაქალაქის - ი ს პ ა ა ნ ი ს გარეუბანში დასახლდა. ასე შეიქმნა სომხებით დასახლებული ქალაქი ,,ახალი ჯულფა“, რომელსაც აბას I-მა დიდი პრივილეგიები მიანიჭა და დაუტოვა აღმსარებლობის უფლება. აღნიშნულ პერიოდში გაცხოველდა ირან-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში პეისონელი აღნიშნავდა, რომ ,,თბილისი წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს, სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებლად“, ხოლო სხვა ადგილას იგივე ავტორი აცხადებს, რომ ,,თბილისში ხანდახან არის ყოველგვარი სპარსული საქონლის შეძენის შესაძლებლობა. საქონელი იქ მიდის განჯიდან, შამახიდან, თავრიზიდან, ერევნიდან და არზრუმიდან“.

ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, როგორიცაა როსტომ ქართლის ვალის ,,ყანუნლამა“ და ვახტანგ VI-ის ,,დასტურლამალი“, კარგად ჩანს, რომ თბილისში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ აბრეშუმი, მარილი, ბამბა და სხვ. თუმცა, ქართველი პოლიტიკოსები იმაზეც ზრუნავდნენ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის აღებ-მიცემობას რაიმე შეფერხება არ შექმნოდა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1714 წლის 14 მაისით დათარიღებული სულხან-საბა ორბელიანის წერილი საფრანგეთის მეფისადმი: ,,თავისი გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ ინებებს ყოვლად ქრისტიანე ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამისა სისრულეში მოყვანისათვის ის არის, რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა მან შეძლოს სპარსელთა მოწინავე პირთა გულის მოგება. აგრეთვე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდეთ“.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო გორში. ეს უკანასკნელი, აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და ირანთან იყო დაკავშირებული. გორელი ვაჭრები მოგზაურობდნენ ირანში, საიდანაც შემოჰქონდათ ქსოვილები, ჭურჭელი, ძაფი და სხვ.

ქართული დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, რომ ირანში დამზადებული ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი დასახელებულია ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში.

XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული ახლა უკვე საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი. ვინმე ფარსადან ბეგს XVIII საუკუნის 10-იან წლებში 60 თუმნის აბრეშუმი

გაუტანია გასაყიდად. ყიდდნენ ასევე ღვინოს, ნიგოზს, ხილს, ენდროს. გარდა ამისა, საქართველოდან ირანში გაჰყავდათ კახური ცხენი, რომლებიც ,,გურჯის“, სახელით იყვნენ ცნობილნი.

XVII საუკუნის დასაწყისში ირანში დაიწყო საერთო ეკონომიკური აღმავლობა, რამაც გავლენა მოახდინა ირანის ქალაქების განვითარებაზე. დაწინაურდა ხელოსნურო წარმოების სხვადასხვა დარგი. ეს გარემოება ხელს უწყობდა იმ ქალაქების დაწინაურებას, რომლებიც სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე მდებარეობდნენ.

ამ დროისათვის ირანიდან ჩვენ ქვეყანაში ძვირფასი ქვებიც შემოჰქონდათ. ხსენებული პერიოდის საბუთები ამის თაობაზე საინტერესო მასალას გვაწვდიან. მაგ.: შაჰნავაზის, ქსნის ერისთავის ასულის ელენეს, ანა ქსნის ერისთავის ასულის, ლევან დადიანის დის მარიამის მზითვის წიგნებში ხშირად იხსენიება ნიშაბურის ფირუზი, ბადახშანის ლალი, იაგუნდი, მარგალიტი, ზურმუხტი.

ამავე პერიოდში ხდება ექსპორტირება ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყნებში ირანში მოქსოვილი ხალიჩებისა, რომლებიც ,,თურქული ხალიჩების“ სახელწოდებითაა ცნობილი და თიხის და მაღალხარისხოვანი ჭურჭლისა. თიხის ჭურჭლის დამზადებით განთქმული იყო ქალაქი ქაშანი, ხოლო მინის ჭურჭელი ქალაქ შირაზში მზადდებოდა.

ევროპული და ქართული დოკუმენტური წყაროები ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, რომ ირანში ,,ქართველი ვაჭრები“ ეწეოდნენ აღებ-მიცემობას.

XVII საუკუნის მიწურულისათვის ,,ქართველი სოვდაგარები“ გილანს მიემგზავრებიან აბრეშუმის შესაძენად. ამ საქმის თაოსნებად გიორგი XI და ქართველი თავადები ჩანან. ადამ ოლეარიუსსა და იან სტრეისს აქვთ ცნობა, რომლის მიხედვითაც ისპაანის გარეუბან ჰასანაბადში ცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, რომელთა შორის შესანიშნავი ვაჭრებიც იყვნენ, ისევე როგორც სომხებს შორისაცო.

ირანში ,,ქართველი ვაჭრების“ აღებ-მიცემობის შესახებ, ცნობებს გვაწვდის ე.წ. ,,ჯულაბალაშვილების დავთარი“. ჩანაწერი იწყება 1722 წლით და ეკუთვნის პაპუნა ჯულაბაშვილს, რომლიდანაც ირკვევა, რომ გორელი ვაჭრების ასპარეზი იყო ისპაჰანი, თავრიზი, გილანი, მაშათი და რეშეთი.

თავლიდარიშვილები - ესენი იყვნენ წვრილმან საქონელთა ვაჭარნი. მათ სპარსეთიდან სავაჭრო ინვენტარი მოჰქონდათ. რაც შეეხებათ გვარამდივნიშვილებს, ესენიც იყვნენ ძველისძველნი ვაჭარნი, რომელთაც სპარსეთიდან ქაღალდი შემოჰქონდათ.

ზემოთ მოყვანილ მასალაზე დაყრდნობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანის ქალაქები შუამავლის როლში გამოდიოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საქმეში.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ გარემოებაზეც: XVII-XVIII საუკუნეების ქართულ დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ინდური, შუა აზიური, ჩინური საქონელი, რომელიც, საფიქრებელია, რომ ირანის გზით შემოდიოდა საქართველოში.

ირანელი თუ ,,ქართველი ვაჭრების“ ქარავნები მიდი-მოდიოდნენ ამ ორ ქვეყანას შორის. ამავე დროს „ქართველი ვაჭრები“, როგორც ჩანს, ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ირანის ქალაქებში. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ევროპელი მოგზაურები და ქართული დოკუმენტური წყაროები. ამაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ისპაანის ერთ-ერთ უბანში ჩვენამდე მოაღწია ქართულ და ქართულ-სომხურ წარწერიანმა საფლავის ქვებმა. ქვები შემორჩენილია ისპაანის ჯულფში ნერსესის, მინასისა და სარქისის სომხურ ეკლესიათა ეზოებში. ეპიტაფიები ქართული და სომხურია. აქ გვხვდება გორელი თაყინასშვილი ზაალბეკის, სააკაშვილი გიორგის, მამაჯანაშვილი ათაბეგას, ამირბაბიაბთ ელიზბარას შვილის ბაღთასარას, მირიანთ რამაზის შვილის ზურაბბეკის, მირიანთ რამაზის შვილის, გივიბეკის საფლავები.

საყურადღებო ფაქტია ის, რომ ისპაანის ჯულფაში არის აგრეთვე გორელი ხოჯაბეგაანთ მამულისშვილი გიორგის საფლავი. აღნიშნული გვარი იხსენიება 1740 წელს თბილისურ საბუთში, რომელსაც ამოწმებენ: ქალაქის მელიქ მამასახლისი აღა, სურფნიშნის დეკანოზი ტერ-ნიკოლოზა, ჯიგრაშენის დეკანოზი ტერ-ფასიეღა, გასპარაშვილი მეწვრილმანე ავეტიკა და სხვ. მოწმეების სომხური წარმოშობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ზემოხსენებული საბუთებიდან ჩანს, რომ ხოჯაბეგიშვილები სომხები იყვნენ. როგორც ვხედავთ, ისპაანის ჯულფაში დაკრძალულთა ნაწილი გორელებია, ნაწილი – თბილისელი ვაჭრები.

თბილისს, გორსა და ირანის ქალაქებს შორის გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა იყო. მართალია, პირველობა თბილისს ეკუთვნოდა, მაგრამ გორიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ აღებ-მიცემობაში. სხვათა შორის, ამაზე მიგვითითებს ,,დასტურლამალში“ გორის ბაჯის სპეციალური მუხლი.

ზემოთ მოტანილი წყაროების ანალიზის საფუძველზე საფიქრებელია, რომ თბილისელ და გორელ ვაჭრებს ირანის ქალაქებში სავაჭრო სახლები ჰქონდათ. მათი ნაწილი იქ მუდმივად

ცხოვრობდა და ეწეოდა აღებ-მიცემობას. ისინი, როგორც ჩანს, იქ გარდაიცვალნენ და დასაფლავდნენ კიდეც.

საკმარისია გადავხედოთ ისპაანის ჯულფაში დაკრძალული ,,ქართველი ვაჭრების“ გვარებს და დავრწმუნდებით, რომ თბილისელი და გორელი სომხები ისპაანშიც კი ყაიდაზე დაბოლოებული გვარებით ცხოვრობდენ. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ მათ საფლავებს ისპაანის ჯულფაში, სომხური ეკლესიების ეზოებში წარწერები ქართულ-სომხურად და ზოგიერთს მხოლოდ ქართულად აქვს გაკეთებული.

,,ქართველ სომხებს“ ევროპელი მოგზაურები და ირანის საზოგადოება განასხვავებდა ისპაანის ჯულფაში მცხოვრები სომხებისაგან.

ამრიგად, საქართველო ირანის ქალაქების საშუალებით ჩაბმული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების და ევროპის საერთაშორისო ვაჭრობაში.

ლიტერატურა:

1. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I ნაწილი, თბ., 1994.
2. კაციტაძე დ., ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII-XVIII სს), 1992.
3. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
4. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.
5. გაბაშვილი ვ., თბილისი XVI- XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, თსუ შრომები, 99, თბ., 1962.
6. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წყაროები საქართველოზე, თბ., 1964.
7. გაბაშვილი ვ., XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966.
8. თოდუა მ., ქართული ნეკროპოლი ირანში, ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1971.
9. ტიკაძე მ., ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობანი სირიის ქალაქებთან და ლევანტის ვაჭრობა XVI-XVIII სს., ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970.
10. მაისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა XIII-XVIII სს., თბ., 1982.
11. ქიქოძე მ., ვაჭრობა XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის სამეფოში, თბ., 1965.
12. კაკაბაძე ს., საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 სს., 1940.
13. მეგრელიძე დ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963.
14. კუცია მ., სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966.
15. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1904.
16. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, 1969.

სურამელთა საგვარეულოს ქრონოლოგიისა და პოლიტიკურ-გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისათვის

თინათინ მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასისტენტ პროფესორი

სხვადასხვა წყაროებით, XII-XIII საუკუნეებში ქართლს განაგებდა სურამელთა ფეოდალური სახლი, რომელთა რეზიდენცია, ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ,,სურამის ციხე და ქალაქი იყო“ **(4:247-248)**. სურამელები XII ს-ის 60-იან წლების დასაწყისიდან ჩანან საქართველოს ისტორიაში.

მკვლევართა აზრით, სურამელების წინაპრები ფავნელები - ქართლის დიდი აზნაურები არიან. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს გრიგოლ სურამელის ,,დაწერილი“ შიომღვიმის მონასტრისადმი **(8:25).**

ერისთავის სიგელში ნათქვამია, რომ ,,გავაზელნი სოფელი ფავნელთაგან გეყიდნეს ძველთაგანვე და დაწერილიცა გაქუს ფავნელთაგან მონასყიდობისაი და თავისუფლებისაი...“ **(14:122).** გრიგოლ სურამელი სოფელ გავაზს წირავს შიომღვიმეს და ამბობს: ,,საჩვენოი გავაზელთა სოფლისა ,,ყოველივე დავთმე საციხოი სამართალი და სახმარი ჩემისა სულისა საკურთხევლად...“ გრიგოლ სულას ძე სურამელი ასევე აძლევს შეუვალობას ,,ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისგან... ესე ყოველი ჩემითანებითა დამიწერია... მე, ხელითა ჩემითა ძესა სულკურთხეულისა სულა ქართლის ერისთავთა ერისთავისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა, მარჯუენით დგუამსა ძმისა ჩემისა ივანესა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასა...“ **(17:37-38).** ეს შეწირულობა შიომღვიმისადმი გრიგოლმა დაწერა მონღოლებთან ლაშქრობაში წასვლამდე. შეწირულობიდან ისიც ჩანს, რომ გრიგოლის წასვლა მონღოლებთან პირველი არ არის, იძულებითია და სჯულისა და ერის გადარჩენის მიზნით ეწყობა. წასვლის წინ იგი ძესა და ძმას მიმართავს: ,,ძმაო ივანე და ძეო ჩემო ბეგაო, თქვენ მიგითვალავ ამას ანდერძსა მე, გრიგოლ ქართლის ერისთავი, მიმავალი მეოთხედ წარმართთა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათვის'' **(17:39).**

გრიგოლ სურამელის ,,დაწერილიდან“ ვიგებთ, რომ სოფელი გავაზელნი თავის დროზე შიომღვიმის მონასტერს უყიდია ფავნელებისგან და ამჯერად გრიგოლ სურამელი ხელმეორედ უახლებს მას. ამასთან, ხსენებული სოფელი ხელისუფლებას უსამართლოდ დაუბეგრავს და გრიგოლ სურამელი ამ ვალდებულებებისაგან ათავისუფლებს მას: ,,ნასყიდნი სოფელი გავაზელნი უსამართლოისა ხელისუფალთა ზედადბულისა ბეგრისა და შეუვალობისაგან გაუთავისუფლებიან“, ნათქვამია შეწირულობის საბუთში **(8:26).**

სურამელთა საგვარეულოს წარმომავლობა ვახუშტი ბატონიშვილისთვის ცნობილი არ არის. იგი თავის ცნობილ ნაშრომში ჩამოთვლის იმ მთავართა გვარებს, რომლებიც ,,ერისთაობით იწერვიან“ და იქვე მიუთითებს იმ გვარებზეც, რომელებიც ,,არა წარიწერებიან ცხადად საცნობლად, ვითარცა იტყვს ყუთლუ-არსაღისას და ყუბასარისასა და ქართლის ერისთავი გრიგოლ და სურამელი რატი და გრიგოლი... რაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, სომხითის მანკაბერ-სადუნი და არა გუარი მისი...“ **(3:28)**.

ქართულ ისტორიულ წყაროებში სურამელის ზეწოდებით პირველად მოიხსენიება ბექა 1161 წ. ქ. ანისის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ პერიოდში მოხდა განჯის ამირა ფადლონის წინააღმდეგ აჯანყება. ანისელებმა დაამარცხეს ფადლონი და ქალაქი საქართველოს მეფეს გიორგი III-ეს შესთავაზეს, გიორგის მიერ ანისის დაკავებას ხლათის, დიარბექირის და სხვათა მმართველები შეეწინააღმდეგნენ. მათ კოალიცია შექმნეს და ქართველთა წინააღმდეგ გამოლაშქრებას აპირებდნენ, მაგრამ არც გიორგი III იჯდა გულხელდაკრეფილი და ლაშქრის შეყრა ბრძანა: ,,მოუწოდა ამილახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა...'' **(3:167)**.

ბეგა I XII ს-ის II ნახევარში მოღვაწე ქართველი დიდგვარიანი ფეოდალია. XII ს-ის 60-იანი წლებისათვის სურამელთა საგვარეულო სამეფო კარზე უკვე დაწინაურებული ჩანს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მემატიანე ბექა სურამელს განსაკუთრებულად არ მოიხსენიებდა.

ლაშა-გიორგის მიერ ქვათახევის მონასტრისადმი მიცემული სიგელიდან ცნობილი ხდება, რომ გიორგი III-ს ბექა სურამელსათვის სოფელი სულნეთი უწყალობებია. რომელიც ,,პაპისა ჩვენისაგან პაპასა და მამასა მისსა ჰქონებოდა და ...მონასტერს მისსა ქვათახევს შევწირეთო.'' აქედან ირკვევა, რომ ამ სოფელს ჯერ კიდევ გიორგი III დროს სურამელთა სახლი განაგებდა, ხოლო შემდეგ სულას შეუწირავს ქვათახევის მონასტრისთვის ,,მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა.'' **(17:35).**

სურამელთა ფეოდალური სახლის ასევე ცნობილი წარმომადგენელია რატი I, რომელიც XII ს. II ნახევარსა და XIII ს. დასაწყისში მოღვაწეობდა. იგი ბეგა I-ის და ხვაშაქ ცოქალის შვილია **(16:609).** რატი სურამელი წყაროებში პირველად 1170 წ. ჩნდება გიორგი III-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში **(14:108).** სურამელთა გვარიდან პირველად სწორედ ეს რატი ჩანს ქართლის ერისთავთ-ერისთავად. ცნობილია, რომ თამარ მეფემ ყუთლუ-არსლანის თანამოაზრეებს მოსალაპარაკებლად მიუგზავნა ორი საპატიო ,,დიოფალი“: ,,ხაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი და კრავაი ჯაყელი დედა აწ მყოფთა სამძივართა“ **(12:32).**

რატი სურამელის ქართლის ერისთავთ-ერისთავად აღზევებისათვის ხელი უნდა შეეწყო გიორგი III-ის წინააღმდეგ 1177 წ. დემნა უფლისწულის აჯანყებას. მეფე ამ აჯანყებაში მონაწილე ორგულ მოხელეთა ადგილზე თავის მომხრე ერთგულებს ნიშნავს. ამავე დროს ,,მეფემ შეცვალა სუმბატისძე ლიპარიტ - რატი სურამელით“ **(11:134)**.

თამარის დროის ერისთავნი იყვნენ: ,,ბარამ ვარდანისძე, სვანთა ერისთავი ...ლიხთ-ამერით ქართლის ერისთავად რატი სურამელი“ **(4:151).** როგორც ვხედავთ, რატი სურამელი თამარის დროსაც ინარჩუნებს ერისთავობის ტიტულს, განსხვავებით სხვა ერისთავებისგან და, შესაბამისად, მეფის მომხრეთა დასშიც ირიცხება. რატი თამარის დროს ,,ახლად გაერისთავებულია“.

უნდა აღინიშნოს, რომ 1185-1187 წ.წ. რატი სურამელს ქართლის ერისთავთ-ერისთავის სახელო ჩამორთმეული ჰქონდა. ამ პერიოდში ერისთავად ჩანს აბულასანი, მაგრამ 1187 წელს, როდესაც გიორგი რუსი საქართველოდან განდევნეს, ერისთავის სახელო აბულასანს ჩამოართვეს და კვლავ რატი სურამელს გადასცეს **(8:28).**

მონღოლთა ბატონობის ხანაში ხშირად ფიგურირებს გრიგოლ სურამელის სახელი. მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებს ავალდებულებდნენ მონაწილეობა მიეღოთ გაუთავებელ ლაშქრობებში. სამაგიეროდ, მათ მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ მეტი ნაალაფევი მიეღოთ, მაგ.: ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა ლაშქრობაში მონაწილეობის შედეგად „ხმლით ნაშოვები“, იყიდა სოფელი ანგორინი **(11:783).**

მ. დანდურიშვილის აზრით, გრიგოლ სურამელი უნდა ყოფილიყო კოხტასთავის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე **(8:39).**

იგივე გრიგოლ სურამელი XIII ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში, უმეფობის პერიოდში, დავით ლაშა-გიორგის ძის გამეფების ინიციატორად ჩანს.

იგი, თანამოაზრეებთან ერთად, რუსუდანის ვაჟის გამეფებას არ ეგუება და მამიდის ვერაგობის წყალობით რუმში გადახვეწილ დავით ლაშას ძეს ეძებს: „ამისთვის შეკრბეს მთავარნი საქართველოსანი: შანშე, ვარამ გაგელი... სურამელი გრიგოლ ქართლის ერისთავი და მრავალნი მთავარნი და ძებნა ყუეს ლაშა ძისა დავითისათვის“ **(4:212).**

გრიგოლ სურამელი, ქართლის ერისთაობასთან ერთად, მსახურთუხუცესის სახელოსაც ფლობდა. ეს სახელო მას საქართველოში მეფობის აღდგენის შემდგომ უნდა მიეღო. გრიგოლ სურამელის მღვიმისადმი ,,დაწერილში“ (1247-50), იგი მხოლოდ ქართლის ერისთავია, ხოლო მღვიმის კრებულისადმი ,,დაწერილში'' (1249-60), უკვე მსახურთუხუცესის სახელოთიც მოიხსენიება **(14:130).**

გრიგოლ სურამელი გვხვდება 1269 წ. დავით ლაშა-გიორგის ძის მიერ ორგანიზებულ აჯანყების დროსაც. ეს აჯანყება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასთან დაკავშირებული მოვლენები სურამ-ხაშურისა და ახალდაბის მიდამოებში ვითარდება.

გრიგოლ სურამელს ჰყავს ძმა - ივანე, რომელიც მეაბჯრეთუხუცესის სახელოს ფლობს. იგი რამდენჯერმე მოიხსენიება გრიგოლ სურამელის ,,დაწერილში“ მღვიმისადმი. ერთგან გრიგოლი მღვიმისადმი ,,დაწერილზე“ როცა საუბრობს, აღნიშნავს: ,,ესე ყოველი ჩემი ნებითა დამიწერიაო“, იქვე მიუთითებს თავის ძმაზე: ,,ძმისა ჩემისა ივანესსა“ **(14:123).** მონღოლებთან ერთად ალამუთს სალაშქროდ მიმავალი გრიგოლი ანდერძს თავის ძესთან ერთად ძმასაც უბარებს: ,,შენ ძმაო ივანე და ძეო ჩემო ბეგაო, თქვენ მიგითუალავ ამას ანდერძსა“ **(17:39).**

გრიგოლის შემდეგ XIII ს-ის 70-იანი წლებიდან ქართლის ერისთავი მისი ძე ბეგაა. იგი ამავე დროს ფლობს მსახურთუხუცესის სახელოსაც. გრიგოლ სურამელის ,,დაწერილში“ (1247-50) ბეგას რაიმე თანამდებობა არ უჭირავს **(14:124).** მხოლოდ გვიანდელ მინაწერებში მოიხსენიება იგი ქართლის ერისთავად: ,,ეს, ვითა პატრონსა და ღმერთშემოსილსა მამასა ჩემსა უბრძანებია და დაუწერია და შეუწირავს ყოველი ჩვენი მოსავალი გავაზელთაი, მეცა, მათსა მიწისა და ძესა ბეგასა ქართლისა ერისთავისა განაღამცა დამიმტკიცებია და მტკიცე ყოს ღმერთმან“ **(14:125).**

შემორჩენილია ბეგა გრიგოლის ძე სურამელის ,,დაწერილი“ ქაფქუა ჯომარდისძისადმი, რომელსაც სურს შეიძინოს ქაფქუა ჯომარდიძისა და მისი ძმის ,,საჯდომი სახლი“, სამაგიეროდ, მისი განაყოფის მამულს აძლევს: ,,მე, მსახურთ უხუცესმან ბეგამან, ძემან გრიგოლ სულკურთხეულისამან, შენა ჯომარდის ძესა ქაფქუას და ძმას შენსა ჯიბისა ...მომინდა თქვენი მამული პატარა ადგილი ჩემდა დასაჯდომად ...და მოგეც მისდა სანაცვლოდ შენისა განყოფისა ოქროის მამული ნასყიდი და უსყიდელი და მისი საჯდომი სახლითა“ **(17:77).**

ბეგა სურამელი დავით რუსუდანის ძესთან დაახლოებული პირია. იგი დავითთან ,,თანაზრდილი“ იყო. დავით ნარინი 1225 წ. დაიბადა, დაახლოებით ამავე წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაბადებული ბეგაც. როგორც ჩანს, იგი მონღოლებშიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას ,,თათარნი სალიმბეგობით უხმობდეს, ე.ი. არს კარგი ბეგაი“ **(8:39).**

ბეგას შემდეგ ქართლის ერისთავი და მსახურთუხუცესი მისი შვილი ამადაა. ბეგას მეორე ვაჟი რატი დემეტრე მეფის თანამედროვეა. დემეტრე II ხშირად იღებდა მონაწილეობას მონღოლთა ლაშქრობებში და მის გვერდით არის რატიც.

1286 წ. არღუნ ყაენმა მოუწოდა დემეტრე მეფეს განდგომილ დარუბანდელებთან საბრძოლველად, რომლის დროსაც დიდი შემართება და გმირობა გამოუჩენია რატი სურამელს. ,,რამეთუ ბეგას შვილი რატი უპირველეს გავიდა, წარუღეს ციხე და თავადნი მათნი დახოცნეს და წარმოიღეს ტყუე და განძი და დედაწული მათი და ციხე დაწუეს“ **(8:45).**

XIII ს-ის 80-იან წლებში დავით ულუმ გრიგოლ და ბეგა სურამელების რჩევით ოსებს ,,მისცა გორის ციხე და ქალაქი“ და დაავალა დაეცვათ ქართლი იელღურის მარბიელი ლაშქრისაგან **(8:39),** მაგრამ

მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. იმის ნაცვლად, რომ ოსებს დაეცვათ ქალაქი, მათ ,,ქალაქი გორი წარტყვნეს და თავისად დაიჭირეს “.

ჰამადა სურამელს მიზნად დაუსახავს ოსთა განდევნა გორიდან: ,,მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ჰამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწვეს გორი სრულიად“ **(12:296).**

თათართა ხელშეწყობით XIII ს. 90-იან წ.წ ქართლში შეიქმნა ახალი სამთავრო ოსებისა ფარეჯან ოსის მეთაურობით, მათი ცენტრი იყო გორი **(4:249)**. ამ დროს ახლადდამკვიდრებული ოსების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლას მეთაურობს ბეგას შვილი რატი.

1300 წ. საქართველოში მონღოლთა დიდი ლაშქარი შემოვიდა. ქართველ დიდებულთა ერთმა ნაწილმა მეფეს უღალატა და მონღოლთა მხარეს გადავიდა. მეფის გვერდით დგას სურამელების საგვარეულო და მათი მეთაური ამადა, რომელიც მეფესთან ერთად იბრძვის მონღოლთა წინააღმდეგ: ,,დაატკიცეს და დაადგეს ერთგულებას მეფისას სურამელი ჰამადა“, გადმოგვცემს მემატიანე.

ამადა სურამელის ქალიშვილი ცოლად შეირთო დავით VIII-მ და სურამელები ასე დაუნათესავდნენ სამეფო კარს. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მონღოლებმა წაჰგვარეს მეუღლე-ოლჯათი (გარდაცვლილი ვახტანგ II-ის ცოლი). ,,ვითარ ცნა მეფემან იქორწინა ქართლისა ერისთავის ჰამადას ასული“ , რომელიც ,,ფრიად ქმნუკეთილით“ ყოფილა **(8:47).**

ამადა და რატი სურამელების შემდეგ სურამელთა საგვარეულოს წარმომადგენლები უცნობია, თუმცა ქართლის ერისთავთ-ერისთავების სახელო კვლავ არსებობს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის საერისთავო XIV ს-ის II ნახევარში გაქრა **(6:55).** თუმცა, გ. არახამიას მიაჩნია, რომ XV ს-ის 60-70-იან წლებში არსებული ქართლის ერისთავთ- საერისთავო XIV ს. II ნახევარში ვერ მოიშლებოდა და ფიქრობს, რომ ,,ცხადია ასეთი ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა XIV-XV ს.ს. მიჯნაზე **(1:134).** მკვლევარს ამას აფიქრებინებს ,,ძეგლი ერისთავთაში'' 1404-1405 წწ. დათარიღებული მომხდარი ამბები. 1403 წ., თემურ-ლენგის მორიგი ლაშქრობის შემდეგ, მეფე გიორგი VII იძულებული გახდა ჯერ დასავლეთ და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გადასულიყო: ,,მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთ-იმერით და ესმა დვალთაგან ღალატი ერის თავისაი (იგულისხმება ცხრაზმის ერისთავი) განრისხნა და განილაშქრა მათზედა და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყვევნაი და ოხრებაი მათი **(17:116).** ამ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებს არაგვის ხეობაც, რომელთა ხელმძღვანელი სურამელია: ,,მაშინ მთიულნი არაგვისა ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი ერთად იყუნეს და უძღოდა მათ ერისთავი მათი'' **(17:117).**

გ. არახამიას ზემოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგო აზრს ავითარებს მკვლევარი მ. ბახტაძე. იგი აღნიშნავს, რომ ,,სურამელი არის პიროვნების სახელი და საერთო არაფერი აქვს ქართლის ერისთავების გვართან. მისი ეს აზრი ემყარება იმას, რომ XV ს. იყო შემთხვევები, როდესაც პიროვნების სახელად გვევლინება წინა საუკუნეებში გავრცელებული გვარები.

საინტერესოა, რატომ აღარ ჩანან XIV ს-ის 10-იანი წლების შემდეგ სურამელები? როგორც უკვე ვთქვით, დავით VIII-ის მეორე ცოლი ამადა სურამელის ასული იყო. დავითის ვაჟი გიორგი მცირე (VI) ტახტზე 1308 წ. აიყვანეს, ხოლო დავითის გარდაცვალების შემდეგ იგი მეორედ 1314 წ. გაამეფეს **(8:46).**

დავით VIII შემდეგ, კანონის თანახმად, მის შვილს გიორგი მცირეს უნდა ემეფა, მაგრამ საქართველოს მეფედ 1318 წელს დაამტკიცეს გიორგი V **(8:46).** ამ მოვლენებს უკავშირებს მ. ბახტაძე სურამელების ისტორიის ასპარეზიდან გაუჩინარებას. ,,ცხადია გიორგი მცირეს თავისი მომხრეებიც ეყოლებოდა, რომელთა შორის სურამელებიც უნდა ყოფილიყვნენ. გიორგი V, რა თქმა უნდა შეეცდებოდა გიორგი მცირის მომხრეების თავიდან მოცილებას და საკუთარი პოზიციების განმტკიცებას. ასეთ ვითარებაში მიუღებელი იქნებოდა მსახურთუხუცესად და ქართლის ერისთავად სურამელთა საგვარეულოს წარმომდგენლების დატოვება“ **(2:127)**.

მისივე აზრით, ერისთავობა სურამელებმა ალბათ 1318-1327 წ.წ. შუა დაკარგეს. ამის შემდეგ ეს საგვარეულო კარგავს თავის გავლენას და წყაროებში აღარ მოიხსენიება **(2:28).**

XII ს-ის 70-იან წლებიდან XIV ს. შუა წლებამდე ქართლის ერისთავები სურამელთა საგვარეულოს წევრები არიან. მათი საგვარეულო მამულები შიდა ქართლში მდებარეობდა და მათ შორის თეძმის ხეობაში **(9:12).**

ქართლის ერისთავთ-ერისთავის სახელოს დაკარგვასთან ერთად სურამელებს თავიანთი რეზიდენცია - სურამიც უნდა ჩამორთმეოდათ. სავარაუდოდ, ,,სურამი ამდროიდან სამეფო კარის განკარგულებაში გადავიდა და საუფლისწულო მამული ხდება.

სურამი რომ უკვე სამეფო მამულია, ამაზე უნდა მეტყველებდეს ერთი ფაქტიც. დოროთეოზ კათალიკოზმა 1525-1527 წ.წ. გიორგი IX-გან იყიდა ,,სურამის პირს სოფელი იტრია, დიდის ფასითა, აზნაურნი იქ მსახლობელნი'' **(8:49).**

ამრიგად, სურამელთა ფეოდალური სახლი საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი ქართლის ერისთავთ-ერისთავების ტიტულს ფლობდნენ და დაწინაურებულნი იყვნენ XII ს. II ნახევრიდან XIV ს. 10-იან წლებამდე. მათი გავლენა, საკუთრივ ქართლის გარდა (შიომღვიმე, კასპი, თეძმის ხეობა, ქვათახევი, გორი, სურამი, ასევე გამქრალი ტოპონიმები: სულნეთი, ანგორინი), ხშირად რეგიონის საზღვრებსაც სცდებოდა და გარკვეულ წლებში გავაზისა[1] და ვარძიის მფლობელებადაც გვევლინებიან.

ლიტერატურა:

1. არახამია გ., ძველი საგვარეულო მატიანეები, თბ., 1988.
2. ბახტაძე მ., სურამელთა საგვარეულო. თბ., 2006.
3. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
4. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.IX. თბ., 1979.
5. გაფრინდაშვილი ვ., ვარძია, თბ., 1976.
6. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
7. ლაცაბიძე თ., ამბავი სურამის ციხისა, თბ., 2012.
8. დანდურიშვილი მ., სურამელთა ფეოდალური საგვარეულო სახლის ისტორიისთვის XII ს-ის II ნახევრიდან XIV ს. დასაწყისამდე, ხაშური, 2002.
9. მაკალათია ს., თეძმის ხეობა, თბ., 1959.
10. ნატროშვილი თ., მარშიყით მაღრიბამდე, თბ., 1978.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა. თბ., 1979.
12. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
13. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
14. ქართული ისტორიული საბუთები, ტ. IX, შემდ. თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, თბ., 1984.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV., თბ., 1979.
16. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX., თბ., 1979.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, შემდ. ი. დოლიძე, თბ., 1965.
18. ქართულის სამართლი ძეგლები, ტ. III, შემდ. ი. დოლიძე, თბ., 1965.

სამარხთა ძირითადი ტიპები და დაკრძალვის წესი ანტიკური ხანის საქართველოში (ძვ. წ. VI - ახ. წ. IV სს)

მადონა მოსიაშვილი, მერი გიგუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მინდიაშვილი,** მოწვეული დოქტორი

სამარხთა ნაგებობები და დაკრძალვის წესი ის უმთავრესი ინფორმაციის წყაროა, რომელიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ შესასწავლი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, რწმენა წარმოდგენასა და ეთნიკურ კუთვნილებაზე.

მიცვალებულის ძლიერი კულტით არის აღბეჭდილი ანტიკური ხანის ყველა ტიპის სამარხი. ეს კულტი თითქმის ისეთივე ძლიერია ანტიკურ ხანაში, როგორც მის წინამორბედ ეტაპზე და გაცილებით ძლიერი, ვიდრე ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ. ანტიკური ხანის საქართველოში სხვადასხვა ტიპის სამარხები გვხვდება. ესენია: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, ქვისსამარხები, აკლდამები, კრამიტსამარხები, აგურით ნაგები და თიხის სარკოფაგები.

[1] თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხსენებული „გავაზი“ არ უნდა გავაიგივოთ დღევანდელ ყვარლის რაიონის ამავე დასახელების სოფელთან და მისი ლოკალიზაცია ქართლში, ან მის სიახლოვეს უნდა განვსაზღვროთ.

ორმოსამარხები წინა პერიოდიდან გადმოსდევს ანტიკურ ხანას და მის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. ამ ტიპის სამარხების არსებობისას შეინიშნება მათი მოყვანილობისა და ზომის ცვლილება; ისინი, როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე ლოდით არიან გადახურული, თუმცა გვხვდება ძელებით გადახურულიც, რომელზეც მიწის ან ქვის ყრილი უნდა ყოფილიყო გაკეთებული. ასეთ სამარხთა რიცხვს მიეკუთვნება ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე გათხრილი ძვ. წ. V ს–ის მეომრის სამარხი. მისი სამარხი ორმო გამოკვეთილი უნდა იყო დედაქანში, რომელიც იქ თირის რბილი კლდით არის წარმოდგენილი. ორმოში მიცვალებული ხის სარკოფაგით უნდა ყოფილიყო ჩასვენებული, რომელზეც მიწისა და ქვის ყრილი იყო გაკეთებული. მიცვალებული მეომარი დაკრძალული იყო თავით ჩრდილოეთისკენ, ზურგზე მწოლიარე, ჩონჩხის მდგომარეობის მიხედვით ჩანს, რომ მიცვალებული სარეცელზე ესვენა. V ს–ის ამ, ძვ.წ. სამარხის გარდა ვანში აღმოჩნდა კიდევ 2, ძვ. წ. IV ს–ის ორმოსამარხი. ორმოსამარხი აღმოჩენილია გურჯაანშიც, სადაც ის მიწის ზედაპირიდან 2 მეტრის სიგრძეზე მდებარეობდა და ძვ.წ. III-II სს მიეკუთვნება. მდიდრული ორმოსამარხების ჯგუფი აღმოჩენილია სოფელ კლდეეთშის (ზესტაფონის რაიონი), მდიდრული სამარხი ასევე აღმოჩნდა სოფელ თაგილონში (გალის რაიონი), სოფელ აღაიანთან (კასპის რაიონი) სოფელ ასურეთთან პაპიგორის და შავსაყდარა I სამარხებზე (თეთრი წყაროს რაიონი) და სხვ.

სამარხის შემდეგი ტიპი, რომელიც წინა პერიოდიდან გადმოჰყვა ანტიკურ ხანას, არის ქვის სამარხები.

ქვის სამარხები ყველაზე დამახასიათებელია ანტიკური ხანისათვის. ქვის სამარხთა შორის გვხვდება: ქვის დიდი და ბრტყელი ლოდებისგან შედგენილი ანუ ფილაქვით ნაგები, მთლიანკვეთილი სარკოფაგები, აკლდამები და წვრილი ნატეხი ქვით ნაგები სამარხები. ქვის დიდი და ბრტყელი ლოდებისგან შედგენილი სამარხები მარტივი აგებულებისაა. ქვის ან ქვიშაქვის მეტ-ნაკლებად კარგად გათხრილი ბრტყელი ლოდებისგან შედგენილია მოგრძო, ოთხკუთხა, მოყვანილობის ნაგებობა, რომლის სახურავად გამოთლილი უსიამოვნოდ შესახედი ლოდებია, ფილაქვით ნაგებთა შორის სახურავის მოყვანილობის მიხედვით გამოირჩევა ბანურსახურავიანი სამარხები.

საკუთრივ ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ სამარხთა ტიპს მიეკუთვნება ორმოსამარხები – ძვ. წ. VI-I საუკუნეები. ქვევრსამარხების ნაწილი გვიანდელ ორმოსამარხებთან ერთად გვხვდება და სამარხეული ინვენტარიც თითქმის სავსებით ერთნაირია, სამარხად გამოყენებული ქვევრები გვერდზე დევს და მიცვალებული მათში ხელფეხმოკეცილი გვერდზე დაუწვენიათ. უძველესი ქვევრსამარხები დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი (დაბლაგომი, ფარცხანაყანევი, ბორი, ბანძა, ქუთაისი, ცხაკაია, ახალსოფელი, ნოსირი და სხვ.).

იქ ამ სახის სამარხები ძვ.წ. VI-Vსს. ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები ვრცელდება უფრო გვიან. ძვ.წ. III ს.–ის შემდეგაც (მცხეთა, ზემო ავჭალა, ურბნისი, კავთისხევი, თბილისი, საგარეჯო, თელავი, მაჩხაანი, წითელწყარო, შავსაყდარა, ასურეთი), მაგრამ მიუთითებენ უფრო ადრინდელ ქვევრსამარხებსაც თეთრწყაროში, რომლებიც თითქოს ძვ.წ. VI– V საუკუნეებს უნდა მიეკუთვნონ.

ძვ. წ. I და ახ. წ. II სს გამოჩენას იწყებენ კრამიტსამარხები. ამ ტიპის სამარხის ასაგებად გამოყენებულია 2 სახის კრამიტი: ბრტყელი გვერდებაკეცილი (სოლენის ტიპისა) და ღარისებრი (კალლიფტერი). ძვ.წ. I ს–ის კრამიტსამარხებში მიცვალებულის ხელფეხმოკეცილი მდგომარეობაა დადასტურებული, უფრო გვიან კი გულაღმა გაშოტილი. აღნაგობის მიხედვით კრამიტსამარხი პატარა სახლს წარმოადგენს, რომელთაგან ერთი ნაწილი 4 კედლიანია, ნაწილი კი 6 კედლიანი. სახურავი ამ ,,სახლებს“ ან ბანური აქვთ ან ორფერდა. წყვილთა დასაფლავება კრამიტისამარხებშიც დასტურდება. სიახლეა მიცვალებულის მდგომარეობაში. როგორც წესი, მიცვალებული პირაღმა გაშოტილი წევს, თავით დასავლეთისკენ. პირველად კრამიტსამარხებში იჩენს თავს მკაფიო ცვლილება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიცვალებულს ხელფეხმოკეცილს და გვერდზედაწვენილს კი აღარ ასაფლავებენ, არამედ პირაღმა გაშოტილს კრძალავენ. ამ ტიპის სამარხებში იკრძალებიან როგორც მდიდარი, ისე ღარიბი მიცვალებულები. მთლიანკვეთილი ქვის სამარხ–სარკოფაგები ახ. წ. I-II სს საერთოდ ცოტაა საქართველოში აღმოჩენილი, სახელდობრ: 5 - მცხეთაში, 1 -დიღომში, და რამდენიმე ვანში. სამარხი ოთხკუთხა მოყვანილობის მოგრძო და საკმაოდ მაღალი პარალელეპიპედისებური ყუთია.

ეს ნაწილი ორივე შემთხვევაში ორივე მხრიდან საგანგებოდ არის დამუშავებული. ესაა სამარხის ძირითადი ნაწილი, რომელშიც მიცვალებული უნდა ჩაესვენებინათ და დასაკრძალად გადარჩეული სამკაული თუ სხვა ნივთები მოუთავსებიათ, სარკოფაგთა მოცულობაც, შესაბამისად, მნიშვნელოვნად ნაკლებია. სარკოფაგი დიდი არ არის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასში 2 მიცვალებული უნდა ყოფილიყო ჩასვენებული. ასეთია არმაზხევის VI სამარხი–სარკოფაგები. მთლიანკვეთილ სამარხ–სარკოფაგებში, როგორც ირკვევა, სამეფო მმართველის წრის წარმომადგენელი და მათი ოჯახის წევრები დაუკრძალავთ. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს გაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი, რომელშიც მეფე

თუ მეფის ასული იყო დაკრძალული და არმაზხევის VI და VII სამარხები, რომელშიც პიტიახშთა ასულები (ერთში ალბათ სერაფიტი) იყვნენ დაკრძალულნი, ამათგან ნიშანდობლივია მათში მეტად მდიდრული ინვენტარის აღმოჩენა. რაც შეეხება თიხის საკროფაგს, საქართველოში პირველი თიხის სარკოფაგი ცნობილია საგურამოდან, ურბნისიდან, ბორჯომის ხეობიდან და ატენიდან. სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ თიხის სარკოფაგები საქართველოში არსებობას იწყებენ ძვ.წ. I ს–ში, ხოლო ფართოდ ვრცელდებიან ახ. წ. IV სს–ში. სამარხების უმრავლესობაში, მართალია, დადასტურებულია მიცვალებულის ზურგზე გაშოტილი დაკრძალვა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მიცვალებულებს ფეხები მუხლებში აქვთ მოხრილი.

ანტიკურ ხანაში ისევე, როგორც წინა საფეხურზე გაბატონებულია მიცვალებულის დაკრძალვა – ინჰუმაცია, მაგრამ ზოგიერთ თემში ჩონჩხის დაწვის წესი არის დადგენილი, ამასთანავე შენიშნულია, რომ ინჰუმაცია და კრემაცია თანაარსებობენ არა საზოგადოდ, არამედ ერთ სამაროვანზეც კი. ასეთია ბრილისა და გვიანანტიკური სამარხოვანი წებელდაში. ბრილის სამაროვანზე კრემაცია ადრეანტიკური ხანის პირველ საფეხურზე შეიმჩნევა, შემდეგ მას ცვლის ინჰუმაცია ქვის სამარხებში დაკრძალვით.

ორმოსამარხები აღმოჩნდა:

პაპიგორის სამაროვანზეც, თეთრიწყაროს რაიონში, თბილისი–თეთრიწყაროს საავტომობილო გზის მახლობლად 1983 წლის მიწურულს, პაპიგორაზევეა აღმოჩენილი ქვაყუთები და ქვევრსამარხი.

ქვაყუთები ნაგებია ქვიშაქვის მოყვითალო ფერის ფილებით. სამარხთა კედლები, როგორც წესი, თითო ფილითაა შედგენილი. სახურავი კი თითო ან რამდენიმე ფილისგან შედგება, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში გადახურვა არ შემონახულა. სამივე ტიპის სამარხში დადასტურებულია დაკრძალვის ერთგვარი წესი. ყველა სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებულები დაკრძალულნი არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მკვეთრად მოხრილი კიდურებით. ქვევრსამარხი წარმოადგენს ვარდისფრად გამომწვარ ბრტყელძირიან ქვევრს, რომელიც დაწვენილია გვერდზე ჰორიზონტალურად, პირით ჩრდილოეთისკენ. ქვევრს ყელზე შემოუყვება სოლისებური ნაჭდევები.

თეთრიწყაროს რაიონში აღმოჩნდა შავსაყდარა სამაროვანი. როგორც პიპიგორის სამაროვანზე, აქაც დადასტურდა სამარხის სამი ტიპი: ქვაყუთი, ორმოსამარხი და ქვევრსამარხი. ქვაყუთები ნაგებია ბაზალტის საკმაო უსწორმასწორო ფილებით. ქვესამარხი საკმაოდ ორიგინალურად გამართული, მიწაში ირიბად ჩასმული ქვევრის პირს ზემოთ გამართული იყო ჩვეულებრივი ქვაყუთი, ქვევრსამარხში, რომელიც ორიენტირებული იყო სამხრეთ დასავლეთიდან ჩრდილო–აღმოსავლეთის მიმართულებით, დამარხული იყო მამაკაცი, იგი იწვა მარჯვენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი.

როგორც ვნახეთ, ანტიკური ხანის საქართველოში ადგილი აქვს სამარხთა ტიპების მრავალფეროვნებას. აქ ერთსა და იგივე სამაროვანზე ტრადიციული ორმოსამარხებისა და ქვის სამარხის გვერდით შეიძლება შევხვდეთ საკუთრივ ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ ისეთ სამარხებს, როგორიცაა ქვევრსამარხები და კრამიტსამარხი. მცირე რაოდენობით გვხვდება მრავალკვეთილი სარკოფაგები, რომლებიც ყოველთვის მდიდრულ მასალას შეიცავენ.

რაც შეეხება დაკრძალვის წესს, ის, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს, თითქმის ყოველთვის ინჰუმაციურია და მიცვალებულიც ძირითადად გვერდზეა ხელფეხმოკეცვით დაკრძალული, თუმცა წელთაღრიცხვების მიჯნაზე ამ წესში მცირე ცვლილება ხდება და გამოჩენას იწყებს ზურგზე დაკრძალული და ფეხებმოხრილი მიცვალებულიც.

რომაული პერიოდი და მთლიანად ანტიკური ხანა, ე.ი. I-III საუკუნეები, ხასიათდება ზურგზე გამართული კიდურებით დაკრძალულთა გამოჩენითაც.

ის ფაქტი, რომ მთელი ანტიკური ხანა ხასიათდება სხვადასხვა სამარხებისა და მიცვალებულთა სხვადასხვა მიმართულებით დაკრძალვის პარალელურად ერთდროული გამოყენებით, შესაძლოა იმ მკვეთრ პოლიტიკურ, რელიგიურ, ასევე სოციალურ ძალებზე მიგვანიშნებენ, რომლებსაც წერილობითი საისტორიო წყაროების (ქართლის ცხოვრება) მიხედვით ადგილი უნდა ჰქონოდა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I, თბ., 1970.
2. მაგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ., ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2004.
3. მირანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები), თბ., 1983.

სოფელ რუისის ისტორიიდან

ნინო ღვინიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ახლოური,** ასოცირებული პროფესორი

„ერი, რომელიც დაივიწყებს თავის წარსულს, მას მომავალი არა აქვს“ წერდა ილია ჭავჭავაძე... ჩვენ, საქართველოს შვილებს, გვევალება ვიცოდეთ მისი ისტორია თავისი დიდებული თუ მძიმე წუთებით, რათა ვისწავლოთ წარსულის შეცდომებზე, გავაუმჯობესოთ მომავალი და დავტოვოთ ღირსეული ნაკვალევი აწმყოში. საზოგადოდ, ქართველებს და, მათ შორის, რუისის მკვიდრთაც დიდი წარსული გვაქვს. განვიცდით დღევანდელ რთულ ვითარებას ქვეყანაში და უფრო მეტად გვიმძაფრდება სამშობლოს სიყვარული, ამიტომ მსურს მოგითხროთ ჩემი სოფლის რუისის შესახებ, რუისელების ღვაწლსა და დამსახურებაზე საქართველოს ისტორიაში. მინდა ყველას შეექმნას გარკვეული წარმოდგენა, თუ რაოდენ დიდი წარსულის მქონეა იგი და რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს მატიანეში. რუისი უძველესი და დიდი ტრადიციების მქონე სოფელია და მასთან დაკავშირებულია ჩვენი ერის ისტორიის არაერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი.

ჩემი მიზანია, ეს სოფელი და მისი მნიშვნელობა დაგანახოთ იქ დაბადებული და გაზრდილი ადამიანის თვალით, უფრო ღრმად ჩაგახედოთ მასში და მის ტრადიციებში. ვიმედოვნებ, გავაქარწყლებ ხალხში გავრცელებულ აზრსაც რუისელების შესახებ და მიხვდებით, რომ უფრო დიდია მათი საგმირო საქმენი, ვიდრე ის მუქი წერტილები, რომლის გარეშეც ისტორიის არსებობა წარმოუდგენელია. ამ ყოველივეს კი საერთო არ აქვს ამ ხალხის ბუნებასთან და სტუმართმოყვარეობასთან. რასაკვირველია, მედლის ორი მხარის მსგავსად ყველაფერს გააჩნია დადებითი და უარყოფითი. მე კი ჩემს ნაშრომში ორივეს დაუფარავად წარმოვაჩენ.

სახელწოდება რუისი წარმოდგება სიტყვა „რუ”-დან, რაც გვამცნობს, რომ ეს სახელი რუსთან, რწყვასთან არის დაკავშირებული. ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი” დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სამფრით ურბნისისა არს რუისის მთის ძირ, დაბა დიდი რუისი, და ამ რუისი მთის სამფერის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლთავე მრავალნი...”

არავინ იცის როდის ჩაეყარა საფუძველი რუისს. ვარაუდობენ, რომ იგი ანტიკური ხანის ქ. ურბნისის ერთ-ერთი სამიწათმოქმედო რაიონი იყო. ფეოდალურ ხანაში აქ საეპისკოპოსო არსებობდა. რუისის ეპისკოპოსი იყო ლეონტი მროველი („ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენებულია როგორც „მარეული“). იგი იყო ცნობილი მწერალი, ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე. ასევე 506 წელს დვინის საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა შორის მეათე ადგილზეა დასახელებული. 1957 წელს შიდა ქართლში, ქარელის სიახლოვეს, თრეხვის ძნელად მისადგომ ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვეს ქვაჯვარი, რომელზეც ასეთი წარწერა აღმოჩნდა: „მე, ლეონტი მროველმა, დიდი მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმერთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის...“ თრეხვის ქვაჯვარი 1066 წლით თარიღდება, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ლეონტი მროველი ნამდვილად XI საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ითვლება „ქართლის ცხოვრებაში“ შესული სამი ისტორიული თხზულების ავტორად. ესენია: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანცა მამათა და ნათესავთა“, „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „წამებაი წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელ იყო მეფე ქართლისა“. ზოგიერთი მოსაზრებით (პირველად ეს მოსაზრება პ. ინგოროყვამ გამოთქვა გასული საუკუნის 30-იან წლებში), ლეონტი მროველი უფრო ადრეული ხანის ავტორია და მისი მოღვაწეობის დრო VIII საუკუნით განისაზღვრება.

რუისის საეპისკოპოსოში ასევე მოღვაწეობდნენ: ანტონ მროველი (IX-X სს), გიორგი მროველი (XII-XIII სს), დიონისე ლარაძე (XVIს), დომენტი ავალიშვილი (XVI-XVII სს), ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732), შემდეგ ნიკოლოზ თბილელად წოდებული, იგი ყოფილა სულხან-საბას ძმა და საეკლესიო მწერალი, იოანე გედევანიშვილი (1737-1821 წწ), ბერი ეგნატაშვილი (XVIII ს), რომელიც იყო ქართველი ისტორიკოსი და ვახტანგ VI-ის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების დასაწერად შედგენილი კომისიის ხელმძღვანელი.

საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა რუისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის სოფლები ლიხ-ტაშისკარამდე. აქ იყო დიდი წიგნთსაცავი, სადაც ინახებოდა უამრავი ხელნაწერი, მათგან

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუისის სახარება (XI ს). 1811 წელს სინოდმა გააუქმა რუისის კათედრალი და დარჩა ხუცესის ამარა.

დიდი ხალისითა და ინტერესით დავიწყე მასალების შეგროვება ჩემი მშობლიური სოფლის შესახებ. მოვიძიე ლიტერატურა, სადაც რუისის წარსულზე იქნებოდა საუბარი. თითოეული ისტორიული დეტალი, რომელიც კი რუისთან არის დაკავშირებული, სიამაყით მავსებს, იგი ხომ ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ჩემი სოფლის სახელთან ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მოვლენაა დაკავშირებული. რუისი ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზიდენციას წარმოადგენდა. რუისის ღვთაების ეკლესიაში მეფედ აკურთხეს გიორგი II. იგი აქედან მართავდა საქართველოს, ვინაიდან ქვეყანაში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, დედაქალაქი თბილისი ამირას ეპყრა, კახეთი განმდგარი იყო და დასავლეთ საქართველოში მეფის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. 1072-1083 წლებში რუისი ქართლის ანუ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა. არსებობს გადმოცემა, რომ დავით აღმაშენებელმა ბავშვობა რუისში გაატარა, ხშირად დადიოდა ჭალაში, რომელიც ღვთაების ეკლესიის გარშემო იყო. იმ ადგილებში მოჩუხჩუხე წყაროა, რომელსაც რუისელები დავით აღმაშენებლის წყაროს ვუწოდებთ. ისტორიული წყაროებიდანაც დასტურდება, რომ დავითი რუისში იზრდებოდა. გვეამაყება ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა 1104 წელს მოიწვია რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება. აი, რას წერს მემატიანე: „მეფეს დრო და ადგილი თვითონ შეურჩევია. ერთიც და მეორეც მისთვის სასურველი და მოსახერხებელი ყოფილა.“ ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ რუისი ყოველთვის მეფისა და ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის დასაყრდენი იყო.

რუისი ხშირად ყოფილა კლასობრივი ბრძოლის არენა. 1794 წელს რუისელმა გლეხებმა უარი თქვეს გადასახადებზე, მიატოვეს ბატონები და გაიხიზნენ. 1905 წლის 14 მარტს გლეხებმა დაარბიეს სკოლის კანცელარია და წისქვილები, განდევნეს მამასახლისები. XVIII ს-ის 50-იან წლებში რუისელ გლეხებს ერთობლივი არზა გაუგზავნიათ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორისადმი. არზიდან ვგებულობთ, რომ რუისელებისათვის სარწყავი წყალი ოდითდანვე პრობლემა ყოფილა. არზა რუისელთა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1791 წლის 6 აგვისტოთი თარიღდება. არსებობს უფრო ძველი, 1775 წლის ივნისში ერეკლე მეორისადმი გაგზავნილი წერილიც, რომელიც ეკუთვნოდა რუისელ გიორგი ბუზიაშვილს. XVIII ს-ის 70-იან წლებში თბილისში არსებულა მადნის დამუშავების მუშათა სასწავლებელი, სადაც მოზარდები სწავლობდნენ. სწორედ ამ სასწავლებელში გაუგზავნია გიორგი ბუზიაშვილს თავისი 10 წლის ვაჟიშვილი. საინტერესოა მაშინდელი კანონი, რომ ბავშვის სასწავლებლად გაგზავნის შემთხვევაში მის მშობლებს შეღავათი ეძლეოდათ. გიორგი ბუზიაშვილი ერეკლეს გადასახადისგან გაუთავისუფლებია, მხოლოდ უნდა ემუშავა, როგორც საეკლესიო ყმას. არზაში მოხსენებულია გათარხნება. ეს სიტყვა მონღოლურია და ნიშნავს გარკვეული ვალდებულებებისგან გათავისუფლებას. არზას მიაკვლია ექვთიმე თაყაიშვილმა და მისი დედანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდში.მოცემულია ერეკლე მეფის წარწერით არზა: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს რუისელს ღვთაების ყმას ბუზიაშვილს გიორგის. მამული არ აქვს, რუისისათვის რომ მადნის შეგირდი გებრძანათ, ათი წლის შვილი მყავდა, სოფელმა მითხრა შენი შვილი მიეც შეგირდათ, მამულსაც მოგცემთ და კიდეც გათარხნებთო, შვილი შეგირდად მოგართვით, მაგრამ აღარც მამული მომცეს და არც მათარხნეს, გასაღებს ყველას მართმევენ. რვა სულს ხიზანს ვინახავ, სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს“, ხოლო ერეკლე მეფის წარწერაა: „ჩვენი ბრძანება არის, ამ არზის პატრონო! მერმე რაც ღვთაების სამსახურში გაძევს მანამდის მადნიდან იმას არა მიერთმევა რა, რაც გაძევს, უნდა იმსახურო, და ამას გარდა სხვა ვერაში გაგრევენ, თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე ჩვენ მოგვახსენონ.“ ეს დოკუმენტი ერთ-ერთი საუკეთესო მოწმობაა იმისა, თუ როგორ ზრუნავდა ერეკლე მეფე ხალხის კეთილდღეობასა და დაცვაზე. ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა სამთამადნო სწავლის გავრცელებას საქართველოში.

რუისმა არაერთი ღირსეული და დამსახურებული მამულიშვილი გაუზარდა სამშობლოს, რომელთა ღვაწლი დასაფასებელია. მაგალითად, პოეტი იოსებ დავითაშვილი, მწერალი მელანია მამაცაშვილი, მომღერალი და მუსიკალური სკოლის დამაარსებელი (1874 წ.) ხარლამპ ივანეს ძე სავანელი, ტანმოვარჯიშე გიორგი სიმონის ძე ეგნატაშვილი (1885-1962 წ.წ.), იგი იყო სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1937-1941 წლებში განაგებდა ტანვარჯიშის კათედრას საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, ბალერინა ელენე (ლილი) გვარამიძე, გიორგი დეკანოზიშვილი - დიდი პატრიოტი და სოციალისტ-ფედერალისტი, ზაქარია მიხეილის ძე კლიმიაშვილი (1884-1934 წ.წ.) - ქართველი პედაგოგი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. 1910 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მასწავლებლობა დაიწყო. კლიმიაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებია: „საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია“, „სსრ კავშირის გეოგრაფია“, „კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია“. იოსებ ქრისტეფორეს ძე

მამაცაშვილი (1810-1874 წ.წ.) - ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. 1832-36 წლებში ჯერ პატიმრობაში, შემდეგ გადასახლებაში იყო ქ. ვიატკაში. საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში იგი იცავდა ყმა გლეხების ინტერესებს, რისთვისაც მეორედ გადაასახლეს საქართველოდან. გორში, მის ოჯახში იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწეები: ი. გოგებაშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ფურცელაძე, კ. მამაცაშვილი და სხვები. აქ დაიბადა პირველად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების აზრი. 1885 წელს თბილისის მოწინავე საზოგადოებამ იუბილე გადაუხადა რუსეთის არმიის გენერალს, საზოგადო მოღვაწესა და მწერალს კონსტანტინე მამაცაშვილს, რომელიც ჩვენი სოფლის შვილია. გრიგოლ ორბელიანი ხოტბას ასხამს და მადლობას უძღვნის მამაცაშვილთა გვარს, რომელმაც არაერთი ღირსეული ადამიანი აღუზარდა ქვეყანას. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ გადმოცემის თანახმად, მამაცაშვილებმა მტერს დაუმალეს პატარა ბალღი თავიანთ ქოხში, ეს ბალღი კი დიდი დავით აღმაშენებელი ყოფილა. აი რას გვეუბნება იგი: „...ამ გრძელს ჩემს ცხოვრებაში მიცვნია ვინც ყოფილან მამაცაშვილები და ზოგნი მათგანნი მიცვნია ახლოდ. ყველანი ყოფილან სიქველისა და კეთილშობილურობის გრძნობით სავსენი და თუ მოვიგონებთ ძველთა დროთ და ძველ საუკუნეთ, მაშინ თვალწინ წარმოგვიდგება მამაცაშვილების გვარში დიდი ისტორიული ფაქტი, როდესაც ორასის წლის არაბთა მფლობელობის ქვეშ საქართველო იყო დანგრეული და უკანასკნელს განწირულობაში, მაშინ რუისში, მამაცაშვილების სახლში, უბრალო ქოხში, არაბთაგან უცნობად მიმალულად იზრდებოდა ერთი ბალღი...” ასე რომ რუისელებმა გადაარჩინეს დავითი და მას ჩაუნერგეს ღვთისა და მოყვასის სიყვარული, აღზარდეს მეფე, რომელსაც მაშინდელმა მსოფლიომ „მესიის მახვილი“ უწოდა.

რუისში გაიხსნა ერთ-ერთი პირველი სკოლა 1879 წელს კონსტანტინე მამაცაშვილის მიერ. სკოლაში თავდაპირველად მხოლოდ ვაჟები დადიოდნენ, შემდეგ კი გოგონებმაც დაიწყეს სიარული. სწავლობდნენ როგორც აზნაურების, ისე გლეხის შვილებიც. პირველი მასწავლებელი აქაური ოლღა დეკანოზიშვილი ყოფილა. კონსტანტინე მამაცაშვილის ოცნება იყო ქართველი ხალხის განათლება. ერთ-ერთ წერილში ნატრობს, რომ საქართველოს ჰქონოდა იმდენი სასწავლო დაწესებულება, რამდენიც ტაძარი და ციხე-სიმაგრე გაგვაჩნიაო, ამიტომ აქტიურად იღვწოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. სხვა ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად მისი მზრუნველობით 1879 წელს თბილისში გაიხსნა სკოლა-პანსიონატი. დღეს რომ წამოახედა ჩვენი ბრძენი წინაპარი, უდავოდ კმაყოფილი დარჩება, მის მშობლიურ რუისში სამი საჯარო სკოლაა, სადაც განათლებას იღებს უამარავი მოსწავლე. ბევრია წარჩინებული სკოლაშიც და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

საქართველოს უმძიმეს წუთებში ყოველთვის იცავდნენ რუისელი მამულიშვილები. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ ქართველი პატრიოტები ამზადებდნენ ამბოხს საოკუპაციო ხელისუფლების წანააღმდეგ საქართველოს გასათავისუფლებლად კოტე აფხაზის მეთაურობით, მაგრამ პატრიოტები დააპატიმრეს, მათ შორის იყო ოცდაექვსი წლის რუისელი ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი, რომელიც თოთხმეტ ქართველ პატრიოტთან ერთად საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით 1923 წელს გაუსამართლებლად დახვრიტეს თბილისში. სიკვდილის წინ ლევანს მეტეხის ციხეში კლდეზე წაუწერია შოთა რუსთაველის სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“ ივანე ირაკლის ძე კლიმიაშვილი (1904-1966 წ.წ.) ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, 1921 წლის თებერვალში მონაწილეობდა კოჯრის ბრძოლაში. 1929 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში.

მეორე მსოფლიო ომში შვიდასი რუისელი მონაწილეობდა, აქედან სამას ორმოცდათერთმეტი უკან ვეღარ დაბრუნდა. რუისელებმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში 90-იან წლებში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ ბრძოლას შეეწირა რუისელი შალვა მღებრიშვილი (1961-1991 წ.წ.), საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლაში, აფხაზეთში, უგზო-უკვლოდ დაიკარგა დათო ეგნატაშვილი (1965-1993 წ.წ.), რუისელები ასევე მონაწილეობდნენ 2008 წლის აგვისტოს ომშიც. სოფელი დაიბომბა. დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც არ მიატოვეს სოფელი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იქ იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი მტრის ტყვიამ იმსხვერპლა.

რუისი ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა მთელს შიდა ქართლში ეკლესია-მონასტრებით. აქ 13 ეკლესია მდებარეობს, რომელთაგანაც სამი მოქმედია. ესენია: ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ფერისცვალების საკათედრო ტაძარი და ხარების ტაძარი. ასევე აქ ვხვდებით: კვირაცხოველის ეკლესიას, ელიას, წმინდა დემეტრესა და წმინდა მარინეს ეკლესიებს, ღვთისმშობლის ტაძარს და ა.შ. რუისში ერთ-ერთი უდიდესია ფერისცვალების საკათედრო ტაძარი, რომელიც VIII-IX სს-ით თარიღდება, თუმცა მისი შესწავლისას სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ტაძრის მშენებლობაში VII საუკუნისთვის დამახასიათებელი სტილი შეინიშნება. გადმოცემით ტაძარი აუგია ვახტანგ გორგასალს, მაგრამ ამ დროს აგებულ ტაძარს ჩვენამდე არ მოუღწევია. მას ხშირად ღვთაებასაც უწოდებენ. ეს ტაძარი მრავალგზის დაუნგრევიათ საქართველოს მტრებს, მაგრამ მრავალგზის აღუდგენიათ საქართველოს შვილებს. მაგალითად, თემურ-ლენგის შემოსევების დროს ეკლესია ძლიერ დაზიანებულა, მაგრამ დასავლეთ

ფასადის წარწერის თანახმად, ტაძარი აღუდგენია მეფე ალექსანდრე I-ს (1412-1442 წ.წ.). „ქ ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, - რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე, ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყოს“.

ჩემი სოფლის ისტორიას დიდი სიხარულითა და სიამაყით გავეცანი, გარდა ერთისა, ეს არის 1924 წლის რუისის ტრაგედია, რომელსაც თითოეული რუისელი სინანულის გრძნობით გადმოსცემს, რადგან ეთაკილება და ღალატად მიაჩნია საკუთარი თანასოფლელებისა. მეც მიმძიმს ამ ტრაგედიაზე საუბარი, მაგრამ, რადგანაც ჩვენი სოფლის ისტორიის ნაწილია, უნდა ვთქვათ, რადგან მატიანე და, საერთოდ, ცხოვრება შუქ-ჩრდილების გარეშე შეუძლებელია.

1924 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად მოხდა აჯანყება, რომელიც ბოლშევიკებმა წითელი არმიის დახმარებით ჩაახშეს. ამ პერიოდში სოფელზე თვითმფრინავმა გადმოიფრინა და პროკლამაციები ჩამოყარა, სადაც ეწერა - „რკინის ცოცხით აჰგავეთ თავადაზნაურობაო“. რუისში, კერძოდ წინაუბანში, თავადაზნაურები იყვნენ ფანიაშვილები. მამაკაცთა ნაწილი წინა დღეებში დაუპატიმრებიათ. ქალები, ბავშვები და მოხუცები შეკრებილან საგვარეულო ეკლესიაში - ღვთისმშობელში. მამა დავითს დაუმშვიდებია იქ მყოფნი „გონიერება გაიმარჯვებსო“, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უგუნურება ზოგჯერ მძლავრობს გონიერებაზე. გაქეზებულ ბრბოს ტყვედ წაუყვანია 96 ადამიანი ფანიაშვილების გვარისა, ჩაუმწკრივებიათ ერთ ხევთან, რომელსაც ლაშეს წყალს ეძახდნენ. თავზეხელაღებულ ყაჩაღებს გვარდიელებისათვის სროლა უბრძანებიათ. დახოცილებიც და დაჭრილებიც ერთად ორმოში ჩაუყრიათ და დაუმარხავთ. თერთმეტი წლის ზურაბ ფანიაშვილს სროლისას მამიდა გადაეფარა და მსუბუქად დაიჭრა. სამარხში თრითინას ხვრელი გაუკეთებია, საიდანაც ბიჭმა ისუნთქა და სამი დღის შემდეგ შეძლო დაეყვირა იმ ადამიანების გასაგონად, რომლებიც ტრაგედიის ადგილას იკრიბებოდნენ და გლოვობდნენ დახოცილებს. რუისელების შემწეობით გადარჩა ზურაბ ფანიაშვილი და ცხოვრება განაგრძო თბილისში. იგი იყო ღირსეული ქართველი, ცენტროლიტის გენერალური დირექტორი, კადრის პოლკოვნიკი. მისი ქალიშვილია აღიარებული პიანისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი - მედეა ფანიაშვილი. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოს სამუსიკო პედაგოგიურ ინსტიტუტს. სამწუხაროდ, დიდი პატრიოტი ქალი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ფანიაშვილების გვარიდან არის პანაევი, გამოჩენილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. პანაევის წინაპრები 1724 წელს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს რუსეთში წაუყვანია, როდესაც მეფე 1200 კაციანი ამალით გაემგზავრა პოლიტიკური მფარველობის მოსაპოვებლად. რუსეთის მეფის კარზე ყველა მათგანს ღირსეული ადგილი ეკავა.

ფანიაშვილების ისტორია არის ჩვენი თანასოფლელების ცოდვა. შეცდომა, რომელიც შეეშალათ მამებს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ გამოასწორებენ შვილები და მომავალში ავაშენებთ უფრო ნათელ და დიდებულ მომავალს. ფანიაშვილების ტრაგედიის ადგილას რუის-ურბნისის მიტროპოლიტის იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით აღმართეს ჯვარი, სოფლის მკვიდრმა გია გიორგაძემ კი - მემორიალი.

ისევე როგორც ყველა სოფელში, ჩემს სოფელშიც მრავალი თქმულება თუ ლეგენდაა შემორჩენილი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღესაც არსებობს. ვფიქრობ, ეს ყოველივე ისტორიის განუყოფელი ნაწილია და მსურს ამ ნაშრომშიც ჩავრთო რამდენიმე მათგანი. მაგალითად, „როგორ გადაარჩინა ქალმა სოფელი“.

ლეკიანობის დროს ხალხი საიმედოდ დაცულ კოშკებში იმალებოდა. ერთხელ ისე შემოპარულან ლეკები, რომ ხალხს ვერ გაუგია. ერთი ქალი, რომელიც სოფლის განაპირას ცხოვრობდა, მატყლს პენტავდა. მიხვდა, რომ ვეღარ გაიხიზნებოდა. ქალმა ცეცხლიდან ლობიოს ქოთანი გადმოიღო და ჩადგა სახლის კარებში, თვითონ კი კარს ამოეფარა. ლეკები კართან მივიდნენ, ნახეს ღია კარებში უცეცხლოდ დუღს ქოთანი. გაუკვირდათ, შეშინდნენ და თქვეს: აქ რომ ქოთანს უცეცხლოდ ადუღებენ, ჩვენ რას გვიზამენო და გაშორდნენ სოფელს. ასე იხსნა ქალმა რუისი.

ძველად წმინდა დემეტრეს ეკლესიის შესასვლელში ყოფილა ორი სვეტი 1.2 მ სიმაღლისა. ამ ქვების შესახებ ასეთი თქმულება არსებობს: „გაქვავებული და-ძმა“. მტრის შემოსევისას დაიკარგა ერთი ოჯახის ქალ-ვაჟი. ისინი მტერს გაუტაცია და აღზრდილან სხვადასხვა ოჯახში. გავიდა დრო, ჩვენმა ჯარმა ილაშქრა მტერზე, გატაცებული ქართველები გაათავისუფლა. ახალგაზრდებში და-ძმაც ერია. მათ ვეღარ იცნეს ერთმანეთი, მოეწონათ და გადაწყვიტეს ჯვრისწერა დემეტრეს ტაძარში. თურმე ორივეს ეჭვი აეკვიატა და იტანჯებოდნენ იმის შიშით, ვაითუ ნათესავები ვართო და ღმერთს შესთხოვეს: თუ ნათესავები ვართ, ორივე ქვად გვაქციეო“. გადმოცემის მიხედვით, უფალმა შეისმინა თხოვნა და ორივე ქვად აქცია.

დღესდღეობით რუისი დიდი და ძლიერი სოფელია, სტუმართმოყვარე და თბილი ხალხით. მეამაყება, რომ დიდი, ისტორიული სოფლის შვილი ვარ. ეს ის ადგილია, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედი ყველაზე კრიტიკულ მომენტში საქართველოს საკეთილდღეოდ გადაწყდა. დავით აღმაშენებელმა ხომ რუის-ურბნისიდან დაუდო საფუძველი საქართველოს სწორი გზით სვლას.

მჯერა, რომ ჩემი სოფელი არ დაკარგავს ძველ დიდებასა და ძლიერებას. რუისელები კვლავაც დადგებიან ღვთისა და ერის დასაცავად, სამშობლოს გვერდით. ძალ-ღონეს არ დაზოგავენ და იბრძოლებენ ძველებურად თავდადებით ისევე, როგორც დიდგორთან, შამქორთან, ბასიანთან, II მსოფლიო ომში, აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომში. ბრძენთ უთქვამთ: „წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“.

ლიტერატურა:

1. ბუზიაშვილი ლ., რუისი წარსულში, აწმყოში და მომავალში, რუისი, 2001.
2. მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეორე გამოცემა, 1990.
3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი V, თბ., 1990.
4. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1995.
5. www. wikipedia.com.
6. www.dzeglebi.ge.

სოფელ აბისის ისტორიიდან

ნინო ღონღაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ახლოური,** ასოცირებული პროფესორი

სოფელი აბისი და მისი ადგილმდებარეობა

აბისი ქარელის რაიონის სოფელია, საკრებულოს ცენტრი. მდებარეობს ფცის ფრონეს ხეობაში, ლოპანისა და ბრეძის წყლების შესართავთან, სიმაღლე ზღვის დონიდან 670 მ, მანძილი რაიონული ცენტრიდან 22 კმ. საკრებულოს შემადგენლობაში შედის სამი სოფელი: აბისი, აბისისთავი და ბერძენაული. აბისიდან გადის აბისისთავთან, ტკოცასთან, წაღვლთან, საციხურთან, აბანოსთან, კოდასთან, ბრეძასთან, ატოცთან, ცერონისთან, ავლევთან, კნოლევთან, თამარაშენთან, ფცასთან და აგარასთან დამაკავშირებელი გზები.

სოფელი აბისი ისტორიულ წყაროებში

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში აბისი პირველად მოხსენიებულია XVII საუკუნის დასაწყისში. 1605 წელს, გიორგი X–ის მიერ ზაქარია ავალიშვილისთვის მიცემულ წყალობის სიგელში ნათქვამია: ,,ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ... თქვენ ავალიშვილ ზაქარიას... რომე ამირეჯიბი რამინ სადამდის ცოცხალ იყოს მისი მამულითა თქუენთვის მოგვიბარებია და კარგად შეინახე და რა სოფელმან მისი წესი არ დაიშალოს და რამინ მოკუდეს, რაც ბატონის მამიჩემისგან რამინისთვის მამული არის ნაბოძები ...და ფარვანაში უწერია.: ის მამული თქუენთვის გუიბოძებიათ“. (1. გვ. 354) ამ მამულში აბისიც რომ იგულისხმება, კარგად ჩანს თეიმურაზ I–ის მიერ გაცემული სიგელიდან, რომელიც 1633 წლის 30 მაისით არის დათარიღებული: ,,ჩუენ ხელმწიფემან თეიმურაზ და თანამეცხადრემ ჩუენმან დედოფალთ დედოფალმა ხუარაშან... თქუენ ავალიშვილ ზაქარიას და შუილთა თქუენთა .. მას ჟამსა ოდეს ქართლს ყაენი მოგუიხდა.... მრავალი ...ერთგულება და სამსახური თავს იდევით.. გიბოძეთ თქუენ სამკვიდროდ მეფეთაგან ადრე მოცემული სოფელი სომანეთი და აბისი.“ (2. გვ. 542) ამ ორ დოკუმენტს შორის 28 წელია სხვაობა და ორივეგან მოხსენიებული ზაქარია ავალიშვილი ერთი და იგივე პირია, ასე რომ ავალიშვილებმა აბისი მიიღეს 1605 წელს და არა 1633 წელს. 1633 წელს თეიმურაზმა ზაქარიას აბისზე მხოლოდ სიგელი განუახლა. შემდგომ პერიოდში აბისს ამირეჯიბები დაეუფლენ, რაც იქიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის შუა წლებში მათ სოფლის ნაწილი ზაალ მახვილაძისთვის მიუყიდიათ. ზაალი თავად დიასამიძის აზნაური იყო. იგი სამცხიდან ქართლში XVI საუკუნეში მოვიდა. როგორც ჩანს, ზაალი შემდგომ გამოსულა დიასამიძეთა დამოკიდებილებიდან და დაკავშირებია გივი ამილახვარს. სწორედ ამილახვრის რჩევით შეჰყრია იგი ძმად რევაზ გედევანიშვილს და აბისი მასთან ერთად უყიდია. ზაალისა და რევაზის გარდაცვალების შემდეგ აბისის გამო მათ შვილებში დავა ჩამოვარდნილა. 1779 წელს გედევანიშვილებს ამ საკითხზე ორჯერ მიუმართავთ ერეკლე II–სთვის. მსაჯულებმა დიდი დავის

ნაცვლად აბისის მამულები და ციხე მახვილაძეებს მიაკუთვნეს. აბისზე მფლობელობის უფლებას ადასტურებს ერეკლე II–ის მიერ 1799 წლის ბრძანება გლახა მახვილაძისადმი, რომელსაც მტრის შემოსევების დროს ციხე–დარბაზში არ შეუშვია სოფლელები. აბისელებს მეფესთან უჩივლიათ. მეფეს უბრძანებია: ,,ჩვენი ბრძანება არის, მახვილაძევ გლახავ, მეორე ეს აბისელები, ვინცავინ დღეს მანდ სახლობენ, როდესაც მაგ შენს ციხეში სახიზნავად მოვიდნენდა არ შეუშვა ფიცითა გწერთ, რომ მაგ ციხეს ძირიდამ გადმოგიბრუნებთ. ასე იცოდე, თუ რომ არ შეუშვა“. (3. გვ. 352) ფრონის ხეობის სხვა სოფლების მსგავსად აბისმაც ბევრჯერ განიცადა მტერთაგან დარბევა. XVIII საუკუნის 20–30–იან წლებში სოფელი დაღესტნელ ფეოდალთა რაზმებმა ორჯერ ააოხრეს. (4. გვ. 351) სოფლის მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი ხალხური ლექსი, რომელიც ვინ იცის რა გაჭირვებამ ათქმევინა აქაურ კაცს:

„ჰოი აბისო, აბისო,
რა შავი კვამლი აგდისო,
ქალები თათრებმა წაგვართვეს
ბავშვებს ვიღა დაზრდისო“.

ავანტიურისტი გენერალი ტოტლებენი შორაპნის ციხის აღების უშედეგო მცდელობის შედეგად ქართლში გადმოვიდა. მისი ადიუტანტის, გრაფ დე გრაი დე ფუას, ჩანაწერების მიხედვით წინ წასული გენერალი კარგა ხანს აბისში გაჩერებულა, რათა უკან მომავალ თავის ბატალიონს შეერთებოდა. დე გრაი აბისს ქალაქს უწოდებს და აღწერს აქ ლეკების თავაწყვეტილი თარეშის ამბავს. ,,მე უბედურება მეწია, დავკარგე ოთხი ცხენი, ორი მსახური და ყველაფერი რაც მებადა“ – წერს იგი ლეკთა თავდასხმის შემდეგ. (5. გვ. 46)

სოფლის სახელის წარმომავლობა

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება: ერთნი ამბობენ, რომ სიტყვა „აბისი“ ვარდების სოფელს ნიშნავს და ეს სახელი სოფელს თავისი სილამაზის გამო დაერქვა. მეორე მოსაზრებით „აბ“ სპარსულ სიტყვას ,,წყალს“ უკავშირდება. ეს ბოლო მოსაზრება უფრო სარწმუნოა, რადგან სოფელი საკმაოდ მდიდარია წყლებით. მის ტერიტორიაზე მოედინება სამი მდინარე და ერთი ხევი. მდინარეებიდან აღსანიშნავია მდინარე ფრონე.

სოფელი ვაკე ადგილზეა გაშენებული. ,,რაც ქვაა და მინდორია ყველას აქვს ისტორია“ – წერდა ნაზი კილასონია . ,,ახოები“ – ტყის განაკაფ ადგილს ნიშნავს, ,,ხოდაბუნები“ –სახნავ–სათეს ადგილს, ,,ლაშეებზე“ – მჟავე წყალი ამოდის, ,,ციფონები“ – ფცის ადგილია, ,,ბოჟაურები“ – ბოჟაურიძეების გამო დაარქვეს, ,,წიფლისამნები“ – სოლომონ კილასონიას მიერ აბისისა და ნაცარგორის საზღვარზე ჩაგდებული წითელი სამნის გამო შეურქმევიათ, ,,დამპალაზე“ – ერთ ბარისპირზე წყალი ამოდიოდა – იხსენებენ მოხუცები სოფელში.

სოფლის მოსახლეობა

1713 წლის აღწერით აბისში 19 კომლი მცხოვრები ყოფილა: 1) წაკვაძე იოთამ 2) წაკვაძე ნიკოლოზ 3) წაკვაძე გიგა 4) კვამლაძე მამუკა–აყრილია 5) კვამლაძე ბერუკა 6) კვამლაძე ივანე 7) ლაკლაკი დათუნა 8) ლაკლაკი ედიშერ 9) ლაკლაკი ლიპარიტ 10) ბოჟაძე ბერუა 11) გოგილაშვილი პაატა 12) ირემაძე გიორგი 13) ირემაძე იორამ 14) დათიაშვილი გიორგი 15) იმერელი დათუნა 16) სულაშვილი ივანე 17) მღვდელი იესე 18) მღვდელი ბარნაბე 19) შუკაშვილი ბერი. ლეკების შემოსევისგან ძველი აბისი ამოწყვეტილა, ამ გვარებიდან დღეს მხოლოდ ირემაძეები შემორჩნენ. არსებობს 1799 წლის 24 აგვისტოთი დათარიღებული ერთი დოკუმენტი, რომლიდანაც დღეს აბისში მცხოვრები ყველაზე ძველი გვარის – ირემაძეების სადაურობა და აქ ჩამოსვლის ისტორია ჩანს. ეს არის რამინ ამირეჯიბის მიერ ანასტასია ბატონიშვილზე მიცემული ყმის დანებების წიგნი, სადაც ნათქვამია: ,,ღმერთმან ჩემი ხელმწიფის შვილის ბატონიშვილის ანასტასიას ჭირი მოსცეს რამინ ამირეჯიბს. მერე ამას მოგახსენებ..... ეს ირემაძეები ქემფრიდან აყრილან, აქ აბისს მოსულან, შამშე ამირეჯიბს მოსვლიან, აქ ნასყიდობა უქნიათ. ის შამშე რომ ამოწყვეტილა მას უკან ჩვენთან ყოფილან“. (6) 1804 წლის აღწერით 15 კომლი (102 კაცი) ცხოვრობდა, 1818 წელს კი მოსახლეობა 26 კომლამდე (163 კაცი) გაზრდილა. ამ დროს სოფელში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: ირემაძე, ნადირაძე, კვინიკაძე, ნიორაძე, კილასონია (გადმოვიდნენ დასავლეთ საქართველოდან 1812 წელს), გოჩიაშვილი, თალაძე, ტყემალაძე (გადმოსულა კნოლევიდან), კარტკუშაშვილი, კოშკაძე, ზამბახიძე, სხირტლაძე, ჩულაყიძე, მარგველაშვილი, ახალკაცი. მოსახლეობის მატება, როგორც ჩანს, ძირითადად, ხალხის ჩამოსახლების ხარჯზე მომხდარა, ვინაიდან 1830 წელს მცხოვრებთა რიცხვი კვლავ 15 კომლამდე შემცირებულა იმის გამო, რომ ახალმოსახლეები სხვა სოფლებში გადასულან. მაგ.: გლახა და ივანე მარგველაშვილები, ზაქარია და პავლე ახალკაცები, რომლებიც თავიანთი ოჯახებით 1818 წელს აბისის მცხოვრებთა სიაში არიან შეტანილნი, 1830 წელს უკვე სოფელ ბერძენაულში ცხოვრობენ. ასევე ზამბახიძეები და სხირტლაძეები გადასულან სოფელ კოდაში და ბრეძაში, სადაც დღესაც ცხოვრობენ მათი შთამომავლები. 1818–1830 წლებში აბისში კვლავ დასახლებულან ახალი გვარები: აბუთიძე,

ხეცურიანი, თავშავაძე და ცერცვაძე, რომლებიც შემდგომ წლებში მეზობელ სოფლებში გადავიდნენ. 1842 წელს აბისში დასახლებულან ყიფშიძეები (გადმოვიდნენ ცერონისიდან) და აზნაური წერეთლები (გადმოვიდნენ მოხისიდან), 1842–1859 წლებში: ნოზაძე, ბერაძე და მოსიაშვილი, 1859–1873 წლებში: ჯაფარიძე და ცხვედაძე (ეს უკანასკნელი 1866 წელს ტეზრიდან გადმოსულა), 1886–1900 წლებში – ღონღაძე. 1886 წლის მონაცემებით აბისში 55 კომლი ანუ 281 ადამიანი ცხოვრობდა. დღეს სოფელში 200 ადამიანი ცხოვრობს და შემორჩენილია 42 გვარი: ასანიძე, ბერაძე, ბოლოკვაძე, ბუთურიშვილი, ბიქოშვილი, გოგალაძე, ვართასაშვილი, კაპანაძე, კვინიკაძე, კაკულია, კილასონია, კობალაძე, კულუმბეგოვი, კოშკაძე, ლომიძე, ლურსმანაშვილი, მაისურაძე, მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მეარაყიშვილი, კუნჭუხიძე, ნადირაძე, ნიორაძე, ნოზაძე, სხირტლაძე, ტყემალაძე, ღონღაძე, ყიფშიძე, ცხვედაძე, ცერცვაძე, ციქუბაძე, ფუხაშვილი, ფალავანდიშვილი, შავერდაშვილი, შეყელაშვილი, ჩიკვილაძე, ჩინჩალაძე, ჭავჭავაძე, ჯაფარიძე, ჯალაბაძე, ჯიბლაძე, ხახიშვილი.

გადასახადები

ისევე როგორ სხვა სოფლებში, აბისელებიც იხდიდნენ გადასახადებს. ამაზე მოწმობს 1789 წლის 14 სექტემბრით დათარიღებული ერთი არზა, რომლითაც აბისელებს ერეკლე მეფისთვის მიუმართავთ და მისთვის გადასახადებისგან განთავისუფლება უთხოვიათ: „ღმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭირვოს, როგორც ჩვენ გვიჭირდეს. ჯერ ღმერთმან ასე წაგვახდინა სეტყვითა, რომ ჩვენ ჭირნახულში ნამგალი არ შეგვიტანია.. ამას გარდა ლეკი მოგვიხდა ორი კომლი კაცი დაგვეკარგა და საქონელი ასე დაგვეკარგა, რომ ერთი ხბო არ დაგვრჩენია“. ერეკლეს შეუწყნარებია სოფლის გასაჭირი და 27 კოდი პური, რომელიც მათ ჰქონდათ შეწერილი, უპატიებია. XVIII საუკუნის 50–იან წლებში აბისში ყმები ჰყოლია თავად ამირეჯიბს. 1858 წლის აპრილში გლეხებმა უარი განაცხადეს ფულად და ნატურალურ გადასახადებზე. 11 კაცისგან შემდგარმა დელეგაციამ გორის მაზრის უფროსს მიმართა თხოვნით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. იმავე წლის 25 აპრილს სოფელში ჩააყენეს ეგზეკუცია. მოთავეები დააპატიმრეს. გამოცხადდა ძებნა გაქცეულ გლეხებზე.

სოფლის ისტორიული ძეგლები

XVIII საუკუნის 50–იან წლებში აზნაურ ზაალ მახვილაძეს აღუდგენია სოფელი. 1754 წელს აუგია ციხე–დარბაზი, რომელსაც გვერდებში ოთხი სვეტი აქვს სათოფურებით მტრისგან დასაცავად, ხოლო სამხრეთის მხარეს მიდგმულია წმინდა ნათლისმცემლის ეკლესია. ნაგებობა ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით, წირთხლებზე აყოლებულია თლილი ქვა. ეკლესიის კედელში ჩატანებული იყო მარმარილო წარწერით: ,,წინიდან წმინდა გიორგი, უკნიდან ნათლისმცემელი, გვერდიდან ოთხი სვეტი მაქვს, ვერვისგან ასაღებელი“. ციხე–დარბაზის კუთხეებში მცირე ზომის კოშკები დგას. ერთ–ერთი კოშკისგან შემორჩენილია სამი სართული. პირველ სართულზე დამხმარე სათავსოები უნდა იყოს, მეორე სართულზე კი საცხოვრებელი და სათავდაცვო საშუალება უნდა ყოფილიყო განლაგებული. კედელში მრავალი ნიში, სარკმელი და სათოფურია ჩატანებული, სამხრეთით კარია, რომელსაც ეკლესიის მხრიდან კიბე ახლავს. კუთხის მცირე ზომის ცილინდრულ კოშკებს მხოლოდ თავდაცვისთვის იყენებდნენ. ძლიერი მიწისძვრების შედეგად ციხე დანგრევის პირასაა მისული. უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ მცირე ყალიბის ძველი ზარბაზანი, რომელიც აქ ჩვენი საუკუნის 20–30–იან წლებამდე ყოფილა შემონახული. ციხის გვერდით მდგარი ამირეჯიბების სახლი 1905 წელს დაუწვავთ. აქვე დგას საუკუნოვანი ცაცხვის ხეც, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა. ნასოფლარზე, რომელიც მდებარეობს ციხისა და ეკლესიის ტერიტორიაზე, იპოვება უხეშკეცი‍ანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. შეინიშნება რიყისა და კლდის ნატეხი ქვით ნაგები შენობათა საძირკვლის ნაშთებიც. წმინდა მარინეს ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. იგი აშენებულია IX-X საუკუნეში, შეკეთებულია XIX საუკუნის ბოლოს. 1970 წელს ეთერ კვინიკაძემ თავისი სახსრებით შეაკეთა ეკლესია, შეიძინეს ხატებიც. 2007 წელს მამა შალვამ (შალვა გიორგობიანი) კვლავ განაახლა ეკლესია. სოფლის ჩრდილო დასავლეთით სალოცავი „საჯვარეა“. XIX საუკუნის ბოლოს აქ ფიცრული სამლოცველო აუგიათ აბისელებს. 2003 წლამდე კი მხოლოდ ჯვარი მიანიშნებდა სალოცავ ადგილს. 2003 წელს ხვიჩა კვინიკაძემ ააშენა სალოცავი, სადაც მორწმუნეები სანთლებს ანთებენ. 1633 წელს აბისში სამლოცველო „მაცხოვარლხენა“ აუგიათ. ეს შენობა მტერმა დაანგრია. XIX საუკუნის ბოლოს მაცხოვარლხენის საძირკველზე სოლომონ კილასონიას თაოსნობით აბისელებს ფიცრული შენობა დაუდგამთ. საბჭოთა ხელისუფლების დროს შენობა დაუშლიათ. მის ადგილზე დარჩენილა ქვა, რომელზედაც 7 მაისს სანთლებს ანთებდნენ მორწმუნე სოფლელები (13 წმინდა ასურელი მამის ხსენების დღე). ბოლო წლებში აბისელებმა სამლოცველო ააშენეს. გურამ და გენადი კილასონიებმა, რობიზონ ლომიძემ, ვაჟა ტყემალაძემ სამშენებლო მასალები გადასცეს მშენებლებს. აკაკი გოგალაძემ და ელგუჯა ლომიძემ ააშენეს და გალესეს შენობა. არქიტექტორი იყო ნანა გონგლაძე. 1885 წელს სოფელში აიგო პირველი ორსართულიანი სახლი,

რომელიც ეკუთვნოდა მიხაკა, სოლო და დათა კილასონიებს. ამ სახლის სანახავად მეზობელი სოფლიდან მოდიოდა მოსახლეობა.

სოფლის სკოლა

1918 წელს სოფელში გაიხსნა პირველი სამკლასიანი სასწავლებელი შაქრო კილასონიას სახლში. 1925 წელს გლეხებმა გაბრიელ კილასონიას თაოსნობით სამხრეთ ოსეთის სოფელ ლოპანში სკოლისთვის ხის შენობა იყიდეს, დაშალეს, ჩამოიტანეს და სოფლის შუაგულში სკოლის სამოთახიანი შენობა ააგეს. ამ შენობაში გაიხსნა ჯერ შვიდწლიანი, შემდეგ კი რვაწლიანი სკოლა. 1956 წელს საშუალო სკოლა გაიხსნა. 1970 წელს აშენდა სკოლის ორსართულიანი შენობა. აბისის ჯერ რვა წლიან, შემდეგ კი საშუალო სკოლას 14 წელი ხელმძღვანელობდა შოთა ნოზაძე. სკოლის დირექტორი წლების განმავლობაში იყო გოგია ნიორაძე, დღეს მისი ადგილი უკავია ქალბატონ ლეილა თეთრუაშვილს. აბისის სკოლაში მოღვაწეობდნენ ამ სკოლის აღზრდილები: გოგი და ლილი ნიორაძეები, დიმიტრი და მერი ცხვედაძეები, თედო, ნინელი, მარიამ ირემაძეები, ევგენია ბერაძე, რიმა კვინიკაძე, ლილი კილასონია, ვლადიმერ ბერუაშვილი, ელგუჯა ლომიძე, მეგი ცერცვაძე, თამარ დაბრუნდაშვილი, ტრისტან ლურსმანაშვილი.

აბისის სკოლის ყველა კურსდამთავრებულმა ვაჟმა მიიღო მონაწილეობა დიდ სამამულო ომში. ბრძოლაში დაეცნენ: რეზო, გოგია, შიო, აკაკი, ბაგრატი, გოგია, ნაყიდა, დიმიტრი, გრიშა, ვლადიმერ წერეთლები, შალიკო, არჩილი, სოგრატ ნიორაძეები, იასონ, ნიკალა, გიორგი, მიხეილ ირემაძეები, გიორგი და მიხეილ ღონღაძეები, როსტომ და სარდიონ ნადირაძეები, ილო კოშკაძე, იოსებ ჯაფარიძე, ვანო ბერაძე, გრიგოლ და აკაკი ხახიშვილები. მათ მოსაგონრად სოფელის ცენტრში დგას ობელისკი. ორდერებით და მედლებით დაბრუნდნენ ივანე ლურსმანაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, დიმიტრი, მიხეილ, იასონ კილასონია, გოგია ნიორაძე, ვანო ჯაფარიძე, მიხეილ ტყემალაძე, ვანო წვერიანაშვილი, იასონ ნიორაძე...

სოფელში პირველი უმაღლესდამთავრებულები იყვნენ: შალვა და შიო კილასონიები, ირაკლი და ვახტანგ წერეთლები, დიმიტრი ცხვედაძე. ამჯამად სკოლის ბევრი კურსდამთავრებული ნაყოფიერ შრომას ეწევა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში: რობიზონ ლომიძე (ინჟინერი), ომარ კილასონია (სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატი), თენგიზ ნოზაძე (გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი), ჟუჟუნა ნიორაძე (პედაგოგი), ვენერა კილასონია (პედაგოგი), მერაბ ლომიძე (იურისტი), თენგიზ და გია კილასონები (ინჟინრები), ინგა ლომიძე (პედაგოგი) , ნათელა კილასონია (პედაგოგი)...

ცნობილი პოეტი ნაზი გიორგის ასული კილასონია დაიბადა 1927 წელს სოფელ აბისში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტი. ნაზი კილასონია ერთ–ერთი პოპულარული პოეტი ქალია საქართველოში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1952 წელს. მის კალამს ეკუთვნის კრებულები: „ლექსები“, „ჩემი თაობის ფრთები“, „ოქროს ფრინველი“ და სხვ. გარდაიცვალა 1993 წელს.

სოფლის მეურნეობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა გლეხის ეკონომიური მდგომარეობა. მიწა გადაეცა მშრომელ გლეხობას. ამას მოჰყვა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მექანიზაცია. ფრონის ხეობის გლეხობა მთლიანად გაერთიანდა კოლმეურნეობაში. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია მიწათმოქმედება. ხორბლეულიდან ითესება: თეთრი დოლი და შავფხა, ლობიო, შვრია, ბოსტნეული. გაშენებულია ბაღები. ვაზებიდან აქ ხარობს: ძველშავი, გორული მწვანე, ალიკოტე, რქაწითელი, ჩინური და აგრეთვე დაბალი ხარისხის ვაზი კინწურა. არც მეცხოველეობაა დავიწყებული. ყველა ოჯახს ჰყავს ძროხა, ღორი, ფრინველები, ცხვარი. ადრე სარწყავი არხები არ არსებობდა. ახლა კი სოფელში სარწყავად ტკოცურა და წაღულა გამოიყენება. მათ მიემატა ტაშისკრის სარწყავი არხი. 1818 წლის მდგომარეობით აბისის განკარგულებაში ყოფილა 500 დღიური სახნავი, 20 დღის ტყე, 2 დღის ვენახი და 1 წისქვილი. დღეს სოფელშია: 2 ელექტრო წისქვილი, 2 წყლის წისქვილი, კულტურის სახლი, ამბულატორია.

ძველი ტრადიციები

სოფელში გლეხი ნათესების მეტი დოვლათიანობისთვის ასრულებდა ბოსლობას. ამ მიზნით დეკემბრის დამდეგს ოჯახში გამოაცხობდნენ ლობიან პურს, ზეთში გაკეთებულ ქადას და დააწყობდნენ ჯამზე. შემდეგ დაიწვევდნენ მეკვლეს, რომელიც ნამცხვარს ხელში აიღებდა და დაილოცებოდა კარგ მოსავალზე. ოჯახის პატრონი მეკვლეს ფეხებთან მიაყრიდა ხორბლის ან სიმინდის მარცვალს, ვითომც თესდა და თან ბარბარეს შესთხოვდა კარგ მოსავალს. (7. გვ. 90) დღეს ეს ტრადიცია აღარ არსებობს. ყოველი წლის 20 მაისს სოფელში აღნიშნავენ 13 წმინდა ასურელი მამის საქართველოში შემოსვლის დღეს.

ლიტერატურა:
1. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, თბ., 1910.
2. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, თბ., 1910.
3. საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1940.
4. საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა აღწერილობა, ტ.5, თბ., 1940.
5. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, თბ., 1985.
6. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი, თბ., 1907.
7. მაკალათია ს., ფროენს ხეობა, თბ., 1963.

საქართველო გერმანულ თქმულებებში იოანე პრესბიტერზე (XI-XVI სს)

ხატია ხუციშვილი, მარიამ ჩადუნელი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

უძველესი წერილობითი ცნობები იოანე პრესბიტერის თაობაზე მოიპოვება უკვე მე-12 საუკუნის შუა ხანებიდან. პირველი დათარიღებული ჩანაწერი მოგვაწოდა გერმანელმა მემატიანემ ფრაიზინგმა.

ოტო ფონ ფრაიზინგის ჩანაწერის მიხედვით, 1145 წელს სირიის ქალაქ გაბალას კათოლიკე ეპისკოპოსმა ევროპაში ჩაიტანა ცნობა იმის თაობაზე, რომ ვინმე იოვანემ, ნესტორიანული მიმდინარეობის ქრისტიანმა, ერთდროულად მეფემ და ხუცესმა, სომხეთისა და სპარსეთის მიღმა, უკიდურეს აღმოსავლეთში მცხოვრებმა, ბევრი საგმირო საქმე მოიმოქმედა: დაამარცხა სპარსეთისა და მიდის მეფემები შამიარდოები, აიღო მათი სატახტო ქალაქი ეკბატანი გაემართა დასავლეთისაკენ, იერუსალიმისაკენ იქ მყოფ ჯვაროსანთა დასახმარებლად.

იოვანე მეფე-ხუცესზე თქმულებების გავრცელებიის მეორე ეტაპი იწყება მე-13 საუკუნის მონღოლთა შემოსევის ხანიდან. ევროპელებმა მონღოლები ერთხანს ქრისტიანებად მიიჩნიეს, რაკი ისინი ებრძოდნენ ზოგიერთ მაჰმადიანურ ქვეყანას; მაგრამ შემდეგ, როცა თვალნათლივ დაინახეს მათი დამპყრობლური პოლიტიკის შეუფერავი სახე და სარწმუნოების არაქრისტიანულული ხასიათი, მაშინ ევროპაში კვლავ გაიხსენეს იოვანე, მეფე და ხუცესი; ხმა დაარხიეს, რომ „მეფე დავითი“ დიდი ძალით გაემართა მაჰმადიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად და ქრისტიანებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამჯერად თქმულება იოანეზე შეივსო ახალ-ახალი ეპიზოდებით და გავრცელდა კიდევ უფრო ფართოდ. სწორედ ამ დროს გამოაცხადეს მისიონერებმა იოანეს სამშობლოდ ინდოეთი. წერილიც კი შეიქმნა, რომელიც თითქოს იოანე პრესბიტერმა გაუგზავნა ბიზანტიის იმპერატორს მანუელ პირველ კომნენოსს (1143-1180). მათში აღნიშნული იყო, რომ ხუცესი იოანე სახარების მოგვების ჩამომავალია და გარემოცული ზღაპრული ფუფუნებით. მის სუფრაზე დღენიადაგ მოილხენს 30 ათასი ადამიანი, რომელსაც, ამასთანავე, აჯილდოვებს ძვირფასი საჩუქრებით სამეფო საგანძურიდან. მისი ზურმუხტის მაგიდა ეყრდნობა ამეთვისტოს ოთხ სვეტს; სასახლე აგებულია ბაჯაღლო ოქროზე უძვირფასესი ქვებისგან. დარბაზში ჩამოკიდებული ბროლის კარები თავისით იკეტება და იღება. იოანე პრესბიტერი მბრძანებელთა მბრძანებელია. მას სამოცდათორმეტი მეფე უხდის ხარკს. იგი მეფობს სამივე ინდოეთზე. მისი მიწები სწვდებიან ადგილებს, სადაც განისვენებს წმინდა თომა მოციქულის ნეშტი... მისი სახელმწიფო ერთ მახარეს განივრცობა ოთხი თვის სავალზე, მაგრამ თუ იოანეს მეუფება მეორე მხარეს რამდენზეა გადაჭიმული, ამის განსაზღვრა არავის შეუძლია...

მოგონებანი ერთგვარად მივიწყებული აღმოსავლეთის ქრისტიანი მეფის შესახებ შემდეგ კიდევ უფრო გააღვივეს ჩინგიზ ყაენის მეთაურობით ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში შეჭრილმა მონღოლებმა. მართალია, მომთაბარე მონღოლებმა ცოტა უკან დაიხიეს, მაგრამ ევროპელთათვის მთავარი იყო უსაფრთხო გაეხადათ საკუთარი ყოფა, მათი შეჭრის საშიშროება აეცილებინათ თავიდან მომავალშიც კი. 1177 წელს, 27 სექტემბერს რომის პაპმა ალექსანდრე მესამემ (1159-1181) საგანგებო ბარათით მეგობრობა

შესთავაზა „ინდოეთის ბრწყინვალე და საუკეთესო მეფეს“ იოვანეს. უსტარის გადაცემა დაევალა ექიმს, მაგისტრ ფილიპეს. დესპანი გაემგზავრა „ინდოელთა მეფის“ სამფლობელოსკენ, მაგრამ ამ ელჩობის შედეგი უცნობია, რაკი იგი უკვალოდ გაქრა სადღაც აღმოსავლეთში.

იოვანე მეფე-ხუცესის დიდმა პოპულარობამ ბუნებრივად აღძრა ინტერესი მისი პროტოტიპის ვინაობისა და სადაურობისადმი. იოვანე პრესბიტერის სადაურობის საკითხი უკვე მეცამეტე საუკუნიდან იქცევს ევროპელი მეცნიერების ყურადღებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს წამოაყენეს ოთხი მოსაზრება, რომელთაგან ყველაზე ადრეულია იოვანეს ეთიოპელობის, მეორე - პორტუგალიელობის, მესამე - ჩინელობის და მეოთხე - ქართველობის თეორია. გუსტავ ოპერტი თვლიდა, რომ იოვანე ხუცესის წინასახე იყო აზიაში მცხოვრები კრეიტების მბრძანებელი ელიუტაში. ამ დებულების საწინააღმდეგოდ ეჭვი გამოთქვა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორმა ფ. ბრუნმა. თავის მხრივ, მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, იოვანე პრესბიტერის წინა სახედ უნდა ქართველი ამირსპასალარი იოვანე ორბელიანი ჩაითვალოს. ბრუნის ამ ვარაუდმა კრიტიკას ვერ გაუძლო, რაკი სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში იოანე ორბელიანი მონაწილეობდა მხოლოდ 1161 წელს, ე.ი. ოტო ფონ ფრაიზინგენთან მისი პირველად ხსენებიდან მთელი თექვსმეტი წლის შემდეგ.

ჰიპოთეზა იოვანეს ქართველობის თაობაზე 1929 წელს გაიზიარა და გამოაცოცხლა ზურაბ ავალიშვილმა, ოღონდ იოანე ორბელიანის ნაცვლად პრესბიტერის პროტოტიპად დავით აღმაშენებელი მიიჩნია. იგი წერდა, რომ დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან მთელი საუკუნის შემდეგ ევროპელთა წარმოდგენამ ერთსა და იმავე პირად მიიჩნია რომელიღაც „მეფე დავითი“ და „იოვანე ხუცესი“.

იოანე მეფე-ხუცესის ქართველობის, კერძოდ დავით აღმაშენებლობის ჰიპოთეზა 1942 წელს შეიწყნარა აგრეთვე ალექსანდრე სანდერსმა.

იოანე პრესბიტერის პროტოტიპად დავით აღმაშენებლის მიჩნევისათვის არსებობს ბევრი არგუმენტი. ყველა მათგანი მობილიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენ მივუთითებთ ამ არგუმენტთაგან ნაკლებად ცნობილსა და თან უძველესზე, სახელდობრ კოგეშალეს ცნობაზე, რომელის მოხმობილია სანდერსის მონოგრაფიაში. დაახლოებით 1128 წელს რუდოლფუს დე კოგეშალემ თავის „ინგლისურ ქრონიკაში“ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად „1221 წელს მთელ საქართველოში გავრცელებულა ხმა, რომ დავით მეფე, მეტსახელად იოანე პრესბიტერი, ინდოეთიდან დიდი ლაშქრით მივიდა სპარსეთსა და მიდიაში და დაიმორჩილა ისინი“.

იოვანეს სახეში რომ ნამდვილად ისტორიული პიროვნება დავით აღმაშენებელი იგულისხმება, ეს ჩანს აგრეთვე თვით პაპი ალექსანდრე მესამის ზემონახსენები უსტარიდან, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პრესბიტერმა იოანემ, არმენიისა და ინდოეთის მეფემ, გაილაშქრა ორი ძმის სპარსეთისა და მიდიის მეფეების წინააღმდეგ და დაამარცხა ისინი“.

ჰიპოთეზა, რომლის თანახმად იოვანე პრესბიტერი ქართველია, თანაც დავით აღმაშენებელი, კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა პროფ. შოთა ბადრიძემ. მეფე ხუცესის ლეგენდა, მისი აზრით, შეიქმნა ჯვაროსანთა შორის საქართველოს სამეფო ხელისუფლებაზე გავრცელებულ შეხედულებათა კონსტრუირებითა და თავისებური ფოლკლორული გააზრებით. ყველაზე შესაძლებელი წყარო, აღნიშნავს იგი, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო შამიარდოებთან მებრძოლი ქრისტიანი სახელმწიფოს ლეგენდარული ტიპის კონსტრუირება, იყო ის ნახევრად რეალისტური ინფორმაცია, რომლებიც მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში (ისევე როგორც შემდეგაც) ჯვაროსანთა შორის ჭარბად გავრცელდა დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველისა და, საერთოდ, ქართველთა სახელმწფოს შესახებ.

მაგრამ იოვანე პრესბიტერის წინასახის სადაურობა და წარმომავლობა მეცნიერულ ლიტერატურაში უკვე რამდენადმე გარკვეულია, ჯერჯერობით სქელი ბურუსით გარემოცული რჩება მეორე საკითხი: სადაა აზიაში მისი ქრისტიანული სახელმწიფო? სად ბინადრობენ მისი ერთგული ქვეშევრდომები, ნესტორიანული მიმართულების ქრისტიანები? სადაა ზღაპრული „ინდოეთი“?

ამ საკითხთან დაკავშირებით ანა დოროთეა ბრინკენს თავის წიგნში „აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხები ლათინური ისტორიოგრაფიის გაგებით მე-12 საუკუნის შუა წლებიდან მე-14 საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით“ მსჯელობისას იფარგლება ადრე მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილი მასალისა და ფაქტების ხელახალი მიმოხილვით, თანაც ისე, რომ არ ითვალისწინებს ქართველი, თუნდაც ევროპაში მცხოვრები ქართველი მეცნიერების გამოკვლევების შედეგებს. მისი მსჯელობა აგებულია გუსტავ ოპერტის, ფრიდრიხ ცარნკეს და რიხარდ ჰენგის ამჟამად უკვე მოძველებულ დებულებათა საფუძველზე და, ამდენად, დასკვნებიც არაა მართებული. წიგნში გაურკვეველი რჩება როგორც იოვანე პრესბიტერის პროტოტიპის, ასევე მისი „ინდოთის“ ადგილსამყოფელის პრობლემა. იოვანეს ქრისტიანული სამეფო ბრინკენს უბრალოდ „პოლიტიკურ უტოპიად“ მიაჩნია, ხოლო ნესტორიანიზმის კვალს საგულდაგულოდ ცენტრალურ აზიასა და ევროპაში ეძებს. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ იოვანე პრესბიტერი მოგზაურობს მხოლოდ ლათინთა ზღაპრულ წარმოდგენაში აზიასა და აფრიკას შორის. ა. ბინკენი არ

იზიარებს იოვანეს ქართველობის თეორიას, თუმცა არ გამორიცხავს, რომ მონღოლთა თავდასხმებისა და მოსალოდნელის საფრთხის ვითარებაში ევროპელთა იმედები სწორედ დავით აღმაშენებელს დაუკავშირდა.

აკადემიკოსი ვ. ბარტოლდი იოვანე პრესპიტერსა და მისი ინდოეთის საკითხზე ლაპარაკობს სხვადასხვა შრომაში, მაგრამ ყველაზე კომპაქტურად თავის მოსაზრებებს აყალიბებს გამოკვლევაში „აღმოსავლეთის შესწავლის ისტორია ევროპასა და რუსეთში“ (1911). მისი მსჯელობა მთლიანად აგებულია გუსტავ ოპერტისა და ფრიდრიხ ცარნკეს მონაცემების საფუძველზე, ამიტომაც დღეისათვის მათ მხოლოდ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ვ. ბარტოლდისათვის საერთოდ არ არსებობს იოვანე მეფე-ხუცესის ქართველობის თეორია. ვ. ბარტოლდი საერთოდ არ იცნობს ჩვენს მეორე ქვემოთ მოხმობილ მასალას და ამდენად მისთვის სრულიად უცნობია ამ მასალიდან ლოგიკურად გამომდინარე დასკვნები. ვ. ბარტოლდი ყოველნაირად ცდილობს ახსნას ძმები შამიარდოების დამარცხების ისტორიული ეპიზოდი, თუმცა ვერაფრით ახერხებს მიაკვლიოს ეკვატანის ტრაგედიასთან იოვანესა და დავითის სახელების დაკავშირების საფუძველს, ვის გამოც პირადად აცხადებს, რომ ღიად რჩება საკითხი იმის თაობაზე, თუ საიდან იყო ლეგენდის მიერ დასახელებული იოვანესა და დავითის სახელები. ვ. ბარტოლდი გარდაიცვალა 1930 წელს, სწორედ მაშინ, როცა დავით-იოვანეს წარმომავლობის საკითხის კვლევა-ძიება ახალ მეცნიერულ ფაზაში შევიდა, როცა ახალი დოკუმენტების შუქზე შეეძლო ოპერტ-ცარნკეს მოძველებულ დებულებათა ძირეული გადასინჯვა.

იოვანე პრესბიტერის მშობლიური ინდოეთის ლოკალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალ-ახალი ცნებების გამოვლენას, მათ გაანალიზებას და გათვალისწინებას. პირველი სერიოზული გამოკვლევა იოვანე მეფე-ხუცესზე, როგორც აღინიშნა, დაწერა გერმანელმა სწავლულმა გუსტავ ოპერტმა „პრესბიტერი იოვანე საგებსა და ისტორიაში“ (1864), მეორე რუსმა მკვლევარმა ფ. ბრუნიმ ”მეფე-ხუცეს იოვანეს მოგზაურობის თაობაზე“ (1870). იოვანე პრესბიტერის სახის შესწავლაში ჯეროვანი დამსახურება მიუძღვის გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის საქსონიის საზოგადოების თვალსაჩინო წევრს ფრიდრიხ ცარნკეს, რომელმაც 1879-1883 წლებში გამოაქვეყნა დიდი გამოკვლევა „იოვანე პრესბიტერი“.

წყაროები: იოვანე მეფე-ხუცესისა და მისი მშობლიური ინდოეთის შესახებ ცნობები მოცემულია რამდენიმე გერმანულ მხატვრულ ძეგლში. ესენია:

I. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“ (მე-13 საუკუნის დასაწყისი).

ll. ბერლინური ხელნაწერი (მე-13-საუკუნის პირველი ნახევარი)

lll. ვენური, უფრო ზუსტად, ამბრას-ვენური ხელნაწერი (აგრეთვე მე-13 საუკუნის პირველი ნახევარი)

lV. ალბერტ ფონ შარფერბერგის „ახალგაზრდა ტიტურელი“ (მე-13 საუკუსნის მეორე ნახევარი) V. მიუხენური ხელნაწერი პირობით „მეფე მანუელ“ (მე-15 ს)

Vl. ოსვალდ დერ შრაიბერის ჰაილდერბერგული ხელნაწერი, უსათაურო პოემა (მე-15 ს)

Vll. „ფორტუნატუსი“ (მე-15 ს).

თქმულებათა ერთი ჯგუფი იწყება დიდებით ჭეშმარიტად მოწყალე ღმერთისა რომელსაც ძალუძს მიუტევოს ადამიანს სულის დამამძიმებელი ყოველგვარი ცოდვა, შემდეგ მოთხრობილია იოვანეს პიროვნებაზე. აქ ნათქვამია: პრესბიტერის ქვეყანას ინდოეთი ჰქვია. თვალუწვდენელია საზღვრები ამ ქვეყნისა; საზღვრები, რომელიც გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე და შედგება სამი სახელმწიფოსაგან, სამი ინდოეთისაგან: მცირე ინდოეთი, შუა ინდოეთი და დიდი ინდოეთი, მასშივე შედის ბაბილონის უდაბნო. იოვანე უმდიდრესი ადამიანია მიწებით და ხალხით. ღირსებით იგი ედრება ცაში მყოფ ღმერთს; დიდია მისი ძლიერება. მთელი დედამიწის ორი ნაწილი, სამოცდათორმეტი სახელმწიფო მას ემორჩილება ძალდატანებისა და იძულების გარეშე. თავად ძლიერია და მდიდარი, რის გამოც ბევრი მეფე მორჩილად უგზავნიდა ხარკს.

იოვანეს სამფლობელოში შედის ბაბილონის უდაბნო. იქ ბინადრობს საოცარი ხალხი, გოლიათები, კენტავრები, ნახევრად ცხენები და ნახევრად ადამიანები, ველურები, რომელთაც თვალები მკერდზე აქვთ; აქვე ბუდობენ ფასკუნჯები და ნიანგები, აქლემები და სპილოები; ქვეყანა სავსეა ნუგბარი სურსათით და თაფლის მდინარეებით; ინდოეთის ზოგიერთ კუთხეში არის საუკეთესო ჰავა; მოედინება მდინარე იდონუსი, უხვად მოიპოვება უძვირფასესი ქვა და ხარობს ბევრი ხე.

იოვანე მეფეს აქვს დიდებული სასახლე. მისი კედლები ნაგებია ძვირფასი ქვებით; სახურავი გაკეთებულია აბანოზის ხისგან; ავეჯი მოვარაყებულია ოქროთი და ვერცხლით. სასახლის ერთი დარბაზის კედელი მოხატულია ადამიანთათვის წამებული და გვემული მაცხოვრის სურათით.

თქმულებაში ვხვდებით ინდოეთის საზღვრებზე მიმანიშნებელ ორიენტირებს: დასავლეთით მისი უკიდურესი მხარეა ბაბილონი, სადაც განისვენებს დანიელი. ინდოეთის სხვა მისადგომებთან

განისვენებს აგრეთვე წმიდა თომა; თავის ელჩებს იოვანე გზავნის ბევრ ქვეყანაში, კერძოდ დიდი მეფე მანუელის სამფლობელოში.

ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“ ლაპარაკია არა მხოლოდ ინდოეთზე; აქ საუბარია თვით იოვანე მეფე-ხუცესზე. თუმცა მეტად ლაკონურად, მაგრამ მაინც, აღნიშნულია სარწმუნოების წინაშე მისი დამსახურება. იოვანე ხუცესი მოხსენიებულია პოემის მე-16 თავში, რომელიც აღწერილია გრაალის მეფედ პარციფალის კურთხევის ამბავი. ინდოეთში, აღნიშნულია მასში, დაიბადა ერთი ვაჟი, იოვანედ წოდებულია, რომლის სახელმაც ჩვენ დროში უკან მოიტოვა ადრე ცნობილი მეფეების დიდება; მან გაავრცელა ქრისტიანობა ყველა მასზე დამოკიდებულ ქვეყანაში. მისი მეურვეობით გაიხარა ქრისტეს მოძღვრებამ. აქ ევროპაში ამ მხარეს ინდოეთი ჰქვია, მაგრამ იქ მას ტრაბალიბოტი ეწოდება.

„ბელინურ“ ხლნაწერებში ლაპარაკია ალექსანდრე დიდზე, ინდოეთის დამპყრობზე, მის ლაშქრობაზე მეფე პოროსის წინააღმდეგ ალექსანდრემ ინდოეთში დიდი გასაჭირი გადაიტანა და აუნაზღაურებელი ზარალი ნახა იქ დაეღუპა მას საყვარელი ცხენი ბუცეფალი.

იოვანე ხუცესის მოქმედების არე კიდევ უფრო გაფართოვებულია „მიუნხენურ“ ხელნაწერებში, რომელსაც ჩვენ პირობით „მეფე მანუელს“ ვუწოდებთ და რომელშიც მოთხრობილია პრესბიტერისადმი რომანიის მეფე მანუელის დამოკიდებულება.

ძნელია იმის დაბეჯითებით თქმა, აქ მწერალი თუ რომელ რომანიას გულისხმობს. არის ეს ევროპის რომანია (რუმინრთი) ან მცირე აზიის თურქული სახელმწიფო, იკონიის სასულთნო რომანია დესერტა, თუ მოგვიანებით, ჯვაროსანთა მიერ მიკვლეული რომელიმე შორეული ქვეყანა.

ლიტერატურა:

1. რევიშვილი შ., ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, 1987.
2. ბადრიძე შ., საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და დასავლეთ ევროპასთან (XI-XIII სს.), თბ., 1984.
3. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), თბ., 1989.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.